თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მედეა საღლიანი

ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში

II

თბილისი
2023

წინამდებარე ლექსიკონი განკუთვნილია ქართველურ ენათა სპეციალისტთათვის, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისათვის და, ასევე, ენათმეცნიერებისა და ლექსიკოლოგიის საკითხებით დაინტერესებული ყველა ქართველოლოგისათვის.

The present dictionary is intended for specialists of the Kartvelian language, for students of humanities faculties of higher education institutions, for students on master's degree course, for doctoral students, and also for all Georgian linguists interested in the issues of linguistics and lexicology.

რედაქტორები: ვაჟა შენგელია – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ნატო შავრეშიანი – ფილოლოგიის დოქტორი

Editors: **Vazha Shengelia** – Doctor of Philology, Professor, Corresponding Member at the - Georgian Academy of Sciences
Nato Shavreshiani – Doctor of Philology

რეცენზენტები: ლელა გიგლემიანი – ფილოლოგიის დოქტორი
ელიზავეტა გაზდელიანი – ფილოლოგიის დოქტორი
როენა ჭკადუა – ფილოლოგიის დოქტორი

Reviewers: **Lela giglemiani** – Doctor of Philology
Elizaveta gazdeliani – Doctor of Philology
Roena Tchkadua – Doctor of Philology

ინგლისური ტექსტის მთარგმნელი და რედაქტორი: შორენა შავრეშიანი – ფილოლოგიის დოქტორი

English version editor: **Shorena Shavreshiani** – Doctor of Philology

კომპიუტერული უზრუნველყოფა – რუსუდან პაპიაშვილი

IT software – **Rusudan Papiashvili**

@ თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

@ მედეა საღლიანი

გამომცემლობა „უნივერსალი", 2023
თბილისი, 0179, პოლიბჯოვსაის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-429-0

შინაარსი

წინასიტყვაობა 7
Foreword 8
ა 9
ბ 23
გ 26
დ 26
ე 46
ვ 63
ზ 74
თ 76
ი 81
კ 91
ლ 96
მ 118
ნ 250
ო 291
პ 311
ჟ 313
რ 314
ს 320
ტ 321
უ 326
ფ 354
ქ 361
ღ 372
ყ 381
შ 392
ჩ 403
ც 407
ძ 414
წ 421
ჭ 430
ხ 437
ჯ 441
ჰ 450
ჱ 456
ჲ 465
ჳ 467
ჴ 474

ჳ 478
ჴ 479
ლიტერატურა 480
სამეცნიერო ლიტერატურა 480
ლექსიკონები 480
წყაროები 481
შემოკლებათა განმარტებანი 482
შენიშვნები 484

წიგნი ეძღვნება ძვირფასი მასწავლებლების:
აკად. ქეთევან ლომთათიძისა და
პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

ნაშრომი შესრულდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის („სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)" – N F R – 18 - 34 22) ფარგლებში, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

წინამდებარე ლექსიკონი „ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში" გაბლავთ ჩვენი მრავალწლიანი შრომის შედეგი. იგი მოიცავს სვანური ენის ოთხივე დიალექტის (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის), ჩოლურული მეტყველებისა და უშგულურ-ლახამულური კილოკავების ძირითად ლექსიკურ ფონდს. ლექსიკონში შეძლებისდაგვარად თავმოყრილია და ანბანთრიგზეა დალაგებული ქართულ-ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალობით), აფხაზურ-ადიღეური ენებიდან, ოსურ-ალანურიდან, ბერძნულიდან და ა. შ. შეთვისებული არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელთაც სვანური ენის ფონოტაქტიკისათვის დამახასიათებელი ცვლილება განუცდიათ (იხ. ტ. I).

რამდენადაც ცნობილია, ენებს შორის არსებული ურთიერთგავლენა უძველესი დროიდან მოიაზრება. ეს გავლენა, ცხადია, უმეტესად ლექსიკურ ფონდზე აისახება. ენის აღწერისა და დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას კი ლექსიკონი წარმოადგენს, რომლის შედგენის რამდენიმე პრინციპი არსებობს ქართულ ლექსიკოგრაფიაში, თუმცა ეს პრინციპები ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონის შედგენისას, ჩვენი აზრით, ნაკლებად გამოსაყენებელია, რამაც განსაზღვრა არსებულისაგან განსხვავებული პრინციპების შემუშავება.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული სალექსიკონო სტატია, ძირითადად, ასეთი სტრუქტურისაა: სვანური ნასესხები სიტყვა + დიალექტი ან კილოკავი + სიტყვის მნიშვნელობა + ენა (მაგ.: ქართ., ზან., ადიღ., ოს.-ალან., არაბ., სპარს., ფალ., ბერძ., ლათ. და ა. შ.) საიდანაც მომდინარეობს სიტყვა + სიტყვის მნიშვნელობა გამსესხებელ ენაში + საკუთრივ სვანური ფორმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა. შ.

ამგვარად შედგენილი ლექსიკონი, ვფიქრობთ, დასჭირდებათ როგორც ქართველური ენების სპეციალისტებს, ასევე ტიპოლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, ფოლკლორისტიკის და მეცნიერების სხვა დარგებში მომუშავე სპეციალისტებს, რადგანაც წინამდებარე – ლექსიკონი წარმოადგენს არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიული (როგორც თარგმნითი, ისე განმარტებითი) ხასიათის ნაშრომს, არამედ გარკვეული თვალსაზრისით გამოკვლევასაც.

The book is dedicated to the bright memory of dear teachers: Acad. Ketevan Lomtatidze and Prof. Zurab Chumburidze

Foreword

The dictionary was carried out within the framework of grant project ("Phonetical-Phonological and Semantic Analysis of Loan-Words in the Svan Language" (fundamental-applied research, appended with a dictionary)" _ *N F R – 18 - 34 22)* financed by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia in the department of the Kartvelian languages of TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics.

The present book "The Dictionary of Borrowed Words in the Svan Language" is the result of many years of work. It includes the main lexical fund of all four dialects of the Svan language (Upper Bal, Lower Bal, Lashkhian and Lentekhian), Cholur speech and Ushgulian-Lakhamulian subdialects. In the dictionary, a number of such lexical units assimilated from Georgian-Zan (directly or indirectly), Abkhazian-Adygheian, Ossetian-Alanic, Greek and so on have been collected and arranged alphabetically as much as possible, that have undergone phonetic-phonological and semantic changes characteristic of the phonotactics of the Svan language (see vol. I).

As far as known, the beginnings of mutual influence among languages are considered together with the emergence of languages themselves, of course, this influence mostly affects the lexical fund. The most important means of describing and protecting the language is the dictionary, the principles of which are compiled in Georgian lexicography, however, in our opinion, these existing principles are less applicable when compiling dictionary of loan-words, that determined the development of different principles from the existing ones.

The dictionary article we offer is mainly of the following types: Svan loan word + dialect or subdialect + the meaning of the word + the language (e.g: Georgian, Zan, Adygheian, Ossetian-Alanic, Arabic, Persian, Pahlavi, Greek, Latin, etc.) where the word comes from+ also the meaning of the word in the donor language + proper Svan forms (in case of such forms existence) and etc. We think that the dictionary compiled in this way will be useful for specialists of Kartvelian languages, as well as for specialists working in the field of typology, ethnolinguistics, folkloristics and etc., because the present dictionary is not only lexicographic (both translation and explanatory) work, but also scientific research (in a certain extent).

აბანა (ბქ.) < ზან. (მეგრ.) აბანა „აბანო; სამკურნალო წყალი“ < ქართ. აბანო „საგანგებო შენობა საბანაო მოწყობილობით“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლაბრჳლ, ბქ. ლაბრალ, ლნტ. ლაბარალ „დასაბანი“)

აბანო (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. აბანო „საგანგებო შენობა საბანაო მოწყობილობით, – საბანელი სახლი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლაბრჳლ, ბქ. ლაბრალ, ლნტ. ლაბარალ „დასაბანი“)

აბაჟურ (ზს., ქს.) < ქართ. აბაჟურ-ი (< რუს. **Абажур** < ფრანგ. **abat-jour**) „შუქფარი“

აბარდა (ლნტ., ჩოლ.) „სწრაფად მოტრიალება/წასვლა“ < ქართ. ხაბარდა (< არაბ.-სპარს. **xabardâr**) „შეძახილი: ჩამოდექი, გადადექი გზიდან“

აბარწა (ბქ.)/**ჰაბარწა** (ჩბხ.) „აივანი, წინკარი“ < ზან. (მეგრ.) აბარწა (შდრ. ასევე ლაბარწა/ჲაბარწა) < აფხაზ. ა-ბარწა „აივანი, დერეფანი, პირმაღი/პარმაღი, წინკარი“

აბაზ (ზს., ლნტ.)/**აბაზ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აბაზ-ი (< სპარს. **ʻabbāsī** „აბაზი – ფულის ერთეული მეფის სახელიდან **ʻabbās** – აბასი“) 1. „ოცი კაპიკის ღირებულების ვერცხლის ფული“, 2. „ოცი - კაპიკი“

აბგა (ზს., ქს.) < ქართ. აბგა „მხარზე - გადასაკიდებელი ჩანთა; ხურჯინი“

აბეშჩიკ (ბზ.)/**აბეშიკ** (ბქ.) „მეტყეველ“ < ქართ. (მთიულ., ფშ., ხევს., მოხ.) აბეშჩიკ-ი (/აბესჩიკ-ი) „სახაზინო ტყეების მცველი, – ტყაჩო“ (< რუს. **Объездчик** „ცხენოსანი დარაჯი; ცხენების მხედნელი“), შდრ. ბზ. **მეცხიკ/მგცხიკ**)

აბზინდაჲ (ბზ.)/**აბზინდაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**აფსინდ** (ბქ.)[1]/**აბზინდ** (ლნტ.)/**აბზინდ** (უშგ.) *მოტ.* < ახ. ქართ. აბზინდა, ძვ. ქართ. აფსინდ-ი, აფსინთ-ი „სამკურნალო ბალახი, მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ფოთლებდანაკვთული“

აბზიან (ზს.)/**აბზიან** (ლშხ.) < ქართ. აბაზ-იან-ი (< სპარს. **ʻabbāsī** „აბაზი – ფულის ერთეული მეფის სახელიდან **ʻabbās** – აბასი“) „ოცკაპიკიანი“

აბილო (ლშხ.) *მოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) აბილოურ-ი, (ქართლ.) აბილაურ-ი - „ვაშლის ერთ-ერთი ჯიში“ (შდრ. ზს. **ანთროლ**, ბზ. **ანთურელ**, ლშხ. **ანთრო**, ლხმ. **ჳნთრელ**)

აბრა (ლშხ.) „მაგიერი წონაში“ < ქართ. აბრა „საწონი, სასწორის გასასწორებელი“

აბრამ (ზს., ქს.)/**აბრამჳ** (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. აბრამ-ი/აბრაამ-ი (< ძვ. ებრ. **avraham** „მამა სიმაღლისა“, „ამაღლებული“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აბრეშუმ (ზს., ქს.)/**აბრეშუმ** (ზს.)/**აბურეშიმ** (ბზ.) /**აბრეშუმ** /**აბურშიმ**/**აბურშუმ** (ბქ.) < ქართ. აბრეშუმ-ი (< სპარს. **abrišum/abrišom** „ბუნებრივი საფეიქრო ბოჭკო“) „აბრეშუმის ჭიის პარკისაგან ამოხვეული ძაფი/ამ ძაფის ქსოვილი“

აბუტარაკ/სამტრაკ (ბზ.)/**ამტრაკ** (ბქ.)/ **აპუტრაკ** (ლშხ., ჩოლ.) *მოტ.* < ქართ. (მესხ., ჯავახ.) აპუტარაკ-ი „შხამა“, ლეჩხ., რაჭ. აპუნტრაკ-ი (შდრ. უშგ. **ნაყმდელ**)

აგარაკ (ზს., ლნტ.)/**აგარაკ** (ლშხ., ჩოლ.) < ძვ. ქართ. აგარაკ-ი „ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენაჯე გინა დაბა“, ახ. ქართ. „საცხოვრებელი და დასასვებელი ადგილი ქალაქგარეთ...“

აგენტ (ზს., ქს.)/**აგენტ** (ბქ.) < ქართ. აგენტ-ი (< ლათ. **agens** „მოქმედი“) „სახელმწიფოს, დაწესებულების, ორგანიზაციის წარმომადგენელი, რწმუნებული...“

აგერ-აგერ (ლშხ., ჩოლ.) „კინაღამ“ *ზმნის.* < ქართ. აგერ-აგერ „სადაცაა, ძალიან მალე; აქა-იქ“

აგრჲი (ზს.)/აგრი (ბზ., ჩოლ.)/აგრჲი (უშგ.) „ნეტამც, ასემც“ *ზმნის.* < ქართ. აგრე/ეგრე „მაგრე, მაგნაირად; აგრემც“

აგუნდ (ბზ.) „მთა, უღელტეხილი“ *ზღაპრ. ტოპ.* < ქართ. იაგუნდი (< არაბ. **iaḳut/iaḳund**) „ძვირფასი ქვა, ბაც-მოლურჯო ფერისა, – ლალი“, იხ. **ია**გუნდ

აგურ (ზს., ქს.)/ანგურა (ზს.)/ანგურ-/აგუნრ (ბზ.)/ანგურა (ლხმ.) < ქართ. აგურ-ი (< სპარს. **agur**) „გამომწვარი თიხის ძელაკი“

აგუნრიფერიშ (ბზ.)/ აგურიშფერ (ბქ.) < ქართ. აგურ-ის-ფერ-ი „მოყვითალო წითელი“ < ქართ. აგურ-ი (< სპარს. **agur**) „გამომწვარი თიხის ძელაკი“ და -ფერ-ი „შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს თვალზე საგნის მიერ ანარეკლი სინათლე...“

აგუსტო (ზს., ქს.)/აგუსტ (ზს., ლშხ.) /აგუსტო (ბქ.)/აგუსტ (ბზ.) „აგვისტო, მარიამობის თვე“ < ქართ. აგვისტო (< ლათ. **augustus** „წმინდა, საღმრთო, დიადი“) „კალენდარული წლის მერვე თვე“ (შდრ. ჭან. აღუსტოზი და ბზ. ლიმრიე თუე „მარიამობის თვე“)

ადამ (ლშხ., ჩოლ.) 1. „მამაკაცის საკუთარი სახელი“, 2. „ადამიანი, კაცი“[2] < ქართ. ადამ-ი (< ძვ. ებრ. **adam** „თიხა“, „ადამიანი“) „ბიბლიური გადმოცემით – პირველი კაცის საკუთარი სახელი“, შდრ. ასევე ჩოლ. **ადამო** „მამაკაცის საკუთარი სახელი“, იხ. **ადამიან**

ადამეტ (ბზ.) *ანთრ.* < ქართ. ადამეტ-ი (< ბერძ. ადმეტი/ადმეტე **ἀδμητος** „ბერძნულ მითოლოგიაში გაუთხოვარი ქალების ქალღმერთი, თეტისისა და ოკეანოსის ქალიშვილი“)

ადამიან (ზს.)/ადამიან (ლშხ., ჩოლ.)/ ადჲმიან (ლნტ.) < ძვ. ქართ. ადამ-ეან-ი, ახ. ქართ. ადამ-იან-ი „ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს აზროვნებისა და მეტყველების უნარი და გარკვეულ ცივილიზებულ საარსებო პირობებში ცხოვრობს“ < ქართ. ადამ-ი (< ძვ. ებრ. **adam** „თიხა“, „ადამიანი“) „ბიბლიური გადმოცემით – პირველი კაცის საკუთარი სახელი“, შდრ. ასევე ჩოლ. **ადამო** „მამაკაცის საკუთარი სახელი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ამსუჲალდ**, ბქ. **ამსუჲალდ**, ლნტ. **ამსუალდ**, ლხმ. **ამსოლდ**), იხ. **ადამ**

ადჲთ (ზს., ლნტ.)/ადეთ (ბზ.)/ადათ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ალდათ (ლშხ., ჩოლ.)/ალდჲთ (ლნტ.) < ქართ. ადათ-ი „წინაპართაგან დამკვიდრებული ჩვეულება, ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესი. || ჩვევა, ჩვეულება“

ადგილობრიუ (ბზ., ქს.)/ადგილობრიუ (ბქ.) < ქართ. ადგილობრივ-ი „ამ (იმ) ადგილისა, კუთხისა, ქვეყნისა“

ადგომ (ზს., ქს.) „მძიმე მარხვა და უქმე, ნათლისღების წინა დღე“ *რელიგ.* < ძვ. ქართ. ა[ღ]დგომა 1. „მაცხოვრის ცადამაღლება ჯვარცმის შემდეგ. || გაცოცხლება, აღორძინება“, 2. „ქრისტეს მკვდრეთით ადგომის დღესასწაული“

ადესა (ზს., ჩოლ.)/ადესა (ბქ., ლნტ.)/ ადესაჲ (ლშხ., ჩოლ.)/ადეცა (ლნტ.) „სიმინდის ჯიშია, ადესურა“ *ბოტ.* < ქართ. ადესა „შავყურძნიანი ვაზის ახალი ჯიში გურია-სამეგრელოში, – იგივეა, რაც იზაბელა“

ადიალა (ზს., ქს.)/ადიალა (ბქ.)/ადიალ/ადჲელაჲ (ჩოლ.) < ქართ. ადიალა (< რუს. **одеяло**) „საბანი, გადასაფარებელი“

ადლახ/ადლახან (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ადილხან-ი (< არაბ.-თურქ. **adil-xan** „მხოლოდ მეფე“ < არაბ. **adil** „სამართლიანი“ + სპარსული სუფიქსი **-xan** „მმართველი“)

ადრიას (ლშხ., ჩოლ.) „ადრე, უძველეს დროში“ *ზმნის.* < ქართ. ადრე „წინათ, უწინ...“

ადუოკატ (ზს., ქს.)/ადუოკაჲტ/ ატოკაჲტ/ატუკაჲტ (ბქ.) „დამცველი, ვექილი“ < ქართ. ადვოკატ-ი (< ლათ. **advocatus** > **advoco** „ვიხმობ“) „იურისტი, რომელიც ბრალდებულის (ინტერესების) დამცველად გამოდის სასამართლო პროცესზე, – ვექილი“

აზატ (ლშხ., ჩოლ.)/აზაჲტ (ლნტ.)/ აზაჲდ (ლხმ.) 1. „აზატი, გაზატებული, თავისუფალი გლეხი“, 2. *გადატ.* „განებივრებული, თავისუფალი, უდარდელი“ < ქართ. აზატ-ი (< ფალ. **āzād**) „თავისუფალი“

აზელუჽრ (უშგ.) < ქართ. აზავერ-ი - „ხარი საკიდარი (საბა), – ხარი, რომელსაც ტვირთს აჰკიდებენ ხოლმე“

აზიაცკარ (ბქ.)/აზიაცკალ (ჩოლ.) < ქართ.-მეგრ. აზიაცკ-ი (< რუს. **Азиатский**) „აზიური უქუსლო, წვრილჰვინტიანი, ფეხზე შემოტკეცილი ტყავის მაღალყელიანი ჩექმა“

აზნაურ (ზს., ქს.)/აზნაურირ (ზს.) < ქართ. აზნაურ-ი (< საშ. სპარს. **āznāvar** „კეთილშობილი“) „პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი“

აზნაურიშუილ (ზს.)/აზნაურშუილ (ლხმ.)/აზნაურიშუილ / აზნოურშუილ (ლნტ.) < ქართ. აზნაურ-ი-შვილ-ი „იგივეა, რაც აზნაური“, შდრ. საშ. სპარს. **āznāvar** „კეთილშობილი“

აზნაურიშუილობ (ლნტ.) < ქართ. აზნაურ-ი-შვილ-ობ-ა „იგივეა, რაც აზნაურიშვილ-ი“, შდრ. საშ. სპარს. **āznāvar** „კეთილშობილი“

აზრ (ზს., ქს.)/ჰაზრ (ზს.) < ქართ. აზრ-ი (< თურქ. < არაბ.-სპარს. **arz**) „მსჯელობის, განსჯის პროდუქტი. || იგივეა, რაც აზროვნება; ფიქრი; იდეა, საზრისი; შეხედულება, გაგება, თვალსაზრისი“ (შდრ. ზს. გაღაბ, ლშხ., ჩოლ. გაღებ, ლნტ., ლხმ. გაღაბ)

აზრიან (ზს.)/აზრიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აზრ-იან-ი „გონივრული, ჭკვიანური, მოფიქრებული, მიხვედრილი“ < ქართ. აზრ-ი (< თურქ. < არაბ.-სპარს. **arz**) „მსჯელობის, განსჯის პროდუქტი. ||იგივეა, რაც აზროვნება; ფიქრი; იდეა, საზრისი; შეხედულება, გაგება, თვალსაზრისი“ (შდრ. ზს. გაღაბიან, ლშხ., ჩოლ. გაღებიან, ლნტ. გაღებიან)

ათა (უშგ.) < ქართ. ათას-ეულ-ი „ათასი – აღებული, როგორც ერთი მთლიანი“

ათაბაგ (ლშხ., ჩოლ.)/ათაბაჲგ (ლნტ.) *გადატ.* „დიდი კაცი, უფლებამოსილი ადამიანი“ < ქართ. ათაბაგ-ი *ისტ.* „სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდება“

ათაჟამს (ლშხ.)/ათაჟამს (ლნტ.) „უხსოვარი დრო; მუდამ, მარადჟამ (ზედმიწ. – *ათა-ჟამ-ს)“ *ზმნის.* < ქართ. ათა--ჟამ-ინ-დელ-ი „ძველისძველი, უძველესი“, იხ. მითაჟამ

ათაჲს (ზს., ლნტ.)/ათას (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ათას-ი „რიცხვი 1000, – ათჯერ ასი“, *გადატ.* „ბევრი“

ათასნაირ (ზს., ლნტ.)/ათასნაირ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ათას-ნაირ-ი „ათასგვარი, მრავალგვარი, მრავალნაირი“

ათასნაირდ (ზს.,ლნტ.)/ათასნაირდ (ლშხ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. ათას-ნაირად „ათასრიგად, ათასგვარად, მრავალნაირად“

ათასიან (ზს., ლნტ.)/ათასიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ათას-იან-ი „ათასი ერთეულისაგან შემდგარი“

ათასობშუ/ათასულობშუ (ბქ.)/ათასობშუ (ლშხ., ჩოლ.)/ათასობშუ (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. ათას-ობ-ით 1. „ათას-ათასად“, 2. „მრავლად, მრავალრიცხოვნად“

ათასფერ (ზს., ლნტ.)/ **ათასფერ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ათასფერ-ი „სხვადასხვაფერი“

ათასფერად (ზს., ლნტ.)/**ათასფერიშდ** (ბქ.)/**ათასფერად** (ლშხ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. ათასფრ-ად „ათასრიგად, ათასნაირად, ათასგვარად“

ათასფერიშ (ზს., ლნტ.)/**ათასფერიშ** (ლშხ., ჩოლ.) *ზედმიწ.* – **ათას-ი ფერ-ის** < ქართ. ათას-ფერ-ი „სხვადასხვაფერი“

ათასფერიშდ (ბქ.) /**ათასფერიშდ** (ლშხ., ჩოლ.) *ზედმიწ.* – **ათას-ი ფერ-ის-ად** *ზმნის.* < ქართ. ათას-ფრ-ად „ათასრიგად, ათასნაირად, ათასგვარად“

ათასქესა (ბქ.)/**ათასქესა** (ბზ.) < ქართ. „არაფრის გულისათვის, არაფრის დიდებით (ზედმიწ. – **ათას-ი ქის-ის-თვის**)“ < ქართ. ათას-ი „რიცხვი 1000, – ათჯერ ასი“ და ქართ. ქისა (< არაბ.-სპარს. **kisä**, ფალ. **kisak**, შდრ. ძვ. ქართ. ქისაკი, სომხ. **ksak**) „მომცრო პარკი (ტყავისა ან რაიმე ქსოვილისა) ფულის ან სხვა რაიმე – წვრილმანი ნივთებისათვის“

ათასქესაღა (ბზ.)/**ათასქესაღა** (ლშხ., ჩოლ.) „არაფრის გულისათვის, არაფრის დიდებით (ზედმიწ. – ***ათას-ი ქის-ის-თვის**)“ < ქართ. ათას-ი „რიცხვი 1000, – ათჯერ ასი“ და ქართ. ქისა (< არაბ.-სპარს. **kisä**, ფალ. **kisak**, შდრ. ძვ. ქართ. ქისაკი, სომხ. **ksak**) „მომცრო პარკი (ტყავისა ან რაიმე ქსოვილისა) ფულის ან სხვა რაიმე –წვრილმანი ნივთებისათვის“

ათასგნ (ზს., ლნტ.)/**ათასგნ** (ლშხ., ჩოლ.)/**ათასინ** (ბზ.)/**ათასინ** (უშგ.) „ათასჯერ“ *ზმნის.* < ქართ. ათას-ი „რიცხვი 1000, – ათჯერ ასი“

ათეშკ (ბზ.)/**ართაშაკ** (ლშხ.) < ქართ. ათაშანგ-ი (< სპარს. **atashak**) „იგივეა, რაც სიფილისი“

ათისთაუ (ზს., ქს.)/**ათიშთაუ** (ლხმ.) < ქართ. ათისთავ-ი 1. „მუშათა მცირე ჯგუფის ზემდგომი“, 2. *ძვ.* „სოფლის ცალკე უბნის არჩეული ხელმძღვანელი XX ს.-ის დასაწყისში“

ათისთაუაჲ (ლშხ., ჩოლ.) „ერთგვარი ბალახი“ *ბოტ.* < ქართ. ***ათ-ის-თავ-ა-ჲ**, იხ. **ასისთაუაჲ**

აიაზმა (ზს.)/**აზმა** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) *რელიგ.* < ქართ. აიაზმა (< ბერძ. **αγιασμοσ** „კურთხევა“) „წმინდა, ნაკურთხი წყალი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ლგბრისდე, ბქ., ლნტ., ჩოლ. ლგბრისტე {ლიც/ნიც} „ნაკურთხი წყალი“)

აკაცია (ზს., ქს.)/**აკაცაჲ** (ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. აკაცია (< ლათ. **acacia**) „ტროპიკულსა და სუბტროპიკულ მხარეებში - გავრცელებული ხემცენარე“

აკაკი (ზს.)/**აკაკი** (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. აკაკი (< ბერძ. **Ἀκακιος** „უწყინარი, უბოროტო“) „მამაკაცის საკუთარი - სახელი“

აკოფ (ბზ., ჩოლ.) „თხრილი“ < ქართ. აკოფ-ი (< რუს. **Окоп**) „სანგარი“

აკოპჯარ/**აკოფჯარ** (ბქ.) „სამოვარი (ზედმიწ. – **აკოფ-ებ-ი**)“ *ტოპ.* < ქართ. აკოფ-ი (< რუს. **окор**) „სანგარი“

აკოშკა (ქს.) < ქართ. აკოშკა (< რუს. **Окошко**) „ფანჯარა, სარკმელი“ (შდრ. ზს., ქს. ლაჯურა)

აკრძალება (ჩოლ.) *ზედმიწ.* – ***ა-კრძალ-ებ-ა** < ქართ. ა-კრძალ-ვ-ა „აღკვეთა“ (შდრ. ბქ. **ლიყკენი**)

აკუმ (ლშხ., ჩოლ.)/**კუნიმ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. აკუმ-ი „ორსქესოვანი, ჰერმაფროდიტი“ (შდრ. ბზ. **ჩუბრუკუ**, ლშხ. **ჩუბრუკ**, ლხმ. **ჩუბრიკუ**)

აკლდამ[1] (ზს., ლშხ.)/**ლა-კლდამ** (ბზ.)/**ლა-კლდაშ** (ბქ.)/**აკალდამ** (ლნტ., ჩოლ.)/**აკლდამ** (ჩოლ.) /**ლა-კლდამ**/ **კალდამ** (უშგ.)/**აკლდან** (ფარ., ლხმ.) < ახ. ქართ. აკლდამა (< ებრ. **aḳeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი“)

„ქვითკირის ან სიპი ქვებისაგან გაკეთებული ოთახის ფორმის სამარხი ნაგებობა, ქვის სამარე“, შდრ. ძვ. ქართ. აკელდამა

აკგლდამ[2] (ბქ.) „ადგილი, სასაფლაო (ზედმიწ. – აკლდამა)“ *ტოპ.* < ქართ. აკლდამა (< ძვ. ებრ. **akeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი“) „ქვითკირის ან სიპი ქვებისაგან გაკეთებული ოთახის ფორმის სამარხი ნაგებობა, ქვის სამარე“, შდრ. ძვ. ქართ. აკელდამა

ალ (ქს.)/**ალ** (ლნტ.) < ქართ. ალი (< სპარს. **āl**) „ცეცხლის ალი“ (შდრ. ზს., ლნტ. მგლამ, ლშხ., ჩოლ. მგლამ; ზს. ჰელ, ქს. ალ)[3]

ალა-ალა (ლშხ., ჩოლ.)/**ალალა** (ჩოლ.) < ქართ. ალა-ალა „ადვილი, იოლი“

ალაგობ (ლშხ., ჩოლ.) „ერთ ადგილას; დამწყვდეული (ზედმიწ. – ‘ალაგობ-ა)“ < ქართ. ალაგ-ი (< ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“) „იგივეა, რაც ადგილი; სამყოფი“, შდრ. ქართ. ალაგობრივ „ადგილობრივ, ადგილზე, – იქვე; თავის ალაგას“

ალალიან (ლშხ., ჩოლ.) „მართალი, მიამიტი; კეთილი; ხელგაშლილი“ < ძვ. ქართ. ჰალალ-ი, ახ. ქართ. ალალ-ი (< არაბ. **halāl** „მართალი“) „მართალი, პატიოსანი, უცოდველი“ (შდრ. ბზ. **გუშაჰრიან**, ბზ. **დაუბედნიერ**, ბზ. **შგრგმგრგ**, ჩოლ. **შორომორო**), იხ. **ჰალალ**

ალალ-მართალ (ზს., ლნტ.)/**ალალ-მართალ** (ბქ.)/**ალალ-მართალ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ალალ-მართალ-ი „სრულიად მართალი, უდანაშაულო“ < ქართ. ალალ-ი (< არაბ. **halāl** „მართალი“) „მართალი, პატიოსანი, უცოდველი“ და მართალ-ი „ნამდვილი, სწორი, ეჭვმიუტანელი; უდანაშაულო“ (შდრ. ბზ. **გუშაჰრიან**; ბზ. **დაუბედნიერ**; ბზ. **შგრგმგრგ**)

ალაჲ-ბალაჲ (ლშხ.)/**ალა-ბალა** (ჩოლ.) „თამაშის დროს ბავშვების წამოძახილი; ბევრი ლაპარაკი, ლაქლაქი“ < ქართ. (რაჭ., ქართლ.) ალაბალა „აყალმაყალი, დავიდარაბა“

ალაუბნდ (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ *ანთრ.* < ქართ. (ჯავახ.) ფალავანდ-ი (< ქართ. ფალავან-ი < სპარს. **fahlavān** „მოჭიდავე“, „გმირი“) „ჭიდაობაში, ბრძოლაში გამარჯვებული, გმირი“

ალაუბნდ ი ფალაუბნდ (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟები“ *ანთრ.* (შდრ. ზს. **ფალუბნდ**, ბზ. **ფალაუბნდ**, ლშხ., ჩოლ., უშგ. **ფალუბნდ/ფალაუბნდ**, უშგ. **ფალუბნ**) < ქართ. (ჯავახ.) ფალავანდ-ი (< ქართ. ფალავან-ი < სპარს. **fahlavān** „მოჭიდავე“, „გმირი“) „ჭიდაობაში, ბრძოლაში გამარჯვებული, გმირი“

ალაფიან (ჩოლ.) „უხვი, შემოსავლიანი, ბარაქიანი (ზედმიწ. – ალაფ-იან-ი)“ < ქართ. ალაფ-ი „ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება, – დავლა, ნადავლი“

ალაშა[1] (ბქ.) „ქონების გამნიავებელი, ოჯახის გამჩანაგებელი (ძირითად ითქმის ქალებზე)“, ლხმ. „დაბნეული ქალი“ < ქართ. (ქართლ.) ალაშა (< თურქ. **alaša**) „თამამი საქციელისა და ენადაუმაგრებელი ქალი“, აჭარ. ალაშ-ი/ალაშა/ალაშა-ჲ „ავი, თავხედი (ქალი), „ცუდი ყოფაქცევის ქალი“

ალაშა[2]/**ალაშა** (ბზ.) „ზღაპრული ცხენის სახელი“ < ქართ. (ქართლ.) ალაშა (< თურქ. **alaša**) „ფაშატი, ჭაკი“

ალახმალახდ (ჩოლ.) „ზერელედ, ნაჩქარევად“ *ზმნის.* < ქართ. (კახ.) ალახმალახ „სწრაფად, ხელდახელ“

ალაბ (ზს., ლნტ.)/**ალაბ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ალაბ-ი (< თურქ. **alabi**) „ადლი, არშინი“

ალამ (ზს., ლნტ.)/**ალამ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ალამ-ი (< სპარს. **alam** < არაბ.) „დროშა, ბაირაღი“

ალალად (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. ალა-

ალად „იოლად, ადვილად“

ალპო (ჩოლ.) 1. „თხელი ფაფა“, 2. „დანოტივებული ფქვილი“ < ქართ. ალაო „ფქვილი დანოტიოებული“ (საბა)

ალბათ (ზს., ქს.)/**ალბად** (ბქ.) *ნაწილ.* < ქართ. ალბათ „შესაძლოა“ (შდრ. ბქ. ლაბჭირს ლი)

ალბიან (ლშხ., ჩოლ.) *ზედმიწ.* – *ალაბ-იან-ი „ადლიანი, არშინიანი“ < ქართ. ალაბ-ი (< თურქ. **alabi**) „ადლი, არშინი“

ალერდ (ლშხ., ჩოლ.)/**ალერდ** (ლნტ.) 1. ლშხ., ჩოლ. „ნოტიო, ნესტიანი“, 2. ლნტ. „უშნო, ლაყე, უქნარა“ < ქართ. ალერდ-ი 1. „ნედლი ბალახი“ (საბა), 2. გურ. „ლაღად განვითარებული ბალახი“

ალმასხან (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ალმასხან-ი (< თურქ. **ulməskhan** „უკვდავი ხანი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ალმას (ზს., ლნტ.)/**ალმას** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ალმას-ი (< ბერძ. **ἀᾰ́ϱᾰმᾰς** „მკვრივი მეტალი ან შენადნობი, ფოლადი“) „ძვირფასი ქვა, – უფერო და გამჭვირვალე, ძალიან მაგარი“

ალმასგირ (ბზ.)/**ალმაგირ** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ალმასგირ-ი (< თურქ. ალმასი + გირეი/გირ „ყირიმელ ხანთა საპატიო ტიტული“)[4] „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ალო (ლშხ., ჩოლ.) „დრო, სეზონი“ < ქართ. ალო „რისამე შესაფერი დრო“

ალპინისტ (ზს., ქს.)/**ალპინისტ** (ბქ.) < ქართ. ალპინისტ-ი < რუს. **Альпинист** „ალპინიზმის მიმდევარი, – მთამსვლელი“

ალპიურ (ლშხ.) < ქართ. ალპურ-ი < რუს. **Альпийский** „ალპების (საერთოდ, მაღალი მთების) შესაფერი, დამახასიათებელი“

ალუბალ (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. ალუ-ბალ-ი „დაბალი ხე, თეთრყვავილიანი, ისხამს კურკიან მუქ წითელ ნაყოფს; ამავე ხის ნაყოფი“ (შდრ. ზს. მგხიმ ჰებ; ქს., უშგ. ქუშმნა)

ალუჩა (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. ალუჩა „საშუალო ტანის ხე, თეთრყვავილიანი“

ალქაჯ (ზს., ქს.)/**ალქაჯ** (ბქ.) < ქართ. ალ-ქაჯ-ი „მავნე სული, ქაჯი; ცელქი, ეშმაკი“ (შდრ. ზს., ქს. გუეფ)

ალხ (ლშხ., ჩოლ.) „დავრდომილი“ < ქართ. ალხ-ი 1. „ნაზამთრი მჭლე პირუტყვი“ (საბა), 2. „დიდი სიცხე, პაპანაქება“

ალხითალხ (ლშხ., ჩოლ.) „დავრდომილ[ებ]ი; ზარმაცი, უქნარა, მოუქნელი“ < ქართ. ალხ-ი 1. „ნაზამთრი მჭლე პირუტყვი“, 2. „დიდი სიცხე, პაპანაქება“

ამან (ბზ.)/**იამან** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ *ანთრ.* < ქართ. იამან-ი (< არაბ. **yaman** „მარჯვენა“; „აქატი, ლურჯი ფერის ძვირფასი თვალი“, თურქ. „აღვირახსნილი, მამაცი, უშიშარი“)[5] „ზღაპრის პერსონაჟი მამაკაცი“

ამაყ (ზს., ქს.) < ქართ. ამაყ-ი „საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვალული (ხშირად გადაჭარბებით), – თავმომწონე, ქედმაღალი, ამპარტავანი“ (შდრ.ზს. ფიხი; ბზ. ლგქჳდ; ლშხ. გულდიდაი)

ამბაკო (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ამბაკო (< ძვ. ებრ. „ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია და ნიშნავს მოხვევას, ჩახუტებას“, *გადატ.* „ღვთის მოყვარე“, „სიყვარული ღვთისა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ამბაუ (ზს., ლნტ.)/**ანბაუ** (ბზ., ლნტ.)/**ამბა** (ბქ.)/**ამბაუ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ანბაუ** (უშგ.) „სიტყვა, ამბავი“ < ქართ. ამბავ-ი (< ფალ. ***hambav** „ვისიმე თავგადასავალი“) „ცნობა“

ამგუპი (ბზ.)/**ამგუპ[რ]** (ზს.)/**ამგუპარ**

(ლშხ., ჩოლ.)/ამგუჱრ (ლნტ.) < ქართ. ამ-გვარ-ი „ასეთი, ამნაირი, ამისთანა, ამის მსგავსი“ (შდრ. ბქ. **ამჟიშ**)

ამგუჱრმაჲ (ლშხ.) „რაც არ უნდა (ზედმიწ. – *ამ-გვარ-ი-მც)“ < ქართ. ამ-გვარ-ი „ასეთი, ამნაირი, ამისთანა, ამის მსგავსი“

ამენ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ა̀მენ (ბზ.)/ა̀მინ (ბქ., ლნტ.)/ჰამენ (ბქ.)/ამენ (ბქ., ლშხ., ლნტ., უშგ.)/ამელ (ჩოლ.)/ჰამენი (ლხმ.)! < ძვ. ქართ. ამენ, ახ. ქართ. ამინ (< ბერძ. **amēn** < ძვ. ებრ., შდრ. ლათ. **amen**) „ჭეშმარიტად, ნამდვილად“

ამზუმ (ბზ., ქს.)/ამზუ (ბქ.), შდრ. ლშხ. **ამშამზუმ** „ამოდენა, ამხელა, ამდენი (ზედმიწ. – ამ-ზომ-[ის-ა])“ *ნაცვ.* < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით; საზომი“

ამზუმ-[ი]-ამზუმ (ბზ., ჩოლ.)/ამზუ-[ი]-ამზუ (ბქ.) „ამდენი და ამდენი (ზედმიწ. – *ამ-ზომ-ა და ამ-ზომ-ა)“ < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით; საზომი“

ამზუმ-ხა̀ნ-ს (ბზ.)/ამზუ-ხა̀ნ-ს (ბქ.)/ამზუმ-ხან-ს (ლშხ., ჩოლ.) „ამდენ ხანს (ზედმიწ. – **ამ-ზომა ხან-ს**)“ < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით; საზომი“ და ხან-ი (< ფალ. **hān**) 1. „დროის მონაკვეთი; დრო, ჟამი“, 2. „ადამიანის ასაკი, – ხნოვანება“

ამინდ (ზს., ქს.)/ა̀მინდ (ბქ., ლნტ.) < ქართ. ამინდ-ი „ატმოსფეროს მდგომარეობა (წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, სიცივე და სხვ.) განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, – დარი“

ამინდობ (ლშხ., ჩოლ.) „დარიანობა (ზედმიწ. – *ამინდ-ობ-ა)“ < ქართ. ამინდ-ი „ატმოსფეროს მდგომარეობა (წვიმა, თოვლი, ქარი, სიცხე, სიცივე და სხვ.) განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, – დარი“

ამირან (ზს., ქს.)/ა̀მირან (ზს.)/ა̀მირმ (ბქ.)/ა̀მირა̀ნ (ბქ., ლნტ.) 1. *ანთრ.* „ამირანი“, 2. *გადატ.* „ძლიერი, ღონიერი (ადამიანი)“ < ქართ. ამირან-ი (< არაბ. **amīr** „მმართველი, წინამძღვარი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ამირა̀ნ (ლნტ.) „მწვერვალის სახელწოდება“ *ტოპ.* < ქართ. ამირან-ი (< არაბ. **amīr** „მმართველი, წინამძღვარი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ამლა̀კ (ზს.)/ამლაკ (ბქ., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. ამლაკ-ი/ამლაყ-ი „ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი“, შდრ. ამლაკ-ი (საბა) და ფშ. ამლიკ-ი „გათამამებული ბატკანი“

ამნისტია (ზს., ქს.)/ამინისტაჲ/ამნისტაჲ (ბქ.) < ქართ. ამნისტია (< ბერძ. **amnestia** „მივიწყება, დავიწყება, პატიება“) „სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის“

ამპარტაუ̀ან (ზს., ლნტ.)/ამპარტაუან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ამპარტავან-ი „მეტისმეტად ამაყი, მედიდური, ქედმაღალი“ (შდრ. ბქ. **ხოშა გუმი**; ბქ. **ყოყოჩჲ**; უშგ. ლგქად)

ამრიკაჲ (ბზ., ჩოლ.)/ამრიკა̀ (ბქ.)/ამრიკაი (ლშხ., ჩოლ.)/ამერიკა̀ (ლნტ.) < ქართ. ამერიკა „უხეში ქსოვილი ბამბეულისა, – ნარმა“

ამფროს (ბზ.)/ამფროსი (ლხმ.) *ანთრ.* < ქართ. ამფროს-ი < ამბროს-ი (< ბერძ. **ἀμβρόσιος** „უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი, ღვთაებრივი, საღვთო“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ამწამს (ჩოლ.) „ახლავე; დაუყოვნებლივ“ *ზმნის.* < ქართ. ამ-წამ-ს „ახლა, ამჟამად“, იხ. **ამწამ-ჟი**

ამწამ-ჟი (ზს.) „ახლავე; დაუყოვნებლივ (ზედმიწ. – *ამ-წამ-ზე)“ *ზმნის.* < ქართ. ამ-წამ-ს „ახლა, ამჟამად“, იხ. **ამწამს**

ანაგებ{დ} (ლშხ., ჩოლ.)/**ანაგებ{დ}** (ლნტ.) „ბუნებრივად, თავისთავად; განგებ“ *ზმნის.* < ქართ. (გურ.) ანაგებ{ად} „სრულიად, ერთიანად, სავსებით“

ანაგ{დ}ებდ (ლშხ., ჩოლ.) „აგდებულად“ *ზმნის.* < ქართ. ანაგებად „სრულიად, ერთიანად, სავსებით“

ანაგერაი (ჩოლ.) < ქართ. (გურ.) ანაგერა-ი „მოსავლის აღებისას მიწაში ჩაბნეული და ჩარჩენილი თესლიდან აღმოცენებული კულტურული მცენარე“, „დაუთესლად მოსული“ (საბა); „ნაგერალი“

ანაფორა (ზს., ქს.)/**ანაფორაი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ანაფორაჲ** (ბქ.) *რელიგ.* < ქართ. ანაფორა (< ბერძ. **pácov/ anaphora** „გაქუცული, მონაზვნის გარე სამოსი“) „მღვდლის სამოსი, ფართო და გრძელი“

ანარკია (ბქ.) 1. *ტოპ.* „სოფელი ანაკლია“, 2. *გადატ.* „სვანების წარმოდგენით მეტისმეტად შორეული მხარე, გადასაკარგავი ადგილი“ < ქართ. ანაკლია „სოფელი და ზღვისპირა კლიმატური კურორტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“

ანბან (ზს., ქს.)/**ანბანჲ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ანბან-ი „ერთობლიობა ამა თუ იმ დამწერლობაში გამოყენებული ასოებისა, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული“

ანგარიშობ (ბქ.) < ქართ. ანგარიშ-ობ-ა (< ფალ. ***(h)angārišn**) „გამოანგარიშება, გამოთვლა“

ანგიჩარ{ი} (უშგ.) „მარჯვე, მამაცი კაცი“ < ქართ. ენგიჩარ-ი/იანიჩარ-ი/იენიჩერ-ი (< თურქ. **yeniçeri** „ახალი ჯარი“) *ისტ.* „პრივილეგირებული ქვეითი ჯარი, სულთანის თურქეთში XIV-XIX საუკუნეში“

ანგრიშ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ანგარიშ** (ბქ., ლნტ.)/**ანგარიშ** (ბქ.) < ქართ. ანგარიშ-ი (< ფალ. ***(h)angārišn** „გამოანგარიშება, გამოთვლა“) „მარტივი არითმეტიკული მოქმედებანი“

ანგრიშაჲნ (ზს.)/**ანგრიშიან** (ბზ., ჩოლ.)/ **ანგარიშიან** (ლშხ.)/ **ანგარიშაჲნ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ანგარიშიან-ი (< ფალ. ***(h)angārišn** „გამოანგარიშება, გამოთვლა“) „მომჭირნე, ყაირათიანი, ხელმოჭერილი“

ანდამაჲტ (ბქ.) < ქართ. ანდამატ-ი (< ბერძ. **ἀδάμας**) „მაგნიტი“

ანდერძ (ზს.)/**ანდერძ** (ბქ.)/**ანდრეზ** (ლშხ.)/**ანდრაზ** (ჩოლ.) „ზნე, ჩვევა, შინაარსი; ანდერძი“ < ქართ. ანდერძ-ი „ვისიმე წერილობითი ან ზეპირი ნება, რომელიც უნდა შეასრულონ მისი სიკვდილის შემდეგ; წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ამ ნებას შეიცავს“ (შდრ. ბქ. **ნაჭაბუ**)

ანდრეზ (ლშხ.)/**ანდრაზ** (ჩოლ.) „ზნე, ჩვევა, შინაარსი; ანდერძი“ < ქართ. (ფშ., ხევს.) ანდრეზ-ი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერებაში – სამაგალითოდ შემონახული ამბავი ლაშქრობა-გმირობისა თუ ლაჩრობისა“

ანდრია (ზს., ქს.)/**ანდრო** (ზს., ქს.)/**ანდრეი** (ბქ.)/**ანდრი** (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. ანდრია (< ბერძ. **ἀνδρέας** „მამაცი“, „ვაჟკაცი“, „მხნე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აწზ (ზს.)/**ანძ** (ქს., ბზ.)/**ანს** (ბქ.) „ანძა, წვეტიანი ადგილი“ < ქართ. ანძა 1. „გემზე ამართული მაღალი ძელი იალქნის დასამაგრებლად“, 2. „სვეტის სახის კონსტრუქცია სხვადასხვა დანიშნულებისა“, 3. *ძვ.* „წვერმახვილი ძელი დასასჯელის ზედ ასაცმელად“ (შდრ. ჩოლ. **ენკერ**; უშგ. **თანჯ**)

ანთება (ზს., ქს.)/**ანთება** (ბქ.) < ქართ. ანთ-ებ-ა „ავადმყოფური პროცესი ამა თუ იმ ორგანოში“

ანკეს (ზს., ქს.)/**ანკეს** (ზს.)/**ანკეც** (ლშხ.)/**ანკეზ** (ლნტ.) < ქართ. ანკეს-ი (< პრაინდოევროპ. **ankes*) „თევზის საჭერი წვრილი, წვეტიანი კაუჭი რკინისა, – ნემსკავი; სათევზაო მოწყობილობა“ (შდრ. ბქ. ფოცხ)

ანკეტა (ზს, ქს.)/**ანკეტა** (ბქ.) < ქართ. ანკეტა (< ფრანგ. **enquête** „გამოკვლევა, გამოკითხვა“) 1. „გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი გამოსაკითხი ფურცელი“, 2. „ცნობები, მოპოვებული ასეთი ფურცლების საშუალებით“

ანტენა (ზს, ქს.) < ქართ. ანტენა (< ლათ. **antenna** „ანძა“) „რადიოდანადგარის ნაწილი – გამტარი ან გამტართა სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება რადიოტალღების გამოსხივება (გადაცემისას) ან მათი დაჭერა (მიღებისას)“

ანტონ (ზს, ქს.)/**ანტონა** (ბქ.)/**ანტო** (ლხმ.) *ანთრ.* < ქართ. ანტონ-ი (< ბერძ. **ἀντώνιος** „მეომარი“, „ომში ჩაბმული“, „წინამძღოლი“, „მეთაური“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ანუსიაჲ (ბზ.)/**ანუსია** (ბქ.) „ქალის საკუთარი სახელი“ *ანთრ.* < ქართ. ანუსია/ანისია (< ბერძ. **ἀνυσία** „დამთავრება, დასრულება“) „ქალის საკუთარი სახელი“

ანღლაბ (ზს.)/**ანღლეგ** (ლშხ.,)/**ანღლაბ** (ლნტ., ჩოლ.) „მიწისა და საქონლის ბარაქისთვის განკუთვნილი დღეობა“ *რელიგ.* < ქართ. ა-მაღლ-ებ-ა „ქრისტიანული დღესასწაული (აღდგომის მეორმოცე დღეს)“

ანჩხლ (ლშხ.) *მოტ.* < ქართ. ანჩხლა „მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე“, შდრ. იმერ. ჩინჩხორ-ი, ლეჩხ., ინჩხლ-ე, გურ, ინჩხლ-ა, აჭარ. ინჩხლ-ი, ჭან. ანჩხოლ-ი, ზან. (მეგრ.) ანჩხილ-ი

აპარატ (ზს., ქს.)/**აპარჭ** (ბქ.) < ქართ. აპარატ-ი (< ლათ. **apparatus** „მოწყობილობა, აღჭურვილობა“) „სპეციალური ხელსაწყო რაიმე სამუშაოსათვის, ტექნიკურ მოწყობილობათა საერთო სახელი...“

აპდაუბდა (ბქ., ლშხ.) < ქართ. აბდაუბდა „უთავბოლო მსჯელობა, ლაპარაკი“

აპერაცია (ბქ.) < ქართ. ოპერაცია (< ლათ. **operatio** „მოქმედება“ რუს. ენის მეშვ.“) „ქირურგიული მოქმედება ქსოვილზე ან სხეულის რომელიმე ორგანოზე მკურნალობის მიზნით...“

აპეხდ (ზს.)/**აპეხ{უ}დ** (ბქ.) „შაშხი“ < ძვ. ქართ. აპოხტ-ი „ხმელი ხორცი; შაშხი და მისთ.“, ახ. ქართ. აპუხტ-ი „შესანახად დამარილებული და კვამლში გამოყვანილი ხორცი“

აპოლონ (ზს., ქს.)/**აპო** (ჩოლ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ *ანთრ.* < ქართ. აპოლონ-ი (< ძვ. ბერძ. **ἀπόλλων** „სინათლისა და ხელოვნების ღმერთი ძველბერძნულ მითოლოგიაში, ქალღმერთ ლეტოსა და ზევსის ვაჟი; მწველი მზე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აპრილ (ზს., ქს.)/**აპრილ** (ზს., ლნტ.) < ქართ. აპრილ-ი (< ლათ. **aprilis**) „კალენდარული წლის მეოთხე თვე“

არაბ (ჩოლ.) „უტუჩო ბავშვი“ < ქართ. (რაჭ.) არაბ-ი „ვისაც ზედა ტუჩი დაბადებიდანვე გაჭრილი აქვს (/კურდღლის ტუჩი)“

არაბარა (ზს., ქს.) „არაფერი; ერთი დაიგივე; სულერთი“ < ქართ. არა-ფერ-ი *უარყ. ნაცვალსახ.* „არც ერთი რამ, – არარა“ (შდრ. ჩოლ. **არაბულედ** „სრულიად არაფერი“)

არაბაი (ლშხ.)/**არაბ** (ჩოლ.) „შავგვრემანი კაცი“ < ქართ. (მთიულ.) არაბ-ი „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული“

არადან (ზს., ქს.)/**არედან** (ლნტ.) < ქართ. არადან-ი „არჩევანის საპასუხო სიტყვა თამაშში“

არამგამოდ (ლშხ., ჩოლ.)/არამგამდ (ლშხ.)/არაამგამოდ/არამგიამდ (ჩოლ.) „არაფრთხილად, უხეშად; უდარდელად; ძალაუნებურად; უსულგულოდ“ *ზმნის.* < ქართ. (რაჭ.) არა-მგამა „ცუღლუტი, ზარმაცი; უმსგავსო“

არამდ (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. არმ-ად „იგივეა, რაც არამი, ანუ რაც არ შეერგება“

არაფელა̈ (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. არა-ფელ-ა[9] (< არა-ფერ-ი) *უარყ. ნაცვალსახ.* „არც ერთი რამ, – არარა“

არაფერა̈ (ბზ.)/არაფელა̈ (ლნტ.) „ჯადოსნური, უხილავი ნივთი სვანურ ზღაპრებში“ *უარყ. ნაცვ.* < ქართ. არა-ფერ-ა (< არა-ფერ-ი) „არც ერთი რამ, – არარა“

არა̈ბ (ზს., ლნტ.)/არაბ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. არაბ-ი „საერთო ეთნიკური სახელი სემიტური მოდგმის ხალხებისა“

არა̈ულ{ი}/არა̈ულია/ა̈ჭა̈ულ{ი} (ჩოლ.) 1. „უკმაყოფილება, შური“, 2. *გადატ.* „ქარის სახეობა“ „ქვეყნის ხმა, საზოგადოებრივი აზრი“ < ქართ. არავ-ი „სამხრეთის თბილი ქარი“ (საბა)

არგილ (ჩოლ., უშგ.)/არგი (უშგ.)/ა̈რდგილ (ბეჩ.) < ზან. (მეგრ.) არდგილ-ი < ქართ. ადგილ-ი „სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე“ (შდრ. ზს., ჩოლ. *ტყუეფ*), იხ. ა̈გი

არდადაგ-ებ-ოლ (ბქ.)/არდადაგ-ა̈ლ (ჩოლ.) < ქართ. არდადაგ-ებ-ი „დრო, რომლის განმავლობაში სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილია, მოსწავლეები დათხოვილი არიან“

არდღი (ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. არდ-ი „ვარდკაჭკაჭას მსგავსი ერთ- ან ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე რთულყვავილოვანთა ოჯახისა“

არებ (ლშხ.) „უარი, უარის თქმა (ზედმიწ. – *უარ-ებ-ა)“ < ქართ. უარ-ი „უარყოფითი პასუხი თხოვნაზე, მოთხოვნაზე, წინადადებაზე“

არემარე (ზს., ქს.)/ა̈რემარე (ბქ.)/ა̈რემა̈რე (ლნტ.) < ქართ. არემარე „მიდამო“

არეულობ (ზს., ქს.) < ქართ. არეულობ-ა „უწესრიგობა“

ართამა̈კიან (ლშხ.) < ქართ. ათამანგიან-ი (< სპარს. **atashak**) „ათამანგით, სიფილისით დაავადებული“

ართმა̈ყ (ბქ.) „აბგა, ხურჯინი“ < აფხაზ. **ართმაყა** „პატარა ჩანთა“, შდრ. ზან. (მეგრ.) ათმაყა id“

არიგებს (ბზ., ლხმ.)/არიგებას/არგებს (ბზ.)/არგებს (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/არ{ი}გებს (ქს.) „იქნებ, შეიძლება“ < ქართ. ეგებ/ეგებ-ის „იგივეა, რაც ეგება“, შდრ. არ ეგება/არ ეგების „არ შეიძლება, არ იქნება“, იხ. ა̈ნიგებას

არიქად (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. არიქა „საგანგაშო ძახილი საშველად, მისახმარებლად, გასაფრთხილებლად“[7]

არმად (ლშხ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. არამ-ად < არამ-ი „რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება“

არმიან (ბზ.) < რუს. **Армянин** „სომეხი“

არს (ჩოლ.) „სულიერი არსება“ < ქართ. არს-ი „ის, რაც არსებობს, – სულდგმული, ქმნილება, არსება“ (შდრ. ბზ., ლნტ., ჩოლ. *ქუინლგმგენე*, ბქ. *ქუინიმგენე/ქუილგმგენე/ ქუინგმგენე*, ლშხ. *ქუნლგმგენე*)

არსან (ბზ.) „მსხვილი თოკი“, „ჯაჭვი“ < ოს.-ალან. **rætæn**, **ræsæn** (შდრ. ძვ. ირან. **rasana**, სპარს. **rasan**), id

არსება (ბქ., ლშხ., ჩოლ.) *გადატ.* „აზრი, ჭკუა“[8] < ქართ. არს-ებ-ა 1. „ის, რაც არსებობს, – სულდგმული, ქმნილება“, 2. „არსი“

არსენ{ა} (ზს., ქს.)/არსენა (ბქ.)/არსანა̈ (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. არსენა (< ძვ. ბერძ. **ἄρσεν** „მამაცი, ვაჟკაცი“) „მა-

მაკაცის საკუთარი სახელი“

არსთაუ (ბქ.) „ნაღველა“ *მოტ.* < ქართ. (კახ., მესხ.) ასისთავა „ერთ- ან ორწლოვანი მცენარე, ვარდისფერყვავილებიანი“

არტაკუარტა (ლშხ., ჩოლ.) „აბუჩად, მასხრად აგდება ვინმესი“ < ქართ. (იმერ.) არტაკურტა „კუდაბზიკა, ამპარტავანი, გულზვიადი“, შდრ. გურ. ატაკუტა „დასაცინი“

არტაჟა (ბზ.)/**არტაჳ** (ბზ., ლნტ.)/ **ატაჟა** (ბქ.) < რუს. **Этаж** „სართული“, შდრ. ზან. (მეგრ.) ატაჟა[9]

არტაჟაჱნ/ეტაჟაჱნ/ატაჟიან (ბზ.)/**არტაჳაჱნ** (ბზ., ლნტ.) „სართულიანი“ < რუს. **Этаж** „სართული“, შდრ. ზან. (მეგრ.) არტაჟ-იან-ი

არტაუაზ (ხს., ლშხ., ჩოლ.)/**არტაუოზ/არტაოზ** (ლშხ., ჩოლ.)/ **არტაჳაზ** (უშგ.) „ეშმაკების უფროსი, კუდიანი, გაიძვერა“ *ცრუმორწ.* < ქართ. ართავაზ-ი (ოს. **артъауаз/артъауыз/ артъаудз** „ოსური მითოლოგიის პერსონაჟი, ბოროტი სული“ < ირან. **artavazd**) „ჯადოქართა უფროსი“, იხ. **ტარტაროზ**

არტაბ (ბზ.)/**არტახ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „არტაშანი“ < ქართ. არტახ-ი 1. „ქსოვილის გრძელი და ფართო ნაჭერი, რომლითაც ბავშვს აკვანში აკრავენ“, 2. „იგივეა, რაც არტაშანი, – ნაღრძობის ან მოტეხილის შესაკვრელი“ (შდრ. ბქ. **სახლათარ**)

არტენ (ლნტ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. არტემ-ი (< ბერძ. **ἀρτεμᾶς** „ჯანმრთელი“, უსაფრთხო, „უვნებელი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

არტისტ (ზს., ქს.)/**არტისტ** (ზს.) < ქართ. არტისტ-ი (< ფრანგ. **artiste**) „ადამიანი, რომელიც საჯაროდ ასრულებს (თამაშობს) ხელოვნების ნაწარმოებს, – მსახიობი“

არტუტ (ფარ.) „ვერცხლისწყალი“ < ქართ. ტუტე (?) „მეტალის ჟანგის ან ზოგიერთი მეტალის წყალთან ურთიერთმოქმედებით მიღებული ნაერთი“

არუიცაჲ (ლშხ., ჩოლ.) „ზვარაკი, შეწირული ცხოველი“ *რელიგ.* < ქართ. არ-ვიც-ი/არ-ვიც-[ი]-ა „ვისაც არ ვიცის თქმა სჩვევია, სულ არ ვიცის გაიძახის“

არქიელ (უშგ.) *რელიგ.* < ქართ. არქიელ-ი (< ბერძ. **archiereus** „მღვდელმთავარი“) „მღვდელმთავართა (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის) ზოგადი სახელწოდება“

არღან (ლშხ.) < ქართ. არღან-ი (< რუს. **орган** < ბერძ. **ὄργανον**) „მექანიკური სამუსიკო საკრავი, მხარზე გადასაკიდებელი“

არღაუან (უშგ.) „თეთრი შალი“ < ძვ. ქართ. არღავან-ი (< სპარს. **erguvan** „წითელყვავილიანი ხე, რომელიც იასამნისფერ-წითელ ყვავილებს ისხამს“) „მეწამული, მუქი წითელი ხე/ფერი“

არყაროზ (ბქ.) „არყის გამოხდის სეზონი, პერიოდი (ზედმიწ. – *არაყ-ობა)“ < ქართ. არაყ-ი (< არაბ. **ʿaraq**) „მაგარი ალკოჰოლიანი საჭმელი (გამოხდილი პურეულისა, ჭაჭისა თუ ხილისაგან)“

არყაჲ/არყაჳ (ბზ.)/**არყაჳ** (ლნტ.)/**არყაჲ** (ლშხ., ჩოლ.) *მოტ.* < ქართ. არყა „ფართოქუდიანი წვრილფეხა თეთრი სოკო, – არყასოკო)

არშინ (ზს., ქს.) < ქართ. არშინ-ი (< რუს. **аршин**) „ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული“

არჩეუან (ზს., ქს.) < ქართ. არჩევან-ი 1. „არჩევის უფლება, შესაძლებლობა“, 2. „არჩევის შედეგი“, 3. „არადანის საპასუხო წამოძახილი“

არძა (უშგ.) < ძვ. ქართ. არზა „წერილობითი თხოვნა, საჩივარი“

არხ (ზს., ქს.)/**არხ** (ბზ.) < ქართ. არხ-ი „წყლის სადენი საგანგებო თხრილი“

ასაბიაჲ (ბზ.)/**ასაბია[ჲ]** (ლშხ., ჩოლ.)/**ასაბიაჲ** (ლნტ.)/**ასაბ** (უშგ.)/**ასაბი** (ლხმ.) < ძვ. ქართ. ასაბია (< არაბ. **aṣabu** < **ʿaṣaʾibu**) „მეშველი, შემწე“, ახ. ქართ. „ჭირისუფალი“

ასაუალ-დასაუალ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ასავალ-დასავალ-ი „გზა-კვალი“ (შდრ. ბქ. **ბიუ-ბაუ**)

ასაულეთი დასაულეთ (ბქ.) „ამ ფორმით დასტურდება ზღაპრებში (ზედმიწ. – *ასავლეთ-ი და დასავლეთ-ი)“ < ქართ. დასავლეთ-ი „ქვეყნის ის მხარე, სადაც (საითკენაც) მზე ჩადის“ (შდრ. გზ. **მჟლაჰუარ**, ბქ. **მიჟ/ მჟლაჰუარ**, ლშხ. **მჟლაუერ**, ლნტ. **მიჟლაუარ**)

ასალ (ლხმ.)/**ასალ** (უშგ.) < ქართ. ასალ-ი „ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი“

ასანთ (გზ.) < ქართ. ასანთ-ი „პატარა ჩხირი, რომლის ერთი ბოლო დაფარულია აალებადი ნივთიერებით და რომლის ჩამოკვრითაც (გაკვესებითაც) ინთება ალი“ (შდრ. ზს., ლნტ. **ლაბდინა**, ლშხ., ჩოლ. **ლაბდინა**)

ასთმა/ასტმა (ზს., ქს.) < ქართ. ასთმა/ასტმა (< ძვ. ბერძ. **ἄσθμα** „ქოშინი“) „ავადმყოფობა, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს“ (შდრ. გზ. **ჭუნიმბთლა**, ბქ. **ჭუნემმბთლა**)

ასისთაუაჲ (ლშხ., ჩოლ.) *გოტ.* < ქართ. (კახ., მესხ., აჭარ.) ას-ის-თავ-ა „ერთ- ან ორწლოვანი მცენარე, – ნაღველა“ (შდრ. სვან. **არსთაუ**), იხ. **ათისთაუაჲ**

ასკილ (ქს.) *გოტ.* < ქართ. ასკილ-ი „ეკლიანი ველური ბუჩქი“ (შდრ. გზ. **მუჯუბარი**, ბქ. **ჯუბარი**, ლშხ. **მუჯუბარი**)

ასლან (ზს.) *ანთრ.* < ქართ. ასლან-ი (< ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ასლანბეგ (გზ.)/**ასლანბექ** (ბქ., ლნტ.)/**ახსანბეგ** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ასლანბეგ-ი < ძვ. თურქ. **arslan** „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ + **beg** (/**bej**) „ბატონი“ (ყარაჩაულ-ბალყარულის გზით)

ასონ (გზ.)/**იასონ** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. იასონ-ი/იაზონ-ი (< ძვ. ბერძ. **Ἰασων**) „ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც წინამძღოლობდა არგონავტებს ოქროს საწმისის ძიებაში“

ასტამ (გზ., ქს.)/**ჰასტამ** (გზ.)/**ჰასტამ** (ბქ.)/**ასტამ** (ქს., უშგ.)/**ასტგმ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. ასტამ-ი 1. „რკინის პატარა ნიჩაბი, ცომის ასაფხეკი და თონიდან პურის ამოსაღები“, 2. „ცეცხლის საჩხრეკი“ (შდრ. უშგ. **ხუირჯ**)

ასტმგლდ (გზ.) „ბუჩქნარი; საძოვარი (ზედმიწ. – **ასტამ-უკა**) *ტოპ.* < ძვ. ქართ. ასტამ-ი 1. „რკინის პატარა ნიჩაბი, ცომის ასაფხეკი და თონიდან პურის ამოსაღები“, 2. „ცეცხლის საჩხრეკი“

ასუ (ზს., ქს.) < ქართ. ასო „სხეულის ნაწილი, კიდური“

ასუიდასუ (ზს., ქს.) „სხეულის ყველა ნაწილი, კიდურები“ < ქართ. ასო „სხეულის ნაწილი, კიდური“

ასფალტ (ზს., ქს.)/**ასფალტ/ასუალტ** (ლნტ.)/**ასუალტ** (ჩოლ.) < ქართ. ასფალტ-ი (< ბერძ. **ἀσφαλτος** „მთის ფისი“) „მინერალური წარმოშობის ფისისებრი ნივთიერება“

ასფურცელა (ზს., ქს.)/**ასფურცელაჲ** (ლშხ., ჩოლ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. ასფურცელა „ქართული ზღაპრის ცნობილი პერსონაჟის სახელი“

ატამ (ზს., ქს.)/**ატამა** (გზ.)/**ატამ** (ბქ., ლნტ.) *გოტ.* < ქართ. ატამ-ი „საშუალო ტანის ხე“

ატამა (გზ., ჩგხ.) „მიწავაშლა“ *გოტ.* < ქართ. ატამ-ი „საშუალო ტანის ხე“

ატამანკა (ზს.) < ქართ. ატამანკა (< რუს. **атаманка**) „სავარძელი, ტახტი“

ატარ (ბქ.)/**ატარ** (ლხმ.) „ხის თეფში“

< ზან. (მეგრ.) ატარ-ი „ხის ღრმა თეფში, – ჯამი“, „მარცვლეულის საწყაო (ხის ჯამი) XVI-XVII საუკუნეებში ოდიშში (სამეგრელო), დაახლოებით 0,4 ლიტრის ტევადობისა“

ატკაზ (ზს., ქს.)/**ატკა** (ლხმ.) < ქართ. ატკაზ-ი (< რუს. **Отказ**) „უარი, უარის თქმა“

ატლას (ზს., ლნტ.)/**ატლას** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ატლას-ი (< რუს. **Атлас** < არაბ. **aṭlas**) „აბრეშუმის პრიალა ქსოვილი“

ატრატ (ბქ.) „რაზმი“ < ქართ. ატრიად-ი (< რუს. **Отряд**) „რაზმი; გუნდი; დასი“

აუარებელ (ბზ., ქს.)/**აურობელ** (ჩოლ.) < ქართ. აუარებელ-ი „ძალიან ბევრი, დიდძალი, უთვალავი, ურიცხვი“

აუგ (ლშხ., ჩოლ.) „ცუდი“ < ქართ. აუგ-ი „საძრახისი რამ“

აუან-ჩაუან (ლშხ., ჩოლ.) „ავკარგი“ < ქართ. ავან-ჩავან-ი 1. „მესაიდუმლე, ამყოლი, ხელის შემწყობი“, 2. საუბ. „რაიმე საქმის ვითარება“

აუარია (ზს., ქს.)/**აურია**/**აურაჲ** (ჩოლ.) < ქართ. ავარია (< იტალ. **avaria** „დაზიანება) „რაიმე მანქანის, მექანიზმის (მაგ.: ავტომანქანის, თვითმფრინავის...) დაზიანება“

აუგაროზ/**აუგარეზ** (ზს.)/**ანგაროზ** (ბქ., ლშხ.)/**აუგაროზ** (ლნტ.)/**ანგარეზ** (ლხმ.) 1. ბქ., ლშხ. „თილისმა“, 2. ლხმ. „ანგარიში; თილისმა“ < ქართ. ავგაროზ-ი „რაიმე მცირე გულსაკიდი ნივთი, თილისმა, რომელსაც სამკურნალო ძალა ან მფარველობითი თვისებები მიეწერება“ (შდრ. ქს. ცინციბურ/ციციმბურ; ბქ. ლედე)

აუგულ (ბზ.) *ანთრ.* < ქართ. ავ-გულ-ი „ავი გულის პატრონი, ბოროტი“

აუდრაწლობ (ლშხ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. ავ-დრ-ობ-ა/ავ-დარ-იან-ობ-ა „ცუდი ამინდი, წვიმები“

აუდროზ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ავ-დრ-ობ-ა/ავ-დარ-იან-ობ-ა „ცუდი ამინდი, წვიმები“

აუთანდ (ბქ.)/**აუთანდილ** (ბქ., ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. ავთანდილ-ი (< არაბ.-ირან. **afdal-dīn** „სამშობლოს რწმენა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აულაყ (ბზ.)/**აულაყ** (ბქ., იფარ.) 1. *ზოოლ.* „ულაყი“, 2. *გადატ.* „ამაყი ადამიანი“ < ქართ. ულაყ-ი (< თურქ. **ulaġi** „შიკრიკი“), „მამალი (ცხენი, ვირი და მისთ.)“, იხ. **ულაყ**

აუჟანდ (ბზ., ლნტ.)/**აუჟანდ** (ბქ., ჩოლ., უშგ.)/**აუჟენდ**/**ანჟუენდ**/**ჰანჯუენდ** (ბქ.)/**აბჟანდაჲ**/**აუჟანდაჲ** (ლშხ.) / **ანჯუენდ** (ფარ.) 1. „უზანგი“, 2. „შარვლის ან პაიჭის პაჭანიკი“ < ქართ. ავჟანდ-ი/ავჟანდა „უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი, – უზანგი“, შდრ. მესხ. ავჟანდ-ი/აბჟანდ-ი „პაჭანიკი“ და ზან. (მეგრ.) აბჟანდ-ი[10]

აუსულ (ლშხ., ჩოლ.) „ბოროტი, ავი“ < ქართ. ავ-სულ-ი „ავი სული, ეშმაკი, კუდიანი, მავნე“ (შდრ. ზს., ქს. გუეფ)

აუტომობილ (ზს.)/**ანტენებილ**/**ანტონობილ**/**ანტომობილ** (ბქ.) < ქართ. ავტომობილ-ი (< ფრანგ. **Automobile**) „ადამიანთა გადასაყვანი (მსუბუქი) ან ტვირთის გადასატანი (სატვირთო) მანქანა, რომელიც შიგაწვის ძრავით მოძრაობს ურელსო გზებზე“

აუშრაჲ/**აუშარაჲ** (ბზ.)/**აუშერა**/ **აუშერა** (ბქ.)/**აუშარა** (ბქ., ლშხ.)/**აუშარაჲ** (ჩოლ.)/**აფშარაჲ** (ლშხ.)/**აუშარაჳ** (ლნტ.)/ **აუშარაჲ**/**ჰაფშარა** (უშგ.) < ქართ. ავშარა „ულაგმო აღვირი“

აუცილებელ (ზს., ჩოლ.) < ქართ. აუცილებელ-ი „რასაც გვერდს ვერ აუვლიან, გარდაუვალი“

აუცილებლობ (ზს., ჩოლ.) < ქართ.

აუცილებლობა „აუცილებლის თვისება, – გარდაუვალობა“

აუჯრა (ლშხ.) „სამუშაო იარაღები“ < ქართ. ავეჯ-ეულ-ობ-ა „იგივეა, რაც ავეჯი“

აფრაი (ჩოლ.) „დირეს შემაკავებელი სქელი ფიცარი“ *დარგ.* < ქართ. აფრა „ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული“

აფრასიონ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. აფრასიონ-ი (< სპარს. **afrazion** „მრისხანე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აფსასდ (ბზ.)/**აფსათ/აფხზათ** (ბქ.)/ **აფსათ** (ლშხ., ჩოლ.)/**აფსატ** (ლნტ.) 1. „გარეულ ნადირთა ღმერთი“, 2. ქს. „მონადირე; მარჯვე, მამაცი, მოხდენილი, ყოჩაღი“ < აფხაზ. **аамҕстәа/ӡамстәа** „თავადი“

აფშარა (ლხმ.) „ერთგვარი ხის ჭურჭელი“ < ზან. (მეგრ.) აფშარა „ხის ერთგვარი ჭურჭელი, რომელსაც ხმარობენ ყველის ჩასაწყობად ან მაწვნის დასაყენებლად“

აფხაზურაი/აფხაზურაი (ბზ.)/**აფხაზურ** (ლშხ.) „ერთგვარი მცენარე“ *ბოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) აფხაზურა „სამტატა, რომელიც ცნობილია კოლხიდის გვირილას სახელით“

აფხზეთ (ბზ.)/**აფხზეთ** (ბქ.)/ **აფხაზეთ** (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. აფხაზეთ-ი „საქართველოს ისტორიული სამთავრო“

აფხნეგ (ზს.)/**აფხნიკ** (ლშხ.)/**აფხაზნიკ** (ლნტ.) < ქართ. ამხანაგ-ი (< ფალ. **hamxānak**) „თანასწორი“, შდრ. ხევს. ამხანიგ-ი (შდრ. ბქ. ლუხუ)

აქიმობ (ლშხ., ჩოლ.) < ძვ. ქართ. აქიმ-ობ-ა (< თურქ. **hekim/ḥakīm** < არაბ.-სპარს.) „აქიმის საქმიანობა, – ექიმობა“, შდრ. ჭან. ჰექიმი

აქსენტი (ბზ., ლნტ.)/**აჳქსენტი** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ავქსენტ-ი (< ბერძ. **ἀυξέντιος** „ზრდადი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აღაბ (ზს., ქს.)/**აღაბ** (ზს., ლნტ.) „ყველიერი“ *რელიგ.* < ქართ. ა-ღ-ებ-ა „ყველიერის მარხვის წინა დღე“

აღაპ (ლშხ.) *რელიგ.* < ძვ. ქართ. აღაპ-ი (< ბერძ. **αγαπος** „სიყვარული“) „რიტუალი მიცვალებულის სახელზე; ლოცვა და პურის ჭამა მიცვალებულის მოსახსენიებლად, – ქელეხი“

აღათი (ზს.)/**აღათი** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. აღათ-ი (< ბერძ. **ἀγάθη/ἀκάτης** „კარგი; კეთილი“) „ქალის საკუთარი სახელი“

აღბიერ (ზს., ქს.)/**აღბიერ** (ბზ.) „ყველიერი“ *რელიგ.* < ქართ. აღ-ებ-ა „ყველიერის მარხვის წინა დღე“

აღლიშ (ბზ.)/**ანღლიშ** (ლშხ.)/**იაღლიშ** (ჩოლ.) „თაღლითი, მატყუარა, ქვეშქვეშა“< ქართ. იაღლიშ-ი (< თურქ. **yanlış**) „შეცდომა“ (შდრ. ზს. ქჳინმეყჳლე; ბზ. მუჰმშნი; ბქ. ჩუქაქაშ; ბქ. მუჰუ; ლშხ. ჩოღლოთ; ლშხ. ქასანიკ; ჩოლ. ჯოღმეთ)

აღმასკომ (ზს., ქს.) < ქართ. აღმასკომ-ი „აღმასრულებელი კომიტეტი“

აღმოსაულეთ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ **აღმოსაულეთ** (ბქ.)/**ამოსაულეთ** (ლნტ.) < ქართ. აღმოსავლეთ-ი „ქვეყნის ის მხარე, საიდანაც მზე ამოდის“

აყალმაყალ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აყალმაყალ-ი „დავა, ჩხუბი, დავიდარაბა, აურზაური, ალიაქოთი“ (შდრ. ზს., ლნტ. ყარყაშ, ლშხ., ჩოლ. ყარყაშ; ზს. რიჭი-რაჭა; ზს. მიჰმშნ, ლშხ. მიმან; ბქ. ტიმტეუა)

აშარ (ლხმ.) < ქართ. აშარ-ი „კაპასი, ანჩხლი“ (ბზ. ფგლჳნშა, ბქ. ფგლჳნშ; ქს. უკაფ; ბქ. ფხულელაჳ)

აშენებილ (ლნტ.) < ქართ. აშენებულ-ი „აგებული“ (შდრ. ზს., ქს. ლგგე, ლნტ. ნაგამ)

აშთარაღად/აშთარაღდ/აშთარაღ[ა]დ (ბზ.) *ზმნის.* < ქართ. აშკარად „ცხადად, ნათლად, დაუფარავად“ (შდრ. ბზ. ჟღაურდ, ბქ, მეჟღრად; ბქ. უ̈შხდ; ლშხ. ყადავათდ)

აშორს (ლშხ.) 1. „[ღმერთმა] აშოროს, დაიფაროს“, 2. „[ღმერთმა] იცოდეს, უწყოდეს“ < ქართ. აშოროს (/აშორო/აშა < არაბ. ჰაშა „არამც და არამც, არასოდეს; უარყოფა) „ძველ ქართულ სასამართლო პროცესში ბრალდებულის მიერ ბრალდების ანდა მოპასუხის მიერ სასარჩელო მოთხოვნის ხელაღებით უარყოფა“[11]

აჩკ̈არ (ბქ.) < ქართ. აჩკ-ებ-ი (< აჩკ-ი < რუს. **Очки**) „სათვალე[ებ]ი“

აცხ[ა]! (ლშხ., უშგ.) *შორისდ.* < ქართ. აცხა! „შეძახილი კატის გასაგდებად“ (შდრ. ბქ. **ცგცხ!**)

ახალგაზრდა (ზს., ქს.)/**ახალგაზდა** (ჩოლ.) < ქართ. ახალგაზრდა „მოზარდი ადამიანი, რომელიც მომწიფების ასაკში შედის; ჭაბუკი, ყმაწვილი კაცი; მოზარდი, ნორჩი“

ახალთეს/ახალთესლ (ლშხ., ჩოლ.) „ფხიანი პური, გაზაფხულზე ნათესი“ *ბოტ.* < ქართ. ახალთესლ-ი „გაზაფხულის მარცვლეული, უპირატესად ქერი“

ახალუხ (ზს., ქს.) < ქართ. ახალუხ-ი „წელში გამოყვანილი (ნაოჭასხმული ან ჩაქებდაყრილი) ჩასაცმელი მამაკაცისა, წელამდე სარჩულდადებული“

ახალშენ (ზს.)/**ახგლშენ** (ლშხ.) „უბანი (ზედმიწ. – **ახალშენ-ი**) *ტოპ.* < ქართ. ახალ-შენ-ი „ახლად გაშენებული, დასახლებული პუნქტი, – ახალსოფელი“

ახო (ლნტ.) „სახნავი (ზედმიწ. – **ახო**) *ტოპ.* < ქართ. ახო „საყანედ გაკაფული ტყე, – ნატყევარი

ახოტნიკ (ზს., ქს.) < ქართ. ახოტნიკ-ი (< რუს. **Охотник**) „მონადირე“ (შდრ. ბზ., ლნტ. მეთხუ̈ჯარ, ბქ. მეთხუ̈ჯარ, ლშხ., ჩოლ. მეთხუ̈ჯარ)

აჯაფსანდალ (ზს., ქს.) < ქართ. აჯაფსანდალ-ი (< აზერ. **əcəbsəndəl** < თურქ.) „პომიდვრის, ბადრიჯნისა და კარტოფილისაგან მომზადებული შეჭამანდი“ (შდრ. ბქ. ჯიმურთხა)

აჯილღ (ბზ., ჩოლ.)/**აჯგლაღ** (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. აჯილღა „დაუკოდავი ულაყი ცხენი“

Ა̈

Ა̈ბიდა (ზს.)/**აბიდა** (ჩოლ.) „შეურაცხყოფა“ < რუს. **обида** „წყენა, შეურაცხყოფა“

Ა̈ბრეგ/აბრეგ (ზს.)/**ამბრეგ(ბქ.)/აბრაგ** (ლშხ., ჩოლ.)/**აბრა̈გ** (ლნტ.) < ქართ. აბრაგ-ი (< ოს. **abyræg/abæræg**, შდრ. საშ. ირან. და ფალ. ***āparak, āpartan** „ძარცვა“, **āpar** „ძარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნაძარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) „ყაჩაღი, აბრაგი, პარტიზანი“

Ა̈ბრეგობ/აბრეგობ (ზს.) < ქართ. აბრაგ-ობ-ა (< ოს. **abyræg/abæræg** „ყაჩაღი, პარტიზანი“, შდრ. საშ. ირან. და ფალ. ***āparak, āpartan** „ძარცვა“, **āpar** „ძარცვა, ტაცება, ქურდობა“, ახ. სპარს. **āvāra** „ავარა“, **āvār** „ნადავლი, ნაძარცვი, ალაფი“ და, აგრეთვე, ირან. **abra** „ღრუბელი“ და ოს. **arv** „ცა“) „ყაჩაღობა“

Ა̈გი (ზს., ლნტ.)/**აგი** (ლშხ., ჩოლ.) „შინ“ < ქართ. ალაგ-ი (< ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“) „იგივეა, რაც ადგილი“, იხ. **არგილ**

Ა̈გ-იშ-არ (ბზ.)/**აგ-იშ-Ა̈რ** (ბქ., ლნტ.)/**აგ-იშ-არ-[ალ]** (ლშხ., ჩოლ.) „შინაურე-

ბი, ოჯახის წევრები (ზედმიწ. – *ალაგ-ის-ებ-ი)“ < ქართ. ალაგ-ი (< ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“) „იგივეა, რაც ადგილი“ (შდრ. ბქ. ქორშარ)

ბდგილ (ზს., ლნტ.)/**ადგილ** (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ადგილ-ი „სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე“ (შდრ. ზს., ჩოლ. **ტყუეფ**)

ბდგილკომ (ზს.) < ქართ. ადგილკომ-ი „პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კომიტეტი“

ბდგილ-მამულ (ზს., ლნტ.)/**ადგილ-მამულ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ადგილ-მამულ-ი „ამა თუ იმ პირისა თუ მოსახლეობის კუთვნილი მიწა-წყალი“

ბდილარ (ზს.)/**ადილარ** (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. ადილარ-ი (< სავარაუდოდ არაბ. **adil** „სამართლიანი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბდრეს (ბქ.)/**ადრეზ** (ლნტ., ლხმ.)/**ადრეს** (უშგ.) „მისამართი“ < ქართ. ადრეს-ი (< რუს. **Адрес** < ფრანგ. **adresse**) „მისამართი“

ბდუილ (ზს.)/**ჰბდუილ** (ბზ., ლხმ.)/**ადუილ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჰადუილ** (უშგ.) < ქართ. ადვილ-ი „იოლი, მარტივი, უბრალო“ (შდრ. ზს. **ჰბში**, უშგ. **ჰაში** „მსუბუქი“; უშგ. **ჰალალ**)

ბდუილდ (ზს.)/**ჰბდუილდ** (ბზ., ლხმ.)/**ადუილ{რლ}დ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჰადუილდ** (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. ადვილ-ად „იოლად, მარტივად, უბრალოდ“ (შდრ. ზს. **ჰბშიდ**, უშგ. **ჰაშიდ** „მსუბუქი“; უშგ. **ჰალალდ**)

ბთისთაუ (ბზ.)/**ათისთაუ** (ბქ.)/**ბთისთბუ/ათისთბუ** (ლნტ.)/**ათიშთბუ** (ლხმ.) < ქართ. ათისთავ-ი 1. „მუშათა მცირე ჯგუფის ზემდგომი“, 2. *ძვ.* „სოფლის ცალკე უბნის არჩეული ხელმძღვანელი XX ს.-ის დასაწყისში; სოფლად მამასახლისი“

ბლექსანდრე (ზს., ლნტ.)/**ალექსანდრე** (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ალექსანდრე (< ბერძ. **ἀλέξανδρος** „მამაცი მცველი“, „მცველი ვაჟკაცი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბლექსანდროულ (ბქ.) *ბოტ.* < ქართ. ალექსანდროულ-ი „ქვემორაჭული შავყურძნიანი ვაზის ჯიში“

ბლექსი (ზს.)/**ალექსი** (ბზ., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ალექს-ი < ალექსანდრე (< ბერძ. **ἀλέξανδρος** „მამაცი მცველი“, „მცველი ვაჟკაცი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“, იხ. **ბლექსანდრე**

ბლიგოტე (ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. ალიგოტე (< ფრანგ. **aligoté**) „ფრანგული თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიში“

ბლიმურზა (ბზ.) *ანთრ.* < ქართ. ალიმურზა < ქართ. ალ-ი (< არაბ. **ali** „მაღალი, კეთილშობილი“) და მირზა (< არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელები“

ბლიოშა (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ალიოშა (< უკრ. **Альоша**) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბმერიკა (ბქ.)/**ამერიკაი** (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. ამერიკა (< ინგლ. **Americas**) „ამერიკის შეერთებული შტატები“

ბმფერ (ლხმ.) „ყოჩაღ“ *შორისდ.* < ქართ. ამფერ „აფერუმ! ყოჩაღ! ასე!“

ბნგეთ/გბნგეთ (ლხმ.) „განგებ“ *ზმნის.* < ზან. (მეგრ.) განგეთ{ე} „განგებ, განზრახ“

ბნგინა (ბქ.) < ქართ. ანგინა (< ლათ. **angina** „ხუთვა, ხრჩობა“) „ანთებითი დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოჭერითი ტკივილი ან ხუთვა“

ბნგლიჩანწრ (ბქ.) < ქართ. ანგლიჩანები (< რუს. **Англичанин** „ინგლისელი“) „ინგლისელები“

ბნგ[უ]ლეზ/ბნგლრზ (ბზ., ლნტ.)/**ანგლეზუ/ანგლრზუ** (ბზ.)/**ბნგლეზ** (ბქ.)/

ანგლოზ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ანგულეჯ/ ანგელოზ (ლნტ.)/ანგულეზ (ჩოლ., უშგ.) *რელიგ.* < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი (< ბერძ. **ἄγγελος** „მიკრიკი, მაცნე; მოციქული, მოამბე ანუ მაუწყებელი“) 1. „უსხეულო არსება, რომელიც ღვთის მოციქულად არის წარმოდგენილი“, 2. *გადატ.* „სიკეთის, სილამაზის, სიმშვიდის, სინაზის განსახიერება“

ანთიმოზ (ზს.)/ანთიმოზ (ლნტ.)/ანთი (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ანთიმოზ-ი (< ბერძ. **ἀντίμωση** „ყვავილოვანი“, „აყვავებული“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ანიგებას (ბზ.)/ანიგებს (ბქ.)/ალიგებს (უშგ.) „იქნებ; შეიძლება“ *ნაწ.* < ქართ. ან-ეგებ-ის „იქნებ; შესაძლოა“, შდრ. გურ. ანაგებ-ათ „არანაირად“ (შდრ. ზს. სერთხი; ბზ. ნრთაუ; ჩოლ. აბღა), იხ. არიგებს

აეროპლან/ჰაეროპლან (ბქ.) < ქართ. აეროპლან-ი (< ბერძ. **ἀήρ** „ჰაერი“ და ლათ. **πλάνος** „ხეტიალი; სიბრტყე“, **ἀερόπλανος** „ჰაერში/ცაში ხეტიალი“) „თვითმფრინავი“

აპეკუნ (ბქ.) „მხრუნველი“ < ქართ. აპეკუნ-ი (< რუს. **опекун**) „მეურვე“

აპრილ (ბქ.) „სათიბი (ზედმიწ. – აპრილ-ი)“ *ტოპ.* < ქართ. აპრილ-ი (< ლათ. **aprilis**) „კალენდარული წლის მეოთხე თვე“

არგლ-იშ-არ (ბზ.) „შინაურები, ოჯახის წევრები (ზედმიწ. – *ალაგ-ის-ებ-ი)“ < ზან. (მეგრ.) არდგილ-ი < ქართ. ადგილ-ი „სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე“ (შდრ. ბქ. ქორშარ)

არე (ლნტ.) < ქართ. არე (< ლათ. **are/arealis** „სივრცე, მოედანი“) „იგივეა, რაც არეალი“

ართქუილ/ართქუილ/ართგუილ (ბზ.)/ერთგუილ (ზს., ლნტ.)/[ე]რდგუილ (ბქ.)/ერდგულ (ლშხ.)/ერდგუილ (ბქ., ლნტ.)/ერდგუილ (ლნტ., ჩოლ.)/ერთგულ (ჩოლ.) < ქართ. ერთგულ-ი „უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული, თავდადებული, საიმედო, სანდო“ (შდრ. ზს., ქს. ლეჯგირ)

არტილერია (ბქ.) < ქართ. არტილერია (< ფრანგ. **artillerie** „სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი გვარეობა, რომელიც შეიარაღებული ქვემეხებით...“) 1. „სხვადასხვა ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი და საჭურველი ერთობლივად“, 2. „ჯარის ნაწილი, რომელიც ასეთი იარაღით მოქმედებს...“

არჩი (ბზ.)/არჩილ (ბქ.)/არჩილ (ქს.) *ანთრ.* < ქართ. არჩილ-ი (< ირან. **archil** „სწორი“, „წრფელი“, „მართალი“, „ნათელი“, „მადლმოსილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

არწიუ (ზს., ლნტ.)/არწიუ (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ძვ. ქართ. არწივ-ი (< სომხ. **arçiv**) „ყველაზე დიდი, ღონიერი, ნისკარტმოკაუჭებული მტაცებელი ფრინველი“

ასლან (ზს., ლნტ.)/ასლან (ბქ., ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ასლან-ი (< ძვ. თურქ. **arslan**-ისაგან „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“ ყარაჩაულ-ბალყარულის მეშვეობით) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

აფთ (ბქ.), *შდრ.* ფალთა/ფლათ „რუსული, ფართეპირიანი ბრტყელი ნაჯახი“ < ქართ. აფთ-ი *ძვ.* „მახვილი ბრტყელი და ტარგრძელი“

აფთიაქ (ბქ., ლნტ.)/აფთიაქ (ბქ.)/აფთიაქ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აფთიაქ-ი (< ბერძ. **ἀποθήκη/apothḗkē** „საწყობი, საცავი“) „დაწესებულება, რომელიც წამლებს ამზადებს და ყიდის“

აფიცარ/აფიცერ (ბზ.)/აფიცერ (ბქ.)/ აფიცარ (ჩოლ.)/აფიცარ (ლხმ.) < ქართ. ოფიცერ-ი (< გერმ. **offizier** < ლათ. **officium** „თანამდებობა“) „მეთაურთა

შემადგენლობის პირი არმიასა, ავიაციასა და ფლოტში“

Აქლემ (ზს.)/**აქლემ** (ქს., უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. აქლემ-ი „მაღალი ტანის მცოხნელი ცხოველი, ერთი ან ორი კუზის მქონე, ძალიან ამტანი (წყურვილისა, შიმშილისა და სიცხისა)“

Აცეტონ (ზს., ლნტ.)/**აცეტონ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. აცეტონ-ი (< ლათ. **acetum** „ძმარი“) „ორგანული მომწამვლელი, უფერო სითხე“

Ჳ

Ჳი, გიდი (ლშხ.) *შორისდ.* < ქართ. ჰაი, გიდ-ი! „განცვიფრების გამომხატველი შორისდებული“

ბ

ბაბა (ზს., ქს.) 1. „პაპა, ბაბუა“; „მოხუცი მამაკაცი“, 2. „მამა“ < ქართ. (იმერ., გურ.) ბაბა/ბაბა-ი „მამა“, შდრ. მეგრ. ბაბა, ლაზ. ბაბა (ნ. მარი)

ბაბანიკ (ქს.) „ძვრა, განძრევა“[12] < ქართ. (გურ.) ბაბნიკ-ი „ერთ ადგილას ტკეპნა“

ბაბაყულ (ლხმ.) „ზღაპრის პერსონაჟი, დევის მსგავსი არსება, რომელიც დიდ ძალას ფლობდა“[13] < ქართ. ბაბაყულ-ი 1. „ფრინველი“, 2. „იგივეა, რაც ბაიყუში“

ბაბგიან (ჩოლ.)[14] 1. „დამდგარი წყალი“, 2. „მოხუცი მამაკაცი, რომელსაც არაფერი შეუძლია“ < ქართ. (გურ.) ბაბაგინ-ი „პირამდე სავსე ჭურჭელი, – ბაგესწორი“

ბაბსირიან/ბაპსირიან/ბაბსრიან (ბზ.)/**ბაბსგრიან** (ბქ.)/**ბაფსირიან** (ბქ., ლნტ.)/**ბაბსირიან** (ლშხ., ჩოლ.)/**ბაბსგრიან** (ჩოლ.) „ცისტიტით დაავადებული; ბუასილიანი/ბუასირიანი“ < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-ი „ქათმის ერთგვარი ავადმყოფობა“, ინგ. ბაბასილ „ბუასილი“, ბავასირ-ი (საბა) < არაბ. **bavāsīr** (შდრ. სალიტ. ქართ. ბუასირი)

ბაბსირ/ბაპსირ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ბაბსირ/ბაფსირ** (ბქ., ლნტ.)/**ბაპსირ** (ბქ.)/**ბაბსგირ** (ჩოლ.)/**ბაბსგ[რ]** (ლხმ.) 1. „ცისტიტი“, 2. „სისხლიანი ფაღარათი“ < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-ი „ქათმის ერთგვარი ავადმყოფობა“, ინგ. ბაბასილ „ბუასილი“, ბავასირ-ი (საბა) < არაბ. **bavāsīr** (შდრ. სალიტ. ქართ. ბუასირი)

ბაბუშტელაჲ (ბზ.)/**ბაბუშტელაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბაბუშტელაჳ** (ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) ბაბუშტელა/ბაბუშტელე „ონთქოფა, ონტკოფა“, შდრ. ასევე ლეჩხ., რაჭ. ბაბაშტელა

ბაგ (ზს., ქს.) < ქართ. ბაგა „დაბმული საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი (წნული ან ფიცრული)“

ბაგირ (ზს.)/**ბაგირ/ბაგირ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბაგ-ირ-ი „მსხვილი თოკი“

ბაგრატ (ზს., ქს.)/**ბაგრატ** (ლნტ.)/**ბაგრატი** (ლხმ.) *ანთრ.* < ქართ. ბაგრატ-ი (< ძვ. სპარს. **bagadaṭa** „ღვთის ბოძებული“, „ღვთის წყალობა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბაგუნ (ლშხ.) < ქართ. ბაგუნ-ი 1. „რისამე (ხელის, ფეხის, ჯოხის...) ცემით გამოწვეული ხმაური; ბაგაბუგით ცემა“, 2. „ძლიერი ძგერა (გულისა)“, იხ. ლი-ბაგუნ-ე

ბაგუნედ (ჩოლ.) „მდარე, უხეში ქსოვილი“ < ქართ. ბაგვ-ი 1. „მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ (იციან რაჭაში, იმერეთში)“, 2. „ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი“

ბაგუნდ/ბაგუნდი (ბზ.)/**ბაგუნდ** (ლშხ.)/**ბაგუნინდ** (ჩოლ.) *მოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) ბაგუნდ-ი „მდგნალი“ (შდრ. ბზ. **ბაგურა**, ბქ. **ბაგურა**; ქს. **ციცუნდრა**)

ბადაგ (ზს., ლნტ.)/**ბადაგ** (ლშხ., ჩოლ.) „ძლიერ ტკბილი“ < ქართ. ბადაგ-ი „ყურძნის წვენი (ტკბილი), შესანახად მოდუღებული“

ბადიაჲ (ლშხ., ჩოლ.)/**ბადიაჲ** (უშგ.) „წყლის ჭურჭელი“ < ქართ. ბადია „ქუსლიანი დიდი ჯამი (უპირატესად – ლითონისა)“, კახ. „დიდი საწვნე ჯამი“

ბადრაგ (ბზ.) „თანამოზიარე“ < ახ. ქართ. ბადრაგ-ი (< ახ. სპარს. **badragah** „გაცილება, გაყოლა, ესკორტი, თანხლება“) „შეიარაღებული რაზმი, რომელიც ადგილზე იცავს ან აცილებს რაიმე დასაცავ ობიექტს“, შდრ. ბადრაგა „ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს“ (საბა)

ბადრი (ზს., ქს.)/**ბაჲდრი** (ზს.)/**ბაჲდრ** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ბადრ-ი (< არაბ. **badri** „სავსე მთვარე“, გადატ. „სრულქმნილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბადრიჯან (ზს., ქს.)/**ბაჲტრიჯან/ პატრიჯან** (ბქ.) *მოტ.* < ქართ. ბადრიჯან-ი (< სპარს. **batenjan** რუს. ენის მეშვ.) „ერთწლოვანი ფართოფოთლებიანი ბოსტნეული მცენარე“

ბაზაჲრ (ზს., ლნტ.)/**ბაზარ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბაჲზაჲრ** (უშგ.) < ქართ. ბაზარ-ი (< სპარს. **bāzār** „საქონელი, სავაჭრო“) „სურსათ-სანოვაგისა და ფართო მოხმარების საგნებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილი (ჩვეულებისამებრ, მოედანი)...“

ბათმან (ჩოლ.) < ქართ. ბათმან-ი (< თურქ. < სამ. სპარს. **patmān**, ახ. სპარს. **paiman** „ზომა“) „მარცვლეულის (აგრეთვე – ფქვილის) საწყაო ერთეული, დაახლოებით ნახევარ ფუთამდე“

ბაიბურდ (ჩოლ.) „არაფრად ჩაგდება“ *ზმნის.* < ქართ. ბაიბურ-ად/ბაიბუად „ბაიბურად (ბაიბურში) არ აგდებს, არაფრად მიიჩნევს“

ბაიყუშ (ლშხ., ჩოლ.) „გულჩათხრობილი, ჩუმჩუმელა ადამიანი“ < ქართ. ბაიყუშ-ი *გადატ.* „უხეირო, უცხვირპირო; ვისაც სულ თავ-პირი ჩამოსტირის“

ბაკ[1] (ბზ.) < ქართ. ბაკ-ი „პირუტყვის შემოზღუდული სადგომი; სითხის მოსათავსებელი ჭურჭელი“

ბაკ[2] (ზს., ქს.) „ქვაბი“ < ქართ. ბაკ-ი (< რუს. **Бак**) „ავზი, ბაკი“

ბაკა (ზს.) *ანთრ.* < ქართ. ბაკა/ბააკა (< არაბ. **baḳa** „მუდმივი“, „მყარი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბაკლაშკა (ბქ.) < ქართ. ბაკლაშკა (< რუს. **Баклажка**) „მათარა“

ბაკონარ (ჩოლ.) „ხის ლანჩებიანი ფეხსაცმელები“ < ქართ. (ლეჩხ.) ბაკონები „ხის ბალიშები“

ბალაგან (ბზ.) „ხის სახელდახელო ქოხი“ < ძვ. ქართ. ბალაგან-ი „სახელდახელო, დროებითი ნაგებობა თეატრალური და საცირკო სანახაობისათვის...“

ბალანგიარ/ბალანგარ (ჩოლ.) „ბრიყვი კაცი“ < ქართ. ბალანგარ-ი „ვინც არაფერს შეისმენს, – „კაცი მოუსმინარი“ (საბა), გურ. ბალანგარა-ჲ „უწესრიგო, უსუფთაო“

ბალახ-ბულახჩრა (ლშხ.) < ქართ. ბალახ-ბულახ-ი „ბალახეულობა“

ბალან (უშგ.) < ქართ. ბალან-ი 1. „ცხოველის ბეწვი“, 2. *გადატ.* „ადამი-

ანის თმა საზოგადოდ“

ბალაბ (ზს., ლნტ.)/**ბალახ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბალახ-ი (< სომხ. ***բալախ***) „მწვანეელეროიანი ერთწლოვანი (ან მრავალწლოვანი) მცენარე“ (შდრ. ზს. მელ{უ})

ბალთაჲ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ბალთრაჲ** (ლშხ.) < ქართ. ბალთა „უსაჩხვლეტო შესაკრავი ან სამკაული სარტყლისა, ხმლისა, აგრეთვე ცხენის მოსართავებისა (უპირატესად – ლითონისა, აგრეთვე ძვლისა და რქისა), – უენო აბზინდა“

ბალკონ (ზს., ქს.)/**ბალკუენ** (ლნტ.) < ქართ. ბალკონ-ი (< ფრანგ. **balcon** რუს. ენის მეშვ.) „აივანი“

ბალუერ{დ} (ზს., ლშხ.)/**ბალაუერდ/ბალუარდ** (ბზ.)/**ბალაუერ** (ქს.)/**ბალაუერ** (ლნტ.) 1. ბზ. „ბალავარ-ი, საძირკველი“, 2. ბზ., ლხმ., ლშხ. „თახჩა, ნიში (კარის ან ფანჯრის თავზე, ქვითკირის კედელში)“ < ქართ. ბალავარ-ი/ბალავერ-ი 1. „საძირკვლის ქვანი დიდ-დიდნი“ (საბა). ||საერთოდ, საძირკველი, 2. „ასეთივე ლოდი კარ-სარკმლის თავზე წირთხლთა შესაკრავად, – გამირი“ (შდრ. ზს., ქს. **ხუნ**)

ბალქო (ქს.) „კარტი“ < ქართ. ბანქო „სათამაშო ოთხკუთხა ქაღალდების დასტა, – კარტი“

ბალღამ (ბზ.)/**ბალღამ** (ლშხ., ჩოლ.) „ჩირქი, ჩირქნარევი სითხე“ < ქართ. ბალღამ-ი 1. „წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი სითხე“, 2. „ნარწყევი ნაღველი (ზაფრის აშლისას)“, 3. *გადატ.* „ღვარძლი, შხამი, გესლი“

ბალხიფერ/ბალხიფერ (უშგ.) < ქართ. ბალახ-ის-ფერ-ი „რაც ფერით ბალახს მოგვაგონებს, – მწვანე“ (შდრ. ბქ. მელიშფერ)

ბალხობ (ლშხ.) < ქართ. ბალახ-ობ-ა „ბალახის ძოვა“

ბალხრრა (ლშხ., ჩოლ.)/**ბალახორა** (ჩოლ.) < ქართ. ბალახეულ-ი „სხვადასხვა ბალახი, ბალახები“

ბალჳნგარ (უშგ.) „გოლიათი“ < ქართ. ბალანგარ-ი „ვინც არაფერს შეისმენს, – „ჯაცი მოუსმინარი“ (საბა), გურ. ბალანგარა „უწესრიგო, უსუფთაო“

ბამბაზია (ბქ.) < ქართ. ბამბაზია (< ფრანგ. **bombasin**) „ბამბის თბილი ქსოვილი; ფანელი“

ბამბაჲ/ბანბაჲ (ბზ.)/**ბამბაჲ** (ბქ., ლნტ., უშგ.)/**ბამბაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბანბაჲ** (უშგ.) < ქართ. ბამბა (< სპარს. **pamba**) „ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი ბალახ-მცენარე...“

ბამბუკ (ზს., ქს.) < ქართ. ბამბუკ-ი (< მალ. **bambu**) „ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების მერქნიანი მცენარე (მარცვლოვანთა ოჯახისა)“

ბანდულაჲ (ლშხ.) < ქართ. ბანდულ-ი 1. „ლანჩადაწნული ფეხსაცმელი“ (საბა); „მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილი ღვედით აქვს მოწნული“, 2. იმერ. „ნაბდისაგან შეკერილი თბილი ფეხსაცმელი“

ბანტ (ზს., ქს.) < ქართ. ბანტ-ი (< გერმ. **Band** „შესაკრავი“) „წყვილად გამოსკვნილ-გამოყულფული ლენტი, – ბაფთა“

ბანჭ (ქს.)/**ბანჭ** (ლნტ.) < ქართ. პაიჭ-ი „წვივზე წამოსაცმელი (ჩვეულებრივ, მასში არის ჩატანებული შარვლის ტოტი“, შდრ. ხევს. ბაჭიჭ-ი (შდრ. ზს. **ზგთჳრ**)

ბაპ (ზს., ქს.)/**პაპ** (ბქ.) „მღვდელი, სასულიერო პირი“ < ზან. (მეგრ.-ლაზ.) პაპ-უ[15] (< ბერძ. ***παππας*** „კათოლიკური ეკლესიის მეთაური“) „ბაბუა, პაპა; მოხუცი, ბერიკაცი“

ბაპობ (ზს., ქს.)/**პაპობ** (ბქ.) „მღვდლობა (ზედმიწ. – პაპ-ობ-ა)“ < ზან. (მეგრ.-

ლაზ.) პაპ-უ (< ბერძ. *παππας* „კათოლიკური ეკლესიის მეთაური“) „ბაბუა, პაპა; მოხუცი, ბერიკაცი“

ბაჟ (ზს., ქს./**ბაჟ** (ზს., ლნტ.) < ქართ. ბაჟ-ი „სახელმწიფო გადასახადი“

ბაჟე (ზს., ქს.) < ქართ. ბაჟა „უმად შეკმაზული ნიგვზისა და ნივრის საწებელი“

ბარაბან (ზს., ქს.) < ქართ. ბარაბან-ი (< რუს. **барабан** „დოლი“) „ცილინდრის ფორმის დასარტყამი საკრავი, – დოლი“

ბარამბაჲ (ლშხ., უშგ.) < ქართ. ბარამბა „ჯარის საკეტი ხისა, ლურსმით მიჭედილი სარაზავი“, ლეჩხ., იმერ., გურ. ბარამბა-ი/ბარამბუა-ი

ბარაქ (ბზ., ქს.)/**ბარაქ** (ზს.)/**მარაქ**[16] (ბზ.) „ხვავი, ყუათი“ < ქართ. ბარაქა (< არაბ. **barak**) „ხვავრიელობა, დიდი გამოსავალი, დოვლათიანობა; დოვლათი“ (შდრ. ბქ. ძღუერ)

ბარაქელ (უშგ.) *შორისდ.* < ქართ. ბარაქალა (< არაბ. **barak**) „მოწონების, წაქეზების შემახილი, – ყოჩაღ! აფერუმ! ვაშა!“

ბარაქიან (ზს., ლნტ.)/**ბარქიან** (ბზ.)/**ბარაქიან**/**ბარქიან** (ლშხ., ჩოლ.) „დოვლათიანი“ < ქართ. ბარაქ-იან-ი (< ბარაქა < არაბ. **barak**) „ბარაქის მქონე, – ხვავრიელი, უხვი, დოვლათიანი“

ბარბალ (ბზ.) *რელიგ.* < ქართ. ბარბარე (< ბერძ. **Βαρβάρα**) „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი, – წმინდა დიდმოწამე ბარბარე“

ბარბალჳ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ბარბარე (< ბერძ. **Βαρβάρα**) „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი, – წმინდა დიდმოწამე ბარბარე“

ბარბელდ (ბზ., ჩოლ.)/**ბარბელ** (ბქ.)/**ბარბოლდ** (ლშხ.) < ქართ. ბორბალ-ი „რკალისებური საგანი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს გადასაზიდ საშუალებებს (ეტლს, ვაგონს...) ანდა მანქანის მექანიზმებს“, შდრ. მეგრ. ბარბალი „ბორბალი“

ბარბლაშ მიდამ (უშგ.) „ეკლესიის მიდამო (ზედმიწ. – წმ. ბარბარე-[ს] მიდამო)“ < ქართ. ბარბარე (< ბერძ. **Βαρβάρα**) „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი, – წმინდა დიდმოწამე ბარბარე“ და სვან. **მიდამ** < ქართ. მიდამო „გარემო“

ბარბლაშ (ბზ., ლნტ.)/**ბარბულაშ**/**ბარბოლ** (ბქ.)/**ბარბლაშ** (ლშხ., ჩოლ.) *რელიგ.* < ქართ. ბარბალ-ობ-ა (< ბარბარე < ბერძ. **Βαρβάρα**) „წმინდა ბარბალეს დღესასწაული 17 დეკემბერს“ „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი, – წმინდა დიდმოწამე ბარბარე“

ბარბლაშიერ (ბზ.)/**ბარბლაშიერ** (ლშხ.) „ბარბალობის პერიოდი“ *რელიგ.* < ქართ. ბარბარე (< ბერძ. **Βαρβάρα**) „მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების წმინდანი, – წმინდა დიდმოწამე ბარბარე“

ბარდაბარ (ჩოლ.) „ბარიბარში“ *ზმნის.* < ქართ. ბარდაბარ „იგივეა, რაც ბარიბარ“

ბარდან (ზს., ქს.)/**ბარდან** (უშგ.) „ქსოვილი“ < ქართ. ფართალ-ი „საფეიქრო ნაწარმი, – მანუფაქტურა“

ბარდაჲ (ლშხ.) *ბოტ.* < ქართ. ბარდა „ერთწლოვანი პარკოსანი კულტურული მცენარე“

ბარდიკუ (ბზ.)/**ბადრიკუ** (უშგ.) < ქართ. პატრუქ-ი (< ფალ. **patrōk** „სანთელი“) „დაგრეხილი ბამბის ძაფი, ჩვარი ან საგანგებოდ დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ლამპაში, ჭრაქში, სანთელში, ნავთქურაში და მისთ.; გამოიყენება

წვისათვის და განათებისათვის“

ბარემ (ზს.)/**ბარემს** (ლშხ.)/**ბარემ** (ლნტ.)/**ბარემც** (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. ბარე[მ] „მაშ; რაც არის, არის“

ბარქაშ/ბარქაშ (უშგ.) < ქართ. ბარქაშ-ი „მოღრმო თეფში“ (საბა). || „პატარა გობი“

ბარქშილაშ (გზ.) „წყარო (ზედმიწ. – *ბარქაშ-უკ-ებ-ი) *ტოპ.* < ქართ. ბარქაშ-ი „მოღრმო თეფში“ (საბა). || „პატარა გობი“

ბარღეთ[აშ] (ჩოლ.) „ბარემ, თითქმის“ *ზმნის.* < ქართ. ბარეღამ „იგივეა, რაც ბარემღა“

ბარჩხალაი (ჩოლ.) „გატოტვილი“ < ქართ. ბარჩხალა „ხის, მცენარის ფართოდ გაშლილი, გაბარჯღული ტოტები, ღეროები“

ბარძიმ (ზს., ქს.)/**ბარძიმ** (ზს., ლნტ.) 1. „ბარძიმი“, 2. „შხამი, საწამლავი“, 3. *ბქ. გადატ.* „გესლიანი (ადამიანი)“ < ძვ. ქართ. ბარძ/ზიმ-ი (< ფალ. **barzīn /*barz-in** „მაღალი ჭურჭელი“) „საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ვერცხლისა (ან სხვა ძვირფასი ლითონისა) განკუთვნილი ზიარებისათვის“

ბარხატ (ზს., ქს.)/**ბარხაშ** (ბქ.) < ქართ. ბარხატ-ი < რუს. **бархат** „ხავერდი“

ბარგმბა (ბქ.)/**ბარამბა[ი]** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) 1. „კარის საკეტი“, 2. ლშხ. „სათამაშო ხის ჯოხი, – საბზრიალებელი“ < ქართ. ბარამბა 1. „ორკაპა ხის ჯოხი; იხმარება ღომის, ლობიოს... ამოსაზელად“, 2. „კარის საკეტი ხისა, ლურსმით მიჭედილი სარაზავი“, შდრ. ლეჩხ., იმერ., გურ. ბარამბა-ი/ბარამბუა-ი

ბასკა (ზს., ქს.) < ქართ. (გურ., იმერ.) ბასკა „ყავარზე დაჭედებული გათლილი ლატანი“

ბატიბუტ (ზს., ქს.) < ქართ. ბატიბუტ-ი „მოხალული წვნიკი სიმინდი, კანდახეთქილი და თეთრად გულგადაშლილი“

ბატონ (ზს., ქს.)/**ბატუნ** (ლნტ.) < ქართ. ბატონ-ი (< ლათ. **patronus** „მფარველი“) „პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს, მიწისა და ყმების მეპატრონე, – მებატონე, მემამულე; მმართველი, მბრძანებელი...“

ბატონ-აშ (ზს., ლნტ.)/**ბატონ-არ** (ქს., უშგ.) *ეთნ.* < ქართ. ბატონ-ებ-ი „ბავშვთა გადამდებ (მოარულ) ავადმყოფობათა (წითელა, ქუნთრუშა, ყვავილი, ყივანახველა...) კრებსითი სახელი“

ბატონობ (ზს., ქს.) < ქართ. ბატონობ-ა „ბატონ[ებ]ის არსებობის დრო; უფროსობა, მეთაურობა...“

ბატონყმობ (ზს., ქს.) < ქართ. ბატონყმ-ობ-ა „სოციალური წყობილება, რომლის დროსაც ყმა (გლეხი) და მთელი მისი ქონება ბატონის (მემამულის) ხელში იყო, ბატონის საკუთრებას წარმოადგენდა“

ბატსენ (ლშხ.) *ზოოლ.* < ქართ. ბატა-სინ-ი „ზღვის იხვი“

ბაქან[1] (ბქ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ბაქან-ი)“ *ტოპ.* < ქართ. ბაქან-ი

ბაქან[2] (ზს., ქს.) „ხე-ტყის წარმოების ადგილი“ < ქართ. ბაქან-ი „მოსწორებულ-მოვაკებული ადგილი...“

ბაქაი/ბაქარაი (გზ.)/**ბაქარაშ** (ბქ.)/**ბაქიელაი** (ჩოლ.) < ქართ. ბაქ-ია „მკვეხარა, ტრაბახა“ (შდრ. გზ., ჩოლ. ფაშუდიელაი, ბქ. ფაშუდელაშ)

ბალ[1] (ზს., ქს.)/**ბაშ** (ლნტ.) < ქართ. ბალ-ი (< სპარს. **bay** „ბაღი“) „საბავშვო ბაღი, სასწავლო- აღმზრდელობითი დაწესებულება სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის“ (შდრ. ზს. ლაბილ, ლშხ. ლახილ, ჩოლ. ლეხილა „სახილე, ხილ-

ნარი, ბაღი“)

ბაღ[2] (ზს., ქს.)/**ბაღ** (ლნტ.) < ქართ. ბაღ-ი (< სპარს. **bay** „ბაღი“) 1. „შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც საგანგებოდ არის დარგული ხეხილი, ბუჩქები, ყვავილები“ (შდრ. ზს. ლაბილ, ლშხ. ლახილ, ჩოლ. ლეხილა „სახილე, ხილნარი, ბაღი“)

ბაღათურ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ბაღათურ-ი (< თურქ. **Baadur** „გმირი, გოლიათი, მამაცი, რაინდი“ < მონღ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბაღანა (ჩოლ.) < ქართ. ბაღანა „ბალღი, ბავშვი“

ბაღდაუან (ჩოლ.) „ფართოყვავილებიანი ქსოვილი“ < ქართ. ბაღდად-ი 1. „აბრეშუმის ოთხკუთხედი მანდილი, სახეებიანი (ჩეულებისამებრ, ლეჩაქზე მოსახვევი)“, 2. „აბრეშუმის დიდი ხელსახოცი მამაკაცისა (იცოდნენ ძველად)“, 3. მეწამული ფერის, ოთხკუთხა აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი, რომელიც ზიარების დროს მნათეს უჭირავს მაზიარებლის ნიკაპთან. გამოიყენება ქრისტეს წმინდა სისხლისა და წმინდა ხორცის შემთხვევით ძირს დავარდნისაგან დასაცავად, ასევე სტიქაროსნის მიერ ზიარების შემდეგ მაზიარებლის ბაგეს მოსაწმენდად“, შდრ. ლეჩხ. ბაღდავან-ი „კარგად მოვლილი ბაღ-ვენახი, გამორჩეულად ლამაზი ადგილი“ (შდრ. ბქ. **ტაშდარა**)

ბაღნ-ილ (ლნტ.) „პატარა ბავშვი (ზედმიწ. – ბაღნ-უკა)“ < ქართ. ბაღანა „ბალღი, ბავშვი“

ბაღუაჩ (ბზ.)/**ბაღუაჩ** (ჩოლ.) 1. ბზ. „მდიდარი ოჯახი“, 2. ჩოლ. „საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ადამიანი“ *გადატ.* < ქართ. ბლაღოჩინ-ი (< რუს. **благочинный** „წესიერი“) „მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საეკლესიო საქმეებს“, იხ. **ლალუაჩინ**

ბაყაყ (ქს.)/**ბაყაყ**/**ბაყაყ** (ლნტ.) *ზოოლ.* < ქართ. ბაყაყ-ი „ცივსისხლიანი ცხოველი წყალ-ხმელეთისა“ (შდრ. ზს. **ამფხუ**)

ბაყბაყ (ზს., ლნტ.)/**ბაყბაყ** (ლშხ., ჩოლ.)/**აყბაყ** (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი დევი“ < ქართ. ბაყბაყ-ი „ბოხი, უშნო ხმა. || ასეთი ხმით ლაპარაკი“, იხ. **ბაყბაყდაუ და დაუ აყბაყ**

ბაყბაყდაუ (ბზ.)/**ბაყბაყდაუ**/ **დაუ-მაყმაყ** (ბქ.) < ქართ. ბაყბაყ-დევ-ი „ზღაპრების პერსონაჟი: ყველაზე დიდი და საზარელი დევი“, იხ. **დაუ აყბაყ**/**დაუ მაყმაყ**

ბაშლყ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ბაშლაყ** (ლშხ.)/**ბაშლოყ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ბაშლაყ-ი/**ბაშლიყ-ი**, მოხ. **ბაშლუყ-ი**, აჭარ. **ბაშლუღ-ი** (< თურქ. **başlik** „თავსაბურავი“) „ყაბალახი“, შდრ. ზან. (მეგრ.) ბაშლაყვ-ი/**ბაშლაყ-უ**/**ბაშილაყ-ი**/**ბაშლაყ-გ**/**ბაშლაყ-ი**/**ბაშიაყ-უ**, ზან. (ლაზ.) ბაშლ-უ/**ბაშლუღ-ი**

ბაჩა (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. ბაჩა „საზოგადოდ ცხენის ეპითეტი“

ბაწ (ჩოლ.) < ქართ. ბაწარ-ი „სხვილი ღაზლი ქალამნისა“ (საბა), „მკედის უსხოთა და გრძელთა (საბელთა) ეწოდების ხეზი, ხეზისა უსხოსა – ბაწარი“, „წვრილი თოკი“

ბაჭაჭყ/**ბჭაჭყ**/**პაჭაჭყ** (ჩოლ.) „პატარა ბიჭი“ < ქართ. ბაჭაჭყ-ან-ა, ბაჭაჭყ-[ებ]-ი „წვრილი ბავშვები, – ბასარსხლები“

ბახ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. (იმერ.) ბახ-ი „უვარგისი ცხენი“

ბახსან (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ბახსან** (ბზ., ლნტ.) *ტოპ.* < ბაქსან-ი (< რუს. **Баксан**) „ქალაქი ყაბარდო-ბალყარეთში“

ბაგირ (ზს., ლნტ.)/**ბაგირ** (ლშხ.)/ **ბაგირ** (ჩოლ.) < ქართ. ბაგირ-ი „მსხვილი (დაგრეხილი) თოკი“

ბად (ზს., ლნტ.)/**ბად** (ლშხ., ჩოლ.) 1. „ბადე“, 2. ბქ., ქს. „ბადექონი“, 3. ბქ., ლნტ. „არამჭიდრო ქსოვილი“, 4. ლშხ. „ბუდე“ < ძვ. ქართ. ბადე „სათრომელი“, „კანკელი“, „სანადირო ბადე; ღობე“, ახ. ქართ. 1. „ძაფის (თოკის, მავთულის...) გამოყენებით ფარჩხატად ნაქსოვი (სხვადასხვა დანიშნულებისა“, 2. „თევზის (აგრეთვე – ფრინველის) საჭერი მოწყობილობა, ბადედ ნაქსოვი...“

ბადი (ბზ.)/**ბადიქონ** (ლშხ.) < ქართ. ბადე-ქონ-ი „ქონის ფენა (ბადე), რომელიც მუცლის არეში შიგნეულზეა შემოვლებული“ (შდრ. ზს., ქს. ღვესე, ბზ. ღუასე, უშგ. ღუშე, ფარ. ღოსე, ლხმ. ღესე, ლშხ. **ბადიღუესე**)

ბათინკ (ზს., ლნტ.)/**ბათინკ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბატინკ** (ჩოლ.) < ქართ. ბათინკა (< რუს. **Ботинка** „ყელიანი ფეხსაცმელი, ბოტი, შუზი“) „მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ჩვეულებისამებრ – თასმებით შესაკრავი)“

ბალინცა (ბზ.)/**ბალნიცა** (ბქ.)/**ბალნიცა** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბალნიცა (< რუს. **Больница**) „საავადმყოფო“

ბალიშ (ზს., ლნტ.)/**ბალიშ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბალიშ-ი (< სპარს. **bališ**) „ბუმბულით ან სხვა რბილი მასალით გავსებული თავქვეშ სადები (ჩვეულებისამებრ, ოთხკუთხა ფორმისა)“, შდრ. ბქ. [ჳ]ოთილ

ბან[1] (ლნტ.) „ბანი; უბანი“ < ქართ. ბან-ი „დატკეპნილი მიწის სწორი (ბრტყელი) სახურავი სახლისა თუ სხვა ნაგებობისა (ოდნავ უკან დაქანებული)“

ბან[2] (ზს., ლნტ.)/**ბან** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბან-ი „ხმის შეწყობა“ (საბა), „ხმა, რომელიც ეწყობა სიმღერას (გავრცელებული გაგებით – დაბალი, ბოხი ხმა)“

ბანგ (ზს., ლნტ.)/**ბანგ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბანგ-ი (< სპარს. **bang** „ჰაშიში“) „გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი“

ბანკ (ზს., ლნტ.)/**ბანკ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბანკ-ი (< ფრანგ. **banque**) „მსხვილი ფინანსური დაწესებულება, სადაც ხდება ფულადი სახსრების თავმოყრა, მისი წარმართვა მიმოქცევაში, საკრედიტო ოპერაციები და სხვ.“

ბაჲ (ზს.),„მდიდარი, შეძლებული“ *გადატ.* < ქართ. ბეი (< თურქ. **bej/beg** „ბატონი“) „ძველი თურქული ტიტული, ბატონი, უმაღლესი ოფიცრისა და მოხელის ტიტული“

ბაჲა (ბზ.)/**ბაჲა** (ლშხ., ჩოლ.) „ბზობა“ *რელიგ.* < ქართ. ბაია *ბოტ.* „დანაკვთულფოთლებიანი და ყვითელყვავილებიანი ბალახი“, შდრ. ძვ. ქართ. ბაია, ბაჲა „ფინიკი“

ბაჲრაბ (ზს.)/**ბაჲრაბ**/**ბაირაბ** (ზს., ლნტ.)/**ბაჲრახ**/**ბაირახ** (ლშხ.) < ქართ. ბაირაღ-ი (< სპარს. **bayrāḳ**) 1. „იგივეა, რაც დროშა“, 2. *ეკლ.* „ეკლესიის წმინდა დროშა, რომელზეც ქრისტე, ანგელოზები ან წმინდანია გამოხატული და რომელიც გამოიყენება დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჯვრით მსვლელობის დროს; ის აღნიშნავს მართლმადიდებლობის ამ ქვეყანაზე გამარჯვებას“

ბარ[1] (ზს., ლნტ.)/**ბარ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბარ-ი (< სპარს. **barū, bār, pār**) „ბრტყელი წვერმახვილი რკინის იარაღი, ხის ტარზე დაგებული (მიწის ჩასაჭრელ-გადასაბრუნებლად ან სათხრელად)“

ბარ[2] (ზს., ლნტ.)/**ბარ** (ლშხ., ჩოლ.) < ძვ. ქართ. ბარ-ი (< არაბ.-სპარს. **bār**) „დაბლობი, ვაკიანი ადგილი, ჩვეულებისამებრ – დასახლებული და სახნავ-მიწებიანი“

ბარგ[1] (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ., ჩოლ.) „ნადირის (ჯიხვი, არჩვი) ჯგუფი“ <

ქართ. ბარგ-ი (< სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი“) „მოძრავი ქონება (ავეჯი, ქვეშაგები და მისთ.), წასაღებად მომზადებული; ტვირთი...“

ბარგ[2] (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) *გადატ.* „მოკეთე, ახლო ნათესავი გვარში“ < ქართ. ბარგ-ი (< სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი“) „მოძრავი ქონება (ავეჯი, ქვეშაგები და მისთ.), წასაღებად მომზადებული; ტვირთი...“

ბარგ[3] (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) „ნივთები, ბარგიბარხანა“ < ქართ. ბარგ-ი (< სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი“) „მოძრავი ქონება (ავეჯი, ქვეშაგები და მისთ.), წასაღებად მომზადებული; ტვირთი...“

ბარგ-ნა-ბარგ (ზს.) „ბარგიბარხანა (ზედმიწ. – "ბარგ-ი-ნა-ბარგ-ი)“ < ქართ. ბარგ-ი (< სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი“) „მოძრავი ქონება (ავეჯი, ქვეშაგები და მისთ.), წასაღებად მომზადებული; ტვირთი...“

ბარდ (ზს., ლნტ.)/**ბარდ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბარდ-ი „ხვიარა მცენარის ღერო“

ბარიტ[1] (ლხმ.) < ქართ. ბარიტ-ი (< ბერძ. **barys** „მძიმე“) „მინერალი, ბარიუმის ბუნებრივი სულფატი“

ბარიტ[2]/**ბარიტ** (ლხმ.) „კარიერი; ადგილი, სადაც ბარიტის საწარმო იყო“ *ტოპ.* < ქართ. ბარიტ-ი (< ბერძ. **βαρύς** „მძიმე“) „მინერალი, ბარიუმის ბუნებრივი სულფატი“

ბარკ (ბქ.) < ქართ. საბარკულ-ი „საწვივე აბჯარი“ (საბა), საბარკალ-ი „მოკლე ხმალი, ცხენზე დასაკრავი“ (საბა)

ბარობ (ზს.)/**ბარობ** (ლნტ.) „ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ძველისძველი პერიოდი, როდესაც ზამთარი საერთოდ არ არსებობდა (ზედმიწ. – "ბარ-ობ-ა)“ < ქართ. ბარ-ი (< არაბ.-სპარს. **bār**) „ვაკე, დაბლობი“

ბასლი (ზს.) /**ბასილო** (ბქ.) /**ბასი** (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. ბასილ-ი (< ბერძ. **Βασίλειος** „მეფური, სამეფო“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბასრ (ზს.)/**ბრას{ლი}** (ჩოლ.) 1. „მჭრელი; ფოლადი“, 2. *გადატ.* „მარჯვე, მოხერხებული“ < ქართ. ბასრ-ი „მეტად მჭრელი, მახვილი“

ბაწ (ბზ., ლნტ.)/**ბაწ** (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ბატ-ი „მოზრდილი ფეხაკიანი ბოკვნისკარტა ფრინველი, გედზე მომცრო, – ღერღეტი“ (შდრ. ბზ. ღარღად, ბქ. ღარღად)

ბაწკ (ზს., ლნტ.)/**ბაწკ** (ლშხ., ჩოლ.) „მრგვლად შემწვარი გოჭი ან (იშვიათად) თიკანი“ < ქართ. ბატკ-ი 1. „ჩვილი თიკანი“ (საბა), 2. „შემოდგომაზე მოგებული საქონელი“

ბაწ (ზს.)/**ბაწ** (ლშხ., ჩოლ.) „ტყუილი“ < ქართ. ბაქ-ი „კვეხნა, ტრაბახი; უხეირო ქადილი, მუქარა“

ბაწკ (ზს., ლნტ.)/**ბაწკ-ერ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბაწკ/ბაწკ-ერ** (ჩოლ.) „ხიწვი; პატარა, წვრილი ბზარი, ნაპობი“ < ქართ. ბაწკ-ი „ხის გამხმარი წვრილი შტო“, იმერ. ბაწკვ-ი „წვრილი, სუსტი წნელის საბელი“, გურ. ბოწკ{ვ}-ი, აჭარ. ბაწკ-ი „მცენარის კვირტი“; ბაწკ-ი „სუსტი ძაფი“ (საბა), ქიზიყ. „დაძახული ან დაგრეხილი ძაფის ამოშლილი, ბუსუსივით წვრილი ძაფი“

ბაჯგ (ზს., ლნტ.)/**ბეჯგ** (ზს.)/**ბაჯგ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბიჯგ-ი „რისამე გასამაგრებლად შესადგმელი ძელი, – ბოძი“

ბარტყ (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ბარტყ-ი „გარეული ფრინველის მართვე“

ბებუთ (ზს., ქს.) < ქართ. ბებუთ-ი (< სპარს. **behbūd** „საომარი დანა“) „დიდი,

მოხრილი, უკეცი დანა“

ბებუ (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბებურ „მამაკაცის საკუთარი სახელი“ (შდრ. გვარი ბებურიშვილი)

ბეგარ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ბეგარა** (ქს.)/**ბეგარ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბაგარ** (უშგ.) „ბეგარა, გადასახადი“ < ახ. ქართ. ბეგარა, ძვ. ქართ. ბეგარ-ი (< სპარს. **bīgār/bīgārī**) „ხარკი; ნატურალური გამოსაღები“ (შდრ. ზს. **მაჴდა**)

ბეგი (ბქ., ჩოლ.)/**ბეგო** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბეგ-ი (< თურქ. **beg/bej**) „ბატონი“) *ძვ.* „ფეოდალი, ბატონი, მემამულე (თურქებში, აზერბაიჯანელებში)“

ბედ[17] (ზს., ქს.) 1. ბქ. „ბედი“, 2. ბქ., ლნტ. „მიზეზი, ბრალი“, 3. ბქ. „კვება“ < ქართ. ბედ-ი (< სპარს. **bäd**) „განგება, სვე, წერა; ხვედრი, იღბალი“ (შდრ. ბზ., ლნტ. **ტარ**)

ბედაურ (ზს.)/**ბედაურ** (ბქ.)/**ბედაურ** (ლშხ.) < ქართ. ბედაურ-ი (< არაბ.-სპარს. **badavī/bedoū** „ბედუინური“) 1. „კარგი მარბენალი, წვივმაგარი ცხენი“, 2. *გადატ.* „ჯიშიანი, კარგი, სანაქებო“

ბედი (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბედ-ი (< სპარს. **bäd**) „მამაკაცის მოფერებითი სახელი“

ბედ-იღბალ (ზს., ლნტ.)/**ბედ-იღბალ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბედ-იღბალ-ი „კარგი ბედი, კარგი ხვედრი“ < ქართ. ბედ-ი (< სპარს. **bäd**) „განგება, სვე, წერა; ხვედრი, იღბალი“ და იღბალ-ი „კარგი ბედი, კარგი ხვედრი“

ბედნიერა/ბედნიერა (ლნტ.) „საზეიმო სიმღერა“ < ქართ. ბედნიერ-ი „კარგი ბედის მქონე, – ბედკეთილი, ბედიანი, სვიანი, იღბლიანი“

ბედნიერობ (ბქ., ლნტ.) < ქართ. ბედნიერ-ებ-ა „დიდი სიხარულისა და სრული კმაყოფილების განცდა, – ნეტარება, ლხენა, სიამე...“

ბედნიერ/ბედნიარ/ბედნიერ (ბზ.)/**ბედნიერ** (ბქ., ქს.)/**ბედნიარ** (ბქ., ლნტ.)/**ბედნიერ** (ლშხ.)/**ბედინერ** (ლნტ.) < ქართ. ბედ-ნ-იერ-ი „კარგი ბედის მქონე, – ბედკეთილი, ბედიანი, სვიანი, იღბლიანი“ (შდრ. ზს. **ლგჱჰჯ** „ნეტარი“; ჩოლ. **ბედმაჩარ** „ბედნიერი, ბედის მქონე“)

ბედუშ (ლშხ., უშგ.) „დროულად (ზედმიწ. – ბედ-ით)“ *ზმნის.* < ქართ. ბედ-ი „განგება, სვე, წერა; ხვედრი, იღბალი“

ბეთლაჰმ (ბზ.) „ადგილი ეკლესიაში“ *რელიგ.* < ქართ. ბეთლემ-ი (< ებრ. **bethleem** ბეით-ლაჰემ „სახლი პურისა“) 1. „ბეთლემი არის ადგილი, ბიბლიის აღწერილობის მიხედვით, სადაც დაიბადა იესო ნაზარეველი“, 2. „ქალაქი პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციაში იუდეისა და სამარიის ტერიტორიაზე, იუდეის ისტორიულ ოლქში, ბეთლემის პროვინციის დედაქალაქი“

ბეიკ (ჩოლ.) 1. „საფურე დიდი ხბო“, 2. *გადატ.* „უწესო ქალიშვილი“ *ზოოლ.* < ქართ. ბოიკ-ი 1. „ორი წლის მოზვერი“, 2. ლეჩხ. „ზარმაცი, მოუქნელი“

ბელ (ზს., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. ბელ-ი „დათვის ნაშიერი“

ბელად (ზს., ქს.)[18] < ქართ. ბელად-ი (< აზერბ. **ბäläd** < არაბ.-სპარს.) 1. *ძვ.* „წინამძღოლი, მეთაური მებრძოლთა, მეამბოხეთა ჯგუფისა“, 2. „საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი საზოგადოებრივი მოძრაობისა, მიმდინარეობისა, პარტიისა, ხალხისა“

ბელტ (ქს., უშგ.) < ქართ. ბელტ-ი „მიწის მონაკვეთი, ჩვეულებისამებრ, ბარით ან სახნისით მოჭრილი“ (შდრ. ზს. **კიცხ**)

ბელტიყლაპიაჲ (ლშხ., ჩოლ.)/**ბელ-**

ტიყლაპიშ (ლნტ.) < ქართ. ბელტ-იყლაპ-ია 1. „ქართული ზღაპრების პერსონაჟი, რომელიც ბელტებს ყლაპავდა“, 2. *გადატ.* „იტყვიან ძლიერსა და ღონიერ ადამიანზე“

ბენდი ბოგ (ჩოლ.) < ქართ. ბონდ-ის ბოგა „მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი“

ბენდუ (უშგ.) < ქართ. ბონდ-ი „მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი“

ბენზინ (ზს., ქს.)/**ბინზილ** (ბქ.) < ქართ. ბენზინ-ი (< რუს. **Бензин** < ფრანგ. **benzine**) „ადვილად აალებადი მსუბუქი სითხე, რომელიც ნავთობის გამოხდით მიიღება“

ბენზინკალონკა (ზს., ქს.)/**ბენზიკალონკა** (ბქ.) < ქართ. ბენზინ-კალონკა (< რუს. **Бензоколонка** „ბენზინის სვეტი“) „ბენზინგასამართი სადგური“

ბენზოხერხ (ბქ.) < ქართ. ბენზოხერხ-ი „იგივეა, რაც დრუება“

ბენჩ (ჩოლ.) „მოზრდილი ნაფოტი“ < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., თუშ., ქიზიყ.) ბენჩ-ი „დიდი კუნძი, ნაფოტი“, შდრ. ბუნჩ-ი „ხმელი კუნძი“ (საბა)

ბეო (ჩოლ.) < ქართ. ბე „საწინდარი, გირაო“

ბეჟან (ზს., ქს.)/**ბეჟანა** (ლშხ.)/**ბეჟან** (ლნტ.)/**ბეჟი** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბეჟან-ი (< ძვ. ირან. **vejan** „ვეჯელი“, ანუ „ირანელი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბერ (ზს., ქს.) *რელიგ.* < ქართ. ბერ-ი „საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული“

ბერ-ბაპ (ბზ.) „ბერი და მღვდელი (ზედმიწ. – **"ბერ-პაპ-უ)**“ *რელიგ.* < ქართ. ბერ-ი „საეკლესიო ძმობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული“ და მეგრ.-ლაზ. პაპ-უ (< ბერძ. ***παππας***) „ბაბუა, პაპა; მოხუცი, ბერიკაცი“

ბერდენა (ბზ.)/**ბერდანა** (ბქ.)/**ბერდენა** (ლშხ., ჩოლ.)/**ბერდენა**/**ბერდენ** (ლნტ.) < ქართ. ბერდანა „ერთლულიანი თოფი“

ბერდია (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ბერდია (< თურქ.) „ღვთის ბოძებული“, „უფლის ნაჩუქარი“

ბერექეთ (ბქ.) „ხვავი, ყუათი, ბარაქა“ < ზან. (მეგრ.) ბერექეთ-ი (< თურქ. (< არაბ.) **bereket** „სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი“) „ბარაქა, ბარაქიანი“, შდრ., ასევე, მეგრ. ბერექ-ი/ბერექეთ-იან-ი, იხ. **ბარაქ**

ბერკილ (ზს., ლნტ.)/**ბერჭკილ**/ **ბერკჭილ**/**ბჭერკილ** (ბზ.)/**ბორკილ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ძვ. ქართ. ბორკილ-ი (< მეგრ. **ბორკ-ი** „ფეხი“) „ჯაჭვით შეერთებული რკინის რგოლები, რომელთაც ხელებზე ან ფეხებზე ადებდნენ შეპყრობილ მძიმე დამნაშავეებს; თოკი, ჯაჭვი და მისთ.“ (შდრ. ზს., ქს. ჯულ; ჩოლ. საჭიმ)

ბერძეგენ (ლშხ., ჩოლ.) „მდიდარი“ < ქართ. (გურ., რაჭ.) ბერძეგან-ი (< სპარს. **bezirgin**) „შეძლებული, მდიდარი“, შდრ., ასევე, ბეზირგან-ი „დიდი ვაჭარი, გამყიდველი, ქუჩაში წვრილმანებით მოვაჭრე“

ბერძენ (ზს., ქს.)/**ბერზენ** (ბზ.)/**ბერზემ**/**ბერძემ** (ლხმ.) < ქართ. ბერძენ-ი „ბერძენთა ეთნოსის წარმომადგენელი, საბერძნეთის მოსახლეობის ქართული სახელწოდება“

ბესა[1] (ჩოლ.) „დუღაბის დასაყენებელი ხით მოპირკეთებული ორმო“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ბესა „კარტოფილის შესანახი მშრალი ადგილი მიწაში“

ბესა[2] (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბესა (< ქართ. ბესარიონ-ი < ბერძ. **Βησσαρίων** „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“) „მამაკაცის

საკუთარი სახელი“, იხ. **ბესარიონ/ბესი/ბესო**

ბესარიონ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ **ბესარიონ** (ზს.)/**ბესარ** (ბქ.)/**ბესარიო** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ. **Βησσαρίων** „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბესი (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ბესარიონ-ი (< ბერძ. **Βησσαρίων** „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბესო (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ბესო (< ბესარიონ-ი < ბერძ. **Βησσαρίων** „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბეტონ (ზს., ქს.)/**ბიტონ** (ლნტ.) < ქართ. ბეტონ-ი (< ფრანგ. **béton** „ხელოვნური ქვა, ერთ-ერთი ძირითადი სამშენებლო მასალა“) „საშენი მასალა – ცემენტის დუღაბში არეული ღორღი, ხრეში და სხვა, რომელიც გაშრობისთანავე მეტად მყარი ხდება“

ბექა (ზს., ქს.)/**ბექჳა** (ბზ., ჩოლ.)/ **ბექჳ** (ბქ.) *ანთრ.* < ძვ. ქართ. ბექა (< თურქ. **beg/bej** „ბატონი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბექი (ბქ.)/**ბექიაჲ** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ბექ-ი < ძვ. ქართ. ბექა (< თურქ. **beg/bej** „ბატონი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ბექმგრზა/ბექმურზა (ზს.) *ზედმიწ.* – **ბეგ-მირზა** < ძვ. თურქ. **beg** (/bej) „ბატონი“ + არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ (ყარაჩაულ-ბალყარულის მეშვეობით)

ბექგრბი (ზს., ქს.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ *ანთრ.* < ყარაჩ.-ბალყ. **bij** < თურქ. **beg** (/bej) „ბატონი“

ბელელ (ზს., ქს.) 1. ზს., ქს. „ბელელი“, 2. ლხმ. *გადატ.* „ახმახი, ვეებერთელა“ < ქართ. ბელელ-ი „პურეულის (პურის, ქერის, ჭვავის, ფეტვის...) შესანახი ნაგებობა, უმთავრესად ხისა; ჭირნახულის შესანახი შენობა“, შდრ. სპარს. **bayil** „ბოსელი, საბროხე“

ბელურაჲ (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ბელურა „პატარა ნაცრისფერი ჩიტი ბელურასნაირთა რიგისა; მკვიდრი (არაგადამფრენი) ფრინველი“ (შდრ. ბქ. **შგჳნდჳალ**)

ბეყუ (ჩოლ., უშგ.) < ქართ. ბოყვ-ი 1. „ხის ქერქის ჭურჭელი (პატარა კალათივით)“, 2. „მომცდარი ნაყოფი ტყემლისა ან ქლიავ-ღოღნოშოსი“

ბეში (ჩოლ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ *ანთრ.* < ქართ. ბეშ-ი (< თურქ. **beş** „ხუთი) „კამათელზე დამჯდარი ხუთიანი ნარდის თამაშში“

ბეჩო (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) ბეჩო „დათვის ბუნაგი“, შდრ. ზან. (მეგრ.) ბეჩო/ბეჩუ, ბეჩოლა „გამოქვაბული, ღრმული“

ბეწუ (ზს., ქს.) < ქართ. ბეწვ-ი 1. „თმის მსგავსი ამონაზარდი, რომლითაც დაფარულია ცხოველის ტყავი“, 2. „ზოგი გარეული ცხოველის (ნადირის) რბილი და მაღალბეწვიანი ტყავი, რომლისგანაც სათანადო დამუშავების შემდეგ ამზადებენ თბილ ტანსაცმელს“, 3. „ერთი ღერი თმა ან ბალანი...“

ბეჭედ/ბეჭეტ (ზს., ქს.)/**ბეჭელ** (ლხმ.) 1. „ბეჭედი (თითის სამკაული)“, 2. „ოფიციალური ნიშანი საბუთებზე“, 3. „ნიშანი“ < ქართ. ბეჭედ-ი (< სპარს. **pečit** „ხვეული, რკალი“) 1. „სამკაული, თითზე ჩამოსაცმელი ძვირფასი ლითონის ან სხვა მასალის რგოლი“, 2. „სპეციალურად დამზადებული პატარა ხელსაწყო, რომლითაც ხდება ოფიციალური საბუთების დამოწმება“ (შდრ. ზს. **მგსკჳდ**, ლნტ. **მგსკჳტ**, ჩოლ. **მგსკატ**)

ბეხრეკ (ზს., ქს.) < ქართ. (ფშ., მთიულ., ქართლ.) ბეხრეკ-ი „ბებერი და გამხდარი, სიბერისაგან ღონეგამოლეულილი (პირუტყვი)“

ბეჯით (ზს., ქს.) < ქართ. ბეჯით-ი „ვინც შრომას არ გაურბის, ვინც საქმეს გულმოდგინედ და სინდისიერად აკეთებს, – დაუზარელი, გულმოდგინე, მუყაითი, მეცადინე...“ (შდრ. ზს., ლშხ. **ლუუზერე/ლჳზერე**, ლნტ. **ლუ[ჳ]ზერე**, უშგ. **ლჳზარე**)

ბეწუშ (ლშხ.) „ძლივს, ვაივაგლახით (ზედმიწ. – ბეწვ-ით)“ *ზმნის.* < ქართ. ბეწვ-ი „თმის მსგავსი ამონაზარდი, რომლითაც დაფარულია ცხოველის ტყავი...“

ბზიკ/ბიზიკ (ბზ.) *ზოოლ.* < ქართ. ბზიკ-ი „დიდი მკბენარი ბუზი, – ბუზანკალი“ (შდრ. ბზ. **ღაზუ**, ბქ. **ღაზუ**, ლხმ. **ღარზუ/ღარზუ**, ლშხ. **ღეზუ**, ლნტ. **ღაძუ**; ბქ. **ლაღარზ** „ბზიკი, ბუზანკალი“)

ბზულ (უშგ.) < ქართ. ბზუ-ილ-ი „სახელი ბზუის ზმნის მოქმედებისა, – ბზუკუნი“, *გადატ.* „ზუზუნი“, იხ. ლი-ბზულ-ი

ბია (ზს., ქს.) *მოტ.* < ქართ. ბია „გარეული კომში“

ბიაზ (ზს., ქს.) < ქართ. ბიაზ-ი < რუს. **Бязь** „ნარმა“

ბიასლან (ზს.)/**ბასლან** (ლნტ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ *ანთრ.* < ძვ. თურქ. **beg** (/**bej**) „ბატონი“ და **arslan** (ყარაჩაულ-ბალყარულის მეშვეობით) „ლომი; გმირი, გოლიათი, დიდი“

ბიბილ (ჩოლ.) < ქართ. ბიბილო 1. „წითელი ბრტყელი და დაკბილული ხორცოვანი ამონაზარდი ზოგი ფრინველის თავზე“, 2. „უხრტილო ბრტყელი ჩამონაზარდი ადამიანის ყურისა“

ბიბლიოთეკა (ზს., ქს.) < ქართ. ბიბლიოთეკა (< ბერძ. **βιβλιοθήκη** < **βιβλίον** – წიგნი; ბერძ. **θήκη** – საცავი) „დაწესებულება, სადაც თავს უყრიან წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს საზოგადოებრივი სარგებლობისათვის, – წიგნთსაცავი“

ბიზუნ (ჩოლ.) „დიდი მარხილი თივისა“ < ქართ. ბიზოვან-ი „თივა აბრეშუმის მსგავსი“

ბითო (ჩოლ.) < ქართ. ბოთე „უჭკუო და არას მაქნისი, – დოყლაპია“

ბიკენჩხაჭლ (ბზ.)/**ბიკენჩხალ/ბიკუნჩხალ/ბიკგნჩხალ** (ლშხ.)/**ბიკინჩხაჭლ** (ლნტ.) *მოტ.* < ქართ. ნეკერჩხალ-ი „ფოთლოვანი ხე“ (შდრ. ზს., ქს. **თეკრა**, ლშხ. **თეკერ**; ზს. **ფეხურა**, ბქ., ლშხ. **ფიხურა**)

ბილეთ (ზს., ქს.) < ქართ. ბილეთ-ი (< ფრანგ. **billet**) 1. „პატარა ფურცელი ან ბარათი, რომელიც იძლევა სადმე შესვლის, რაიმეთი მგზავრობის, რისამე მიღების უფლებას“, 2. „საბუთი (წიგნაკი), რომელიც ადასტურებს, რომ მისი მფლობელი ეკუთვნის რაიმე ორგანიზაციას...“

ბიმბილ (ზს., ქს.)/**ბიმბაჭლ** (ბზ.)/**ბიბილ** (ლნტ.)/**ბინბილ** (უშგ.) 1. „ბიბილო“, 2. ბქ. „კიტიტი (თხისა)“, 3. ქს. „მარცვალი (ყურძნისა ან რომელიმე მცენარისა)“, 4. „მძივები, სათამაშოები (ბავშვის ენაზე)“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ბიმბილ-ი „თხმელისა და თხილის ყვავილი“

ბინა (ზს., ქს.) < ქართ. ბინა (< არაბ.-სპარს. **binā'ī**) „ცალკე საცხოვრებელი სადგომი (შენობაში, სახლში); დროებითი სამყოფი, დასადგომი, თავშესაფარი, ღამისსათევი ადგილი, – სამყოფელი...“ (შდრ. ზს. **სადგუმ**)

ბინტ (ზს., ქს.) < ქართ. ბინტ-ი (< გერმ. **binde**) „ვიწრო გრძელი ნაჭერი რბილი თეთრი ქსოვილისა (ჩვეულები-

სამებრ – მარლისა); გამოიყენება ჭრილობის, ნაღრძობის... შესახვევად“

ბინტყილ (ზს., ლნტ.)/**ბინტყილ** (ბქ.)/**ბუნტყულ** (ლშხ.)/**ბინტყუილ** (ჩოლ., უშგ.)/**ბინტყოლ** (ლხმ.) „ბუმბული“ < ქართ. ბურტყლ-ი „მსხვილი ბუმბული“ (საბა)

ბინულ (ბზ., ლშხ.)/**ბინილ** (ლნტ.)/**ბინუილ** (უშგ.) < ქართ. ბინულ-ი „წყარო“, *გადატ.* „წყაროს წყალი“ (შდრ. ზს., ლნტ. **სარაგ**, ლშხ. **სარაგ**; ზს. **მაზუაბ**, ბქ. **მაზუაბ**, ლშხ. **მაზუებ**; ბქ. **წუიდ**)

ბინძურ (ზს., ქს.)/**ბინძუირ** (ბზ.) < ქართ. ბინძურ-ი 1. „მეტისმეტად უსუფთაო, ჭუჭყიანი; დანაგვიანებული“, 2. *გადატ.* „ბილწი, საზიზღარი“, 3. *გადატ.* „უკეთურო, უმსგავსი, შეურაცხმყოფელი“

ბირდაბირ (ჩოლ.) < ქართ. ბირდაბირ-ი (შდრ. თათრ. **bir** „ერთი“) „განის დიდი ხერხი“

ბირდუ (ჩოლ., უშგ.) < ქართ. ბურდი/ბურდა „გაუვალი ბუჩქნარი, ჩირგვი; ბარდი“

ბირისუ (უშგ.) < ქართ. ბურუს-ი „ჯანღი; ნისლი“

ბირლუ (ბზ., ლშხ.)/**ბურლუ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბურღ-ი (< სპარს.-თურქ. **būryī**) „იარაღი, რომლის ბრუნვითაც ხვრეტენ რაიმე საგანს“

ბირწამალ/**ფირწამალ**/**პირწამალ** (ბზ.)/**ბირწამალ** (ბზ., ლშხ.)/**პირწამალ** (ბქ.)/**ფირწამალ** (ლშხ.)/**პირწამალ** (უშგ.) უშგ. „საპირისწამლე“ < ძვ. ქართ. პირის-წამ-ალ-ი „კაეიანი თოფის ფალიაზე მოსაყრელი წამალი“, იხ. **საბგრწმარ**

ბირჯუ (ბზ., ჩოლ.) „ხიდის ბურჯი“ < ქართ. ბურჯ-ი (< არაბ.-სპარს. **burǰ** „კოშკი, ბურჯი, ციხე-სიმაღლე“ < ბერძ. **πύργος** „ციხე-სიმაგრე, ბურჯი“) „ხიდის საყრდენი (ქვიტკირისა)“

ბისისუ (უშგ.) < ქართ. ბუსუს-ი 1. „წვრილი, ნაზი ბეწვი ადამიანის ან სხვა ცოცხალი არსების სხეულზე, – გინგლი, ღინღლი“, 2. „გინგლი ზოგ ხილსა და ბალახზე“, 3. „ქსოვილის ან ქაღალდის ხაო“

ბიტონ (ზს., ქს.) < ქართ. ბიდონ-ი (< ფრანგ. **bidon**) „ლითონის სახურავიანი ჭურჭელი სითხეების შესანახად“

ბიფხ (ზს., ქს.) 1. „ნამი, ცვარი, წვეთი“, 2. გამოიყენება გამოთქმაში: **ბიფხდ ლიგნე** „სწრაფად განკურნება; დასუფთავება“ < ქართ. ფიფქ-ი „თოვლის კრისტალი“

ბიცოლა (ზს., ქს.)/**ბიცოლა-ი** (ჩოლ.) < ქართ. ბიცოლა „ბიძის ცოლი, – ძალუა“

ბიძაშუილ (ზს., ქს.) < ქართ. ბიძაშვილ-ი „მამის ან დედის ძმის შვილი, – ბიძის შვილი“ (შდრ. ბქ. **ბუბაშგეზალ**)

ბიძაშუილობ (ზს., ქს.) < ქართ. ბიძაშვილ-ობ-ა „ბიძაშვილთა ნათესაობა, ბიძაშვილების ნათესაური დამოკიდებულება“

ბიძჳი (ბზ., ჩოლ.)/**ბიძაი** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბიძა „იგივეა, რაც ბიძია“ (შდრ. სვან. **ბუბა**)

ბიძგ (ზს., ქს.) < ქართ. ბიძგ-ი 1. „ხელის ან მხრის კვრა“, 2. „ერთბაშად შეძვრა, შერყევა რისამე“

ბიწჳლ (ზს.)/**ფიწჳლ** (ბზ., ლნტ.)/**ბიწჳრ** (ბქ.)/**ფირწალ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბირწჳლ**/**ფიწჳლ** (უშგ.) < ქართ. ფიწალ-ი „თითებებიანი ნიჩაბი“ (საბა), ბზის გასანიავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი“

ბიჭ (ზს.) < ქართ. (ხევს.) ბიჭ-ი „ნაბიჭვარი“

ბიჭბაჭუაი (ჩოლ.) < ქართ. ბიჭ-ბუჭ-[ებ]-ი „პატარა ბიჭები“

ბიჭუჭ (ჩოლ.) „პატარა ბიჭი“ < ქართ.

ბიჭბუჭ-ი „პატარა ბიჭები“

ბიჯ (უშგ.) < ქართ. ბიჯ-ი „ფეხის ერთი გადანადგამი, – ნაბიჯი“

ბიჯაჲ (ჩოლ.) *ბავშ. მეტყ.* < ქართ. ჯიბე (< სპარს. **جیب** < არაბ.) „ზედა ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი ფულის, ცხვირსახოცის და მისთ. ჩასადებად“

ბიჯ-ბიჯუშ (ჩოლ.) „ნაბიჯ-ნაბიჯ (ზედმიწ. – **ბიჯ-ბიჯ-ით*)“ *ზმნის.* < ქართ. ბიჯ-ი „ფეხის ერთი გადანადგამი, – ნაბიჯი“

ბლაგუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბლაგვ-ი „ჩლუნგი, დაჩლუნგებული“ (შდრ. ზს., ლშხ. **ლუურე**, ბზ., ლშხ., ჩოლ. **ლუუერე**, ლნტ. **ლუუერე**)

ბლინ (ზს., ქს.) < ქართ. ბლინ-ი (< რუს. **блин**) „წყალში გაქნილი ფქვილისაგან ტაფაზე (ცხიმში) შემწვარი თხელი ლავაში“

ბლიუ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ბლუუ** (ზს., ქს.) „მუნჯი“ < ქართ. ბლუ „ენის ბორძიკით, ენის მოკიდებით მოლაპარაკე, – ბრკუ, ენაბრგვილი, ენაჩლუნგი“ (შდრ. ზს. **ბგკრა**, ჩოლ. **ბეკრაი**)

ბლოკნოტ (ზს., ქს.)/**ბლოკნეტ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ბლოკნოტ-ი (< ფრანგ. **bloc-notes**) „სახელდახელო შენიშვნების ჩასაწერი რვეული ან წიგნაკი“

ბლრყ (ჩოლ.) „გულისრევა“ < ქართ. ბლოყინ-ი „ჯუჭში დაგროვილი აირის გამოყოფა პირის ღრუდან მცირედი ხმაურის თანხლებით, – ბოყინი“

ბნელ (უშგ.)/**ბლენ** (ლხმ.) < ქართ. ბნელ-ი „... სინათლეს მოკლებული; სიბნელე, წყვდიადი“ (შდრ. ზს. **მუბ[უ]ირ**, ლშხ., ჩოლ. **მუბურ**)

ბოგ (ზს., ქს.) < ქართ. ბოგა „პატარა ხიდი“

ბოგირ (ლნტ., უშგ.) < ქართ. ბოგირ-ი „ხის პატარა ხიდი“

ბოდიშ (ზს., ქს.)/**ბრდიშ** (ბზ.) < ქართ. ბოდიშ-ი „წუხილის გამოთქმა, პატიების თხოვნა თავისი შეუფერებელი საქციელისა თუ სიტყვის გამო“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **თაბუ**, ბქ., ლნტ. **თაბუ**)

ბოზ (ზს., ქს.)/**ბეზუ** (ზს.) < ქართ. ბოზ-ი „ცუდი ყოფაქცევის ქალი, – მეძავი, როსკიპი, კახპა“ (შდრ. ზს. **ქა მეშყდე**)

ბოზალი (ბზ.)/**ბომალ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბომბლ** (ლნტ.)/**ბოზბალ** (უშგ.) 1. „სამკაპა [კელაპტარი], ანუ სამი ღერი“, 2. „ორკაპა ხე“ < ძვ. ქართ. ბომალ-ი „ორწვერა ისარი“, ახ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) „ორკაპა ხე“, შდრ. ზან. (მეგრ.) **ბორძალ-ი**

ბოთლ (ქს., უშგ.)/**ბოთ** (ლშხ.)/**ბოთრ** (ლნტ.) < ქართ. ბოთლ-ი (< ინგლ. **bottle** < ფრანგ.) „მომცრო ვიწროყელიანი ჭურჭელი შუშისა ან სინთეტიკური მასალისა სითხისათვის“

ბოთლიკ (ზს.) < ქართ. ბოთლ-იკ-ა/**ბოთლ-უკ-ა** (< რუს. **бутылка** „ბოთლი“) *კნინ. ფ.* „პატარა, ლამაზი ფორმის ბოთლი“

ბოიკ (ლშხ., ჩოლ.) „მოზრდილი დეკეული“ *ზოოლ.* < ქართ. (თუშ., რაჭ., იმერ.) ბოიკ-ი „ორი წლის მოზვერი“ (საბა)

ბოლ[1] (უშგ.) < ქართ. ბოლო „რისამე ზღვარი, რითაც ან სადაც რამე თავდება, დასასრული, დაბოლოება; კიდე...“ (შდრ. ზს. **ჰოკერ**, ქს. **უოკერ**; უშგ. **ლაშდაბ**)

ბოლ[2] (ზს., ქს.) < ქართ. ბოლ-ი „რისამე წვის შედეგად გამოყოფილი აირადი ნივთიერება, რომელიც ჰაერში თეთრად (უპირატესად) ან მონაცრისფროდ ჩანს“ (შდრ. ზს., ლნტ. **კუბამ**, ლშხ., ჩოლ. ლნტ.)/**კუბამ**; ბზ. **დინდგუ**, ჩოლ. **დუნდგუირ**; ბქ. **ზინჯ**)

ბოლეკ (ზს., ლნტ.)/**ბოლოკ** (ლშხ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. ბოლოკ-ი „ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე (ჯვაროსანთა ოჯახისა)“

ბოლშეურიკ (ზს., ქს.) /**ბოლშეიკ** (ჩოლ.) < ქართ. ბოლშევიკ-ი (< რუს. **большевик**) „ბოლშევიზმის მიმდევარი, – კომუნისტი“

ბოლშეურიკობ (ზს., ქს.)/**ბოლშეიკობ** (ჩოლ.) < ქართ. ბოლშევიკ-ობ-ა (< რუს. **большевик**) „ბოლშევიკად ყოფნა, ბოლშევიზმის მიმდევრობა“

ბომბ (ზს., ქს.) < ქართ. ბომბ-ი (< რუს. **Бомб** < ფრანგ. **bombe**) 1. „ასაფეთქებელი ნივთიერებით (ანდა ცეცხლგამჩენი ან ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით) დატენილი ჭურვი სხვადასხვა ფორმისა და სიდიდისა“, 2. „საარტილერიო ჭურვი (ყუმბარა)“

ბონა (ბზ.) < ძვ. ქართ. ბონ-ი (< ფრანგ. **bon** „ტალონი, ჩეკი“) „დროებითი ქაღალდის ფული, სახელმწიფო ბანკის მიერ არაუზრუნველყოფილი. || *გადატ.* ფასდაკარგული, გაუფასურებული ქაღალდის ფული“, ბონა „მთავრობის ან კორპორაციის მიერ გავრცელებული სერთიფიკატი, რომელზეც აღნიშნულია სესხის რაოდენობა, გადასახდელი პროცენტები, გადახდის ვადა და ვალის გადახდის დამატებითი გარანტიები“

ბონდ[ი ბოგ] (ლშხ.) *ზედმიწ.* – **ბონდ-ი[ს] ბოგა** < ქართ. ბონდ-ი „მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი“

ბორიო/ბორია (ჩოლ.) „ძლიერი ქარი“ < ძვ. ქართ. ბორია-[ა] „ქარი იგი ჩრდილოასაჲ“, ახ. ქართ. ბორიო „ცივი ძლიერი ქარი (ჩრდილოეთისა)“, კუთხ. ბორია „სიო, ნიავი“

ბოროტ (ზს., ქს.)/**ბორეტ** (ბზ., ლნტ.) < ქართ. ბოროტ-ი (< სომხ. **բռըռտ** „კეთროვანი, ქეციანი“ < ფალ. **bōr**) „ცუდი რამ, სიავე, ჭირი, უკეთურება, – ბოროტება“ (შდრ. ბქ. **ᲮᲝᲚᲣᲠᲪᲣᲮ**)

ბორჯ (უშგ.) < ქართ. ბორჯ-ი „მორიგეობის დრო, – ჯერი, რიგი, ვადა“

ბორჯღალ (ბზ.)/**ბორჩხალ/ბორჩხალაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბორშხალაი** (ჩოლ.) „ხშირტოტებიანი ხე“ < ქართ. ბორჯღ[ა]ლ-ი „მსხვილი ტოტის განაყოფი (საბა), – გაშლილი, გაბარჯღული ტოტები||ტოტებად გაშლილი (ხე, რქები)“, იმერ. ბორჩხალ-ა, აჭარ. ბორჯღლ-ა/ბორჯღლ-ი, შდრ. იმერ. ბორძღალო

ბოსელ (ლნტ.) < ქართ. ბოსელ-ი „მსხვილფეხა რქიანი საქონლის სადგომი“ (შდრ. ზს. **ლაკუმაშ**, ლშხ. **ლაკუმაშირ**, ლნტ. **ლაკუმაშ**; ბქ. **ლამგრგარ/ლამგნგარ**)

ბოსლობ (ლნტ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისთვის განკუთვნილი დღესასწაული“ *რელიგ.* < ქართ. ბოსლობა „საგანგებო წეს-ჩვეულება, რომელსაც ასრულებდნენ ზამთრის მიწურულს (ხორციელის ხუთშაბათს), ხონჩაზე დაწყობილი ხაჭაპური და ქონის ნაჭრები მიჰქონდათ ბოსელში; ქონს საქონელს ზურგზე უსვამდნენ: ასე გასუქდიო! მერე საჭმელს შეექცეოდნენ და იძახდნენ: „ბოსელ-ბოსელ, ბუო!“

ბოტა (ზს.)/**ბოტ** (ქს.)/**ბეტუ** (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. ბოტ-ი „დაუკოდავი მამალი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი; ვაცი“

ბოქაულ (უშგ.) < ქართ. ბოქაულ-ი (< თურქ.-მონღ. **ბუქაულ** „მნე“) „პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი ქალაქში ან მაზრის ნაწილი (რაიონი) სოფლად“

ბოქლომ (ზს., ქს.)/**ბოქულემ** (ბზ.)/**ბოქლემ** (ლნტ.) < ქართ. ბოქლომ-ი (<

ბერძ. λουκέτο) „ჩამოსაკიდებელი საკეტი რკინისა (შდრ. ქართ. კლიტე)“

ბოლომ/ბოლუელ (ჩოლ.) *გადატ.* „მდიდარი, ძლიერი, ქონებიანი“ < ქართ. (იმერ., გურ., აჭარ.) ბოღოზ-ი „მსუქანი, ნოყიერი (მიწა)“, შდრ. ზან. (მეგრ.) ბუღაზ-ი/ბოღოზ-ი/ბოღაზ-ი „მდიდარი; მაძღარი; მსუქანი, ნოყიერი; ბარაქა, სიუხვე“

ბოყორაჲ (ჩოლ.) 1. „დიდი და მსხვილი საგანი“, 2. „მსუქანი დედალი“ < ქართ. (ოკრიბ.) ბოყოლა „უშნო ფართო სასმისი“

ბოყუ{ილ} (ლშხ.) < ქართ. ბოყვ-ი „ხის ქერქის ჭურჭელი (პატარა კალათივით)“

ბოჩიკ (ლშხ., ჩოლ.) „წვრილფეხა, მდარე საქონელი/პირუტყვი“ *ზოოლ.* < ქართ. ბოჩიკ-ი „წლის ირემი“ (საბა), რაჭ., აჭარ., ქიზიყ., ქართლ. ბოჩიკ-ი/ბოჩიკ-ა „ზამთარგამოვლილი ხბო“

ბოწუნწ (ბზ.) < ქართ. ბუწუწ-ი „ცუდი და თხელი თმა“, შდრ. ზან. (მეგრ.) ბოწოწ-ი[19] „ბეწვი, ბუწუწი“

ბოძალშუკუ (ლშხ.) „გზაჯვარედინი (ზედმიწ. – *ბოძალ-ი შუკა)“ < ძვ. ქართ. ბოძალ-ი „ორწვერა ისარი“, ახ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) „ორკაპა ხე“ და ძვ. ქართ. შუკა „ვიწრო ქუჩა“, იმერ., გურ. „ორღობე“ (შდრ. ზს. შუკულაჭარ; ზს., ლნტ. შუკულაყულა, ლშხ. შუკულაყულა)

ბოჭკა (ზს., ქს.) < ქართ. ბოჭკა (< რუს. **Бочка** „კასრი“) „ხის (ან ლითონის) დიდი ჭურჭელი ცილინდრული ფორმისა, ბრტყელი ძირითა და თავით, სითხის ჩასასხმელად ან ფხვიერი ნივთიერების ჩასაყრელად, – საგომელა“ (შდრ. ზს., ლშხ. ნეღარ; ბქ. რაყ; ბზ. ლაურაშ, ბქ. ლაურაშ)

ბოხ (ზს., ქს.) < ქართ. ბოხ-ი „დაბალი მსხვილი ხმა (მამაკაცისა)“

ბოხრიკ (ჩოლ.) „გამხდარი პირუტყვი“ < ქართ. (მოხ., მთიულ.) ბოხიკ-ი „ძალიან გამხდარი პირუტყვი“, გურ. ბოხ-ორ-იკ-ა-ი „ძალზე გამხდარი და მაღალი (კაცი)“, აჭარ. ბოხრიკ-ი „მსხვიფეხა საქონელი“, შდრ. ქართ. ბეხრეკ-ი 1. „ბეჭერი და გამხდარი, სიბერისაგან ღონეგამოლეული (პირუტყვი)“, 2. „საერთოდ, ბეჭერი“ (შდრ. ბზ. ჩხონკ, ჩოლ. ჩხუნკ; ბქ. ლუჩხორკე/ლულორკე; ჩოლ. ღრანკ)

ბოხუეხ (ბზ., ლნტ.)/ბობეხ (ბქ.)/ბოხოხ/ბოხოხა (ლხმ.)/ბოხოხ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბოხოხ-ი „ფაფახი; კრაველის ქუდი“

ბრრია (ჩოლ.)[20] „ქარბორია, იგივეა, რაც ბორიო“ < ძვ. ქართ. ბორია-[ჲ] „ქარი იგი ჩრდილოჲსაჲ“, ახ. ქართ. ბორიო „ცივი ძლიერი ქარი (ჩრდილოეთისა)“, შდრ. ზს., ლნტ, ჩოლ. ბიქუ, ბზ. ბუქ{უ}, ლშხ. ბუქ{უ} „ქარი; ქარიშხალი“; ჩოლ. ბარძეუა; უშგ. მაოტა)

ბჟირ (ლნტ., უშგ.) < ქართ. ბჟირ-ი „ფშუტე, უგულო მარცვალი, ფეტვი ან პურეული“

ბჟიტ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. ბჟიტ-ი „ბატის, იხვისა და მისთ. წიწილა, – ჭუჭული“

ბრანგუ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ძვ. ქართ. ბრანგუ-ი „დათვი წლისა-წლინახევრისა“ (შდრ. ზს., ქს. ბელ)

ბრანძ (ჩოლ.) „მეძავი“ < ქართ. (ლეჩხ.) ბრანძ-ი/ბრანძვ-ი „როსკიპი“ (შდრ. ბზ. მექჳდუნჳლ, ბქ. მექადუნალ)

ბრაზ (ზს., ლნტ.)/ბრაზ (ბზ., ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ბრაზ-ი „ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა, გახელება“ (შდრ. ზს., ლნტ. ხგრ, ლშხ., ჩოლ. ხგრ)

ბრაზიან/ბრაზიან (ზს., ლნტ.)/ბრა-

ზიან (ლშხ.) < ქართ. ბრაზ-იან-ი „ბრაზით აღსავსე; ძალზე გაჯავრებული, ძალზე გულმოსული; ცოფიანი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ლგფჭეთე, ბქ. ლგფეთე; ბზ., ჩოლ. **ხირნჯი**)

ბრჯლ (ზს., ლნტ.) /**ბრალ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბგრალ** (უშგ.) < ქართ. ბრალ-ი „დანაშაული, შეცოდება; ბრალდება“ (შდრ. ბზ. **ტჯრ**, უშგ. **ტარ**)

ბრეკ (ლშხ., ჩოლ.) „კლდოვანი ადგილი, – ქანობი“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ბრეკ-ი „იგივეა, რაც მართებული ბექი; გორაკი“

ბრელ (ლშხ., ჩოლ.)/**ბრელო** (ლშხ.) < ქართ. ბრელო 1. „ბუჩო, თივის (ჩალის) ნაფშვენის წვრილი ნაწილაკები“, 2. ლეჩხ. „ღომის ან ზანდურის ნაცეხვი ქატო“, იმერ. „სიმინდის მარცვლის კანი, ცეხვის დროს რომ შორდება“ (შდრ. ლხმ. **ფიქშირ**)

ბრეი (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., აჭარ., მთიულ., ქიზიყ., კახ.) ბრე „მტვერი ბზენარევი“ (საბა), 2. გურ. „ღომის ნაცეხვი“, ინგ. ბრე-ი

ბრილიანტ (ზს., ქს.)/**ბრილიჯნტ** (ბზ.) < ქართ. ბრილიანტ-ი (< ფრანგ. **brillant** „ბრწყინვალე“) „ძვირფასი ქვა, – მრავალწახნაგად თლილი ალმასი (იხმარება სამკაულად)“

ბრინჯ (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. ბრინჯ-ი (< სპარს. **birinǯ**) „პურეული მცენარე (მარცვლოვანთა ოჯახისა); მოჰყავთ ტენიან ადგილებში“, შდრ. ლაზ. ბ[რ]ინჯ-ი

ბრინჯაო (ზს., ქს.)/**ბრინჯაუო** (ბქ.) < ქართ. ბრინჯაო (< სპარს. **birinǯ**) „სპილენძის შენადნობი სხვა ლითონებთან..., – რვალი“

ბრინჯაუეფერიშ (ბზ.)/**ბრინჯაოშფერიშ** (ბქ.) < ქართ. ბრინჯაო-ს-ფერ-ი „მოყავისფრო, მოშინდისფრო“

ბრიყუ (ზს.) < ქართ. ბრიყვ-ი „სულელი, რეგვენი, უმეცარი; გაუთლელი, უზრდელი, ხეპრე“ (შდრ. ბქ. **უხლა** „უცოდინარი“)

ბრიხბრუხ (ზს.)/**ბრახბრუხ** (ქს.) *ხმაბაძვ.* < ქართ. ბრახაბრუხ-ი „ძლიერი ბრახუნი (ნაწყვეტ-ნაწყვეტად)“, შდრ. ბზ. **შყიბბშყბ**

ბრმანწლაუ (ზს.)/**ბგრმანწლაუ**/**ბგრმანწლაუ** (ბქ.) < ქართ. ბრმა-ნწლავ-ი „მსხვილი ნაწლავის ის ნაწილი, რომელზედაც ჭიაყელა მინაზარდია. || თვით ჭიაყელა ნაწლავი“

ბროლ (ზს., ქს.) < ქართ. ბროლ-ი „კვარცის სახესხვაობა, – თეთრი ფერის გამჭვირვალე მინერალი; მაღალხარისხოვანი მინა“

ბროლი კოშკ (ლშხ.) < ქართ. ბროლის კოშკ-ი < ბროლ-ი „კვარცის სახესხვაობა, – თეთრი ფერის გამჭვირვალე მინერალი; მაღალხარისხოვანი მინა“ და კოშკ-ი „წვრილი და მაღალი ციხეა“ (საბა)

ბროლიჩონგ (ბქ.) „ზღაპრის პერსონაჟი ქალი (ზედმიწ. – **ბროლ-ი{ს} ჩონგურ-ი**)“ < ქართ. ბროლ-ი „კვარცის სახესხვაობა, – თეთრი ფერის გამჭვირვალე მინერალი; მაღალხარისხოვანი მინა“ და ჩონგურ-ი „ქართული ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი“

ბრონხ{ალ} (ბზ.)/**ბრონხ{არ}** (ბქ.) < ქართ. ბრონქ-ი (< ბერძ. **Bronchos** „სასუნთქი მილი“) „სასუნთქი მილის შტოები, რომლებითაც ჰაერი ჩადის ფილტვებში“

ბროწეულ (ზს., ქს.)/**ბროწეუილ**/**ბროწოუილ** (ბზ.)/**ბროწოულ** (ლშხ.) *ბოტ.* < ქართ. ბროწეულ-ი „ხეხილი – იზრდება ეკლიან მაღალ ბუჩქად, აქვს წითელი ყვავილი; ისხამს წითელი წვნიანი მარცვლებით სავსე მაგარქერ-

ქიან ნაყოფს“

ბროჭ (ჩოლ.) „მრგვალი ლაქა; მრგვლად ამოჭრილი ხვრელი“ < ქართ. ბროჭ-ი „ონკანი“

ბრუჭ (ბქ.) „ბერწი, უშვილო, უნაყოფო“ < ზან. (მეგრ.) ბურჭ-ი „ბერწი, ურწყანი; უშვილო, უნაყოფო“, შდრ. ასევე **ბურჭ-ობ-ა** „სიბერწე“ (შდრ. ბზ. ნადუმეყი/დომეყ, ბქ. დუმეყ, ქს. ნადმოყ)

ბრძანება (ზს., ქს.)/**ბზანება/ბზანაბ** (ბზ.)/**ბრძანებ** (ლნტ.) < ქართ. ბრძან-ებ-ა (< ფალ. **frazān** „შეცნობა, გაგება“) „ხელისუფლების ან უფლებამოსილი პირის განკარგულება, რომლის სამსახურებრივი შესრულებაც სავალდებულოა...“

ბრძენ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ბრძენ-ი (< ფალ. **frazān**) „გონიერი, მეცნიერი, ჭკვიანი, მცოდნე“

ბუასილ (ზს., ქს.) < ქართ. ბუასილ-ი (< არაბ. **bavāsīr**) „დაავადება, რომლისთვისაც ნიშანდობლივია სწორი ნაწლავის ვენების გაგანიერება, კვანძების გაჩენა და პერიოდულად სისხლის დენა“

ბუჱსდ (ბზ., ლშხ.)/**ბუასდ** (ბქ.)/**ბუჱსტ** (ლნტ.) „სამყარო, ქვეყანა“ < ოს.-ალან. **bæstæ, id**

ბუგუჩირ (ბზ., ლნტ.)/**ბოგირ** (ბქ.,) „ყვავილი, დიდბატონები, ყვავილბატონები“ < ქართ. ბუგრ-ი 1. „მსხმო, მუწუკები“ (საბა), 2. „ცხოველთა ტილი“, 3. „ქინქლი“, მთიულ., მოხ. „ტილი, მკბენარი“

ბუზარაჲ (ჩოლ.) „სწრაფი სირბილი, მოკურცხვლა“ < ქართ. (იმერ.) ბუზარა „მკბენარი მწერია, საქონელს ერჩის, ნაკბენი საქონელი გარბის“

ბუზულ (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/**ბუზულ** (ლნტ.)[21] *ზოოლ.* < ქართ. ბუზ-ი „საერთო სახელი ძალზე გავრცელებული წყვილფრთიანი მწერებისა“, შდრ. ძვ. ქართ. ბუზუ-ი/ბუზჳ-ი, ლეჩხ. ბუზულ-ი/ბუზ-ულ-ა (შდრ. ზს. მერ; ბზ. მერ)

ბულაუკა (ზს., ქს.)/**ბგლაბკა** (ჩოლ.) < ქართ. ბულავკა (< რუს. **Булавка**) „ქინძისთავი; გულის ქინძისთავი“, იხ. **ქინძისთაუ**

ბულზა (ბზ.)/**ბულუზა** (ბქ.)/**ბლუზა** (ლნტ.)/**ბლუზა** (ლშხ., ჩოლ.)/**ბოლოზა** (ჩგხ.) < ქართ. ბლუზა/ბლუზ-ი (< რუს. **Блуза** < ფრანგ. **Blouse** „ბლუზი, ხალათი“) 1. „თხელი ზედა სამოსი ქალისა“, 2. „მამაკაცის ზედა ხალვათი სამოსი, – ხალათი“

ბულკ (ზს., ქს.) < ქართ. ბულკ-ი < რუს. **Булка** „ფუნთუშა“

ბულონ (ლნტ., ლხმ.) „მთა, მეგრელების საზაფხულო საძოვარი (ზედმიწ. – ბალ-ნ-არ-ი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ბულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ბალი (ხე) დგას“

ჴილ/გგრძ-ნაჴ-ილ (უშგ.) < ქართ. გრძნ-ეულ-ი „ეშმაკურობის მოქმედი“ (საბა); „მოგვი, მისანი, ჯადოქარი; მრთუანავი“, ახ. ქართ. ჯადოქარი, მისანი; კუდიანი“ (შდრ. ბზ. გოგუერ; ბზ. მაბგაჴრ, ბქ. მაბგაჴრ; ზს. გუეფ)

გგრცაჴმ (ზს., ლნტ.)/გარცაჴმ (ბქ., ლნტ.)/გარცემ (ლშხ.)/გგრცაჴმ (ლნტ.) „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება“ *ეთნ.* < ძვ. ქართ. გარდა-ც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზეშთგარდაცემა“, შდრ. ახ. ქართ. გა-და-ც-ემ-ა „ხელიდან ხელში მიცემა; შეტყობინება, ცნობება...“

დ

დაბინაჴებილ (ლნტ.) < ქართ. და-ბინ-ავ-ებ-ულ-ი „ვინც დააბინავეს ან დაბინავდა, – ბინაში მოთავსებული, დასახლებული; შენახული...“, იხ. ლგ-ბინ-აჴ-ე

დად (ლშხ., ჩოლ.)/დაჴდ (ლნტ.) „პატარძლის მაყარი ქალი“ *ეთნ.* < ქართ. მდად-ი/მდად-ე „პატარძლის მაყარი ქალი“

დადიანობ (ზს., ქს.) < ქართ. დადიან-ობ-ა „დადიანების ბატონობის პერიოდი“

დათუხალაჲ (ბზ.) *მოტ.* < ქართ. (რაჭ., იმერ.) დათვ-ი-ხალ-ა „თამელი“, შდრ. რაჭ., იმერ. დათვ-ი-მსხალ-ა, გურ. დათვ-ის-ხალ-ა-ჲ „მსხლის ჯიშია“; გურ., აჭარ. დათვ-ა-მსხალ-ა „თამელი“

დათუჴ (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. დათვ-ი „დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი დათვების ოჯახისა“ (შდრ. ზს. დაშდუჴ, ლშხ. დეშდუჴ, ლნტ. დაშტუჴ, ჩოლ. დაშტუჴ, უშგ. დაშდუჴ)

დათუჴაჲ (ჩოლ.) < ქართ. დათვ-ი-ა „მაღლის სახელია; ძვ. მამაკაცის სახელი“

დაიაზ (ჩოლ.) „სუფთა, წმინდა“ < ქართ. დაიაზ-ებ-ით „მორიდებით, მოწიწებით, კრძალვით, სიფრთხილით“

დაკარქულ (ჩოლ.) *გადატ.* „უსინდისო, უნამუსო“ < ქართ. და-კარგ-ულ-ი „სადღაც გამქრალი (რაიმე მიზეზით)“, *გადატ.* „ყველასგან დავიწყებული“

დაკითხუა (ზს., ქს.)/დაკითხუა (ჩოლ.) < ქართ. და-კითხ-ვ-ა „ძიების მხარეთა გამოკითხვა სამართლებრივი შეფასების მიზნით; გამოკითხვა, ჩაძიება“

დაკვრლებულ (ჩოლ.) „წყეული (ზედმიწ. – *და-კრულ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. და-კრულ-ვ-ილ-ი „დაწყევლილი, შეჩვენებული“, იხ. კრილ

დალაჴქ (ბზ.)/დალაქ (ლშხ.) < ქართ. დალაქ-ი „პარიკმახერი“

დალისუ (ბზ.)/დალუს (ლშხ.)/ დალუს (მულახ.) „დიდდუმიანი ცხვარი; ცხვარი 6 თვიდან წლამდე“ *ზოოლ.* < ოს.-ალან. **dalys/dalis, bæstæ**, id

დალოცუილ (ზს., ქს.)/დალეცუილ (ბზ.) < ქართ. და-ლოც-ვ-ილ-ი „ვინც (რაც) დალოცეს ან დაილოცა (ღვთის სახელით)...“ (შდრ. ზს., ქს. ლგმზგრე; ჩოლ. დაშუაბილ)

დამარცხებილ (ლნტ.) < ქართ. და-მარცხ-ებ-ულ-ი „ვინც (რაც) დაამარცხეს ან დამარცხდა“, იხ. ლგ-მარცხ-ე

დამბადებელ (ბქ.) *რელიგ.* < ქართ. და-მ-ბად-ებ-ელ-ი „წარმომშობი, გამჩენი, შემქმნელი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მგთნე, ლნტ. მგთენე)

დამბაჲ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დამბა (< გერმ. **Damm**) „ხელოვნური მიწაყრილი ან ნაგებობა (ხისა, ქვისა ან რკინა-

ბეტონისა) მდინარის ან ზღვის ნაპირების გასამაგრებლად და წყლის გადმოხეთქისგან დასაცავად, – ჯებირი“

დამბალ (ზს., ლნტ.)/დამბლი (ბზ.)/დამბალ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/დანბალ (უშგ.) < ქართ. დაბალ-ი „მცირე სიმაღლის, სიმაღლეში მცირე ზომისა...“ (შდრ. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ბქ. ჩგჩგნილ)

დამთაურებილ (ლნტ.) < ქართ. და-მ-თავრ-ებ-ულ-ი „რაც დაამთავრეს ან დამთავრდა“ (შდრ. ზს. ლგზგგრე, ლშხ. ლგძგგრე)

დამწარაუ (ბზ.)/დამწარ/დამწარაუ (ლშხ.)/დამწარა (ლნტ.)/დამწარა (ჩოლ.) „მონატრებული, მონდომებული, მოსურვებული“ < ძვ. ქართ. და-მწარ-ებ-ულ-ი „იგივეა, რაც გამწარებული“, შდრ. აგრეთვე ძვ. ქართ. დამწარება „გამწარება“

დამწარებულ (ბზ., ლშხ.)/დანწარებილ (ბქ., ლნტ.)/განწარებილ (ბქ.) „გამწარებული“ < ძვ. ქართ. და-მწარ-ებ-ულ-ი „იგივეა, რაც გამწარებული“, იხ. განწარებილ

დანა (ზს., ქს.) < ქართ. დანა „ლითონის (ჩვეულებრივ ფოლადის) მოგრძო, ტარიანი, საჭრელი იარაღი სხვადასხვა სახისა და დანიშნულებისა“ (შდრ. ბზ., ლნტ. გაჩ, ლშხ., ჩოლ. გეჩ)

დანასობია (ლნტ., ჩოლ.) „თამაშის ერთ-ერთი სახეობა“ < ქართ. დანასობია „იგივეა, რაც დანაობა“

დანაშაურ/დანაშაურ (უშგ.) „დამნაშავე“ < ქართ. დანაშაულ-ი „საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის საშიში მოქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც არღვევს არსებულ წესრიგს და ისჯება კანონით, – სამართალდარღვევა; ბრალი...“ (შდრ. ბზ. ნაღუჟარ, ბქ. ნაღუჟარი; ბქ. ნაუქადი)

დანა-ჩანგალ (ბზ.)/დანა-ჩანგალ (ზს., ქს.) < ქართ. დანა-ჩანგალ-ი „დანა და ჩანგალი, დანები და ჩანგლები“

დანიელ (ზს., ქს.)/დანიელ (ბქ.)/დანელ/დანიელ (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. დანიელ-ი (< ძვ. ებრ. **daniyyel** „ღვთის სამსჯავრო“, ზედმიწ. „ღმერთი – მსაჯული ჩემი“)

დანიშნულ (ზს., ქს.)/დანიშუნილ (ლნტ.) < ქართ. და-ნიშნ-ულ-ი 1. *ეთნ.* „ნიშნის (ბელგის) მიტანით საცოლედ მიჩნეული, – დაბელგილი, დაწინდული“, 2. „აღნიშნული, მითითებული, ნაჩვენები“, 3. „შერჩეული, დადგენილი...“

დანწყუა (ჩოლ.) „გრიგალი, ქარიშხალი; დაქცევა, საშინელი ამინდი“ < ზან. (მეგრ.) დო-ნწყუ-ალ-ა „დანგრევა, დაქცევა, ჩაძირვა...“, *გადატ.* „საშინელი ამინდი; გაბრაზება, გაავება...“, იხ. ლინწყუ-ე

დაპრაბ (ბზ.)/დაპრაბ (ჩოლ.) „პირის შეკვრა, დათქმა“ < ქართ. და-პირ-ებ-ა „სიტყვის, პირობის მიცემა, შეპირება, აღთქმა“ (შდრ. ზს. ჩუ ლისკბე)

დარაია (ლშხ.) < ქართ. დარაია 1. „აბრეშუმის ქსოვილი, – მერდინი“, 2. „აბრეშუმის თავსაფარი, მანდილი“

დარაჯ (ზს.)/დარაჯ (ლშხ., უშგ.) < ქართ. დარაჯ-ი „მცველი, გუშაგი“ (შდრ. ზს., ლშხ. ჟი მგლჩე, ლნტ. ჟი მგლეჩე)

დარბაზ (ზს., ლნტ.)/დარბაზ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) 1. „დარბაზ-ი“, 2. „სვანური სახლის ან ბოსელის ზედა სართული, სადაც ინახავენ პირუტყვის საკვებს (ჩალას, თივას, ბზეს...); საბძელი“ < ქართ. დარბაზ-ი (< სპარს. **Darbaz** „ალაყაფის კარი“, „სასახლე“, „დარბაზი“) 1. „საგანგებოდ მოწყობილი დიდი საკრებულო ოთახი (კრების, ლექციის, კონცერტის... მოსაწყობად)“, 2. „დიდი სასტუმრო ოთახი საცხოვრებელ სახლში“, 3. *ეთნ.*

„ძველებური ქართული საცხოვრებელი სახლი, რომლის დამახასიათებელია დედაბოძი და გვირგვინი...“

დარბზელ (ბზ.) „სახნავ-სათიბი (ზედმიწ. – დარბაზ-უკ-ა)“ *ტოპ.* < ქართ. დარბაზ-ი (< სპარს. **darbaz** „ალაყაფის კარი“, „სასახლე“, „დარბაზი“) 1. „საგანგებოდ მოწყობილი დიდი საკრებულო ოთახი (კრების, ლექციის, კონცერტის... მოსაწყობად)“, 2. „დიდი სასტუმრო ოთახი საცხოვრებელ სახლში“, 3. *ეთნ.* „ძველებური ქართული საცხოვრებელი სახლი, რომლის დამახასიათებელია დედაბოძი და გვირგვინი...“

დარგ (ბზ., ქს.) „წალი თხა (რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუგია)“ *ზოოლ.* < ოს.-ალან. **dærk, id**

დარდ (ზს., ქს.)/**დარდ** (ლნტ.) < ქართ. დარდ-ი „მძიმე სულიერი მდგომარეობა, – კაეშანი, სევდა, ნაღველი; წუხილი, ჯავრი...“ (შდრ. ზს., ქს. **სერდე**; ბზ. **უჟაშ**; ჩოლ. **იედ**)

დარეჯან (ზს., ქს.)/**დარჯელან**/**დარჯგ** (ბზ.)/**დარჯგელ** (ბქ.)/**დარჯი**/ **დარჯილ**/**დარჯგელ** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. დარეჯან-ი „ქალის საკუთარი სახელი“

დარიშხან (ზს., ქს.)/**დარიშხან** (ბზ.) < ქართ. დარიშხან-ი „სხვადასხვა მინერალში შემავალი ქიმიური ელემენტი, ძლიერი შხამიანი ნივთიერება, – მიშიაკი“

დასაულეთ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**დასაულეთ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. დასავლეთ-ი „ქვეყნის ის მხარე, სადაც (საითკენაც) მზე ჩადის“

დასალუპაულ (ლნტ., ჩოლ.) „მოსასპობი“ < ქართ. და-სა-ღუპ-[ავ]-ი „მოსაკლავი, სამსხვერპლები (ვინმე); დასაქცევი, მოსასპობი, გასანადგურებელი“ (შდრ. ზს., ქს. **ლეჭცე**)

დატანებილ (ლნტ.) < ქართ. და-ტან-ებ-ულ-ი „შიგ მოქცეული, ჩატანებული, მოყოლებული...“

დატაუ (ჩოლ.) < ქართ. და-ტ-ევ-ა „ტევა; სიმჭიდროვე“

დატირთუირ (ლნტ.) < ქართ. და-ტვირთ-ულ-ი „ტვირთდადებული; ტვირთდაკიდებ-ული...“ (შდრ. ზს. **ჟი ლეჭაჳ**; ლშხ. **ჩუ ლუბრონსკე**; ლნტ. **დაყუენცილ**)

დატრუალება (ლნტ.) < ქართ. და-ტრიალ-ებ-ა 1. „ტრიალით ამოძრავება, დაბრუნება“, 2. „დაბრუნება, გა-{მო}ტრიალება“ (შდრ. ზს. **ჟი ლისპუნე**; ლშხ. **ლიბგრბაჩინე**)

დაუალება (ზს., ქს.) < ქართ. და-ვალ-ებ-ა „შესასრულებლად დაკისრებული საქმე, სამუშაო...“

დაუალებულ (ზს., ქს.)/**დაუალებილ** (ლნტ.) < ქართ. და-ვალ-ებ-ულ-ი 1. „შესასრულებლად დაკისრებული საქმე (ამოცანა...)“, 2. „ვინც დაავალეს, – ვინც მადლობის გრძნობით არის გამსჭვალული ვინმესადმი; ვინც ვალშია“

დაუობ (ჩოლ.) „კამათი (ზედმიწ. – **დავ-ობ-ა**)“ < ქართ. დავა „კამათი, პაექრობა, ცილობა“ (შდრ. ზს. **ცილაუ**), იხ. **დეუა**

დაურა (ლშხ.) < ქართ. დაირა „ხელის ცემით დასაკრავი მუსიკალური საკრავი“

დაფა (ზს., ქს.) < ქართ. დაფა „ფართო (ოთხკუთხი) ფიცარი ცარცით საწერად...“

დაფნაჲ (ბზ., ჩოლ.)/**დაფნაუ** (ბქ.) *ბოტ.* < ქართ. დაფნა „დაბალი ტანის ხე ან ბუჩქი, რომელსაც აქვს მოგრძო მარადმწვანე სურნელოვანი ფოთლები“

დაქცაუ (ჩოლ.) „ქცევა; ცუდი ამინდი“ < ქართ. და-ქც-ევ-ა „დანგრევა, დაშლა, დარღვევა“, *გადატ.* „განადგურება, ამოგდება, დანგრევა (ქვეყნისა, ოჯახი-

სა...); დაღუპვა, წახდენა, გაუბედურება (ქვეყნისა)“, იხ. ქცეუა

დაღონებულ (ზს., ქს.)/**დაღონებილ** (ლნტ.) < ქართ. დაღონებულ-ი „დანაღვლიანებული, დამწუხრებული, ნაღვლიანი...“

დაშნაჲ/დაშნაჲ (ბზ.)/**დაშნა** (ბქ., ლნტ.)/**დაშნაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**დაშნა** (უშგ.)/**დაშდნა** (ჩბხ., ლხმ.) < ქართ. დაშნა „მოკლე სწორი ხმალი“

დაშორებილ (ლნტ.) < ქართ. დაშორებულ-ი 1. „შორს მყოფი, – მოშორებული (რაიმე)“, 2. „დაცილებული, ერთმანეთს მოწყვეტილი (ვინმე)...“ (შდრ. ზს., ლშხ. ჩუ მეყულე, ლნტ. მეყუელე)

დაწყ (ბქ.) „დალაგება“ < ქართ. დაწყ-ობ-ა „დალაგება; განლაგება...“ (შდრ. ბზ. ლიწათხე; ბქ. ლიწკგტე)

დახლ (ზს., ქს.)/**დაბლ** (ზს.) < ქართ. დახლ-ი „წინიდან დახურული გრძელი ვიწრო მაგიდა (მაღაზიაში, დუქანში...), – გამყიდველის მაგიდა“

დაჯინება (ლნტ.) < ქართ. დაჯინება „იგივეა, რაც დაჟინება, – დაჩემება, აკვიატება, ახირება“

დაბდაბ (ზს.)/**დაბდებ** (ქს.) „დაბადება; ბედი“ < ძვ. ქართ. და-ბად-ებ-ა 1. „დაფუძნება, დამყარება, შექმნა, ქმნა, შობა“, 2. „დასაბამი; ქმნილება“, ახ. ქართ. 1. „შობა“, 2. „შექმნა, წარმოშობა (ღვთისგან, ბუნებისგან)“, 3. „გაჩენა, წარმოქმნა, გამოწვევა რამისა...“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ლიითნე, ლნტ. ლიითენე)

დაწლ (ზს., ლნტ.)/**დუწლ** (ლნტ.)/**დალ** (ლშხ., ჩოლ.)/**დუწალ** (ჩოლ.) *ეთნ.* < დალ-ი „ქართულ მითოლოგიაში: ნადირობის ქალღმერთი; ნადირთა (შველთა, ჯიხვთა...) მფარველი ღვთაება“ (შდრ. ბზ. დწლრდ, ზს. დწლგლდ)

დწრ (ზს., ლნტ.)/**დარ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დარ-ი „ამინდი, ტაროსი“

დწრისპან (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. დარისპან-ი (< სპარს. (?) „ისპანის კარი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

დწროზ (ზს., ლნტ.)/**დაროზ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „გვალვა; კარგი ამინდი“ < ქართ. დარ-ობ-ა „კარგი ამინდის დგომა, – დარიანობა, დარი“

დწსიფასელ (ზს.)/**დასაფასელ/დასიფასელ/დასაფას** (ბქ.) „ძვირფასეულობა, საფასე, განძი, სიმდიდრე“ < ქართ. დასა-ფას-ებ-ელ-ი „რასაც ღირებულება უნდა განესაზღვროს, ფასი უნდა დაადონ; რაც ღირებულია“

დწუით (ზს., ლნტ.)/**დაუთ**(ბზ.)/**დაუით** (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. დავით-ი (< ძვ. ებრ. (?) „საყვარელი, წინამძღოლი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

დწუ მწყმწყ (ბქ.) „ბაყბაყდევი“ < ქართ. დევ-ი ბაყბაყ-ი „ზღაპრების პერსონაჟი: ყველაზე დიდი და საზარელი დევი“, იხ. დწუ აყბწყ

დწფ (ზს., ლნტ.)/**დაფ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ლაფათინი“ < ქართ. დაფა „სხვადასხვა დანიშნულების ბრტყელი, სწორზედაპირიანი საგანი“

დწღ (ზს.)/**დაღ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დაღ-ი „იგივეა, რაც დამღა „ნიშანი, კვალი“ (შდრ. ზს. **ტწლ**, ლშხ., ჩოლ. **ტალ**; ბზ. **ღარდტწნ**; ბქ., ლშხ. **დუღრა**; ლხმ. **ჯაბ**)

დწცმულ (ბზ.)/**დაცმულ** (ლშხ.)/**დაცმილ** (ჩოლ.) „სუსტი, გამხდარი, დავარდნილი“ < ქართ. და-ც-ემ-ულ-ი 1. „(ძირს) დავარდნილი, დანარცხებული“, 2. „წაქცეული...“, იხ. ლგ-**დწცმულ**-ე/ლგ-**დაცმულ**-ე

დწუადება (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დაავად-ებ-ა „დაავადმყოფება, დასნეულება“ (შდრ. ზს., ლნტ. **მწზიგ**, ლშხ., ჩოლ. **მაზიგ**)

დაუ̆-დედბერ (ლშხ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. *დევ-დედაბერ-ი < ქართ. დევ-ი (< ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) „დიდტანიანი ზღაპრული არსება, კაცის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავიანი“, *გადატ.* „დიდი ტანისა, ახოვანი და ღონიერი, – გოლიათი“ და ქართ. დედა-ბერ-ი „ბებერი, მოხუცი ქალი“

დაუ̆ჩუჯიან/ჩუჯინ (ჩოლ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. კაჟან-დევ-ი „ვეება დევი (ზღაპრებში)“, *გადატ.* „ძალზე ღონიერი, ძლიერი ვინმე“

დაუ̆ (ბზ.)/დაუ̆ (ბქ., ლნტ.)/დაუ̆ (ლშხ., ჩოლ.) 1. „დევი“, 2. „ბრიყვი, სულელი“, შდრ. ბზ. **ნადაუ̆რ**, ბქ. **ნადეურა** < ქართ. დევ-ი (< ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) „დიდტანიანი ზღაპრული არსება, კაცის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავიანი“, *გადატ.* „დიდი ტანისა, ახოვანი და ღონიერი, – გოლიათი“

დაუ̆ აყბაყ (ბზ.) < ქართ. დევ-ი ბაყ-ბაყ-ი „ზღაპრების პერსონაჟი: ყველაზე დიდი და საზარელი დევი“, იხ. **დაუ̆ მაყმაყ**

დაუ̆ბედნიერ (ბზ.)/დაუ̆ბედნიერ (ბქ.) „გულუბრყვილო; უწყინარი (ადამიანი)“ < ქართ. *დევ-ბედ-ნ-იერ-ი < ქართ. დევ-ი (< ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) „დიდტანიანი ზღაპრული არსება, კაცის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავიანი“, *გადატ.* „დიდი ტანისა, ახოვანი და ღონიერი, – გოლიათი, ბუმბერაზი, დევგმირი“ და ქართ. ბედ-ნ-იერ-ი „კარგი ბედის მქონე, – ბედკეთილი, ბედიანი, სვიანი, იღბლიანი“

დაუ̆ჩუჯიან (ბზ.)/დაუ̆ჩუჯიან/დაუ̆ჩუჯინ (ჩოლ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. კაჟან-დევ-ი 1. „ვეება დევი (ზედმიწ. – კაჟ-იან-ი დევ-ი)“, 2. *გადატ.* „ძალზე ღონიერი, ძლიერი ვინმე“, იხ. **კაჟიან დაუ̆**

დგამ (ლშხ.) *დარგ.* < ქართ. დგიმ-ი „საფეიქრო მოწყობილობა: ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის მუშა ნაწილი, ქსლის ძაფების ამწევ-დამწევი, – ლაფათინი“

დგმა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დგმა „მოდგმა“ (შდრ. ბზ. **გაჲლ**, ლშხ. **გაჲლ**; ზს. ლშხ. **ჯილ**, ქს. **ჯილაი**)

დგმურ (ზს., ქს.) < ქართ. მდგმურ-ი „სხვის სახლში ან ბინაში ქირით მცხოვრები, – მოზინადრე“

დგუნიფ (ჩოლ.) „წყალში დიდი საგნის ჩავარდნის ხმა“ *ხმაბაძვ.* < ქართ. დგაფუნ-ი „ტალღების ხეთქების ხმა; პერიოდული დგაფანი; წყლის ყრუ ხმაური რაიმეს დაცემის გამო; ფათქუნი“

დგუნიფაი (ჩოლ.) „სქელი ბლანტი სითხე“ < ქართ. დგვიფ-ი „წყლიანი ტყბილის (ტკბილის) ღვინო“ (საბა)

დგგრ (ბქ.) „ლაფი, ტალახი“, შდრ. ლი-დგრ-ე „ატალახიანება“ < ზან. (მეგრ.) ნ-დგორ-ო/ნ-დგორ-ა „დიდი ტალახი, ტლაპო“ (*გადატ.* „მეტად მსუქანი, უფორმო“, ნ-დგორ-უა „ლაფში გდება“...)

დებილ (ზს.) < ქართ. დებილ-ი (< ლათ. **debilis** „სუსტი“) „გონებასუსტი ადამიანი; უჭკუო, შტერი“ (შდრ. ზს., ჩოლ. დგბუგ, ლხმ. დგბაჟი; ზს. კგრგკ, ლნტ. კარიკ)

დედალ (ლშხ.) /დედლ/დედლა (ჩოლ.) „დედალი კანაფი“ < ქართ. დედალ-ი „მდედრობითი სქესის ფრინველი, ცხოველი, მწერი“

დედბერ (ზს., ქს.)/დედებრ (ლშხ.)/დებდერ (ჩოლ.) < ქართ. დედა-ბერ-ი „ბებერი, მოხუცი ქალი“, შდრ. ფალ. **pīr** „მოხუცი“, **pīrīh** „სიბერე“, **pīrak** „მოხუცი ქალი, დედაბერი“

დედე (ბზ., ქს.) < ქართ. დედა „მშობელი (ქალი)“, შდრ. ზს., ქს. დი

დედე-დედფაჲლ (ბზ.) < ქართ. დედა-დედოფალ-ი „მეფის (ხელმწიფის) ან მთავრის ცოლი...“

დედეემამა (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. დედ-მამა „დედა და მამა, – მშობლები“

დედინაცუალ (ზს., ქს.) < ქართ. დედ-ი-ნა-ცვალ-ი „მამის ცოლი წინანდელ ცოლთან შეძენილი შვილების მიმართ, – მეორე დედა“ (შდრ. ბზ. დიენაცაჲდ, ლშხ. დიენაცაჲდ, ლნტ. დინაცაჲდ/დიენაცაჲდ; ბზ. დიუთურა/ დიუითრა, ლშხ. დიეუთურა)

დედ-მამალ (ჩოლ.) < ქართ. დედალ-მამალ-ი „დედალი და მამალი (ფრინველი)“

დედობილ (ზს., ქს.) < ქართ. დედობილ-ი „ვინც დედად მოიკიდეს, – დედად წოდებული, დედად მიღებული, დედის მაგიერი (ქალი)“

დედფაჲლ (ზს.)/დედ[უ]ფალ (ლშხ., ჩოლ.)/დედოფაჲლ (ბზ., ლნტ.)/ დეთფაჲლ (ბზ., ლხმ.)/დედფალ (ლნტ.) 1. „დედოფალ-ი“, 2. „პატარძალ-ი“ < ძვ. ქართ. დედ-ო-ფალ-ი „ქალბატონი; წინამძღვარი, დიასახლისი“, ახ. ქართ. „მეფის (ხელმწიფის) ან მთავრის ცოლი...“

დეზ (უშგ.) < ქართ. დეზ-ი 1. „ყანწის მსგავსი რქოვანი გამონაზარდი, რომელიც უვითარდება ფეხებზე ზოგიერთ (უპირატესად ქათმების ოჯახის) მამალ ფრინველს“, 2. „ლითონის რკალი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზე ცხენის საჩხვლეტად და გასარეკად“

დეკან (ზს., ქს.) < ქართ. დეკან-ი (< ლათ. **decanus** „ათისთავი“) „ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში“

დეკანოზ (ზს., ქს.) *რელიგ.* < ქართ. დეკანოზ-ი (< ლათ. **decanus** „ათისთავი“) 1. *ეკლ.* „ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი“, 2. *ეთნ.* „ხატის მსახური, რომელიც სახატო რიტუალს ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა“

დეკაჲუილ (ბზ.)/დეკეულ (ლშხ.)/ დეკეუილ (ლნტ.) *ზოოლ.* < ქართ. დეკეულ-ი „საფურე ხბო ერთიდან სამ წლამდე, პირველი ხბოს მოგებამდე, – უშობელი“ (შდრ. ბქ. მესტაჲუ, ლნტ. მესნაჲუ; ჩოლ. მესნაუ; ჩოლ. ბოდორ)

დეკემბერ (ზს., ქს.)/დეკენბერ (ზს.)/ დეკაბრ (ბქ.) < ქართ. დეკემბერ-ი (< ლათ. **december**) „წელიწადის მეთორმეტე თვე“ (შდრ. ზს. ლნტ. უიჭმ, ლშხ., ჩოლ. უჭმ)

დენ (ზს., ქს.) < ქართ. დენ-ი „ელექტრული მუხტების მოძრაობა“ (შდრ. ზს. ნარჰი, ბზ. ნარჰი)

დენიკინიშ დრეუ (ბქ.)/დენიკი დურეი (ჩოლ.) „უძველესი დრო“ < ქართ. დენიკინ-ის დრო < დენიკინ-ი (რუს. **Деникин**) „რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი ანტონ დენიკინი“ და ძვ. ქართ. დრო (< ძვ. ინდ. **ṛtu** „დრო, წესრიგი, განაწესი“) „ჟამი, ვადა“, ახ. ქართ. დრო 1. „გარემომცველი სამყაროს განვითარების ობიექტური აღქმა; ისტორიული და ხილული პროცესების თანამიმდევრობის აღნუსხვა საუკუნეებით, წლებით, დღეებით, საათებით“, 2. „გარკვეული მონაკვეთი საუკუნეების, წლების, დღეების, საათებისა და მისთანათა, როდესაც რამე ხდება, რაიმე პროცესი, მოვლენა მიმდინარეობს, – ხანი, ჟამი“

დეპეშა (ზს., ქს.) < ქართ. დეპეშა (< ფრანგ. **depeche** < **depecher** „სწრაფად გაგზავნა“) „ტელეგრაფით გაგზავნილი შეტყობინება, – ტელეგრამა“

დეპუტანტ/დეპუტატ (ზს., ქს.) < ქართ. დეპუტატ-ი (< რუს. **Депутат** < ლათ. **deputatus** წარგზავნილი) „არჩევითი სახელმწიფო დაწესებულების წევრი; არჩეული წარმომადგენელი“

დერეჯან/დერეჯენ (ლხმ.) < ქართ. დელეჯან-ი (< ფრანგ. **diligence**) „იგივეა, რაც დილიჟანსი, – დიდი დახურული ეტლი, რომლითაც მგზავრები დაჰყავდათ და ფოსტა და ბარგი დაჰქონდათ (გარკვეული მარშრუტით)“

დესეტინა (ბზ.)/დესეტინაი (ლშხ.) < ქართ. დესეტინა (< რუს. **десятина**) „მიწის საზომი ერთეული რუსეთში (მეტრული სისტემის შემოღებამდე)“

დეუა (ქს.) < ქართ. დავა „კამათი, პაექრობა, ცილობა“ (შდრ. ზს. ცილაუ), იხ. დაუობ

დეუგმირ (ზს.) < ქართ. დევგმირ-ი „ძალიან დიდი ტანისა და ძალ-ღონის პატრონი (კაცი), – ბუმბერაზი, გოლიათი“, *გადატ.* „მეტად გამბედავი, ვაჟკაცი, გმირი“

დეუიშუილ (ბზ.) < ქართ. დევ-ი[ს]-შვილ-ი „ზღაპრის პერსონაჟი“

დეულეთ (ქს.) „კაცის სახელი“ *ანთრ.* < ქართ. დევლეთ-ი (< თურქ. **devlet**) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

დეფან (ბზ.)/ტელაფ (ბქ.)/დეფან (ლშხ.)/დელფან (ლნტ.)/დელფან/ დელფან (ჩოლ.)/დეფან (უშგ.) „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი 1. „სახლის ნაწილი, წინა მხარეს მიდგმული შესასვლელად, უკედლებო (ღია), სვეტებიანი და გადახურული“, 2. „გრძელი გასავლელი (სადგომში...), – ტალანი, კორიდორი“ (შდრ. ლნტ. ხერხეილ)

დიდაბ (ზს.)/დიდებ (ლშხ., უშგ.)/ დიდაბ (ლნტ., ჩოლ.) *რელიგ.* < ძვ. ქართ. დიდ-ებ-ა „ჯურთხევა, ქება, ოსანა“, ახ. ქართ. „საგალობელი, ლოცვა, – სადიდებელი...“ (შდრ. უშგ. დიდაბ „სიმაღლე“)

დიდარ (ზს., ლნტ.)/დიდარ/მდიდარ (ლშხ.) 1. „მდიდარი, ბობოლა“, 2. ბქ. *გადატ.* „ამპარტავანი“ < ქართ. მ-დიდარ-ი „დიდი ფულისა თუ ქონების პატრონი“

დიდარდ (უშგ.) „ბლომად“ *ზმნის.* < ძვ. ქართ. მ-დიდრ-ად „უხვად“

დიდებულ (ზს., ქს.) < ქართ. დიდებულ-ი „ნადიდები, განდიდებული; ღირსშესანიშნავი, დიადი, ჩინებული; მშვენიერი, საუცხოო...“ (შდრ. ბზ. განგალ, ლშხ., ჩოლ. განგალ, ლნტ. განგალ; ბზ. დადრლ, ბქ. დადილ)

დიდებულდ (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. დიდებულ-ად „მშვენივრად, საუცხოოდ, ჩინებულად“ (შდრ. ბზ. განგალდ, ლშხ., ჩოლ. განგალდ, ლნტ. განგალდ)

დიეშიშულებელ (ზს.) „ტიტველი, შიშველი“ < ქართ. დედიშობილა „შიშველი, ტიტველი, ტანთჩაუცმელი“ (შდრ. ბზ. ტინტრიკაი)

დიკა (ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. დიკა „საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი“

დილეგ (ზს., ქს.)/დილეკ (ბქ.)/ დგლიგ (უშგ.) „სამწყვდევი ტყვისა კოშკში ან მაჩუბში“ < ძვ. ქართ. დილეგ-ი (< ოს. **dællag** „ქვედა, ქვეშეთი“) „ციხე-კოშკის ქვედა ნაწილი, რომელიც გამოყენებული იყო საპყრობილედ, – საპყრობილე, საპატიმრო“

დიმთილ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/დიმეთილ (ლნტ.), შდრ. ზს., ქს. დედამთილ < ზან. (მეგრ.) დია-ნთილ-ი/დია-ნთირ-ი (შდრ. ლაზ. და-მთირ-ე) < ქართ. დედა-მთილ-ი „ქმრის დედა ცოლისათვის“ (შდრ. ზს., ქს. გიგა)

დინამეტ (ჩოლ.) < ქართ. დინამიტ-ი

(< ბერძ. **δυναμις**) „ასაფეთქებელი მოწყობილობა“

დინდგუ (ბქ.)/დჷნდგელაჲ (ჩოლ.)/დუინდგუ (ჩბხ.)/დინგუ (ლხმ.)/ დინდგელ/დინდგილ (უშგ.) < ქართ. დინდგელ-ი „სკის შავი ცვილი“, შდრ. მეგრ. დვინდგვ-ი

დინჯ (ზს., ქს.) < ქართ. დინჯ-ი „მშვიდი, წყნარი, დარბაისელი; დაფიქრებული; აუჩქარებელი, აუღელვებელი, დარბაისლური“ (შდრ. ბზ. ლუნყურე, ბქ. ლუნყურე)

დირექტორ (ზს., ქს.)/დელექტორ (ჩოლ.) < ქართ. დირექტორ-ი (< ლათ. **director**) „საწარმის, დაწესებულების ან სასწავლებლის ხელმძღვანელი, უფროსი“

დისერტაცია (ზს., ქს.) < ქართ. დისერტაცია (< **dissertatio** „გამოკვლევა, თხზულება, მსჯელობა, მოხსენება“) „მეცნიერული ნაშრომი, რომელსაც საჯაროდ იცავენ სამეცნიერო საბჭოს წინაშე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად“

დიუჳნ (ზს., ლნტ.)/დიუან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მდივან-ი 1. „ვინც აწარმოებს ან განაგებს დაწესებულების ან კერძო პირის საქმიან მიმოწერას“, 2. „პირი, რომელიც წერს სხდომის, კრების ოქმს...“

დიუიზია (ზს., ქს.)/დიუიზაჲ (ბქ., ლნტ.) < ქართ. დივიზია (< ლათ. **Division** „გამოყოფა, დაყოფა“) „რამდენიმე პოლკისაგან (ბრიგადისაგან) შემდგარი სამხედრო შენაერთი“

დიხსჳა/დისხჳლ (ბზ.)/დიხსჳლ (ბქ., უშგ.)/დიასახლ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დია-სახლ-ის-ი „ქალი, რომელიც საოჯახო საქმეებს უძღვება, ოჯახის დედა...“

დიკუენ/დიკუენ (ბზ.)/დიაკუჳნ (ბქ.)/დიკონ/დიკუან (ლშხ.)/დიაკუენ (ბზ., ლნტ., ჩოლ.)/დიაკონ (ლნტ., ჩბხ.)/დიაკენ (ლხმ.)/დიჭუჳნ (უშგ.), შდრ. ბქ. დიკუნილ *გადატ.* „დაბალი და მსუქანი“ < ძვ. ქართ. დიაკონ-ი (< ბერძ. **διάκονος** „მსახური“) „თანაშემწე მღუდლისა, – დიაკვანი“

დირ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/დირ (ბქ., ლნტ.)/დჷრ (ბქ.) < ძვ. ქართ. დჯრე „მორი, ძელი“, ახ. ქართ. დირე „გათლილი ძელი (ხე), დადებული სახლის ნაწილის (კედლის, კარის, სვეტების...) საძირკვლად ან სარტყლად“ , შდრ. გურ. დვირო „მორი, ძელი“ (შდრ. ზს. ცხუი[რ]ტ)

დმანის (ზს., ქს.)/დმჳნის (ბქ.) *ტოპ.* < ქართ. დმანის-ი „ქალაქი საქართველოში, დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი“

დობილ (ზს., ქს.) < ქართ. დობილ-ი „ვინც დად მოიკიდეს, ვისაც დად გაეფიცნენ“

დოგმა (უშგ.) < ქართ. დუგმა „ლითონის ერთგვარი შესაკრავი, – ღილ-კილო, ხრიკა“

დოგოუორ (ბქ.) < ქართ. დაგავორ-ი (< რუს. **Договор** „ხელშეკრულება“) „მოლაპარაკება“

დოგუ (უშგ.) *ბოტ.* < ქართ. მდოგვ-ი „ერთწლოვანი მცენარე (ჯვაროსანთა ოჯახისა)“

დოინჯ (ზს., ქს.) < ქართ. დოინჯ-ი „წელზე შემოდებული ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული“

დოლ (ზს., ქს.) < ქართ. დოლ-ი „დასარტყამი საკრავი“

დოლბჳნდ (უშგ.) < ქართ. დოლბანდ-ი „თეთრი და თხელი, რბილი ქსოვილი“ (შდრ. ბქ. თუალთ)

დოლ-გარმონ (ზს., ქს.) < ქართ. დოლ-გარმონ-ი „დოლისა და გარმონის დაკვრა“

დოლებ (ზს.)/დოლობ (ლშხ.)/ დოლაბ (ლნტ.)/დოლაბ (ჩოლ.) < ქართ. დოლაბ-ი (< სპარს. **dūbab**) „წისქვილის ქვა“

დომბაღ (ბზ.)/დომბაჭ (ბქ.)/დომბაღ (ლშხ., ჩოლ.)/დომბათ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. დომბა „ჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა“

დორაღ (ბზ.)/დორაღ/დრაღ (ლშხ., ჩოლ.)/დორაჭ (ლნტ., უშგ.) „დოქი“ < ძვ. ქართ. დორა-ი, დორ-აკ-ი „დოქი, ღვინის საწყაო“, ახ. ქართ. „თიხის ჭურჭელი წყლისთვის“, ლეჩხ., ქართლ. დორა „კოკა“

დორიან (ლშხ., ჩოლ.) „ღვინის საწყაო ჭურჭელი (ზედმიწ. – დორ-იან-ი)“ < ძვ. ქართ. დორა-ი, დორ-აკ-ი „დოქი, ღვინის საწყაო“, ახ. ქართ. „თიხის ჭურჭელი წყლისთვის“, ლეჩხ., ქართლ. დორა „კოკა“

დოქ (ზს., ქს.) < ქართ. დოქ-ი „სხვადასხვა ზომის თიხის ცალყურიანი ჭურჭელი სითხის (წყლის, ღვინის...) ჩასახმელად“ (შდრ. ბზ. მანჩაშ)

დოხტურ (ბზ.)/დოხთურ/დოხთურ (ბქ.)/დოხტურ (ბზ., ლშხ.)/ დოხდურ/დოხუდურ (ლნტ.) „ექიმი“ < ქართ. დოხტურ-ი < დოქტორ-ი (< ლათ. **doctor** „მასწავლებელი, დამრიგებელი“) 1. „უმაღლესი სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი, რომელსაც ანიჭებენ დისერტაციის დაცვის საფუძველზე მეცნიერების ამა თუ იმ დარგში“, 2. „იგივეა, რაც ექიმი“

დოხტუროობ (ზს.)/დოხთუროობ/დოხთუროობ (ბქ.)/დოხტუროობ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/დოხდუროობ/დოხუდუროობ (ლნტ.) „ექიმობა “ < ქართ. დოხტურ-ობ-ა (< დოქტორ-ობ-ა < დოქტორ-ი < ლათ. **doctor** „მასწავლებელი, დამრიგებელი“) 1. „დოქტორის სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი“, 2. „იგივეა, რაც ექიმობა“

დროგ (ბზ.) < ქართ. დროგ-ი (< რუს. **Дроги**) „გრძელი, ოთხთვლიანი უძარო საზიდარი, – ჯაგვი, ფორანი“

დროჟან (ლნტ.) „დროზე, დროულად (ზედმიწ. – დრო-იან-ად)“ *ზმნის.* < ძვ. ქართ. დრო (< ძვ. ინდ. **ętu** „დრო, წესრიგი, განაწესი“) „ჟამი, ვადა“, ახ. ქართ. დრო 1. „გარემომცველი სამყაროს განვითარების ობიექტური აღქმა; ისტორიული და ხილული პროცესების თანამიმდევრობის აღნუსხვა საუკუნეებით, წლებით, დღეებით, საათებით“, 2. „გარკვეული მონაკვეთი საუკუნეების, წლების, დღეების, საათებისა და მისთანათა, როდესაც რამე ხდება, რაიმე პროცესი, მოვლენა მიმდინარეობს, – ხანი, ჟამი“

დროის (ლშხ.) „დროზე“ *ზმნის.* < ძვ. ქართ. დრო (< ძვ. ინდ. **ętu** „დრო, წესრიგი, განაწესი“) „ჟამი, ვადა“, ახ. ქართ. დრო 1. „გარემომცველი სამყაროს განვითარების ობიექტური აღქმა; ისტორიული და ხილული პროცესების თანამიმდევრობის აღნუსხვა საუკუნეებით, წლებით, დღეებით, საათებით“, 2. „გარკვეული მონაკვეთი საუკუნეების, წლების, დღეების, საათებისა და მისთანათა, როდესაც რამე ხდება, რაიმე პროცესი, მოვლენა მიმდინარეობს, – ხანი, ჟამი“

დროჟ (ზს., ქს.) < ქართ. დროჟ-ი (< რუს. **Дрожжи**) „საფუარი“

დროულად (ბზ.)/დრეულად (ბქ.)/დროიად (ლშხ., ჩოლ.) „დროულად, დროზე (ზედმიწ. – დრო-ის/დრო-ის-ად)“ *ზმნის.* < ძვ. ქართ. დრო (< ძვ. ინდ. **ętu** „დრო, წესრიგი, განაწესი“) „ჟამი, ვადა“, ახ. ქართ. დრო 1. „გარემომცველი სამყაროს განვითარების ობიექტური აღქმა;

ისტორიული და ხილული პროცესების თანამიმდევრობის აღნუსხვა საუკუნეებით, წლებით, დღეებით, საათებით“, 2. „გარკვეული მონაკვეთი საუკუნეების, წლების, დღეების, საათებისა და მისთანათა, როდესაც რამე ხდება, რაიმე პროცესი, მოვლენა მიმდინარეობს, – ხანი, ჟამი“

დროშა (ზს., ქს.)/**დურშა** (ბზ.) < ქართ. დროშა „სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი სიმბოლო – გარკვეული ფერ[ებ]ის ქსოვილი, ტარზე დამაგრებული, – ალამი, ბაირაღი“

დრუჟინა (ბზ.) < რუს. **Дружина** „რაზმი“

დუა (ზს.) „შანა, თიღისმა, ავგაროზი“ < ოს.-ალან. **dya** (< თურქ.-არაბ. **dua** „ლოცვა“) „ამულეტი, ავგაროზი“, შდრ. ქართ. (რაჭ.) დუა „ჯადო“, ინგილ. „სამძიმარი, პანაშვიდი“ (შდრ. ბზ. **ქისინბურა/კისიმბურა**, უშგ. **ქისინბურა/ქისუნბურა**; ბქ. **ლედე**; ბქ. **კისა**; ქს. **ციციბურ**)

დუბარაჲ (ლშხ.) „მეორედ გაკერვა“ < ქართ. დუბარა (< სპარს. **dubāra** „ორჯერ, მეორეჯერ) „ნარდის თამაშში – წყვილი დუ (ორიანი კამათელი)“

დუდაშ ყუალ/დუდაშ ცუალ (ბქ.) „დამყავებული რძე (ზედმიწ. – გუდ-ის ყველ-ი)“ < ზან. (მეგრ.) გუდამ ყვალი/ცვალ-ი „მაწვნის შეჭამანდი, რომელიც გუდაში მზადდებოდა“, მეგრ. ფორმა კი < ქართ. გუდა „ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი, – ტიკი“ და საერთ.-ქართვ. „ყველ-„ სიტყვისაგან (შდრ. ბქ. **მეტხე ლჟკე** „ამჟავებული რძე“)

დუელ (ბქ.) < ქართ. დუელ (< ფრანგ. **duel**) „ორთაბრძოლა რაიმე იარაღით (გარკვეული წესების დაცვით); შებრძოლება, შეჭიდება“, იხ. ლი-**დუელ**

დუმაჲ (ლშხ., ჩოლ.)/**დუმაჲ** (ჩოლ.) „საძოვარი, საბალახო ადგილი (ზედმიწ. – დუმა)“ *ტოპ.* < ქართ. დუმა (< ფალ. ***dum, dumb, dumbak, dunb, dunbak**, შდრ. ოს. **dymæg** „კუდი“) „ქონიანი კუდი ცხვრისა“

დუმა (ლნტ.) < ქართ. (იმერ.) დუმა „თოფის კონდახის ბოლო“

დუმაჲ (ბზ., ბეჩ.)/**დუმა** (ბქ., ლნტ., უშგ.)/**დუმაჲ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. დუმა (< ფალ. ***dum, dumb, dumbak, dunb, dunbak**, შდრ. ოს. **dymæg** „კუდი“) „ქონიანი კუდი ცხვრისა“

დუნდულ (ზს.) < ქართ. დუნდულ-ი „საჯდომის მომრგვალებული ნაწილი, დუნდულა კუნთი, – საჯდომი“ (შდრ. ზს., ქს. **ლასგურა**)

დუნიაჲ (ლშხ.) < ქართ. დუნია 1. „ქვეყანა, ქვეყნიერება, მსოფლიო“, 2. *გადატ.* „ძალიან ბევრი, უამრავი...“

დუჟ (ლშხ., ჩოლ.)/**დღუჟ** (ჩოლ.) „ქაფი; ჟღვინტი, წვინტლი“ < ქართ. დუჟ-ი 1. „ქაფად გადმოსული ნერწყვი (ზოგიერთი ავადმყოფობის დროს), პირზე მომდგარი ქაფი“, 2. *გადატ.* „ლორწო“ (შდრ. ზს. **ნაშხუ**)

დურაკ (ზს., ქს.)/**დურაქ** (ბქ., ჩოლ.)/**დურაქ** (ლნტ.) < ქართ. დურაკ-ი (< რუს. **Дурак**) „სულელი, ტუტუცი, ჩერჩეტი“

დურბაშ (ბქ.)/**დურბელ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (იმერ., ლეჩხ.) დურბელ-ა/დურბელ-ი „ჯირკვლების ჭლექი“

დურბინდ (ზს., ქს.) < ქართ. დურბინდ-ი „ოპტიკური ხელსაწყო გამადიდებელი შუშებით, – ჭოგრიტი, ბინოკლი“ (შდრ. ბზ. **სათალ**, ბქ. **სანთალ/სუანთალ**, ჩოლ. **სათალ**)

დურბლაშნ (ბქ.) *გადატ.* „ცბიერი, ბოროტი, გაიძვერა“ < ქართ. (იმერ., ლეჩხ.) დურბელ-ა/დურბელ-ი „ჯირკვლების ჭლექი“ (შდრ. ზს., ლნტ. **ლგმ-**

ხაკლ, ლშხ., ჩოლ. ლგმხალ; ბქ. ურშუ-ლდაან; ბქ. ჩორთლდაან; ლშხ. ჩოღლოთ; ჩოლ. ძაღუიტ)

დურგალ (ზს., ქს.)/დურგაკლ (ბზ.) < ქართ. დურგალ-ი „ხის ავეჯის ხელოსანი, – ხურო“

დურყუ/დორყუ (ბქ.) „შემოზღუდული ადგილი; ბაკი საქონლისა“ < ზან. (მეგრ.) ლოყუ/ლუყუ → ლორყუ/ლურყუ < საერთ.-ქართვ. *ლაყუ-ა, შდრ. ქართ. ლაყვა||ლაკვა „ჯურღმული ნაგები“ (საბა), შდრ. ლნტ. აგორა

დუქან (ბზ.)/დუქან (ბქ., ლშხ.)/დუქუნ (ბზ., ლნტ.)/დუქენ (ლხმ.) < ქართ. დუქან-ი (< არაბ. **dükkan**) „წვრილმანის სავაჭრო ან პატარა სასადილო“

დუშ (ზს., ქს.) < ქართ. დუშ-ი (< ფრანგ. **douche**-დან რუს. ენის მეშვ.) „იგივეა, რაც შხაპი“

დუშაყ (უშგ.) < ქართ. დუშაყ-ი „ცხენის ფეხის დასაბორკი თოკი ან ბორკილი, – პალვანდი“

დუხ (ზს., ქს.) < ქართ. დუხ-ი (< რუს. **Духи**) „სუნამო, ინანთი“

დუხონკა (ბქ.)/დუხონკა (ლნტ.)/დუხოშკა/დუხუშონკა/დუხუანკა (ჩოლ.) < ქართ. დუხოვკა (< რუს. **Духовка**) „ჰაერღუმელი“

დუხჭირ (ბზ.) < ქართ. დუხჭირ-ი „ძნელი, აუტანელი, გაჭირვებით სავსე...“

დუალაი (ჩოლ.) „ურქო ცხვრის ჯიში“ ზოოლ. < ქართ. დვალ-ურ-ი „დვალეთისათვის დამახასიათებელი“

დუალეთ (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. დვალეთ-ი „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რომელიც მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის ტერიტორიას“

დუერი (ლნტ.)/დუერ (ჩოლ.) < ქართ. მდორე „იგივეა, რაც მდოვრე, – ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მდინარი (წყალი, მდინარე)“

დუინ (ბქ.) „სუნიანი მატლი, წურბელას მსგავსი“ < ადიღ. დგუა „წურბელა“, შდრ. შაფს. დგუ; ჭემ. დგუ; ბჟედ. დგუ; ყაბ. ფსგ-დგუ; უბიხ. დგუა... „id“

დურეაანდ (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. დროულ-ად „იგივეა, რაც დროზე“

დურეუ/დრუ/დრეუ (ზს.)/დროი (ლშხ.)/დრო/დურე/დრო (ლნტ.)/დურეი (ჩოლ.) < ძვ. ქართ. დრო (< ძვ. ინდ. **ętu** „დრო, წესრიგი, განაწესი“) „ჟამი, ვადა“, ახ. ქართ. „გარემომცველი სამყაროს განვითარების ობიექტური აღქმა; ისტორიული და ხილული პროცესების თანამიმდევრობის აღნუსხვა საუკუნეებით, წლებით, დღეებით, საათებით“ (შდრ. ზს., ქს. უონა, ზს. უანა, ბზ. ურნა)

დღეობ (ქს.) < ქართ. დღე-ობ-ა 1. „ვინმეს სახელის (სახელობის) აღსანიშნავი დღე, რაიმე თარიღისადმი მიძღვნილი ზეიმი“, 2. „ამა თუ იმ რელიგიურ წარმოდგენასთან დაკავშირებული დღესასწაული; ხატობა“ (შდრ. ზს., ქს. ღვნ)

დღესასწაულ (ზს., ქს.)/დღესასტაულ (ლშხ.)/დღესასწაულ/დღესასწაულ (ლნტ.) < ქართ. დღესასწაულ-ი 1. „რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის აღმნიშვნელი თარიღი, საზეიმო დღე, – დღეობა“, 2. „რელიგიური დღესასწაული, – დღეობა“

დღიურ[1] (ზს., ქს.) < ქართ. დღიურ-ი „რაც ერთ დღეში უნდა შესრულდეს, – ერთი დღის სამუშაო“ (შდრ. ბზ. აშხულაღდიშ)

დღიურ[2] (ზს., ქს.) < ქართ. დღიურ-ი 1. „ყოველდღიური (პერიოდული) პი-

რადი ჩანაწერები“, 2. „მოსწავლის პირადი ჟურნალი მიცემულ დავალებათა ცოდნის (აქტივობის) შეფასებათა აღსარიცხად“

დგნდაგ (ბქ.) < ქართ. ლიანდაგ-ი „საპირესა და სარჩულს შუა დადებული ბამბის (მატყლის) დასამაგრებლად გავლებული ნაკერი“

ე

ებრაელ/ებრაელ (ზს.) < ქართ. ებრაელ-ი „პალესტინელი ქრისტიანები, რომლებიც ებრაულ ან არამეულ ენებზე მეტყველებდნენ“ (შდრ. ბზ. ჳირიაꙋ, ბქ. ჳურია, უშგ. ჳირია)

ეგებ (ზს., ლშხ.)/ეგებას (ზს.)/ეგებს (ბქ.)/აგებ/არგებს (ჩოლ., უშგ.) *ნაწ.* < ქართ. ეგებ/ეგებ-ა/ეგებ-ი{ს} „იქნებ, იქნება, შეიძლება“, იხ. იგებს

ეგნატე (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ეგნატე (< ლათ. **ignatius** „არა მცოდნე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ეკალ (ბზ., ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. ეკალ-ი 1. „ზოგიერთი მცენარის ტანზე განვითარებული მაგარი წვეტიანი გამონაზარდი, – ქაცვი“, 2. „მცენარე (ჩვეულებრივ ბუჩქი), რომელსაც ეკლები აქვს, – ეკლიანი მცენარე“ (შდრ. ზს., ლნტ. ცაგ, ლშხ., ჩოლ. ცაგ)

ეკენითუე/ეკენისთუე (ბზ.)/ეკენი თოე (ლშხ.)/ეკენი/ენკენობაჳ თუე (ლნტ.) „სექტემბერი“ < ძვ. ქართ. ენკენობ-ი{ს} თვე / ენკენ-ის თვე „ხალხური სახელწოდება წელიწადის მეცხრე თვისა, – სექტემბერი“ (შდრ. ზს. მგკაბ)

ეკლესია (ზს., ქს.)/ეკლესიაჳ (ბქ.)/ეკლესიაი (ლშხ., ჩოლ.)/ეკლესია[ი] (ჩოლ.) *რელიგ.* < ქართ. ეკლესია (< ბერძ. **ἐκκλησία** „შესაკრებელი“) „საგანგებო შენობა, სადაც იმართება მღვდელმსახურება (წირვა-ლოცვა), – საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი“ (შდრ. ბზ. ლაჯუჯმ, ბქ. ლაჯუმი, ქს. ლაჯუამ)

ელარჯ (ლნტ.) < ზან. (მეგრ.) ელარჯ-ი „ყველშერეული (ჩახარშულ-ჩაზელილი) ღომი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლგშრდ, ბქ., ლნტ. ლგშიდ; ბქ. შუბან/შუშა; ლშხ., ჩოლ. თაშმჳკაბ)

ელექტროგადმომცემ ხაზ (ლნტ.) < ელექტროგადამცემ-ი ხაზ-ი < ქართ. ელექტრონ-ი (< ბერძ. **ēlektron**) „მატერიის ნაწილაკი, რომელიც ატარებს უმცირეს უარყოფით ელექტრულ მუხტს, შემადგენელი ნაწილია ატომისა და მოძრაობს მისი გულის გარშემო“, ქართ. გადამცემ-ი „გადამტანი“ და ქართ. ხაზ-ი (< არაბ. **ḫaṭṭ**) 1. „ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე, – წირი“, 2. „რისამე (ან ვისიმე) განლაგება ერთ რიგად, ერთ მწკრივში“, 3. „წარმოსახვითი ზოლი, რომელიც აღნიშნავს რისამე მიმართულებას, საზღვარს, დონეს...“

ელექტრონ (ზს., ქს.)/ელექტრონ (ლშხ.) < ქართ. ელექტრონ-ი (< ბერძ. **ēlektron** „ქარვა“) „მატერიის ნაწილაკი, რომელიც ატარებს უმცირეს უარყოფით ელექტრულ მუხტს, შემადგენელი ნაწილია ატომისა და მოძრაობს მისი გულის გარშემო“ (შდრ. ბზ. ნჳრჰი, ბქ. ნჳრჰი)

ელექტროსადგურ (ზს., ქს.)/ელექტროსადგურ (ლნტ.) < ქართ. ელექტროსადგურ-ი < ქართ. ელექტრონ-ი (< ბერძ. **ēlektron**) „მატერიის ნაწილაკი, რომელიც ატარებს უმცირეს უარყოფით ელექტრულ მუხტს, შემადგენელი ნაწილია ატომისა და მოძრაობს მისი

გულის გარშემო“ და ქართ. სადგურ-ი 1. „მატარებლის (ან სხვა ტრანსპორტის) გაჩერების ადგილი, საგანგებოდ მოწყობილი მგზავრთათვის, საბარგო ოპერაციებისათვის, აგრეთვე, ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისათვის“, 2. „იგივეა, რაც სადგომი“

ელისაბედ (ზს., ქს.)/**ელსაბედ** (ბქ.)/**საბედ/ბერსაბედ** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ელისაბედ-ი (< ბერძ. **Ελισάβετ** < ძვ. ებრ. ელიშევა „ღვთის პატივისმცემელი, მაფიცარი“) „ქალის საკუთარი სახელი“

ელია/ელია (ზს., ლნტ.)/**ელი** (ზს., ქს.)/**ელ/ელ/ელაჲ** (ბზ.)/**ელიჲ** (ბქ., ლნტ.)/**ელია** (ლშხ., ჩოლ.) „ამინდის ღვთაება, ღვთაება ავდრიანობისა“ *რელიგ.* < ქართ. {წმინდა} ელია (< ძვ. ებრ. **eliyahu** „ღმერთი-ი – სიმაგრე ჩემი“) „ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინასწარმეტყველი“

ელჭექ (ქს.) < ქართ. ელ-ჭექ-ი „ცუდი ამინდი, – ელვა და ჭექა“ შდრ. ბზ. **ლირხუნჱლ**, ბქ. **ლირხგნალ/ლირხგნჱლ**, ლშხ., ჩოლ. **ლირხგნჱლ**)

ენქერ/ენქერ/ენქირ (ჩოლ.) < ქართ. ლენქერ-ი „იგივეა, რაც ძვ. ქართ. ლანქერი“, ლეჩხ. „მომატებული, ამღვრეული მდინარე, – ლიაღვი“, შდრ. ახ. ქართ. ნამქერ-ი

ენქეროობ/ენქეროობ/ენქროობ (ჩოლ.) „წყალდიდობა (ზედმიწ. – *ლენქერ-ობა)“ < ქართ. ლენქერ-ი „იგივეა, რაც ლანქერი“, ლეჩხ. „მომატებული, ამღვრეული მდინარე, – ლიაღვი“

{ეა}ზომ (ლშხ.) „იმდენი (ზედმიწ. – *ის ზომა)“ < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“

ეჟუჳნ (ზს.)/**ჭაჟჳნ** (უშგ.) „ზანზალაკი“ < ქართ. ეჟვან-ი „ლითონის საჟღარუნებელი, რომელიც ხმას გამოსცემს შიგ მოთავსებული ლითონისავე ბურთულ{ებ}ის მოძრაობისაგან, – ჟღარუნა“ (შდრ. ზს., ლშხ. **როჟან**, ზს. **როჟენ/როჟუენ**, ლნტ. **რაჟან**, ჩბხ., ლხმ. **რეჟენ**)

ერბო-კარაქ (ლშხ.) < ქართ. ერბო-კარაქ-ი „ერბო და კარაქი“

ერთობილ (ზს.) < ქართ. ერთობლივ-ი „ერთად აღებული“

ერისალემ (ბზ.) 1. „იერუსალიმი“, 2. ბზ. *ტოპ.* < ქართ. იერუსალიმ-ი (< ძვ. ებრ. **ierušalaim** „წმინდა“) „ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი“

ერმინე (ზს., ქს.)/**ერმინე** (ქს.)/**ერმილე** (ლშხ.)/**ერმი** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ერმი/ერმინე/ერმილე (< ბერძ. (?) „ჰერმესის ტყისა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ესაუილ (უშგ.) < ქართ. იასაულ-ი (< თურქ. **yasaul** „ბრძანების აღმსრულებელი“) „პოლიციის მოხელე სოფელში“

ესენტუკუ (ბზ.)/**ესენდუკუ** (ბქ.) *ტოპ.* < ქართ. ესენტუკი/ესენდუკ-ი „ქალაქი-კურორტი რუსეთის სტავროპოლის მხარეში“

ესპანეთ (ზს., ქს.)/**ესპანეთ** (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. ესპანეთ-ი (< ესპ. **españa**) „სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-დასავლეთით, პირენეს ნახევარკუნძულზე“

ეტაჟა (ლნტ.) < რუს. **Этаж** „სართული“

ეუა (ზს.)/**ეეუა** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ევა (< ძვ. ებრ. **hava** „სიცოცხლე; ცოცხალი“) „ძველი აღთქმის მიხედვით, ადამიანთა მოდგმის წინაპრის – ადამის ცოლი, პირველი ქალი“

ეუგენ (ზს.)/**ეეუგენ** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ევგენ-ი (< რუს. **Евгений** < ბერძ. **Εὐγένιος** „კეთილშობილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ეფენდი (ბზ.) *ანთრ.* < ქართ. ეფენდ-ი

(< თურქ. **efendi** „ბატონი“) „თურქეთში საპატიო მიმართვა, – იგივეა, რაც ქართულში ბატონო||ბატონი“

ეფობ (უშგ.)/**ეფობ** (ჩოლ.) < ქართ. იაფ-ობ-ა (< სპარს. **yāb** „უხვი, ადვილად საშოვნელი“) „საქონლის იაფად [გა]ყიდვა, – სიიაფე“

ექიმ/ჰექიმ (ზს.)/**ეექიმ** (ლშხ., ჩოლ.)/[ი]**ექიმ** (ლნტ.)/[ჰ]**ჰექიმ/აქიმ** (უშგ.) < ქართ. ექიმ-ი (< თურქ. **hekim** < არაბ.-სპარს. **ḥakīm**) „უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელიც ზრუნავს დაავადებებისაგან ადამიანის დაცვაზე და ავადმყოფებს მკურნალობს“ (შდრ. ჭან. ჰექიმი)

ეშმაობ/ეეშმაობ (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ეშმაკ-ობ-ა (< ფალ. **hēšmak**) „მოხერხებულობა, გაქნილობა, მზაკვრობა...“ (შდრ. ზს. ლიუბურ; უშგ. ლიტგანჱლ)

ეშმჱკ (ზს.)/**ეშმაკ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ეშმაკ-ი (< ფალ. **hēšmak**) „ბოროტი, ავი სული, მავნე სული, – სატანა, მაცთური“ (შდრ. ზს., ჩოლ. უობურ; ზს. გუეფ; ბზ. მაბგჱრ, ბქ. მჱბგჱრ)

ეჭუჲან (ზს., ლნტ.)/**ეჭუიან** (ლშხ., ჩოლ.)/**ეეჭუჲან** (უშგ.) < ქართ. ეჭვიან-ი „ეჭვით შეპყრობილი, ეჭვნეული“ (შდრ. ბზ. ჰჱრკულიჱნ, ბქ. უჱრკჲჱნ; ჩოლ. კუებაი)

[ეჯ]გუჱრ (ზს.)/**[ეჯ]გუჱი/[ეჯ]გუჱი** (ბზ.)/**[ეჯ]გუერ** (ჩოლ.)/**[ე]გუერ** (ლხმ.) „ისეთი, იმისთანა (ზედმიწ. – *ის-გვარ-ი)“ < ქართ. იმ-გვარ-ი „იმნაირი, იმისთანა, ისეთი“ (< ქართ. გვარ-ი < ფალ. **gōhr/gōhār** „ბუნება, მატერა, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა...“) 1. „მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდება, რომელივ ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს“, 2. „ჩამომავლობა; ჯიში, მოდგმა...“

[ეჯ]გუჱრ-[ამ]გუჱრ (ზს.) „ისეთი, იმისთანა (ზედმიწ. – *ის-გვარ-ი-ამგვარ-ი)“ < ქართ. იმ-გვარ-ი „იმნაირი, იმისთანა, ისეთი“ (< ქართ. გვარ-ი < ფალ. **gōhr/gōhār** „ბუნება, მატერა, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა...“) 1. „მემკვიდრეობითი საგვარეულო სახელწოდება, რომელივ ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს“, 2. „ჩამომავლობა; ჯიში, მოდგმა...“

[ეჯ]ზუმ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**[ეჯ]ზუ/[ეძ]ზუ** (ბქ.) „იმდენი, იმხელა (ზედმიწ. – *ის-ზომა)“ < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით; საზომი“

ეჰა (ლშხ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ეჰა! „შეძახილი მიმართვისას, მოწოდებისას...“

ზ

ზაბაკ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., გურ.) ზაბაკ-ი „ნაკლი, ზადი, წუნი“ (შდრ. ბზ. ცხრდ, ბქ., ქს. ცხიდ)

ზაბორ (ზს., ქს.) < ქართ. ზაბორ-ი (< რუს. **забор**) „ღობე, მესერი“ (შდრ. ზს. ნაშხატუ, ბქ., ქს. ნაშხატ)

ზაბუნ (ლშხ., ჩოლ.) 1. ლშხ. „ზადი, ნაკლი“, 2. ჩოლ. „დაბნეული; დაღვრემილი; დაძაბული; არეული“ < ქართ. ძაბუნ-ი 1. „ძალას მოკლებული, „უძლური, უნიათო“, 2. „სიმხნევეს მოკლებული, – ჯაბანი“

ზაბუნდ (ჩოლ.) „დაბნეულად; დაძაბულად; არეულად“ *ზმნის.* < ქართ. ძაბუნ-ად „უძლურად, უნიათოდ“

ზად[1] (ქს.)/**ზაად** (უშგ.) < ქართ. ზად-ი

„ნაკლი, წუნი, მანკი“ (შდრ. ბზ. ცხრდ, ბქ., ქს. ცხიდ)

ზად[2] (ბზ., ქს.) „ალაო, საფუარი“ < ოს.-ალან. **zad, id**

ზაკაზ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ზაკაზ** (ლნტ.) < ქართ. ზაკაზ-ი (< რუს. **заказ**) „დაკვეთა“

ზაკალ (ზს.)/**ზზაკალ** (ლხმ.)/**ზზაკალ** (ეცერ.), შდრ. უშგ. **საქალ** *ბოტ.* < ზან. (მეგრ.) ბზაკალ-ი/ზაკალ-ი/ზაკა-ი „ბზა“, შდრ. იმერ., გურ. ბზეკალ-ი

ზაკუსკა (ზს., ქს.) < რუს. **Закуска** 1. „საუზმე, წასაუზმება“, 2. „დასაყოლებელი, დასატანებელი (არაყზე, ღვინოზე...)“, შდრ. ბქ. **ნაჭმუნ**

ზალა (ზს.) < ქართ. ზალა (< გერმ. **saal** რუს. ენის მეშვ.) „იგივეა, რაც დარბაზი; სასტუმრო ოთახი“

ზანგ (ზს., ქს.) < ქართ. ზანგ-ი (< არაბ. زنج **ზანგ**ˁ „შავკანიანი“) „შავკანიანი ადამიანი, – ნეგრი“

ზანგლაბ (ბზ.)/**ზანდლაბ** (ბქ.) /**ზანზლაბ** (უშგ.)/**ზანგლაგ**/**ზანზლაგ** (ჩოლ.) „ზარი“ < ქართ. ზან-ზალ-აკ-ი „ზარი“, შდრ. ფშ. ზანგალაკ-ი

ზანდიკუ (ბზ.)/**ზანდუკ** (ლშხ.)/**ზანდუიკ**/ **ზანდუკ** (ლნტ.) /**ზანდუკუ** (ჩოლ.) /**ზანდიკუ** (უშგ.) < ქართ. ზანდუკ-ი (< არაბ.-სპარს. **sandūk**) „კიდობანი (საბა), – ხის სახურავიანი ყუთი, გარედან ჩვეულებრივ თუნუქით შემოჭედილი“, იხ. **სუნდუქ**/**სუნდუქუ**

ზანტ (ზს., ქს.) „დონდლო“ < ქართ. ზანტ-ი „ზარმაცი“ (შდრ. ზს. **ბანდუ**; ბქ. **ნალოგა**; ლშხ. **ნეყუი**)

ზარალიან-ლუკუმატე (ლშხ.) „დაზარალებული“ < ქართ. ზარალ-იან-ი (< თურქ. **zarar**) „ქონებრივი დანაკარგი, დანაკლისი“ და კვიმატ-იან-ი „ავი, ცუდი, ბოროტი, უკუღმართი, ბედითი, ხიფათიანი, ფათერაკიანი, – იგივეა, რაც კვიმატი)“, შდრ. ფშ., ხევს., მთიულ. კუმეტ-ი

ზარალ (ზს., ლნტ.)/**ზარალ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ზარალ-ი (< თურქ. **zarar**) „ქონებრივი დანაკარგი, დანაკლისი“ (შდრ. ზს. **კუნად**)

ზარაფ (ბქ.) „საარაყე ქვაბის მთლიანი ხუფი“ < ქართ. ზარხუფ-ი/ზარფუხი/ზარფუშ-ი (< სპარს. **serpuš** „თავსაბურავი“) „ზარის მოყვანილობის ხუფი, იყენებენ ტექნიკის სხვადასხვა დარგში, – თავსახურავი, სარქველი“

ზარბაზან (ზს., ქს.)/**ჯარბაზან** (ბქ., ლშხ.)/**ზარბაზან** (ბქ., ლნტ.)/**ჯარბაზან**/ **ზარბუზან** (ბზ.)/**ზარბუზან** (ბქ.)/ **ჯარბაზან** (უშგ.) < ქართ. ზარბაზან-ი (< სპარს. **ზარბაზან**) „მსხვილი ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი, – ქვემეხი“

ზარმაც (ზს., ქს.)/**ზარმაც** (ზს., ლნტ.) /**ზარმაც** (ლნტ.), შდრ. ჩოლ. **ზარმაცალა** < ქართ. ზარმაც-ი „ზანტი, უქნარა“ (შდრ. ბზ. **მამ[ა]ჭირაბა**, ბქ. **მამჭირუბ**, ლშხ. **მამჭირაბა**, ლნტ. **მამაჭრუბალ**, ჩოლ. **მამჭირუბა**; ბზ. **დამზიგაბა**, ბქ. **დაუზიგა**; ლშხ. **უჩმინა**; ლშხ., ჩოლ. **დემიზი**; ჩოლ. **უომიყო**)

ზარუილ/**ზარუილ** (ბზ.)/**ზარეულ** (ბქ.)/**ზარულ** (ლშხ.)/**ზარეუილ** (ლნტ.)/ **ზარილუ** (უშგ.) < ქართ. მ-ზარ-ეულ-ი „ხელობით საჭმლის მკეთებელი“

ზარჩუ (ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) ზერჩო „იგივეა, რაც არუკაკელი; ერთგვარი ბალახი“

ზატორ (ზს.)/**ზატუორ** (ლშხ.) < ქართ. ზატორ-ი (< რუს. **Затвор**) „საკეტი“

ზაუ (ზს., ქს.) < ქართ. ზავ-ი „შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, – მშვიდობიანობა“

ზაუალ (ზს., ქს.) < ქართ. ზავალ-ი (< რუს. **завал**) „ზვავი“

ზაუთ (ჩოლ.) „სიმშვიდე“ < ქართ. ზავთ-ი (< არაბ. **ṣawt** „ხმა, ხმაური“) 1. „ძლიერი ხმა, დიდი, გამაყრუებელი ხმაური“, 2. „ბაქი“, „სიტყვით შეაშინოს“ (საბა). || „წყრომა, რისხვა, აღშფოთება“

ზაუოდ (ზს., ქს.) < რუს. **Завод** „ქარხანა“

ზაქრო (ზს., ქს.)/**ზაქარ** (ბზ.) *ანთრ.* < ქართ. ზაქარია (< ძვ. ებრ. **Zαχαριας** „ღვთის მიერ დაუვიწყარი ანუ ღმერთს ახსოვს“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ზათქ (ბზ.)/**ზათქ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) 1. „თავსხმა წვიმა“, 2. „ძლიერი ხმაური“ < ქართ. ზათქ-ი (< სპარს. **zadah**, შდრ. საშ. სპარს. **zatak** < **zatan** „ცემა, კვრა, ხმაური“) „ძლიერი, ყურთასმენის წამღები ხმა (ხმაური)“

ზაჰაპა (ბქ.)/**ზაჰიაჲ** (ჩოლ.) < ქართ. (გურ.) ზაპა „ჩასუქებული, მძიმე ტანის ადამიანი“, იხ. **ზიპლაჲ**

ზარ[1] (ზს., ლნტ.)/**ზარ** (ლშხ., ჩოლ.)/**ზარა** (ჩოლ.) < ქართ. ზარ-ი „ლითონისაგან (ჩვეულებრივ სპილენძის შენადნობისაგან) ჩამოსხმული ღრუ სარეკელი...“

ზარ[2] (ზს., ლნტ.)/**ზარ** (ლშხ., ჩოლ.)/**ზარა** (ჩოლ.) „სვანური სამგლოვიარო ჰიმნი, რომელსაც ასრულებენ მამაკაცები“ < ქართ. ზარ-ი (< სპარს.-არაბ. **zārī** „ტირილი“) 1. „სამგლოვიარო ჟანრის მუსიკა, რომელიც ასრულდება ხმამაღალი ხმობით“, 2. „მოთქმით ტირილი, დატირება“

ზაბილ (ბზ.) < ქართ. ძახილ-ი „ხმამაღლა ხმობა, მოწოდება“

ზეგან (ბზ.) < ქართ. ზეგან-ი „ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე“

ზედადგარ (ბქ.) „სამფეხა“ < ქართ. ზედადგარ-ი „რკინის სამფეხა – ქვაბისა და მისთანათა ცეცხლზე შესადგმელად“

ზედამხედველ (ზს., ქს.) < ქართ. ზედამხედველ-ი „პირი, რომელსაც დავალებული აქვს რისამე მეთვალყურეობა“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მგსგდი, ლნტ. მგსკიდი)

ზედაშ (ზს., ლნტ.)/**ზედაშ** (ლშხ., ჩოლ.)/**ზაჴდაშ** (უშგ.) < ძვ. ქართ. ზედაშე-ი „ჟამისწირვისას აუცილებელი ღვინო“, ახ. ქართ. ზედაშე „წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვარის წერის წესის შესრულებისას“

ზედნიზედნ (ქს.)/**ზაჴდნიზაჴდნ** (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. ზედიზედ „უშუალოდ ერთი-მეორის შემდეგ, ერთი-მეორის მიყოლებით“ (შდრ. ზს. გესნიგესნ)

ზეთ (ზს., ქს.) < ქართ. ზეთ-ი (< სომხ. **ձեթ**) „ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით“

ზეთარ (ბზ.) < ქართ. ზეთ-იან-ი (< სომხ. **ձեթ**) „ზეთის შემცველი (ჭურჭელი და მისთ.)“, იხ. ლეზეთ

ზეთიხილ (ბზ.)/**ზეთიშხილ** (ბქ.) *ბოტ.* < ქართ. ზეთისხილ-ი „ზეთის-ხის ნაყოფი, ქლიავის ოდენა, კურკიანი, რომელიც დამარილებული იჭმება“

ზეთუნახარ/**ზითუნახარ** (ზს., ლნტ.)/ **ზეთენახარ**/**მზეთუნახარ** (ბზ.)/ **ბზითუნახარ** (ბზ., ლნტ.)/**მზეთუნახარ** (ბქ., ლშხ.)/**ზითინახარ** (ბქ.)/**ზეთუნახარ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/**ზითუნახარ** (ლშხ.)/ **მზითუნახარ**(ბზ., ლნტ.)/ **მზეთუნახარ**/ **ბზეთუნახარ** (ლნტ.)/ **ზითენახარ** (ჩოლ.) < ქართ. მზე-თ-უნა-ხ-ავ-ი „რასაც ჯერ მზე (მზის სინათლე) არ უნახავს“ (შდრ. ზს. მიჟუწუდუნა; ჩოლ. მჟუკიტანა)

ზეიმ (ზს., ქს.) < ქართ. ზეიმ-ი (< არაბ. جزء „თავყრილობა, ჭყლეტა, მასა ხალხის) „რაიმე სასიხარულო ან ღირსშესანიშნავი ამბის, თარიღის და მისთ. აღსანიშნავი შეკრებილობა ხალხისა, – ხალხმრავალი დღესასწაული“

ზენ (ბზ.) „დაბლობი, ვაკე ადგილი“ < ზან. (მეგრ.) რზენ-ი/ზენ-ი, ლაზ. ზენა „ბარი, ვაკე ადგილი“

ზეპირ (ზს., ქს.)/**ძეპირ** (ბზ.) < ქართ. ზეპირ-ი „ჩაუწერლად (ან წაუკითხავად) [გამო]თქმული, გადმოცემული, – სიტყვიერი“

ზეპირდ (ზს., ქს.)/**ძეპირდ** (ბზ.) *ზმნის.* < ქართ. ზეპირ-ად „ისე, რომ სიტყვა-სიტყვით დაიმახსოვროს, იცოდეს – ნაწერში ან წიგნში ჩაუხედავად, დაუწერლად, სიტყვიერად“

ზერდ (ზს., ლნტ.)/**ზერდ** (ლშხ., ჩოლ.) „ყველის საწური, ჩეჩო“ < ქართ. (იმერ., გურ., აჭარ.) დერგ-ი „ქვევრის მსგავსი ჭურჭელი ყველისა, ქილა“

ზერჩ (ბზ.)/**ზერჩუ** (ლშხ.)/**ზარჩუ** (ჩოლ.) „ეკალა“ *ბოტ.* < ძვ. ქართ., რაჭ., ლეჩხ. ზერჩო „არუკაელი“

ზეცა (ლშხ.) < ქართ. ზეცა „იგივეა, რაც ცა“

ზითანჲი (ბზ.) *ანთრ.* < ოს.-ალან., იხ. **სათანაი/სათანჲი**

ზითეუ (ბზ.)/**ბზითი** (ბქ.)/**ბზითეუ**/**ბზითუ** (ლნტ.)/**ზითეუ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მზითევ-ი „ქონება, რომელსაც ქალს მისი ოჯახი (მშობლები, ნათესავები) გათხოვებისას ატანდა ქმრის ოჯახში“, შდრ. გურ., მეგრ. ბზითი (შდრ. ბზ. მჳყა; ბზ. ოჟჳბ; ლხმ. ლჳფშუდაშ)

ზიპლაი (ჩოლ.) „მსუქანი დედალი“ < ქართ. ზიპ-ი „თხევადი ცხიმი, მიღებული ზღვის ცხოველებისა და ზოგი თევზის ქონისაგან“, იხ. **ზაპაჲ**

ზირაბ (ზს.)/**ზირებ**/**ზიარებ** (ლშხ.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ძიარება**/**ზიარება** (უშგ.) *რელიგ.* < ახ. ქართ. ზიარ-ებ-ა „ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წესი – ე. წ. ნაკურთხი ღვინისა და სეფისკვერის ნაწილის მიღება (შესმა-შეჭმა)“, შდრ. ძვ. ქართ. ზიარება „მოზიარეობა, ეზიარება, მონაწილეობა“ (შდრ. უშგ. **ბაპა ჟაგი ლრიმნე**/**ლიყმუნე**)

ზირიბ (ბქ.)/**ზირაბ** (ჩოლ.) „წყევლა; ერთგვარი ავადმყოფობა“ *გადატ.* < ახ. ქართ. ზიარება „ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წესი – ე. წ. ნაკურთხი ღვინისა და სეფისკვერის ნაწილის მიღება (შესმა-შეჭმა)“, შდრ. ძვ. ქართ. ზიარება „მოზიარეობა, ეზიარება, მონაწილეობა“

ზნამია (ბზ.) < რუს. **Знамя** „დროშა, ბაირაღი, ალამი“

ზომ (უშგ.) < ქართ. ზომ-ი „გამოდნობის შემდეგ მიღებული ლითონის მთლიანი ნაჭერი“

ზომა (ზს., ქს.)/**ზგმა** (უშგ.) < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“ (შდრ. ბქ. შენ)

ზომიერდ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ზგმჳრდ** (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. ზომ-იერ-ად „საკმარისად; ნორმალურად“ (შდრ. ბქ. ქა მარად)

ზონდ (ზს., ქს.) < ქართ. ზონდ-ი (< ფრანგ. **sonde** რუს. ენის მეშვ.) „საექიმო ხელსაწყო წვრილი მილის ან ღარის სახისა“

ზოოპარკ (ზს., ქს.)/**ზოპარკ** (ბქ.)/**ზოპარკ** (ჩოლ.) < ქართ. ზოოპარკ-ი „ზოოლოგიური პარკი“

ზორან (ლშხ., ჩოლ.)/**ზორჳნ** (ლნტ.)/**ზოლარ** (ჩოლ.) < ქართ. ზონარ-ი „რბილი ნართისაგან დამზადებული წვრილი გრეხილი“ (შდრ. ბზ. ლალრბრა/

ლობარ, ბქ. ლგბარ/ლობარ)

ზორაკ (ბზ.) „წმინდა ელიას სახელზე აღვლენილი ლოცვა“ *რელიგ.* < ძვ. ქართ. ზვარაკ-ი (< ფალ. **zōhr** „მსხვერპლი“) „მსხვერპლად შესაწირი საქონელი, – მსხვერპლი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ლგლგენე, ლნტ. ლგლაგენე, უშგ. ლგლგანე; ზს., ქს. ყუიყ)

ზოსმე (ბქ.)/**ზოსი** (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. ზოსიმე (< ბერძ. **ζώσιμος** „სიცოცხლისუნარიანი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ზრასტი (ბქ.) < ქართ. ზრასტ-ი (< რუს. **Здравствовать/ здравствую/ здравствует** „ჯანმრთელად ყოფნა, კარგად ყოფნა“) „გამარჯობა“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. **ხოჩა** ლადაღ, ბქ. **ხოჩა** ლადეღ, ლნტ. **ხოჩა** ლადეღ)

ზრახ (ბქ.)/**ზრახუ** (უშგ.) < ძვ. ქართ. ზრახვა „აზრი, ფიქრი; ზრუნვა; განზრახვა, რჩევა; ახსნა-განმარტება“, ახ. ქართ. „ფიქრი რისამე შესახებ, - სურვილი, წადილი, განზრახვა“

ზუგდიდ (ზს., ქს.) *ტოპ.* < ქართ. ზუგდიდ-ი „ქალაქი საქართველოში“

ზურა (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ზურა (< ზურაბ-ი < სპარს. **surxab/suxrab** „წითელი წყალი, წითლად მოელვარე; ლალი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ზურაბ (ზს., ქს.) < ქართ. ზურაბ-ი (< სპარს. **surxab/suxrab** „წითელი წყალი, წითლად მოელვარე; ლალი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ზურგეუილ (ბზ.)/**ზურგელ** (ბქ.) „ხერხემალი (ადამიანისა, საქონლისა)“ < ქართ. ზურგიელ-ი „ზუთხის, თართის და მისთ. თევზის ზურგის ანაჭერი, დამარილებული და მზეზე გამომშრალი“ (შდრ. ბზ., ქს. **შიყრა**)

ზურთობ (ჩოლ.) „ჩხუბი, გაწევგამოწევა (ზედმიწ. – **ზვირთ-ობ-ა**)“ < ქართ. ზვირთ-ი „დიდი ტალღა (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე...)“

ზური (ზს., ქს.) < ქართ. ზურ-ი (< ზურაბ-ი < **surxab/suxrab** „წითელი წყალი, წითლად მოელვარე; ლალი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“, იხ. **ზურა/ზურაბ**

ზურმუხტ (ზს., ქს.)/**ზურმიხტუ** (ბზ.) < ქართ. ზურმუხტ-ი (< სპარს. **zumurrud**) „ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა“

ზურუბხან (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ზურაბ-ი (< სპარს. **surxab/suxrab** „წითელი წყალი, წითლად მოელვარე; ლალი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ + სპარსული სუფიქსი **xan**

ზურჩი[ა] (ზს., ლშხ.)/**ზურეჩია** (ბქ.) „მუზარადი“ < ძვ. ქართ. ზურჩ-ი „მეომრის რკინის ქუდი, რომელსაც წინ და უკან ზარადი ჰქონდა გრძლად ჩამოშვებული (სახისა და კისრის დასაფარავად)“

ზუსტ (ზს., ქს.) < ქართ. ზუსტ-ი „სავსებით ისეთი, როგორც სინამდვილეშია, ზედმიწევნით სწორი, ნამდვილი, ზედმიწევნილი“ (შდრ. ჩოლ. **ძუძულაი**)

ზურმიხტუიფერიშ (ბზ.)/**ზურმუხტიშფერ** (ბქ.) < ქართ. ზურმუხტის-ფერ-ი „რაც ფერით ზურმუხტს მოგვაგონებს, – მწვანე“

ზუერ (ლნტ.) „სამსხვერპლო შესაწირი (სასმელ-საჭმელი)“ < ძვ. ქართ. ზუერ-ი (< ფალ. **zōhr** „მსხვერპლი“) „ბაჟი“, შდრ. ზუარ-აკ-ი „სამსხვერპლო მოზვერი“

ზუერტ (ლნტ.)/**ზუერთ** (ჩოლ.) „სამაგრი (საცვლებისა)“ < ქართ. ზორტ-ი „ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი“

ზუიგენ (ზს., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. ზვიგენ-ი „ერთგვარი ონავარი ხრტილოვანი თევზი, – ნათელთევზა“

ზუინ (ზს., ქს.) < ქართ. ზვინ-ი „მაღლად დადგმული დიდი გროვა თივისა, ძნებისა და სხვ.“ (შდრ. ზს., ქს. **მექუ**)

ზუირთ (უშგ.) < ქართ. ზვირთ-ი „დიდი ტალღა (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე...)“, შდრ. ლშხ. **მარუენდა**

ზღარბ (ბზ., ლნტ.)/**ზღარბ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ზღარბ-ი „ეკლიანი ტყავით მოსილი პატარა მწერიჭამია ცხოველი“

ზღუა (ზს., ქს.)/**ზუღუა** (ბქ.) < ქართ. ზღვა „ოკეანის ნაწილი, – მლაშე წყლის დიდი მასა, მეტ-ნაკლებად შემოსაზღვრული ხმელეთით...“ (შდრ. ზს., ქს. **ბუღუა**)

ზგმარ (ლშხ.)/**ზომარ** (ჩოლ.) „მომცრო“ < ქართ. ზომ-იერ-ი „ამა თუ იმ ზომის შესაბამისი, რაიმე გარკვეული ნორმის, დონის თვალსაზრისით საკმარისი, ნორმალური“

ზგმ-ზგმჟი/ზგმ-ზგმშუ (ზს.)/**ზგმ-ზგმშ** (ლშხ., ჩოლ.) „ცოტ-ცოტა; ნელ-ნელა; თანდათან (ზედმიწ. – **ზომა-ზომა-ზე/ზომა-ზომ-ით**)“ *ზმნის.* < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“

ზგმჟი (ბზ.) „ზომიერად (ზედმიწ. – **ზომა-ზე**)“ *ზმნის.* < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“

ზგმრალ (ბზ.)/**ზგმარ/ლგზგმ** (ლშხ.) < ქართ. ზომ-იერ-ი „ამა თუ იმ ზომის შესაბამისი, რაიმე გარკვეული ნორმის, დონის თვალსაზრისით საკმარისი, ნორმალური“

ზგმშუ (ბზ.)/**ზგმშ** (ქს.) „ოდნავ, მცირედ (ზედმიწ. – **ზომ-ით**)“ *ზმნის.* < ქართ. ზომ-იერ-ად „შესაბამისად, საკმარისად; ნორმალურად“ (შდრ. ჩოლ. **არღათრლდ**)

ზგნე (ზს., ქს.)/**ზუნე** (ბზ.)/**ზნეი** (ლშხ.) 1. „ჩვეულება“, 2. ბქ. „წვენი, სითხე“ < ქართ. ზნე „ხასიათი, ბუნება, თვისება; ჩვეულება, წესი“ (შდრ. ზს. **მანკ** „ჩვევა“)

ზგნთხ (ზს.)/**ზინთხ** (ლშხ.) < ადიღ. **ზანთხ** „შვრია“

ზგრზგნ (ბქ.)/**ზგრზგნ** (ჩოლ.) *ბმაგაძვ.* < ზან. (მეგრ.) ზგრზგნ-ი/ზირზინ-ი „ყვირილი, კივილი, ხმაური, ტირილი, ქვითინი, გოდება“, იხ. ლიზგრზგნ-ი

თ

თაბაროზ[ა] (ლშხ., ჩოლ.) „ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ძველისძველი პერიოდი, როდესაც ზამთარი საერთოდ არ არსებობდა (ზედმიწ. – **მთა-ბარ-ობ-ა**)“[32] < ქართ. მთა და ბარ-ი < მთა „დედამიწის ამაღლებული ადგილი, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“ და ბარ-ი (< არაბ.-სპარს. **bār**) „ვაკე, დაბლობი“ (შდრ. ბქ. **ლილახუ-ლიბარუ**)

თაბუნ (ჩოლ.) < ქართ. თაბუნ-ი „ერთი პროფესიის ხალხი; გუნდი, ამალა...“, ზან. (მეგრ.) „ამხანაგი; სწორი, თანასწორი“

თადაოზ (ლნტ.) *ანთრ.* < ქართ. თადეოზ-ი (< ასურ. (?) „ბრძენი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

თადარიგ (ზს., ქს.) < ქართ. თადარიგ-ი (< არაბ. **tadaruk** „მომზადება, სიფრთხილე“) „წინასწარი სამზადისი

საქმის მოგვარებისათვის“ (შდრ. ზს. **ხუიმპხუი**, ლშხ. **ხუიი**, ლნტ. **ხუოუ**)

თათარყან (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. თათარხან-ი (< თურქ. **tatar** + უძველესი თურქული ტიტული **xan**) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

თათარ (ზს., ლნტ.)/**თათარ** (ლშხ., ჩოლ.) „მაჰმადიანი; ურჯულო, დაუნდობელი“ < ქართ. თათარ-ი „თათარისტანის მოსახლეობა“

თათრიანობ (ზს., ქს.) < ქართ. თათრიან-ობ-ა „თათართა შემოსევის დრო“

თათრობ (ზს., ქს.) < ქართ. თათრობ-ა „თათართა შემოსევის დრო“

თათრულ (ზს., ქს.) < ქართ. თათრულ-ი „თათრებისათვის დამახასიათებელი“

თათრულაი (ლშხ.) /**თათრულა** (ლნტ.) *მოტ.* < ქართ. თათრ-ულ-ა „გოგრის ერთ-ერთი ჯიში“

თაკჲარ/**თაკჲარ** (ჩოლ.) „ძლიერ დამარილებული, დაშაშხული“ < ქართ. თაკარა 1. „მხურვალე, მცხუნვარე, მწველი, ვარვარა“, 2. „დიდი სიცხე, – პაპანაქება“, 3. ძვ. „ჭიქათ სადნობელი და შესაქმნელი ადგილი“ (საბა). – მინის ქარხანა

თალსუფლობ (ბზ.)/**თაჳისუფლობ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. თავისუფლება 1. „ნების გამომჟღავნების შესაძლებლობა“, 2. „თავისუფლის მდგომარეობა, – რომელიმე პირის, საზოგადოებრივი კლასის (ფენის), სახელმწიფოს ისეთი უფლებრივი მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს მის დაუბრკოლებლად მოქმედებას, საქმიანობას...“

ლი-ხტ-აუ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ხტ-აუ-ი (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/ლი-ხატ-აუ-ი (ლნტ.)

< ქართ. ხატ-ვ-ა „რისამე გამოსახვა ფერების ან ხაზების საშუალებით“

ლი-ხტ-ა̆ლ/ლი-ხტ-ა̆ლ (ბზ.)/ლი-ხტ-ალ (ბქ.) „ხატზე დაფიცება (ზედმიწ. – ხატ-ობ-ა)“ *ხლმ.* < ქართ. ხატ-ი (< არაბ. **xaṭ** „ხაზი; ნაწერი“) „ღვთაების ან წმინდანის სურათი“ (შდრ. ბზ. ლიმბანა̆ლ, ბქ. ლიმბანალ)

ლი-ხტ-ი/ლი-ხტ-ე (ზს.) „ხატზე დაფიცება ვიღაცისა (ზედმიწ. – *და-ხატ-ებ-ა)“ < ქართ. ხატ-ი (< არაბ. **xaṭ** „ხაზი; ნაწერი“) „ღვთაების ან წმინდანის სურათი“ (შდრ. ზს. ლიმბა̆ნი)

ლი-ხურდ-აუ̆-ა̆ლ-ი (ბზ.)/ლი-ხურდ-აუ̆-ა̆ლ-ი (ბქ., ლნტ.)/ლი-ხურდ-აუ̆-ალ-ი (ლშხ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. და-ხურდ-ავ-ებ-ა „მსხვილი ფულის ხურდად ქცევა, წვრილ ფულად დაშლა, წვრილ ფულზე გადაცვლა“

ლი-ხურდ-ა̆უ̆-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ხურდ-აუ̆-ი (უშგ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-ხურდ-ავ-ებ-ა „მსხვილი ფულის ხურდად ქცევა, წვრილ ფულად დაშლა, წვრილ ფულზე გადაცვლა“

ლი-ხურუ̆-ალ-ი (ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. ხურვ-ებ-ა 1. „შეხურება, სიცხის მომატება რაიმე ავადმყოფობის დროს, – ცხელება“, 2. მვ. ქართ. „იგივეა, რაც ტიფი“

ლი-ხუხუ̆-აუ̆-ი (ჩოლ.) „ცოცხლად შეწვა ღადარზე“ < ქართ. ხუხ-ვ-ა „ზერელედ შეწვა (ცხელ ნაცარში, ტაფაზე...). || შეფიცხება“

ლი-ხუ̆მარ-ა̆ლ (ლშხ., უშგ., ჩოლ.) /ლი-ხუ̆მარ-ა̆ლ (ლნტ., უშგ.)/ლი-ხუ̆მრ-ა̆ლ (უშგ.)/ლი-ხუ̆მრ-ალ (ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. ხუმრობ-ა „ენამახვილობა მსმენელთა გასამხიარულებლად; ოხუნჯობა“ (შდრ. ბზ. ლილყაფა̆ლ, ბქ. ლილყაფალ; ბზ. ლილგაცა̆ლ, ბქ., უშგ. ლილგაცა̆ლ)

ლი-ხუ̆რ-აუ̆-ი (ლნტ.)/ლი-ხურ-აუ̆-ი (ჩოლ.) < ქართ. გა-ხურ-ებ-ა „გაცხელება, გავარვარება“ (შდრ. ზს. {ჩუ/ქა} ლიქგნთრინე, ჩოლ. {ჩუ/ქა} ლიქგნთრინე; ბზ. {ჩუ/ქა} ლიღგზრინე; ბქ. {ჩუ/ქა} ლიღგნთრინე/ლიღგნდრინე)

ლი-ხშმაუ̆-ი (უშგ.) < ქართ. და-ხაშმ-ვ-ა „დაავადება ციებ-ცხელებით; დაცდა (ხაშმიანი ჰავისაგან)“

ლი-ხშმ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.) „წახდენა, დაბინძურება“ < ქართ. და-ხაშმ-ვ-ა „დაავადება ციებ-ცხელებით; დაცდა (ხაშმიანი ჰავისაგან)“, შდრ. ბქ. {ჩუ} ლითთა̆რი, ლშხ., ჩოლ., უშგ. {ჩუ} ლითთარი; ბქ. {ჩუ} ლითურჭუე; ლშხ. {ჩუ} ლიწინგუე; ლშხ. {ჩუ} ლიქცერე; ლნტ. {ჩუ} ლიწურანე

ლი-ხგლთ-აუ̆-ი (უშგ.) < ქართ. გა-ხალვათ-ებ-ა „ხალვათად ქცევა, გაფართოება...“ (შდრ. ზს. {ქა} ლიმშა̆რი)

ლი-ხგლწიფ{უ} (ბზ.)/ლი-ხენწიფ (ლშხ.)/ლი-ხელწიფ (ლნტ., ჩოლ.)/ლი-ჴელწიფ (უშგ.)/ლი-ჰგნწიფხ (ჩბხ.) < ძვ. ქართ. ჴელმწიფ-ებ-ა „უფლება, ფლობა, მთავრობა, უფროსობა...“, ახ. ქართ. ხელმწიფ-ობ-ა „ხელმწიფედ ყოფნა, მეფობა“

ლი-ხგრბ-ა̆ლ (ბზ.)/ლი-ხგრბ-ალ/ლი-ხარბ-ა̆ლ/ლი-ხარბ-ალ (ბქ.)/ლი-ხგრბ-ალ/ლი-ხარბ-ა̆ლ (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ხა̆რბ-ი-ელ (ლნტ.) *ხლმ.* < ქართ. ხარბ-ობ-ა „ხარბის თვისება, სიხარბე, შურიანობა“ (შდრ. ბზ. ლიშრნა̆ლ, ბქ. ლიშონალ; ბზ. ლითხამა̆ლ; ბქ. ლიურცეფალ)

ლი-ხგრგ-აუ̆-ი (უშგ.)/ლი-ხერგ-აუ̆-ი/ლი-ხერგ-ე (ჩოლ.) < ქართ. და-ხერგ-ვ-ა/ჩა-ხერგ-ვ-ა „ხერგით ამოვსება, გზის შეკვრა“

ლი-ხგრიალ-ი (უშგ., ჩოლ.) < ქართ. ხრიალ-ი 1. „ყელში გამოცემული ყრუ,

ხვრინვის მსგავსი ხმები, – ხიხინი“, 2. „მაგარი წვრილი საგნების ცვენის ხმა, – ჩხრიალი“ (შდრ. ბზ. ხგრტგნ, ბქ. ხგრტგნ; ბზ. ლიხგლი, ბქ. ლიხგლი)

ლი-ხგრკ-აუ̆-ა̆ლ-ი (ბზ.)/ლი-ხგრკ-აუ̆-ა̆ლ-ი (ბქ.)/ლი-ხგრკ-ლ-აუ̆-ა̆ლ-ი (ბქ.)/ლი-ხრაკ-აუ̆-ა̆ლ-ი/ლი-ხრაკ-აუ̆-ალ-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ხრაკ-აუ̆-ა̆ლ-ი (ლნტ.) „მოხრუკვა, შეწვა“ *ხლმ.* < ქართ. მო-ხრაკ-ვ-ა „ცხიმში შეწვა, შებრაწვა“ (შდრ. ბზ. ლიკგრცხა̆ლი, ჩოლ. ლიკგრცხალი)

ლი-ხგრკ-ა̆უ̆-ი (ზს.)/ლი-ხგრკ-ლ-ა̆უ̆-ი (ბქ.)/ლი-ხრაკ-აუ̆-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ხრაკ-ა̆უ̆-ი (ლნტ.)/ლი-ხგრკ-აუ̆-ი (უშგ.) „მოხრუკვა, შეწვა“ < ქართ. მო-ხრაკ-ვ-ა „ცხიმში შეწვა, შებრაწვა“ (შდრ. ბზ. ლიკგრცხა̆ლი, ჩოლ. ლიკგრცხალი)

ლი-ხგრტ-ა̆უ̆-ი (ზს.)/ლი-ხურეტ-აუ̆-ი (ქს.)/ლი-ხურიტ-აუ̆-ი (ჩოლ.) < ქართ. და-ხვრეტ-ა „სიკვდილით დასჯა“, გა-ხვრეტ-ა „გაბურღვა“

ლი-ხგრტგნ-ი (ზს., ქს.) < ქართ. ხროტინ-ი „სუნთქვაშეკრულის ხრიალი“, იხ. ხგრტგნ

ლი-ხგრჯ-ა̆ლ (ბქ.) „სადილობა (ზედმიწ. – *ხარჯ-ობ-ა)“ *ხლმ.* < ქართ. ხარჯ-ი (< თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „გასავალი, დანახარჯი...“

ლი-ხგრჯ-ა̆უ̆-ი (ზს.)/ლი-ხგრჯ-უ̆-ე/ლი-ხგრჯ-ა̆უ̆-ი (ბზ.)/ლი-ხარჯ-აუ̆-ი (ლშხ., უშგ., ჩოლ.)/ლი-ხარჯ-ა̆უ̆-ი (ლნტ.)/ლი-ხარჯ-აუ̆-ი (ჩოლ.) < ქართ. [და]-ხარჯ-ვ-ა (< ხარჯ-ი < თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „ხარჯის გაწევა, გაღება...“

ლი-ხგრჯ-ე[1] (ზს., ლშხ., ჩოლ.) „ხარჯის გაღება, დახარჯვა“ < ქართ. ხარჯ-ი (< თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „გასავალი, დანახარჯი...“

ლი-ხგრჯ-ე[2] (ზს.) გადატ. „დანაყრება, დაპურება (ზედმიწ. – ხარჯ-ვ-ა)“ < ქართ. ხარჯ-ი (< თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „გასავალი, დანახარჯი...“ (შდრ. ბზ. ლიდჲარნე)

ლი-ჴეც-ა̆ლ (ბზ.)/ლი-ჴეც-ალ (ბქ.)/ლი-ჴენც-ალ (ლშხ., ჩოლ.) „დებილობა, კრეტინობა (ზედმიწ. – მ-ხეც-ობ-ა)“ < ძვ. ქართ. მჴეც-ი „პირუტყვი“, ახ. ქართ. მხეც-ი „გარეული მტაცებელი ცხოველი, – ნადირი“

ლი-ჴმა̆რ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ჴმარ-ი (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჴმარ-ებ-ა „ხარჯვა, გამოყენება, ხმარება“, ახ. ქართ. ხმარ-ებ-ა „გამოყენება, რამეთი სარგებლობა“

ლი-ჴსნ-ე (ბზ.) < ქართ. ა-ხსნ-ა „რისამე არსის, რაობის გაგება, გარკვევა, გამოცნობა, განმარტება“

ლი-ჴგლტა̆რ-ი/ლი-ჴგლტრ-ე (ზს.)/ლი-ჴგლტარ-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ჴელტა̆რ-ი (ლნტ.)/ლი-ჴელტარ-ი (ჩოლ.) 1. „რთვა (შალის ძაფისა)“, 2. „რთვა და ქსოვა, საერთოდ ხელსაქმე“ < ქართ. (ქართლ., აჭარ.) ჴელ-ტარ-ობ-ა „ძაფის დაძახვა“, შდრ. ხელ-ტარ-ი „ძაფის დასაძახავი თითისტარი“

ლი-ჴგლუ̆ა̆ნ-{ი} (ზს.)/ლი-ჴგლუ̆ა̆ნ-{ე} (ბზ.)/ლი-ჴგლუ̆ან-ი/ე (ლშხ., ჩოლ.) „ხელოსნობა, კალატოზობა“ < ძვ. ქართ. ჴელოვნ-ებ-ა „ხელოსნობა, ოსტატობა, უნარი, მოხერხებულობა“, ახ. ქართ. ხელოვნ-ებ-ა „რაიმე პროფესიის ზედმიწევნით ცოდნა, – ოსტატობა“

ლი-ჴგრდა̆ნ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ხგრდან-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ჴარდან-ი (ჩოლ.) „ხარდანის, სარის დადგმა/მიდგმა“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ხარდნ-ვ-ა (< სპარს.-თურქ. **xardan**) „სარის, ჭიგოს დადგმა“

ლი-ჴგრჭ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლი-ჴერჭ-ე (ზს., ლნტ.) < ახ. ქართ. მო-ხერხ-

ებ-ა „რისამე შეძლება, გაკეთება, მიღწევა“ (შდრ. ბზ. ლისხათე, ბქ. ლისხაᲑთი), იხ. ლი-ხერხ-აუ-ი

ლი-ჯარბაზნ-Ლლ (უშგ.) „ნიშანში სროლა ქვისა (ზედმიწ. – "ზარბაზნ-ობა)“ *ბლმ.* < ქართ. ზარბაზან-ი (< სპარს. **zarbäzän**) „მსხვილი ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი, – ქვემეხი“

ლი-ჯარჯლ-აუ-ი (ჩოლ.) „ცუდად/უხეიროდ შემოღობვა“ < ქართ. ჯარჯ-ვ-ა „ღობის ჯარჯით შეკეთება“

ლი-ჯᲐრიმ-ე (ზს., ლნტ.)/ლი-ჯარიმ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-ჯარიმ-ებ-ა (< ჯარიმა < არაბ. **ǯarīma** „ცოდვა, დანაშაული“, სპარს. „საზღაური, საურავი“) „სახელი დააჯარიმებს, დაჯარიმდება ზმნათა მოქმედებისა“

ლი-ჯბან-ი (უშგ.)/ლი-ჯაბნ-აუ-ი (ჩოლ.) < ქართ. და-ჯაბნ-ა „მორევა, ჯობნა; დაჩაგვრა, დაბრიყვება; დამორჩილება“ (შდრ. ბქ. ლინწირ, ლშხ. ლიწ-ნე/ლიწრე)

ლი-ჯენჯ-აუ-ი (ჩოლ.) „მარცვლეულის გაწმენდა სპეციალური ჭურჭლით“ < ქართ. ჯენჯ-ვ-ა „ჯიჯგნა, ბეჟვა, დაბეგვა“

ლი-ჯილაუ-ი (ჩოლ.) „გახედნა, მოშინაურება (ზედმიწ. – "ჯილავ-ობ-ა)“ < ქართ. ჯილავ-ი (< სპარს. **ǯeleou** „აღვირი“) „აღვირის საყბეურებთან ხელის წასავლები და სადავის გამოსაბმელი რგოლი“

ლი-ჯინ-აუ-Ლლ (ბზ.)/ლი-ჯინ-აუ-Ალ/ლი-ჯინ-აუ-ალ/ლი-ჯინ-ალ (ბქ.)/ლი-ჯელინ-Ლლ (უშგ.)/ლი-ჯინ-აუ-Ლლ (ჩოლ.) „ქიშპობა; ჯიბრში ჩადგომა“ *ბლმ.* < ქართ. ჯინ-იან-ობ-ა „ჯიუტობა, თავნებობა; ჭირვეულობა, – ჟინიანობა“

ლი-ჯირით-Ლლ (ბზ.)/ლი-ჯირით-Ალ/ლი-ჯირით-ალ/ლი-ჯირით-ელ (ბქ.)/ლი-ჯირით-Ლლ/ლი-ჯრით-Ალ (ჩოლ.) *ბლმ.* < ქართ. ჯირით-ობ-ა (< ჯირით-ი < არაბ. **ǯarid** „მოკლე სატყორცნი შუბი, ჯოხი“) „დოღი, მარულა“

ლი-ჯმაგირ (ზს.)/ლი-ჯმაგირ (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ჯამაგირ (ლნტ.) < ქართ. მოჯამაგირ-ე-ობ-ა (< ჯამაგირ-ი < სპარს. **ǯamagir**) „მოჯამაგირის მდგომარეობა“

ლი-ჯოგ (ბზ., ქს.) < ქართ. მე-ჯოგ-ეობ-ა (< ჯოგ-ი < არაბ. **ǯaux**, შდრ. სპარს. **ǯok**, ოს. **ǯŭg/ǯog**, სომხ. *գոկ*, ფალ. **ǯok**, სპარს. **ǯug**, **ǯuγ**) 1. „ჯოგის მოვლა-მოშენება“, 2. „მეჯოგის საქმიანობა, მეჯოგედ ყოფნა“

ლი-ჯოგ-ალ (ზს.)/ლი-ჯᲝგ-Ლლ (ჩოლ.) *ბლმ.* < ქართ. მე-ჯოგ-ე-ობ-ა (< ჯოგ-ი < არაბ. **ǯaux**, შდრ. სპარს. **ǯok**, ოს. **ǯŭg/ǯog**, სომხ. *գոկ*, ფალ. **ǯok**, სპარს. **ǯug**, **ǯuγ**) 1. „ჯოგის მოვლა-მოშენება“, 2. „მეჯოგის საქმიანობა, მეჯოგედ ყოფნა“

ლი-ჯოჯხთ-ე (ზს.)/ლი-ჯოᲩხთ-ე (ბქ.) „წყევლა (ზედმიწ. – "ჯოჯოხეთობა-ა)“ < ქართ. ჯოჯოხეთ-ი (< ფალ. **dōžax**, **dužax**ᶜ) „ცრუმორწმუნეთა წარმოდგენით – ადგილი (საიქიოში), სადაც თითქოს საშინელ ცეცხლში იტანჯებიან ცოდვილთა სულები“ (შდრ. ბზ. ლიფსᲮრი, ჩოლ. ლიფსᲮრი; ბქ. ლიგჳრგჳე)

ლი-ჯრ-აუ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ჯრ-აუ-ი (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „რწმენა, დაჯერება“ < ქართ. და-ჯერ-ებ-ა „სარწმუნოდ მიჩნევა, დარწმუნება; გაგონება, შესმენა...“

ლი-ჯᲣლფ-ე (ჩოლ.) „ხალხის უწესრიგოდ, ბრბოდ შეგროვება, თავმოყრა“ < ქართ. ჯილფ-ი „ცხენის გვარია“ (საბა)

ლი-ჯჭურ-ე (ბქ.)/ლი-ჯჭურ-ი (ჩბხ.)/ლი-ჩჭურ-ი (ხმ.) „მივარდნა, ჯიქურ მისვლა (ზედმიწ. – "მი-ჯიქურ-ებ-ა)“ < ქართ. ჯიქურ-ი „შეუპოვარი, პირდაპირი“; ჯიქურ „შეუპოვრად, მოურიდებ-

ლად“

ლი-ჯღბგნ-ალ-ი (ბზ.)/ლი-ჯღბგნ-ალ-ი (ბქ.)/ლი-ჯღიბნ-აუ-ალ-ი (ჩოლ.) *ბლომ.* < ქართ. ჯღაბნ-ა „უხეიროდ, გაურკვეველი ხელით წერა, – ბღაჯნა“ (შდრ. ბზ. ლიღჭგნალი, ბქ. ლიღჭგნწალი)

ლი-ჯღბგნ-ე (ხს.)/ლი-ჯღიბნ-აუ-ი (ჩოლ.) < ქართ. ჯღაბნ-ა „უხეიროდ, გაურკვეველი ხელით წერა, – ბღაჯნა“ (შდრ. ხს. ლიღჭგნე)

ლი-ჯგლდ-აუ-ე (ბზ.)/ლი-ჯილდ-აუ-ი (ბქ., ჩოლ.)/ლიჯილდოუე (ლნტ., ჩოლ.)/ლი-ჯგლდ-აუ-ი (უშგ.) < ქართ. და-ჯილდო-ებ-ა (< ჯილდო < სპარს. ǰaldu) „ჯილდოს მიცემა; დასაჩუქრება“

ლი-ჯანგ-ე/ლი-ჯგნგ-ი (ბზ.)/ლი-განჯ[უ]-ე (ხს., ლნტ.)/ლი-განჯ[უ]-ე (ბქ.)/ლი-განჯ-ე (ლშხ.)/ლი-ჟანგ-აუ-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ჯგნგ-[აუ]-ი/ლი-გგნჯ-ი (უშგ.)/ლი-ჟგნგ-აუ-ი (ჩოლ.) < ქართ. და-ჟანგ-ვ-ა (< ჟანგ-ი < სპარს. žang) „ჟანგის გაჩენა, ჟანგის მოკიდება“, შდრ. გურ. ჯ/ჟანგარა-ი „ჟანგი“, ლეჩხ., გურ. ჯანგარა „ჟანგის მონადები“

ლი-ჰაუდრ-ე/ლი-ჰაუდრ-ე/ლი-ჰაუდარ (ბზ.)/ლი-აუდარ/ლი-აუდრ-ე (ლშხ.)/ლი-უდარ-ე (უშგ.) < ქართ. გა-ავ-დრ-ებ-ა/*ავდრ-ობ-ა „სახელი გააავდრებს, გაავდრდება ზმნათა მოქმედებისა; ცუდი დარის დადგომა“ (შდრ. ბქ. ჩუ ლიმხე)

ლი-ჰლ-ალ (ბზ.)/ლი-ჰლ-ალ (ბქ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. ლი-ელ-უ-ე *ბლომ.* < ქართ. ელ-ვ-ა „ატმოსფერული მოვლენა, როდესაც დადებითი და უარყოფითი ელექტრობის შეერთება იძლევა ძლიერ ნათებას კლაკნილი ხაზის სახით“

ლი-ჰრაკ-ი (ხს.)/ლი-არაკ-ი (ქს.)/ლი-ჰრეკ-ი (უშგ.) „ზღაპრის, იგავის... მოყოლა (ზედმიწ. – *არაკ-ობ-ა)“ < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ლი-ჰრაყ-ი (ბზ.)/ ლი-რაყ-ი/ლი-ჲრაყ-ი (ბქ.)/ლი-ჲ-რაყ-ი/ლი-რაყ-ი (ლშხ., ჩოლ.)/ლი-არაყ-ი (ლნტ.)/ლი-არაყ-ი (ჩოლ.)/ლი-ჲრაყ-ი (ლხმ.)/ლი-ჰრაყ-ი (უშგ.) „არყის გამოხდა (ზედმიწ. – არაყობ-ა)“ < ქართ. არაყ-ი (< არაბ. ʿaraq) „მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი“

ლი-ჰგნგრ-ე (ხს.)/ლი-ჰინგრ-ე (ბქ.)/ლი-უნაგირ-ე (ლნტ.) „უნაგირის დადგმა, შეკაზმვა ცხენისა (ზედმიწ. – *დაუნაგირ-ებ-ა)“ < ქართ. უნაგირ-ი (< ირან. **hunagīr**) „მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა, ცხენის ზურგზე დასადგმელი“

ლრ-ლმას-ი (უშგ.) < ქართ. გა-ალმას-ებ-ა (< ქართ. ალმას-ი < ბერძ. ἀ**ε**ρ**δ**άμας) 1. „ძლიერ ალესვა, ალმასივით მჭრელად ქცევა (რაიმესი), – გამახვილება“, 2. *გადატ.* „მეტისმეტად გაბრაზება, გაცხარება“ (შდრ. ბქ. წაბდ ლიგნე)

ლრ-მბუ-ალ/ლრ-მბუ-ალ/ლი-მბუ-ალ (ბზ.)/ლი-მბუ-ალ/ლი-მბუ-ალ/ლი-მბუ-ალ (ბქ.)/ლრ-მბუ-ალ (ლშხ., ჩოლ.)/ლი-ამბაუ-ალ (ლნტ.) „ლაპარაკი, საუბარი“ *ბლომ.* < ქართ. მბ-ობ-ა (< ამბავ-ი < ფალ.*hambav) „თხრობა“

ლრ-მბუ-ი (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლი-მბუ-ი (ბზ.)ლი-მბაუ-ი (ბქ.)/ლი-ამბაუ-ი (ლნტ.)/ლი-მბაუ (ლხმ.) „მოყოლა, თხრობა, მბობა“ < ქართ. მბ-ობ-ა (< ამბავ-ი < ფალ. *hambav) „თხრობა“

ლობია/ლებია (ბქ.)[54] *ბოტ.* < ზან. (მეგრ.) ლებია (< სომხ. *լոբի* < თურქ. **lobja**) „ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა“, იხ. ლობიო

ლობიო (ბზ., ქს.)/ლებიო (ბზ.)/ლობდო (უშგ.) *ბოტ.* <

ქართ. ლობიო (< სომხ. *լոբի* < თურქ. **lobja**) „ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა“, იხ. ლობია/ლებია

ლოგინ (ბზ., ქს.) < ქართ. ლოგინ-ი 1. „ლეიბი და საბანი ბალიშითურთ (ერთი ან რამდენიმე ხელი)“, 2. „ტახტი“ (შდრ. ზს., ქს. ლაყურა; ბქ. ლაყურაშ ლერქუჯარ)

ლოდ (ბზ., ჩოლ.)/ლოდ (უშგ.) < ქართ. ლოდ-ი „ძალიან დიდი ქვა“ (შდრ. ბზ. მუქუხ; ბქ. დოლებ)

ლოთ (ზს., ქს.)/ლეთუ (უშგ.) < ქართ. ლოთ-ი „ვინც ხშირად თვრება, ვინც ხშირად და ჭარბად სვამს მაგარ სასმელებს“ (შდრ. ბზ. თგრაბ, ჩოლ. თგრაბ; ბქ. ჯაზნარაბ)

ლომ[1] (ზს., ქს.) < ქართ. ლომ-ი (რუს. лом) „ძალაყინი“

ლომ[2] (ზს., ქს.)/ლუმ (ბზ., ჩოლ.)/ლემ (ბზ., ლხმ.)/ლომ (ლნტ., უშგ.)/ლემუ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ლომ-ი „მოყვითალო ფერის დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი (კატისებრთა ოჯახისა)“

ლომაბ (ლშხ., ჩოლ.) „ძლიერი, ღონიერი ხარის სახელწოდება“ *ზოოლ.* < ქართ. ლომა „საქონელი, რომელსაც ზურგზე თეთრი ზოლი გასდევს თასმასავით“

ლომკაც (ბზ.) < ქართ. ლომკაც-ი „ძალიან დიდი ტანისა და ღონიერი კაცი“

ლოც (ზს., ქს.)/ლოცუ (უშგ.) < ქართ. ლოც-ვ-ა „ღვთისთვის ვედრება, დალოცვა; შელოცვა...“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ლიმზგრ, ზს., ლშხ. ლიმზურ/ლიმზირ, ლნტ. ლიმეზრე/ლიმეზგრ)

ლტოლუილ (ზს., ქს.) < ქართ. ლტოლვილ-ი „გაქცეული, გადახვეწილი“ (შდრ. ზს. ნამჩედ)

ლუ-ბუმბ-ა (ბქ.)/ლუ-ბგმბ-აი (ჩოლ.) „ბამბის თბილი ჟილეტი (ზედმიწ. – ბამბ-იან-ი)“ < ქართ. ბამბა (< სპარს. **pamba**) „ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი ბალახ-მცენარე...“

ლუ-ბუმბ-ილ (ზს., ჩოლ.) < ქართ. ბუმბულ-იან-ი „ბუმბულის მქონე; ბუმბულში ამოგანგლული“

ლუ-ბუხუარ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბუხრ-იან-ი (< ბუხარ-ი < სპარს. **buxar**) „ბუხრის მქონე“

ლუ-ბურდ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ბურდ-ე (ბქ., ლნტ.) „არეული, აწეწილი, გაჩეჩილი“ < ქართ. ა-ბურდ-ულ-ი „აწეწილი, აშლილი“ (შდრ. ზს. {ჩუ} ლგბბ-ღვნე)

ლუ-გურგუნ-ე (ბზ.)/ლუ-გუირგუნ-ე (ზს., ჩოლ.) „ჯვარდაწერილი, გვირგვინდადგმული“ < ქართ. და-გვირგვინ-ებ-ულ-ი „ღირსეულად დამთავრებული, დასრულებული; გვირგვინდადგმული, გვირგვინით შემკობილი“

ლუ-გუბ-აუ-ალ-ე (ლშხ., ჩოლ.) *ბლმ.* < ქართ. და-გუბ-ებ-ულ-ი „გუბედ ქცეული, დატბორილი, შეგუბებული“

ლუ-გუბ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/ლუ-გუბ-ე (უშგ.) < ქართ. და-გუბ-ებ-ულ-ი „გუბედ ქცეული, დატბორებული, შეგუბებული“ (შდრ. ბზ. {ჟი} ლუტრმბე, ბქ. {ჩუ} ლუტობე; {ჩუ} ლგტრუე)

ლუ-გუეჭ (ზს., ქს.) < ქართ. გოჭ-ებ-იან-ი „ღორი, რომელსაც ბუძუს გოჭები ჰყავს“

ლუ-გუიან-ე (ზს., ქს.)/ლუ-გუიან-ე (უშგ.) „გაჭიანურებული“ < ქართ. და-გვიან-ებ-ულ-ი „გვიან შესრულებული, გვიან მომხდარი; გვიან მოსული, დაყოვნებული...“

ლუ-გუიმბრ (ბზ., ჩოლ.) < ქართ.

გვიმრ-იან-ი „გვიმრით მოსილი, გვიმრით დაფარული (ადგილი)“

ლუ-ზთუნ-ე (ბზ., ლშხ.)/ლუ-ზთუნ-ე (ზს., ჩოლ.)/ლუ-ზთ-ე (უშგ.) „გამოხდილი ზეთი (ზედმიწ. – *გამო-ზეთ-ილ-ი)“ < ქართ. ზეთ-ი (< სომხ. *ձեթ*) „ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით“

ლუ-თუნეფ (ზს.)/ლუ-თოფ (ბზ.)/ლგ-თოფ (ჩოლ.) < ქართ.თოფ-იან-ი (< სპარს. **tup**) „ვისაც თოფი აქვს, ვინც თოფს ატარებს, – თოფით შეიარაღებული“

ლუ-კრუნჩხ-აუ-ე (ჩოლ.) < ქართ. მოკრუნჩხ-ულ-ი „მოხრილი, მოკაკული, მოკუნტული“ (შდრ. ბქ. ლგხგრკნე, ჩოლ. ლგხგრკან)

ლუ-კუტ-აუ-ე (ჩოლ.) < ქართ. დაკუტ-ებ-ულ-ი „კუტად ქცეული, დასაპყრებული, დავარდნილი“

ლუ-კუითხ (ლხმ.) < ქართ. კუთხოვან-ი „კუთხის მქონე“

ლუ-კუმატ-ე (ლშხ., ჩოლ.) „დათარსული“ < ქართ. კვიმატ-იან-ი „ავი, ცუდი, ბოროტი, უკუღმართი, ხიფათიანი, ფათერაკიანი, – კვიმატი“ (შდრ. ბზ. {ჩუ} ლგყგრჯე; ლშხ. {ჩუ} ლუგუ̆ე̆ფე)

ლუ-კუმაშ (ბზ.)/ლუ-კუმაშ (ჩოლ.) „მდიდარი, დიდი ქონების პატრონი; საქონლით სავსე (ზედმიწ. – *კუმაშ-იან-ი)“ < ძვ. ქართ. კუმაშ-ი (< არაბ. **kumaš** „საქონელი“) „ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, წითელი ან ლურჯი, – ფარჩა“ (შდრ. ბზ. *ბუღუმეზგე*, ბქ. *ძ/ზუღუალუტობე*; ბზ. {ქა} ლუღუზე, ბქ. {ქა} ლუღუზე)

ლუ-ლთოუ̆-ე/ლუ-ლ-თუ̆ეუ̆-ე/ლუ-ლ-უნთოუ̆-ე (ბზ.)/ლუ-უნთოუ̆-ე (ბქ.)/ლუ-უთოუ̆-ე (ჩოლ.) < ქართ. გაუთო-ებ-ულ-ი (< უთო < სპარს. **ut**) „რაც გააუთოეს ან გაუთოვდა“

ლუ-უთოუ̆-ალ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლუ-უნთოუ̆-ალ-ე (ბქ.) *ხლმ.* < ქართ. გაუთო-ებ-ულ-ი (< უთო < სპარს. **ut**) „რაც გააუთოეს ან გაუთოვდა“

ლუ-ლქ-უ̆-აუ̆-ე (ბზ.)/ლგ-ლაქ-აუ̆-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-ლაქ-ავ-ებ-ულ-ი „დასვრილი, ლაქებიანი“

ლუ-ლჩხუმ-უ (ბქ.)/ლუ̆-ლჩხუმ-უ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ლეჩხუმ-ურ-ი „ლეჩხუმურისთვის დამახასიათებელი“

ლუ-მრუ̆-ე (ბზ., ლშხ.)/ლუ-მორუ̆-ე (ბქ.)/ლუ-მორა̆უ̆-ე (ლნტ.)/ლგ-მრაუ̆-ე/ლგ-მრუ̆-ე (ჩოლ.) „გარჩეული, გამედიატორებული (ზედმიწ. – *გა-მოურავ-ებ-ულ-ი)“ < ძვ. ქართ. მოურავ-ი „მებატონის, მემამულის ქონების გამგებელი...“ (შდრ. ზს. ლულხუ̆ერე; ბზ. ლგღა̆დ, ბქ. ლგლღედ{ე])

ლუ-მურგუ̆ალ-ა̆ლ-ე (ბზ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. და-მრგვალ-ებ-ულ-ი „მრგვალი, მომრგვალო ფორმისა“ (შდრ. ბზ. ლუკუ̆რა̆ა̆ლე, ბქ. ლუკუ̆რა̆ალე; ბზ. ლუყუ̆ა̆ბა̆ლე, ბქ. ლუყუ̆აბა̆ლე)

ლუ-მურგუ̆ალ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-მურგულ-ე/ლგ-მურგულ-ე (ჩოლ.)/ლუ-მურგუ̆ელ-ე (უშგ.) < ქართ. დამრგვალ-ებ-ულ-ი „მრგვალი, მომრგვალო ფორმისა“ (შდრ. ბზ. ლუკუ̆რა̆ე, ბქ. ლუკურა̆ე; ბზ. ლუყუ̆ა̆ბე, ბქ. ლუყუ̆აბე)

ლუ-ნდუ̆ნ-ე (ლშხ.) < ქართ. მო-ნდომებ-ულ-ი „მოწადინებული“ (შდრ. ბზ. {ჟი} ლუგუშე, ბქ. {ჟი} ლუგუუშე)

ლუ-ნ-ტოლ-აუ̆-ე (ლნტ.)/ლუ-ნ-ტლოუ̆-ე (უშგ., ჩოლ.) < ქართ. გა-ტოლ-ებ-ულ-ი/და-ტოლ-ებ-ულ-ი „გათანასწორებული, გათანაბრებული“

ლუ-ნ-ტყუ̆-ეუ̆-რნ-ე (ბზ.)/ლუ-ნ-ტყოუ̆-ე (ბქ.)/ლგ-ნ-ტყოუ̆-ე (უშგ.) <

ქართ. და-ტყვ-ევ-ებ-ულ-ი „ტყვედ წა-მოყვანილი, ტყვედ ჩაგდებული; დაპა-ტიმრებული, დატუსაღებული“

ლუ-ნუად-ე (ზს., ჩოლ.) „განებივრე-ბული (ზედმიწ. – და-ინვალიდ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ინვალიდ-ი (< ლათ. **invalidus** „სუსტი, უძლური“) „შრომი-სუნარდაკარგული ადამიანი (დასახიჩ-რების, ავადმყოფობის ან მოხუცებუ-ლობის გამო)“, შდრ. ბზ. ცინცქილაშ, ჩოლ. ცინცქილ; ბქ. ციცინაშ

ლუ-ნ-ქროუ-ე/ლუ-ნქუროუ-ე (ზს.)/ლუ-ნ-ქურ-ეუ-ე (ბქ.)/ლგ-ნ-ქროუ-ე (ლშხ.)/ლუ-უოქურ-აუ-ე (ლნტ., ჩოლ.)/ლგ-ოქრაუ-ე (ჩოლ.) 1. „ოქროთი დაფე-რილი“, 2. გადატ. „დაფასებული“ < ქართ. მო-ოქრ-ვ-ილ-ი (< ოქრო < ბერძ. **ωχρός** „ყვითელი“) „ოქროთი დაფერი-ლი, – მოოქრული“

ლუ-[ნ]-ჯუშარ [მარე] (ზს.)/ლუ-ჯუშარ (ჩოლ.) „უღალატო ადამიანი (ზედმიწ. – ჯვრ-იან-ი)“ < ქართ. ჯვარ-ი „ქრისტი-ანული კულტის სიმბოლო, გრძელი ვერტიკალური ღერო, რომელზედაც პერპენდიკულარულად არის გადა-ჭდობილი მეორე, უფრო მოკლე ღერო“ (შდრ. ბზ. ლჳჯგირ მარე, ბქ. ლჳჯგირ მარე)

ლუ-ოხრ-ე (ბზ.)/ლუ-ოხრ-აუ-ე (ბქ.)/ლგ-ოხრ-აუ-ე (ჩოლ.) „გაპარტახე-ბული“ < ქართ. ა-ოხრ-ებ-ულ-ი „გაპარ-ტახებული, გავერანებული, გაჩანაგე-ბული, განადგურებული, აკლებული“ (შდრ. ზს. [ჟი] მეხუტე)

ლუ-რუს-უ (ზს., ქს.) „რუსული წარმოების, ჯიშის...“ < ქართ. რუს-ულ-ი „რუსეთის ან რუსების კუთვნილი, მა-თი დამახასიათებელი“

ლუ-რუს-უ გურიტ (ლშხ.) ზოოლ. < ქართ. რუს-ულ-ი გვრიტ-ი „ტყის ფრინ-ველი მტრედების ოჯახისა)

ლურცმან/ლუცმან (ბზ.)/ლუსმარ (ზს., ლნტ.)/ლუსუმარ (ბქ.)/ლუსმან (ლშხ.)/ლუსმარ (ლნტ., ჩოლ.)/ლურ-სმანდ (ჩოლ.)/ლურცამან/მუსმარ/ ლუ-სუემ (უშგ.) < ძვ. ქართ. მ/ლუსმარ-ი (< სპარს. **mesmār** < არაბ.) „ლურსმანი, სა-მსჭვალი“, ახ. ქართ. ლურსმან-ი „ლი-თონის (რკინის, ფოლადის...) თავ-ბრტყელი და ბოლოწვეტიანი ღერო“, თუშ., ხევს. ლუსმარ-ი/უსმარ-ი „ლურ-სმანი“ (შდრ. ბზ. ლუსუემ), იხ. მანჭუალ/სანჭუალ

ლურჯ (ლნტ.) < ქართ. ლურჯ-ი „სპექტრის ერთი ძირითადი ფერთაგა-ნი, – მუქი ცისფერი“ (შდრ. ბქ. ჲგრჟი)

ლუ-სა (ბქ.)/ლუ-სუე-ჲ (ჩოლ.) „ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკა-ცის მიერ დათოხნილი ფარდობი“[55] < ქართ. სვე/სვრელ-ი „მიწის ნაკვეთი ყანის, ვენახის სიგრძეზე, რომელსაც მიწის მუშა ერთ ჯერზე ამუშავებს (ხვნის, თოხნის, ბარვის, მკის... დროს), შდრ. ქართლ. სვრე, მოხ. სუე, ლეჩხ. სრ-იელ-ი, რაჭ., ხევს. ლე-სურ-ი, გურ. სრელ-ი

ლუ-სდგომ-ე (ზს., ლშხ.)/ლგ-სდგო-მ-ე (ბზ.)/ლუ-სუდგომ-ე (ბქ.) „დაბინა-ვებული (ზედმიწ. – "და-სა-დგომ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. სა-დგომ-ი „საცხოვრე-ბელი, სამყოფი, გასაჩერებელი, დასად-გომი (ადგილი, ნაგებობა...), – ბინა“

ლუსკუმ (ჩოლ.)[56] < ქართ. ლუსკუმა 1. „მაღალი საფლავი“ (საბა), 2. „სამარხი ყუთი, კუბო. || ზანდუკი, კიდობანი“

ლუ-სკურელ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-სკურელ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლუ-სკუ-რალ-ე/ლუ-სკურალ-ე (უშგ.) „გაოცებუ-ლი, გაკვირვებული (ზედმიწ. – "გა-სა-კვირველ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. საკვირ-ველ-ი „საოცარი, განსაცვიფრებელი, გასაკვირველი“ (შდრ. ზს. ლგმბუე; ბზ.,

ლშხ., ჩოლ. {ჩუ} ლგნაჭუე, ბქ., ლნტ. ლგნაქუე)

ლუ-სრულ-ე (ბზ.)/ლუ-სრულ-ე (ბქ., ქს.) „მთლიანი; სრული“ < ქართ. და-სრულ-ებ-ულ-ი „დამთავრებული, გათავებული, დაბოლოებული; სრულყოფილი“ (შდრ. ზს. გაწკაჭ)

ლუ-სსუდ-ე (ბზ.)/ლუ-სისოდ-ე (ბქ.)/ლგ-სისოდ-ე (ბქ., ლნტ.)/ლუ-სისრდ-ე/ლგ-სისრდ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ ლგ-სსრდ-ე (ჩოლ.) „გასუსული, გაჩუმებული, დადუმებული; შეშინებული“ < ზან. (მეგრ.) სისონდ-ი „ჩამი-ჩუმი“, სისანდ-ობ-ა „სიწყნარე; ჭაჭანება“, სისონდ-ობ-ა „სიმშვიდე; სიჩუმე, სიწყნარე; ჩამი-ჩუმი (შდრ. ზს. ამაშუამ), იხ. ლუ-სუდრ-აუ-ე

ლუ-სტუმარ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლუ-სტუმრ-ე (ბქ., ჩოლ.) < ქართ. გა-სტუმრ-ებ-ულ-ი „სახლიდან გაშვებული, გამგზავრებული, გაგზავნილი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ლგმშგუნე, ლუმშგუანე)

ლუ-სუდრ-აუ-ე (ქს.)/ლუ-სუდრ-უ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-სუდრ-ულ-ი „გაყუჩებული, გარინდული, დადუმებული, გაჩუმებული“, იხ. ლუ-სსუდ-ე

ლუ-სურნელ-ე (ბქ., ქს.)/ლუ-სურნელ (ქს.)/ლგ-სირნელ (ლნტ.) „სუნელებიანი {მარილი}“ < ქართ. სუნელ-ი „გამხმარი და დაფშვნილი მწვანილეულობა, რომელსაც ხმარობენ საჭმლის შესაკმაზად“

ლუ-სუსტ-აუ-ე (ზს.)/ლუ-სსუტ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-სუსდ-ე (ჩბხ., ლხმ.)/ლუ-სუს-ე (ლხმ.) < ქართ. დასუსტ-ებ-ულ-ი „ღონეგამოლეული, დაუძლურებული; ძალადაკარგული...“

ლუ-სუფთ-აუ-ალ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-სუფთ-აუ-ალ-ე (ბქ.) *ხლმ.* < ქართ. გა-სუფთ-ავ-ებ-ულ-ი „გაწმენდილი; დალაგებული“ (შდრ. ბქ. ლგშდბგნალე, ჩოლ. ლგშტბგნალე)

ლუ-სუფთ-აუ-ე (ზს., ჩოლ.)/ლუ-სუფთ-აუ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-სუფთ-ავ-ებ-ულ-ი „გაწმენდილი; დალაგებული“ (შდრ. ბზ. {ქა} ლგწყზარე; ბქ. {ქა} ლგშდბგნე, ჩოლ. {ქა} ლგშტბგნე)

ლუ-სფალ-უ (უშგ.)/ლგ-სოფლ-უ (ჩოლ.) < ქართ. სოფლ-ურ-ი „სოფლის დამახასიათებელი, სოფლის შესაფერი, – სოფლისა“

ლუ-ტტუშალ-ე/ლგ-ტტუელ-ე (ბზ.)/ლუ-ტტუელ-ე (ბქ., ჩოლ.)/ლგ-ტიტულ-ე (ჩოლ.)/ლუ-ტიტუელ-ე (ლნტ.)/ლუ-ტუტაშ-ე (უშგ.) < ქართ. გა-ტიტვლ-ებ-ულ-ი „გაშიშვლებული“ (შდრ. ბქ. ლგ-ტინტლაუე)

ლუ-ტუირთ-ლ-აუ-ე (ზს.) / ლგ-ტუირთ-აუ-ე (ჩოლ.) < ქართ. დატვირთ-ულ-ი „ტვირთდადებული; ტვირთდაკიდებული“ (შდრ. ბზ. ლგლაშ, ბქ., ლნტ. ლგლაშ, ლშხ., ჩოლ. ლგლაშ)

ლუ-ტურამ-აუ-ალ-ე (ლშხ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. და-მტვრ-ე-ულ-ი „ნამტვრევებად ქცეული, დალეწილი, დამსხვრეული“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ლუკ{უ}შურე, ბქ. ლუკ{უშ}ურე)

ლუ-ტურამ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-მტვრ-ე-ულ-ი „ნამტვრევებად ქცეული, დალეწილი, დამსხვრეული“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ლუკ{უ}შურე, ბქ. ლუკ{უშ}ურე)

ლუ-უბალ-ე/ლგ-ობლ-ე (ჩოლ.) < ქართ. და-ობლ-ებ-ულ-ი „ობლად დარჩენილი, უდედმამო; მარტოხელა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. {ჩუ} ლუუჴარე, ბქ. {ჩუ} ლგუჴარე)

ლუ-უურჩხილ (ბქ.)/ლუ-უარჩხილ (ლშხ.)/ლუ-ურჩხილ (ლხმ.) 1. „ფულიანი (ზედმიწ. – ვარჩხილ-იან-ი)“, 2. „მოვერცხლილი“ < ზან. (მეგრ.) ვარჩხილ-ი

„ვერცხლი“

ლუ-უქმ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლუ-უუქმ-აუ-ე (ბზ.)/ლუ-უუქმ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-უქმ-ებ-ულ-ი „რაც გააუქმეს ან გაუქმდა“

ლუ-ფოლ[ო]ხუ-ე / ლგ-ფოლხუ-ე (ჩოლ.) „მოდუნებული, მოშვებული (ზედმიწ. – *მო-ფოლხვ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ფოლხვ-ი/ფოლხვ-ე „მოშვებული, დუნე, ფომფლე“

ლუ-ფურჩ-აუ-ე (ბქ.) < ზან. (მეგრ.) გოფურჩ-ონ-ილ-ი „ფოთლებისაგან დაცლილი, გასუფთავებული, გაწმენდილი სიმინდის ტარო“, იხ. ლგ-ტარ-აუ-ე

ლუ-ფურცლ-აუ-ე (ზს., ჩოლ.)/ლუ-ფურცელ-ე (ბქ.) < ქართ. გადა-ფურცლ-ულ-ი „გადაშლილი, გადაბრუნებული (ფურცლები...)“, იხ. ლგ-ფირჩლაუ-ე

ლუ-ფშ-ურ-ალ-ე/ლუ-ფუშ-ურ-ალ-ე (ბზ.)/ლუ-ფაშ-ურ-ალ-ე (ბქ.) „გაჭრილი, ნაწლავებამოღებული“ *ხლმ.* < ქართ. გამო-ფაშვ-ულ-ი „გამოფატრული“

ლუ-ფშ-ურ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ფუშ-ურ-ე (ბზ.)/ლგ-ფაშ-ურ-ე (ბქ.)/ლგ-ფაშ-ურ-ე (ჩოლ.) „გაჭრილი, ნაწლავებამოღებული“ < ქართ. გამო-ფაშვ-ულ-ი „გამოფატრული“

ლუქ (ზს., ქს.) < ქართ. ლუქ-ი „მუქწითელი ფისი, რომელსაც ხმარობენ რისამე დასაბეჭდად (პაკეტისა, რისამე კარისა და სხვ.)“

ლუ-ქოთ-აუ-ე (ლშხ.)/ლგ-ქოთ-აუ-ე (ჩოლ.) < ქართ. ა-ქოთ-ებუ-ლ-ი „აყროლებული“ (შდრ. ბზ. ქუინმაჯნარ, ბქ. ქუინმაჯნოუარ, ჩოლ. ქუინმაჯნარ; ლშხ., ჩოლ. ლგწერ)

ლუ-ქრუხუ-ე (უშგ., ჩოლ.) „გამუქებული, განაცრისფერებული“ < ძვ. ქართ. მო-ქურუხ-ებ-ულ-ი „შუბლშეკრული, მოქურუშებული, მოღუშული, მოქუშული“

ლუ-ქსუუ-ე (ლშხ.)/ლუ-ქსუუ-ელ (ჩოლ.) < ქართ. გა-ქსუ-ებ-ულ-ი 1. „გაგარეულებული (ცხოველი...), 2. *გადატ.* „რამეზე გულაყრილი, გულაცრუებული; გაუცხოებული“

ლუ-ქუეით (ზს.)/ლუ-ქუეთ/ლგ-ქუეით (ბზ.) *ზედმიწ.* – *ქვეით-იან-ი < ქართ. ქვეით-ი „ფეხით მავალი“

ლუ-ქუნებ (ზს.)/ლგ-ქონებ (ჩოლ.) „მდიდარი“ < ქართ. ქონებ-იან-ი „ქონების პატრონი; შეძლებული, მდიდარი“ (შდრ. ბქ. ლუმღუენ, უშგ. ლგმღუანე)

ლუ-ქურით (ბზ.)/ლუ-ქურით-ე (უშგ.) /ლუ-ქუირით-ე/ლგ-ქუირით (ჩოლ.) *გადატ.* „ჩასუქებული“ < ქართ. ჩა-ქვირით-ებ-ულ-ი 1. „ჩასუქებული (ქალი)“, 2. „ქვირითით სავსე, – ქვირითიანი“

ლუ-ქჯუნ-ე (უშგ.)/ლგ-ქჯგნ-ე (ლშხ., ჩოლ.) „გაგიჟებული, გაცოფებული (ზედმიწ. – *გა-ქაჯ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ქაჯ-ი (< სპარს. **kaǰ** „ყალბი“) „ავისული, ეშმაკი“

ლუ-ღულფ-ე (ჩოლ.) „გაძლიერებული ცეცხლი (ზედმიწ. – *გა-ღველფ-ებულ-ი)“ < ქართ. ღველფ-ი „ფერფლმოდებული ნაცრიანი ნაკვერჩხალი, – ღადარი“

ლუ-ღუპ-აუ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ღულპ-აუ-ე (ბქ.)/ლუ-ღუპ-აუ-ე (უშგ.)/ლუ-ღპ-აუ-ე (უშგ.) < ქართ. დაღუპ-ულ-ი 1. „მკვდარი, გარდაცვლილი“, 2. „განადგურებული, მომსპარი, დაქცეული...“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ლგკე, ლნტ. ლგკაცე)

ლუ-ღუჭარ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ღუაჭრ-ე (ჩოლ.)/ლუ-ღუაჭარ-ე/ლუ-ღუაჭარ-ალ-ე (ლნტ.) < ქართ. ნა-ვაჭრ-ი „ნაყიდი“

ლუ-ყუდაუ-ე (ლნტ.) „გაშეშებული“ < ქართ. ა-ყუდ-ებ-ულ-ი „მიყრდნობი-

ლი, მიბჯენილი“

ლუ-ყუთილ-ალ-ე (ბზ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. გა-ყვითლ-ებ-ულ-ი „ყვითლად ქცეული; ყვითლად შეღებილი“

ლუ-ყუთილ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ ლუ-ყუთელ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ყუთელ-ე (ლნტ.)/ლუ-ყუთალ-ე/ლუ-ყუთალ-ე (უშგ.) < ქართ. გა-ყვითლ-ებ-ულ-ი „ყვითლად ქცეული; ყვითლად შეღებილი“

ლუ-შუნდუებ-ე (ზს.)/ლუ-შუნდობ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-შონდობ-ე (ლნტ.) *რელიგ.* < ქართ. შენდობ-ილ-ი „ვისაც შესანდობარი გაუგზავნეს“

ლუ-შ[უ]დობ-ე (ზს.) < ქართ. დამშვიდ-ობ-ებ-ულ-ი „გამომშვიდობებული, გამოთხოვებული“

ლუ-შუიბ (ზს., ქს.)ლუ-შუბ (ლხმ.)/ ლუ-შუბ (ჩოლ.) < ქართ. შუბ-იან-ი (< სპარს. **žubīn/žūpīn** „ერთგვარი საომარი იარაღი – გრძელ ტარზე დაგებული ლითონის წვეტიანი პირით“) „შუბით შეიარაღებული, – შუბოსანი, ხიშტიანი“

ლუ-შუიდბ-უნ-ე/ლგ-შიდბ-უნ-ე (ბქ.) „დაწყნარებული“ < ქართ. დამშვიდ-ებ-ულ-ი „დაწყნარებული, დაშოშმინებული“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. *ლგშარდე*, ბქ., ლნტ. *ლგშარდე*)

ლუ-შჩუჭარ-ე (ზს.)/ლუ-შჩუქურ-ე/ ლუ-სჩუჭარ-ე/ლუ-სჩუქუარ (ბზ.)/ლუ-ჩუჭარ-ე/ლუ-სჩუჭარ/ლუ-ჩუჭარ (ბქ.)/ ლუ-შჩუქურ-ე/ლუ-შჩუჭარ-ე/ლუ-შჩუქრ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-საჩუჭარ-ე (ლნტ.)/ლუ-შჩუქრ-ე (უშგ.) < ქართ. დასაჩუქრ-ებ-ულ-ი „ვინც დაასაჩუქრეს, ვინც დასაჩუქრდა“

ლუ-შხუართ-ე (ბზ., ჩოლ.) < ქართ. ა-შხვართ-ულ-ი „ამოლტილი“

ლუ-შგლშენ-ე/ლუ-შულშუემ-ე (ბზ.)/ლგ-შლაშენ-ე (ბქ.)/ლგ-შლაშინ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-შნაშნ-ე (უშგ.)< ქართ. გა-შალაშინ-ებ-ულ-ი „გარანდული“

ლუ-ჩუტ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ჩუტ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ჩუტ-აუ-ე (ლნტ.) 1. „დაჩუტული“, 2. *გადატ.* „უჭკუო“ < ქართ. და-ჩუტ-ულ-ი „დაფუჭკული“

ლუ-ჩხუარ-ე (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ჩხვარ-ილ-ი „გარჩეული, გაცეხვილი“, შდრ. ლაზ. ჩხვარ-ელ-ი „დალეწილი, დაცეხვილი“

ლუ-ჩხულეტ-აუ-ე (ქს.) < ქართ. დაჩხვლეტ-ილ-ი „წვრილად დახვრეტილი, გახვრეტილი“ (შდრ. ბზ. {ჩუ} *ლგფტგრე*, ბქ. {ჩუ} *ლგფტგრე*; ბზ. {ჩუ} *ლგთხრგლე*, ბქ. {ჩუ} *ლგთხრგლე*)

ლუ-ცუდ-ე (ბქ.)/ლგ-ცდაუ-ე (ლშხ.)/ ლუ-ცუდაუ-ე (ჩოლ.) ლუ-ცდუუ-ე (უშგ.) „გაფუჭებული“ < ქართ. გა-ცუდ-ებ-ულ-ი (< ცუდ-ი < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „გაფუჭებული, წახდენილი, წამხდარი“, იხ. *ლგ-დაუშ-ე*

ლუ-ცუდილ-ე (ქს.) < ქართ. გა-საცოდ-ავ-ებ-ულ-ი (< ცოდ-ვ-ა < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „გასაწყლებული, დაბეჩავებული...“

ლუ-ცხუნაბ-ე (ბზ.)/ლუ-ცხუნაბ-ე (უშგ.)/ ლუ-ცხონაბ-ე (ლნტ.) *რელიგ.* < ქართ. *ცხოვნებ-ულ-ი „იგივეა, რაც ცხონებული“, შდრ. ქართ. ცხოვნება „ცხონება“ (შდრ. ზს. *ლგდრეყე*)

ლუ-ძძ-ურ-ე (ბქ.)/ლუ-ძძ-ურ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ძაძ-ურ-ე (ლნტ.)/ლგ-ძაძ-ურ-ე (ჩოლ.) „ძაძებით შემოსილი“ < ქართ. ძაძ-იან-ი „ძაძით მოსილი, შავად მოსილი“

ლუ-წუალ-აუ-ე (ზს., ქს.)/ლგ-წუალ-აუ-ე (ბქ.)/ლუ-წლ-აუ-ე (უშგ.) < ქართ. გა-წვალ-ებ-ულ-ი „ვინც, რაც გააწვალეს ან გაწვალდა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. {ჩუ} *ლგჭირე*, ბქ., ლნტ. {ჩუ} *ლგჭირე*)

ლუ-წუენ (ბქ., ქს.) < ქართ. წვნ-იან-ი

1. „რასაც წვენი აქვს (საჭმელი)“, 2. „წვნის მქონე საჭამადი (კოვზით შესაჭმელი)“

ლუ-წუილ-ე (ბქ.)/ლუ-წუილ-ე (ლშხ., ჩოლ.) „გათხოვილი (ზედმიწ. – *გაწულ-ებ-ულ-ი)“ < ძვ. ქართ. წულ-ი 1. „იგივეა, რაც შვილი“, 2. „რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი, მაგ.: ძმისწული, უფლისწული, სეფეწული, ქალწული, დედაწული“

ლუ-წუიმპლ-აუ-ე (ჩოლ.) „გაწუწული“ < ქართ. გა-წუმპ-ულ-ი „რაც გაწუმპეს ან გაიწუმპა“, შდრ. ქართ. წუმპ-ელ-ა „ტურტლიანი, ჭუჭყიანი“ და ინგ. წუმპალ „დიდი წვეთი“ (შდრ. ბზ. {ჩუ} ლეჭყეპე; ბზ. {ჩუ} ლუწუწყნაუე; ბქ. {ჩუ} ლელწყეგნე; ბქ. {ჩუ} ლეჩელთინე)

ლუ-წურ-ან-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-წურ-ან-ე (ლნტ.)/ლე-ნწურ-ე (ჩოლ.) „გაბინძურებული“ < ქართ. გა-წვირ-იან-ებ-ულ-ი „გაჭუჭყიანებული, დასვრილი“, {მ}წვირ-იან-ი „ჭუჭყიანი“ (შდრ. ბქ. {ჩუ} ლუთუურქუე; ლშხ. {ჩუ} ლეწწნგუე; ლშხ. {ჩუ} ლეკქცერე; ლნტ. {ჩუ} ლუწურანე)

ლუ-წუფილ-ან-ე (ბქ., უშგ.) „გაწვრთნილი, გაზრდილი“ < ქართ. გაწაფ-ულ-ი „დაოსტატებული, გაწვრთნილი“, შდრ. ზან. (მეგრ.) გორწაფილი (შდრ. ბქ. ლუწუედ)

ლუ-წყუილ (ბზ., ჩოლ.)/ლე-წყუილ-ე (ჩოლ.) „ლუწი (ზედმიწ. – წყვილ-იან-ი/და-წყვილ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. წყვილ-ი „ორი ცალი (ერთგვარი საგნების თვლისას); ტყუპი“

ლუ-წხუ-აუ-ე (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ლუ-წუხუ-აუ-ე (ბქ.)/ლე-წუხუ-აუ-ე/ლე-წუხუ-აუ-ე (ლშხ.)/ლუ-წხუ-ᲂუ-ე (ლნტ., უშგ.)/ლე-წხუ-აუ-ე (ლნტ., უშგ., ჩოლ.) „მწუხარე, შეწუხებული, დადარდიანებული“ < ქართ. შე-წუხ-ებ-ულ-ი „ძალიან დაღონებული, – დამწუხრებული“ (შდრ. ზს. ლეგნყარე; ბზ. ლუპურტუხუე)

ლუ-ჭბუგუ (უშგ.) „გმირული“ < ქართ. ჭაბუკ-ურ-ი (< ჭაბუკ-ი < ფალ. **čāpūk** „ცოცხალი, მარდი, მოხერხებული, მკვნე, სწრაფი“) „ჭაბუკის დამახასიათებელი, შესაფერი, – ახალგაზრდული“

ლუ-ჭურჭლ-აუ-ე (ჩოლ.) „ყველაფრით მომარაგებული (ზედმიწ. – *მოჭურჭ[ე]ლ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ჭურჭელ-ი 1. „საერთო სახელი ღრუ ნივთებისა (ქვაბისა, ჯამისა, ჭიქისა, კოკისა...), რომელშიც სასმელ-საჭმელს ათავსებენ“, 2. ძვ. ქართ. „ნივთი, ნივთები; ქონება“, 3. ძვ. ქართ. „იარაღი“

ლუ-ჭურტლ-ან-ე (უშგ.)[57] < ქართ. გაჭვარტლ-იან-ებ-ულ-ი „გამურიანებული“ (შდრ. ბქ. ლუგუნაშე), იხ. ლუ-ჭუᲂარტ-ე

ლუ-ჭუᲂარტ-ე (ზს.) /ლუ-ჭუარტ-ე (ბქ.)/ლუ-ჭუᲂარტლ-აუ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-ჭვარტლ-ულ-ი „ჭვარტლით გასვრილი“ (შდრ. ბქ. ლუგუნაშე), იხ. ლუ-ჭყუᲂარტ-ე

ლუ-ჭყუᲂარტ-ე (ბზ.)/ლუ-ჭყუარტ-ე/ლუ-ჭყუᲂარტლ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ჭყუᲂარტლ-ე (უშგ.) < ქართ. *გაჭყვარტლ-ულ-ი (< ჭყვარტლ-ი) „ჭვარტლით გასვრილი“ (შდრ. ბქ. ლუგუნაშე), იხ. ლუ-ჭუᲂარტ-ე

ლუ-ხურდ-აუ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ხურდ-ᲂუ-ე (ლნტ.) < ქართ. დახურდ-ავ-ებ-ულ-ი (< ფალ. **xurtak** „მცირე, პატარა“) „ხურდად ქცეული, დაშლილი (ფული)“

ლუ-ხურ-აუ-ე (ჩოლ.) < ქართ. გახურ-ებ-ულ-ი „ძლიერ გაცხელებული, მხურვალე, ცხელი...“ (შდრ. ზს. {ჩუ/ქა} ლეკქნთრინე; ბზ. {ქა/ჩუ} ლეღეწხრინე;

ბქ. [ჩუ] ლგღგნთრინე/ლგღგნდრინე)

ლუ-ხურჯინ (ბქ., ჩოლ.) < ქართ. ხურჯინ-იან-ი „ხურჯინის მქონე, – ხურჯინგადაკიდებული“

ლუ-ჯუჯარ-ლგ-სკეთ (ბქ.)/ლუ-ჯუჯარ-ლგ-სკეთ-[ე] / ლგ-ჯუჯარ-ლგ-სკეთ-[ე] (ჩოლ.) „ყოჩაღი; მეოჯახე; ყველაფრის მცოდნე; კარგი ადამიანი (ზედმიწ. – *ჯვარ-იან-სიკეთ-იან-ი)“ < ქართ. ჯვარ-ი „ქრისტიანული კულტის სიმბოლო, გრძელი ვერტიკალური ღერო, რომელზედაც პერპენდიკულარულად არის გადაჭდობილი მეორე, უფრო მოკლე ღერო“ და სიკეთე „კეთილის თვისება, საქციელი; სხვისათვის კარგის ქმნა; კეთილად ყოფნა...“

ლუერ (ბზ., ლნტ.)/ლორ (ბზ., ლნტ.)/ლორუ (ბზ.)/ლორ (ლშხ., ჩოლ.)/ლუერ (ლნტ.)/ულერ (ჩოლ.)/ლერ/ლერუ (უშგ., ჩოლ.) < ქართ. ლორ-ი „ღორის ხორცი (დამარილებული) და ბოლში გამოყვანილი შესანახად“ (შდრ. ბქ. აპეხუდ)

ლხინ (ზს., ქს.)/ხლინ (ზს.)/ ხინ (ბზ., ქს.) < ქართ. ლხინ-ი „დაკვრა-სიმღერა და ცეკვა-თამაში, მხიარულება, დროს ტარება“ (შდრ. ბზ. ლაბიადალ, ბქ., ლნტ. ლაბედალ/ლაბიადალ, ლშხ., ჩოლ. ლაბიადალ, ზს., ქს. ტაბგობ)

ლხინ-ობ (ზს.)/ხინ-ობ (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ლხინ-ობ-ა „ლხინი, ლხინის ვითარება“ (შდრ. ბზ. ლაბი-ადალ/ლიხიადალ, ბქ. ლაბედალ; ზს. ჩოლ. ტაბგობ)

ლგ-ბაგ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.) 1. „ბაგაზე დაბმული საქონლი, 2. „გაწმენდილი ბაგა (ზედმიწ. – *და-ბაგ-ულ-ი)“ < ქართ. ბაგა „დაბმული საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი (წნული ან ფიცრული)“

ლგ-ბალაბ (ლნტ.) < ქართ. ბალახ-იან-ი „ბალახით დაფარული“ (შდრ. ბზ. ლგმელუ, ბქ., ლშხ. ლგმელ)

ლგ-ბალდათ-ე/ლგ-ბგლდათ-ე (ჩოლ.) „მოშვებული“ < ქართ. (აჭარ.) ბალდახ-ი „ზანტი, უფხო ადამიანი, ძალიან დამშეული, ბეხრეკი“, შდრ. ბქ. ბალდაბთილ „უხეიროდ ჩაცმული ცუდი გარეგნობის ადამიანი“

ლგ-ბახ-აუ-ე (ჩოლ.) „შერცხვენილი, ნამუსახდილი“ < ქართ. გა-ბახ-ებ-ულ-ი „ნამუსახდილი, გაუპატიურებული; თავმოჭრილი, შერცხვენილი“ (შდრ. ზს. ლგლშგურე, ლშხ. ლგლშგურინე, ლნტ. ლგლშკურე; ბზ. შგურარ; ზს. განქრეუილ; ზს. კინჩხმექუცე, ლშხ., ჩოლ. კინჩხმექუცე, ლნტ. კინჩხმექუეცე; ბქ. ლგარდ ლგდგარ, ბქ. ლგარდ ლეგუანე)

ლგ-ბარგ (ზს., ლნტ.)/ლგ-ბარგ (ლშხ., უშგ., ჩოლ.) „ქონებიანი, მზითვიანი“ < ქართ. ბარგ-იან-ი (< ქართ. ბარგ-ი < სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი“) „ბარგის მქონე, – ტვირთიანი“

ლგ-ბარდ (ბზ.)/ლგ-ბარდ (ლშხ., ჩოლ.) *ზედმიწ.* – *ბარდ-იან-ი < ქართ. ბარდ-ნარ-ი „ბარდებით დაფარული ადგილი“

ლგ-ბდ-აუ-ობ (ბზ.)/ლგ-ბდ-აუ-ობ (ჩოლ.) < ქართ. გა-ბედ-ულ-ებ-ა/გა-ბედ-ულ-ობ-ა „სითამამე, შეუპოვრობა, გამბედაობა“

ლგ-ბდით-ე (უშგ.) < ქართ. ბედ-ით-ობ-ა „ბედუკუღმართობა, ავბედობა“, შდრ. ბედ-ით-ი „ცუდივით“ (საბა)

ლგ-ბდნიერ-ე (ბზ., ლშხ.)/ლგ-ბნერ-ე (ბქ.)/ლგ-ბედნიერ-ე (ლნტ., ჩოლ.) „ამბობენ მოკლულ, ღვთისაგან შეწირულ რქოსან ნადირზე (მონადირული ენით), ზედმიწ. – გა-ბედ-ნ-იერ-ებ-ულ-ი“ < ქართ. ბედ-ნ-იერ-ი „ბედკეთილი, ბედიანი, სვიანი, იღბლიანი“

ლგ-ბეგრ-აუ-ე (ზს., ლნტ.)/ლგ-ბეგრ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ბგერ-ე (ლშხ.) <

ქართ. და-ბეგრ-ილ-ი (< ბეგარა < სპარს. **bīgār/bīgārī**) „ვინც (რაც) დაბეგარეს; ვისაც (რასაც) ბეგარა დაადეს; ვისაც (რასაც) გადასახადი დაუწესეს“ < ახ. ქართ. ბეგარა, ძვ. ქართ. ბეგარ-ი „ხარკი“

ლგ-ბინ-აუ-ე (ზს., ქს.)/ლგ-ბინ-ა̈უ-ე (ლნტ.) < ქართ. და-ბინ-ავ-ებ-ულ-ი (< ბინა < არაბ.-სპარს. **binā'ī**) „ბინაში მოთავსებული, დასახლებული...“, იხ. დაბინაუ̈ებილ

ლგ-ბინძურ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. გა-ბინძურ-ებ-ულ-ი „გაჭუჭყიანებული, დასვრილი“

ლგ-ბორეტ-ე (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. გა-ბოროტ-ებ-ულ-ი (< ბოროტ-ი < სომხ. **բըդտ** „კეთროვანი, ქეციანი“ < ფალ. **bōr**) „სახელი გააბოროტებს, გაბოროტდება ზმნათა მოქმედებისა“

ლგ-ბორჩხალ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბორჯღ[ა]ლ-იან-ი „გაშლილი, გაბარჯღულიანი ტოტები/ტოტებად გაშლილი (ხეები, რქები)“

ლგ-ბრ-ა̈ჲ-ე (ბზ.)/ლგ-ბრ-ეუ̈-ე (ბქ.)/ლგ-ბრ-აი-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიბარ-ებ-ულ-ი „შესანახად (მოსავლელად) მიცემული“, ჩა-ბარ-ებ-ულ-ი „მიბარებული“

ლგ-ბრჳზ-ე (ბზ.) / ლგ-ბრაზ-აუ̈-ე (ჩოლ., უშგ.)/ლგ-ბგრზ-აუ̈-ე (უშგ.) „გახელებული; გაავებული; გაცოფებული“ < ქართ. გა-ბრაზ-ებ-ულ-ი „გაავებული, გაღიზიანებული, განრისხებული“ (შდრ. ზს., ქს. ლგხრინე)

ლგ-ბძგ-ე (ჩოლ.) „გამხმარი, გამაგრებული (ზედმიწ. – შე-ბიძგ-ულ-ი)“ < ქართ. შე-ბიძგ-ვ-ა „ოდნავ შეხმობა ზედაპირისა“

ლგ-ბჭედ (ზს.)/ლგ-ბჭედ-ე (ზს., ლშხ.)/ლგ-ბჭეტ-ე (ზს.)/ლგ-ბჭედ-აუ̈-ე (ბზ.)/ლგ-ბჭეტ-აუ̈-ე (ლშხ.)/ლგ-ბეჭდ-ე/ლგ-ბეჭდ-აუ̈-ე (ლნტ.)/ლგ-ბეჭდ-აუ̈-ე (ჩოლ.)/ლგ-ბჭ̈დ-ე (უშგ.) < ქართ. და-ბეჭდ-ილ-ი (< ბეჭედ-ი < ფალ. **pēčītak** „ხვეული, რკალი“) 1. „ჩამოსხმული ასოების, კლიშეს საშუალებით ქაღალდზე (ქსოვილზე...) გამოსახული ნაწერი (ნახატი და მისთ.)“, 2. „სტამბურად გამოქვეყნებული, გამოცემული“, 3. „ბეჭედდასმული, – დალუქული“

ლგ-ბგმბ-ა̈-ჲ (ბზ.)/ლგ-ბგმბ-ა̈ (ბქ., ლნტ.)/ლგ-ბუმბ-ა̈/ლუ-ბუმბ-ა̈უ̈-ე/ლუ-ბუმბ-ა̈ (ბქ.)/ლგ-ბგმბ-ა-ჲ (ლშხ., ჩოლ.)/ლუ-ბუმბ-აი (ჩოლ.) „თბილი მოსაცმელი, უმკლავებო“ < ქართ. და-ბამბ-ულ-ი (< ბამბა < სპარს. **pamba**) „რაც დაბამბეს, რასაც ბამბა დაუდვეს“

ლგ-ბგნგ-აუ̈-ე (ზს.)/ლგ-ბგნგ-უ̈-ე/ლგ-ბანგ-უ̈-ე (ბზ.)/ლგ-ბგნგ-აუ̈-ე (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/ლგ-ბანგ-ა̈უ̈-ე (ლნტ.)/ლგ-ბანგ-აუ̈-ე (ჩოლ.) < ქართ. და-ბანგ-ულ-ი (< ბანგ-ი < სპარს. **bang** „ჰაშიში“) „ბანგით გაბრუებული; დამთვრალი; გონება დაბინდული“

ლგ-ბგრდაგ-ე (ზს.) „გაცილებული; გასტუმრებული (ზედმიწ. – ˚გა-ბადრაგ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ბადრაგ-ი (< ახ. სპარს. **badragah** „გაცილება, გაყოლა, ესკორტი, თანხლება“) „შეიარაღებული რაზმი, რომელიც ადგილზე იცავს ან აცილებს რაიმე დასაცავ ობიექტს“, შდრ. ბადრაგა „ჭაბუკი მოგზაურთა წინამავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს“ (საბა)

ლგ-ბგრწინ-ე (ბქ.) „გაწელილი, გადიდებული მიწის ფართობი“ < ზან. (მეგრ.) ბურწენ-ი/ბურწემ-ი/ბურწინ-ი „ხის დიდი კასრი“ < ქართ. (გურ.) ბურწინ-ი „დიდი საღვინე ჭურჭელი, კასრი“

ლგ-გა̈თუ̈-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-გთაუ̈-ე/ლგ-გათუ̈ნ-ე (ბქ.)/ლგ-გათუ̈-ე (ლნტ., უშგ.)/ლგ-გათაუ̈-ე (ლნტ.) <

ქართ. გა-თავ-ებ-ულ-ი „გამოლეული, ამოწურული; დამთავრებული“

ლგ-გაზდ-ილ-ე (ბზ.)/ლგ-გაზდ-ილ-ე (ბქ., ლნტ.) / ლგ-გაზდ-ილ-ე (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „კარგად გაზრდილი, ზრდილობიანი; გაწვრთნილი“ < ქართ. გა-ზრდ-ილ-ი „ზრდადასრულებული; აღზრდილი, გაწვრთნილი“ (შდრ. ბზ. ლგრდბაშ)

ლგ-გაწბ-ულ-ე (ბზ.)/ლგ-გაწბ-ულ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-გაწბ-ულ-ე (უშგ.) < ქართ. გა-წბილ-ებ-ულ-ი „შერცხვენილი, პატივახდილი; შეურაცხყოფილი; იმედგაცრუებული“

ლგ-გაწყობლ-ე (ბზ.)/ლგ-გაწყობილ-ე/ლგ-წყობ-აუ-ე (ლშხ.)/ლგ-გაწყობლ-ე (ქს.)/ლი-გაწყობ-ლ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-წყობ-ილ-ი 1. „გაშლილი (სუფრა...); დაგებული, გასწორებული (ლოგინი)“, 2. „გამართული, მოწყობილი“, 3. „მორთული, მოკაზმული“...

ლგ-გელცემ-ე (ლნტ., ჩოლ.) „გესლიანი“ < ქართ. (ლეჩხ.) გელ-ც[ე]მ-ულ-ი „პირუტყვის ავადმყოფობა, ჭირი, – მგელცემული“, შდრ. ქართ. გველ-ცემ-ულ-ი „გველნაკბენი“ და ზან. (მეგრ.) გერ-ცემ-ი/გერ-ცემ-ულ-ი/გერ-ცემ-უ-ი „პირუტყვის ავადმყოფობაა ერთგვარი“, იხ. გელცემ

ლგ-გერშ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-გეშ-აუ-ე (ჩოლ.)/ლგ-გერშ-აუ-ე (უშგ.) „გაწვრთნილი“ < ქართ. და-გერშ-ილ-ი/და-გეშ-ილ-ი „გაწვრთნილი, გაწაფული“

ლგ-გლეჯ-აუ-ე (ლნტ.) < ქართ. და-გლეჯ-ილ-ი „დახეული, დაფხრეწილი...“ (შდრ. ზს., ჩოლ. ლგგინჯლაუე)

ლგ-გნის-ე/ლგ-გნი/ეს-აუ-ე (ჩოლ.) „შელესილი (ზედმიწ. – *გა-გლეს-ილ-ი)“ < ქართ. გლეს-ა „[წა]სმა, [წა]ცხება (ბათქაშისა...)“, შდრ. ბქ. {ჟი} ლუცუემ

ლგ-გრილ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-გრილ-ე (ლშხ.) < ქართ. გა-გრილ-ებ-ულ-ი „რაც გააგრილეს ან გაგრილდა“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ლუქუელე, ბქ. ლუქუეინე)

ლგ-გუნდ-ე (ჩოლ.) „მოქუფრული სახე, ცა... (ზედმიწ. – *მო-გვინ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. გვინ-ი/გუნ-ი „სიყვითლის სენი“ (საბა), შდრ. ასევე ჩოლ. ლგ-გუნდ-ილ-ე „დაობებული, დანესტიანებული“

ლგ-გცხად-ად (ზს., ჩოლ.) „გამართულად, სწორად“ *ზმნის.* < ქართ. გა-ცხად-ებ-ულ-ად „გამჟღავნებულად, აშკარად...“

ლგ-გცხად-ალ-ე (ზს., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. გა-ცხად-ებ-ულ-ი „გამჟღავნებული, გამოაშკარავებული“

ლგ-გცხად-ე (ზს., ჩოლ.) < ქართ. გა-ცხად-ებ-ულ-ი „გამჟღავნებული, გამოაშკარავებული“

ლგ-გგნჯ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლგ-განჯუ-ე (ბქ.) < ქართ. და-ჟანგ-[ებ]-ულ-ი „ჟანგმოკიდებული, ჟანგმოდებული, ჟანგიანი“

ლგ-გგრჲტნ-ე (ბქ.) „გაჭიანურებული, გაჯანჯლებული“ < ქართ. გარანტია (< ფრანგ. **garantie**) „პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე საქმის წარმატებას, – საწინდარი; თავდებობა, წინაპირობა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. {ქა} ლუჯრდნე, ბქ. {ქა} ლუჯოდინე, ლნტ. {ქა} ლუნჯოდნე; ზს. {ქა} მექხე)

ლგ-გგრცამ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.) „დაწყევლილი; ხატზე გადაცემული“ < ძვ. ქართ. გარდა-ც-ემ-ულ-ი „იგივეა, რაც გადაცემული“

ლგ-გგრწყილ-აუ-ე (ბზ.)/ლგ-გირწყილ-აუ-ე (უშგ.) < ქართ. {მო}-კირწყლ-ულ-ი „ქვებით მოფენა (ქუჩისა და მისთ.)“

ლგ-დაგაუ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-დაგ-ულ-ი „დამწვარი“ (შდრ. ზს.,

ლშხ., ჩოლ. {ჩუ} ლგყჩე, ზს. {ჩუ} ლგყაჩ; ზს. {ჩუ} ლგგტაუე; ბქ. {ჩუ} ლუგუასპე)

ლგ-დადგმ-ილ-ე (ჩოლ.) „დამშვიდებული; დაბინავებული (ზედმიწ. – დადგმ-ულ-ი)“ < ქართ. და-დგმ-ულ-ი „მოთავსებული, დადებული (ამართულად); აშენებული, აგებული; გაკეთებული...“

ლგ-დარბაზ (ზს., ლნტ.)/ლგ-დგრბაზ (ბქ.)/ლგ-დარბაზ/ლგ-დგრბაზ (ლშხ., ჩოლ.) „დარბაზიანი“ < ქართ. დარბაზ-ი (< სპარს. **darbaz** „ალაყაფის კარი“, „სასახლე“, „დარბაზი“) „სახლი“

ლგ-დაფ (ბქ.)/ლგ-დაფ (ჩოლ.) „ფიცრიანი (ზედმიწ. – დაფ-იან-ი)“ < ქართ. დაფა „ფიცარი“

ლგ-დაღ (ზს., ლნტ.)/ლგ-დღ-ან-ე (ბზ.)/ ლგ-დაღ (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დაღ-აუ-ე (ლნტ., ჩოლ.)/ლგ-დაღ-რ-აუ-ე/ლგ-დაღ-ან-ე (ჩოლ) 1. „დაღდასმული, დანიშნული“, 2. ბზ. „ჭრილობამიყენებული, დაჭრილი“ < ქართ. და-დაღ-ულ-ი „იგივეა, რაც დაღდასმული“ (შდრ. ბქ. ლგღაზალე)

ლგ-დაუ-უ (ბზ.)/ლგ-ლ-დეუ-უ (ბქ.)/ლგ-ლ-დეუ-უ/ლგ-ლ-დეუ-ე/ლგ-დეუ-ე (ჩოლ.) „ბრიყვული“ < ქართ. დევ-ურ-ი (< დევ-ი < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) „დევის დამახასიათებელი, დევის შესაფერი (ძალა, აგებულება...), – ძალიან დიდი, უზარმაზარი, გოლიათური“

ლგ-დაუშ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დაუშ-ე (ბქ., ლნტ.)/ლგ-დუაშ-ე/ლუ-დუაშ-ე (ბქ.)/ლგ-დშაუ-ე (უშგ.) „გაფუჭებული, განადგურებული, წამხდარი“ < ქართ. და-შავ-ებ-ულ-ი „გაფუჭებული, წახდენილი (საქმე...); ფიზიკურად დაზიანებული, ნატკენი, დასახიჩრებული“, იხ. ლუ-ცუდ-ე

ლგ-დაცმულ-ე/ლგ-დაცმულ-ე (ლშხ.) „დასუსტებული, გამხდარი, დავარდნილი“ < ქართ. და-ც-ემ-ულ-ი „(ძირს) დავარდნილი, დანარცხებული; წაქცეული...“, *გადატ.* „გაწყვეტილი საქონელი“, იხ. დაცმულ

ლგ-დაწყ-ალ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დაწყ-ალ-ე (ბქ., ლნტ.) „დაწყობა, დალაგება; გადაწყობა, გადალაგება“ *ბლმ.* < ქართ. და-წყ-ობ-ილ-ი „დალაგებული; მოწესრიგებული; განლაგებული...“

ლგ-დაწყ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დაწყ-ე (ბქ., ლნტ.)/ლგ-დაწყუ-ე (ჩოლ.) „დალაგებული; გადაწყობილი, გადალაგებული“ < ქართ. და-წყ-ობ-ილ-ი „დალაგებული; მოწესრიგებული; განლაგებული...“

ლგ-დედბერ-უ (ბზ., ჩოლ.) < ქართ. დედაბრ-ულ-ი „დედაბრის თვისებისა, დედაბრისთვის დამახასიათებელი“

ლგ-დეუ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დეუ-ე (ბქ.) „გაბრიყვებული (ზედმიწ. – *გა-დევ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. დევ-ი (< ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) „ცრურწმენით – დიდტანიანი ზღაპრული არსება, კაცის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი, ხშირად რამდენიმე თავიანი“, *გადატ.* „დიდი ტანისა, ახოვანი და ღონიერი, – გოლიათი“

ლგ-დიდ-ე (ჩოლ.) „გაზვიადებული“ < ქართ. გა-დიდ-ებ-ულ-ი „მომატებული, გაზრდილი“

ლგ-დლამბ-ალ-ე (ბზ.)/ლგ-დამბლ-ე (ლნტ.)/ლგ-დამბლ-ე/ლგ-დაბ-ლ-ე (ჩოლ.) „დადაბლებული, დაქვეითებული, ჩამოქვეითებული“ *ბლმ.* < ქართ. და-დაბლ-ებ-ულ-ი „დაბლად ქცეული; დაბლა დაწეული“ (შდრ. ბზ. ლუჩუნბე, ბქ. ლუჩუნბე)

ლგ-დლამბ-ე (ზს.)/ლგ-დამბლ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-დამბალ-ე (ლნტ.) „და-

დაბლება, დაქვეითება, ჩამოქვეითებული“ < ქართ. და-დაბლ-ებ-ულ-ი „დაბლად ქცეული; დაბლა დაწეული“ (შდრ. ბზ. ლუჩუბიბე, ბქ. ლუჩუბიბე)

ლგ-დშნა-ჲ/ლგ-დგშნა-ჲ (ბზ.)/ლგ-დაშნა-ჲ (ჩოლ.) < ქართ. დაშნ-იან-ი „ხმლიანი“

ლგ-დგნდაგ-ე (ზს., ჩოლ.)/ლგ-გნდაგ-ე/ლგ-ნიანდაგ-ე (უშგ.) < ქართ. დალიანდაგ-ებ-ულ-ი „ლიანდაგი გავლებული (საბანზე...)“

ლგ-ზარალ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ზარჱლ-ე (ბქ., ლნტ.) < ქართ. და-ზარალ-ებ-ულ-ი (< თურქ. **zarar**) „ვინც ქონებრივად იზარალა, რასაც ან ვისაც ზარალი მიაყენეს, ზარალი მოუვიდა“

ლგ-ზაუ̌ (ბზ.)/ლგ-ზაუ̌-ე (ბქ., ჩოლ.)/ლუ-ზუ̌-ენ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ზუ̌-ე (უშგ.) „გაშველებული“ < ქართ. და-ზავ-ებ-ულ-ი „გაშველებული; შერიგებული“

ლგ-ზეთ (ზს., ქს.) 1. „ზეთიანი“, 2. „დაზეთილი“ < ქართ. ზეთ-იან-ი (< სომხ. *ձեթ*) „ზეთის შემცველი (ჭურჭელი და მისთ.)“, იხ. ზეთჱრ

ლგ-ზელ-აუ̌-ე (ლნტ.)/ლგ-ზილ-აუ̌-ე (ჩოლ.) < ქართ. და-ზელ-ილ-ი „აზელილი, მოზელილი; დასრესილი...“

ლგ-ზეპირ-ე (ზს., ქს.)/ლგ-ზპირ-ე (უშგ.) < ქართ. და-ზეპირ-ებ-ულ-ი „ზეპირად დასწავლილი, გაზეპირებული“

ლგ-ზმ-ალ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ზმ-ალ-ე (ბქ.) *ხლმ.* < ქართ. გა-ზომ-ილ-ი „გამორწყული“

ლგ-ზმ-ე[1] (ზს., ქს.)/ლგ-ზემ-ე (ლნტ.) < ქართ. მი-ზომ-ებ-ულ-ი „მიტოლებული“

ლგ-ზმ-ე[2]/ლგ-ზიმ (ზს.)/ლგ-ზმ-ე/ლგ-ზგმ (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ზემ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-ზომ-ილ-ი „გამორწყული“

ლგ-თაუ̌სუფლ-ე (ზს.)/ლგ-თაუ̌სუფლ-ე (ბზ.)/ლგ-თაურისუფლ-ე (ჩოლ.) < ქართ. გა-თავ-ის-უფლ-ებ-ულ-ი „ვინც (რაც) გაათავისუფლეს ან გათავისუფლდა“

ლგ-თარგმნ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-თგრგმან-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-თარგმნ-ე (ბქ.)/ლგ-თარგმან-ე (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. თარგმნ-ილ-ი „ერთი ენიდან მეორეზე გადაღებული ტექსტი ან სიტყვა, – ნათარგმნი“

ლგ-თეთრ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ფულიანი“ < ქართ. თეთრ-ი „ფულის ერთეული“ (შდრ. ბქ. ლუუ̌უ̌ურჩხილ)

ლგ-თუ̌ურ-ალ-ე / ლგ-თერუ̌-ალ-ე (ბზ.)/ ლგ-თეურ-ალ-ე (ბქ., ჩოლ.)/ლგ-თუ̌ურ-ალ-ე (ჩოლ.)/ლგ-თაურ-ალ-ე (უშგ.) *ხლმ.* < ქართ. [და]-თვალ-იერ-ებ-ულ-ი „თვალით გასინჯული; ყოველმხრივ ნანახი“

ლგ-თერუ̌-ე (ბზ.)/ლგ-თეუ̌არ-ე (ბქ.)/ლგ-თეურ-ე (ჩოლ.) < ქართ. [და]-თვალ-იერ-ებ-ულ-ი „თვალით გასინჯული; ყოველმხრივ ნანახი“

ლგ-თთარ-ე (ბქ., ჩოლ., უშგ.) „გაჭუჭყიანებული, გაბინძურებული (ზედმიწ. – *გა-თათრ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. თათარ-ი „თათარისტანის მოსახლეობა“, შდრ. ზან. (მეგრ.) თართილ-ი „დასვრილი, მოთხუპნული“

ლგ-თირ (ბზ.)/ლგ-თგრ (ჩოლ.) < ქართ. მო-თრ-ეულ-ი „რაც ან ვინც მოათრიეს (ან მოეთრია), თრევით მოტანილი ან მოყვანილი“, *უპატივც.* „მოსული“

ლგ-თნაფ-უნ-ღო (ბზ., ჩოლ.)/თანაფ-უნ-ღო (ბქ.)/თანაფ-უნ-ღო (ჩოლ.) „ნააღდგომევს (ზედმიწ. – ნააღდგომევის შემდეგ)“ *რელიგ.* < ზან. (მეგრ.-ლაზ.) თანაფა 1. „აღდგომა“, 2. „თენება; განთიადი“, იხ. ნა-თნაფ-უ̌-ს და თანაფ-უნ-ღო

ლგ-თრინ-ე (ბზ.)/ლგ-თრინ-ე (ბქ., ქს., უშგ.) < ქართ. მო-თრ-ეულ-ი „ვინც ან რაც მოათრიეს“

ლგ-თხილმ-არ (ზს.)/ლგ-თხლამ (ბქ.)/ ლგ-თხილმ-არ (ლშხ.)/ლგ-თხილამ-არ (ლნტ.) < ქართ. თხილამ-ურ-იან-ებ-ი „ვისაც თხილამურები უკეთია“

ლგ-კაკუნ-ე/ლგ-კაკუნ-ე (ლნტ.)/ლგ-კაკუნ-ე (ჩოლ.) < ქართ. და-კაკუნ-ებ-ულ-ი „დაკაკუნების შედეგი“ (შდრ. ზს. ლგფხკგნე; ბქ. ლუყ[უ]გუნე)

ლგ-კანკულ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-კაკ-ულ-ი „მოხრილი, მოლუნული“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. {ჟი} მენკუე, ლნტ. {ჟი} მენეკუე; ბზ. {ჟი} ლუკუმფე, ბქ. {ჟი} ლუკუმფე)

ლგ-კაწრ-აუ-ე (ლნტ.)/ლგ-კაწრ-აუ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-კაწრ-ულ-ი „დახოკილი, დაფხაჭნილი“ (შდრ. ბქ. ლგკანჭურე, ლშხ., ჩოლ. ლგკანჭურე; ბქ. ლგფხანჭურე, ლშხ., ჩოლ. ლგფხანჭურე)

ლგ-კაბ (ზს., ლნტ.)/ლგ-კაბ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. კაბ-იან-ი „ვისაც (რასაც) კაბა აცვია, კაბის მქონე“

ლგ-კაკ (ზს., ლნტ.)/ლგ-გაკ (ლშხ., ჩოლ.) „ნიგვზიანი“ < ქართ. კაკლ-იან-ი „რაშიც კაკალია“

ლგ-კან (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ლგ-კან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. კან-იან-ი „რასაც კანი აქვს, კანით დაფარული“

ლგ-კაუ-ე (ბზ., ლნტ.)/ლგ-კაუ (ბზ.)/ლგ-კაუ-ე (ბქ.)/ლგ-კაუ (ლშხ., ჩოლ.) „შეწყვეტილი; დაკავებული; დაქვითული“ < ქართ. და-კავ-ებ-ულ-ი 1. „დატუსაღებული, დაპატიმრებული“, 2. „დაქვითული“, 3. „(ხელში) დაჭერილი...“ (შდრ. ბზ. ლუკუენე)

ლგ-კაზმ-ე (ბზ.)/ლგ-კაზმ-ე (ჩოლ.) < ქართ. მო-კაზმ-ულ-ი „მორთული/ლამაზად გამოწყობილი“

ლგ-კდელ (ბქ.) < ქართ. და-კოდ-ილ-ი „დაჭრილი“

ლგ-კეკ-აუ-ე (ქს.) „გასაშრობად გაშლილი, გაფანტული (თივა, მატყლი...); გაწეწილი მატყლი, ბურტყლი“ < ქართ. (გურ.) და-კეკ-ილ-ი „დავარცხნილი; გაწეწილი (მატყლი)“, შდრ. ზს. {ჩუ} ლგბძღნე

ლგ-კელტერ (ლშხ.) „კელავერიანი“ < ქართ. კელავერ-ი „მუცლის ხორცი“ (საბა), „დასაკლავი საქონლის გვერდების ნაწილი, რომელიც ბეჭქვეშაა დაფარული“

ლგ-კენ-ე (ლნტ.)/ლგ-კენ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. შე-კონ-ილ-ი „კონად შეკრული“

ლგ-კეტაუ-ე (ლნტ.)/ლგ-კეტაუ-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-კეტ-ილ-ი „დახშული, დახურული, ჩაკეტილი...“ (შდრ. ბზ. {ჩუ} ლგცყანე; ბზ. {ქა} ლგკურანე, ბქ. {ჩუ} ლუკურან, ქს. {ქა} ლგლეკურანე)

ლგ-კეც-აუ-ე (ქს.) < ქართ. და-კეცილ-ი „რამდენიმე პირად გაკეცილი; მოკეცილი“ (შდრ. ბზ. ლუკუშდანგელე, ბქ. ლუკუშდელე)

ლგ-კზმ-ე/ლგ-კაზმ-აუ-ე (უშგ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. შე-კაზმ-ულ-ი 1. „ლაგამუნაგირიანი“, 2. „მოკაზმული, აღჭურვილი, მორთული, გამოწყობილი“ (შდრ. ზს. {ჟი} ლგჰინგრე, უშგ. ლუჰუნგირ[ე])

ლგ-კთილ-ე/ლგ-კთილ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-კეთლ-ე (ლნტ.) „ქონებიანი, მდიდარი, შეძლებული, აშენებული, დოვლათიანი (ზედმიწ. – *[გა]-კეთ-ილ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. კეთილ-ი „სხვისათვის კარგის მსურველი, კარგი გულისა, სათნო“

ლგ-კირ (ზს., ქს.) < ქართ. კირ-იან-ი

„რაც კირს შეიცავს, რაშიც კირი ურევია“

ლგ-კაკ̈ლ (ზს., ჩოლ.) „ბურღულეული (ზედმიწ. – *კაკლ-იან-ი)“ < ქართ. კაკალ-ი „მარცვალი“

ლგ-კლაუ̈-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-კალაუ̈-ე (ლნტ.) „[გა]ლეწილი (ზედმიწ. – *[გა]-კალო-ებ-ულ-ი)“ < ქართ. კალო (< სომხ. **kal**) „საგანგებოდ მოსუფთავებული და დატკეპნილი სწორი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავენ“

ლგ-კპ-გნ-ე (ზს., ჩოლ.)/ლგ-კეპ-აუ̈-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-კეპ-ა̈უ̈-ე (ლნტ.) < ქართ. და-კეპ-ილ-ი „წვრილ-წვრილად დაჭრილი, დაკუწული“

ლგ-კრასკ-აუ̈-ე (ზს., ქს.) < ქართ. გა-კრასკ-ულ-ი (< რუს. **Краска**) „შეღებილი“ (შდრ. ზს. {ჩუ} ლგღა̈ფ, ლშხ., ჩოლ. {ჩუ} ლგღა̈ფ, ლნტ. {ჩუ} ლგღა̈ფე)

ლგ-კრიშკ-აუ̈-ალ-ე (ბქ.)/ლგ-კრიშკ-აუ̈-ა̈ლ-ე (ლშხ., ჩოლ.) „დახუფული, მოხუფული“ *ხლმ.* < რუს. **Крышка** „ხუფი, სახურავი, თავსახურავი, სარქველი“

ლგ-კრიშკ-აუ̈-ე (ბქ.)/ლგ-კრიშკ-აუ̈-ე (ლშხ., ჩოლ.) „დახუფული, მოხუფული“ < რუს. **Крышка** „ხუფი, სახურავი, თავსახურავი, სარქველი“

ლგ-კუიატ-ი̈ნ-ე (ჩოლ.) „აკვიატებული; რაიმე საქმის გამო აღტაცებული, მოთმინებადაკარგული“ < ქართ. ა-კვიატ-ებ-ულ-ი „აჩემებული“

ლგ-კუაუ̈-ე (უშგ.)/ლგ-კაფაუ̈-ე (ჩოლ.) < ქართ. გა-კაფ-ულ-ი „რაც გაკაფეს ან გაიკაფა“ (შდრ. ზს., ლნტ. {ჟი} ლგქა̈ჩ, ბზ. {ჟი} ლგქჩე, ლშხ., ჩოლ. {ჟი} ლგქაჩ)

ლგ-კგლპეტუ̈-ე/ლგ-კგლპ̈ტ-ე (ბზ.)/ლგ-კგლპეტ-ე/ლგ-კგლპოტ-ე (ბქ.)/ლგ-კალპოტ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-კალპეტ-ე (ჩოლ.)/ლგ-კალაპოტ-ე (ლნტ.),„გასწორებული, ყალიბში, ფორმაში მოთავსებული (ზედმიწ.– *გა-კალაპოტ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. კალაპოტ-ი „სათანადო მოყვანილობის საგანგებოდ გაკეთებული სამარჯვი, რომელზე შემოჭერითაც აკეთებენ რაიმე საგანს. || საჭირო ფორმის ღრუ საგანი, რომელშიც მოაქცევენ (ასხამენ, დებენ) გასაკეთებელი ნივთის მასას, – ყალიბი“

ლგ-კგნჩხ-ე (ბზ.)/ლგ-კინჩხ-ე/ლგ-კინჩხ-ან-ე (ბქ.)/ლგ-კი̈ნჩხ-ე (ლშხ., ჩოლ.) „დაკისრებული, საკუთარ თავზე აღებული რაიმე საქმე, დანაშაული... (ზედმიწ. – *კინჩხ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. (იმერ., გურ., აჭარ.) კინჩხ-ი „კისერი“

ლგ-კგრლაუ̈-ე (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „უბადრუკი; ძუნწი; წყეული“ < ქართ. და-კრულ-ვ-ილ-ი/კრულ-ი „დაწყევლილი; შეჩვენებული“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლუჭთუ̈ნე, ბქ., ლშხ. ლუჭ{უ}თუ̈ნე, ლნტ. ლგჭათუ̈ნე, ზს. ლგჭა̈თ, ბქ. ლგჭა̈თუ̈, ლშხ., ჩოლ. ლგჭათ), იხ. კრილ და დაკგრლებულ

ლგ-კგრნახ-ე (ზს.)/ლგ-კგრნახ (ჩოლ.) < ქართ. ნა-კარნახ-ევ-ი „რაც უკარნახეს; რაც ჩააგონეს“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. ნათორ)

ლგ-კგრტგნ-ე (ბზ.) „დაჩხვლეტილი, დაფხაჭნილი“ < ქართ. {და}-კორტნ-ილ-ი „რაც (ვინც) დაკორტნეს ან დაიკორტნა“ (შდრ. ბქ. {ჩუ} ლგთხრგლე)

ლგ-კგრმ-ე (ბზ.)/ლგ-კერმ-ე (ქს.) „დანათესავებული, დამოყვრებული; დამომბილებული (ზედმიწ. – *ჩა-კერმ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. კერძო (< ოს. **kærd**) „ცალკეული პირის კუთვნილი, ისეთი, რაც არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან საზოგადოებას, – პირადი“

ლგ-ლაგ-ა̈უ̈-ე (ბზ., ლნტ.)/ლგ-ლაგ-აუ̈-ე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. {და}-ლაგ-ებ-ულ-ი „დაწყობილი; მოწესრიგებული; გამართული“

ლგ-ლამპარ-ე (ჩოლ.) „დაპობილი, დაჟეჟილი (ზედმიწ. – *და-ლამპარ-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ლამპარ-ი „გასანათებელი პატრუქიანი ჭურჭელი, რომელშიც ზეთს ასხამდნენ, – სანათი“ (საბა), შდრ. ზს., ქს. {ჩუ} ლგჟეჟნე

ლგ-ლამაზ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ლმაზ-ე (ლშხ.)/ლგ-ლამაზ-ე (ლნტ.) „გამშვენებული, დამშვენებული“ < ქართ. გა-ლამაზ-ებ-ულ-ი „ვინც, რაც გაალამაზეს ან გალამაზდა“ (შდრ. ზს., ჩოლ. ლგმსგუენე; ლნტ., ლხმ., ჩოლ. ლგთუ-ლაშე)

ლგ-ლორ (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ლორ-ე (ლნტ.) < ქართ. *და-ლორ-ილ-ი „ლორად ჩადებული, დაშაშხული ხორცი“

ლგ-ლფარ (ზს.)/ლგ-ლფარ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ლაფარ-ე (ლნტ.)/ლგ-ლფარ (ჩოლ.)/ლგ-სფარ-ე (უშგ.) < ქართ. და-ფარ-ებ-ულ-ი „გადაფარებული; დახურული“, იხ. ლგ-სფარ-ე

ლგ-ლ-ღენ (ზს., ლშხ.) „დიდი ზომის ქვაბი (ჩვეულებრივ, ხარის მოსახარში)“ < ადიღ. ლ'ა[გ]ფ „სპილენძის ქვაბი“

ლგ-ლყინ-ე (ზს.)/ლგ-ლყინ (ბქ.)/ლგ-მყინ-ე (ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ლყნ-ე/ლგ-ლეყნ-ე (ლნტ.) 1. „დამყნილი; ნამყენი“, 2. ბქ. „საზამთრო ჯიშის მსხალი“ < ქართ. და-მყნ-ობ-ილ-ი „რაც დაამყნეს ან დაიმყნო“

ლგ-ლხაუ-ე/ლგ-ლახაუ-ე (ლნტ.)/ლგ-ლხაუ-ე (უშგ., ჩოლ.) < ქართ. გა-ლახ-ულ-ი 1. „ნაცემი“, 2. „წაქცეული, დამარცხებული (ჭიდაობაში)“, 3. გადატ. „დაღლილი, დასუსტებული, მოქანცული...“ (შდრ. ბქ. ლგტყეან/ლგტყეანე, ლშხ., ჩოლ. ლგტყეანე)

ლგ-ლხნ-ე (ზს.) < ქართ. და-ლხენ-ილ-ი „ლხენაში მყოფი; მოლხენილი, გახარებული“

ლგ-ლგნძღ-აუ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-ლანძღ-აუ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-ლანძღ-ულ-ი „ლანძღვა-გინების ობიექტი; შეურაცხყოფილი, დამცირებული“ (შდრ. ბქ., ჩოლ. ლგრიალე; ბქ. ლგწრალე, უშგ. ლგწრალე)

ლგ-მარცხ-ე (ზს.)/ლგ-მგრცხ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლგ-მარცხ-ე (ლნტ.)/ლგ-მგრცხ (ჩოლ)/ლგ-მარცხ (უშგ.) „დაღუპული; გარდაცვლილი“ < ქართ. და-მარცხ-ებ-ულ-ი „მლეული“, იხ. დამარცხებილ

ლგ-მახინჯ-ე (ზს., ლნტ.)/ლგ-მახინჯ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-მახინჯ-ებ-ულ-ი „მახინჯად ქცეული, – დასახიჩრებული“

ლგ-მ-ბად-ე (ბქ.) „გათელილი (ზედმიწ. – *და-ნაბად-ებ-ულ-ი)“ < ქართ. ნაბად-ი (< სპარს. **namad**) „ქეჩა“

ლგ-მგრალ-უ (ბზ.)/ლგ-მეგრელ-უ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მეგრ-ულ-ი „მეგრელების კუთვნილი, მეგრელების დამახასიათებელი“ (შდრ. ზს., ქს. ლუზნუ)

ლგ-მერდინ-ე/ლგ-მერდიმ-ე (ლშხ.) „გაცრილი ფქვილი“ < ქართ. (გურ., იმერ.) მერდინ-ი „წმინდა საცერი, – სამტკიცი“ (შდრ. ლნტ. დიმ „საცერი“)

ლგ-მზეზ-ე (ბქ., ჩოლ.) < ქართ. მო-მიზეზ-ებ-ულ-ი „რაც მოიმიზეზეს“

ლგ-მონგებ-ე (ლშხ.) < ქართ. მო-გებ-ულ-ი „რაც მოიგეს“

ლგ-მორჩილ-ე (ზს., ქს.) < ქართ. და-მორჩილ-ებ-ულ-ი „მორჩილად ქცეული; შეპყრობილი, დაპყრობილი; დამლეული“

ლგ-მრთხ-ე (ლშხ., ჩოლ.) „ფეხებმოკეცილი, მორთხმით მჯდომარე“ < ქართ. მორთხმ-ულ-ი „ვინც მოირთხა (ფეხები), – მორთხმით მჯდომარე“

ლგ-მჟაუ-ე (ქს.) „დამწნილებული“ < ქართ. და-მჟავ-ებ-ულ-ი „მჟავედ ქცეული; მწნილად ჩადებული, – დამწნილე-

ბული“ (შდრ. ზს., ჩოლ. მეტხე, ბქ., ჩოლ. ლგმხგმე, ლნტ., ჩოლ. ლგხმე)

ლგ-მფხანგ-ე (ბქ.)/ლგ-ჲ-ფხნიკ-ე (ლშხ.) „დამეგობრებული, დამოყვრებული“ < ქათ. და-ამხანაგ-ებ-ულ-ი (< ფალ. **hamxānak**) „გაამხანაგებული, დამეგობრებული“

ლგ-მშ-აუ̯-ნ-ე (ზს., ჩოლ.) „დაქოქილი“ < ქართ. ა-მუშ-ავ-ებ-ულ-ი „ამოქმედებული, ამოძრავებული“, იხ. ლგ-მგრთ-აუ̯-ე

ლგ-მშ-ი-ჲ-ე (ბზ.)/ლგ-მშ-ა-ჲ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლგ-მშ-ა-ე (ბქ., ჩოლ.) < ქართ. და-მუშ-ავ-ებ-ულ-ი „მოსავლის მოსაყვანად მომზადებული, ათვისებული (მიწა, სავარგული...); დამზადებული; შესწავლილი...“ (შდრ. ბქ. {ქა} ლგშდბგნე)

ლგ-მწარ-ე (ბზ., ლშხ., ჩბხ., ჩოლ.)/ლგ-მწრ-ე (ბზ., ჩოლ.)/ლგ-მწარ-ე/ლგ-მწარ-ე (ლნტ., ჩოლ.)/ლგ-ნწარ-ე (ლხმ.) < ქართ. გა-მწარ-ებ-ულ-ი 1. „უგემური, მწარე“, 2. *გადატ.* „გაწამებული, გატანჯული“, 3. *გადატ.* „გაცხარებული, გაშმაგებული, გააფთრებული“ (შდრ. ბზ. ლგ-წგმწარ-ე, ბქ. ლგ-წგმწარ-ე)

მაუინ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/მჲუინ/მჲუნე (ლნტ.) < ქართ. მავნე „იგივეა, რაც მავნებელი“, გადატ. „ავი სული, ეშმაკი“ (შდრ. ზს. მუშური; ბზ. მუჰმჲნი)

მაუინობ (ლშხ., ჩოლ.) „მავნებლობა, დანაშაული“ < ქართ. მავნე-ობ-ა „მავნე ხასიათი“ (შდრ. ბქ. ლიმჲუინე)

მაუნებელ (ზს., ქს.) < ქართ. მავნ-ებელ-ი „ვნების მომტანი, ზიანის მომტანი“ (შდრ. ბზ. შურჲაი, ბქ. შურჲ)

მაღაზა (ბქ.) < ზან. (მეგრ.-ლაზ.) მაღაზა (< არაბ.-თურქ. **mağaza**) „ბეღელი, სასიმინდე, ნალია“

მაღაზია (ზს., ქს.)/მაღაძია (ბზ., ლნტ.)/მაღაძიჲ (ლნტ.) < ქართ. მაღაზია (< რუს. **Магазин** < ბერძ. **μαγαζι**) „შენობა, სადაც იყიდება საქონელი ცალობით, ნაწილ-ნაწილ, არაბითუმად...“

მაღურღუც (ჩოლ.) „მორევი (ზედმიწ. – "სა-ღურ-ღუც-ე)“ < ქართ. (ლეჩხ., ოკრიბ.) ღურღუც-ი „ღრმა წყალი; მორევი...“

მაყჲარ (ლნტ.)/მაყარ (ლშხ., ჩოლ.) „მაყრიონი“ < ძვ. ქართ. მაყარ-ი „მეფედედოფლის საგანგებო მხლებელი ქორწილში, – იგივეა, რაც მაყრიონი“ (შდრ. ბზ. მჷყა, ბქ. მჷყა)

მაშუელებელ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მა-შველ-ებ-ელ-ი „დამხმარე, შემწე“ (შდრ. ზს. მუმჲრჯჳი, ბზ. მუმურჯჳი, ბქ. მემჲრჯჳი, ლშხ., ჩოლ. მუმურჯი)

მაშხალ (უშგ., ლშხ., ჩოლ.)/მაშხალაი (ჩოლ.) < ქართ. მაშხალა (< არაბ. **mašal**) „ჩირაღდანი, ლამპარი“ (შდრ. ბზ. მაშგჳალ)

მაჩალკა (ზს., ქს.) < ქართ. მაჩალკა (< რუს. **мочалка**) „ნეჭა, ხრალი; ტანსაბანი“

მაციჳარ (ზს., ქს.) < ქართ. მა-ცივ-არ-ი „სპეციალური მოწყობილობა ან ნაგებობა რისამე გასაცივებლად ან ცივად შესანახად, – საცივარი“

მაცხჳარ (ბზ.)/მაცხჳარ (ბქ., ლნტ.)/მაცხჳარ (ლშხ., ჩოლ.)/მაცხუარ (ჩოლ.) 1. „მაცხოვარი“, 2. „მაცხოვრის ეკლესია“ *რელიგ.* < ძვ. ქართ. მა-ცხ-ოვ-არ-ი „მჴსნელი, მაცოცხლებელი“, ახ. ქართ. 1. „იესო ქრისტეს ეპითეტი“, 2. „ცხოველმყოფელი, მაცოცხლებელი; ცხოველი, ძლიერი“

მაძაგ (უშგ., ჩოლ.) < ქართ. მა-ძაგ-ებელ-ი „გამკიცხველი, მძრახველი“ (შდრ. ზს. ლე{მ}სისგ, ჩოლ. ლე{მ}სისკ; ლშხ., ჩოლ. ლაწინგჳარ), იხ. ლე-მძაგ

მა-წყულ-იან-ე (ჩოლ.) „უწმინდესი (ზედმიწ. – "უ-წყლ-იან-ეს-ი)“ < ქართ. წყლ-იან-ი „რაშიც წყალია, რაშიც წყალი დგას; წყალნარევი...“

მაჭარ (ბზ.)/მაჭარ (ზს., ქს.) < ქართ.

მაჭარ-ი „ახლად დაყენებული, დუღილდაუმთავრებელი ღვინო“

მაჭრობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მაჭრობ-ა „მაჭრის დრო, სეზონი“

მა-ხარბ (ზს., ჩოლ./)მახგრბ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. სი-ხარბ-ე „გაუმაძღრობა, მსუნაგობა, ხარბობა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლიშონე, ბქ., ლნტ. ლიშონე; ბზ. ლითხაშ; ბქ. ლიურცეფ), იხ. **ხარბობ**

მახათ (ზს., ლნტ.)/მახათ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მახათ-ი (< არაბ. **miḳyaṭ**, შდრ. ებრ. **máḥaṭ**) „დიდი ნემსი“ (საბა), „გრძელი, მსხვილი ნემსი, მაგარი მასალის საკერავად“

მახრა (ზს., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. მახრა „იგივეა, რაც ბოსტანა, მჭრელი“

მახრაკულ (ბქ.) „შემწვარი კარტოფილი“ < ქართ. მო-ხრაკ-ულ-ი „(ცხიმში) შემწვარი“, იხ. ლგ-ხგრკ-აუ-ე

მახრუკა (უშგ.) „თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა, – გლარუკა“ < რუს. **махорка** „წეკო“

მახუნჯაკ (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. (ლეჩხ.) მახუნჯაკ-ი „უშნო გარეგნობისა და მოქმედებით დაუნდობელი“

მაჯა (ლნტ.)/მაჯა (ლშხ., ჩოლ.)/მაჯამ (ჩოლ.) < ქართ. მაჯა (< არაბ. **maǯass**) „ხელის ნაწილი თათთან – წინა მხარსა და მტევანს შორის, სადაც გადის სხივის არტერია და ვენა“ (შდრ. ბზ. ჰეჭა, ბქ. ჰჯაჭა)

მაგიერ (ლნტ.)/მაგიერ (უშგ.)/მაგიორ (ლშხ.) „ნაცვლად; სამაგიეროდ; მაგივრად“ < ქართ. მაგიერ-ი „შემცვლელი, ნაცვალი; სამაგიერო“

მადილ (ზს., ლნტ.)/მალდ (ზს.)/მადილ (ბზ.)/მადილ (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/მადლ (უშგ.)/მალდ (ცხუმ.) < ქართ. მადლ-ი „სიკეთე, ქველობა, მოწყალება“ (შდრ. ზს., ქს. ყერ)

მადლიან/მალდიან (ზს.)/მალდიან (ბზ.)/მადლიან (ლშხ., ჩოლ.)/მადლიან/მადლიან (ლნტ.) < ქართ. მადლ-იან-ი „მადლის მქონე...“ (შდრ. ბზ. ყერიან)

მაზიგ (ზს., ლნტ.)/მაზიგ (ლშხ., ჩოლ.) „ტკივილი, სენი, ჭირი“ < ადიღ. **ӡəgъ** „ავადმყოფობა“

მაკიდოლ (ლხმ.) *ბოტ.* < ქართ. მაკიდონ-ი „ერთგვარი მწვანილი“, შდრ. გურ., აჭარ. მაკიდო „ოხრახუში“, თუშ., ზ. იმერ. მაკიდონელ-ი „ოხრახუში“

მანდილოსან (ბქ.) < ქართ. მანდილოსან-ი „ვინც მანდილს ხმარობს, ვისაც მანდილი ახურავს, – პატივსაცემი ქალი“ (შდრ. ბქ. ნეფყუაშ მუჭუენი)

მანკ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/მანკ (ლშხ., ჩოლ.) „ხასიათი, ზნე“ < ძვ. ქართ. მანკ-ი (< სომხ. **manḳ** < ფალ.) „ნაკლი, ზადი, ბიწი“

მანკობ (ბქ., ჩოლ.)„ხასიათი, ზნე (ზედმიწ. – *მანკ-ობ-ა)“ < ძვ. ქართ. მანკ-ი (< სომხ. **manḳ** < ფალ.) „ნაკლი, ზადი, ბიწი“

მაიდან (ზს.)/მაიდან (ლშხ.)/მაიდან (ლნტ.)/მაიდან (უშგ.), შდრ. ჩოლ. მაიდან „ადგილის სახელწოდება“, 1. ზს. „აივნის კარი“, 2. ლნტ. „მოედან-ი“ < ქართ. მოედან-ი (< სპარს. **maydān**) „შენობებით შემოფარგლული ფართო და სწორი ადგილი ქალაქში ან სოფლად; ფართო და ვაკე ადგილი...“

მაიმუნ (ზს., ლნტ.)/მაიმუნ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. მაიმუნ-ი (< თურქ. **maymun** < არაბ.-სპარს.) „ძუძუმწოვარი ცხოველი, აგებულებით ჰგავს ადამიანს“

მაის (ზს., ლნტ.)/მაის (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მაის-ი (< ლათ. **maius**) „კალენდარული წლის მეხუთე (და გაზაფხულის მესამე) თვე, – ვარდობისა“ (საბა)

მარიამ (ზს.)/მარჯმ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. მარიამ-ი (< ძვ. ებრ. (?) 1. „შეუპოვარი, დაუმორჩილებელი; უარმყოფელი“, 2. „მწარე“, 3. „ქალბატონი“, 4. „საყვარელი უფლისა“) „ქალის საკუთარი სახელი“

მარიხ (უშგ.) *ანთრ.* < ქართ. მარეხ-ი/მარიხ-ი (< არაბ. (?) „მარსი ანუ ვენერა, – მარიხ-ვარსკვლავი, იგივე შუქურვარსკვლავი“) „ქალის საკუთარი სახელი“

მარკლენ/მარკლან/მარკლან (გზ.)/მარკლენ (ლშხ.)/მარკნელ (ლშხ., ჩოლ.) 1. „ფალავანი, მორკინალი“, 2. ლშხ. „სწრაფი, მარჯვე“, 3. ჩოლ. „გაიძვერა ქალი“ < ძვ. ქართ. მო-რკინ-ალ-ი „მოჭიდავე“ (შდრ. გზ. მეგრგიელ, ბქ. მებურგალ)

მარტ (ზს., ლნტ.)/მარტ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მარტ-ი (< ლათ. **marsius**) „კალენდარული წლის მესამე (და გაზაფხულის პირველი) თვე“

მარჩიელ (ლნტ.)/მარჩიელ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მარჩიელ-ი „იგივეა, რაც მკითხავი“ (შდრ. ბქ. მელთერ, ლშხ., ჩოლ. მეთერ, ბქ. მგჩხტარი)

მარჩილ (გზ.) < ქართ. მარჩილ-ი „ძველი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აბაზს“, შდრ. ზან. (მეგრ.) მარჩილ-ი „ფულის ერთეული, 10 კაპიკი“, იხ. ჟირჩილ-მარჩილ

მარცხ (ზს.)/მარცხ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. მარცხ-ი „ჩაშლა, ჩაფუშვა (რაიმე წამოწყებისა, განზრახვისა)“

მარცხ-მაჟინ (ბქ.)/მარცხ-მაჟინ (ჩოლ.) „ხიფათი, უბედურება (*ზედმიწ.* – "მარცხ-ი-მავნე)“ < ქართ. მარცხ-ი „ჩაშლა, ჩაფუშვა (რაიმე წამოწყებისა, განზრახვისა)“ და მავნე „მავნებელი“

მარწუენ (ზს.)/მარწუენ (ზს., ქს.)/მარწუენ (ბქ.)/მარწონ (ლშხ.)/მარწენ (ჩბხ., ლხმ.) < ზან (მეგრ.) მარწვენ-ი/მარწვინ-ი (შდრ., ასევე, მეგრ. მარწვინ-აფ-ა „მაწვნის დაყენება, დამაწონება“) < ქართ. მაწონ-ი „მჟავედ შედედებული ადუღებული რძე“

მარჯილ (ზს., ლნტ.) 1. „მარხილის ფრჩხილი (ჭაპანთან მისაბმელი კაუჭიანი ძელი)“, 2. ლნტ. „მარხილი“ < ქართ. მარხილ-ი „თოვლზე სათრევი“ (საბა), „თოვლზე სასრიალო უთვლო საზიდარი“ (შდრ. ბქ. სჯუ, ჩოლ. საუ, ლშხ. სეუ)

მარჯუ (ზს., ლნტ.)/მარჯუ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „მოხერხებული/მოსახერხებელი“ < ქართ. მარჯვე „ყოჩაღი, ხერხიანი“ (შდრ. ზს., ჩოლ. ლამარგ, ლშხ., ჩოლ. ლემგრგ)

მასძელ (გზ., ლნტ.)/მასძელ (ლშხ., ჩოლ.)/მანძელ (ზს.)/მანძელ/მანძელ/მასპინძელ (ბქ., ლნტ.)/მასპძელ (უშგ.) < ძვ. ქართ. მასპინძელ-ი (< ფალ. **aspanǰ** „დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი“) „ოჯახში სტუმრის დამხვედრი, სტუმრის მიმღები, პატივისმცემელი“, შდრ. იმერ., გურ., აჭარ. მაინძელ-ი

მატყ (ზს.)/მატყ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მატყლ-ი „ზოგიერთი ცხოველის (უპირატესად ცხვრის) ბეწვი“

მაშინა (ზს.) / მარშინა[ი] / მაშინაი (ლშხ., ჩოლ.)/მარშინა/მაშინა (ლნტ.) < ქართ. მაშინა (< რუს. **машина** < ლათ. **machina**-დან) „მანქანა“

მაშინკა (ბქ.)/მაშინკა (ჩოლ.) < ქართ. მაშინკა (< რუს. **Машинка**) „მანქანა (ხორცსაკეპი, საკრეჭი...)“

მაჭიკ (ზს., ლნტ.)/მაჭიკ (ლშხ., ჩოლ.)/მაჭიკ (უშგ.) < ქართ. მაჭიკ-ი „დვრიტა, კვეთი“ (შდრ. ჩოლ. ჭუნჩაფ)

მახინჯ (გზ.)/მახინჯ (ბქ., ქს.) < ქართ. მახინჯ-ი „რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე, – გონჯი, სახიჩარი“ (შდრ. ბქ.

მაგურემა)

მაბუილ (უშგ.) < ქართ. მახვილ-ი „საჩხვლეტ-საბგერებელი ან საჩეხი იარაღი“

{მა}ზუმ/{მაჲ}ზუმ (ბზ.)/{მა}ზუ/{მა}ზუ/{მა}ზგ (ბქ.)/{მაჲ}ზუმ/{მაჲ}ზუმ (ლშხ., ჩოლ.)/{მა}ზუმ (ლნტ., ჩოლ.)/{მაჲ}ზუმ/{მაჲ}ზუნ (ჩოლ.) 1. „რამდენი, რაზომის, რამხელა“, 2. „რამდენიც (ზედმიწ. – რა ზომა)“ *ზმნის.* < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“ (შდრ. ბქ. მაზოშ)

{მა}ზუმ{ხან}-ს (ბზ.)/{მა}ზუ{ხან}-ს (ბქ.) „რამდენხანს (ზედმიწ. – *რა-ზომა-ხან-ს) *ზმნის.* < ქართ. ზომა „რისამე სიდიდე საზომ ერთეულთან შედარებით, – იგივეა, რაც საზომი“

მგელ (ლნტ.) *ზოოლ.* < ქართ. მგელ-ი „მტაცებელი ცხოველი ძაღლისებრთა ოჯახისა“ (შდრ. ზს. თხერე, ლშხ., ჩოლ. თხერე; ბქ. წუსხურა)

მგელრბია (ლშხ., ჩოლ.)/მგელობია (ლნტ.) < ქართ. მგელ-ობ-ია „თამაშის ერთ-ერთი სახეობა“

მდგომარეობ (ზს., ქს.)/მდგომიაროზ/მდგომაროობ (ლნტ.) < ქართ. მდგომარე-ობ-ა „ამა თუ იმ სახით ყოფნა“

მე-არშიყ-ალ (ბზ.)/მე-არშიყ-ალ/მე-არშიყ-ალ/მე-რშიყ-ალ (ბქ.)/მე-არშიყ-ალ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-არშიყ-ე (< არშიყ-ი < სპარს. *ʿāšiq* „მოტრფიალე, უზომოდ შეყვარებული, საყვარელი“ < არაბ.) „ის, ვინც არშიყობს, – მოტრფიალე“ (შდრ. ბზ. მელატუნაალ, ბქ. მელატუნაალ, ლშხ., ჩოლ. მელანტუნაალ)

მებაღე (ზს., ქს.)/მებაღ (უშგ.) < ქართ. მე-ბაღ-ე „ბაღის მომვლელი და მეთვალყურე“

მებაღეობ (ზს., ქს.)/მებაღობ (ბზ.) < ქართ. მე-ბაღ-ე-ობ-ა 1. „ბაღის მცენარეების მოვლა-გაშენება“, 2. „მებაღის საქმიანობა, მებაღედ ყოფნა“, 3. „აგრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ბაღის მცენარეების მოვლა-გაშენებას“

მე-ბარგ (ლნტ.)/მგ-ბარგ-ე (ლშხ., ჩოლ.) „ტვირთის მზიდავი“ < ქართ. მე-ბარგ-ე „იგივეა, რაც მებარგული“

მე-ბატ-ე/მგ-ბატ (ლნტ.) < ქართ. მე-ბატ-ე „ბატების მწყემსი“ (შდრ. ბქ. ღარღდარე ანდაუ)

მე-ბულქ-ოუ-ალ (ბზ.)/მე-ბალქ-ოუ-ალ (ლნტ.) „კარტის მოთამაშე (ზედმიწ. – *მე-ბანქო-ე)“ *ხლმ.* < ქართ. ბანქო „სათამაშო ოთხკუთხა ქაღალდების დასტა, – კარტი“

მე-ბღენძ-ალ (ბზ.)/მე-ბღრნძ-ალ (ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. ბღენძ-ია „ვინც იბღინძება, – ჭიმია“

მე-გამცემ-ალ (ჩოლ.) „მეთვალყურე“ *ხლმ.* < ქართ. გა-მ-ც-ემ-ელ-ი „მაბეზღარა, მოღალატე, – იგივეა, რაც გამცემი“

მეგუთნე (ლნტ.) < ქართ. მე-გუთნ-ე „გუთნის მუშა“

მედაალ (ზს., ლნტ.)/მედალ (ლშხ., ჩოლ.)/მინდაალ (ბზ.)/მენდაალ (ბქ.)/მენდალ (ჩოლ.) < ქართ. მედალ-ი (< იტალ. **medaglia**) „ჯილდოს ნიშანი – ლითონის მრგვალი ფირფიტა, რომელსაც ჩვეულებრივ ამობურთული გამოსახულება და რაიმე წარწერა აქვს“

მე-დეუ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/მე-დეუ-ე (ლნტ.) < ქართ. მო-დავ-ე „მოცილე“

მედიატორ (ზს., ქს.) „შუამავალი“ < ქართ. მედიატორ-ი „შუამავალი, მომრიგებელი“ (შდრ. უშგ. მოღდი), იხ. მრეუ/მრრაუ

მედიატოროზ (ზს., ქს.)/მედიატროზ (ბქ.)/მედიატოროზ (ლნტ.) „შუამავლობა“ < ქართ. მედიატორ-ობ-ა „შუამავლობა, მომრიგებლობა“, იხ. მორუობ

მედროში (უშგ.) < ქართ. მე-დროშ-ე „დროშის ხელში დამჭერი, დროშის წამღები ლაშქრობის, დემონსტრაციის ან სხვა ხასიათის ჯგუფური სვლის დროს; წინამძღოლი, ბელადი...“

მე-დუ-ალ (ბქ.) „უდიერად მომპყრობი, დამხარჯავი სხვისი ქონებისა“ < ოს.-ალან. **dya** (< თურქ.-არაბ. **dua** „ლოცვა“) „ამულეტი, ავგაროზი“, შდრ. ქართ. (რაჭ.) დუა „ჯადო“, ინგილ. „სამძიმარი, პანაშვიდი“

მედუქან (ბზ.)/მედუქან/მედუქან (ჩოლ.) < ქართ. მე-დუქნ-ე (< დუქან-ი < არაბ. **dükkan**) „დუქნის პატრონი“

მეზობელ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/მეზობელ/მეზუბელ (ლნტ.)/მაზუბელ (უშგ.) < ქართ. მე-ზობ-ელ-ი „მახლობლად მცხოვრები; მოსაზღვრე, მომიჯნავე...“

მეზუბელობ[ა] (ზს., ქს.) < ქართ. მე-ზობ-ლ-ობ-ა „ვინმესთან მეზობლად ყოფნა; მეზობლის თვისება“

მეთებზე (ბზ.)/მეთეუზ-აუ (ჩოლ.) < ქართ. მე-თევზ-ე „თევზის მჭერი, – მებადური“, იხ. მგ-კგლმახ-ი

მეთეუზ-უა-ალ (ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. მე-თევზ-ე „თევზის მჭერი, – მებადური“, იხ. მგ-კგლმახ-ი

მეთოლია (ლშხ.) *ზოოლ.* < ქართ. მეთოვლია „იგივეა, რაც თოლია“

მე-თგრან-ალ/მე-თგრან-ალ (ბზ.)/მე-თგრან-ა/ალ (ბქ.)/მე-თგრან-ალ (ლშხ., ჩოლ.) „მაწანწალა (ზედმიწ. – *თრ-ევია)“ *ხლმ.* < ქართ. თრევა-ა „სახელი ათრევს, ეთრევა ზმნათა მოქმედებისა“ (შდრ. ბზ. მეყლიშგალ, ჩოლ. მეყლიშგალ; ბქ. შყრაგელა)

მელან (ზს., ლნტ.)/მელან (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. მელან-ი (< ბერძ. **μελάνι** „შავი, ბნელი“) „საწერად სახმარი სხვადასხვა ფერის სითხე“

მელიტონ (ზს., ქს.)/მელტონ (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. მელიტონ-ი (< ბერძ. (?) „თაფლისა, თაფლით დამტკბობი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

მელიცია (ზს., ქს.)/მელიციაი (ბზ., ჩოლ.)/მელცია (ბქ., ჩოლ.)/მელეცია/მილიციან (ლნტ.)/მილციაი/მელციაი/მილიცია (ჩოლ.) < ქართ. მილიცია (< ლათ. **militia** „მხედრობა“) „სახელმწიფო ადმინისტრაციული დაწესებულება, წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად; ამ დაწესებულების ადგილობრივი სამმართველო...“, მილიციელ-ი „მილიციის თანამშრომელი“

მელიციონერ (ბზ.)/მილიციონერ (ბქ., ჩოლ.) < ქართ. მილიციონერ-ი (< მილიცია < ლათ. **militia** „მხედრობა“) „იგივეა, რაც მილიციელი“

მე-ლ-კირ (ლშხ.) „ვინც კირს წვავს (ზედმიწ. – *მე-[სა]-კირ-ე)“ < ქართ. კირ-ი „კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება (კალციუმის ჟანგი), ფართოდ იყენებენ მშენებლობაში“

მე-ლ-კირ-ალ (ბზ.)/მე-ლ-კირ-ა/ალ (ბქ.)/მე-ლ-კირ-ალ (ჩოლ.) „ვინც კირს წვავს (ზედმიწ. – *მე-[სა]-კირ-ე)“ *ხლმ.* < ქართ. კირ-ი „კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება (კალციუმის ჟანგი), ფართოდ იყენებენ მშენებლობაში“

მე-ლობაოუ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „მარჩიელი, მკითხავი ლობიოს მარცვლებით (ზედმიწ. – მე-ლობიო-ე)“ < ქართ. ლობიო (< სომხ. *լոբի* < თურქ. **lobja**) „ერთწლოვანი კულტურული მცენარე პარკოსანთა ოჯახისა“ (შდრ. ზს. მელთერ, ლშხ., ჩოლ. მეთერ; ზს. მგჯლჯი; ბქ. მგჩხტჯრი), იხ. მეგჯრ

მე-ლც-ოუ-ალ (ბზ.)/მე-ლც-ოუ-ალ (ბქ.)/მე-ლოც-აუ-ალ (ლშხ.) *რელიგ.*

ბლმ. < ქართ. მ-ლოც-ვ-ელ-ი „ვინც ლოცულობს“ (შდრ. ზს. მემზხირ/მემზგრ, მემზურ, ლშხ., ჩოლ. მემზგრ)

მე-მასხარ (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. მასხარა „ობუნჯი, ხუმარა“ (შდრ. ბქ. ლაყფიშ)

მე-მორეუ (ბქ.)/მე-მორაუ (ჩოლ.) „მედიატორი (ზედმიწ. – *მე-მოურავ-ე)“ < ძვ. ქართ. მოურავ-ი 1. „მებატონის, მემამულის ქონების გამგებელი“, 2. *ისტ.* „რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე“, იხ. მრეულ/მრრაუ და მედიატორ

მე-მსახურ (ზს., ლნტ.)/მგ-მსახურ (ბზ.)/მო-მსახურ (ბზ., ლნტ.)/მო-მსახურ/მსახურ (ლშხ., ჩოლ.)/მო-სამსახურ (ლნტ.)/მსახურ (უშგ.) < ქართ. მო-სა-მ-სახ-ურ-ე „ვინც მსახურობს, – რაიმე სამსახურში მყოფი პირი; მომსახურე; მსახური“

მე-მჯარუ-ალ (ბზ.)/მე-მჯარუ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „გაბრაზებული (ზედმიწ. – *მო-ჯავრ-ე)“ *ბლმ.* < ქართ. ჯავრ-იან-ი (< ჯავრ-ი < არაბ.-სპარს. **ǯavr**) „ჯავრის მქონე, – დარდიანი, ნაღვლიანი; ის, ვინც დარდობს“

მენაუე (ლნტ.)/მენაუ (უშგ.) < ქართ. მე-ნავ-ე „ნავის პატრონი“

მე-ნდურ-ეუ (ზს.)/მე-ნდროუ (ბქ.) < ქართ. მო-მდურ-ავ-ი/მო-მდურ-ე „ვინც ემდურის ვისმე, – უკმაყოფილო, გულნაკლული“

მე-ნუად-ალ (ბზ.)/მე-ნუად-ალ (ბქ.)/მე-ნუად-ალ (ლშხ., ჩოლ.) „ნებიერა“ < ქართ. ინვალიდ-ობ-ა (< ლათ. **invalidus** „სუსტი, უძლური“) „ინვალიდის, ავადმყოფობის მდგომარეობა“ (შდრ. ბზ. ცინცქილაი, ლშხ., ჩოლ. ცინცქილაი; ბქ. ციცინა)

მენშეუიკ (ზს., ქს.)/მელშეიკ (ჩოლ.) < ქართ. მენშევიკ-ი (< რუს. **Меньшевик**) „მენშევიზმის მიმდევარი“

მენშეუიკობ (ზს., ქს.)/მელშეიკობ (ჩოლ.) < ქართ. მენშევიკ-ობ-ა (< რუს. **Меньшевик**) „მენშევიკად ყოფნა, მენშევიზმის მიმდევრობა“

მე-ჲ-აუდარ-რლ (ლშხ.) „მომცრო ტანის ფრინველი, რომლის ჭიკჭიკიც ცუდი ამინდის მომასწავებელია (ზედმიწ. – *მო-ავდარ-უკ-ა)“ *ზოოლ.* < ქართ. ავდარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“

მეესარობ/მეესარაბ (ზზ.)/მეესარაბ (ზს., ლნტ.)/მერსანაბ (ბქ.)/მეესარობ (ქს.)/მეესარობ (ლშხ.)/მესარობ (ლნტ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ *რელიგ.* < ქართ. (ლეჩხ.) მეისარობ-ა „დღეობა, ლოცვა“

მერდინ (ლშხ.) /მერდიმ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. (გურ., იმერ.) მერდინ-ი „წმინდა საცერი, – სამტკიცი“ (შდრ. ზს. ცხგრილ, ქს. ცხრილ; ბქ. ლანკუაჩხა; ქს. ლერცუილ, ჩოლ. ლერჩუილ; ლნტ. დიმ „საცერი“)

მერმე (ბქ.)/მერმე (ლშხ., ჩოლ.)/მერბე (ჩოლ.) 1. „მეორე“, 2. „სხვა“ < ქართ. მეორ-ე „რიგითი რიცხვითი სახელი ორისა“

მერმე-მერმე (ბქ.)/მერმე-მერმე (ლშხ., ჩოლ.) „სხვადასხვა“ < ქართ. მე-ორ-ე მე-ორ-ე „სხვადასხვაგვარი, სხვადასხვანაირი“

მერმე წყება (ბქ.)/მერმე წყება (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მე-ორ-ე წყება „მეორე მწკრივი, რიგი“

მერქიფ (უშგ.)/მელიქიფ[ე] (ჩოლ.) < ქართ. მე-რიქიფ-ე (< არაბ. **raqīb** „სიყვარულში მეტოქე“) „სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი და დამსხმელი, – მწდე“ (შდრ. ბზ. წგდაი, ბქ. წგდა, უშგ. მგწდი)

მე-რლუ-ე (ზს., ქს.) < ახ. ქართ. დარღვ-ეულ-ი „დაშლილი, დანგრეული

(ნაგებობა...); გარღვეული (ნაკერი, ნაქსოვი...)", შდრ. ძვ. ქართ. მო-რღუეულ-ი „დაქცეული, მოშლილი..." (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. {ჩუ} მეხურე, ლნტ. {ჩუ} მეხურე; ლშხ. {ჩუ} ლგბინდღლაუე; ლნტ. ლგბლაუე)

მერხ (ზს., ქს.) < ქართ. მერხ-ი 1. „დახრილზედაპირიანი მოგრძო სასკოლო მაგიდა...", 2. „გრძელი სკამი რამდენიმე კაცის დასაჯდომად"

მესტ (ლშხ., ჩოლ.)[60] < ქართ. მესტ-ი „მოკლეყელიანი უძირო მეშის ფეხსაცმელი ან უყელო საძირიანა მეშის ფეხსაცმელი", შდრ. ქართ. წუღა-მესტი „წუღა და მესტი"

მესუფელ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/მესოფელ (ლნტ.) < ქართ. [თანა]-მე-სოფ-ლ-ე „იმავე სოფლისა, რომლიდანაც სხვა ვინმეა გამოსული"

მეტ (ზს., ქს.) < ქართ. მეტ-ი „შედარებით ბევრი, უფრო ბევრი; უფრო დიდი; ზედმეტი..." (შდრ. ზს., ქს. სერ)

მეტანია (ზს., ქს.)/მიტანიაჲ (ლშხ.)/მიტანია (ჩოლ.)/მეტანიან (უშგ.) *რელიგ.* < ქართ. მეტანია (< ბერძ. მეტა[გ]ონია **μετάνια** „სინანული; მონანიება") „მუხლის მოდრეკა და წელში მოღუნვა მიწამდე, იატაკამდე ლოცვისა ან ღვთისადმი ვედრების დროს"

მე-ტრჭ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „შემჯიბრებელი" < ქართ. მე-ტოქ-ე „მოქიშპე, მოცილე, მოწინააღმდეგე" (შდრ. ბზ. მემქვრალ, ბქ. მემქვრალ, ლშხ., ჩოლ., უშგ. მემქარალ, ლნტ. მემქარალ; ბქ. მეტაკალ)

მეტრ (ზს., ქს.) < ქართ. მეტრ-ი (< რუს. **метр** < ბერძ. **metron**) „სიგრძის საზომი ერთეული"

მე-უფალ (ზს.) „საუფლო დღესასწაულის მასპინძელი ოჯახი" *რელიგ.* < ქართ. უფალ-ი „ბატონთ-ბატონი; მბრძანებელი"

მე-უახშმ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „ის, ვინც ვახშამს მიირთმევს (ზედმიწ. – "მო-ვახშამ-ე)" < ქართ. ვახშამ-ი (< თურქ. **akšam** < სპარს. „საღამო") „უკანასკნელი ჯერის პურის ჭამა საღამო ჟამს"

მეუელე (ლშხ., ჩოლ.)/მეუელ (ჩოლ.) „დამცველი ბაღ-ვენახისა, ნათესი მინდვრებისა..." < ქართ. მე-ველ-ე „ბაღ-ვენახის, ნათესი მინდვრების მცველი"

მე-ფახ-ურ (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) მე-ფეხ-ურ-ი „მეფეხე, მეკვლე" (შდრ. ზს., ქს. მეჭმხი)

მე-ფაჲტონ-ე (ზს.)/მე-ფჳდონ-ე (ბზ.)/მე-ფაჲტონ-ე (ლშხ.) / მე-ფაჲტონ-[ე] (ჩოლ.) < ქართ. მე-ფაიტონ-ე (< ბერძ. **phaethōon** „ბერძნულ მითოლოგიაში მზის ღმერთს, ჰელიოსის შვილის სახელიდან") „გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლის წამყვანი"

მეფე (ზს., ქს.)/ნეფე (ზს., ლნტ.) < ქართ. მე-ფ-ე „ხელმწიფე"

მეფე-დედოფაჲლ (ბზ.)/მეფე-დედოფაჲლ (ბქ.)/მეფე-დედოფალ (ლშხ.)/ მეფე-დედუფალ (ჩოლ.) < ქართ. მეფე-დედოფალ-ი „ნეფე-დედოფალი"

მეფე-კეჱსარ (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი" < ქართ. მეფე-კეისარ-ი „ხელმწიფე"

მე-ფეთ-ალ (ბზ.)/მე-ფეთ-ალ (ბქ.)/მეფეთ-ალ/მე-ფეთ-აუ-ალ (ლშხ.)/მე-ფეთ-ალ (ჩოლ.) „ის, ვინც ბრაზობს (ზედმიწ. – "მო-ფეთ-იან-ე)" *ხლმ.* < ქართ. ფეთ-იან-ი „დაფეთებული, დამფრთხალი, შეშინებული; გიჟი"

მე-ფირუ-ან-ალ (ბქ.)/მე-ფერუ-ან-ალ (ჩოლ.) „ის, ვინც იღებება, იპრანჭება (ზედმიწ. – "შე-მ-ფერ-ავ-ი") < ქართ. შე-ფერ-ვ-ა „შეღებვა, შეფერადება, შეფერილობა" (შდრ. ბქ. ლიჩქმანალ)

მეფობ (ზს., ქს.)/ნეფობ (ზს., ლნტ.) < ქართ. მეფ-ობ-ა „ხელმწიფობა"

მე-ფრებ-ალ (ბზ.)/მე-ფრებ-ა/ალ (ბქ.) /მე-ფრაბ-ალ (უშგ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-მ-ფერ-ებ-ელ-ი „მოალერსე“, იხ. ფერბაჲ

მეფურნე (ზს., ქს.) < ქართ. მე-ფურნე „ფურნეში პურის მცხობელი; ფურნის პატრონი“

მეჭუ (ზს., ქს.) < ადიღ. მაჴ᷆ჷ „თივა“, შდრ. ყაბარდ. მაჴ᷆ᵊ

მე-ჭუერწილ (ზს., ჩოლ.)/მე-ჭურწილ/მუ-ჭურწილ (ბზ.)/მე-ქორწილ/მგ-ქორწილ (ლშხ.)/მე-ქორწილ (ჩოლ.) < ქართ. მე-ქორწილ-ე „ვინც ქორწილს იხდის, ვისაც ქორწილი აქვს; ქორწილში მყოფი, ქორწილის მონაწილე“

მელამიაჲ (ლშხ.) „ღამურა (ზედმიწ. – *მო-ღამე-ე“) ზოოლ. < ქართ. (გურ.) მე-ღამ-ი-ა/მე-ღამ-ი-ე „ღამურა, მღამიობი“ (შდრ. ზს. მათხაჴ, ბქ. მეთეთხ, ლშხ., ჩოლ. მათხეფ, ლნტ. მათხაფ)

მე-ღრალ (ბქ.)/მე-ღრალ (ლშხ., ჩოლ.)/მო-ღრალ (უშგ.)< ქართ. მო-მღერალ-ი „ვინც მღერის, სიმღერის მთქმელი“

მე-ღუით-ან-ა/ელ (ბქ.)/მე-ღრით-ან-ალ (ჩოლ.) „ბოროტი, შეჭმუხნული სახით მაყურებელი; ის, ვინც იბღვირება“ *ხლმ.* < ზან. (მეგრ.) მა-ღვით-ინ-ალ-ი „ბღვერია; შეჭმუხნული სახით მაყურებელი“ (შდრ. ბზ. მეთხუირანალ, ბქ. მეთხუირანალ; ბქ. მესხუირანა/ელ; ბქ. მესუიტანა/ალ)

მელუინ (ლშხ., ლნტ.)/მე-მ-ღუინ-ე (ლშხ.)/მე-ლ-ღუინ (ჩოლ.)/მუ-მ-ღუნ-ე (ლატ.) < ქართ. მე-ღვინ-ე „მერიქიფე...“ (შდრ. ბზ. წგდაჲ, ბქ. წგდა/მგწდაჲ, უშგ. წგდა/მგწდაე)

მე-ღუჭარ-ალ (ბზ.)/მე-ღუჭარ-ალ/მე-ღუჭარ-ელ (ბქ.)/მე-ღუჭარ-ალ (ლშხ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. მო-ვაჭრ-ე „გამყიდველი, ვაჭარი“

მე-ყურილ (ბზ.)/მე-ყრულ (ჩოლ.) „დარაჯი (ზედმიწ. – *მო-ყარაულ-ე)“ < ქართ. ყარაულ-ი (< თურქ. qarawul) „დარაჯი, გუშაგი“ (შდრ. ზს., ჩოლ. მგლჩე/მელჩე „მცველი“), იხ. ყარუილ

მეშ (ჩოლ.) „გამოყვანილი ტყავი“ < ქართ. მეშ-ი „ცუდი ხარისხის ცხვრის ტყავი“

მე-შამბ-ი-აჲ (ლშხ.)/მე-შამბ-ი-რლ (ჩოლ.) „მომცრო ტანის ჩიტი, რომელიც შამბნარში ცხოვრობს (ზედმიწ. – *მო-შამბ-ე)“ ზოოლ. < ქართ. შამბ-ი „მაღალი და მსხვილი ბალახი“ (საბა)

მეში წუღა-მესტ/მეში წუღუზარ-მესტ (ბზ.) < ქართ. მეშის წუღა-მესტ-ი „ცხვრის ტყავის ფეხსაცმელი“

მე-შუკუ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „გზად მავალი (ზედმიწ. – *მე-შუკ-ე)“ < ძვ. ქართ. შუკა „ვიწრო ქუჩა“, იმერ., გურ. „ორღობე“

მეჩაჲე (ზს., ლნტ.)/მეჩაჲე/მეჩაე (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მე-ჩაი-ე „ჩაის მომვლელი და მკრეფავი“

მეჩონგუირ (ბზ.)/მგჩანგური (ბქ.)/მგჩანგურ (ჩოლ.) < ქართ. მე-ჩონგურ-ე „ჩონგურის დამკვრელი“

მეცაჲდინ (ბზ.)/მაცაჲდინ (ბქ.)/მაცადინ (ჩოლ.) „გამრჯე, მოწადინებული, მშრომელი“ < ქართ. მე-ცადინ-ე „გამრჯე; მოწადინებული, მონდომებული , – იგივეა, რაც მოცადინე“, შდრ. ფშ., ქიზიყ. მო-ცად-ი „მეცადინე, მუყაითი, ბეჯითი“

მეცარ (ზს., ლნტ.)/მეცარ (ლშხ., ჩოლ.) „მკითხავი, მარჩიელი; გულთმისანი“ < ქართ. (იმერ.) მე-ც-არ-ი „გულთმისანი, წინასწარმეტყველი“ (შდრ. ზს. მელთერ, ლშხ., ჩოლ. მეთერ; ზს. მგჯლაჲი; ბქ. მგჩხტარი), იხ. მე-ლობ-ოღუ-ალ

მე-ცგგნ-ალ (ბზ.)/მე-ცგგნ-ალ (ბქ.,

ჩოლ.) „ლაზღანდარა (ზედმიწ. – *მო-ციგნ-ე)“ < ქართ. ციგან-ი „ბოშა“ (შდრ. ბქ. ლაყფიშ)

მეცლაუ-ალ/მეცლაუ-ელ (ბქ.)/მე-ცლაუ-ალ (ლშ., ჩოლ.) „მოპაექრე“ *ხლმ.* < ქართ. მოცილე „მოდავე“

მეცნიერ (ზს., ქს.) „მეცნიერი; გულ-თმისანი; ყველაფრის მცოდნე“ < ქართ. მეცნიერ-ი „მკვლევარი; მცოდნე“ (შდრ. ზს., ლნტ. გუდმეცარ, ლშხ., ჩოლ. გუდ-მეცარ, ლნტ. გულთმეცარ)

მეცნიეროზ (ზს., ქს.) < ქართ. მეცნი-ერ-ობ-ა „მეცნიერად ყოფნა, მეცნიერის საქმიანობა“ (შდრ. ზს. გუდმეცეროზ, ლშხ., ჩოლ. გუდმეცაროზ, ლნტ. გულ-თმეცაროზ)

მე-ცრ-ოუ-ალ (ბზ.)/მე-ცრ-ოუ-ალ (ბქ.)/მე-ცურ-აუ-ალ (ლშხ.)/მე-ცურ-აუ-ალ (ლნტ.)/მე-ცურ-აუ-ალ (ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. მო-ცურ-ავ-ე „მცურავი“ (შდრ. ბქ. მექნა/ალ)

მეცქუილ (ზს.)/მოცქუილ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/მოცქულ (ლშხ., ჩოლ.)/მოცი-ქუილ (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მო-ციქ-ულ-ი „მიმთხრობი, დესპანი, გაგზავნილი“, ახ. ქართ. „შუამავალი“ (შდრ. ბქ. ციქულ-იდ), იხ. ცაქუ

მე-ცხუან/მე-ცხუან (ბზ.)/მეცხუან (ლშხ., ლნტ., ჩოლ.)/ციხუან (ბეჩ.) < ძვ. ქართ. მე-ციხოვნ-ე „ციხის მცველი, ციხე-სიმაგრეში დაბანაკებული“

მეძაუ (ზს., ქს.)/მეძაუ (ბზ.) < ქართ. მეძავ-ი „ქალი, რომელიც საარსებო სახსრების საშოვნელად თავისი სხეულით ვაჭრობს, – როსკიპი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. კახბა, ბზ. ყაჰბა/ყახბა, ბქ. კახმა)

მეძაუობ (ზს., ქს.)/მეძაუობ (ბზ.) < ქართ. მეძავ-ობ-ა „მეძავის საქმიანობა“ (შდრ. ზს. ნაკახბაუი; ბზ. ლიქამაუალ, ჩოლ. ლიქამალ)

მე-ძაღლ-აუ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „ძაღ-ლუმადურად მყოფი, ის, ვინც წვა-ლობს, ძაღლურად ცხოვრობს (ზედმიწ. – *მო-ძაღლ-ურ-ე)“ < ქართ. ძაღლ-ი „მგლის მოდგმის გაშინაურებული ცხოველი“

მეძბარ (ზს.)/მეძებარ (ბქ.)/მეძბარ/მე-ძმარ (ლშხ.)/მაძებარ/მაძებარ (ლნტ.)/მეზბარ/მაძბარ (უშგ.)/მეძბარ (ლხმ.) < ქართ. მე-ძებ-არ-ი „განსაკუთრებული ჯიშის მონადირე ძაღლი, რომელიც სუნის აღებით დაეძებს ნადირს“

მე-ძჳრ (ზს., ჩოლ.) < ქართ. მე-ძვირ-ე „ვინც ძვირად აკეთებს ან ძვი-რად ყიდის რასმე“

მეწუჳარ (ლნტ.) *ზოოლ.* < ქართ. მ-წ-ევ-არ-ი „სანადირო ძაღლი, რომელმაც კარგი სირბილი იცის“

მეწყერ (ზს.)/მეწყერ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მეწყერ-ი „მიწის ნაკვეთის და-ძვრა ცოცვით ან დინებით“ (შდრ. ზს., ლნტ. ჩუჳალ, ლშხ., ჩოლ. ჩუალ)

მეწყეროზ (ჩოლ.) < ქართ. მეწყერ-ობ-ა „მეწყერის დაძვრის პერიოდი, სიხში-რე“ (შდრ. ზს., ლნტ. ჩუჳალობ, ლშხ., ჩოლ. ჩუალობ)

მეჭეჭ (ზს., ქს.)/მაჭიჭ (ბზ.)/ბეჭეჭ (ჩოლ.)/მეჭიჭ (ლხმ.)/მაჭიჭ (უშგ.) < ქართ. მეჭეჭ-ი „კანზე ამოსული მრგვა-ლი მოყვანილობის მაგარი ხორცმეტი“

მე-ჭორ-აუ-ალ (ბზ.)/მე-ჭორ-აუ-ა/ალ (ბქ.)/მე-ჭორ-აუ-ალ (ლშხ., ჩოლ.) *ხლმ.* < ქართ. მ-ჭორ-ავ-ი „ვინც ჭორავს, ვინც ჭორებს ავრცელებს, – მეჭორე, ჭორიკა-ნა“ (შდრ. ბზ. მგგრგაალი, ლშხ., ჩოლ. მგგრგალი; ბქ. მგრგადი, ლნტ. მგრაგადი; ლშხ. მეციუანგრინალ, ჩოლ. მეცენგრინალ)

მე-ჭორიკნ-ალ (ბზ.)/მე-ჭორიკნ-ა/ალ (ბქ.) ზედმიწ. – *მე-ჭორიკნ-ე *ხლმ.* < ქართ. ჭორიკან-ა „ჭორების მთქმელი

და გამავრცელებელი“ (შდრ. ბზ. მგგგრგბალი, ლშხ., ჩოლ. მგგგრგბალი; ბქ. მგრგბდი, ლნტ. მგრაგბდი; ლშხ. მეციუანგრინბლ, ჩოლ. მეცენგრინალ)

მე-ჭგრდიგ-ბლ (ბზ.)/მე-ჭგრდგალ/ელ (ბქ.) „კარტის მოთამაშე (ზედმიწ. – მო-ჭადრაკ-ე)“ *ხლმ.* < ქართ. ჭადრაკ-ი (< ფალ. **čatrank**) „გონებრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობა...“ (შდრ. ბზ. მეშდრბლ, ბქ. მეშდრა/ბლ; ლშხ., ჩოლ. მეღრბლ)

მეხ (ზს., ქს.)/**მჳხ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. მეხ-ი (< ოს. **meɣ**, შდრ. ოს. **miğ/meğ – ğ > x** სიტყვის ბოლოს) „ატმოსფერული ელექტრობის განმუხტვა დედამიწაზე“

მეხანიზმ (ლშხ.) < ქართ. მექანიზმ-ი „მანქანის (ან ხელსაწყოს) შინაგანი მოწყობილობა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მანქანა (ან ხელსაწყო)“

მე-**ხირ**-ულ (ბზ., ლშხ.)/მე-**ხირ**-ულ (ბქ.)/მე-**ხირ**-უ-ილ (უშგ.) < ქართ. მო-მხიარ-ულ-ე „ვინც მხიარულობს, ილხენს“

მეჯგით (უშგ.) < ქართ. მიზგით-ი/მიზგით-ა (< არაბ. **misgidh** „ლოცვის, მუხლის მოყრის ადგილი“) „იგივეა, რაც მისგითი, – მეჩეთი“

მეჯუეგ/მეჯეგ/მეჯოგ (ზს.)/**მეჯუეგ** (ლნტ.)/**მეჯოგ** (ლშხ., ჩოლ.)/**მეჯუგი** (უშგ.) < ქართ. მე-ჯოგ-ე (< ჯოგ-ი < არაბ. **ǯaux**, შდრ. სპარს. **ǯok**, ოს. **ǯwg/ǯog**, სომხ. ***գոկ***, ფალ. **ǯok**, სპარს. **ǯug**, **ǯuγ**) „ვინც მეჯოგეობას მისდევს; ჯოგის პატრონი“

მე-**ჰაუდარ** (ბზ.)/მე-**აუდარ{ი}** (ქს.) „კარგი ამინდის ნიშანი, ავდრის გამომწვევი (ზედმიწ. – *მო-ავ-დრ-ე)“ < ქართ. ავ-დარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“

მე-ჰრაკ-ბლ (ბზ.) „მეზღაპრე, მეიგავე (ზედმიწ. – *მო-არაკ-ე)“ *ხლმ.* < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“ (შდრ. ბქ. ლიცინგლაუალ)

მე-მბუ-ბლ (ბზ.)/მე-მბუ-ალ (ბქ.)/მე-მბუ-ბლ (ლშხ., ჩოლ.) „მოსაუბრე“ < ძვ. ქართ. მო-ამბ-ე „ამბის მთქმელი, მაუწყებელი, მაცნე“

მეისარ-ა-ი/მეისარ-ა-ეშ/მისარ-ა-ი (ლშხ.) „მეისრობის დღესასწაულზე დასაკლავი საქონელი (ზედმიწ. – სა-მეისრ-ო)“ *რელიგ.* < ქართ. (ლეჩხ.) მეისარ-ობ-ა „დღეობა, ლოცვა“

მერმა-მერმა რიგიშ (ლშხ.) „სხვადასხვანაირი (ზედმიწ. – მე-ორ-ე-მე-ორ-ე რიგ-ის)“ < ქართ. მე-ორ-ე „რიგითი რიცხვითი სახელი ორისა“ და რიგ-ი „ერთ ხაზზე განლაგებული საგნების ერთობლიობა; წყება, მწკრივი“

მზათ (ლნტ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. მზად „მზა მდგომარეობაში, – მომზადებულად“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლგმბრად, ბქ., ლნტ. ლგმარად)

მზარეულ (ზს., ქს.)/**ზარუილ** (ბზ.)/**ზარულ** (ლშხ., ჩოლ.)/**ზბრეუილ** (ლნტ.)/**ძბრუილ** (უშგ.) < ქართ. მზარეულ-ი „ხელობით საჭმლის მკეთებელი“

მზისუმზირაჲ (ლშხ.) < ქართ. მზე-ს-უ-მზირ-ა (შდრ. ლშხ. **მჟუმჟსგდი**)

მთაუარ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მ-თავ-არ-ი „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, თვალსაჩინო“

მთაუარანგლოზ (ლშხ.)/**მთაუარანგელოზ** (ჩოლ.) *რელიგ.* < ქართ. მ-თავარ-ანგელოზ-ი „უფროსი, მთავარი ანგელოზი“, იხ. **თბრგლეზერ**

მთლიბნ (ზს., ლნტ.)/**მთლიან** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მთლ-იან-ი „სრული, მთელი; ერთიანი, დაუნაწევრებელი“ (შდრ. ბზ. **ჰბდურ/ჰბდუირ/ჰედურ**, ბქ. **ჰედუირ**, ლშხ., ჩოლ. **ჲადურ/ჲედურ/ედურ**, ლნტ. **{ჲ}ედურ**)

მთხრობელ (უშგ., ჩოლ.) < ქართ. მ-თხრ-ობ-ელ-ი „ვინც (რაც) მოუთხრობს, – მთქმელი“

მიდამ (ლშხ., ლნტ.)/მიდამ (ლშხ.)/მედამ (ჩოლ.) < ქართ. მიდამო „გარემო, ბუნება“ (შდრ. ზს. ტყუენფ)

მიზამ (ზს., ლნტ.)/მიზან (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიზან-ი (< თურქ. **mizan** < არაბ.) „რაც უნდა განახორციელონ“

მიზეზ (ზს., ქს.) < ქართ. მიზეზ-ი „იგივეა, რაც საბაბი“ (შდრ. ბზ. ცხიდ, ბქ., ქს. ცხიდ; ბზ., ლნტ. ტარ; ჩოლ. თანკილ)

მიზზიან (ზს.)/მიზზიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიზეზ-იან-ი „ვინც უსაფუძვლოდ მიზეზს, საბაბს ეძებს“ (შდრ. ბზ. ცხიდიან, ბქ., ლშხ., ჩოლ. ცხიდიან, ბქ., ლნტ. ცხიდიან, ლშხ., ჩოლ. ცხიდიან)

მითაჟამ (ლნტ.)/მითაჟამს (ჩოლ.) „ოდესღაც, უხსოვარ დროს“ *ზმნის.* < ზან. (მეგრ.) მითაჟამ-ი „ოდინდელი; ძალიან ძველი, შორეული წარსული; უხსოვარი დროიდან“; შდრ. ასევე მითაჟამერ-ი/მითაჟამ-იშ-ი „ძველისძველი, ძალიან ძველი“ (შდრ. ბზ., ლშხ. შომუშალე, ბქ., ლნტ. შომალე), იხ. ათაჟამს

მილ (ზს., ქს.) < ქართ. მილ-ი „გრძელი, მეტწილად მრგვალი ღრუ საგანი სითხის, ორთქლის, კვამლისა და მისთ. სადენად“

მილანქარ (ბზ.)/მინანქარ (ბქ.) < ქართ. მინანქარ-ი 1. „სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი არაგამჭვირვალე მასა, რომლითაც ფარავენ ლითონის საგნებს მათი ზედაპირის დაჟანგვისაგან დასაცავად ან სილამაზისათვის“, 2. „თეთრი მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილი“

მილიონ (ზს., ქს.)/მილუენ/მილიონ (ზს., ლნტ.)/მილოუან/მილუან/მილეუან (ბქ.)/მილიონ (ლშხ., ჩოლ.)/მილიენ (ლხმ.) < ქართ. მილიონ-ი „რიცხვი 1.000.000, – ათასჯერ ათასი“, გადატ. „უამრავი“

მილიონერ (ზს., ქს.)/მილუენან (ბზ.) < ქართ. მილიონერ-ი „მილიონად (ან უფრო მეტად) ღირებული ქონების პატრონი“, გადატ. „ძალიან მდიდარი“

მიმთილ (ზს.)/მუმთილ (ლშხ., ჩოლ.)/მუმეთილ (ლნტ.) < ზან. (მეგრ.) მუანთილ-ი/მუანთირ-ი/მოანთილ-ი/ მოანთირ-ი < ქართ. მამა-მთილ-ი „ქმრის მამა“ (შდრ. ზს. ბიძი)

მიმილ (ზს., ლშხ., ჩოლ.) ზოოლ. < ქართ. მიმინო „მტაცებელი ფრინველი ქორისებრთა ოჯახისა“ (შდრ. ბზ. ჰარკ)

მიმჯე (ქს.) „მოკეთე, ნათესავი“ < ზან. (მეგრ.) მ-ინჯ-ე „პატრონი“ (შდრ. ჭან. მ-ანჯ-ე „პატრონი“, უ-მ-ინჯ-ურ-ი „უპატრონო“, უ-მ-ინჯ-ენ-ს „უპატრონებს“), შდრ. ბზ. ნათი, ბქ., უშგ. ნათი, ლშხ., ჩოლ. ნათი; ქს. ნაღალ

მინაუათ (ზს.)/მინაუათ (ჩოლ.) < ზან. (მეგრ.) მინავათ-ი (< რუს. **виноват**) „უკაცრავად; მაპატიეთ! შეცოდება“

მინდ (ჩოლ.) < ქართ. მინდ-ი „მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით“

მინდუერ (ბზ., ლნტ., ჩოლ.)/მინდორ/მინდერ (ბქ.)/მინდორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მინდორ-ი „სწორი და ბალახიანი ადგილი; სახნავ-სათესი ადგილი“, იხ. ბზ. გინდრ/გინდუერ

მინდრ-უელ (ბზ.) < ქართ. მინდორ-ველ-ი „მინდორი და ველი“

მინთრ/მინთრლ (ბზ.)/მინთუ (ბქ.) < ბერძ.-ლათ. **mint/minth** „პიტნა“ (შდრ. ზან. (მეგრ.) ყვალმინთა/ყვალიმთა და აფხაზ. აყუალმინთა), იხ. პიტნაჲ

მინუტ (ზს., ქს.)/ნიმუტ (ლშხ.)/მი-

ნუთ (ლნტ.) < ქართ. მინუტ-ი (< რუს. **минута**) „წუთი“

მირინოს (ლშხ.) < ქართ. მირინოს-ი (< ესპ. **merino**, მრ. **merinos**) 1. „ესპანური ჯიშის რბილ და წვრილბეწვიანი ცხვარი“, 2. „ასეთი ცხვრის მატყლი“, 3. „ასეთი მატყლის ქსოვილი“

მირცხალ (ბქ.) „მისხალი, მცირედი; ნატამალი“ < ზან. (მეგრ.) მირცხალ-ი (< ძვ. ქართ. მისხალი „წონის ერთეული, – დრამ-ნახევარი“) „მისხალი“, *გადატ.* „ძალიან მცირე, სულ ცოტა“ (შდრ. ბქ. ნარსილდ)

მირჰუენ/მირჰრონ (ბზ.)/მიროონ (ზს., ქს.)/მირჰენ (ბქ., უშგ.)/მირუენ (ლნტ.) „ნათელ-მირონი; ნათლია“[61] *რელიგ.* < ქართ. მირონ-ი (< ბერძ. **μύρων**) „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი; მზადდება ტროპიკულ მცენარეთა ფისისაგან“

მირჰუნობ (ზს.)/მირჰნობ (ბქ.)/მირუნობ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. {ნათელ}-მირონ-ობ-ა (< მირონ-ი < ბერძ. **μύρων** „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი, რომელიც მზადდება ტროპიკულ მცენარეთა ფისისაგან“) „იგივეა, რაც ნათელ-მირონობა“ (შდრ. ჩოლ. პეპი-ლგპრისტობ „ნათელ-მირონობა“)

მისამართ (ზს., ქს.)/მისამართ (ბქ.) < ქართ. მისამართ-ი „ზუსტი ცნობა ვისიმე საცხოვრებელი ბინის ან დაწესებულების ადგილსამყოფელისა...“

მისანდ (ჩოლ.) „წინასწარმეტყველურად (ზედმიწ. – მისნ-ურ-ად)“ *ზმნის.* < ქართ. მისან-ი „ბედის გამომცნობი, – მკითხავი, გულთმისანი“

მისან (ზს.) *ცრუმორწ.* < ქართ. მისან-ი „ბედის გამომცნობი, – მკითხავი, გულთმისანი“ (შდრ. ზს., ლნტ. გუდმეცარ, ლშხ., ჩოლ. გუდმეცარ, ლნტ. გულთმეცარ)

მისნობ (ზს., ჩოლ.) < ქართ. მისნ-ობ-ა „მკითხაობა, მარჩიელობა“ (შდრ. ზს. გუდმეცრობ, ლშხ., ჩოლ. გუდმეცარობ, ლნტ. გულთმეცარობ)

მისრ (ბქ.) „ბურუსი (მზიან ამინდში)“ < ქართ. ნისლ-ი 1. „ჰაერში წვრილწვრილ წვეთებად დამდგარი ორთქლი, რომელიც თეთრ-მონაცრისფროდ ფარავს ყველაფერს და ჰაერს გამჭვირვალებას უკარგავს, – ბურუსი, ჯანღი“, 2. *გადატ.* „ბუნდი, ბურანი“

მისხალ (ზს.) < ძვ. ქართ. მისხალ-ი „წონის ერთეული; ძალიან მცირე, სულ ცოტა“ (შდრ. ზს. ნაპიწკარ)

მიტკალ (ზს., ლნტ.)/მიტკალ (ლშხ., ჩოლ.)/მიტკა (ლხმ.) < ქართ. მიტკალ-ი (< არაბ. **miṯkal**) „ბამბის თეთრი ქსოვილი“, იხ. პირკალ

მიტროპოლიტ (ზს., ქს.) *რელიგ.* < ქართ. მიტროპოლიტ-ი (< ბერძ. **metropolítes** სიტყვიდან **metrópolis** „მთავარი ქალაქი“) „მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდება“

მიქამ თარინგზელ/მგქემ თარინგზელ (ბზ.)/მგქემ თარიგზელ (ჩოლ.)/მიქამ თარგლეზერ/მგქემ თარგლეზერ (ბქ.)/მგქიმ თარი[ნ]გზელ/მგქიმ მთაუარანგლოზ (ლშხ.) *რელიგ.* < ქართ. მიქაელ მ-თავ-არ-ანგელოზ-ი „უფლის ანგელოზთა, დასის წინამძღოლი ანგელოზი – მთავარანგელოზი“

მიქელ-გაბრიელ (ბზ.)/მიქელ-გაბრიელ (ბქ., ჩოლ.) *რელიგ.* < ქართ. მიქელ-გაბრიელ-ი „უფროსი, მთავარი ანგელოზი, – მთავარანგელოზი“

მიქელ–გაბრიელ თაუარანგელოზ (ლნტ.) *რელიგ.* < ქართ. მიქელ-გაბრიელ მ-თავ-არ-ანგელოზ-ი „უფროსი, მთავარი ანგელოზები, – მთავარანგელოზები“

მიხა (ზს., ქს.)/მეხა (ბქ.)/მიხე (ლშხ.,

ჩოლ.)/მიხა (ლხმ.) *ანთრ.* < ქართ. მიხა (< მიხეილ-ი < რუს. **Михаил** < ბერძ. **михаил** < ძვ. ებრ. **miqael** „ღვთის სწორი, ღვთაებრივი") „მამაკაცის საკუთარი სახელი"

მიხეილ (ზს., ქს.)/მახაელ/მეხაელ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. მიხეილ-ი (< რუს. **Михаил** < ბერძ. **михаил** < ძვ. ებრ. **miqael** „ღვთის სწორი, ღვთაებრივი") „მამაკაცის საკუთარი სახელი"

მკერაუ (ზს., ქს.) < ქართ. მ-კერ-ავ-ი „ხელოსანი, რომელიც ტანსაცმელს კერავს" (შდრ. ბზ., ჩოლ. მგშხბიელი, ჩოლ. მგშხბიელი, ბქ., ჩოლ. მგშხბი)

მნიშუნელობ (ზს., ქს.) < ქართ. მნიშვნელ-ობ-ა 1. „აზრი, შინაარსი, ის, რასაც გულისხმობს, აღნიშნავს ესა თუ ის საგანი (სიტყვა, ნიშანი...)", 2. „ღირებულება, ფასი, დანიშნულება, როლი"

მოაბლ/მოჷაბლ/მოჷაბ/მოაბ (ბზ.)/მოახლ (ბქ., ლშხ.)/მუახლ (ლშხ.)/ მოახ/მუახ/მუაბ (ლნტ.)/მოუაბ (ლხმ.) < ქართ. მო-ახლ-ე „შინამოსამსახურე ქალი" (შდრ. ზს. **моыхъ**; ზს. **ӽалҁи/ӷ**; ზს., ლშხ. მესგურე)

მობილიზაცია (ზს.)/მაბილიზაცია (ლშხ.) < ქართ. მობილიზაცია (< ფრანგ. **mobilization** < ლათ. **mobilis**-იდან „მოძრავი") 1. „სამხედრო ძალების საომარ მდგომარეობაში გადაყვანა. || თადარიგის სამხედრო მოსამსახურეთა გაწვევა ომიანობის დროს", 2. „ძალების ან საზსრების თავმოყრა, შეკრება რაიმე მიზნით, რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად"

მობილურ (ზს., ქს.) < ქართ. მობილურ-ი (< ლათ. **mobilis**) „მოძრაობის უნარის მქონე; მოძრავი"

მო-ბრუალ/მე-ბრუალ/მუ-ბრუალ-ე (ლშხ., ჩოლ.) „ის, ვინც ბზრიალებს (ზედმიწ. – *მო-ბრუ-ალ-ე/მე-ბრუ-ალ-ე)" < ქართ. ბრუ-ალ-ი „იგივეა, რაც თავბრუსხვევა"

მოგაბ (ბზ.)/მოგება (ბქ.)/მოგებ (ლშხ.)/ მოგაბ (ლნტ.) < ქართ. მო-გ-ება „თანხა, რომლითაც შემოსავალი დანახარჯს აღემატება" (შდრ. ბზ. ქაბა, ბქ. ქემა)

მოგარჯ (უშგ.) „მშრომელი (ზედმიწ. – *მო-გარჯ-ე)" < ქართ. გამრჯე „დაუზარებელი, მუყაითი, ბეჯითი, მშრომელი, მზრუნველი"

მოგბიან (ბზ.)/მომგებიან (ბქ.)/მოგებიან (ლშხ.)/მომგებიან (ჩოლ.) < ქართ. მომგებ-იან-ი „მოგების მომცემი"

მოგებულ (ზს., ქს.) < ქართ. მო-გ-ებ-ულ-ი „რაც მოიგეს"

მოგებულიან (ჩოლ.) *ზედმიწ.* – *მო-გ-ებ-ულ-იან-ი < ქართ. მო-გ-ებ-ულ-ი „რაც მოიგეს"

მოგორდი (ლშხ.) < ქართ. მოგვერდ-ი „ჭიდაობის ფანდი"

მოგუპარ (ზს., ლნტ.)/მეგუპარ (ზს.)/ მოგუპარ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-გვარ-ე „ვინმესთან საერთო გვარის მქონე"

მოგუპიანებულდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. მო-გვიან-ებ-ულ-ად „იგივეა, რაც მოგვიანებით"

მოდისკა (ბზ., ჩოლ.)/მაჴდისკა (ბქ.) < რუს. **модистка** „მკერავი" (შდრ. ბზ., ჩოლ. მგშხბიელი, ჩოლ. მგშხბიელი, ბქ., ჩოლ. მგშხბი)

მოდგრბაზ (ლშხ.) „დარბაზის ზედამხედველი" < ქართ. მო-დარბაზ-ე „სამეფო კარის დარბაზის წევრი"

მოზარ (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ლშხ. მრ. რ. ფ. მოზარა < ქართ. მო-ზარ-ე (< ზარ-ი < სპარს.-არაბ. **zārī** „ტირილი") „ზარის მთქმელი"

მოზიარება (ლშხ.) *რელიგ.* < ქართ. მო-ზიარ-ე „ზიარების მიმღები"

მოზუერ (ბზ.) *ზოოლ.* < ქართ. მოზვერ-ი „სახარე ხბო ერთ წელზე მეტი ხნისა, – ახალგაზრდა ხარი" (შდრ. ზს.

ხაბნა, ზს., ლშხ. ღაბნა, ლნტ. ღაბენა; ბზ. მაურანდ, ბქ. მაური)

მოთრეშ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-თარაშ-ე „ამკლები, მრბეველი“

მოინჯარაი (ლშს.) < ქართ. მო-იჯარ-ე „იჯარით ამღები, – არენდატორი, იჯარადარი“

მო-კალენ (ლნტ.) „კანონის დამცველი (ზედმიწ. – *მო-კანონ-ე)“ < ქართ. კანონ-ი (< ბერძ. **kanōn**) „საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა (წესი), რომელიც ეხება სახემწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს, – წესი, დადგენილება, ნორმა...“

მოკიჟან (ლშხ., ჩოლ.) „მოძახილის, გამკინავი, წვრილი ხმის მთქმელი, მომღერალი (ზედმიწ. – *მო-მკივან-ე)“ < ქართ. მკივან-ი „ვინც ან რაც კივის“

მოკლას (ლშხ., ჩოლ.) „თანატოლი (ზედმიწ. – *მო-კლას-ელ-ი)“ < ქართ. კლას-ი (< რუს. **класс** < ლათ. **classis** „თანრიგი, ჯგუფი“ < ბერძ.) „საერთო ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საწარმოო საშუალებებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება“

მოკლჳსა/მოკლასა (ლშხ., ჩოლ.) „თანატოლები (ზედმიწ. – *მო-კლას-ელ-ებ-ი)“ < ქართ. კლას-ი (< რუს. **класс** < ლათ. **classis** „თანრიგი, ჯგუფი“ < ბერძ.) „საერთო ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფი, რომელსაც აერთიანებს საწარმოო საშუალებებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება“

მოკრასკულ (ჩოლ.) < ქართ. მო-კრასკ-ულ-ი (< კრასკა < რუს. **Краска** 1. „ღებვა“, 2. „საღებავი“) „რაც შეღებეს ან შეიღება, – საღებავით... ფერშეცვლილი, შეფერილი“ (შდრ. ზს. ლგღაფ, ლშხ., ჩოლ. ლგღაფ, ლნტ. ლგღაფე)

მოკუდაბიჳ/მუკუდაბიჳ{ლიც} (ბზ.) < ქართ. უკვდავებ-ის {წყალი}, იხ. უკდებიშ/უკუდებაშ ლიც

მოლა (ზს., ქს.) < ქართ. მოლა (< არაბ. **maula** „ბატონი“) „მუსულმანთა მღვდელი“

მოლოქ (ბზ., ლშხ.)/ მოლოქიაი (ჩოლ.)/ მოლექ (უშგ.) *ბოტ.* < ძვ. ქართ. (იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.) მოლოქა/მოლოქ-ი (< ბერძ. **μολσκη**) „იგივეა, რაც ბალბა“

მოლხინ (უშგ.) < ქართ. მო-ლხინ-ე „ლხინში მონაწილე“

მომრჳნ (უშგ.) < ქართ. მე-მარნ-ე „მარნის მცველი“

მომსახურეობ (ზს., ქს.)/მომსახურეობჳ (ლნტ.) < ქართ. მო-მსახურ-ე-ობ-ა „იგივეა, რაც მომსახურება“, იხ. ლი-მსახურ

მომჩიტჳნ (ბქ.)/მომჩუან/მომჩიტჳნ/ მოშჩიტჳარ (ლშხ.)/მომჩიტჳარ (უშგ.)/მომჩიტჳან/მოშჩიტჳარ (ჩოლ.) < ქართ. მო-მჩივ-ან-ი „საჩივრის აღმძვრელი; მომდურავი, უკმაყოფილო“, იხ. მგ-ჩიტჳლ-ე/მგ-შჩიტჳლ-ე

მონადირე (ზს., ქს.)/მონჳდირე (ბქ.) < ქართ. მო-ნადირ-ე „ვინც ნადირობას მისდევს“ (შდრ. ბზ., ლნტ. მეთხტჳჲრ, ბქ. მეთხტჳრ, ლშხ., ჩოლ. მეთხტჳარ; უშგ. მუნდტუნე)

მონაი (ჩოლ.) „უსახლკარო, უმუშევარი, ღატაკი, ჯანმრთელი ადამიანი“ < ქართ. მონა „ექსპლოატირებული პირი, რომელიც მონათმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს; უუფლებო, ჩაგრული ადამიანი“ (შდრ. ზს. ფჳმლი, ლშხ., ჩოლ. ფამლი)

მონასტერ (ზს., ქს.) *რელიგ.* < ქართ. მონასტერ-ი (< ბერძ. **monasterion** „განდეგილის სენაკი“) „ბერ-მონაზონთა საეკლესიო-საადგილმამულო ორგანიზა-

ცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა. || ასეთი რელიგიური თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი“

მონკაუშირ (ზს., ქს.) < ქართ. მონკავშირ-ი „მონადირეთა კავშირი“

მორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მორ-ი „მოჭრილი მსხვილი ხე, ტოტებგაცლილი და უხეშად გათლილი“ (შდრ. ბქ. მაგჳრ)

მორდაბიან (ზს., ლნტ.)/მორდებიან (ბზ., ლშხ.)მგრდაბიან (ბზ.)/მორიდაბიან (ლნტ., უშგ.)/მგრდაბიან/მორდაბიან (ჩოლ.)/მარიდაბიან (უშგ.) „რიდი, მორიდება, ხათრი (ზედმიწ. – *მო-რიდებ-იან-ი)“ < ქართ. მო-რიდ-ებ-ა „მოკრძალება“ (შდრ. ზს. მალკაფიან)

მორელ[1] (ქს., უშგ.) „ვეება, მინერალური წყალი; მლაშე წყალი“ < ქართ. მორევ-ი „ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ბრუნავს, ტრიალებს“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. სგიმ, ლნტ., ჩოლ. სკიმ)

მორელ[2] (ბზ.)/მორიელ (ზს.)/მორიელაჲ/მურიელაჲ (ლხმ.) ზოოლ. < ქართ. მორიელ-ი „შხამიანი ფეხსახსრიანი ქვეწარმავალი ობობასებრთა კლასისა, – ღრიანკალი“ (შდრ. ბზ. კლაჭ)

მორიგეობ (ზს., ქს.)/მარგრბ (ჩოლ.) < ქართ. მო-რიგ-ე-ობ-ა „მორიგედ ყოფნა“

მორიდაბ/მორდაბ (ზს., ლნტ.)/მორდებ (ბზ., ლშხ.)/მურდაბ/მგრდაბ (ბზ.)/მორიდაბ (ლნტ., უშგ.)/მგრდაბ/მორდაბ (ჩოლ.) „რიდი, მორიდება, ხათრი“ < ქართ. მო-რიდ-ებ-ა „მოკრძალება“ (შდრ. ზს. მალკაფ), იხ. ლი-რდაბ

მორუობ (ზს.)/მრაუობ/მრუობ (ჩოლ.)/ „შუამავლობა/მაშვლობა“ < ძვ. ქართ. მოურავ-ობ-ა „მოურავად ყოფნა“, იხ. მედიატორობ

მორჩილ (ზს., ქს.) < ქართ. მორჩილ-ი „სხვისი ნება-სურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად ამსრულებელი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ლუნკურე, ბქ., ლნტ. ლუნკურე)

მორჩილ ხანს (ლშხ.) „მცირე ხანს (ზედმიწ. – *მორჩილ ხან-ს)“ < ქართ. მორჩილ-ი „სხვისი ნება-სურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად ამსრულებელი“ და ხან-ი „დრო, ჟამი...“

მორჩლარა (ლშხ.)/მორჩილარა (ჩოლ.) „პატარა ტანის ჩიტი, ღალღა (ზედმიწ. – *მო-მორჩილ-ო)“ ზოოლ. < ქართ. [ტან}-მორჩილ-ი „მორჩილი ტანისა, – ტანდაბალი“

მორჭმილ (ლშხ.) „ფრთხილი“ < ძვ. ქართ. მორჭმულ-ი „დოვლათიანი, შეძლებული, მდიდარი, სახელოვანი; ძლევამოსილი, ბედნიერი“

მორჭმიშ (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მორჭმულ-ი „დოვლათიანი, შეძლებული, მდიდარი, სახელოვანი; ძლევამოსილი, ბედნიერი“

მოსამართლ[ე] (ზს., ქს.)/მოსმართლ/მოსამართლ (ლშხ.) < ქართ. მო-სამართ-ლ-ე „თანამდებობის პირი, რომელიც სასამართლოს წესით რაიმე საქმეს არჩევს“

მოსაულობ (ლშხ.)/მოსაულობ (ჩოლ) < ქართ. მოსავლ-იან-ობ-ა „მოსავლის რაოდენობა ფართობის ერთეულზე“

მოსაუჲლ (ზს., ლნტ.)/მოსაუჲალ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-სა-ვალ-ი „ჭირნახული“ (შდრ. ბზ., ლნტ. მაჴად, ბქ. მაჴად, ლშხ., ჩოლ. მაჴედ; ბქ. მგღაჳ; ბქ. ნამშა; ლხმ. აღ), იხ. მოღაჳ

მოსაულიან (ზს., ლნტ.)/მოსაულიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-სა-ვლ-იან-ი „კარგი მოსავლის მომცემი. || ისეთი (წელი), როდესაც კარგი მოსავალი მოდის“ (შდრ. ზს., ლშხ. მაფას, ლნტ. მაფას; ბქ. რადაგ, ლშხ. რადაგ; ბქ. ლამჴადაშ)

მოსაკითხ (ლნტ.) < ქართ. მოსაკითხი „ძღვნად გაგზავნილი რამ (ჩვეულებრივ, ხილეული, ნამცხვარი, სასმელი და მისთ.)“

მოსკოუ (ზს., ქს.) *ტოპ.* < ქართ. მოსკოვ-ი (< რუს. **Москва**) „რუსეთის დედაქალაქი“

მოქრისდეშ (ბზ.) „მასპინძელი შობისა (ზედმიწ. – *[მო]-ქრისტ-ე-ის-[ა])“ *რელიგ.* < ქართ. ქრისტე (< ბერძ. **χριστός** „მირონცხებული“) „იესო ქრისტე, იესო ნაზარეველი, – ქრისტიანული ეკლესიის თავის და დამფუძნებელი“

მოღაუ (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) მოღავ-ი „მოსავალი, ჭირნახული“, იხ. მოსაუშალ

მოღლაშტ (ზს.)/მოღლატ (ლშხ., ჩოლ.)/მოღალაშტ (ლნტ.) < ქართ. მო-ღალატ-ე (< ღალატ-ი < არაბ.-სპარს. **γalat**) „გამცემი, ორგული“, იხ. მგღლაშტი

მოშაირ (ლშხ., უშგ.)/მოშაირ (ლნტ.) „პოეტი“ < ქართ. მო-შაირ-ე (< შაირ-ი < სპარს. **mošaire** < არაბ.) „შაირის მთქმელი, შაირის მთხზველი, მელექსე“

მოჩუენებ[ა] (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-ჩვენ-ებ-ა „დანახვა არარსებულისა (მაგ., სიზმრად, მეტისმეტი შიშისაგან და მისთ.)“, შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ფინდ; ბზ. მაწუენა; ლშხ. ყაყელ

მოცად (ჩოლ.) < ქართ. მოცად-ი „არასამუშაო საქონელი, მოზარდი ან ზრდადასრულებული (როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა)“

მოცალ (ჩოლ.) „თანატოლი (ზედმიწ. – *მო-ცალ-ე)“ < ქართ. ცალ-ი (< ოს. **cal** „რაოდენი, ერთეული“) 1. „ორისაგან, წყვილისაგან ერთი“, 2. „ტოლი, სწორი, ბადალი...“, იხ. ცალ

მოცალ (ზს., ლნტ.)/მოცალ (ლშხ., ჩოლ.) „უმნიშვნელო, უბრალო რამ; მოცლილი“ < ძვ. ქართ. მო-ცალ-ებ-ულ-ი „უქმი, უსაქმო“, ახ. ქართ. მო-ცლ-ილ-ი „თავისუფალი, დაუსაქმებელი“ (შდრ. ბზ. მიქუდილ, ბქ. მოქდილ; ბქ. ტყარაბურა)

მოცეტ [ჯუმაშ] (ლშხ.) „არამეწველი საქონელი“ < ქართ. მოცად-ი „არასამუშაო საქონელი, მოზარდი ან ზრდადასრულებული (როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა)“, შდრ. ბზ. დომეყ, ბქ. დუმეყ

მოცლაუ (ბზ.)/მეცლაუ (ბქ.)/მეცლაუ (უშგ., ჩოლ.) „მოპაექრე“ < ქართ. მოცილ-ე „მოდავე“

მოციქულ-ობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მოციქულ-ობ-ა „მოციქულის საქმიანობა, შუამავლობა“, იხ. ლი-მციქულ

მოძალე (ლნტ.) < ქართ. მოძალე „იგივეა, რაც მოძალადე“

მოძღუარ (ბქ., უშგ.) *რელიგ.* < ქართ. მოძღვარ-ი „სასულიერო პირი, – მღვდელი, ხუცესი“

მოწაფე (ზს., ქს.) < ქართ. მო-წაფ-ე „დაწყებითი ან საშუალო სკოლის მოსწავლე“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მუთუური, ლნტ. მუთუერი)

მო-წეს-რლდ (ჩოლ.) „პატიოსნად, წესიერად, უწყინრად (ზედმიწ. – *მო-წეს-[იერ]-ო-დ-უკა)“ *ზმნის.* < ქართ. წეს-იერ-ად „ხეირიანად, რიგიანად“

მოწმ (ზს., ქს.)/მეწუმ (უშგ) < ძვ. ქართ. მო-წამ-ე „მოწმე; მარტვილი; წამება“, ახ. ქართ. მო-წმ-ე „იგივეა, რაც მოწამე“

მოწმობ (ზს., ქს.) < ქართ. მოწმ-ობ-ა 1. „ოფიციალური დოკუმენტი, ცნობა, რითაც რაიმე დასტურდება“, 2. „რისამე დამადასტურებელი, დამამტკიცებელი წერილობითი ცნობა ან გადმოცემა“

მოწონებულ (ლშხ.)/მოწონებილ (ლნტ.) < ქართ. მო-წონ-ებ-ულ-ი „დადებითად შეფასებული, – კარგი“

მოწყენილ (ზს., ქს.) < ქართ. მო-წყენ-ილ-ი „დაღვრემილი, დაღონებული“ (შდრ. ზს., ლნტ. ლეჟარ, ლშხ., ჩოლ. ლეჟარ; ბზ. ლუპურტუხუე; ბზ. ლუპუჭე)

მოწყობილ (ლნტ.) „გაწყობილი (მაგ., სუფრა)“ < ქართ. მო-წყ-ობ-ილ-ი „ორგანიზებული, მომზადებული“

მოწყობილობ (ზს., ქს.) < ქართ. მო-წყობ-ილ-ობ-ა „რაიმე საქმისათვის საჭირო საგანთა ერთობლიობა, – ხელსაწყო“

მოჭ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ჩოლ. ნამოჭ „ნაკრუხალი კვერცხი, ანუ კრუხად ნამყოფი ქათმის ნაჯდომი, გალაყებული კვერცხი“ *ზოოლ.* < ქართ. (გურ.) მოჭვა „იგივეა, რაც კრუხი“ (შდრ. ზან. (მეგრ.) მონჭვა/მოჭვა, ლაზ. მონჭვა „კრუხი“)

მოჭედრაკე (ბქ.)/მეჭედრიგჲლ (უშგ.) < ქართ. მო-ჭადრაკ-ე (< ჭადრაკ-ი < ფალ. čatranǰ) „გონებრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობა...“

მოხარბ (უშგ.) „მოშურნე (ზედმიწ. – *მო-ხარბ-ე)“ < ქართ. ხარბ-ი „შურიანი“, იხ. ხარბ

მოხელ[ე] (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. მო-ხელ-ე „სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი“

მოხელობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-ხელ-ე-ობ-ა „მოხელის საქმიანობა“

მოჯამაგირეობ (ლნტ.)/მოჯმაგირობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-ჯამაგირ-ე-ობ-ა „მოჯამაგირის მდგომარეობა“

მოჯლაბ (ლშხ., ჩოლ.)/მოჯალაბ (ლნტ.) < ქართ. მო-ჯალაბ-ე „ბატონის ოჯახში მყოფი შინამოსამსახურე“

მოჯმაგირ (ბზ.)/მეჯმაგირ (ლშხ.)/მოჯმაგირ (ლშხ., ჩოლ.)/მოჯამაგირ (ლნტ.) < ქართ. მო-ჯამაგირ-ე (< სპარს. ǯamagīr) „დაქირავებული მსახური“ (შდრ. ზს. ჯალჩი/გ; ზს., ლშხ. მესგურე; ბზ. ლეგდიშნე)

მოჯნიბ (ლშხ.) < ქართ. მო-ჯინიბ-ე „ცხენების სადგომის მომვლელი“

მონწამ (ბზ.)/მონწუმირ (ბქ.)/მონწამ/მონწუმირ/მანწუმირ (ჩოლ.) „მორწმუნე“ < ქართ. მო-წამ-ე „ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული, ტანჯული, – მარტვილი“

მორეუ/მორაუ (ბზ.)/მორეუ/მოურაუ (ბქ.)/მომრაუ (ლშხ.)/მომრაუ (ბზ., ლნტ., ეცერ., ლხმ., უშგ.)/მრრაუ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „შუამავალი; მომრიგებელი“ < ძვ. ქართ. მოურავ-ი 1. „მებატონის, მემამულის ქონების გამგებელი“, 2. *ისტ.* „რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე“ (შდრ. უშგ. მოღდი), იხ. მედიატორ

მორთხუშ (ლშხ., ჩოლ.)/მორთხუშ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. მორთხმ-ით „ფეხების მოკეცვით“

მტერ (ზს., ქს.)/ტერ (ლშხ.) < ქართ. მტერ-ი „ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი პირი; მავნებელი“ (შდრ. ზს., ქს. ამახუ)

მტეუან (ზს.)/ტეუან (ლშხ., ჩოლ.)/ტეუან (ლნტ.)/ტუუან/ტაუან (უშგ.) < ძვ. ქართ. ტევან-ი „იგივეა, რაც მტევანი“, ახ. ქართ. მტევან-ი „ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი“

მტრედ (ზს., ქს.)/ტრედ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. მტრედ-ი „მორუხო ცისფერშუმბულიანი და დიდჩინჩახვიანი გარეული ან შინაური ფრინველი“ (შდრ. ზს., ქს. მუგუ)

მუბუნტყური/მგბუნტყური (ჩოლ.) „მომდურავი, გაბუტული, ზურგსუკან საყვედურების მთქმელი (ზედმიწ. – *მო-ბურტყ-უნ-ე)“ < ქართ. ბურტყუნ-ი „ხმადაბალი გაურკვეველი ლაპარაკი (ჩვეულებისამებრ – უკმაყოფილო)“

მუ-ბურდ-ე (ბზ., ლშხ.)/მუ-ბურდ-ე (ბქ., ლნტ.) „ამრევი, ამწეწი, გამჩეჩი“ < ქართ. ა-მ-ბურდ-ავ-ი „ამწეწი, ამშლელი“ (შდრ. ბქ. {ჟი} **მუპურტინე**; ბქ. უშხუარ მგჩდინე)

მუ-ბუგ-[უ]-ი/მუ-ბოგ-ე (ლშხ.)/მგბრგ-ე (ჩოლ) „ხიდების გამდები (ზედმიწ. – *მე-ბოგ-ე)“, შდრ. ლშხ. მრ. რ. ფ. მუბგუპლა < ქართ. ბოგა „პატარა ხიდი“

მუ-გუპკურ-ე/მუ-გუპკურ-ე (ბზ.)/მუ-გუპკურ-ებ-ი/ე (ჩოლ.) „მზრუნველი; მომვლელი (ზედმიწ. – *გა-მ-კვირ-ვ-ებ-ელ-ი/და-მ-კვირ-ვ-ებ-ელ-ი)“ < ქართ. და-კვირ-ვ-ებ-ა 1. „ყურადღებით დახედვა, ყურადღების გამახვილება (რამეზე), გულდასმით გასინჯვა“, 2. „დაკვირვებით შესწავლა; გააზრება...“ (შდრ. ზს. მეფეშ; ბქ. თემი **მუხუტინე**)

მუ-გუ-ებ-ი (ჩოლ.) „შემგუებელი, შემწყნარებელი“ < ქართ. შე-მ-გუ-ებ-ელ-ი „შემწყობი, ვინც (რაც) ეგუება, ეწყობა (ვისმე, რასმე)“, შდრ. ზს. {სგა} **მუმთქუე**

მუდრეგ/მგდრეგ (ლშხ., ჩოლ.) „უდარდელი“ *ვულგ.* < ქართ. მუდრეგი (< თურქ.) „ოხერი, ტიალი, უპატრონო“ (შდრ. ზს. **შუპმაპ**)

მუდუ (ბზ., ლნტ.)/**მუდ** (ქს.) *ზოოლ.* < ქართ. (იმერ., გურ.) მუდო/მუდუ „თხუნელა“ (შდრ. ზს. **მუჰ**, ბქ. **მუჰუ**, ლშხ. **მუხ**)

მუზარპად (ბზ.) < ქართ. მუზარად-ი „მეომრის რკინის (სპილენძის...) ქუდი“

მუზეუმ (ზს., ქს.)/**მუზეინ** (ბქ.)/**მუზიუმ/მუზეიმ** (ჩოლ.) < ქართ. მუზეუმ-ი (< რუს. **Музей** < ბერძ. **μουσείο**[v] „მუზათა ტაძარი“) „სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მიზანია შეგროვება, დაცვა, შესწავლა და გამოფენა წარსული და თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი ძეგლებისა, აგრეთვე ბუნების ნიმუშებისა“

მუ-ზთუნ-ე (ბზ.,)/მუ-ზთუნ-ე (ზს., ლშხ., ჩოლ.)/მუ-ზთ-ი (უშგ.) „დამზეთ[ავ]ი; ზეთის გამომხდელი“ < ქართ. მ-ზეთ-ავ-ი (< ზეთ-ი < სომხ. ***ձեթ***) „ვინც ზეთავს ან ზეთს ხდის“

მუთაქა (ზს., ქს.)/**მგთაქა** (ლნტ., ჩბხ.) < ქართ. მუთაქა (< არაბ. **mutakā'u**) „მატყლით (ბამბით) გატენილი მოგრძო და მრგვალი თავქვეშ სადები“, იხ. მგრთაგა

მუ-თთუნ-ი (ზს., ლშხ., ჩოლ.) „სიგარეტის მწეველი (ზედმიწ. – *მე-თუთუნ-ე)“ < ქართ. თუთუნ-ი (< თურქ. **tütün**) „იგივეა, რაც თამბაქო“

მუ-თურქუ-ი (ბქ.) „არაქრისტიანი, ცუდი ადამიანი (ზედმიწ. – *მო-თურქ-ე)“ < ქართ. თურქ-ი „თურქული წარმომავლობის ადამიანი“

მუ-კუმაშ (ბქ.) „ობობა (ზედმიწ. – *მო-კუმაშ-ე)“ *ზოოლ.* < ძვ. ქართ. კუმაშ-ი (< არაბ. **kumaš** „საქონელი“) „ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, წითელი ან ლურჯი, – ფარჩა“

მუ-კუმაშ-ლ-ი (ბზ.)/მუ-კუმაშ-ალ-ი/მე-კუმაშ-ალ-ი (ლშხ., ჩოლ.) „მესაქონლე, პირუტყვის მომვლელი, პატრონი“ *ტლმ.* < ძვ. ქართ. კუმაშ-ი (< არაბ. **kumaš** „საქონელი“) „ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, წითელი ან ლურჯი, – ფარჩა“ (შდრ. ბქ. **მუქუმინგენი**; ლხმ. მგლთხამალი)

მუ-კუმაშ-ი (ბზ.)/მუ/ე-კუმაშ (ლშხ., ჩოლ.) „მესაქონლე, პირუტყვის მომვლელი, პატრონი“ < ძვ. ქართ. კუმაშ-ი (< არაბ. **kumaš** „საქონელი“) „ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, წითელი ან ლურჯი, – ფარჩა“ (შდრ. ბქ. **მუქუმინგენი**; ლხმ. მგლთხამალი)

მუ-უბურ-ალ-ი/მუ-ლ-ბურ-ალ-ი (ბქ.)/მუ-უბურ-ალ-ი (ჩოლ.) „გამთვალა-

ვი“ *ხლმ.* < ქართ. (რაჭ.) ობურ-ი „ეშმაკი“ (შდრ. ზს. მგგგგნწალი, ლშხ., ჩოლ. მგგგგნწალი; ბქ. მგყბაყწალი)

მუ-უბურ-ი (ბქ., ჩოლ.)/მუ-ლ-ბურ-ი (ბქ.) „გამთვალავი“ < ქართ. (რაჭ.) ობურ-ი „ეშმაკი“ (შდრ. ზს., ჩოლ. მგგგგნე; ბზ., ლშხ. თემი მგგნე; ბქ. მგყბაყი)

მულზონ[1] (ბზ., ლშხ.)/მოლზუენ (ბზ.)/მგლზონ (ლშხ.)/მოლაზუენ (ლნტ.)/მოლზონ (ჩოლ.)/მგლზუენ (უშგ.) „ეკლესიის მსახური კაცი; რელიგიურ რიტუალთა აღმსრულებელი პირი; ხატისკაცი; მონაზონი; მლოცველი“ *რელიგ.* < ქართ. (იმერ.) მოლოზან-ი „იგივეა, რაც მონაზონი“ (შდრ. ზს. მომზგრ/მემზირ)

მულჩხუიმ (ზს.)/მულჩხუმ (ლშხ.)/მგლეჩხუიმ (ლნტ.) / მგლჩხუიმ/მულჩხუმ (ჩოლ.) < ქართ. ლეჩხუმ-ელ-ი „ლეჩხუმის მკვიდრი“

მუმიაჲ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მუმია 1. „სხვადასხვა საშუალებებით ან ბუნებრივად ხრწნისაგან დაცული ადამიანის გვამი ან ცხოველის ლეში“, 2. *გადატ.* „მეტისმეტად გამხდარი ადამიანი“, 3. *გადატ.* „უსიცოცხლო, მოდუნებული, გარინდებული (ადამიანი)“

მუ-მსუ-ი (ბზ.) < ქართ. მ-მოს-ავ-ი „ვინც მოსავს, – შემმოსავი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მუქჭემ, ლნტ. მგქჭემ)

მუ-მურჯუ-ი/მუ-მარჯ-ი (ბზ.)/მგ-მარჯუ-ი (ბქ., ლნტ.)/მუ-მარჯუ-ი (ბქ.)/მუ-მურჯ-ი (ლშხ., ჩოლ.) „დამხმარე, გვერდში მდგომი, მაშველი (ზედმიწ. – *მო-მ-მარჯვ-ებ-ელ-ი*)“ < ქართ. მარჯვე „ყოჩაღი, ხერხიანი“

მუ-მ-შობ-ი (ბქ.) „გამჩენი, დამბადებელი“ < ქართ. მ-შობ-ი „მრავლის მშობი, მშობიარე“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მგთნე, ლნტ. მგთენე)

მუ-ნ-გლოუ-ი (ბზ., ჩოლ.)/მუ-ნ-გულეუ-ი (ბქ.)/მგ-ნგლოუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მ-გლოვ-ი-არ-ე „ვინც გლოვობს, ვინც გლოვის წესებს ასრულებს“ (შდრ. ბზ. სუტუპარ, ჩოლ. სუტუპარ)

მუ-ნდრრუ (ბზ., ჩოლ.)/მუ-ნდუ-რეუ/მუ-ნდრეუ (ბზ.)/მე-ნდრეუ (ბქ.)/მუ-ნდრუ (ლშხ.)/მგ-ნდრრუ (ჩოლ.) < ქართ. მო-მ-დურ-ავ-ი „ვინც ემდურის ვისმე, – უკმაყოფილო“ (შდრ. ზს., ქს. მგნჩლი)

მუნჯ (ზს., ქს.)/მინჯუ (უშგ.) < ქართ. მუნჯ-ი „მეტყველების უნარს მოკლებული“

მუ-პსუხ-ი (ზს., ლშხ.)/მუ-პსუხუ-ი (ბქ.)/მო-პსიხუ (უშგ.)/მუ-პსუხ[უ] (ჩოლ.) „პასუხის გამცემი“ < ძვ. ქართ. მო-პასუხ-ე (< ფალ. **passax**, ახ. სპარს. **pāsux**) „პასუხის გამცემი“

მუჟღურ (ბქ.)/მგჟოლუირ (ლნტ.)/მუჟლუერ (ჩოლ.) < ზან. (მეგრ.) მუჟღირ-ი „იგივეა, რაც დამორჩილი, – შემოდგომა“

მურაბა (ზს., ქს.)/მგრაბა/მურადა (ბქ.)/მგრაბა (ჩოლ.) < ქართ. მურაბა (< არაბ. **murabba**) „ტკბილ წვენში მოხარშული ხილეული ან ზოგიერთი ბოსტნეული“

მურგუწალ (ზს., ლნტ.)/მურგუწალ (ლშხ., ჩოლ.)/მურგუელ (უშგ.)/გურწალ (ლხმ.) < ქართ. მრგვალ-ი „რაც წრის მოყვანილობისაა ან ჭრილში წრეს იძლევა“ (შდრ. ზს. გირგოდ; ბქ. კგრტი)

მურდალ (ბზ.) < ქართ. მურდალ-ი „უწმინდური, ბინძური, უსუფთაო“

მურზაყან (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. მირზა (< არაბ.-სპარს. **amirzade** „ამირის შვილი“ + სპარსული სუფიქსი **xan** = მირზახანი) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

მუ-რ[უ]ის/მუ-რისუ (ბზ.)/მუ-რუ-

ს{ჟ}-ი (ბქ.)/მუ-რუს (ქს.)/მუ-რის (ჩოლ.) < ქართ. რუს-ი „რუსეთის მკვიდრი“, იხ. რუის

მუ-რლუ-ე (ზს., ქს.)/მგ-რლუ-ე (უშგ.) „დამანგრეველი; დამქცევი“ < ქართ. და-მ-რღვ-ევ-ი 1. „ვინც დაშლის (შეკერილს, ნაქსოვს...)“, 2. „ვინც დაანგრევს (აგებულს...), – დამნგრევი...“ (შდრ. ზს., ქს. მუხურე)

მუ-საჩქუარ-ი (ლნტ.) < ქართ. და-მ-სა-ჩქარ-ებ-ელ-ი „ვინც {და}ასაჩქარებს“, იხ. მუ-შჩქუარ-ი (შდრ. ბქ. მუბლუნი)

სოსრუყ (ბზ.)/**სოსრუყუ**/**სოსრუღ** (ბქ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ადიღ. **Саусырыкъуэ**/**Сосрыкъуэ**) „ჩერქეზული ნართული ეპოსის, აგრეთვე აბაზური და აფხაზური ვერსიების ცენტრალური გმირი („სასრიყვა“), შდრ. ასევე: ვაინახ. სესქა-სოლსა, ბალყ.-ყარაჩ. სოსრუყი/სოზარუყი, ოს. **Созырыхъо**

სოუდაგარ (ბზ.) < ძვ. ქართ. სოვდაგარ-ი (< სპარს. **sovdagar**) „დიდი ვაჭარი“

სოფელ (ზს., ქს.) < ქართ. სოფელ-ი „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს...“

სოფელ-ქუეყანა (ლშხ.) „მსოფლიო, მთელი ქვეყანა (ზედმიწ. – ‘სოფელ-ქვეყანა’)“ < ქართ. სოფელ-ი „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს...“ და ქვე-ყანა „დედამიწა, დედამიწის სფერო, ჩვენი პლანეტა...“

სოფი (ბქ.)/**სოფაჲ** (ლხმ.) *ანთრ.* < ქართ. სოფია (< ბერძ. **Σοφία** „სიბრძნე“) „ქალის საკუთარი სახელი“

სოფლელ (ზს., ქს.) < ქართ. სოფელ-ი „სოფლის მცხოვრები“

სოფნი-სოფელ (ბქ.)/**სოფლი-სოფელნ** (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. სოფელ-სოფელ „სოფლიდან სოფელში, ერთი სოფლიდან მეორეში“

სოფლობშუ (ლშხ.) „ერთად, მთელი სოფელი (ზედმიწ. – *სოფლ-ობ-ით*)“ *ზმნის.* < ქართ. სოფელ-ი „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს...“

სოხ (ზს.) „ჭლაკვი“ *ბოტ.* < ქართ. (გურ.) სოხვ-ი/სოხ-ი/სორხვ-ი (< თურქ.-ირან. **soγ** „ხახვი“) „ჭლაკვი, უთავო ხახვი“

სოხუმ (ზს., ქს.) *ტოპ.* < ქართ. სოხუმ-ი „ქალაქი საქართველოში“

სპედაგ (ბზ.)/სპეტაკ (ბქ.) < ქართ. სპეტაკ-ი (< ფალ. **spētak** „თეთრი“) 1. „ძალიან თეთრი“, 2. *გადატ.* „წმინდა, უმწიკვლო“

სპეციალისტ (ზს., ქს.)/სპეციალისტ (ბქ., ლნტ.) < ქართ. სპეციალისტ-ი (< ფრანგ. **specialiste**) „ამა თუ იმ სპეციალობის პირი; ამა თუ იმ სპეციალობაში დახელოვნებული“

სპეციალურ (ზს., ქს.) < ქართ. სპეციალურ-ი (< ლათ. **specialis**-დან „განსაკუთრებული, თავისებური“) 1. „განსაკუთრებული, საგანგებო დანიშნულების მქონე“, 2. „ამა თუ იმ სპეციალობასთან დაკავშირებული, სპეციალობის დამახასიათებელი, – სპეციალობისა“

სპეცნაზ (ზს., ქს.) < ქართ. სპეცნაზ-ი (< რუს. **Спецназ**) „სპეცოპერაციების ქვედანაყოფი, რომლებსაც აკონტროლებს მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური“

სპილენძ (ზს., ქს.)/სპილენჯ (ბზ., ლშხ., ლნტ.)/სპელენჯ (ბქ.)< ქართ. სპილენძ-ი (< საშ. სპარს. ***pirinz**) „ადვილად ჭედადი მოწითალო ფერის ლითონი, რომელსაც ფართო გამოყენება აქვს ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში“ (შდრ. ბზ., ლშხ. ჩეი, ბქ. ჩეი; ჩოლ. წუქუ)

სპილო (ზს., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. სპილო (< ფალ. **pīl**) „ხმელეთის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი, რომელსაც აქვს გრძელი ხორთუმი...“

სპირდონ (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. სპირდონ-ი (< ბერძ. **Σπυρίδων** „დაწნული მრგვალი მაგიდა“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

სპირო (ჩოლ.) < ქართ. (ქართლ.) სპირო „ბლის ქერქის აბგა“

სპირტ (ზს., ქს.) < ქართ. სპირტ-ი (< რუს. **Спирт** < ლათ. **spiritus**-იდან „სული“) „აქროლადი, ადვილად აალებადი და მეტწილად მათრობელა სითხე, რომელსაც ხდიან შაქრის ან სახამებლის შემცველი ნივთიერებიდან“

სრაშლ (ლნტ.) < ქართ. სრიალ-ი „გლუვ ზედაპირზე დაუბრკოლებელი, ნარნარი მოძრაობა...“ (შდრ. ბზ. ლიჩირხაშლ, ბქ. ლიჩრახაშლ; ლხმ. ლისოლაშლ)

სტამნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/სტამან (ბქ., ლნტ., ჩოლ.) < ძვ. ქართ. სტამან-ი (/სტამონ-ი < ბერძ. **σταμνα**) „ქილა, კოკა“, შდრ. სტამნ-ი „სარწყული პირ-ფართო“ (საბა)

სტამბოლი თუნუფ (ლნტ.) < ქართ. სტამბოლის თოფ-ი „თოფის ერთ-ერთი სახეობა“

სტამბულ (ზს., ქს.) *ტოპ.* < ქართ. სტამბოლ-ი/სტამბულ-ი (< თურქ. **istanbul**) „თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე ხალხმრავალი ქალაქი“

სტამბულა კუთხუა/კუთხ (ლშხ.) „თოფი“ < ქართ. სტამბოლ-ი{ს} კუთხვა „თოფის ერთ-ერთი სახეობა“

სტამნა (ბქ.) „დარაბა“ < რუს. **Ставня** „დარაბა“

სტანცია (ბზ.)/ტანციად (ლშხ.) < ქართ. სტანცია (< რუს. **Станция**) „სადგური“

სტაჟ (ზს., ქს.) < ქართ. სტაჟ-ი (< რუს. **стаж**) „სტაჟი, ვადა“

სტარმუნიშ/სტარმგნიშ (ბქ.) „ადგილის სახელწოდება ბალსქვემო სვანეთში (ზედმიწ. – *ჯვარის[ა])“ *ტოპ.* < ბერძ. **σταυρός** „ჯვარი“

ს[ტ]აროსტა (გზ., ჩოლ.) < რუს. **Старостa** „მამასახლისი“

სტარშინა (ჩოლ.) < რუს. **Старшина** „ზემდეგი“

სტაქან (ზს., ლნტ.)/სტაქან (ბქ.) „ჭიქა“ < ქართ. სტაქან-ი (< რუს. **Стакан** „ჭიქა“) „მოღრმო თასი“ (საბა)

სტამფილო (გზ., ლნტ.)/სტამფილო (უშგ., ქს.)/სტანფილო (ჩოლ., უშგ.)/სტანფილო/სტაფილო (ლხმ.) *მოტ.* < ქართ. სტაფილო „ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა...“, იხ. ბქ. **bgbg**

სტანცია (ლშხ.)/სტანციაჲ (ჩოლ.) „ვაკობი ადგილი (ზედმიწ. – სადგური)“ *ტოპ.* < ქართ. სტანცია (< რუს. **Станция**) „სადგური“

სტარნიშობ (ჩოლ.) „ქალების დღეობა (ზედმიწ. – *ჯვარისობა)“ *რელიგ.* < ბერძ. **σταυρός** „ჯვარი“

სტარუნიშ (ლშხ., ჩოლ.)/სტარუნიშ/სტარუნიშ/სტარუნიშ (ლშხ., ჩოლ.)/სტარუნიშ (ჩოლ.) „ადგილის სახელწოდება ლაშხეთში, – ჯვარის მთა; ლეჩხუმში გადასასვლელი უღელტეხილი (ზედმიწ. – *ჯვარისა)“ *ტოპ.* < ბერძ. **σταυρός** „ჯვარი“

სტარუნ/სტარუნ//სტარინ (გზ.)/სტარუნ (გზ., ჩოლ.)/სტარინ (ბქ.)/სტარუნ/უსტარუნ (ლშხ.)/უსტარუნ/უსტარ[უ]ინ (ლნტ.)/უსტარუნ (ჩოლ.) „ჯვარი; პირჯვარი“ *რელიგ.* < ბერძ. **σταυρός** „ჯვარი“

სტეკლო (ქს.) < ქართ. სტეკლო (< რუს. **Стекло**) „მინა, შუშა“

სტეფო (ლშხ.) *ანთრ.* < ქართ. სტეფანე (< ბერძ. **Στέφανος** „გვირგვინი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

სტიქია (ზს., ქს.)/სტიქიაჲ (ჩოლ.) < ქართ. სტიქია „იგივეა, რაც სტიქიონი“

სტოლ (ზს., ქს.) < ქართ. სტოლ-ი (< რუს. **Стол**) „მაგიდა, სუფრა, ტაბლა...“ (შდრ. ზს., ლნტ. **ტაბაგ**, ლშხ., ჩოლ. **ტაბაგ**; **ფიჩქ**; **გერჯაბ**; ბქ. **გერდ**)

სტოლბა (ზს., ქს.) < ქართ. სტოლბა (< რუს. **Столб**) „ბოძი, სვეტი“ (შდრ. ზს., ლნტ. **ბაჯგ**, ზს. **ბეჯგ**, ლშხ., ჩოლ. **ბაჯგ**)

სტოლსაფარ (ბქ.) < ქართ. სტოლ-საფარ-ი „მაგიდის გადასაფარებელი“

სტომაქ (ჩოლ.)/სტომაგ (უშგ.) < ქართ. სტომაქ-ი (< ბერძ. **Stomachos**) „ჯუჯი, მუცელი“

სტრაჟნიკ (ზს., ქს.) < ქართ. სტრაჟნიკ-ი (< რუს. **Стражник**) „ჩაფარი“

სტროჩკა (ზს., ქს.) < ქართ. სტროჩკა (< რუს. **Строчка**) „გვირისტი“

სტუდენტ (ზს., ქს.) < ქართ. სტუდენტ-ი (< ლათ. **studens** „მოსწავლე“) “უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე“

სტუელობ (ჩოლ.) „შემოდგომა“ < ქართ. (მოხ.) სთვლ-ობ-ა „რთველობა, შემოდგომა“, შდრ. ფშ. სთველ-ი „შემოდგომა“

სტუირ (გზ., ლშხ., ჩოლ.)/სტუირ (ბქ., ლნტ., უშგ.) 1. „მილი“, 2. „სტვირი, სალამური“, 3. „ლულა (თოფისა)“ < ქართ. სტვირ-ი 1. „ხალხური ჩასაბერი საკრავი, დამზადებული მცენარის ღრუ ღეროსაგან“, 2. „იგივეა, რაც გუდასტვირი“

სუდ (ზს., ქს.) < ქართ. სუდ-ი (< რუს. **Суд**) „სასამართლო, სამართალი, სამსჯავრო“

სუდიობ (ზს., ქს.) *ზედმიწ.* – *სუდ-ი-ობ-ა < ქართ. სუდ-ი < რუს. **Суд** „სასამართლო, სამართალი, სამსჯავრო“

სუდარა (ზს., ქს.)/სუდარ (უშგ., ლხმ.) < ქართ. სუდარა „თეთრი ზეწარი მიცვალებულის გასახვევად; მიცვალებულის სამოსელი“ (შდრ. ბქ. ლგდგბრიშ ნათხფუნ)

სულთანმან (ლშხ.) „ძვირფასი ქვები: გიშერი და მისთ.“ < ქართ. სულეიმან-ი (< თურქ. **Süleyman** < არაბ.) „ძვირფასი ქვის სახელწოდება“[77]

სულდგმირ (ლნტ.) < ქართ. სულდგ-მ-ულ-ი „ცოცხალი არსება, სულიერი“

სულთ (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. სუთ-ი „სუფთად გათლილი ჯოხი ღომის ამოსაზელად“ (შდრ. ზს. გუმ)

სულთან (ზს., ქს.)/სოლთან (ბზ.)/სულთან (ლნტ.) < ქართ. სულთან-ი (< არაბ. **sultan** „ხელმწიფე“, „მბრძანებელი“) „ხელმწიფის ტიტული ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყანაში“

სულთან საფტინ (ლშხ.) „სულთა შაბათი“ *რელიგ.* < ქართ. სულ-ი „ადამიანის არსების ღვთაებრივი მხარე, რომელიც უპირისპირდება სხეულს (ხორცს) და რომელიც თითქოსდა უკვდავია“ და ზან. (მეგრ.) საბატონ-ი/საბატგნ-ი (< ბერძ. **σαββατον**) „შაბათი“

სულკატიან (ჩოლ.) < ქართ. სულკატ-იან-ი „იგივეა, რაც სულძაღლიანი; ლანძღვაა ერთგვარი“

სულხუაუ (ჩოლ.) „მსუნაგი“ < ქართ. (ლეჩხ.) სულხავ-ი „გაუმაძღარი, ხარბი, ღორმუცელა“

სუმფი (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) სუმფე „მოშვებული, ფუმფი“

სუნაგ (ჩოლ.) < ქართ. მსუნაგ-ი „წუწკი, სუსნია“ (შდრ. ზს. წოლკა; ბქ. ჰერტყუა)

სუნდუქ/სუნდუქუ {დეცეშ} (ბზ.)/სუნდუკ/სუნდუკუ {დეცეშ} (ბქ.)[78] „უმაღლიერესი ღმერთი, ცის ღვთაება სვანების წარმოდგენით“ *რელიგ.* < რუს. **Сундук** (< არაბ.-სპარს. **sandūk**) „ზანდუკი, სკივრი“

სუნდუქუა (ბზ.) „ცის ღვთაების სახელზე შესაწირი ხარის სახელწოდება“ *რელიგ.* < რუს. რუს. **Сундук** (< არაბ.-სპარს. **sandūk**) „ზანდუკი, სკივრი“

სუნკა (ბქ.)/სუმკ{რლ}/სუმკა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. სუმკა (< რუს. **Сумка**) „ჩანთა, აბგა“

სუპ (ზს., ქს.)/სუფ (ლნტ.) < ქართ. სუპ-ი (< რუს. **Суп**) „წვნიანი“

სურ (ბზ.) „შალიანის ხატის ჩამონაბანი წყლის ჭურჭელი“ *რელიგ.* < ქართ. სურა „მუცელგამობერილი და ყელწვრილი თიხის (ვერცხლის, ოქროს...) ჭურჭელი წყლისა, ღვინისა და მისთ. ჩასასხმელად, – ლიტრა“ (შდრ. ბზ., ჩოლ. სტამან, ბქ. სტამან)

სურაუ (ლშხ.) < ქართ. ცურ-ვ-ა „წყლის ზედაპირზე, წყალში მოძრაობა (ფარფლების, ხელ-ფეხის... მოსმით)...“, შდრ. ბზ. ლილცუზალ; ბქ. ლიქნა/ალ; ბქ. ლიღრენი; უშგ. ლილცუნე „გაცურვა“

სურაუანდ (უშგ.) < ქართ. სურავანდ-ი „ავადმყოფობა, რომელსაც იწვევს ავიტამინოზი, კერძოდ ნაკლებობა C ვიტამინისა...“

სურათ[1] (ზს., ლნტ.)/სურათ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. სურათ-ი (< არაბ. **surat** „გარეგნობა, სახე“) 1. „ფოტოაპარატით სპეციალურ ქაღალდზე გადაღებული ცალკე ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან სხვა რამ ობიექტი“, 2. „მხატვრობის ნაწარმოები, – ნახატი...“

სურათ[2] (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ *ანთრ.* < ქართ. სურათ-ი (< არაბ. **surat** „გარეგნობა, სახე“) 1. „ფოტოაპარატით სპეციალურ ქაღალდზე გადაღებული ცალკე ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან

სხვა რამ ობიექტი“, 2. „მხატვრობის ნაწარმოები, – ნახატი...“, შდრ. ქართ. *ანთრ.* სურათა

სურბელა (ჩოლ.) < ქართ. (ოკრიბ.) სურბელა „მოთმინება“

სურდუქ (ბქ.) < ქართ. სერთუკ-ი (< ფრანგ. **surtout** „[განიერი] ზედა სამოსი“) „მამაკაცის ძველებური, ორბორტიანი, წელში გამოყვანილი ზედა ტანსაცმელი, გრძელი, თითქმის მუხლებამდე კალთებითა და, ჩვეულებრივ, გადაკეცილი საყელოთი“

სურნელ (ზს., ქს.) < ქართ. სუნელ-ი „გამხმარი და დაფშვნილი მწვანილეულობა, რომელსაც ხმარობენ საჭმლის შესაკაზმად“

სურო (ქს.) *გოტ.* < ქართ. სურო „მარადმწვანე მცოცავი ბუჩქი, – ლიანა“

სურსუტ (ჩოლ.) „წუხილი; სულწასული“ < ძვ. ქართ., იმერ. სურსუტ-ი „მოუთმენელი, სულწასული“

სუსტაპ (ბქ.)/სუსტაპა (ჩოლ.) < ქართ. მო-სუსტ-ო (< სუსტ-ი < ფალ. **sust** „უძლური, სუსტი, მსუბუქი“) „ოდნავ სუსტი; უძლური“

სუფთა (ზს., ქს.) < ქართ. სუფთა „წმინდა, ხალასი, შეურეველი...“ (შდრ. ზს. წყილიან/წყელიან, ბქ. წყილან, ლშხ. წყელიან, ლნტ. წყელიან; ბზ. წყეზან, ბზ., ლშხ. წყეზემ, ლნტ. წყაზარ; ბზ. დაჰარ, ბქ. დაჰარ/გაჰარ, ლნტ. დაარ; ჩოლ. ცილდგმ; ჩოლ. დაიაზ)

სუფთად (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. სუფთ-ად „წმინდად“

სუფრ (ზს.) < ქართ. სუფრა (< არაბ. **sufre**) 1. „იგივეა, რაც ტაბლა“, 2. „პურობა, ნადიმი, ქეიფი“, 3. „მაგიდაზე გადასაფარებელი ქსოვილი“

სუქ-სუქ! (ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. სუქი-სუქ-ი! „გასუქდი, მსუქანი გახდი!“

სუპაუ (ლშხ.) *ზოოლ.* < ქართ. სვავ-ი „მტაცებელი დიდი ფრინველი“

სუეტ (ზს., ქს.)/სეტ (ზს., ლხმ.) „ბოძი“ < ქართ. სვეტ-ი (< ირან. **sut, sutun**) „საგანგებო კვარცხლბეკზე დადგმული ან მიწაში ჩარჭობილი სწორი ძელი ან ქვის, აგურის და მისთ.“ (შდრ. ზს., ლნტ. ბაჯგ, ზს. ბეჯგ, ლშხ., ჩოლ. ბაჯგ)

სუეგამარჯუ (ჩოლ.) < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, ბედისწერა“ და გამარჯვ-ებ-ა „ბრძოლის მოგება; მოწინააღმდეგის დამარცხება, ძლევა; წარმატება...“

სუეუ (ბზ., ლნტ.)/სუეგა/სოგა (ბქ., ლშხ.) „ბედი, იღბალი“ < ქართ. სვე (< ოს. **fes** „ბედი“) „ბედი, იღბალი, ბედისწერა“

სუეუგან (ზს., ლნტ.)/სუეგან/სოგან (ბზ.)/სეუგან (ზს.)/სოუიან/სოგან (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი; იღბლიანი“ < ქართ. სვ-იან-ი (< სვე < ოს. **fesgun** „სვიანი“) „კარგი სვის, ბედის მქონე, – ბედნიერი, ბედიანი“, იხ. ლგ-სუეუ

სუიკუ[1] (ზს., ჩოლ.)/სიკუ (ზს.)/სუკ[უ] (ლშხ.) „გორა, ქედი“ < ზან. (მეგრ.) სუკ-ი „ბორცვი, გორაკი; ქედი, სერი; ფერდობი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ზუიგუ, ბქ., ჩოლ. ზუგუ)

სუიკუ[2] (ზს., ლნტ., ჩოლ.)/სიკუ (ბზ.)/სუკ (ლშხ.) „საქონლის ხერხემლის რბილი ნაწილი“ < ქართ. სუკ-ი „საკლავის ზურგიდან ხერხემლის ორივე მხარეს გრძლად აჭრილი რბილი ხორცი“

სუიმნობ (ზს., ჩოლ.)/სუიმნიშ (ბზ.,

ჩოლ.) „მირქმა; მიცვალებულთა სულეების მოსახსენებელი დღეობა (ზედმიწ. – სვიმონ-ობ-ა)“ *რელიგ.* < ქართ. სვიმონ უფლისმოქმედი

სუინა (ზს.)/სუინაჲ (ბზ.)/სუინაჳ (ბქ.) „ნათლია, სვინა; ნათლიმამა, ნათლიდედა“ < ძვ. ქართ., ქართლ. სვინა „ნეფის მეჯვარე“; „შვილის მომნათლავი“ (შდრ. ზს., ლნტ. ჰაჰი, ბზ., ქს. ჰეჰი)

სუინდინამუს (ბქ.) < ქართ. სინდისნამუს-ი „სინდისი და ნამუსი“

სუინდის (ზს., ქს.)/სუინდ (ზს.)/სუინიდის (უშგ.) < ქართ. სინდის-ი (< ბერძ. **syneidēsis**) „საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება, საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, – პატიოსნება, ნამუსი“

სუინდისაჲნ (ზს., ლნტ.)/სუინდისიან (ლშხ.) < ქართ. სინდის-იან-ი (< სინდის-ი < ბერძ. **syneidēsis**) „იგივეა, რაც სინდისიერი“

სუისტ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/სუსტ (ბზ.)/სუისდ (ბქ.)/სუსტ (ლშხ., ჩოლ.)/სუსუდ (ლხმ.) < ქართ. სუსტ-ი (< ფალ. **sust** „უძლური, სუსტი, მსუბუქი“) „მალას, ღონეს მოკლებული, – უღონო“ (შდრ. ზს. დაცხ[უ]; ბზ. დაცმულ; ბქ. უინცბარილ)

სუიტრ (ზს., ქს.) < ქართ. სვიტრ-ი/სვიტერ-ი (< ინგ. **sweater, sweat**-იდან „გაოფლიანება“) „ზედატანზე ჩასაცმელი ნაქსოვი სათბილოებელი, უღილებო და მაღალსაყელოიანი; იცვამენ თავზე ჩამოცმით“

სუოჯ (ზს., ქს.) „კატაბარდა, სვია“ *მოტ.* < ზან. (ჭან.) მსუჯ-ი/მსიჯ-ი „სურო“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ბარდ, ბქ., ლნტ. ბარდ, ლშხ., ჩოლ. ბარდ „ბარდი; ხვიარა მცენარის ღერო“)

სურილ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/სურირილ (ბქ.)/სრულ (ლშხ., ჩოლ.)/სრულილ (ფარ.) < ქართ. სრულ-ი „ფართო, განიერი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მაშრი, ლნტ. მაშარი)

სურინტ (ჩოლ.)/სუინტრ (უშგ.) *მოტ.* < ქართ. (ლეჩხ., ფშ.) სვინტრ-ი „ტყის ბალახოვანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა; გამოიყენება საჭმელად; ტყის მხალეული“

სწაულა-განათლება (ზს., ლშხ.)/სწაულა-განათლებაჲ (ლნტ.) < ქართ. სწავლა-განათლება „სწავლა და განათლება“

სწორ (ზს.)/წორ (უშგ.) < ქართ. სწორ-ი 1. „საითკენმე პირდაპირ, გაუმრუდებლად, მიხვევ-მოხვევის გარეშე მიმართული, – პირდაპირი“, 2. „გლუვი, უხორკლო, სრიალა (ზედაპირი); ვაკე (ადგილი)“, 3. „სინამდვილის შესაბამისი, – მართალი, ნამდვილი, ჭეშმარიტი...“ (შდრ. ზს. მუგუი/მუგუ/მეგუ; ქს. მეგუი; ზს., ქს. მეწუინ; უშგ. უანი)

სწორდ (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. სწორ-ად 1. „პირდაპირ“, 2. „თანასწორად, თანაბრად...“ (შდრ. ზს., ქს. მეწუინდ)

სწორეთ (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. სწორ-ედ „ნამდვილად, მართლაც, ზუსტად“

სწრაფ (ზს., ქს.)/სტრაფ (ჩოლ.) < ქართ. სწრაფ-ი „ჩქარი, მარდი, მალი“ (შდრ. ბზ. დენაშ/ენას, ლშხ., ჩოლ. დენას; ბზ. ისჰ; ბქ. ხაშდ; ჩოლ. ქუიქუიტ)

სწრაფდ (ზს., ქს.)/სტრაფდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. სწრაფ-ად „ჩქარა, უცბად, მალე“ (შდრ. ბზ. დენაშდ/ენასდ, ლშხ., ჩოლ. დენასდ; ბზ. ისჰდ; ბქ. ხაშდდ)

სხეულ (ლნტ.) < ქართ. სხეულ-ი „ადამიანის (ან ცხოველის) ტანი, ორგანიზმი, მისი გარეგანი ფიზიკური აგებულება“ (შდრ. ბქ. კუარდ[უ]იმ)

სხიუ (ზს., ქს.) < ქართ. სხივ-ი „სინათლის ვიწრო ზოლი, რომელსაც გამოსცემს მანათობელი სხეული, – შუქი“

სგლგინ (ზს., ქს.) < ქართ. სულგუნ-ი „საგანგებოდ დამზადებული ყველი, მოხარშული და გადაზელილი, – სულგუნი“

სგლხგრ (ზს.) 1. „აწრიალებული“, 2. ლხმ. „ზნედაცემული“, 3. „სულელი“ < ოს.-ალან. **sælxær**, id

სგმან/სგმან (ბქ.) < ქართ. სმენა „ყურადღება, ყურის დაგდება, მოსმენა“ (შდრ. ბქ. ჰუნარ)

ტ

ტაბაგ (ზს., ლნტ.)/ტაბაგ (ლშხ., ჩოლ.) 1. „ტაბაკი, მაგიდა, სუფრა“, 2. *რელიგ.* „ტაბლა (სულებისათვის გაშლილი სუფრა)“ < ქართ. ტაბაკ-ი (< ფალ. **tapaḳ** „ტაფა“, შდრ. არაბ. **tabaḳ** „თეფში, სინი“) 1. „იგივეა, რაც ტაბლა, – დაბალი მაგიდა. || ასეთ მაგიდაზე დაწყობილი სასმელ-საჭმელი“, 2. *რელიგ.* „მიცვალებულის სულის მოსახსენებლად მომზადებული სასმელ-საჭმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა, – საკურთხი“

ტაბგობ (ზს.) „დღეობა, ლხინი, ნადიმი (ზედმიწ. – *ტაბაკ-ობ-ა)“ *ეთნ.* < ქართ. ტაბლ-ობ-ა (< ტაბაკ-ი < ფალ. **tapaḳ** „ტაფა“, შდრ. არაბ. **tabaḳ** „თეფში, სინი“) „ტაბლის კურთხევა“

ტაბრობ (ბზ.)/ტაბრობ (უშგ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ *რელიგ.* < ქართ. ტაბრ-ობ-ა-[ი] „ლხინი, წვეულება...“, „ნადიმობა“ (საბა)

ტაიჭ-საღარ (ლშხ.)/ჭაიტსაღარ{ლ} (ჩოლ.) „ზღაპრული ცხენი (ზედმიწ. – *ტაიჭ-საღარი)“ *ზოოლ.* < ქართ. ტაიჭ-ი (< ფალ. **tāčīk** „არაბული ცხენი“) „ბედაური ცხენი, რაში“ და საღარ-ი „შუბლთეთრი ცხენი“

ტალაბ (ბზ., ლნტ., უშგ.)/ტალახ (ლშხ.)/ტოლაბ (ლნტ.)/ტოლახ (ჩოლ.) < ქართ. ტალახ-ი „დასველებული, დამბალი, წყალში აზელილი მიწა...“ (შდრ. ზს., ლშხ. ტყგრ; ჩოლ. დგუაფ; ჩოლ. ზურამ)

ტალარ (ბზ.) „დაღიანი“ < ქართ. ტალ-იან-ი „ლაქ[ებ]იანი“

ტალხ-არ (უშგ., ჩოლ.) < ქართ. ტალახ-იან-ი „ტალახით მოსვრილი; ტალახით დაფარული“ (შდრ. ბზ. ტყგრარ, ბქ. ლგტყრე), იხ. ლგ-ტლაბ-ე

ტალხუნაჲ (ბზ.)/ტალხუნა (ბქ.) *ბოტ.* < ქართ. ტარხუნა (< სპარს. **tarxun**) „სპეციფიკური ცხარე გემოს მქონე სურნელოვანი მწვანილეული“

ტამბაჩაჲ (ბზ.) /ტამბაჩაჲ (ლშხ., ჩოლ.)/ტამბაჩა (უშგ.) < ქართ. ტამბაჩა „იგივეა, რაც დამბაჩა, – ძველებური მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი“ (შდრ. ბზ. ტამბაჩაჲ „მოღრეცილი“)

ტანდიტანდ (ლშხ.) „გარეგნობით, ტანით (ზედმიწ. – *ტან-ად და ტან-ად)“ *ზმნის.* < ქართ. ტან-ად „ტანით, სხეულით, ზომით, მოცულობით“

ტანთელ (ლშხ.)/ტანთელ (ლნტ.) „ჯანმრთელი“ < ქართ. ტან-მრთელ-ი „ჯანმრთელი, ჯანსაღი“

ტანკ (ზს., ქს.) < ქართ. ტანკ-ი (< ინგ. **tank**) „ჯავშნიანი თვითმავალი მუხლუხა მანქანა“

ტანმორჩილ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტან-მორჩილი „მორჩილი ტანისა, – ტანდაბალი“

ტარაბუა (ჩოლ.) „თავგზის აბნევა“ < ქართ. ტარაბუა „ტარაბუა დაესხმის იგივეა, რაც თავბრუ დაესხმის“

ტარასა (ჩოლ.) < ქართ. ტერას-ი/ტერასა (< ფრანგ. **terasse** რუს. ენის მეშვ.) 1. „აივანი, ბანი, ერდო“, 2. „ჰორიზონტალური (ან ოდნავ დაქანებული) შემაღლებები მიწის ზედაპირზე, ერთმანეთის მიყოლებით საფეხურების მსგავსად; გვხვდება ჩვეულებრივ მდინარის ან ზღვის ნაპირებზე“

ტარჳსი (ზს.) *ანთრ.* < ქართ. ტარას-ი (< რუს. **Тарас** < ბერძ. **Ταράσιος**-იდან „მოუსვენარი; დაუღალავი; მეამბოხე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ტარო (ზს., ქს.) < ქართ. ტარო „ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი; აქვს სქელ ღერძზე მჭიდროდ მჯდომარე ყვავილები“ (შდრ. ზს., ლშხ. შდა, ლნტ., ჩოლ. შტა)

ტარტაროზ (ზს., ჩოლ.)/ტანტაროზ (ქს.) „ეშმაკი, კუდიანი“ < ქართ. ტარტაროზ-ი (< ბერძ. **Τάρταρος** „შავეთი“) *ცრუმორწ.* 1. „ეშმაკი, მაცდური, ავი სული“, 2. „ჯოჯოხეთი“ (საბა), იხ. არტაუჯაზ

ტარუეს (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ტარეს (ზს.)/ტაროს (ბზ., ლნტ.)/ტარესუ (ბზ., ჩოლ.)/ტაროს/ტაროც (ლშხ.)/ტარუეც (ჩოლ., უშგ.)/ტარისუ (უშგ.) 1. „ამინდი“, 2. „გუნება, განწყობილება, ჯანმრთელობა; ბედი“ < ძვ. ქართ., გურ., იმერ. ტაროს-ი (< ბერძ. **ταρωεῖς**) „იგივეა, რაც ამინდი“

ტაფჯი (ბზ.)/ტაფა (ბქ.)/ტაფაი (ლშხ., ჩოლ.)/ტაფჯ (ლნტ., უშგ.) < ქართ. ტაფა „საგბოლველი (საბა), – ლითონის ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი (მეტწილად სახელურიანი) ჭურჭელი, რაშიც საჭმელს წვავენ ან ხრაკავენ...“, იხ. კეც²/კჳც

ტაფოულ (ლშხ., ჩოლ.)/ტაფუჴელ (უშგ.) „ერბო-კვერცხი“ < ქართ. (ლეჩხ.) ტაფ-ოულ-ი „ტაფამწვარი (ანუ ერბო-კვერცხი)“

ტამ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ტამ-ი „ხელისგულების ერთმანეთზე ცემა, ჩვეულებრივ, რისამე მოწონების გამოსახატავად, ვისიმე ჰატივსაცემად“ (შდრ. ზს. ჭახუ)

ტაიჭ (ზს.)/დაიჭ (ბზ.)/ჭაიტ (ბქ.)/ტაიჭ (ლშხ., ჩოლ.)/დაიჭ (უშგ.) ზოოლ. < ქართ. ტაიჭ-ი < ფალ. **tāčīk** „არაბული ცხენი“) „კარგი საჯდომი ცხენი, – ბედაური, რაში“, შდრ. ძვ. ქართ. ტაიჭ-ი „აქლემი“

ტაკ (ბქ.)[79] „ჯიბრ-ი“ < ქართ. (ლეჩხ.) ტაკ-ო-ულ-ი „ტაკ-ებ-ა (ჭიდაობა)“

ტალ (ზს., ლნტ.)/ტალ (ლშხ., ჩოლ.) 1. „დამღა“, 2. „ბზარი რკინაზე“, 3. „ლაქა, ნაიარევი სახეზე“[80] < ქართ. ტალ-ი „სახეზე მზისგან (ან სხვა მიზეზით) გაჩენილი ლაქა“

ტან (ზს., ლნტ.)/ტან (ლშხ., ჩოლ.) 1. „ტანი“, 2. „ტანსაცმლის ზედა ნაწილი“ < ქართ. ტან-ი (< ფალ. **tan** „ტანი, სხეული“) „ადამიანის ან ცხოველის სხეული“ (შდრ. ბქ. კუარდ[უ]იმ)

ტარბედნიერ (ბზ.)/ტარბედნიერ (ბქ.) „ტაბუირებული გამოთქმა (ზედმიწ. ‘ნე-ტარ-ბედ-ნ-იერ-ი)“ < ქართ. ნეტარ-ი (< ფალ. **nēttar**) 1. „მეტის-მეტად სასიამოვნო, დიდად სასურველი, – სანეტარო, სანატრელი“, 2. *ძვ.* „სრულიად ბედნიერი, – უბედნიერესი“

ტარიელ (ბქ.) < ქართ. ტარიელ-ი (< ირან. **dariel**-ისაგან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: დარ, დარა – „მეუფე“, „მეფე“, „მფლობელი“ და იელ „გმირი“, „მოყმე“ ანუ ნიშნავს „მეფე გმირს“, „მოყმე მეფეს“, ჯუმბურიძე 1992:143) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ტარ-ულ (ზზ.) < ქართ. უ-ტარ-ო „რასაც ტარი არა აქვს“ (შდრ. ზს. ულდარა)

ტაშდ (ზს.)/**ტაშტ** (ლშხ., ჩოლ.)/**ტაშტ** (ლნტ.)/**ტაშდ** (ლშხ., უშგ., ჩოლ.) < ძვ. ქართ. ტაშტ-ი/ტასტ-ი „გობი, ვარცლი“, ახ. ქართ. „ლითონის მოზრდილი, გაშლილი, მრგვალი (ან მოგრძო) ჭურჭელი (ხელ-პირის დასაბანად, რისამე გასარეცხად...)“

ტაბ (ზს., ლნტ.)/**ტახ** (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ტახ-ი „მამალი ღორი“, „გარეული ღორი“

ტაბდ (ზს.)/**ტაბტ** (ზს., ლნტ.)/**ტახტ** (ზზ., ლნტ., ჩოლ.)/**ტახდ** (ლშხ.)/**თახტ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. ტახტ-ი (< ფალ. **taxt**) „საჯდომელი“, ახ. ქართ. 1. „ხის გრძელი ოთხფეხიანი დგამი, დასაწოლი (ან დასაჯდომი)“, 2. „სავარძელი, რომელშიც მეფე ჯდებოდა რაიმე ოფიციალური მიღების, ზეიმისა და მისთ. დროს...“

ტელეგრამა (ზს., ქს.) < ქართ. ტელეგრამა (< რუს. **телеграмма** < ბერძ. **τῆλε** „შორს“ და **gramma** „ასო“) „დეპეშა“

ტელეგრაფ (ლნტ.) < ქართ. ტელეგრაფ-ი (< ბერძ. **tele** „შორს“ და **graphō** „ვწერ“) „კავშირგაბმულობის დაწესებულება“

ტელეგრეიკა (ზს., ქს.)/**ტერეგრეიკა** (ჩოლ.) < ქართ. ტელეგრეიკა (< რუს.) „ბამბეულის ქურთუკი“

ტელეუიზორ (ზს., ქს.) < ქართ. ტელევიზორ-ი (< რუს.**Телевизор** < **television** სიტყვისაგან ლათინური და ბერძნული სიტყვების **τῆλε** „შორს“ და **visio** „ხედვა“ შეერთებით) „რადიოტექნიკური აპარატი, რომლის ეკრანზე აისახება რადიოთი გადმოცემული გამოსახულება“

ტელეფონ (ზს., ქს.) < ქართ. ტელეფონ-ი (< ბერძ. **τῆλε** „შორს“ და **φωνή** „ხმა; ბგერა“) „ელექტროტექნიკური მოწყობილობა სადენების საშუალებით შორ მანძილზე ბგერის გადასაცემად“

ტენტერ/ტენტეშ (ლშხ., უშგ.) „რეგვენი, სულელი“ < ქართ. (იმერ.) ტენტერა „შტერი, დაბნეული“

ტერ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მტერ-ი 1. „ვინმესთვის ავის მდომი, ავის მოქმედი პირი“, 2. „მოპირდაპირე, მოწინააღმდეგე მხარე (ბრძოლაში)...“, შდრ. ზს., ქს. **ამახტ**

ტერეზია (ზს.)/**ტერეზ** (ბქ.) *ანთრ.* < ქართ. ტერეზია (< ძვ. ბერძ. „სანადიროდ სიარული“; სხვაგვარი ვარაუდით, ძვ. გერმანული სახელია და ნიშნავს „სიყვარულს“ ან „ძლიერს“) „ქალის საკუთარი სახელი“

ტერ-მოყვარე (ზზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მტერ-მოყვარე „მტერი და მოყვარე“

ტეუან (ლშხ., ჩოლ., ლხმ., ჩბხ.)/**ტეუან** (ლნტ.)/**ტაუან/ტაუან** (უშგ.) < ქართ. მტევან-ი „ყვავილედის ერთ-ერთი ტიპი“

ტეურ (ზს., ქს.)/**ტეურ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტევრ-ი „ხშირი, დაბურული ტყე“ (შდრ. ლნტ. **უორჭან**)

ტეხნიკუმ (ზს.) < ქართ. ტეხნიკუმ-ი < ტექნიკუმ-ი (< რუს. **Техникум**) „სამუალო ტექნიკური ან საერთოდ სპეციალური სასწავლებელი“

ტიკ[1] (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ.) ტიკ-ი „თიაქარი“, შდრ. ქართ. ტრიკ-ი „თიაქარი“ (შდრ. ზს. **ბაჯუ**, ლშხ. **ბაჯუ**; ლშხ. ფუმ)

ტიკ[2] (ბზ., ლშხ.) < ქართ. ტიკ-ი „ოთხში (გუდად) ამოღებული, შიგნიდან მოკუპრული ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყის ჩასასხმელად“

ტიკარ (ბზ.)/**ტიკრა** (ბქ.) < ქართ. (რაჭ.) ტიკ-იან-ი „თიაქრიანი“, შდრ.

ქართ. ტრიკ-იან-ი „თიაქრიანი“ (შდრ. ბზ. ბაჯუჯარ; ლშხ. ფუშ)

ტიკჭორაი (ლშხ., ჩოლ.) „მცირე მოცულობის პატარა კუპრი“ < ქართ. ტიკჭორა „პატარა ტიკი“

ტილო (ზს., ქს.) 1. „ჩვარი, კონკი“, 2. „ტილოს ქსოვილი“ < ქართ. ტილო 1. „სელთა და კანაფთა ლარი“ (საბა), „სელის ძაფის ერთგვარი მტკიცე, სწორი ზედაპირის მქონე ქსოვილი“, 2. „რაიმე ქსოვილის ნაჭერი, ჩვარი...“ (შდრ. ზს. სგუჱრ; ბზ. ლაკუცჱნ, ბქ. ლაკუცჱნი, ლშხ. ლაკუცჱნ, ლნტ. ლაკუცჱნ)

ტინტრიკაი (ლშხ., ჩოლ.)/**ტინტრიკ** (ჩოლ.) 1. „შიშველი, ტიტველი, ტიტლიკანა“, 2. „წმინდა, სუფთა წყალი“ < ქართ. (გურ., იმერ.) ტინტრაქა/ე,-ი „შიშველი, ტიტველი, ტიტლიკანა“

ტირიფ (ბზ.) *ბოტ.* < ქართ. ტირიფ-ი „ძეწნა“ (შდრ. ზს., ლხმ. **ჰგჱგნდ**, ბზ. **ჩგჱრნდ**, ლხმ. **ჰგჱგნდრა**, ლშხ. **ჩგჱგნდ**, ლნტ. **ჩიჭგნდ**; ბქ. **გგნწიშ**)

ტირხინა (ზს., ქს.)/**ტირხინჳ** (ბქ.)/**სტრიხინაი** (ჩოლ.) < **ˇტირხინჳ-ი** „საწამლავი“[81] < ქართ. სტრიქნინ-ი (< რუს. **Стрихнин** < ბერძ. **strychnos**-იდან „გულისამრევი თხილი“) „ერთგვარი ალკალოიდი, – უძლიერესი მცენარეული შხამი; იხმარება მცირე დოზებით მედიცინაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში მინდვრის მავნებელთა წინააღმდეგ“

ტიტუჱლ (ჩოლ.) „მოშიშვლებული ადგილი ტყეში“ *გადატ.* < ქართ. ტიტველ-ი „შიშველი“, შდრ. ქართ.მოტიტვლ-ებ-ულ-ი „უმცენარეო (ადგილი)“, შდრ. ზს., ლნტ. **ტიტაგ**, ზს. **ტიტამ**, ლხმ. **ტიტმანი**

ტიტუჱელ (ზს.)/**ტიტრ̆ლ/ტუჱიტელ** (ზს.)/**ტუჱიტუჱლაჳ** (ლნტ.)/**ტუტელაჳ** (ლშხ., ჩოლ.)/**ტიტუჱელაჳ** (ჩოლ.)„შიშველი“ < ქართ. ტიტველ-ი „შიშველი“ (შდრ. ბზ. ღუჱრკლაჳ, ბქ. ღუარკლჳ; ჩოლ. **ტყლაგ**; ჩოლ. **ტინტრიკაი**; უშგ. ღიღუელ)

ტიფ (ზს., ქს.) < ქართ. ტიფ-ი (< ბერძ. **typhos**) „საერთო სახელწოდება სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებებისა, რომლებიც ძლიერი ციებ-ცხელების სახით ვლინდება“

ტკბილ (ზს.) < ქართ. ტკბ-ილ-ი „სასიამოვნოდ შესაგრძნობი, შაქრის, თაფლის გემოს მქონე, – გემრიელი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **მუჭხუი**, ლნტ. **მგჭხუი**)

ტკბილეულ (ზს., ქს.) < ქართ. ტკბილ-ეულ-ი „ტკბილი საჭმელები“

ტკეჩ (ზს., ქს.) „საკერებელი, ბებკი“ < ქართ.(ლეჩხ., იმერ., გურ.) ტკეჩ-ი „თხილის წნელის თხლად ახდილი კანი, რითაც გოდრებს, კალათებსა და გიდელებს წნავენ“, შდრ. ზან. (მეგრ.) ტკეჩ-ი

ტკიც (ზს., ქს.) 1. „სიმართლე; ჭეშმარიტი, ნამდვილი, მართალი“, 2. „მართლის მთქმელი (ზედმიწ. – მ-ტკიც-ე)“ < ქართ. [სი]-მ-ტკიც-ე „შეუდრეკლობა, ურყეობა; სიძლიერე...“

ტკიცად (ბზ.)/**ტკისდ** (ზს.)/**კისდ** (ზს.) „ჭეშმარიტად, ნამდვილად, მართლა (ზედმიწ. – მ-ტკიც-ე-დ)“ *ზმნის.* < ქართ. [სი]-მ-ტკიც-ე „შეუდრეკლობა, ურყეობა; სიძლიერე...“

ტკიცსამჳრთალ (უშგ.) „მართლმსაჯული (ზედმიწ. – ˇმ-ტკიც-ე სა-მართალ-ი)“ < ქართ. [სი]-მ-ტკიც-ე „შეუდრეკლობა, ურყეობა; სიძლიერე...“ და სა-მართ-ალ-ი „სიმართლე...“

ტლაკუ (ლნტ., ჩოლ.) „სქელი და მძიმე, უშნო“ < ქართ. (ლეჩხ.) ტლაკვ-ი „მსხვილი, უშნო ფეხი“

ტლიკუ (ჩოლ.) „მოკლე, სქელი და

მძიმე“ < ქართ. ტლიკვ-ი „სწორი, ურო-კო, უნუჟრო (ხის ტოტი, შტო)“

ტოლ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტოლ-ი „ამხანაგი, მეგობარი, სწორი...“ (შდრ. ბქ. ტოუელ)

ტოლიბაშ (ზს.)/**სტოლუმბაშ**/**სტოლგმბაშ** (ბზ.)/**ტოლბაშ**/**ტოლუბაშ** (ბქ.)/**ტოლიბაშ**/**ტოლგბაშ** (ლშხ.)/**ტოლობაშ**/**ტოლობაშ** (ლნტ.) < ქართ. ტოლუმ-ბაშ-ი (< თურქ. **tulumbaši** „ტიკის უფროსი“) „იგივეა, რაც თამადა“, იხ. **თამადა**

ტოლიბაშობ (ზს.)/**ტოლბაშობ** (ზს., ლნტ.)/**სტოლუმბაშობ** / **ტოლუბაშობ** (ბზ.)/**ტოლბაშობ**/**ტოლუბაშობ** (ბქ.)/**ტოლიბაშობ** (ზს., ლშხ.)/**ტოლუმბაშობ** (ლშხ.)/**ტოლობაშ** (ლნტ.) < ქართ. ტოლუმ-ბაშ-ობ-ა (< თურქ. **tulumbaši** „ტიკის უფროსი; თამადა“) „თამადობა“, იხ. **ლიტოლბაშ**/**ლიტოლბაშ** და **თამადობ[ა]**

ტოლუილ/**ლტოლუილ** (ზს., ქს.) < ქართ. ლტოლვილ-ი „ვინც ილტვოდა, – გაქცეული, გადახვეწილი“ (შდრ. ზს. ნამჩედ)

ტომ (ზს., ქს.) < ქართ. ტომ-ი „მოდგმა, შთამომავლობა; ხალხი...“

ტომარაჲ/**ტუმარაჲ** (ბზ.)/**ტომარაჲ** (ლშხ., ჩოლ.)/**ტომარ** (უშგ.) < ქართ. ტომარა „მტკიცე ქსოვილის (ტილოს...) ჩანთის მსგავსად გამოკერილი სათავსი, რისამე (ფქვილის, მარცვლეულის...) შესანახად ან გადასაზიდად“ (შდრ. ზს. **ძაძრა**; ბზ., ქს. **ზიჯ**)

ტომსიკ (ბქ.)/**ტომსიკაჲ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტომსიკა „პატარა ტომარა, – თოფრა“

ტონა (ზს., ქს.) < ქართ. ტონა (< ფრანგ. **tonne** რუს. ენის მეშვ.) „წონის ერთეული მეტრულ სისტემაში, უდრის 1000 კილოგრამს“

ტორქსინ/**ტორგსინ** (ლშხ.)/**ტურგსინ** (ჩოლ.) < ქართ. ტორგსინ-ი (< რუს. **Торгси́н**) „სსრკ-ს ტერიტორიაზე უცხოელებთან ვაჭრობის გაერთიანებული ასოციაცია“, „ტორგსინის მაღაზიათა ქსელი“

ტოქობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) ტოფ-ობ-ა/ტობ-ობ-ა „ქვირითის ყრა“, შდრ. იმერ. ტოფ-ი

ტრაბახ (ბზ.)/**ტრაბახ** (ქს.) < ქართ. ტრაბახ-ი „თავის ქება, ბაქიაობა, კვეხნა“ (შდრ. ბზ. **ლიფშუდაელ**, ბქ. **ლიფშუდა/ელ**)

ტრაპეზ (ბქ.)/**ტრაბეზ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტრაპეზ-ი (< ბერძ. **trapeza** „მაგიდა“) 1. „საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში; იგივეა, რაც საკურთხეველი“, 2. „მაგიდა, სუფრა“, 3. „ნადიმი, სადილი, წვეულება“

ტრაქტორ (ზს., ქს.)/**ტაქტორ** (ბქ.) < ქართ. ტრაქტორ-ი (< ინგლ. **tractor**, ლათ. **traho**-დან „ვეწევი, მივათრევ“) „თვლებიანი ან მუხლუხებიანი თვითმავალი მანქანა სასოფლო-სამეურნეო ან სხვა მანქანა-იარაღების გასაწევად“

ტრაქტორისტ (ზს., ქს.)/**ტაქტორ** (ბქ.) < ქართ. ტრაქტორისტ-ი „ტრაქტორის წამყვანი“

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ *გოტ.* < ქართ. *მტრედ-ის-ფერ-ა, შდრ. გურ. ტრედა „სოკოა ერთი“ (საბა); „მტრედისფერი საჭმელი სოკო“, გურ. ტრედ-ის-ფეხ-ა-ჲ „ვაზის ჯიშია ერთგვარი“

ტრელა (ბქ., ჩოლ.) „მხიარულება, დროსტარება, მოლხენა“ < ძვ. ქართ. ტრელ-ობ-ა „პირფერობა, მლიქვნელობა“

ტრელ (ჩოლ., უშგ.) „განებივრებული“ < ძვ. ქართ. ტრელ-ი „მლიქვნელი, პირფერი“

ტრიამელ (ჩოლ.) „გაშლილი, შიშვე-

ლი, შეუღობავი“ < ქართ. (იმერ.) ტრიალ-ი „ფართო, გაშლილი ადგილი, – ტრიალი (მინდორი)“, შდრ. ზს., ლნტ. ტიტაგ, ზს. ტიტამ, ლხმ. ტიტმანი

ტრიალ (ლნტ.) < ქართ. ტრიალ-ი „ბრუნვა“ (შდრ. ზს. ლისიპ; ბზ. ლიჭრეჭი)

ტრიკ (ჩოლ.) „ნაბიჭვარი, ბუში“ < ქართ. (იმერ., გურ.) ტრიკ-ი „უკანონო შვილი, – ბუში“

ტროს (ზს., ქს.) < ქართ. ტროს-ი (< ჰოლანდ. tros) „ბაგირი“

ტროცკისტ (ზს., ქს.) < ქართ. ტროცკისტ-ი „ტროცკიზმის მომხრე, მიმდევარი“

ტროცკისტობ (ზს., ქს.) < ქართ. ტროცკისტ-ობ-ა „ტროცკიზმის მიმდევრობა“

ტრუბა (ზს., ქს.)/ტურბა (ზს.) < ქართ. ტრუბა (< რუს. труба) „მილი კვამლსადენი“ (შდრ. ბქ. ლაკუამა, ჩოლ. ლაკუამა)

ტრუსიკ (ზს., ქს.)/ტურსიკ (ბქ., ჩოლ.) „საცვალი, ნიფხავი“ < ქართ. ტრუსიკ-ი (< რუს. Трусики) „ტრუსი“

ტუა (ჩოლ.) „ცურის სიმსივნე (ძროხისა)“ < ქართ. (ლეჩხ., გურ.) ტუა, იმერ. ტუ „ცური, ჯიქანი“

ტუკუ (ჩოლ.) „მოკლე ჯოხი“ < ქართ. (გურ., იმერ., ლეჩხ.) ტუკ-ი „მსხვილი კეტი (ხმარობენ სიმინდის, ლობიოს დასაცეხვად და სხვ.“, შდრ. ზან. (მეგრ.) ტუკ-ი/ტუნკ-ი „კეტი, მსხვილი ჯოხი“

ტუნელ (ზს., ქს.) < ქართ. ტუნელ-ი (< ინგ. tunnel) „გვირაბი“

ტუნელარ (ბქ.) „კლდე, გზა, გვირაბები (ზედმიწ. – ტუნელ-ებ-ი)“ *ტოპ.* < ქართ. ტუნელ-ი (< ინგ. tunnel) „გვირაბი“

ტურბელ (ჩოლ.) „მოუსვენარი, ცელქი, ანცი“ *გადატ.* < ქართ. წურბელა „პარაზიტი, სისხლის მწოველი ჭია“

ტურისტ (ზს., ქს.) < ქართ. ტურისტ-ი (< რუს. Турист) „ტურისტული მოგზაურობის მონაწილე“

ტურსინა/ტურსინა (ჩოლ.) „თოვლიანი, ქარიანი ამინდი; ქარბუქი“ < რუს. торос „ყინულის უზარმაზარი თოში, რომელიც წარმოიქმნება ყინულების შეჯგუფების შედეგად ჩრდილოეთის ზღვებში, ტბებსა და მდინარეებში; ხორგი“

ტუფლ (ზს., ქს.) < ქართ. ტუფლ-ი (< იტალ. pantofola-დან რუს. ენის მეშვ.) „ლანჩიანი ფეხსაცმელი, – უყელო“

ტუალეტ (ბქ.) < ქართ. ტუალეტ-ი (< ფრანგ. toilette) „იგივეა, რაც საპირფარეშო“ (შდრ. ბქ. ქამოულაზ, ბზ. ქამაულაზ)

ტუელ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ტოუელ (ბქ.)/ტოლ (ლშხ., ჩბხ.)/ტელ (ლხმ.) 1. „ტოლი, თანასწორი, ერთი ასაკისა“, 2. „შესაფერისი, საკადრისი“ < ქართ. ტოლ-ი „თანაბარი, თანასწორი“ (შდრ. ბზ. ლაშგდაშ, ბქ. ლაშგდაშ)

ტუერ (უშგ.) < ქართ. მტვერ-ი „წვნიკი და მშრალი სხეულებისაგან შემდგარი ფხვიერი მასა, რომელიც ჰაერში ადვილად იფანტება“ (შდრ. ბზ. ბირლუ; ბქ. ჰისუ)

ტუინ (ზს., ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ტვინ-ი 1. *ანატ.* „ადამიანისა და უმაღლესი ცხოველების ცენტრალური ნერვული სისტემის უმთავრესი ორგანო...“, 2. *გადატ.* „აზროვნების უნარი, – ჭკუა, გონება“ (შდრ. ზს., ქს. თუელ)

ტუინტუ (ჩოლ.) „შეზიზღება“ < ქართ. (მთიულ.) ტუნტე „ფეთხუმი, უსუფთაო“

ტუიტელ (ზს., ქს.)/ტიტრლ (ზს.)/ტიტუელ (ბქ., ლშხ.)/ტუიტუელ (ბქ.)/ტუიტუელა/ტუიტუელა/ტუტელა

(ლნტ.)/ტუტელაი (ჩოლ.) < ქართ. ტიტველ-ი „იგივეა, რაც შიშველი“ (შდრ. ბქ. ლგსინტლაუე; ბქ. ლგტყინგლაუე)

ტუთშ (ლნტ.) < ქართ. ტუშ-ი (< პოლ. **tusz**) „სპეციალურად დამზადებული, შავი ან ფერადი, წყლის გამძლე საღებავი...“

ტულიკუ (ჩოლ.) „მძიმე“ < ქართ. (ქართლ.) ტვლიკ-ი/ტვლივ-ი „დიდი ხორციანი ძვალი“

ტყაბედნიერ (ბზ.)/**ტყაბედნიერ** (ლხმ.) „ყანა, სათიბი; გადასასვლელი (ზედმიწ. – *ტყე-ბედ-ნ-იერ-ი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ტყაბედნირერ-ი „?“

ტყაჩო (ქს.)/**ტყაჩუ** (ლშხ.) „ტყის მცველი“ < ზან. (მეგრ.) ტყაჩუ „მეტყევე, ტყის მცველი; ტყიური“

ტყარ (ზს.)/**ტყარ** (ბზ.) < ზან. (მეგრ.) ტყარ-ი „ტყიური, გარეული“

ტყელ (ლშხ.)/**ბრტყელ** (ლნტ.)/**ტყელ/პტყელ** (ჩოლ.) < ქართ. ბრტყელ-ი „სწორზედაპირიანი და ფართო, გაშლილი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ტაფშუ**, უშგ. **ტაფშუ**; ბზ. **ტგფხელ**; ბქ. **ტყგფრი**)

ტყლაპ (ზს., ლნტ.)/**ტყლაპ** (ლშხ., ჩოლ.) „ტყემლისკვერი“ < ქართ. ტყლაპ-ი „მოდუღებული ტყემლის (ქლიავის...) გამშრალი თხელი ფენა“

ტყლიპ (ლშხ., უშგ., ჩოლ.)/**ტყლიბ** (ლნტ.)/**ტყლაპ** (ჩოლ.) „საქონლის შინაგანი ორგანო“ < ქართ. (იმერ., გურ.) ტყლიპ-ი, შდრ. ქართ. ტყირპ-ი 1. „იგივეა, რაც ელენთა“, 2. „არანორმალური კანქვეშა წითელი პეგმენტაცია სხეულის რომელიმე ნაწილზე“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ნგნირ**, ბქ., ლნტ. **ნგნირ**; ბქ. **ტყაპ**)

ტყუან (ლნტ.)/**ტყუან** (ჩოლ.) „დამნაშავე“ < ქართ. მტყუან-ი „ვინც გამტყუნდა, ვინც მართალი არ არის; მატყუარა“ (შდრ. უშგ. **მერტყუალალ**, უშგ. **ბირტყუილ**; ბქ. **ღეუბარ**)

ტყულაუბარალოდ/**ტყუილუბრალდ** (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. ტყუილუბრალო-დ „ტყუილად, უსაფუძლოდ, უბრალოდ“ (შდრ. ბზ. **ცუიდიმუქუდილდ**, ბქ. **ცუიდიმოცალდ**, ლშხ. **ცუდმოცალდ/ცუდიმუქდუნად**, ლნტ. **ცუიდდიმოცალდ**; ბქ. **ცუიდდიშმეუარ**; ლშხ. **მემქადად**; ლნტ. **მოცალდ**)

ტყუე (ზს., ქს.)/**ტყუეი** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ტყვე „ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე“ (შდრ. უშგ., ჩოლ. **უნბილ**, ჩოლ. **უმბილ**)

ტყუემი ნაფას/**ტყოური ნაფას**/**ტყუმი ნაფას** (ბზ.) „სათიბი (ზედმიწ. – **ტყვი[ს] ნა-ფას-ი**)“ *ტოპ.* < ქართ. ტყვე „ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე“ და ქართ. ფას-ი (< ძვ. ალან. ***fæs/fas**) „ცხვარი“) 1. „ფულადი ღირებულება საქონლისა“, 2. „ღირებულება, მნიშვნელობა...“

ტყუეობ (ლშხ.)/**ტყუეობ** (ჩოლ.) < ქართ. ტყვე-ობ-ა „ტყვედ ჩავარდნა, ტყვედ ყოფნა; ტყვედ წაყვანა, დატყვევება“

ტყუეშ (ბზ.) „საძოვარი (ზედმიწ. – **ტყვ-ის-{ა}**)“ *ტოპ.* < ქართ. ტყვე „ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე“

ტყუი (ზს., ქს.)/**ტყუი** (ლხმ.) 1. „ლითონი“, 2. „ტყვია“ < ქართ. ტყვია 1. „რბილი, მძიმე მოლურჯო-ნაცრისფერი ლითონი“, 2. „თოფის (ტყვიამფრქვევის...) სასროლი ჭურვი, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო ვაზნის კონუსისებურ თავს“

ტგრკგნ (ბქ.) „სირბილი ფეხის ხმის

გამოცემით“ *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) ტირკონ-ი/ტრიკონ-ი „გამალებით სირბილი“, ტირკონ-უ-ა „დრიგინი; გამალებით სირბილი; სირბილი ფეხის ხმის გამოცემით (ხმაურით)“, შდრ., ასევე, მეგრ. დირგონ-ი/თირქონ-ი/თირხონ-ი

ტჳრტჳნ (ბქ.) *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) ტირტინ-ი/ტჳრტინ-ი „რატრატი, ლაქლაქი, ლაყბობა; ჩვილთა ტიტინი“

უ

უბან (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უბა̈ნ (ზს., ლნტ.) < ქართ. უბან-ი „ქალაქის ან სოფლის ერთ-ერთი კუთხე, ნაწილი...“

უბარდ (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. უბრად „დალაპარაკების გარეშე, უმძრახად“ (შდრ. ზს. უშკუშუმ, ბზ. უშკუშიმ/უშკუჳუშგმდ, ბქ. უშკუშუნ, ბქ., ლნტ. უშკუშუნდ, ლშხ., ჩოლ. უშკუბარდ)

უბა̈დუ̈ (ზს., ლნტ.)/უბედ (ლშხ.)/უბადუ̈ (ჩოლ.)/უბად/უბა̈დ (უშგ.) < ქართ. უ-ბედ-ო „უბედური“

უბდა̈ჳა (ბზ.)/უბდაჳა (ბქ., უშგ., ჩოლ.) < ქართ. გა-უ-ბედ-ავ-ი „გამბედაობას მოკლებული, – მოკრძალებული, მორიდებული, მფრთხალი“

უბდობ (ზს.) < ქართ. უ-ბედ-ობ-ა „უიღბლობა; უბედურება“

უბეგრა (ლშხ.) < ქართ. და-უ-ბეგრ-ავ-ი „რაც (ვინც) არ დაუბეგრავთ“

უბედურ (ზს., ქს.)/უბედრ (ლშხ., ჩოლ.)/უბდურ (ლშხ.) < ქართ. უ-ბედ-ურ-ი „ცუდი ბედის მქონე, – ბედშავი, ბედუკუღმართი, უბედო, უიღბლო“ (შდრ. ზს., ლნტ. უბა̈დუ̈, ლშხ. უბედ)

უბედურობ (ზს., ქს.)/უბდრობ (ბქ.)/უბედრობ (ლშხ., ჩოლ.)/უბედურობა/უბედრობა (ჩოლ.)/უბდურობ/უბდრობ (უშგ.) „უბედობა, უბედურება“ < ქართ. უ-ბედ-ურ-ებ-ა „დიდი მწუხარება და უსიამოვნება, მძიმე დარდი; უბედობა, ბედშაობა, უიღბლობა“

უბელ (ლშხ.) < ქართ. უ-ბელ-ო „შეუკაზმავი, უუნაგირო (ცხენი...)“

უბეწო (ლშხ.) < ქართ. უ-ბეწვ-ო „უთმო, უბალნო“

უბრა (ზს.)/უბრაუ̈ა (უშგ.) < ქართ. და-უ-ბარ-ავ-ი „ბარით დაუმუშავებელი მიწა...“

უბრაქუ̈ (ბზ., ჩოლ.) < ქართ. უ-ბარაქ-ო „რასაც ბარაქა, ხვავი არა აქვს, – უნაყოფო“

უ-ბრ-აჲ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-ბრეუ̈-ა (ბქ.) < ქართ. ჩა-უ-ბარ-ებ-ელ-ი „რაც არ ჩაუბარებიათ, რაც ჩაბარებული არ არის“

უბრედ (ბზ.)/უმბროდ (ლშხ., ჩოლ.)/{უ}მბრედ (ჩოლ.) ჩოლ. „მოუქნელი ადამიანი“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ობროდ-ი „უჭკუო, ჩერჩეტი“

უბჭედა (ბქ.)/უბჭა̈და (უშგ.) < ქართ. და-უ-ბეჭდ-ავ-ი „გამოუცემელი, გამოუქვეყნებელი, დაუსტამბავი...“

უგამაგა (ბქ.) < ზან. (მეგრ.) უგამაგა/უგამაგო „გაუგებარი ლაპარაკი, გადატ. უთავბოლო, უაზრო ლაპარაკი“

უგა̈თუ̈ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უგთაუ̈ა (ბქ.)/უგათუ̈ა (ლნტ.) < ქართ. გა-უ-თავებ-ელ-ი „დაუმთავრებელი, დაუსრულებელი, დაუშრეტელი; გაჭიანურებული...“ (შდრ. ზს., ლნტ. ულია; ბზ. უზგრა, ბქ. უზგგრა)

უგაწყობილა (ლშხ., ჩოლ.)/უგაწყობლა (ლნტ., ჩოლ.)/უგაწყობილა (ლნტ.) < ქართ. გა-უ-წყ-ობ-ელ-ი 1. „გაუშლელი (სუფრა...); გაუსწორებელი (ლოგინი)“,

2. „გაუმართავი, მოუწყობელი“, 3. „მოუკაზმავი“...

უგაზდილა (ბზ.)/უგაზდილა (ბქ., ლნტ.)/უგაზდილა (ლშხ., ჩოლ.) 1. „გაუწვრთნელი, გაუზრდელი“, 2. ლნტ. „უწმაწური (საუბარი)“ < ქართ. გა-უ-ზრდ-ელ-ი „ცუდად გაზრდილი, ზრდილობას მოკლებული, – უზრდელი, ბრიყვი...“ (შდრ. ბქ. უწუდა; ბქ. ურაურდა)

უ-გაწწ-ულ-ა (ბზ.)/ უ-გაწწ-ულ-ა (ლშხ., ჩოლ.)/უ-გაწწ-ულ-ა (უშგ.) < ქართ. გა-უ-წბილ-ებ-ელ-ი „ვინც (რაც) არ გაუწბილებიათ ან არ გაწბილებულა“

უ-გურგუნ-ა (ბზ.)/უ-გუირგუინ-ა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უ-გურგუნ-ა (ბქ.)< ქართ. და-უ-გვირგვინ-ებ-ელ-ი „ჯვარდაუწერელი“

უ-გუვარ/უ-გუჳრ (უშგ.) < ქართ. უ-გვარ-ო 1. „მდაბიოთა წრიდან გამოსული“, 2. „ცუდი ჯიშისა, – უჯიშო“

უ-გუჴკურა (ბზ.) /უ-გუჴკურება (ჩოლ.) „მოუვლელი, მზრუნველობა მოკლებული (ზედმიწ. – *გა-უ-კვირვ-ებ-ელ-ი“ < ქართ. და-კვირვ-ებ-ა „ყურადღებით დახედვა, გულდასმით გასინჯვა; გააზრება, დაკვირვებით შესწავლა...“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უზნანა, ბქ., ლნტ. უზნანა)

უ-გცხად-ა (ზს.) < ქართ. გა-მო-უცხად-ებ-ელ-ი „რაც არ გამოუცხადებიათ ან არ გამოცხადებულა“

უ-გგრჯ-ა (ბზ., ჩოლ.) „უშრომელი“ < ქართ. გა-უ-რჯ-ელ-ი „ვისაც გარჯა არ უყვარს, ვინც არ იჯრება, – ზარმაცი, უშრომელი“

უ-გგნჯ-ა/ჩუ-გგნჯ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-განჯუ-ა (ზს., ლნტ.)/უ-გგნჯაუ-ა (ბქ., ჩოლ.)< ქართ. {და}-უ-ჟანგ-ავ-ი (< ჟანგ-ი < სპარს. **žang**) „რაც არ დაჟანგულა“

უდარდელ (ზს., ქს.) < ქართ. უ-დარდელ-ი „უშფოთველი, კმაყოფილი“ (შდრ. ზს. შუჴმიან)

უ-დაუშ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ უ-დუშა-ა (ბქ.)/უ-დაუშ-ა (ლნტ.) „გაუფუჭებელი, წაუხდენელი, დაუზიანებელი“ < ქართ. და-უ-შავ-ებ-ელ-ი „დაუზიანებელი, გაუფუჭებელი...“

უ-დაწყ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-დაწყ-ა (ბქ.)/ უ-დანწყ-ა (ლნტ.) / უ-დაწყუ-ა (ჩოლ.) „დაულაგებელი“ < ქართ. და-უ-წყ-ობ-ელ-ი „დაულაგებელი; მოუწესრიგებელი, არეული“

უ-დაწყ-ალ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ უ-დაწყ-ალ-ა (ბქ.)/უ-დანწყ-ალ-ა (ლნტ.) /უ-დაწყუ-ალ-ა (ჩოლ.) „დაულაგებელი“ *ხლმ.* < ქართ. და-უ-წყ-ობ-ელ-ი „დაულაგებელი; მოუწესრიგებელი, არეული“

უდიერ (ბზ.)/უდიერ (ბქ., ქს.) < ქართ. უდიერ-ი „მოურიდებელი, მოძალადე, უტიფარი“

უდრეკუ (ბქ.) „ჯიუტი“ < ქართ. უდრეკ-ი „მტკიცე, განუხრელი (რამ); ქედუხრელი, უშიშარი“ (შდრ. ზს. დეჯიკ; ბქ. ფაჩრჯიგ; ჩოლ. ჯირგა)

უდროუ (ზს., ლნტ.)/უდროჲ (ლშხ.) „ნაადრევი“ < ქართ. უ-დრო-ო „რაც თავის დროზე არ მოხდა, – არა დროული, დროის, პირობების მიხედვით შეუფერებელი“ (შდრ. ბზ. დრსგიაშ; ბქ. ნადოსდ)

უდროუდ (ზს., ლნტ.) / უდროჲდ (ლშხ.)/უდრრუდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უ-დრო-ო-დ „შეუფერებელ დროს, ცუდ დროს; ვადაზე ადრე“ (შდრ. ბზ. ჰიურდ, ბქ. უჰიუდ, ჩოლ. იურდ)

უდგნდაბური / უდუმბირული/ უდუმბირ/უდუმბირუ (ბზ.)/უდუმბურ/უდუნბურ/უდუმბურ (ბქ., ქს.)/ უდინდაბური (ლშხ.)/უდუმბირ (ლნტ.,

ჩოლ.)/უდაბურ/უდუმბირ (ლნტ.)/უდუნბირუ/უოდომბირ (ჩოლ.)/უდუნბირ (უშგ.) „უდაბური, უღრანი“ < ქართ. უ-დაბ-ურ-ი 1. „დაუსახლებელი, მივარდნილი, მიუვალი ადგილი“, 2. „გაუვალი, დაბურული, უღრანი, უსიერი“ (შდრ. ლნტ. უორჭაუ)

უზადუ (ბზ.)/უზაძ (უშგ.)/უზად (ჩოლ.) < ქართ. უ-ზად-ო „უნაკლო“ (შდრ. ბზ. კილურ; ლშხ. უზაბაკ)

უზანთუნირ (უშგ.) < ქართ. უზალთუნ-ი (< თურქ. **yüzaltın** „ასი ოქრო“) „ორი შაური, ათი კაპიკი“

უზარა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უზარა (ბქ., ლნტ.) „დაუზოგავი, უზოგველი“ < ქართ. [და]-უ-ზარ-ებ-ელ-ი „ვისაც საქმის კეთება არ ეზარება, – საქმის ერთგული, გულმოდგინე, ბეჯითი...“

უზმა (ზს., ქს.) < ქართ. გა-უ-ზომ-ავ-ი „რაც არ გაუზომავთ ან არ გაზომილა“

უზმად (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. უ-ზომ-ო-დ „უსაზღვროდ; მეტის-მეტად, უკიდურესად“

უზნეუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უ-ზნე-ო „ზნედაცემული; უხასიათო, ჭირვეული“ (შდრ. ბზ. ფისრნკაან, ლშხ., ჩოლ. ფისრნკიან)

უთმინა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უთმინა (ბქ.) < ქართ. მო-უ-თმენ-ელ-ი „ვისაც ან რასაც მოთმინება არა აქვს“

უთო (ზს., ქს.)/უოთო (ბზ.)/უნთოუ (ზს.)/უუნთოუ (ბქ.)/ონთოუ (ჩბხ.) < ქართ. უთო (< სპარს. **ut**) „გლუვებირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო თეთრეულისა და ტანისამოსის გასასწორებლად“, შდრ. ზან. (მეგრ.) უნთო (შდრ. ბქ. ლაქურსტინა)

უთუთქუა (ჩოლ.) „გამოუმცხვარი (ზედმიწ. – *უ-თუთქ-ავ-ი)“ < ქართ. თუთქ-ვ-ა „წვა, დაგვა“

უთუი (ჩოლ.) < ქართ. უ-თუ-ო „აუცილებელი, უეჭველი, უსათუო“

უიმედ (ზს., ჩოლ.)/უიმაძა (ბზ.)/უიმადა (უშგ.) < ქართ. უ-იმედ-ო „იმედდაკარგული, სასოწარკვეთილი; უნუგეშო“ (შდრ. ზს., ქს. უმკახა/უმკახუ)

უირაღა (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უ-იარაღ-ო „შეუიარაღებელი“

უიფხანაგუ (უშგ.) < ქართ. უ-ამხანაგ-ო (< ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak**) „უმეგობრო“

უიყრა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ა-უ-ყრ-ელ-ი „რაც (ან ვინც) აყრილი არაა, – აუშლელი, აუნგრეველი“

უკადრის (ზს., ქს.) < ქართ. უკადრის-ი „ამპარტავანი“ (შდრ. ზს., ლშხ. უშგდა, ლნტ. უშკედა)

უკალონო (ბქ.)/უკალონ (უშგ.) „უსამართლო“ < ქართ. უ-კანონ-ო (< კანონ-ი < ბერძ. **kanōn**) „რაც კანონიერი არ არის..., – არაკანონიერი“ (შდრ. ბზ. უღაძ/ულღაძუ, ბქ. უღადუ; ზს., ქს. უკაფ)

უკანასკნელ (ზს., ქს.)/უკანასკუნელ (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. უკანასკნელ-ი „ბოლო; ბოლოდროინდელი; საბოლოო...“ (შდრ. ბქ. ღუშგმეპილიშ)

უკანუაი (ლშხ.) „თხელქერქიანი გოგრა“ *ბოტ.* < ქართ. უ-კან-ო „კანის, ქერქის გარეშე“

უკზმა (ბზ.) < ქართ. შე-უ-კაზმ-ავ-ი „უსანელებლო“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. უშდბგნა, ლნტ. უშტბგნა)

უკლაუა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უკალაუა (ლნტ., ჩოლ.) „გაულეწავი (*[გა]-უ-კალო-ებ-ელ-ი)“ < ქართ. კალო (< სომხ. **ḳal**) „საგანგებოდ მოსუფთავებული და დატკეპნილი სწორი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავენ“

უკლებდ (ქს.) *ზმნის.* < ქართ. [და]-უ-

კლ-ებ-ლ-ად/უ-კლ-ებ-ლ-ივ „მთლიანად, სრულად“ (შდრ. ბზ., უკლინად, ბქ. უკლინდ)

უკმაკურ (ლშხ.) „უშნო, უხეირო“ < ქართ. (იმერ., გურ.) უ-კმაკ-ურ-ი „უწმაწური, უხეირო“ (შდრ. ზან. (მეგრ.) უკმაკურ-ი „უკუღმართი; უცნაური; უხეირო“)

უკმაყოფლება (ზს., ქს.)/უკმაყოფლობ/უკმაყოფილობა (ჩოლ.) < ქართ. უ-კმაყოფილ-ებ-ა „უკმაყოფილოდ ყოფნა, – გულნაკლულობა; უსიამოვნება“ (შდრ. ჩოლ. არაუ)

უკმეხ (ბქ., ჩოლ.) < ქართ. უ-კმეხ-ი „მოურიდებელი და უხეში (ვინმე); მკვახე“

უკუდაუებ (ლშხ.) *რელიგ.* < ქართ. უ-კვდავ-ებ-ა „უკვდავად ყოფნა, მარად არსებობა, მარადიულობა“

უკუდაბიშ {ლიც} (ბზ.)/უკდებიშ/უკუდებაშ/უკუდაუებიშ/უკუდებაშ {ლიც} (ბქ.)/უკუდემი ნიც/წყარო (ლშხ.)/უკუდაობაი/უკუდაუება{ი} /უკუდებიაი/უკუდაებიაი {ლიც}/წყარო (ლნტ.) *რელიგ.* < ქართ. უ-კვდ-ავ-ებ-ის {წყალი}/უ-კვდ-ავ-ებ-ის წყარო „ისეთი წყარო (წყალი, ხე, ყურძენი...), რომელიც ხალხური თქმულებების, ზღაპრების მიხედვით, უკვდავებას ანიჭებს ადამიანს, მკვდარს გააცოცხლებს“, იხ. მოკუდაბიშ ლიც

უკუცირ (ზს., ჩოლ.)/უკცუირ/ უკუცირ (ბქ.)/უკუცირ/უკცუირ (ჩოლ.) „მიტოვებული, უპატრონო სახლი“ < ქართ. უკაცურ-ი „იგივეა, რაც უკაცრიელი“, იხ. უიკაცრიელ

უკცრაუდ (ზს.)/უკაცრაუდ (ბქ.)/ უკუცრაუდ (უშგ.)/უკცრაუდ (ლშხ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უ-კაცრავ-ად „ჩართული სიტყვა, გამოხატავს ბოდიშის მოხდას“

ულაგაუა (ქს.) < ქართ. და-უ-ლაგ-ებელ-ი „დაუწყობელი, არეული, მოუწესრიგებელი...“

ულახაუა (ლნტ.) < ქართ. გა-უ-ლახავ-ი „უცემი“ (შდრ. ბზ. უყფგნა; ბქ. უტყცანა, ლშხ., ჩოლ. უტყცანა)

ულაყ (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. ულაყ-ი (< თურქ. **ulaki** „შიკრიკი“), „მამალი (ცხენი, ვირი და მისთ.)“, იხ. აულაყ

ულგამუ (ბზ.)/ულგამუ/უგამუ (ბქ., ლნტ.)/უნგაშ (ბქ.)/ულგემ (ლშხ.)/ულგამ (ჩოლ.)/უგაშ (უშგ.) „უგემური, უგემოვნო“ < *უ-გემ-უ < ქართ. უ-გემ-ო „იგივეა, რაც უგემოვნო“ (შდრ. ბქ. ბრუყუ)

ულიშნო (ლნტ.) < ქართ. უ-ნიშნ-ო „რასაც რაიმე ნიშანი არა აქვს; ნიშნის გარეშე“

ულმაშ (ზს., ლნტ.)/ულმლაშ (ბქ.)/ურმაშ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ულვაშ-ი „ტუჩს ზემოთ ამოსული თმა მამაკაცის სახეზე“, შდრ. ქართლ. ულმაშ-ი

ულტებუ (ზს.)/ ულტეხ (ბქ., ჩოლ.)/ უტეხ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უ-ტეხ-ი „უღრანი, გაუვალი ტყე“ (შდრ. ლნტ. უორჭაუ)

ულუუფ (ბზ., ლშხ., უშგ.)/უულუუფ (უშგ.) < ქართ. ულუფა „კერძი, წილი (საზრდოსი, საკვებისა)“, შდრ. უშგ. ფან

ულუუფობ (ჩოლ.) *ზედმიწ.* – *ულუფობ-ა < ქართ. ულუფა „კერძი, წილი (საზრდოსი, საკვებისა)“

ულხინუდ (უშგ.)/ულხინდ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უ-ლხინ-ო-დ „ლხინის გარეშე“

უმარცხდ (ბქ., ჩოლ.) „მშვიდობით“ *ზმნის.* < ქართ. და-უ-მარცხ-ებ-ლ-ად „დამარცხების გარეშე“

უმარჯუ (ზს., ქს.)/უმარჯუ (ბქ.) „მოუხერხებელი, მოურგებელი“ < ქართ. *უ-მარჯვ-ო „არა მარჯვე, მოუხერხებელი“

უმარჯუნდ (ზს., ქს.)/უმარჯუნდ (ბქ.) „მოუხერხებლად; შეუძლოდ“ *ზმნის.* < ქართ. უ-მარჯვ-ო-დ „არა მარჯვედ, მოუხერხებლად“

უმაღუირ (უშგ.) < ქართ. უმადურ-ი „ვინც ვისიმე მადლს, სიკეთეს არ აფასებს, ვინც ვისიმე (რისამე) მადლიერი არ არის; უკმაყოფილო, მომდურავი; დაუნახავი“

უმაღლეს (ზს., ლნტ.)/უმაღლეს (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უმაღლეს-ი „რაიმე ღირსებით მეტი, უმეტესი; სხვასთან შედარებით მაღლა მყოფი...“

უმაწუ (ბზ.) / უმაწ (ლშხ.) / უმანი (ლნტ., ჩოლ.)/უმანი (ჩოლ.)/უმაწ (უშგ.) „ბოროტი, მავნებელი, საზარელი, უკუღმართი (ზედმიწ. – *'უ-მავნ-ო)“ < ქართ. მავნე „იგივეა, რაც მავნებელი“, *გადატ.* „ავი სული, ეშმაკი“ (შდრ. ზს., ლშხ. ლემსისგ, ლნტ., ჩოლ. ლემსისკ)

უმაურინ (ბზ.)/უმაურინ (ბქ.)/უმაურინ (ჩოლ.) „უვნებელი; უწყინარი; ვისაც ვნების მიყენება არ შეუძლია (ზედმიწ. – *'უ-მავნ-ო)“ < ქართ. მავნე „იგივეა, რაც მავნებელი“, *გადატ.* „ავი სული, ეშმაკი“

უმბილ/უმბულ (ზს., ქს.)/უნბილ (ზს., ჩოლ., უშგ.) < ქართ. უ-ნებ-ლ-ი-ე „ვისიმე ვნებაზე დამოუკიდებელი, – უნებური“

უმბილდ/უმბულდ (ზს., ქს.)/უნბილდ (ზს., ჩოლ.)/უმბულიდ (ლხმ.) „შემთხვევით, ბრმად“ *ზმნის.* < ქართ. უ-ნებ-ლ-ი-ე-თ „ვისიმე ვნებაზე დამოუკიდებლად, – უნებურად“ (შდრ. ბქ. უმბლპრ)

უ-მერდინ-ა/უ-მერდიმ-ა (ლშხ.) „გაუცრელი (ზედმიწ. – *'გა-უ-მერდინ-ებ-ელ-ი)“ < ქართ. (გურ., იმერ.) მერდინ-ი „წმინდა საცერი, – სამტკიცი“ (შდრ. ბქ. [ქა] უცხრილა)

უმზაზ (ზს., ლნტ.)/უმზაზ (ლშხ.)/უმზაზა (უშგ.)/უმზეზა (ჩოლ.) < ქართ. უ-მიზეზ-ო „რასაც მიზეზი არა აქვს, რაც არაფრით არ არის გამართლებული“ (შდრ. ლშხ. უზაბაკ)

უმზაზდ (ზს., ლნტ.)/უმზაზუნდ (ბზ.)/უმზაზდ (ქს.)/უმზაზად (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. უ-მიზეზ-ო-დ „მიზეზის გარეშე“ (შდრ. ლშხ. უზაბაკდ)

უმორდებლად (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მო-უ-რიდ-ებ-ლ-ად „უშიშრად, გაბედულად“ (შდრ. ბქ. ულშგურიად)

უმორუა/უმორაუა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უმორუა (ბქ.)/უმორაუა (ლნტ.) „გაუსამართლებელი, გაურჩეველი (ზედმიწ. – [გა]-უ-მოურავ-ებ-ელ-ი)“ < ძვ. ქართ. მოურავ-ი 1. „მებატონის, მემამულის ქონების გამგებელი“, 2. *ისტ.* „რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე“

უმტკიცაუა (ზს., ქს.)/უმტკიცა (ლშხ., ჩოლ.)/უმტკცა (ჩოლ.) < ქართ. და-უ-მტკიც-ებ-ელ-ი „დაუსაბუთებელი, დაუდასტურებელი“

უმშაია (ზს., ქს.)/უმშაუა (ბქ.)/უმშია (ჩოლ.) 1. „უმუშევარი, დაუსაქმებელი“, 2. „დაუმუშავებელი“ < ქართ. და-უ-მუშ-ავ-ებ-ელ-ი „რაც არ დაუმუშავებიათ ან არ დამუშავებულა...“

უმწუმა (ბზ., ჩოლ.)/უმოწმანა (ბქ.)/უმწმოუა (უშგ.) „დაუსაბუთებელი“ < ქართ. შე-უ-მოწმ-ებ-ელ-ი „გაუსინჯავი; შეუსწავლელი, გაუცნობელი“

უმწყერა (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. და-უ-მეწყრ-ავ-ი „რაც არ დაუმეწყრავს, რაც არ დამეწყრილა“

უმენკა (უშგ.) < ქართ. უ-მანკ-ო „ვისაც მანკი არა აქვს, უბიწო, უზადო, უმწიკვლო“

უმრცხა (ზს., ჩოლ.) < ქართ. და-უ-მარცხ-ებ-ელ-ი „დაუძლეველი, უძლეველი“

უნას (ლშხ., ჩოლ.) „ავი“ < ძვ. ქართ., რაჭ., იმერ., ხევს. უნას-ი *გადატ.* „ავი, ბოროტი, გესლიანი“

უნაგირა (ლნტ.) „სათიბი (ზედმიწ. – უნაგირა)“ *ტოპ.* < ქართ. უნაგირა (< სპარს. **hunagīr**) „ორად ამოწვერილი მთა, ქედი, რომელიც უნაგირს მოგვაგონებს“

უნაბუელ (ლნტ.)/უნხუელ (ლშხ., ჩოლ.) „გამორჩეული, ნაფერებ-ნალოლიავები“ < ქართ. უნახველ-ი „იგივეა, რაც უნახავი; უცნობი, უცხო; არაჩვეულებრივი, გაუგონარი, არნახული...“

უნარეუ (ლშხ., ჩოლ.)/უნაუარ/უნარეუ (ჩოლ.) „ავი, ეშმაკი, ცბიერი, ფიცხი, მავნე, უცნაური“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) უ-ნაირ-ო „უნირო“, ე. ი. „უმსგავსო“, „უშნო“, ლეჩხ. უნაურ-ი „ეშმაკი, მაცდური“

უ-ნგრიშ-ა (ბზ., ჩოლ.)/უ-ნგარშ-ა (ბქ.) < ქართ. და-უ-ანგარიშ-ებ-ელ-ი (< ანგარიშ-ი < ფალ. *(h)angārišn „გამოანგარიშება, გამოთვლა“) „რაც დაანგარიშებული არ არის“

უ-ნგრიშ-ად (ბზ., ჩოლ.)/უ-ნგარშ-ად (ბქ.)/უ-ნგრიშ-უ-დ (უშგ.) < ქართ. და-უ-ანგარიშ-ებ-ელ-ი (< ანგარიშ-ი < ფალ. *(h)angārišn „გამოანგარიშება, გამოთვლა“) „რაც დაანგარიშებული არ არის“

უნდომ (ჩოლ.) < ქართ. უ-ნდომ-ი „უნდომელი, არასასურველი“

უნივერსიტეტ (ზს., ქს.) < ქართ. უნივერსიტეტ-ი (< ლათ. **universitas** „კორპორაცია“) „უმაღლესი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებს მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს“

უნშინა (ბქ., ჩოლ.)/უნშანა (უშგ.)/უნშანა (ჩოლ.) < ქართ. და-უ-ნიშნ-ავ-ი „ვინც, რაც არ დაუნიშნავთ ან არ დანიშნულა“

უპატრონო (ზს., ქს.) < ქართ. უ-პატრონ-ო (< პატრონ-ი < ლათ. **patronus**) „ვისაც პატრონი არა ჰყავს, – ტიალი, ოხერ-ტიალი“

უპირ (უშგ.) < ქართ. უ-პირ-ო 1. „ვისაც ან რასაც პირი არა აქვს“, 2. *გადატ.* „ვინც პირობას არ ასრულებს, – პირის გამტეხი, გაუტანელი“

უპირიწყულო (ჩოლ.) „ტუტუცი“ < ქართ. უ-პირ-ის-წყლ-ო „ვისაც პირის-წყალი არა აქვს, – უნამუსო, უსინდისო“

უ-პრისდ-ა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უ-პრისტ-ა (ლნტ., ჩოლ.) „მოუნათლავი“ < ბერძ. **προίστημι** „მეთაუროება, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...“, შდრ., ასევე, გერმ. **prister** „მღვდელი; ქურუმი“ და ინგლ. **priest** 1. „მღვდელი, ეკლესიის მსახური“, 2. „ქურუმი“

უპტიუ (ბზ.)/უპტიუა (ჩოლ.) < ქართ. უ-პატი-ო „პატივის არმქონე, პატივახდილი, პატივაყრილი“ (შდრ. უშგ. უშგურჯლა)

უპტიუობ (ბზ.) „უპატივცემულობა“ < ქართ. უ-პატივ-ობ-ა „იგივეა, რაც უპატიობა, – პატივახდილობა, პატივაყრილობა“ (შდრ. უშგ. უშგურჯლობ)

ურ (ბზ., ლშხ.) < ქართ. ურო „დიდი ჩაქუჩი“ (შდრ. ბქ., ჩოლ. წირ)

ურა (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ურა (< რუს. **Ура**) „ვაშა“

ურჯდნიკ/ურჲჯდნიკ (ბქ.) < ქართ. ურიადნიკ-ი (< რუს. **Урядник**) 1. „რუსეთის მეფის არმიის კაზაკთა ჯარის უნტერ-ოფიცერი“, 2. „სამაზრო პოლიციის დაბალი ჩინი“

ურთხელ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. ურთხელ-ი „წიწვოვანი ხე“ (შდრ. ზს., ლნტ. შჲდრა)

ურიბ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ლეჩაქი,

თავსაფარი“ < ქართ. (რაჭ.) ურიბ-ი „ირიბად გადაკეცილი თავსახვევი (მანდილი, ბაღდადი)“, შდრ. ბზ. ლაკუცაწ, ბქ. ლაკუცაწი

ურიბაჲწ (ბზ.) < ქართ. (რაჭ.) ურიბ-იან-ი „მანდილიანი, ბაღდადიანი“

ურიგ (ჩოლ.) < ქართ. უ-რიგ-ო „ცუდი, უხეირო, უწესო“

ურიგუა (ბზ.)/ურგაუა (ბქ.) < ქართ. მო-უ-გვარ-ებ-ელ-ი „მოუწესრიგებელი“

ურიგუდ (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. უ-რიგ-ო-დ 1. „რიგის გარეშე“, 2. „ცუდად, უხეიროდ, უწესოდ“

ურიდაბა / ურიდალა / ურიდაბალა (უშგ.) „უსაფართხო“ < ქართ. მო-უ-რიდ-ებ-ელ-ი „პირდაპირი, უმიშარი, პირუთვნელი, ობიექტური...“

ურიღუა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ურიღუა (ბქ., ლნტ.) „დაუნგრეველი“ < ქართ. {და}-უ-რღვ-ევ-{ელ}-ი „დაუშლელი, დაუნგრეველი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უხუჩრა, ბქ., ლნტ. უხუჩრა)

ურჩხულ (ზს., ქს.)/უურჩხულ (ზს.) < ქართ. ურჩხულ-ი „ზღაპრული საზარელი ცხოველი.... – გველეშაპი“

ურწყულ (ზს., ქს.)/უურწყულ (ბქ.)/ურწყუულ (ზს., ლნტ.) „უწმინდური, ბინძური“ < ძვ. ქართ. უ-რწყ-ო „წმინდა, წყალშეურევნელი“, „ფარული“, უ-რწყ-ულ-ი „უწყლო“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უიდროობა)

ურწყუ (ზს., ლნტ., ჩოლ.) „ადამიანი, რომელიც მარხულობს მგლოვიარობის გამო“ < ძვ. ქართ. უ-რწყ-ო „წმინდა, წყალშეურევნელი“, უ-რწყ-ულ-ი „უწყლო“

ურჯულ (ბზ., ლნტ., უშგ.)/უურჯულ (ბქ.)/ურჯუილ (უშგ.)/უჯურილ (ლხმ.) < ქართ. უ-რჯულ-ო „უღმერთო, ურწმუნო“ (შდრ. უშგ. ღერთურ)

უსაშუელდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უ-საშველ-ო-დ „საშველის უქონლად“

უსდილად (ბზ.) *ზმნის.* < ქართ. უ-სადილ-ო-დ „სადილის უჭმელად“

უსკეთა (ზს., ჩოლ.) 1. ზს., ჩოლ. „მოუგვარებელი (ზედმიწ. – *[გა]-უ-სიკეთ-ებ-ელ-ი)“, 2. ჩოლ. „უქნარა, ზარმაცი“, 3. ჩოლ. „დაუმაკებელი“ < ქართ. სიკეთ-ე „კეთილი, კარგი, სასიკეთო რამ“

უსმართულ (ზს.) / უსმართუილ (ბზ.)/უსმართულ (ბქ., ჩოლ.)/უსმართუალ (უშგ.)/უსმართუილ (ჩოლ.) < ქართ. უ-სა-მართლ-ო „უკანონო“ (შდრ. ბზ. ღუჯარ, ჩოლ. ღუჯარ, ბქ. ღუჯარ)

უსმართულ-სამგრთალ (ბქ.) < ქართ. უ-სა-მართლ-ო სა-მართალ-ი „უკანონო სამართალი“

უსმინა (ზს., ქს.) „ვისაც არაფერი ესმის (ზედმიწ. – *უ-სმინ-ო)“ < ქართ. შე-უ-სმენ-ელ-ი „შეუგნებელი, გაუგებელი; გაუგონარი, ჯიუტი“

უსმგრთლა (ბზ.)/უსამართლა (ბქ.) „დაუსჯელი“ < ქართ. გა-უ-სამართლ-ებ-ელ-ი „დაუსჯელი“

უსრულა (ზს., ჩოლ.) < ქართ. და-უ-სრულ-ებ-ელ-ი „დაუმთავრებელი, დაუბოლოებელი; გაუთავებელი“ (შდრ. ზს., ლნტ. [ქა] ულია)

უსურმან (ზს.)/უსურმან (ბზ., ლშხ., ჩოლ.) 1. „ურჯულო; დაუნდობელი; ბოროტი“, 2. „ჩრდილო ოსეთი“; *გადატ.* „გაუტანელი, დაუნდობელი, ურჯულო“ < ქართ. მუსულმან-ი „მაჰმადიანი“ (შდრ. უშგ. ღერთურ)

უსუსურ (ზს., ქს.)/უსუსურ (უშგ.) < ქართ. უსუსურ-ი „სუსტი, უღონო; უმწეო“ (შდრ. ბზ. ბაბნაგ, ლშხ., ლხმ. ბაბგან, ლნტ. ბაბგან; ზს. ცონარ; ბქ. უინგბარილ)

უსუფთაუა (ზს., ჩოლ.) < ქართ. და-უ-სუფთ-ავ-ებ-ელ-ი „გაუსუფთავებე-

ლი, დაუწმენდელი, დაუგველი“ (შდრ. ზს. {ქა} უშდგნა)

უსუახუ (ზს.)/უსახუ (ზს., ჩოლ.) „უცნაური, თავისებური; ცუდი ზნის“ < ძვ. ქართ. უ-სახ-ურ-ი „ურჩი, თავნებია...“, ახ. ქართ. უ-სახ-ო „უპრინციპო...“ (შდრ. ბზ., ლნტ. საჯაჲ, ლშხ., ჩოლ. საჯაყ; ბქ. სალჯახუ)

უსუინდიშ/უსინდისუ (ბზ., ჩოლ.)/უსუინდის (ბქ., უშგ.) < ქართ. უ-სინდის-ო „უპატიოსნო“ (შდრ. ბზ., ქს. ბაგურ, ბზ. ბაგუჱრ, ბქ. ბადუჱრ, ლნტ. ბაგურა)

უსფაურა (უშგ.) < ქართ. უ-საფუარ-ო „დამჟაველი პურის ცომის გარეშე, – უხაშო“

უ-სწორ-აუ-ა (ზს., ქს.) < ქართ. გა-უსწორ-ებ-ელ-ი „დაუწყობელი, გაუშლელ-ი...“ (შდრ. ბზ. უხწურაუა)

უ-სხათ-ა (ზს., ჩოლ.) „მოუხერხებელი (საქმე)“ < ქართ. მო-უ-ხასიათ-ებელ-ი „მოუსურვებელი, მოუწადინებელი“

უსხუ-ობ (ბქ., ჩოლ.) „უსხების დაკვლის დღე (ზედმიწ. – *უსხ-ობ-ა)“ *რელიგ.* < ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი „დასაკლავად გასუქებული საქონელი“, იხ. უისხუობ

უსხუ-ობ-იერ (ბქ., ლშხ.) „უსხების დაკვლის დღე (ზედმიწ. – *უსხ-ობ-ობ-ა)“ *რელიგ.* < ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი „დასაკლავად გასუქებული საქონელი“, იხ. უისხუობ

უსგრგებ{უ] (ზს.)/უუსგრგებ (ბქ.)/უსგრგებ/უსგრგებლა (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/უსგრგაბოლ/უსგრგებილ (უშგ.) „გამოუსადეგარი“ < ქართ. უ-სა-რგ-ებ-ლ-ო „გამოუსადეგარი, ურგები“ (შდრ. ზს., ქს. უმკახა/უმკახ{უ]; ლშხ. უყენა)

უსგრგებუდ (ზს.)/უუსგრგებდ (ბქ.)/უსგრგებდ/უსგრგებლად (ბქ., ლშხ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უ-სა-რგ-ებ-ლ-ო-დ „გამოუყენებლად, ფუჭად“ (შდრ. ბზ. ცუიდიმუქუდილდ, ბქ. ცუიდიმოცალდ, ლშხ. ცუდმოცალდ/ცუდიმუქდუნად, ლნტ. ცუიდდიმოცალდ; ბქ. მეუარიშ კაფდ)

უტკეპნაუა (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. და-უ-ტკეპნ-ავ-ი „რაც არ დატკეპნილა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უკრმბა, ბქ. უკიმბა; ბზ. უსკრიმბა, ბქ. უსკირბა)

უტკუნ/უტკუნი (ქს.) „ბნელი, უკუნი, სიბნელე“ < ძვ. ქართ. უ-კუნ-ი „მარადისი, მუდმივი, საუკუნე“ (შდრ. ბზ. მუწკუნტირ, ბქ. მუწკუჱრტ)

უტკცა (ზს., ჩოლ.)/უმტკიცაუა (ბქ., ჩოლ.) „დაუსაბუთებელი“ < ქართ. {და}-უ-მ-ტკიც-ებ-ელ-ი „დაუსაბუთებელი, დაუდასტურებელი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. {ჩუ] უსკრბა, ბქ., ლნტ. {ჩუ] უსკიბა)

უუთოუა (ბზ., ჩოლ.)/უუნთოუა (ბქ.) < ქართ. გა-უ-უთო-ებ-ელ-ი (< უთო < სპარს. **ut**) „რაც არ გაუუთოებიათ ან არ გაუთოებულა“

უფასოდ (ზს., ქს.)/უფასუდ/უფასუდ (უშგ.) *ზმნის.* < ქართ. უ-ფას-ო-დ „ფასის გადაუხდელად, უსასყიდლოდ“

უფალ (ზს., ლნტ.)/უფალ (ლშხ., ჩოლ.) *რელიგ.* < ქართ. უფალ-ი 1. *რელიგ.* „იგივეა, რაც ღმერთი“, 2. ძვ. „ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“ (შდრ. ზს. ფუსდ, ბზ. ფუს, ზს., ლშხ., ჩოლ. ფუს{უ]ნ, ლნტ. ფუსტ)

უფირუანა (ბქ.)/უფერუანა (ჩოლ.) „შეუღებავი“ < ქართ. შე-უ-ფერ-ავ-ი „რაც არ შეუფერავთ, შეფერვის გარეშე დარჩენილი, – შეუღებავი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. უღფა, ლნტ. უღაფა)

უფლიშ (ზს.) „საუფლო დღესასწაული, რომელიც იმართება აღდგომის მესამე კვირას (ზედმიწ. – უფლ-ის-{ა])“

რელიგ. < ქართ. უფალ-ი 1. *რელიგ.* „იგივეა, რაც ღმერთი“, 2. *ძვ.* „ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“

უფლიშერ/უფლიშიერ (ბქ.) „საუფლო დღესასწაული (ზედმიწ. – *უფლის-ობ-ა)“ *რელიგ.* < ქართ. უფალ-ი 1. *რელიგ.* „იგივეა, რაც ღმერთი“, 2. *ძვ.* „ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“ (შდრ., ასევე, ბქ. უფლი ლადელ)

უფლობ (უშგ.) < ქართ. უფლ-ებ-ა „რაიმე მოქმედების, რისამე კეთების, განხორციელების შესაძლებლობა, რაც განსაზღვრული და განმტკიცებულია სახელმწიფო კანონითა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში დამკვიდრებული მორალით“, იხ. ნაბ

უფსაუა (უშგ.) < ქართ. უ-ფას-ო „უსასყიდლო“

უ-ფს-აუ-ა (გზ.)/უ-ფს-ენ-ა (ზს.) < ქართ. და-უ-ფას-ებ-ელ-ი „შეუფასებელი; დაუფასებელი; ფასდაუდებელი“ (შდრ. ზს. ულგუენა)

უ-ფჭ-აუ-ა (გზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-ფუჭ-აუ-ა (ლნტ.) < ქართ. [გა]-უ-ფუჭ-ებ-ელ-ი „წაუხდენელი, დაუზიანებელი; გაურყვნელი...“

უ-ფხ-ა-ი-ა (ჩოლ.) < ქართ. უ-ფხ-ო „რასაც ფხა არა აქვს“

უ-ღირს (ზს., ქს.) < ქართ. უ-ღირს-ი 1. „ვინც (რაც) რისამე ღირსი არ არის“, 2. „ღირსებას მოკლებული, – უმნიშვნელო“, 3. „უპატიოსნო, უზნეო...“ (შდრ. გზ. ფისირნკაან, ლშხ., ჩოლ. ფისირნკიან)

უყდა (გზ., ლშხ., ჩოლ.)/უყიდა (ბქ., ლნტ.) 1. „გაუყიდავი“, 2. „შეუსყიდველი“ < ქართ. [გა]-უ-ყიდ-ავ-ი „რაც არ გაუყიდიათ ან არ გაყიდულა“ (შდრ. ბქ. უჰუდა)

უმალშინა (გზ.)/უმლაშენა (ბქ.)/უმლაშინა (ჩოლ.) < ქართ. გა-უ-შალაშინ-ებ-ელ-ი „გაურანდავი“

უშბაუა (უშგ.) < ქართ. და-უ-შაბ-ავ-ი „შაბით დაუმუშავებელი“

უშმაშ (ჩოლ.) „უხეში (ზედმიწ. – *უშმ-ის)“ < ქართ. (ქართლ., კახ.) უშმ-ი „ცუდი, საზარელი“

უშნაუა (ზს., ჩოლ.) < ქართ. უ-შენ-ი „უშენებელი; დაუსახლებელი, უკაცრიელი; დაუმუშავებელი; გაუშენებელი“

უ-შქარ-ა (ზს., ქს.) „დაუტკბობელი“ < ქართ. და-უ-შაქრ-ავ-ი (< შაქარ-ი < სპარს. **šakar**, შდრ. სკრ. **šarkara**) „რაც არ დაუშაქრავთ, – დაუმტკბარი“

უჩსტკა (გზ.) < რუს. **Участок** „ნაკვეთი“

უჩენიკ (გზ.) < რუს. **Ученик** „მოსწავლე, მოწაფე, შეგირდი“

უჩრაუა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უჩრეუა (ბქ.)/უჩრაუ (ლშხ.)/[უ]ჩერაუა (ლნტ.)/უჩრაუა (უშგ.) „მოუსვენარი“ < ქართ. [გა]-უ-ჩერ-ებ-ელ-ი „შეუწყვეტელი, გამუდმებული“

უჩრაუად (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უჩრეუად (ბქ.)/უჩრაუდ (ლშხ., ჩოლ.)/[უ]ჩერაუად (ლნტ.) „მოუსვენრად; შეუწყვეტლად“ *ზმნის.* < ქართ. [გა]-უ-ჩერ-ებ-ლ-ად „უწყვეტად, გამუდმებით“

უჩხე/უჩხა (ზს., ქს.)/უუჩხე (ბქ.) < ადიღ. უაშხ'ə/უასხə „წვიმა“ (შდრ. ყაბარდ. უაშხ')

უჩგრაუა (ბქ., ჩოლ.)/უჩგრაუა (უშგ.) < ქართ. და-უ-ჩაგრ-ავ-ი „ვინც არ ან ვერ დაუჩაგრავთ, ვინც არ დაჩაგრულა“

უცდაუა (გზ.)/უცუდა (ბქ.)/უცდუუა (უშგ.)/უცდაუა (ჩოლ.) „გაუფუჭებელი“ < ქართ. გა-უ-ცუდ-ებ-ელ-ი (< გა-ცუდ-ებ-ა < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“) „წაუხდენელი, გაუფუჭებელი“

უცეფ{დ} (გზ., ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. უცებ „იგივეა, რაც უცბად“ (შდრ. ზს. შიშდ, ლშხ. [ა]შიშდ/აშდ, ლნტ., ჩოლ. [ა]შიშტ/აშტ)

უცნობელ (ბზ.) < ქართ. უ-ცნ-ობ-ელ-ი „იგივეა, რაც უცნობი“ (შდრ. ბზ., ლშხ. უნთური, ბქ. უნთური[ა], ლნტ. უნათურია, უშგ. ულთგრა)

უცხუ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უიცხუ (ზს., ლშხ.)/უცხ (ჩოლ.) „უცხო, საპატიო, პატივსაცემი; ძლიერი“ < ქართ. უ-ცხ-ო 1. „უცნობი, გარეშე“, 2. „შეუსწავლელი, უცნობი (მხარე, ადგილი...)“, 3. „არაჩვეულებრივი, უცნაური, საკვირველი; შესანიშნავი, საუცხოო“ (შდრ. ზს. მეჰერ, ჩოლ. უმერუ; ბზ. ნაქჳმუ, ბქ. ნაქამ, ლშხ., ჩოლ. ნაქჳმ, ლნტ. ნაქჳმ)

უცხუდ (ზს., ქს.)/უიცხუდ (ზს., ლშხ.)/უცხდ (ჩოლ.) „ძლიერად (ზედმიწ. – "უ-ცხ-ო-დ)“ *ზმნის.* < ქართ. უ-ცხ-ო 1. „უცნობი, გარეშე“, 2. „შეუსწავლელი, უცნობი (მხარე, ადგილი...)“, 3. „არაჩვეულებრივი, უცნაური, საკვირველი; შესანიშნავი, საუცხოო“

უცხუუფერუ (ჩოლ.) „საკვირველი“ < ქართ. უ-ცხ-ო 1. „უცნობი, გარეშე“, 2. „შეუსწავლელი, უცნობი (მხარე, ადგილი...)“, 3. „არაჩვეულებრივი, უცნაური, საკვირველი; შესანიშნავი, საუცხოო“ და უ-ფერ-ო „იგივეა, რაც უფერული“

უძეუო (ლნტ.) „უშვილო“ < ქართ. უ-ძე-ო „ვისაც ძე არა ჰყავს, – უვაჟიშვილო, უშვილო“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. უგზელა, ბზ. უგზჳლა, ბქ. უგზჳლუნა, ლშხ., ლნტ. უგეზელნა; ზს. თაუკჳც)

უძფანა (ბქ.) „უწიწკო“ < ზან. (მეგრ.) ძაფანა < ქართ. ზაფრანა (< არაბ. არაბ.-სპარს. **za'farān**) 1. „კულტურული მცენარე ზამბახისებრთა ოჯახისა||ნარინჯისფერი სულნელ-სანელებელი“, 2. „ფართოდ გავრცელებული სახელწოდება რამდენიმე ყვითელყვავილიანი მცენარისა, რომელთაც საჭმლის სანელებლად იყენებენ“ (შდრ. ბზ. ძაფანჳი, ბქ., ლნტ. ძაფანა, ლშხ., ჩოლ. ძალფანაი/ძაფანაი, ლნტ., უშგ. ძაფანჳ, ლხმ., უშგ. ზაფანჳ/ზაფანა)

უწამაგუა/უწამაგო (ჩოლ.) „უგემური, უმარილო საკვები“ < ქართ. (ლეჩხ.) უ-წამაგ-ო „უგემური, შეუნელებელი, შეუკაზმავი საჭმელი“ (შდრ. ბზ. ულგჳმუ, ბქ., ლნტ. ულგამუ/უგამუ, ლშხ. უ[ლ]გამ; ბქ. ბრუყუ)

უ-წჳხდინ-ა (ბზ.)/უ-წჳხდინ-ა (ბქ.) „დაუბინძურებელი“ < ქართ. წა-უხდენ-ელ-ი „გაუფუჭებელი; დაუზიანებელი; გაუნადგურებელი; დაულუპავი; წაუხდენელი“

უწესო (ზს., ქს.) „ცელქი, გაუგონარი; უწესარიგო“ < ქართ. უ-წეს-ო „წესს, წესიერებას მოკლებული, – უწესარიგო, ურიგო“ (შდრ. ზს. ჭისაჳშ; ბზ. ტაფრჳი, ბქ. ტაფრელჳ; ბქ. უნაქურ; ლშხ. ტაგან, უშგ. ტაგჳნ; ბქ. ფისინტჳრ; ლშხ. ქიცქიცაი; ჩოლ. ტურბელ)

უ-წკატ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-წჳლკატ-ა (ლნტ.) „წალკატით ამოუთხრელი/გაუთხრელი მიწა (ზედმიწ. – "უ-წჳლკატ-ო)“ < ქართ. წალკატ-ი 1. „წერაქვის მსგავსი ქვის სათლელი იარაღი“, 2. (იმერ., გურ.) „იგივეა, რაც წერაქვი“, (გურ.) წაკატ-ი „იგივეა, რაც წალკატ-ი“

უწმაწურ (ზს., ქს.)/უწმაგურ (ჩოლ.) „უპატიოსნო, ტუტუცი“ < ქართ. უ-წმა-წურ-ი „უხამსი, უშვერი“(ზს., ლნტ., ურწყულ/უურწყულ; ბზ., ჩოლ. უიდრობა; ბქ. შელე)

უწმინდურ (ზს., ქს.)/უწმინდუირ (უშგ.) „ბინძური“ < ქართ. უ-წმინდ-ურ-ი „ბინძური, უსუფთაო, ჭუჭყიანი...“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უიდრობა, ლშხ. უინდრობა/უონდრობა; ბქ. შელე)

უ-წნ-ა (ზს., ქს.)/უ-წუნა (ჩოლ.) < ქართ. ა-უ-წონ-ავ-ი „რაც არ აუწონიათ, რაც აწონილი არ არის“

უ-წნაუ-ა (ზს., ჩოლ.) < ქართ. და-უ-წუნ-ებ-ელ-ი „ვისაც, რასაც ვერ დაიწუნებენ, ვინც, რაც არ დაუწუნ[ებ]იათ“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. უცხიდა, ბქ., ლნტ. უცხიდა)

უ-წურლ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-წუილ-ა (ბქ.) „გაუთხოვარი (ზედმიწ. – *გა-უ-წულ-ებ-ელ-ი)“ < ძვ. ქართ. წულ-ი 1. „იგივეა, რაც შვილი“, 2. „რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი, მაგ.: ძმისწული, უფლისწული, სეფეწული, ქალწული, დედაწული“

უ-წუფილ-ან-ა (ბქ., უშგ.) „გაუზრდელი“ < ქართ. გა-უ-წაფ-ავ-ი „გაუწვრთნელი, დაუხელოვნებელი...“, შდრ. ზან. (მეგრ.) [უგ]ურწაფუ (შდრ. ზს. უწუდა)

უ-წხუ-აუ-ა (ზს.) < ქართ. შე-უ-წუხ-ებ-ელ-ი „ვინც შეწუხებული არ არის“ (შდრ. ბზ. უუჳშნა, ჩოლ. უუჳშნა, ბქ. უუჳშნა)

უჩიატ (ლშხ.) „გადაუღებელი წვიმა (ზედმიწ. – *უ-ჩიატ-ი ანუ გა-მო-უ-ჩიატ-ებ-ელ-ი“ < ქართ. (ლეჩხ.) უ-ჩიატ-არ-ი „ხანგრძლივი წვიმიანობა“ < ჩიატ-ი „ღრუბლებიდან, ნისლიდან გამოშუქება (მზისა)“

უ-ჭირ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-ჭირ-ა (ბქ., ლნტ.) „უშრომელი, გაურჯელი, გაუწვალებელი (ზედმიწ. – *უ-ჭირ-ვ-ებ-ელ-ი)“ < ქართ. ჭირ-ი „გაჭირვება, უბედურება, გასაჭირი“

უ-ჭირ-ად (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/უ-ჭირ-უ-დ (ჩოლ.)/უ-ჭირ-ად (ბქ., ლნტ.)/უ-ჭირ-დ-უ (უშგ.) „უშრომელად, გაურჯელად, გაუწვალებლად (ზედმიწ. – *უ-ჭირ-ვ-ელ-ად)“ *ზმნის.* < ქართ. ჭირ-ი „გაჭირვება, უბედურება, გასაჭირი“

უჭკუარა (ბზ., ჩოლ.)/უჭკუარა (ბქ.) „დაუფიქრებელი (ზედმიწ. – *გა-უ-უჭკუ-ებ-ელ-ი)“ < ქართ. ჭკუა „აზროვნების უნარი, – გონება“

უხან (უშგ.) < ქართ. უ-ხან-ო „ხანმოკლე, წუთიერი; დღემოკლე“

უხეირო (ლნტ., ჩოლ.)/უხეიარ (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. უ-ხეირ-ო „ურიგო, უწესო, ცუდი, გლახა“ (შდრ. ბზ., ლნტ. საჯაჳ; ლშხ. საჯაყ; ზს., ქს. ლეგ; ლშხ., ჩოლ. უკმაკურ)

უხერხულ (ზს., ქს.) / უხერხუილ (ლნტ.) < ქართ. უ-ხერხ-ულ-ი *გადატ.* „საჩოთირო, უადგილო, შეუფერებელი...“

უხეუსა (ბზ., ჩოლ.) „ულმო“ < ქართ. [წა]-უ-ხემს-ებ-ელ-ი „ვისაც საუზმე არ უჭამია, – დაუნაყრებელი“ (შდრ. ზს. ულენცლა, ბქ. უნცელა)

უხეშ (ზს., ქს.) < ქართ. უხეშ-ი „მოუხეშავი, ტლანქი; უტიფარი...“ (შდრ. ბზ. მაგტრემა, ბქ. მაგტრემა; ჩოლ. შული; ჩოლ. ხერეგო), იხ. უკმაკურ

უხეშდ (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. უხეშ-ად „უდიერად, უტიფრად, თავხედურად“ (შდრ. ჩოლ. არამგამოდ), იხ. უკმაკურდ

უხზაუა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უ-ხაზ-აუ-ა (ლნტ.) < ქართ. [და]-უ-ხაზ-ავ-ი „რაც არ დაუხაზავთ“

უხიაგ (ზს., ქს.)/უხიაგუ (ბზ.) < ქართ. უხიაგ-ი „თავნება, ახირებული; უკმეხი, უკიათი“

უხსაათ (ბზ.)/უხასაათა (ჩოლ.) „უხალისო“ < ქართ. უ-ხასიათ-ო „ცუდი, მძიმე ხასიათის მქონე...“ (შდრ. ზს., ქს. უკაფ; ბზ. ფუყუ; ბქ. უს[უ]ახუ; ბქ. სალჭახუ)

უხტაუა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/უ-ხატ-აუ-ა (ლნტ.) < ქართ. [და]-უ-ხატ-ავ-ი „რაც არ დაუხატავთ“

უხუკურ (ჩოლ.) < ქართ. (იმერ., ლეჩხ.) უ-ხუკურ-ი „უხეში“

უხგნჯარა (ბქ.) < ქართ. უ-ხანჯრ-ო

(< ხანჯალ-ი < სპარს. **xančal**) „უიარაღო“

უხგრჯა (ზს., ლშხ., ჩოლ.) „ძუნწი“ < ქართ. უ-ხარჯ-ო (< ხარჯ-ი < თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „ხარჯის გარეშე, ვინც არაფერს ხარჯავს, არ გასცემს“

უხგრჯაუა (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ უხგრჯაუა (ლნტ.) < ქართ. და-უ-ხარჯ-ავ-ი (< ხარჯ-ი < თურქ. **xarǯ** „გასავალი“ < არაბ.-სპარს.) „რაც არ დაუხარჯავთ“

უჯმაჯური (ბქ.) „უხეში“ < ქართ. (ლეჩხ., გურ.) უჯმაჯურ-ი, გურ. უჯმაჯურა-ჲ „საზარელი, შემაძრწუნებელი სიზმარი, – უკმური, მაჯლაჯუნა, კოშმარი“, იხ. უხეში

უჯმაჯურდ (ბქ.) „უხეშად, მოუქნელად“ *ზმნის.* < ქართ. (ლეჩხ., გურ.) უჯმაჯურ-ი, გურ. უჯმაჯურა-ჲ „საზარელი, შემაძრწუნებელი სიზმარი, – უკმური, მაჯლაჯუნა, კოშმარი“, იხ. უხეშდ

უჯრაუ (ზს., ჩოლ.)/უჯრაუა (ბქ., უშგ., ლშხ., ჩოლ.)/უჯერაუა (ლნტ.) „გაუგონარი“ < ქართ. და-უ-ჯერ-ებ-ელ-ი „ურწმუნო, შეუსმენელი...“

უჰინგრა (ბქ.)/უჰუნგირა (უშგ.) „უბელო“ < ქართ. უ-უნაგირ-ო (< ქართ. უნაგირ-ი (< ირან. **hunagīr**) „შეუკაზმავი, უნაგირდაუდგმელი“

უ̈

უ̈აგონ (ზს., ქს.)/აგონ (ბქ.) „ხე-ტყის გამოსაზიდი ვაგონი“ < ქართ. ვაგონ-ი (< ინგლ. **wagon** რუს. ენის მეშვ.) „ბორბლებიანი საზიდავი, რომელიც ჩვეულებრივ რელსებზე მოძრაობს და იხმარება მგზავრთა გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად“

უ̈ადა (ზს., ქს.) < ქართ. ვადა (< არაბ. ვა'და „დაპირება“) „დრო, დროის მონაკვეთი“

უ̈აზნაჲ (ლშხ., ჩოლ.)/უ̈აზნა̈ (უშგ.) < ქართ. ვაზნა (< არაბ. **wazn/awzān** „წონა, მნიშვნელობა“) „მასრა, დენთითა და ტყვიით გატენილი“, „თოფის წამლის ჭურჭელი, ჩასაყრელი“ (საბა), შდრ. ქართ. მუხტ-ი

უ̈ალოდია (ზს., ქს.)/უ̈ალოდი (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ვალოდია (< ვლადიმერ < ძვ. სლავ. **Владимир** „ქვეყნის მფლობელი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უ̈ანი (უშგ.) „ვაკე“ < ძვ. ქართ. ვან-ი „სადგომი, ბინა“

უ̈აჟინაჲ (ჩოლ.) „მითოლოგიური გმირი“ < ქართ. ვაჟინა „ზღაპრის გმირი, ჟივჟივას ძმა“

უ̈არ (ზს., ქს.)/უ̈არ (ბზ.)/უ̈არია (ზს.) < ქართ. უარ-ი „უარყოფითი პასუხი თხოვნაზე, მოთხოვნაზე, წინადადებაზე“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. დერუა/დერაუ, ბქ. დერუა)

უ̈არადა (ბქ., ჩოლ.)[82]/უ̈არა̈და (ჩოლ.) „სიხარულის გამომხატველი სიტყვა“ < ქართ.-მეგრ. ვარადა „ხალხური სიმღერების მისამღერი“ < ადიღ. უ̈არა̈დ „სიმღერა“ (შდრ. ყაბარდ. უ̈არა̈დ/უ̈არედ, უბიხ. უ̈არა̈დ „სიმღერა“; აფხაზ.-აბაზ. უ̈არაჲდა „მისამღერი“, აბაზ. უ̈არად „სიმღერა“; ოს. უ̈არა̈დ, ბალყ. ორაჲდა „მისამღერი“)

უ̈არაქნილ (ჩოლ.) „მორღვეული ღობე“ < ძვ. ქართ. იავარ-ქმნ-ილ-ი „დარბეული, აკლებული, გაძარცული“

უ̈არა̈ყ (ბზ.) < ქართ. ვარაყ-ი (< არაბ. **waraq** „ფურცელი“) „ლითონის (ოქროს, ვერცხლის...) თხელი ფენა, ნივთებზე გადაკრული შესამკობად...“

უარაშ (ბზ.)/უორაშ (ბქ., ლნტ.)/უორაშ (ლშხ., ჩოლ.)/უორაშდ (ლხმ.) „არყის გამოხდის შემდეგ ნარჩენი თხლე, ბუზალაყი“ < ოს. **wæræs „бpara“**

უარდ (ზს., ქს.)/უარდ (ბზ., ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. ვარდ-ი (< ფალ. **vard**) „ეკლიანი ბუჩქი, რთული ფოთლებითა და ლამაზი, სურნელოვანი ფართოფურცლიანი ყვავილებით...“

უარდიფერიშ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) /უარდიშფერიშ (ბქ.) < ქართ. ვარდ-ისფერ-ი „მკრთალი მოწითალო“

უარდობ (ბზ.) „მაისი, ვარდობის თვე“ < ქართ. ვარდ-ობ-ა „ვარდის გაშლის, ყვავილობის დრო; ვარდობის თვე, ვარდობისა“

უარეს (ზს., ქს.) < ქართ. უარეს-ი „უფრო ცუდი“ (შდრ. ზს. **ხოდრა**, ბქ. **ხონდრილ**)

უარესდ (ლნტ., ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უარეს-ად „უფრო ცუდად“ (შდრ. ბქ. **ხონდრილდ / ხონდრამდ**, ჩოლ. **ხოდრილდ/ხოდრამდ**)

უარი-ოლ (ლშხ., ჩოლ.) *კნინ. ფ.* < ქართ. ვარია „ზრდადაუმთავრებელი ქათამი (კვერცხის დებამდე)“

უარლამ (ზს., ქს.)/უარლან (ბქ., ფარ.) *ანთრ.* < ქართ. ვარლამ-ი (< ქალდ. (?) „ხალხის შვილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უარსკულაუ (ზს., ქს.)/უარსკულაუ (ლნტ.) < ქართ. ვარსკვლავ-ი „ცის სხეული, რომელიც საკუთარი შუქით ნათობს“ (შდრ. ზს. **ამტყუასგ/ანტყუასგ**, ლშხ., ჩოლ. **ამტყუასგ/ანტყუასგ**, ლნტ. **ანტყუასკ/ამტყუასკ**; ზს. **მგჯკამ**)

უარუალ (ბზ., ჩოლ.) „ბრწყინვა“ < ქართ. ვარვარ-ი „ელვარება, სიმხურვალე“ (შდრ. ზს. **ლირკგნე**; ბზ. **ლიღგუე**, ბქ. **ლიღგუე**; ბზ. **ლიჭკგუე**; ბზ. **ლიკგუე**, ბქ. **ლიკგუე**; ბქ. **ლიტგლტგნე**; ბქ. **ლირცგნე**)

უარყა (ბქ.)[83] „თავნება, ველური ცხენი, – ულაყი“ *ზოოლ.* < ქართ. (რაჭ., იმერ., გურ.) ვარყა „მამალი ცხენი, ულაყი; დაუკოდავი ცხენი“, შდრ. იმერ., გურ., აჭარ. ვაყა, ზან. (მეგრ.-ლაზ.) ვარყა/ვაყა „ულაყი, მამალი ცხენი; სამი წლის ცხენი; დაკოდილი ცხენი“, იხ. **ყუარილ**

უარჩხილ (ზს., ქს.) „ფულის; ვერცხლი“ < ზან. (მეგრ.) ვარჩხილ-ი „ვერცხლი“, იხ. **წყილიან/წყვლიან**[2]

უაშლიშურილ (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. ვაშლ-ი-შვილ-ი „ერთ-ერთი ქართული ზღაპრის გმირი“

უაჩაგ (ჩოლ.) „წლის მამალი თხა“ *ზოოლ.* < ქართ. ვაჩა „დაბერებული თხა“

უაციწურ (ლშხ.) *ბოტ.* < ქართ. (ზმ. რაჭ., ფშ.) ვაც-ი-წვერ-ა „ძიგვა, ფამფარა“ (შდრ. ზს. **ჭაფხურ**)

უახტანგ (ზს., ქს.)/უახტაგ (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ვახტანგ-ი (ირან. (?) „მგლისტანიანი, მგელი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უახშამ (ზს., ლნტ.)/უოხშამ (ზს.)/უახშამ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/უოხშამ (ჩოლ.) < ქართ. ვახშამ-ი (< თურქ. **akšam** < სპარს. „საღამო“) „უკანასკნელი ჯერის პურის ჭამა საღამო ჟამს“

უახშმოშ (ზს., ქს.)/უოხშმოშ (ბზ.)/უახშნოშ (ლშხ.) < ქართ. ვახშმ-ობ-ა (< ვახშამ-ი < თურქ. **akšam** < სპარს. „საღამო“) „ვახშმის ჭამა“

უჩზ (ბზ., ლნტ.)/ღუჩზ (ზს.)/უჩზ (ლშხ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. ვაზ-ი (< სომხ. *վազ*) „ყურძნის ხე“ (საბა), „მცოცავ-ღეროიანი, ბუჩქივით მეზარდი მცენარე, რომელიც ყურძენს ისხამს“

უჩლ (ბზ., ლნტ.)/უჩლ (ბზ.)/უალ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ვალ-ი „სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებუ-

ლი საქონლის საფასური და სხვა მსგავსი თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი“ (შდრ. ზს., ქს. **გად[ან]**)

უ̈ალიკო (ზს., ლნტ.)/**უალიკო** (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ვალიკო (< ვალერიან-ი < ლათ. **valerius** „ვალერისა, ვალერის შვილი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უ̈ალურ/**უ̈ალირუ̈**/**უ̈ალურ** (ბზ.)/ **უელურ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ **უელირ**/ **უელილ** (ლნტ.) „ველური, გარეული“ < ქართ. ველურ-ი „გარეული, მოუშინაურებელი, ტყიური (ცხოველი, ფრინველი)...“, შდრ. ბზ. **ნ̈აცხკიშუ̈**, ბქ. **ცხეკიშ**, ლშხ., ჩოლ. **ნაცხკიშ**, ლნტ. **ნ̈აცხეკ**; ბქ. **ტყარ**

უ̈ან (ბზ., ლნტ., ჩოლ.) „სათიბი; ტყე“ *ტოპ.* < ძვ. ქართ. ვან-ი „სადგომი, ბინა“

უ̈აი (ზს., ლნტ.)/**უ̈აი** (ბზ.)/**უაი**/**უ̈აი** (ლშხ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ვაი „მწუხარების, მოთქმის, დატირების გამომხატველი შორისდებული“

უ̈აიბედუშუ̈ (ბქ.)/**უ̈აიბედუ̈შ** (ჩოლ.) „ძლივს, ვაი-ვაგლახით (ზედმიწ. – **ვაი-ბედ-ით**)“ *ზმნის.* < ქართ. ვაი „მწუხარების, დატირების და ა. შ. გამომხატველი შორისდებული“ და ბედ-ი „განგება, სვე, წერა; ხვედრი, იღბალი...“ (შდრ. ბზ. **უედდ**, ზს. **უედნ**, ბქ. **უენდ**)

უ̈აი-უ̈აი (ზს., ლნტ.)/**უაი-უ̈აი** (ლშხ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ვაი-ვაი „ვაი და ვაი“

უ̈არგ (ზს., ლნტ.)/**უარგ** (ლშხ., ჩოლ.) „თავადი, აზნაური“, შდრ. ბქ. **ლეუ̈არგ**, ლშხ. **ლეურგე** „სათავადო“ < ადიღ. **უ̈არჴ** (შდრ. ყაბარდ. **უ̈არყ**) „თავადი“

უ̈არია (ზს.)/**უარიაი** (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ვარია „ზრდადაუმთავრებელი ქათამი (კვერცხის დებამდე)“

უ̈არჩხლ̈არ (ბზ.) „ვერცხლეული“ < ზან. (მეგრ.) ვარჩხილ-ი „ვერცხლი“

უ̈ასილ (ზს.)/**უასილ** (ლშხ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ვასილ-ი (< რუს. **Васил** < ბერძ. **Βασίλειος** „სამეფო“, „მეფისა“, „მეფური“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“, იხ. **ბ̈ასლი**

უ̈აჲ უშუ̈ელებელ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ვაი უ-შველ-ებ-ელ-ი „დიდი ხმაური, ყვირილი, აურზაური, ალიაქოთი“

უ̈აჲ უშუ̈ელებლობშუ̈ (ლშხ.) „ვაი-ვაგლახით (ზედმიწ. – **ვაი უ-შველ-ებ-ელ-ო-ით**)“ *ზმნის.* < ქართ. ვაი უ-შველ-ებ-ელ-ი „დიდი ხმაური, ყვირილი, აურზაური, ალიაქოთი“

უ̈ედრა (ზს., ქს.)/**უ̈ედრაჲ** (ლშხ., ჩოლ.) „სათლი“ < ქართ. ვედრა/ვედრო (< რუს. **Ведро**) „ჭურჭელი ცილინდრული ან წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა რკალისებრი სახელურით; იყენებენ თხევადი ან ფხვიერი ნივთიერების გადასატანად, შესანახად“ (შდრ. ბქ. **გ̈ა̈ბ[უ]**; ლნტ. **კიჭოლ**)

უ̈ეზირ (ზს., ქს.)/**უ̈ა̈ზირ** (ზს., ლნტ.) < ახ. ქართ. ვეზირ-ი, ძვ. ქართ. ვაზირ-ი (< არაბ. **vazir** „მინისტრი, მრჩეველი“) „მეფის საბჭოს წევრი, მეფის მრჩეველი, მინისტრი მუსლიმანურ აღმოსავლეთში“

უ̈ეზირ-ნაზირ (ბქ.) < ქართ. ნაზირ-ვეზირ-ი (< ვეზირ-ი < არაბ. **vazir** „მინისტრი, მრჩეველი“ „ნაზირები და ვეზირები“, იხ. **ნ̈აზირ-უ̈ეზირ**

უ̈ეზირ-ობ (ზს., ქს.)/**უ̈ა̈ზირ-ობ** (ზს., ლნტ.) < ახ. ქართ. ვეზირ-ობ-ა, ძვ. ქართ. ვაზირ-ებ-ა (< ვეზირ-ი < არაბ. **vazir** „მინისტრი, მრჩეველი“) „ვეზირად ყოფნა“

უ̈ეთხმალ/**უ̈ეთხუ̈მალ** (ბქ.)/**უ̈ეთხმ̈ალ** (უშგ., ლხმ.)/**ოთუხმაუ̈ალ** (ჩოლ.) „საქონელი, პირუტყვი“ < ქართ. ოთხ-მა-ვ-ალ-ი „ოთხით მავალი“

(შდრ. ბზ., ლნტ., ჩოლ. ქჳინლგმგენე, ბქ. ქჳინიმგენე, ჩოლ. ქჳინჳმგენე)

ჳელ (ზს., ქს.) < ქართ. ველ-ი „დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, – დიდი მინდორი“

ჳენახ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ჳენაჯ (ბზ.)/ჳენაჳ (ლნტ., უშგ.)/მენახ (უშგ.) *ბოტ.* < ქართ. ვენახ-ი „მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია ვაზი, – ვაზის ბაღი“

ჳენახიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ვენახ-იან-ი „სადაც ვენახებია გაშენებული“

ჳენდ[დ] (ზს.)/ჳედდ (ბზ.)/ჳენდშჳ (ბზ., ჩოლ.)/ჳედჳშჳ (ლშხ.)/ჳედნაშ (ლნტ.)/ჳედშჳ/ჳედნუშ/ჳენდ/ჳედნაჲ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. (რაჭ.) ვენდეთ/ონდეთ „ძლივს, ცოტათი შესამჩნევად“, ზან. (მეგრ.) ონდე/ონდეთ „ძლივს, ძლივძლივობით; ოდნავ“

ჳენდ ი ბედოშ[ჳ] (ზს.)/ჳედნ ი ბედნ (ლშხ.)/ჳენდ ი ბედჟი (ჩოლ.) „ძლივსძლივობით“ *ზმნის.* < ქართ. (რაჭ.) ვენდეთ „ძლივს, ცოტათი შესამჩნევად“ და ბედ-ი „განგება, სვე, წერა“

ჳეჟანაჲ/ჳოჟანაჲ (ლშხ., ჩოლ.)/ჳაჟანა (უშგ.) < ქართ. ვეჟანა/ვეჟან-ი 1. „წითელშავი“ (საბა), 2. მთიულ. „ვეფხვივით ჭრელი (საქონელი)“

ჳერბ (ზს., ქს.)/ჳორბ (ლშხ.) „არწივი, ორბი“ *ზოოლ.* < ძვ. ქართ. ორბ-ი „არწივი“

ჳერთქლ (ბზ., ლხმ.)/ჳერთქ (ბქ.)/ჳერთქილ/ჳორთქ (ჩოლ.) < ქართ. ორთქლ-ი „გაზისებური მდგომარეობა, რომელშიაც გადადის სითხე (ან მყარი ნივთიერება) გათბობის შედეგად“ (შდრ. ბზ., ჩოლ. თჳირ, ბქ. თჳირ)

ჳერს (ზს., ქს.)/ჳერზ (ბზ.) < ქართ. ვერს-ი (< რუს. **верста** „სიგრძის ერთეული, რომელიც იხმარებოდა რუსეთში ზომათა მეტრული სისტემის შემოღებამდე, – ხუთასი საჟენი...“) „იგივეა, რაც ვერსტი“

ჳერსტ (უშგ.) < ქართ. ვერსტ-ი (< რუს. **верста** „სიგრძის ერთეული, რომელიც იხმარებოდა რუსეთში ზომათა მეტრული სისტემის შემოღებამდე, – ხუთასი საჟენი...“) „იგივეა, რაც ვერსი“

ჳერტალიოტ (ზს., ქს.) < ქართ. ვერტალიოტ-ი (< რუს. **вертолёт**) „შვეულმფრენი, ვერტმფრენი“

ჳერჩხ (ზს., ლნტ.)/ჳორჩხ (ლშხ., ჩოლ.) „ქარქაში“ < ზან. (მეგრ.) ორჩხ-ე (შდრ. ლაზ. ოჩხ-ე) „დანის, ხანჯლის ბუდე, – ქარქაში“, იხ. ქარქაშ

ჳერცხლ (ზს., ქს.)/ჳერცხ (ქს.) < ქართ. ვერცხლ-ი „ძვირფასი, მოთეთრო-მონაცრისფროდ მბზინავი ლითონი“ (შდრ. ზს., ქს. ჳარჩხილ; ზს. წყ[ი]ლიან/წყვლიან)

ჳერძმეგ (ზს.) *ანთრ.* < ოს.-ალან. (?)

ჳეტუბან (ლნტ.) < ქართ. ვეტ-უბან-ი „ვეტერინარული, საბეითლო უბანი“

ჳეტექიმ (ზს., ქს.) < ქართ. ვეტ-ექიმ-ი „ვეტერინარული ექიმი, – ბეითალი“

ჳეტექიმობ (ზს., ქს.)/ჳეტექმობ (ჩოლ.) < ქართ. ვეტექიმ-ობ-ა „ვეტერინარულ ექიმად მუშაობა“

ჳეფხუ (ზს., ქს.)/ჳეფხ (ბქ., ლშხ., ჩოლ., უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. ვეფხვ-ი „დიდი მტაცებელი ცხოველი (კატების ოჯახისა)“

ჳექილ (ზს., ქს.)/ჳაჭილ (ბზ.)/ჳაქილ (უშგ.) < ქართ. ვექილ-ი (< არაბ. **vakil**) „იგივეა, რაც ადვოკატი“

ჳექილობ (ზს., ქს.)/ჳაქილობ (ბზ.)/ჳაქილობ (უშგ.) < ქართ. ვექილ-ობ-ა (< ვექილ-ი < არაბ. **vakil**) „ადვოკატობა“

ჳექსილ (უშგ.) < ქართ. ვექსილ-ი (< გერმ. **wechsel**-დან რუს. ენის მეშვ.)

„იგივეა, რაც თამასუქი“

უეშაპ (ზს., ლნტ.)/უეშაპ (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ვეშაპ-ი „ზღვის ყველაზე დიდი ცხოველი, ძუძუმწოვართაგანი“

უეშმეშოკ (უშგ., ჩოლ.) 1. უშგ. „საძილე ტომარა“, 2. „ზურგჩანთა“ < ქართ. ვეშმეშოკ-ი (< რუს. **Вещмешок**) „ზურგჩანთა“

უეჭნახუ (ბქ.)/უჭნახუ (ლხმ.) < ზან. (მეგრ.) ო-ჭინახ-უ/ო-ჭინახ-ე/ო-ჭნახ-უ/ო-ჭნახ-ე/ო-ჭენახ-ე „საწნახელი“, იხ. **საწნახელ**

უიდჲერ (ბზ.)/უიდიერ (ბქ., ჩოლ.)/უიდიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ვიდიერ-ი (< რუს. **Вид** „შესახედაობა, გარეგნობა“) „მედიდური; შესამჩნევი, ახოვანი, ლამაზი...“

უითომ (ზს., ჩოლ.)/მითომ (ბქ.)/უითამ (ბზ., ქს.)/უითუმ (ლნტ.)/უითო (ჩოლ.) < ქართ. ვითომ „თითქოს“ (შდრ. ბზ. მუგუდჲ{ჲ}, ბქ. მუგუდა, ლშხ. მგდჲ/მგდა, ლნტ. მუგუდჲ; ჩოლ. აჯუნ)

უიკადრ (ბზ.) < ქართ. უ-კად-რ-ი „უკადრისი; ლაღი, ამაყი“ (შდრ. ზს., ლშხ. უშგდა, ლნტ. უშკედა; ბქ. ხოშა გუმი; ბქ. ყოყოჩჳ; უშგ. ლგქად)

უიკაცრიელ (ბზ.)/უკცრიელ (ჩოლ.) < ქართ. უ-კაც-რ-იელ-ი „იგივეა, რაც უკაცური, – გაუშენებელი, დაუსახლებელი; უდაბური“

უიმცჲრ (ბქ.) „სუსტი, უძლური“ < ძვ. ქართ. უ-მეც-არ-ი „გამოუცდელი, უცოდინარი, უვიცი“, ახ. ქართ. „უსწავლელი, გაუნათლებელი; უცოდინარი, უვიცი“ (შდრ. ზს. დჲცხ{ჲ}; ბზ. ბაბწჲ, ლშხ., ლხმ. ბაბგან, ლნტ. ბაბგჲნ; ზს. ცონჲრ; ბზ. დჲცმულ; ბქ. უინცბჲრილ)

უინდილ (ლშხ.)/ჰუნდილ (უშგ.) < ქართ. უნდილ-ი *გადატ.* „უფხო, მოუხერხებელი ადამიანი“ (შდრ. ბქ. თვნჩ)

უინტოუკა (ზს., ქს.)/უინტოლკა (ბქ.)/უიტოუკა/უიტონკა/უოტონკა (ჩოლ.) < ქართ. ვინტოვკა < რუს. **Винтовка** „შაშხანა“

უირ (ლხმ.) *ზოოლ.* < ქართ. ვირ-ი „ცხენების ოჯახის ცხოველი, ცხენსა და ჯორზე პატარა, გრძელყურებიანი, მოკლე ფაფრიანი“ (შდრ. ზს., ქს. წელ)

უირთაგუაჲ (ლშხ.) „ვირთხა“ *ზოოლ.* < ქართ. ვირ-თაგვ-ა „თაგვის ოჯახის მღრღნელი ცხოველი საშუალო ზომისა“ (შდრ. ჩოლ. **ლეყარჩუქუანაშ**)

უირთხა (ზს., ქს.)/უირთხაჲ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ვირთხა „იგივეა, რაც ვირთაგვა“

უირჲაჲ (ბზ.)/უურია (ბქ.)/ურიაჲ (ლშხ., ჩოლ.)/ურიჲ (ლნტ.)/უირია (უშგ.) < ქართ. ურია „ებრაელი“

უიროობია (ლნტ.)/უირობია (ჩოლ.) < ქართ. ვირ-ობ-ია „თამაშის ერთ-ერთი სახეობა“

უირ{შდუგუ} (ზს.) „ვირთხა“ *ზოოლ.* < ქართ. ვირ-ი „ცხენების ოჯახის ცხოველი, ცხენსა და ჯორზე პატარა, გრძელყურებიანი, მოკლე ფაფრიანი“ და სვან. შდუგუ „თაგვი“

უირჩილ-მჲრჩილ (ბზ.) „ადგილი, მხარე, ქალაქი“ *ზღაპ. ტოპ.* < ქართ. მარჩილ-ი „ძველი ქართული ვერცხლის ფული, უდრიდა სამ აბაზს“ (შდრ. მეგრ. მარჩილ-ი „ფულის ერთეული, 10 კაპიკი“), იხ. **მჲრჩილ**

უისიბ (ბზ., ლშხ.)/უსუპ (ზს.)/უისიპ (ჩოლ.)/უისპ (ჩბხ.), შდრ. ბქ. *კნინ. ფ.* უირსპილდ < ქართ. უსუფ-ი/უსუპ-ი/უსიპ-ი (< არაბ.) „ქართული ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟი“

უისხუ (ზს.)/უსხუჲაჲ (ბზ.)/უისხუა (ლნტ.)/უსხუაჲ (ლშხ., ჩოლ.)/უიცხუ (ფარ.) „სამსხვერპლო მოზვერი“ *რე-*

ლიგ. < ძვ. ქართ. უსხ-ი „დასაკლავად გასუქებული საქონელი“

უისხუობ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ უსხუ[ა]ობ (ბზ.)/უსხუობ (ბქ., ლშხ.) „ღვთისადმი შეწირული ხარების დაკვლის დღე (ზედმიწ. – *უსხ-ობ-ა)“ < ძვ. ქართ., რაჭ. უსხ-ი „დასაკლავად გასუქებული საქონელი“, იხ. უსხუ-ობ-იერ

უიუესკა (ლშხ.) < რუს. **Вывеска** „ფირნიში“

უიქმ (ზს., ლნტ.)/უქმ (ლშხ., ჩოლ.) < ახ. ქართ. უქმე „როცა არ საქმობენ, დასვენების დღე; არასამუშაო დღე...“, შდრ. ძვ. ქართ. უქმ-ი „უსაქმო, ცარიელი, ცუდი, ტყუილ-უბრალო; ფუჭი, უმოქმედო...“ (შდრ. ბზ. ლისგურეშ, ბქ. ლისგურეშ)

უიჩინა (ზს., ქს.) < ქართ. ვიჩინა (< რუს. **Ветчина**) „ლორი, შაშხი“

უიჩმაჩ (ზს.)/უჩმაჩ (ლშხ.)/უჩმაჩარ/უიჩმაჩ (ჩოლ.) „დროის მონაკვეთი, როცა მთვარე მილეულია, გაუჩინარებულია, ახალი კი არ ჩანს“ < ქართ. უჩინმაჩინ-ი „ვინც გაუჩინარებულია, ვისაც გაუჩინარების უნარი აქვს“

უიწყუდ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)/უიწყდ (ლშხ.) *ზმნის.* < ქართ. უ-წყვეტ-ად „მუდამ, გამუდმებით, განუწყვეტლივ, ხშირად“ (შდრ. ბზ., ჩოლ. უქუწიცად, ბქ. უქუწიცდ; ბქ. აშმე[ჳ]იდ)

უიჯმ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/უჯმ (ლშხ.) *რელიგ.* 1. „მარხვა, ქრისტეშობის მარხვა“, 2. „ქრისტეშობისთვე, დეკემბერი“ < ძვ. ქართ. უ-ჭმ-ი, უ-ჭმ-ებ-ა „უჭმელობა“, უ-ჭმ-ელ-ი „მარხული“ (შდრ. ზს. ლილჩჳლ, ბზ. ლინ/ლჩჳლ, ბქ. ლილჩალ, ლშხ., ჩოლ. ლინჩჳლ, ლილეჩჳლ „დაცვა“)

უიხუდ/უხუდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. უხვ-ად „მრავლად, ბლომად, ბარაქიანად“ (შდრ. ბქ. ქუეფდ)

უობისკ (ბქ., ჩოლ.) < ქართ. ობისკ-ი (< რუს. **обыск**) „ჩხრეკა“

უობობუაი (ლშხ.)/ობობიაი/ობობუაი (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ობობა „ფეხსახსრიანი შხამიანი ცხოველი ობობასნაირთა კლასისა“ (შდრ. ბზ. [უ]ოფლოფჯი, ბქ. [უ]ოფლოფჯ)

უობურ/ობურ (ზს., ქს.) 1. ზს., ქს. „ეშმაკი, გაიძვერა, კუდიანი“, 2. ჩოლ. „ქურდი“ < ზან. (მეგრ.) *ობურ-ი „ეშმაკი“, შდრ. რაჭ. ობურ-ი

უოდა (ქს., უშგ.) < ქართ. ოდა (< თურქ. **oda**) „ხის, ქვის... ბოძებზე დადგმული ფიცრული სახლი...“

უოდასარაია/უოდასარაია (ლნტ.) < ქართ., ზან. (მეგრ.) ოდა-სარაია (< ოდა < თურქ. **oda** და სარაია < რუს. **Сарай** < სპარს. **sarai** „სახლი, სასახლე, სავანე“) „დიდი სახლი, სასახლე“

უოდიშ (ბქ.)/უოდიშ (ლშხ.) *ტოპ.* < ოდიშ-ი „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ერთ-ერთი სოფელი“

უოთარ/ოთარ (ზს., ქს.) *ანთრ.* < ქართ. ოთარ (< არაბ. (?) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უოთახ (ზს., ლნტ.)/ოთახ (ბქ., ლნტ.)/უოთახ/უოთაჯ (ლშხ.)/ოთახ (ლნტ., ჩოლ.)/უოთაჯ (ჩოლ.) 1. ზს., ქს. „ოთახი“, 2. ჩოლ. „დროებითი საცხოვრებელი სადგომი დუღაბის გარეშე აშენებული, – უფანჯრო, უსარკმელო სადგომი“ < ქართ. ოთახ-ი (< თურქ. (აზერბ.) **otag**, შდრ. სპარს. **utāḳ**) „სამყოფ-საცხოვრებელი შენობის ნაწილი, რომელიც კედლებით არის გამოყოფილი“

უოთხთაჯ (ზს., ქს.)/ოთხთაჯ (ბქ.)/უეთხთაჯ (უშგ.) „სახარება“ *რელიგ.* <

ქართ. ოთხ-თავ-ი „იგივეა, რაც სახარება“

უოკრიბა (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. ოკრიბა „ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ნაწილი“

უოლარ (ლშხ.) *რელიგ.* < ქართ. ოლარ-ი (< ბერძ. **ōrarion**) „მღვდლის სამოსლის ნაწილი, – ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი“

უოლღა (ქს.)/უწლღა (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ოლღა (< სკანდ. (?) „წმინდა“) „ქალის საკუთარი სახელი“

უომბალო/ომბალო (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. ომბალო „ტუჩოსანთა ოჯახის ბალახი...; იხმარება საჭმლის შესაკაზმად“

უონ (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. ონ-ი „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში“

უონჯღოლ/ონჯღოლ (ჩოლ.) „ჩხუბი, ხმაური“ < ზან. (მეგრ.) ონჯღორე „სირცხვილი“

უორაგულ (ზს., ქს.) *ზოოლ.* < ქართ. ორაგულ-ი „მოზრდილი თევზი ქაშაყისნაირთა რიგისა...“

უორბელ (ზს.)/უორბელ (ლშხ., ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. ორბელ-ი „სოფელი ცაგერის რაიონში“

უორგანიზმ (ზს., ქს.) < ქართ. ორგანიზმ-ი (< ფრანგ. **organisme** < საშ. ლათ. **organiso**-დან „ვაწესრიგებ, ვაწყობ“) „ცოცხალი სხეული, რომელიც შეთანხმებულად მოქმედი ორგანოებისაგან შედგება“

უორგუილ (ზს., ჩოლ.)/ორგუილ (ზს.)/უორგულ (ლშხ., ჩოლ.) /უწრგუილ (ჩოლ.) < ქართ. ორგულ-ი „ფარული მტერი, – მზაკვარი, მოღალატე, მუხანათი“ (შდრ. ზს., ქს. ამაბუ)

უორთითა (ლშხ.)/უორთით (უშგ.) < ქართ. ორთით-ი „ძნის ასაღები ორკაპი“ (საბა), „ორკაპიანი ფიწალი“

უორმაგუ (ზს.)/უორმაგ (ჩოლ.) < ქართ. ორ-მაგ-ი „ორკეცი, ორპირი, ორფა“

უორმო (ბზ., ქს.)/უორმ (ბზ.)/უორმა (ლნტ.) < ქართ. ორმო „მიწაში ამოთხრილი, ამოღრმავებული ადგილი, – ხარო, ღრმული“ (შდრ. ზს., ქს. ფათქ; უშგ. გარდ; უშგ.ჯედ)

უორმოც (ზს., ქს.)/ორმოც/უწრმოც (ლშხ.)/ორმოც (ჩოლ.) < ქართ. ორ-მ-ოც-ი „გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღნიშვნა“ (შდრ. ბქ. კონჩხარ)

უორტკეც/უორკეც (ბზ.)/უორკაც (ბქ., ლნტ.)/ორკაც (ბქ.) < ქართ. ორ-კეც-ი „ორფა“

უორღაუ/ორღაუ (ლშხ., ჩოლ.) „შურიანი“ < ქართ. (რაჭ.) ორღავ-ი „ეშმაკი, დაუნდობელი“ (შდრ. ბზ. თხამიან, უშგ. თხამიან; ზს. უორცფიან; ჩოლ. ღორღოთიან)

უორღაუიან/ორღაუიან (ლშხ., ჩოლ.) „შურიანი (ზედმიწ. – "ორღავ-იან-ი)“ < ქართ. (რაჭ.) ორღავ-ი „ეშმაკი, დაუნდობელი“ (შდრ. ბზ. თხამიან, უშგ. თხამიან; ზს. უორცფიან; ჩოლ. ღორღოთიან)

უოსარ (ზს., ლნტ.)/უოსარ (ლშხ., ჩოლ.) „ჩოხა“ < ზან. (მეგრ.) ო-სარ-ე „პერანგი,საღამური“, შდრ. მეგრ. ოსარ-ია *კნინ. ფ.* „პატარა პერანგი“

უოსტაც (ზს., ლნტ.)/{უ}ოსტატ (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/უოსტათ (ბეჩ.) < ქართ. ოსტატ-ი (< სპარს.-არაბ. **ustād**, შდრ. ფალ. **ōstāt**) „ხელოსანი, დურგალი“

უოსტაცობ (ზს., ლნტ.)/უოსტათ (ბქ.)/უოსტატობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ოსტატ-ობ-ა (< ოსტატ-ი < სპარს.-არაბ.

ustäd, შდრ. ფალ. **ōstāt**) „ხელოსნობა, დურგლობა“

უოსხირ/ოსხირ (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ოსხირ-ი/ოსხგრ-ი „დირე; საძირკველი, საფუძველი, რომელზედაც იგებოდა სახლის კედლები“

უოტია (ზს., ქს.)/**უოტი** (ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ოტია „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უოტკა/უოდკა (ზს., ქს.)/**ოტკა** (ჩოლ.) < ქართ. ოტკა (< რუს. **водка**) „არაყი“

უოფრინდომ (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ < ქართ. ფრიდონ-ი (< აფრიდონ-ი < ფალ. **frēdūn**, შდრ. პართ. **frētōn**) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

უოქუროულობ (ზს.)/**უოქროულობა** (ბქ., ჩოლ.)/**ოქროულობ/ოქრეულობა/უოქრეულობა** (ჩოლ.< ქართ. ოქროულ-ობ-ა (< ოქრო < ბერძ. **ὀχρός** „ყვითელი“) „იგივეა, რაც ოქროული“

უოქრ-უერცხ (ლშხ.) < ქართ. ოქრო-ვერცხლ-ი „ოქრო და ვერცხლი“

უოქუურ (ზს., ლნტ.)/**უოქრ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/**ოქრ** (ბქ., ჩოლ.)/**ოქუურ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ოქრო (< ბერძ. **ὀχρός** „ყვითელი“) „ყვითელი ფერის ძვირფასი ლითონი...“

უოქუურაფერიშ (ბზ.)/**უოქუურეშფერიშ** (ბქ.)/**უოქრეფერიშ/ოქრეფერ** (ჩოლ.) < ქართ. ოქრო-ს-ფერ-ი „ფერით ოქროს მსგავსი“

უოღლაუირ/ოღლაუირ (ჩოლ.) „მაგიური ბალახი, რომელსაც ხმარობენ გათვალულის სამკურნალოდ“ *ბოტ.* < ქართ. (აჭარ.) ოღლავარა „ხარის ჩლიქა“, შდრ. გურ. ოღვალო

უოღნაშო (ლნტ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. ღოღნაშო „იგივეა, რაც ღოღნოშო, – კურკოვანი ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა...“

უოღურცუზ/ოღურცუზ/უოღურცუ[84] (ბქ.) „ბოროტი, შურიანი (ადამიანი)“ < ადიღ. **უълъгрцгъ** „უბედურების, წარუმატებლობის მომტანი“ < თურქ. **uğursuz** „უბედური“ (შდრ. ბზ. **თხъმიъ**, უშგ. **თხამიან**; ზს. **უორცფიъნ**; ჩოლ. **ღორღოთიან**)

უოყა/ოყა (ლნტ.) < ქართ. ოყა „წონის ერთეული“

უოყალ/უოყალუ (ბზ.)/**უოყალ** (ბზ., ქს.)/**ოყალ** (ქს., უშგ.) „თიხამიწა; ალაბასტრი“ < ქართ. აყალო „წითელი თიხა“

უოყარო (ჩოლ.) 1. „დიდი, გამხდარი“, 2. „გაუმაძღარი“ < ქართ. (ლეჩხ.) ოყარო „გაუმაძღარი“

უოშიაი (ჩოლ.)/**ოშიაი** (ჩოლ.) „დიდი ავი ძაღლი“ *ზოოლ.* < ქართ. გოშია „პატარა ძაღლი, – ფინია“

უოშიორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) ოშიორ-ი „ოხშივარი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. **თუჩრ**, ბქ., ლნტ. **თუჩირ**, ლშხ. **თურ**; ბზ. **ჰარდალ**, ლშხ. **არდალ**, ლნტ. **არდაჲლ**; ლშხ. **ღგრმანა**; ლხმ. **ფუკუნირ**)

უოჩან (ჩოლ.) < ქართ. ოჩან-ი „ურჩი, ზარმაცი, ჯიუტი (პირუტყვი), – გაქირი“

უოწინწალ/ოწინწალ (ჩოლ.) „მაღალი და წვრილი სარი“ < ქართ. (ოკრიბ.) ოწინწალ-ი „მსხვილი ხის ბერკეტი“

უოჭარო/ოჭარო (ჩოლ.) 1. „დიდი, ღრმა ჭურჭელი“, 2. *გადატ.* „მაღალი და გამხდარი მამაკაცი“ < ქართ. (რაჭ.) ოჭარო „სასაპალნე კეხი“

უოჭიპ/ოჭიპ (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) ოჭიპო „გახეული კუპრიელის შესაერთებელი ხის პატარა კვირისტავისებრი ნაფოტი“

უოხ (ბზ., ქს.)/**ოხ** (ბქ.) *შორისდ.* < ქართ.ოჰო „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

უოხარ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**უახრი** (ბქ.)/ **უოხრი** (ბქ., ლშხ.)/**ოხარ** (ჩოლ.)/

ოხრი (უშგ.) „ხის პატარა კასრი“ < ქართ. (იმერ.) ოხარო „ხისაგან გამოთლილი წყლის ჭურჭელი, რომელსაც მხარზე იკიდებენ თოკით“

უოხერ (ბზ., ქს.) < ქართ. ოხერ-ი 1. „უპატრონო, უთვისტომო, ეული“, 2. *გადატ.* „ეშმაკი, მოხერხებული, თაღლითი...“ (შდრ. უშგ. უირქნელ)

უოხერდ (ლშხ.)/**ოხერდ** (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. ოხრ-ად „ბლომად, დიდი რაოდენობით“

უოხთრის/**უოხდრის** (ბზ., ქს.)/**ოხთრის** (ბქ.) „სახსნილო (ყველისა, ხორცისა)“ < ქართ. (აჭარ.) უ-ხდ-ურ-ი „რძე და რძის პროდუქტები“ (ხევს., მოხ.) უ-ჴდ-ურ-ი „ერბო, ყველი“

უოხრახუშ (ზს., ლშხ.)/**ოხრახუ**/**უოხრაბუშ** (ბქ.)/**[უ]ოხრახუიშ** (ლნტ.)/**ოხრახუიშ**/**ოხრახუშ** (ჩოლ.)/**ხოხურაშ** (ეცერ.) *ბოტ.* < ქართ. ოხრახუშ-ი „ორწლოვანი მწვანილეული მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა...; იხმარება საჭმლის შესაკაზმად“ (შდრ. ბზ., ლშხ. **წგწყა**, ბქ. **წგნწბა**, ლშხ. **წგწბა**)

[უ]ოხროობა (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ოხრ-ობ-ა „სიბინძურე“ (შდრ. ბქ. **ნაურწყული**)

უოჯარ (ზს.)/**უოჯარ** (ლშხ., ჩოლ.) „ობოლი“ < ძვ. ქართ. ოჯერ-ი „უდაბნო, უშენი, აოხრებული; ნანგრევი, ცარიელი; კორდი, მოუხნავი, ყამირი“, ახ. ქართ. ოხერ-ი, შდრ. არაბ.-სპარს. **axīr** „უკანასკნელი, ბოლო“

უოჯახაშენებულ (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ოჯახაშენებულ-ი *გადატ.* „გამოხატავს უკმაყოფილებას, საყვედურს ისეთი პირის მიმართ, რომელსაც საერთოდ მორიდებით ეკიდებიან“

უოჯაბ/**ოჯაბ** (ზს., ლნტ.)/ **ოჯახ**/**უოჯახ** (ლშხ., ჩოლ.)/**უოჯაბ** (ჩოლ.) < ქართ. ოჯახ-ი (< თურქ.-სპარს. **oǰāq**) „ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან, – კომლი, სახლობა“ (შდრ. ზს., ქს. **მეზგე**; ბზ., ლშხ., ჩოლ. **მუკუპმე**, ბქ., ლნტ. **მუკუპმე**)

[უ]ოჯაბდაქცეულ (ლნტ.) < ქართ. ოჯახ-და-ქც-ეულ-ი „ლანძღვაა ერთგვარი“

[უ]ოჯაბი წეურაბლ (ბზ.)/**[უ]ოჯაბიშ წეურაბრ** (ბქ.) < ქართ. ოჯახ-ის წევრ-ები < ოჯახ-ი (თურქ.-სპარს. **oǰāq** „კერა, სახლი, სახლეული“) „ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან, – კომლი, სახლობა“ და წევრ-ი „ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი...“ (შდრ. ზს. **მეყულფა**)

უოჯაბურ (ზს.)/**უოჯახურ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უ-ოჯახ-ო (< ოჯახ-ი < თურქ.-სპარს. **oǰāq**) „ვისაც ოჯახი არა აქვს, – მარტოხელი“

[უ]ოჯელეშ/**[უ]ოჯოლეშ**/**ოჯალეშ** (ლნტ.) *ბოტ.* < ქართ. ოჯალეშ-ი „ყურძნის ერთ-ერთი ჯიში“

უუბორნია (ზს., ჩოლ.)/**ობორნიაჲ**/**უბორნიაჲ** (ჩოლ.) < ქართ. უბორნია (< რუს. **Уборная**) „საპირფარეშო“

უუბრალო (ზს.)/**უბრალო** (ქს.)/**უბრალუ** (ბზ.)/**უბრალ** (ქს., იფარ., უშგ.) < ქართ. უ-ბრალ-ო „ჩვეულებრივი, მარტივი...“ (შდრ. ზს., ლნტ. **მოცალ**, ლშხ., ჩოლ. **მოცალ**; ბზ. **მიქუდილ**, ბქ. **მოქდილ**; ბქ. **ტყარაბურა**; ლშხ. **ალა-მალა**)

უუბრალოდ (ზს.)/**უბრალოდ** (ქს.)/**უბრალდ** (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. უ-ბრალ-ო-დ „სადად, ჩვეულებრივად“ (შდრ. ბზ. **ცუიდიმუქუდილდ**, ბქ. **ცუიდიმოცალდ**, ლშხ. **ცუდმოცალდ**/**ცუდიმუქდუნად**, ლნტ. **ცუიდდიმოცალდ**; ბქ. **ცუიდდიშმეუარ**; ლშხ. **მე-**

მქადად; ლნტ. მოცალდ)

უუზრდელ/უზრდელ (ზს., ქს.)/უზდელ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. უზრდელ-ი „ვისაც ზრდილობა არა აქვს, თავაზიანობას მოკლებული, – ბრიყვი“ (შდრ. ზს., ლნტ. ფრაჴ, ლშხ. ფრაჯ; ბქ. ხოლამთე მეყუჩე)

უურემ (ზს., ჩოლ.)/ურემ (ზს., ქს.) < ქართ. ურემ-ი „ძველებური ორთვლიანი სადინარი“

უუსოუ (ბქ.)/უსოუ (ლშხ.) „უბარაქო“ < ქართ. სვე „ბედი, ბედისწერა“ (შდრ. ბქ. ბასქასჱრ)

უუქმობ (ზს., ლნტ.)/უქმობ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. უქმ-ობ-ა „უქმად მიჩნევა, გამოცხადება, – დღესასწაულობა“

უუჩიტელ/უჩიტელ (ზს.)/უჩიტელ (ბქ., ქს.)/უჩიტოლ (უშგ.) < ქართ. უჩიტელ-ი (< რუს. **Учитель**) „მასწავლებელი“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მუთური, ლნტ. მუთური)

უუცეფ-ილდ-აშ (ბქ., ლნტ.)/უცეფრლდ/უცებ-რლდ-აშ/უცეფ-რლდ-აშ (ლშხ.)/უცებ-რლდ (ჩოლ.) *კნინ. ფ.* „სწრაფად (ზედმიწ. – *უცებ-უკ-ა-ს)“ *ზმნის.* < ქართ. უცებ/უცაბედ-ად „წინასწარ გაუთვალისწინებლად, – მოულოდნელად“ (შდრ. ზს. შიშდ, ლშხ. [ა]შიშდ/აშდ, ლნტ., ჩოლ. [ა]შიშტ/აშტ)

ფ

ფა (ზს., ქს.)[85] < ქართ. ფა (< სპარს. **pahn** განი“, „განიერი“) „წვერი (ძაფისა), ცალი“

ფაბრიკა (ზს., ქს.)/ფაფრიკა/ფაფრიკაჲ (ბზ.)/ფაბრიკჳ (ბქ.) < ქართ. ფაბრიკა (< რუს. **фабрика** < ლათ. **fabrica**) „სამრეწველო საწარმო, მანქანური წესით ნედლეულის გადამმუშავებელი“

ფაზარ (ლშხ.) „სამკურნალო ბალახი, რომელიც ნანადირევის მუცელშია და მხოლოდ მონადირეები პოულობენ“ < ქართ. ფაზარ-ი (არაბ.-სპარს. ფა“ნზაჰრ „შხამის საწინააღმდეგო“) ძვ. 1. „ცხოველის ღვიძლში გაჩენილი გაქვავებული ნივთიერება; იხმარება სამკურნალოდ“, 2. „ერთგვარი ძვირფასი ქვა“, „ფაზარი ესე არს ქვა ნაღველთა (ანუ ღვიძლთა) შინა, რომელი ნიამურთა უფროსად გვარობს. სამკურნალოდ სახმარი ქვათაგანაც იქმნების ფაზარი რომელთამე თემთა“ (საბა), ზან. (მეგრ.) „საქონლის ავადმყოფობაა ერთგვარი“

ფათრაჳ (ბზ.)/ფათრეჳ (ბქ., ქს.)/ფაჳთრაკ (უშგ.) „ხიფათი“[86] < ქართ. ფათერაკ-ი (< ფალ. **patīrak** „შემთხვევა, შეხვედრა“) „მოულოდნელი უბედური შემთხვევა, უბედურება, ხიფათი; მარცხი“

ფათრჳკიან (ბზ.)/ფათრეკიან (ბქ., ლნტ.)/ფათრეკაჲ (ბქ.)/ფათრეკიან (ლშხ., ჩოლ.)/ფათერაკიან (ლნტ.) „ხიფათიანი“ < ქართ. ფათერაკ-იან-ი (< ფათერაკ-ი < ფალ. **patīrak**) „ხიფათიანი; მარცხიანი“

ფათქ (ზს., ქს.) „ორმო“ < ქართ. (იმერ.) ფათქ-ი/ფათქ-ა „წყლის სასმელი ჭურჭელი უპირატესად ლითონისა, – ტოლჩა“

ფაკან (ბზ., ლნტ.)/ფაკნი (ბქ., ლშხ.)/ფაკან (ლშხ., ჩოლ.)/ფაკაჲან (ჩოლ.) „ჯამი“ < ქართ. (თუშ., ფშ., ხევს., მოხ., ინგილ.) ბაკან-ი 1. „დიდი ჯამი ხისა ან სპილენძისა“, 2. „ვარცლის მსგავსი მრგვალი ჭურჭელი, რომელშიც რძეს ჩაწურავენ“ (საინგილოში იხმარება საწყაოდ), (მთიულ.) ბაკანა „ხის ან თიხის ჯამი“

ფაკელ (ბქ.) < ქართ. ფაკელ-ი (< რუს. **Факел**) „ჩირაღდანი, მაშხალა“ (შდრ. ბზ. მაშგუალ)

ფაკუ (ბზ.)/ფხაკუ (ბქ.)/ფხეკ (ჩოლ.) „ფლატე, კლდიანი აღმართი“ < ქართ. ფხაკო „გვერდობა კლდიანი“ (საბა); „გვერდობი კლდისა“; „ხრიოკი ფერდობი“, იმერ., რაჭ., ლეჩხ. ფხეკ-ი „იგივეა, რაც ფხაკო“, ქართლ. ფხაკე

ფალანგ (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ფალანგ (ბქ.) „ხარიხა, დანდალი, ქვიტკირის კედელში გაყრილი ხე, ხარაჩოების გასამართავი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) ფალანგ-ა (< სპარს. **palanga**) „დანდალი, ხარიხა“

ფალაუ̈ანდ (ბზ.)/ფალუ̈ანდ (ზს.)/ფალუ̈ანდ/ფალაუ̈ანდ (ლშხ., ჩოლ., უშგ.)/ფალუ̈ან (უშგ.) < ქართ. ფალავან-ი/ფალავანდ-ი (< სპარს. **fahlavān** „მოჭიდავე“, „გმირი“) „მოჭიდავე მოჭიდავის საპირისპიროდ; მოჭიდავე საერთოდ“, შდრ. ზან. (მეგრ.) ფალანდ-ი

ფალდა̈ (უშგ.) < ქართ. ფალია (< იტალ.-თურქ. **falya**) „ლულიდან სატენი სასროლი იარაღის საპირისწამლე (თოფის წამლითურთი), საიდანაც ნაპერწკალი მუხტს ხვდება...“

ფანდ (ზს., ქს.)/ფა̈ნდ (ბქ.) < ქართ. ფანდ-ი (< სპარს. **pand** „წესი“) „ჭიდაობის ხერხი, ჭიდაობისას გამოყენებული ილეთი; ხერხი, ხრიკი“ (შდრ. ლხმ. ქედენ)

ფანდუ̈ირ (ზს., ლნტ.)/ფანდურ (ბქ., ქს.) < ქართ. ფანდურ-ი „ერთგვარი სამუსიკო საკრავი, თითების ჩამოკვრით ასაჟღარებელი“

ფანელ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ფა̈ნელ (ბქ., ლნტ.) < ქართ. ფლანელ-ი (< რუს. **Фланель** < ფრანგ. **flanelle**) „ტილოს მსგავსად ნაქსოვი შალის ან ბამბის თბილი ქსოვილი“

ფანცალა̈ (ბზ.)/ფანცალა̈ (ბქ.)/ფანცალა̈ (ლშხ.)/ფანცალაა (ლშხ., ჩოლ.) „ბანდალა, ფანცალა, ბანცალა; ოთხფეხის ჭირი“ < ქართ. (ლეჩხ.) ფანცალა „ძაღლის სენია“

ფარ (ზს., ქს.)/ფა̈რ (ბზ.) < ქართ. ფარ-ი (< ფალ. **pāhr/pahr/parh** „დაცვა“) „უწინდელი საომარი იარაღი ლითონისა (ხისა ან ტყავისა)...“

ფარაღა̈თ (უშგ.) < ქართ. ფარაღათ-ი (/ფაღარათ-ი < არაბ. **farāyat**) „კუჭის აშლილობა“ (შდრ. ბზ. სხგჰ; ბქ. ტყგრ, ბქ. სხგრ)

ფარა̈ნ (ბზ., ლნტ.)/ფანა̈რ/ფანარ (ბქ.)/ფარან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ფარან-ი/ფანარ-ი (< რუს. **Фанар** < ბერძ. **phonarion** „სანთელი“) „მინისკედლებიანი კოლოფი, რომელშიც მოთავსებულია სანათი, – ლიფლიფა“

ფარა̈შ (ბზ.)/ფარეშ (უშგ.) „ფარეშ-ი, ჭანჭიკ-ი, სოლ-ი“ < ძვ. ქართ. (ქიზიყ.) ფარეშ-ი „ხის ლურსმანი; რკინის ჭანჭიკი“, (ხევს.) „ლითონის ჭურჭლის საკერებელი“

ფარგა (ჩოლ.) „გამხდარი ქალი“ < ქართ. ფარგა *გადატ.* „მეტისმეტად გამხდარი ადამიანი“

ფარგალ (ზს., ქს.) < ქართ. ფარგალ-ი (< სპარს. **pargar/perger** „რკალი“) „სამხაზველო იარაღი, რომელსაც აქვს ორი ფეხიერთმანეთთან სახსრით შეერთებული; იხმარება წრის შემოსახაზავად, ხაზის გასაზომად და სხვ.“

ფარდა (ზს., ქს.) < ქართ. ფარდა „ფანჯარაზე ან კარზე ჩამოსაფარებელი ქსოვილი...“

ფარდა̈გ (ბზ.)/ფარდა̈ქ (ბზ., ლნტ.)/ფარდაგ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ფარდაგ-ი (< ფალ. **partak**) „ფარდა, რიდე, ხალიჩა“

ფარდელ (ლშხ.) *გოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) ფერდელა „ლობიოა ერთგვარი“

ფარდულ (ზს., ქს.) < ქართ. ფარ-

დულ-ი 1. „გადახურული (ზოგჯერ უკედლებო) ნაგებობა შეშის, თივის, მოსავლის... შესანახავად, თამბაქოს საშრობად და სხვ.“, 2. „პატარა ფიცრული სავაჭრო, – კიოსკი...“

ფარეშ (ზს., ქს.) < ქართ. ფარეშ-ი (< არაბ. **farrāš** „მსახური“) „თავადაზნაურთა შინამოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე“

ფართუჯუ (ზს.)/ფართიკუ (ბქ.)/ფართუკ[უ] (ქს.) 1. „წინსაფარი“, 2. „ლავგარდანი“ < ქართ. ფართუკ-ი (< რუს. **Фартук**) „წინსაფარი“

ფარიკაობ[ა] (ლტ.) „თამაშის ერთ-ერთი სახეობა“ < ქართ. ფარიკ-ა-ობ-ა 1. „ხმლით, დაშნითა და მისთ. იარაღითა და ფარის შველებით შებმა საცდელად“, 2. „სპორტის ერთ-ერთი სახე – საცდელი ბრძოლა დაშნით, რაპირით, ესპადრონითა და სხვ.“

ფარნაი (ჩოლ.)/ფარნა (უშგ.) „რუხი, ნაცრისფერი ხარის სახელია“ < ქართ. ფარნა „იგივეა, რაც ფერდელა (ანუ ფერდთეთრი ფურო)“

ფარნაოზ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/ფარნაუაზ (ბქ., ჩოლ.) *ანთრ.* < ქართ. ფარნაოზ-ი (< ირან. **pharnawaz**, რომელიც იშლება შემდეგნაირად: ფარნა „ბრწყინვალე, მანათობელი“ და ბაზა „ხელი“ = „უბრწყინვალესი, დიდებული; მჭევრმეტყველი; ხელნათელი, ხელბრწყინვალე“) „მამაკაცის საკუთარი სახელი“

ფარონ (ბქ.) 1. „ფარაონი“, 2. „ტყე“ < ქართ. ფარაონ-ი (< ფრანგ. **fharaon** ეგვიპტ.-დან) „ძველი ეგვიპტის მეფეთა წოდებულება“

ფარსაგ (ბზ.)/ფარსაგ (ბქ.)/ფარცაგ (ლშხ., ჩოლ.)/ფარცაგ (ლტ.)/ფაცაგ (ჩოლ.) „ფარსაგი, კარგი“ < ქართ. (თუშ., ფშ., კახ.) ფარსაგ-ი (< ოს. **færssag** „საშუალი, გვერდითი, სხვა“) „რიგიანი, ხერიანი, გამოსადეგი; კარგი, კეთილი“, „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა), შდრ. ბქ. სარგბიშ

ფარფალ (ლხმ.) „ფარფლები (თევზისა)“ < ქართ. ფარფლ-ი „თევზის ფრთა“ (საბა)

ფარფაშაი (ბზ.)/ფარფაშა (ბქ.)/ფარფაშაი (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ფარფაშა (< ფარფაშ-ებ-ულ-ი) „ფართოდ გაშლილი, განიერი“

ფარჩა (ბზ., ქს.) 1. „ქსოვილი, სტავრა“, 2. ბზ. „სვანური ქუდი“ < ქართ. ფარჩა (< სპარს. **parčah** „ქსოვილი“) 1. „ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი“, 2. „ქსოვილი, ფართალი“

ფარჩა-ფურჩა (ლშხ.) < ქართ. ფარჩა-ფურჩა (< სპარს. **parčah** „ქსოვილი“) „ფარჩეული“

ფასკუნჯ (ზს., ლშხ.,ჩოლ.)/ფასკუნინჯ (ბქ., ლტ.) *ზოოლ.* < ქართ. ფასკუნჯ-ი (< სპარს. **fraš** „საცარი, ძლიერი, ბრწყინვალე“ + თურქ. **qus** „ფრინველი“) 1. „საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი ქორისებრთა ოჯახისა“, 2. „ზღაპრებში – დიდი ზომის ფრინველი, ჩეულებრივ კეთილის, სიკეთის განსახიერება“, 3. „ტანითა მსგავსი ლომისა; თავი, ნიკარტი, ფრთე და ფერხი მსგავსი არწივისა“ (საბა)

ფასობ (ბქ., ჩოლ.) „[გა]მოსავლიანობა (ზედმიწ. – *ფას-ობ-ა)“ < ქართ. ფას-ი (< ძვ. ალან. ***fæs**(**ſas**) „ცხვარი“) 1. „ფულადი ღირებულება საქონლისა“, 2. „ღირებულება, მნიშვნელობა...“

ფაფალ[1] (ზს., ქს.) „ვირის, ცხენის ფაფარი“ < ქართ. ფაფარ-ი „კისრის გრძელი ბალანი (ცხენისა, ლომისა...)

ფაფალ[2] (ბქ.) *გადატ.* „ზეგანი, გორაკი, გორა“ < ზან. (მეგრ.) ფაფალა „ხრამი, ფლატე; ფრიალო ციცაბო; უფსკრული, ქარაფი“, შდრ. მეგრ. ფაფალ-ამ-ი „ხრა-

მიანი, ფლატე ადგილი“

ფაფნაგ (ბზ.) < ქართ. ფაფანაკ-ი „მომრგვალო, ბრტყელი თავსახურავი (მამაკაცისა), რომელსაც ჩეულებრივ ნიკაპქვეშ ზონრით ამაგრებდნენ“

ფაფრიკა (ბზ.) „ზღაპრის პერსონაჟი“ *ანთრ.* < ქართ. ფაბრიკა (< რუს. **фабрика** < ლათ. **fabrica**) „სამრეწველო საწარმო, მანქანური წესით ნედლეულის გადამმუშავებელი“

ფაქუტ (ქს.)/ფაქუტაჲ (ჩოლ.) „ფაცხა, ჯარგვალი, ქოხი“ < ქართ. (ლეჩხ.) ფაქუტა „ისლით გადახურული ძველებური სახლი“

ფაყუ (ხს., ქს.) < ადიღ. ფაყ'ა/ფაჟ'ა „ქუდი“, შდრ. ყაბარდ. ფჟჟ, უბიხ. ბაყჟ და ზან. (მეგრ.) ფაყუ „ქუდი, თავსაბურავი“

ფაშარ (ჩოლ.) „ფხვიერი“ < ქართ. ფაშარ-ი „პური საფხვნელი“ (საბა); „გამოფიტული, ფშვნადი“

ფაშაჲ/ფაშარაჲ (ბზ.)/ფაშა (ბქ., ლნტ., უშგ.)/ ფაშაჲ (ჩოლ.)/ფაშა (უშგ.) < ქართ. ფაშვ-იან-ი „ღიპიანი“ (შდრ. ბზ., ლნტ. გობრანჯაჲ, ლშხ., ჩოლ. გობრანჯაჲ; ლშხ. ფიზლაჲ)

ფაშაჴ (ბზ.)/ფაშატ (უშგ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ფაშატ-ი „დედალი ცხენი, ვირი..., – ჭაკი“

ფაჩანდურ (ლშხ., ჩოლ.)/ფაჩანდურ/ფანჩატურ (ლნტ.)/ფეჩენდურ (ჩოლ.) < ქართ. ფანჩატურ-ი „ფოთლის დერეფანი“ (საბა); „ფოთლიანი ფიჩხით დახურული საჩრდილობელი, უკედლებო“

ფაჩუჩ (ხს., ქს.) < ქართ. ფაჩუჩ-ი „საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი, – ჩუსტი; ბავშვის ფეხსაცმელი რბილი ტყავისა“

ფაჩხატაჲ (ლშხ., ჩოლ.) „მეტისმეტად გამხდარი ადამიანი“ < ქართ. ფაჩხატ-ი/ფარჩხატ-ი/ფარჩხატა „შორიშორ წყობილი“ (საბა), „ერთმანეთს დაცილებული ნაწილებისაგან შემდგარი, – თხელი, მეჩხერი (მტევანი, წვერ-ულვაში, ყვავილედი...)“

ფაცერ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ფაცერ (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ფაცერ-ი „თევზის საჭერი ლასტის მახე ღარისნაირი, წყალში ჩადგმული“

ფაციც (ლშხ.) „ფრთხილი“ < ქართ. {გა}-ფაციც-ებ-ულ-ი „ყურადღებაგამახვილებული, დაძაბული“ (შდრ. ხს., ქს. ლეგნთხლე; ბქ. ცუანარ)

ფაცხ (ხს., ქს.) < ქართ. ფაცხა „წნული სახლი“ (საბა); „უჭერო და უიატაკო ქოხი ისლით, ჩალით და მისთ. დახურული“

ფახ (ხს.)/ფჳხ (ჩოლ.) < ქართ. ფახ-ი „მოჩვენებითი გამბედაობა, – რიხი“

ფაჰდა (ხს.)/ფაჰდა (ლშხ.)/ფაიდა (ჩოლ., ლხმ.) „ბარაქა, ბედი“ < ქართ. (გურ., ქიზიყ.) ფაიდ-ი (< თურქ. **fayda** < არაბ. „სარგებლობა, სარგებელი, სარფა“) „ხეირი, სარგებელი, ნაყოფიერება“ (შდრ. ბქ. ძღუერ), იხ. ნაფაიდაგ

ფაჰტონ (ხს.)/ფაჰტონ (ლშხ.) < ქართ. ფაიტონ-ი (/ფაეტონ-ი < ბერძ. **phaethōn** „ბერძნულ მითოლოგიაში მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილის სახელიდან“) „გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლი“

ფარისეველ/ფარისეველ (ბზ.)/ფარისეველ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ფარისეველ-ი (< ძვ. ბერძ. **pharisaioi** ძვ. ებრ.-იდან) 1. „ძველ ებრაელებში – მიმდევარი რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობისა, რომელსაც ახასიათებდა ღვთისმსახურების წესების პედანტური შესრულება სხვის დასანახავად“, 2. *გადატ.* „ფლიდი, თვალთმაქცი, ცბიერი“ (შდრ. ხს., ჩოლ. ჩითახურ; ხს.

ურშულიან; ბქ. დურბლიან; ბქ. ჩორთლიან)

ფარფ (ზს.)/ფარფ (ლშხ.) „ფარფლი, კიდე“ < ქართ. ფარფლ-ი 1. „თევზის ფრთა“ (საბა), 2. „ბრტყელი წრიული ნაპირი რისამე (ქუდისა, ჭურჭლისა...)“

ფარშიუ (ზს., ლნტ.)/ფარშიუ (ბზ., ჩოლ.)/ფალშიუ (ჩოლ.)/ფარშა (ლხმ.) „ყალბი, ორგული, არაგულწრფელი, მატყუარა, ზერელედ მომუშავე, ფარშივი; ბინძური“ < ქართ. (იმერ., გურ.) ფარშივ-ი (< რუს. **Фальшивый**) 1. „ყალბი, ცრუ“, 2. „პირფერი, არაგულწრფელი“ (შდრ. ზს. უჩფანთურ, ლშხ., ჩოლ. უჩფანთურ; ზს. ბალაყანტურ)

ფარშიუდ (ზს., ლნტ.)/ფარშიუდ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ფალშიუდ (ჩოლ.) „ყალბად, არაგულწრფელად, ზერელედ“ *ზმნის.* < ქართ. (იმერ., გურ.) ფარშივ-ად (< ფარშივ-ი < რუს. **Фальшивый**) 1. „ყალბი, ცრუ“, 2. „პირფერი, არაგულწრფელი“ (შდრ. ზს. უჩფანთურად, ლშხ., ჩოლ. უჩფანთურად; ზს., ჩოლ. ბალაყანტურად; ლშხ., ჩოლ. ანასტრაშდ; ლნტ., ჩოლ. ალახმალახდ)

ფარშმაგ/ფარშმაგ (ბზ.)/ფარშაუნგ (ზს., ლნტ.)/ფარშმაგ (ჩოლ.)/ფარშაუნგ (უშგ., ჩოლ.)[87] *ზოოლ.* < ახ. ქართ. ფარშევანგ-ი (< სამ. ირან. ***paršamarg**) „მოზრდილი ფრინველი ქათმისებრთა ოჯახისა...“, შდრ. ძვ. ქართ. ფარშამაგ-ი/ფარშამანგი

ფარ-ხანგარ (ზს.)/ფარ-ხანგარ (ბზ.)/ფარ-ხანგარ (ლშხ.)/ფარ-ხანჯარ (ლნტ.)/ფარე-ხანგდარ (ჩოლ.) „ფარ-ხმალი“ < ქართ. ფარ-ხანჯალ-ი (< ფალ. **pāhr** „ფარი“ და სპარს.-თურქ. **xanǰar**) „ფარი და ხანჯალი“

ფას (ზს., ლნტ.)/ფას (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ფას-ი (< ძვ. ალან. ***fæs(fas)** „ცხვარი“) 1. „ფულადი ღირებულება საქონლისა“, 2. „ღირებულება, მნიშვნელობა...“

ფასურ (ზს.) „ფასის გარეშე“ < ქართ. უ-ფას-ო (< ფას-ი < ძვ. ალან. ***fæs(fas)** „ცხვარი“) „უსასყიდლო“ (შდრ. ზს. მეუარ; ბქ. მეუარიშკაფდ)

ფატუ (ბზ., ლნტ.)/ფეტუ (ბქ., ქს.)/ფატუ (ჩოლ., უშგ.) *მოტ.* < ქართ. ფეტვ-ი „პურეული მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა“

ფატუობ (ბზ., ლნტ.)/ფეტუობ (ბქ., ქს.)/ფატუობ (ჩოლ., უშგ.) „ფეტვის მოსავლიანობა (ზედმიწ. – ***ფეტვ-ობ-ა**)“ *მოტ.* < ქართ. ფეტვ-ი „პურეული მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა“

ფაშ (ზს.)/ფაშუ (ბქ., ლნტ.)/ფაშ{უ} (ლშხ.)/ ფაშ (ჩოლ.) < ქართ. ფაშვ-ი „მცოხნავი ცხოველის კუჭის პირველი განყოფილება, რომელშიც ჩადის გაუცოხნავი საჭმელი“, *საუბ.* „დიდი მუცელიადამიანისა, – ღიპი“, შდრ. ფშ. ფაშ-ი (შდრ. ზს., ლშხ. ქაშბეკ „მუცელი, ფაშვი“)

ფანთხ (ლშხ., ჩოლ.)/ფანთხ (ლნტ.) „ობობას ქსელი, აბლაბუდა“ < ქართ. (რაჭ.) ფანთხ-ი „ბანდღი, ქსელი“ (შდრ. ბქ. ბენდუ/ღ)

ფაქარ (ლშხ.)[88] < ქართ. ფეიქარ-ი (< სპარს. **ფა*იქარ**) „ქსოვილის დამამზადებელი ოსტატი, საფეიქრო წარმოშობის მუშა, – მქსოველი“, შდრ. გურ. ფაიქარ-ი „მალიან სწრაფი, მალი“

ფარა (ბზ.) „საზომი ერთეული (ფულისა)“ < ქართ. (გურ., იმერ., აჭარ.) ფარა (< სპარს.-თურქ. **para**) „ფული საერთოდ“

ფარცხ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ფანცხ (ლნტ.) „ლასტი“ < ქართ. ფარცხ-ი „სასოფლი-სამეურნეო იარაღი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად (და თესლისათვის მი-

წის მისაყრელად)...“

ფეთიან (ბქ.)/ფეთენ/ფეთიან (ლშხ., ჩოლ.) „საშიშარი, სახიფათო; ბრაზიანი“ < ქართ. ფეთ-იან-ი „დაფეთებული, დამფრთხალი, შეშინებული“ (შდრ. ბზ. ფგლენან, ბქ. ფგლენან; ბზ. თხანან; ქს. უკაფ; ბქ. ფხულელან)

ფელამუშ (ზს., ქს.)/ფელანდიშ/ფელამიშ (ლნტ.) < ქართ. ფელამუშ-ი „ნადუღი ყურძნის ტკბილისა და სიმინდის (ხორბლის) ფქვილისაგან გაკეთებული (მოდუღებული) ფაფისებური საჭმელი“

ფელიკ (ზს., ქს.)/ფელკ (ლშხ.) „გვერდი, ფეშხო“ < ქართ. (გურ., რაჭ., ქიზიყ., ხევს.) ფელიკ-ი „საკლავის მეოთხედი“

ბუირ (ზს., ქს.) „იშვიათი; ბვირი“ < ქართ. ბვირ-ი (< ფალ. **zūr** „სიცრუე, ტყუილი, სიავე“) „დიდი ფასის მქონე; არახშირი, იშვიათი“ (შდრ. ზს. მერხალდ)

ბუირდ (ზს., ქს.) „იშვიათად; ბვირად“ *ზმნის.* < ქართ. ბვირ-ად (< ფალ. **zūr** „სიცრუე, ტყუილი, სიავე“) „იშვიათად, ხანდახან“ (შდრ. ზს. მერხალდ)

ბუირდ{გარ} (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „იშვიათად (ზედმიწ. – **ბვირ**-ად მხოლოდ)“ *ზმნის.* < ქართ. ბვირ-ად (< ფალ. **zūr** „სიცრუე, ტყუილი, სიავე“) „იშვიათად, ხანდახან“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ჳრბაშინ**, ბქ. **ჳობაშინ**)

ბუირობ (ზს., ქს.) „სიბვირე“ < ქართ. ბვირ-ობ-ა (< ფალ. **zūr** „სიცრუე, ტყუილი, სიავე“) 1. „სიბვირე“, 2. „იშვიათობა; კლება, ლევა“

ბუირფას (ზს., ლნტ.) /**ბუირფას** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ბვირფას-ი „რაც ბვირად ფასობს, – დიდი ფასის მქონე, ბვირად ღირებული; მდიდრული“

ბღაბ (ჩოლ.) *გადატ.* „ავი, კაპასი ქალი“ < ქართ. (იმერ., გურ.) ბღაბ-ი (< ზან. (მეგრ.) ბღაბ-ი „გოგონა“) „პატარა გოგო“

ბღაბ-ბოშ (ბქ.) „ქალაბიჭა“ *ზღაპრ.* < ზან. (მეგრ.) ბღაბ-ბოშ-ი „გოგობიჭი“

ბღიკ/**ბღიკად** (ჩოლ.) „მეტისმეტად გამხდარი ბიჭი“ < ქართ. (იმერ.) 1. ბღინკ-ი „გამხდარი, მჭლე, ბღინკი“, 2. გურ., ლეჩხ. „ძველი დაფლეთილი ტანსაცმელი“

ბღენ (ზს., ქს.)/**ბღენ** (ლხმ.) < ქართ., ზან. (მეგრ.) ბღვენ-ი „საჩუქრად მირთმეული რამ, – მოსაკითხი“ (შდრ. ზს., ქს. ჯიდ)

ბღუიდ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**ბღუდ**

(ლშხ.)/ზღუნდ (უშგ., ლხმ.) < ძვ. ქართ. ზღუდე „კედელი, ღობე“, ახ. ქართ. „რისამე დასაცავად გარშემოვლებული რამ (კედელი, ღობე...)“, შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ციბ

ძღუირჳ (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ძღვირა/ძღვირ-ალ-ი „ბღვერია; უშნოდ გამომზირალი, დაბღვერილი“ (შდრ. ბზ. მესხჳირანწლ, ბქ. მესხჳირანა/ელ; ბქ. მესჳიტანა/ელ), იხ. ლი-ძღჳირ-ან-ა/ელ

ძღგდ (ბზ., ჩოლ.)/ძღგდ (ლშხ., ჩოლ.) /ძღუდ (ლნტ.) „დიდი“ < ძვ. ქართ. ზღუდე „კედელი, ღობე“, ახ. ქართ. „რისამე დასაცავად გარშემოვლებული რამ (კედელი, ღობე...)“, შდრ. ზს., ქს. ხოშა

ძგგრ (ბზ., ქს.)/ძიგირ (ბქ.) „ეკლნარი, ძეძვი“ < ზან. (მეგრ.) ძიგირი/ძგგრ-ი/ძგგირ-ი „ეკალი; ეკალბარდი; ეკალღიჭი“, ძიგირ-ამ-ი „ეკლიანი“, ძიგირ-ე „ეკალა“, ძიგირ-ონ-ი/ძიგირ-ონ-ა „ეკლნარი, ეკალბარდიანი ადგილი“[119]

წ

წაგაბ-მოგაბ (ბზ.) < ქართ. წა-გ-ებ-ა-მო-გ-ებ-ა „წაგება და მოგება“

წაგება (ზს.)/წაგაბ (ბზ.)/წაგაბ (ლნტ.) /წაგებ (ლშხ.)/წაგებ (ჩოლ.) < ქართ. წა-გ-ებ-ა „ზარალის ნახვა, დანაკლისი; დამარცხება...“

წაკ (ჩოლ.) „მეტისმეტად მკავე“ < ქართ. (ქიზიყ.) წაკ-ი/წაკა 1. „იგივეა, რაც წათხი“, 2. თუშ. „იგივეა, რაც შრატი...“

წაკაბ (ზს.)/წალკაბ (ლნტ., უშგ.) /წალკიატ (ჩოლ.) < ქართ. წალკატ-ი 1. „წერაქვის მსგავსი ქვის სათლელი იარაღი“, 2. (იმერ., გურ.) „იგივეა, რაც წერაქვი“, (გურ.) წაკატ-ი „იგივეა, რაც წალკატ-ი“

წალ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „წყალნარევი ჩირქი“ < ქართ. წალა „ნარწყევი კუჭის წვენი და ნაღველი (ზაფრის აშლისას), – ბალღამი“ (შდრ. ბზ. თჳრ, ბქ., ლნტ. თჳრ, ლშხ., ჩოლ. თჳრ)

წალა (ჩოლ.)/წალ (უშგ.) < ქართ. (ლეჩხ.) წალა „მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მერქანი“

წალკოტ (ჩოლ.) *ტოპ.* < ქართ. წალკოტ-ი (< სომხ. ցaŋkot) „ყვავილიანი ბაღი, – ედემი“

წალკუეტ (ბზ., ჩოლ.) < ქართ. წალკოტ-ი (< სომხ. ցaŋkot) „ყვავილიანი ბაღი, – ედემი“ (შდრ. უშგ. უელჯიფ „ბალახით მოსილი მინდორი“)

წამებუ-ან (ჩოლ.) „მონათესავე, ნათესავების მოყვარული (ზედმიწ. – წამებ-ულ-იან-ი)“ < ქართ. წამ-ებ-ულ-ი „რაც იწამეს, დაიჯერეს, ირწმუნეს“ (შდრ. ბზ. მგწათი/მგწათურ, ბქ. მგწათი, ლშხ., ჩოლ. მგწათი, ლნტ. მგნათი)

წანკ (ლშხ., ჩოლ.) „ბუშის ბუში“ < ქართ. (თუშ.) წანკ-ი „უხეირო, უვარგისი“, ლეჩხ. „ცუდი ენის პატრონი, – მოენე“, შდრ. რაჭ., ქართლ. წანკ-ლ-იან-ი „მწარე, გესლიანი“

წარ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მ-წარ-ე „ცხარე, არასასიამოვნო გემო“ (შდრ. ზს. მგხიმ; ლშხ. მგლნი, ლნტ. მგლჳნი; ბზ. წაქრუ; ბქ. მგწიბ/მგწბია; ლშხ. წაკარაგ; უშგ. მუსტინ; უშგ. მულიყუ; უშგ. მგძიღ)

წარდ (ლშხ., ჩოლ.) „სასტიკად, მეტისმეტად“ *ზმნის.* < ქართ. მწარე-დ გადატ. „მეტისმეტად შემაწუხებლად, მტკივნეულად“

წარმართ/წარმჳრთ (უშგ.) „ბარბაროსი“ < ქართ. წარმართ-ი „წარმართობის

მიმდევარი, – კერპთაყვანისმცემელი“

წარმ̈თ (ზს.)/წარმ̈თილ̈შ (ბქ.)/წამ̈თ (ბზ.)/წარმათ (ლშხ., ჩოლ.) „არიქა, აბა შენ იცი, იყოჩაღე“, შდრ. ბზ., ლხმ. მრ. რ. წართუ *შორისდ.* < ქართ. წარმართ-ი „წარმართობის მიმდევარი, – კერპთაყვანისმცემელი“

წარმოება (ზს., ქს.)/წარმოებ̈ (ზს., ლნტ.) < ქართ. წარმოება „მრეწველობის დარგი, – იგივეა, რაც საწარმო“

წარმოშობილ (ჩოლ.) < ქართ. წარმოშობილ-ი „რაც ან ვინც წარმოიშვა ან წარმოშვეს, – გაჩენილი, წარმოქმნილი“

წარღუნა (ზს., ქს.)/წარყუნა (ჩოლ.) „სტიქია“ < ძვ. ქართ. წარღუნა „წარღვნა, წალეკვა“, ახ. ქართ. წარღვნა „წალეკვა, წყალდიდობა“

წასაგება (ზს.)/წესაგება (ზს.)/წასაგებ/წესაგება (ლშხ.) *რელიგ.* < ქართ. წეს-ის ა-გ-ებ-ა „მღვდელმსახურების შესრულებით დასაფლავება მიცვალებულისა“

წასაგებელ (ლხმ.) < ძვ. ქართ. წასაგებელ-ი „დასახარჯი“

წაუ (ლშხ., უშგ.)/წყაუ (ლშხ.)/წყაუ (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. წავ-ი „მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა; წყლის პირას ცხოვრობს და თევზით იკვებება, – თახვი; ბვირფასი ბეწვი აქვს“

წაქ (ზს., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (იმერ., გურ.) წაქ-ი/წაქა „სველი, შრატი“, შდრ. ფშ. წაკა (შდრ. ლნტ. წრაქ, ნაწრექ)

წაქ̈ა (ზს.)/წაქ̈ (ბქ.) „შრატის მოყვარული (ზედმიწ. – წაქ-ია)“ < ქართ. (იმერ., გურ.) წაქ-ი/წაქა „სველი, შრატი“, შდრ. ფშ. წაკა

წაღა{ილ] (ლშხ.) *კნინ. ფ.* < ქართ. წაღა „მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი, – ჩექმა; წუღა“, იხ. წუღა და წუღუზ{არ}

წაღდ ი უკუღდ/წაღმდ ი უკუღმდ /წაღდ ი უღუღდ (ლშხ.)/წაღმდ ი უკუღმდ (ჩოლ.) „განუწყვეტლივ“ *ზმნის.* < ქართ. წაღმა-უკუღმა „წინ და უკან“

წაღმ̈რთ (ბზ.)/წაღმართ (ლშხ., უშგ., ჩოლ.) „სახეირო, სასარგებლო, სასიკეთო“ < ქართ., ზან. (მეგრ.) წაღმართ-ი „მართალი, სწორი“

წ̈დილ (ზს.)/წადილ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წადილ-ი „სურვილი, ნდომა“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. მანდ/მანდა)

წ̈თხ (ზს., ლნტ.)/წათხ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) „მარილწყალი“ < ქართ. წათხ-ი „ყველის შესანახად მომზადებული მარილიანი შრატი (ან წყალი), – წაკი“

წ̈ლდ (ბზ., ლნტ.)/წალდ (ქს.)/წ̈ლდ (ლშხ., ჩოლ.) 1. ბზ. „ეჩო“, 2. ბზ., ლშხ. „ნაჯახი“ < ქართ. წალდ-ი „ხისტარიანი წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი“ (შდრ. ბქ. ნ̈ა{ნ]სოლ)

წ̈მ (ზს., ლნტ.)/წამ (ლშხ., ჩოლ.) /წუ̈მ (ლხმ.)[120] < ქართ. წამ-ი „წუთის მესამოცედი ნაწილი, – სეკუნდი“ (შდრ. ზს., ლნტ. რაკ, ლშხ., ჩოლ. რაკ)

წ̈მ-წუთ (ლნტ.) „წამდაუწუმ (ზედმიწ. – წამ-წუთ-ი)“ < ქართ. წამ-ი „წუთის მესამოცედი ნაწილი, – სეკუნდი“ და წუთ-ი „დროის მონაკვეთი – შეადგენს საათის ერთ მესამოცედ ნაწილს და შეიცავს სამოც წამს“

წ̈რუ (ბზ.)/წაუ (ლშხ., ჩოლ., ლხმ.) *ზოოლ.* < ქართ. წავ-ი „მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა, ბვირფასბეწვიანი“

წ̈ხდინ (ბზ.) „ბინძური“ < ქართ. წახდენა „უვარგისად გახდომა, – გაფუჭება; დაზიანება; განადგურება...“

წ̈რ/წ̈რ (ბზ.)/წ̈რ (ბქ.) *ზოოლ.* < ქართ. წერო „ჭაობის მიმომფრენი ფრინველი; დიდი ტანისაა, აქვს მაღა-

ლი ფეხები და გრძელი, სწორი ნისკარტი“

წებო (ზს., ქს.) < ქართ. წებო „ნივთიერება (მეტწილად ხსნარის სახისა), რომლითაც სხვადასხვა საგნებს ან საგნების ნაწილებს ერთმანეთზე აკრავენ, ამაგრებენ“ (შდრ. ჩოლ. სᲅტი)

წელკაუ (ლშხ., ჩოლ.) „ცხენის ავადმყოფობა“ < ქართ. წელ-კავ-ი 1. „წელის გაშეშება; სიბის შეხმობა“ (საბა), 2. „რქოსანი პირუტყვის დაავადება“

წერაქუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წერაქვ-ი „მაგარი საგნების სანგრევი ხისტარიანი იარაღი რკინისა“

წერᲂლ (ზს., ლნტ.)/წერალ (ლშხ., ჩოლ.) „სასოფლო საბჭოს მდივანი“ < ქართ. მწერალ-ი „კანცელარიის მუშაკი, რომელიც საქმის ქაღალდებს ადგენდა“

წერექუ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/წერაჭუ (ბზ.)/წერქუა (ბქ.)/წერაქუ (ლნტ., ჩოლ.) /წერქუაჲ (ჩოლ.) *გოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) წერაქო/წერექო „თომი“, ზან. (მეგრ.) წერაქვა

წერილ (ზს., ქს.) < ქართ. წერილ-ი „ბარათი...“ (შდრ. ზს., ლნტ. ლᲂჲრ, ლშხ., ჩოლ. ლაირ)

წერლობ (ბზ., ლშხ.) < ქართ. მწერლობ-ა „მწერლის საქმიანობა, სამწერლო მოღვაწეობა“

წერტ (ზს., ქს.) < ქართ. წერტ-ი „ზოგიერთი (სამეურნეო) დაწესებულებისა და ორგანიზაციის სახელწოდება, – პუნქტი“

წერტილ (ზს., ქს.) < ქართ. წერტილ-ი „რისამე წვერით დასმული სასვენი ნიშანი...“

წეს (ზს., ქს.) „წესი, ადათი“ < ქართ. წეს-ი (< სომხ. *ժხս* „ჩვეულება“) 1. „გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეულება“, 2. „წესები – გარკვეული ქცევის ნორმათა ერთობლიობა, კრებული“, 3. „იგივეა, რაც წესრიგი...“ (შდრ. ბზ., ლნტ. შᲂნმ, ბქ. შუმ, ლშხ. შუმ/შგმ; უშგ. ზგნე)

წესდ[1] (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. წესად „ჩვეულებად“ (შდრ. ბქ. ელწესდ)

წესდ[2] (ზს., ქს.) *ზმნის.* < ქართ. წესიერ-ად „ისე, როგორც წესი მოითხოვს, წესის შესაბამისად, სათანადოდ“

წესიერ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/წესიერ (ბქ., ლნტ.) < ქართ. წეს-იერ-ი „ნორმალური, ხეირიანი“

წესიერდ (ბზ.)/წესიერდ (ბქ., ქს.) *ზმნის.* < ქართ. წეს-იერ-ად „ნორმალურად, ხეირიანად“

წესიერობ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/წესიერობ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)/წესილობ (ჩბხ., ლხმ.) „პატიოსნება“ < ქართ. წეს-იერება-ა „რიგიანობა, ღირსეულობა“

წეს-ჩუეულება (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წეს-ჩვეულება „რელიგიით ან ტრადიციით დაწესებული მოქმედება“

წეურ (ზს., ქს.) < ქართ. წევრ-ი „ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი...“

წეუჯარ/წეუჯარ (ზს.)/წეუჯარ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/წაუჯარ (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. მ-წევ-არ-ი „სანადირო ძაღლი...“, შდრ. იმერ. წევარ-ი

წეუჯარ-მეძბარ (ბზ.)/წეუჯარ-მეძბარ (ზს.)/წეუჯარ-მეძბარ/წეუჯარ-მეძმარ (ლშხ.)/წეუჯარ-მაძებარ/წეუჯარ-მაძებარ (ლნტ.)/წაუჯარ-მეძებარ (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. მ-წ-ევ-არ-მე-ძ-ებ-არ-ი „მწევარი და მეძებარი“

წია (ზს.)/წგა (ეცერ.) 1. ზს. „პატარა წიწილი“, 2. ლხმ. „ვარია“, 3. ეცერ. „ვარია, წიწილი“ < ქართ. (ქართლ.) წია „წიწილი“

წიაღ (ლშხ., ჩოლ.) „მაგარი, მკვრივი (დუღაბი)“ < ქართ. წიაღ-ი 1. „იგივეა, რაც უბე“, 2. „შიგნითა ნაწილი, სიღრმე“,

3. „დედამიწის შიგნეთი...“, ქართლ. წიაღ-იან-ი „ძარღვიანი (პური, თიხა)“

წიგნ (ქს.) < ქართ. წიგნ-ი „ტექსტის შემცველი ფურცლები, ერთად აკინძული (ჩვეულებრივ, ნაბეჭდი). || დიდი მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოები (ცალკე გამოცემული)“, „წერილი, ბარათი...“ (შდრ. ზს., ლნტ. **ლაბარ**, ლშხ., ჩოლ. ლაირ)

წიდ (ზს.)/**წიდრ** (ჩოლ.) 1. „სიბინძურე, წვირე, ჭუჭყი“, 2. „ძროხის მომყოლი“ < ძვ. ქართ., თუშ., ხევს., ფშ., მთიულ.-გუდ. 1. წიდა „გადადნობის (ან ჭედვის) მინერალური ნარჩენი, – ხენჯი“, 2. „გაცივებული მაგმა“, 3. „სიბინძურე“ (შდრ. ზს. **ხოლერება**)

წიდბარ (ბზ.)/**წიდბარ** (ბქ., ლნტ.) /**წიდრბ** (ბქ.)/**წიდბარ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წიდ-იან-ი „წვირიანი, ჭუჭყიანი“

წითელ (ბზ., ლხმ.) < ქართ. წითელ-ი „სისხლისფერი, ჭიაფერი, ძოწისფერი“ (შდრ. ზს., ჩოლ. **წერნი**)

წითელკინწაი (ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. (ლეჩხ.) წითელ-კინწა „სქელფოთლიანი მრავალწლოვანი მცენარე, – მსუქანა“

წითლაბი (ბზ.)/**წითელბ** (ბქ., ლნტ.) /**წითლბ** (ბქ., უშგ.)/**წითლაი** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წითელა „მწვავე გადამდები სნეულება...“

წიკარტ (ბზ., ლნტ.)/**წიკარტ** (ლშხ.) /**წიკმარტ** (ჩოლ.) „ქამრის ლითონის ენა; ფეხსაცმლის ენა“ < ქართ. (ლეჩხ.) წიკარტ-ი „ქამრის ლითონის ბალთა“

წილ (ზს., ქს.) < ქართ. წილ-ი „ნაწილი; ხვედრი, კერძი“ (შდრ. ბზ. **ლგმათი**; ბზ. **ნათი**, ბქ., ლნტ. **ნათი**, ლშხ., ჩოლ. **ნათი**)

წილადობილა (ჩოლ.) „დაუსრულებელი თხრობა რაიმესი; ქვეყნის ამბავი“ < ქართ. წილადობილა „მიდებმოდება, აბდა-უბდა ლაპარაკი“

წიმწარ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**წიმწარ** (ლშხ., ჩოლ.) „მრავალძარღვა“ *ბოტ.* < ახ. ქართ. ძირ-მ-წ-არ-ე/ა „მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენება“, შდრ. ძვ. ქართ. ძი-მ-წარ-ე, იხ. **ძიმწარ**

წინასწარმეტყველ (ზს., ქს.) *რელიგ.* < ქართ. წინასწარ-მეტყველ-ი „ღვთის ნების წინასწარ მაუწყებელი“

წინასწარმეტყველობ (ზს., ქს.) < ქართ. წინასწარ-მეტყველ-ობ-ა „წინასწარმეტყველის მდგომარეობა, წინასწარმეტყველად ყოფნა“ (შდრ. უშგ. ლილობუალ)

წინაღმდეგ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**წინამდეგ**/**წინააღმდეგ** (ლნტ.) /**წილამდეგ** (ლხმ., ბეჩ.) < ქართ. წინააღმდეგ-ი „მოწინააღმდეგე“

წინაღმდეგობ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**წინამდეგობ**/**წინააღმდეგობ** (ლნტ.) /**წილამდეგობ** (ლხმ., ბეჩ.) < ქართ. წინააღმდეგობა „ურჩობა, დაუმორჩილებლობა“ (შდრ. ბზ. **ლიტხიულ**, ბქ. **ლიტხელ**/**ლიტხალ**, ლნტ. **ლიტხიელ**)

წინდ (ზს., ქს.) 1. „საწინდარი“, 2. ლხმ. „ბოროტად მიმართული, უკუღმა აწყობილი“, 3. ლხმ. „გადაჭრილი მოქმედება“ < ქართ. წინდ-ი „გირაო, – იგივეა, რაც საწინდარი“

წინდბაი (ბზ.)/**წინდბ** (ბქ.)/**წინდაი** (ლშხ., ჩოლ.) /**წინდა** (ლნტ.)/**წინდბრ** (უშგ.) < ქართ. წინდა „ნაქსოვი ფეხსაცმოსი“ (შდრ. ზს. **ბერ**)

წინსაფარ (ზს., ლნტ.)/**წინსაფარ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წინსაფარ-ი „ქსოვილისა და მისთ. საგანგებოდ შეკერილი ნაჭერი, რომელსაც იფარებენ წინა მხრიდან (ტანისამოსის დასაცავად გაჭუჭყიანებისაგან), – გულსაფარი“

წინუბაი (ბზ.)/**წინუბაი** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წუნია „ვინც ყველასა და ყველა-

ფერს იწუნებს“ (შდრ. ბზ. ცხრდიან, ბქ., ლნტ. ცხრდიან, ლშხ., ჩოლ. ცხრდიან)

წინწილ (ზს.)/წიწილ (ქს.) *ზოოლ.* < ქართ. წიწილა „ახლად გამოჩეკილი ქათამი (ვარიობამდე), – იგივეა, რაც წიწილი“ (შდრ. ჩოლ. ჯიჯუ)

წინწკილ (ლშხ.) < ქართ. წინწკალი/წინწკლი „ფერადი წერტილები“

წინწრაქიან (ჩოლ.) „კაცი, რომელიც ხშირად იპურჭყება (ზედმიწ. – წინწრაქ-იან-ი)“ < ქართ. (გურ.) წინწრიქ-ი „ჭუჭყი, უსუფთაობა, სიბინძურე“, შდრ. ლეჩხ., რაჭ. წინწრაქ-ი „ქათმის სენია ერთგვარი“

წირ (ზს., ქს.)/წირუ (ბზ., ლშხ., ლხმ.) *რელიგ.* < ძვ. ქართ. წირ-ვ-ა „მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება“

წირუელა (ბქ.) „გალობა“ *რელიგ.* < ქართ. წირ-ვ-ა „მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება“

წირუელა (ბქ.) „მგალობელი, გალობის შესრულების მოყვარული“ *რელიგ.* < ძვ. ქართ. „ვინც სწირავს ეკლესიაში, წირვის ამსრულებელი“

წირღუ (ზს., ქს.) „წვივის ძვალი“[121] < ზან. (მეგრ.) წირღვ-ი „კანჭი; წვივი; არტალა; ბარკალი“, შდრ. ლაზ. წირღ-უ „საქონლის ერთგვარი დაავადება“

წიუერ (ბზ.) /წიორ/წორ (ლშხ.) /წიორა/წიუერ (ჩოლ.)/წიერ (ფარ.) *ზოოლ.* < ქართ. (ქიზიყ.) წიორა „ზღაპრული ჩიტი პატარა ტანისა“, ქართლ., იმერ. „ნაბოლარა, გამხდარი წიწილა (სულ რომ დაწივის)“, ლეჩხ. „ღარიბი, მწირი“

წიუილ-კიუილ (ზს., ქს.)/სიუილ-კიუილ (ჩოლ.) < ქართ. წივილ-კივილ-ი „წივილი და კივილი“

წიფ (ჩოლ., უშგ.) 1. „წიფლის ნაყოფი, წიწიბო“, 2. უშგ. „მწიფე“ < ქართ. წიფელ-ი/წიფელა „მსხვილი, მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე, რომელიც ისხამს ზეთოვან ნაყოფს (წიწიბოს)“

წიფობ (ბქ.) „ოქტომბერი (ზედმიწ. – მ-წიფ-ობ-ა)“ < ქართ. მწიფ-ობ-ის-თვე „ქართული (ხალხური) სახელწოდება ოქტომბრის თვისა, – ღვინობისთვე“

წიფობა თუე[ი] (ლნტ.) „ოქტომბერი“ < ქართ. მწიფ-ობ-ის-თვე „ქართული (ხალხური) სახელწოდება ოქტომბრის თვისა, – ღვინობისთვე“

წიქარა (ზს., ქს.)/წიქერაჲ (ბზ.)/წიქერაჲ/წიქარაჲ (ლშხ., ჩოლ.)/წიქრა (უშგ.) *ზოოლ.* < ქართ. წიქარა „წითელი ხარის სახელია“

წიწინ (ჩოლ.) *ბმბმბ.* < ქართ. წიწინ-ი „ფრინველის (წიწილის, ჩიტის...) მიერ გამოცემული წვრილი ხმა“

წიწმატ (ზს., ქს.)/წიწმაჲტ (ზს.)/წიწმარტ (ბზ.)/წიწმარიტ (ლშხ., უშგ.)/წიწმარიტ (ლნტ.), შდრ. ბქ. *კნ. ფ.* წიწმანდილ *ბოტ.* < ქართ. წიწმატ-ი „ერთწლიანი ბოსტნეული მცენარე ჯვაროსანთა ოჯახისა“, შდრ. იმერ., წიწმატა, ლეჩხ. წიწმარიტ-ი, გურ. წიწმარიტა

წიწუაჲნ (ზს., ლნტ.)/წიწუიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წიწვ-ოვ-ან-ი „იგივეა, რაც წიწვიანი“

წიბაჲრ (ბზ.)/წიბაჲრ (ზს.)/წიბაჲრ (ლშხ.) /წიაჲ (ქს.)/წრიაჲ (ლნტ.)/წრიაჲრ (ჩოლ.) < ქართ. (ფშ., ხევს.) წრიაპ-ი „კბილებიანი რკინა – ტერფზე ამოსაკრავი, იხმარება ციცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს“

წრუა (ბზ., ჩოლ.) „კვეს-აბედისათვის გამოხარშული გამხმარი ხის სოკო“ < ქართ. წივა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვი, რომელიც უტყეო მხარეებში საწვავად იხმარება“, შდრ. მოხ., მთიულ. წივ-ი

წკალ (ჩოლ.) „ბრჭყალი“ < ქართ. ბწკალ-ი „ბრჭყალი, კლანჭი“, ინგილ.

წკალ „ბრწკალი, ბრწამლი, რომლითაც ვაზი ეხვევა ჭიგოს“

წკაპ (ჩოლ.) „თანმიმდევრობით, თანმიყოლებით“ < ქართ. (ლეჩხ.) წკაპ-ი „წყვილეული სმის დროს“

წკარ (ზს.), შდრ. ბზ. წკუერ, უშგ. წკუერ < ქართ. პწკარ-ი/ბწკარ-ი „იგივეა, რაც სტრიქონი“

წკეპლარ (ბზ.)/წკეპელ (ლშხ.) < ქართ. წკეპლა „ფოთლებგაცლილი წვრილი ტოტი (ხისა)...“ (შდრ. ზს. კუადალ, ბქ., ლნტ. კუედალ, ბქ. კუად, ლშხ., ჩოლ. კუედელ, ლხმ. კედალ)

წკინტილ (ზს., ლშხ., ჩოლ.) /წკინტრლ (ბზ.)/წკინტგლ (ბქ.) „სკინტლი“ < ქართ. (ფშ., ხევს.) წკინტოლ-ი „წვეთი (სქელი რისამე), ღვენთი“

წკიპ (ლშხ., ჩოლ.) „ძვლების ტკაცანი“ < ქართ. წკიპ-ინ-ი „მცირედ ტკაცანი“

წკიპარტ (ბზ., ლნტ.)/წკიპგრტიშ (ბზ.)/წკირპატ (ბქ.)/წკიპურტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/წკიპარტ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. წკიპურტ-ი „ცერიდან შუა ან სალოკი თითის ასხლეტით მირტყმა“

წკორემ (ჩოლ., უშგ.) < ქართ. (გურ., იმერ.) წკვარამ-ი/სკვარამ-ი „უფსკრული, ქვესკნელი; უკუნეთი, – სკვარამი“ (შდრ. ბზ. ფაქრაუპან, ქს. ფაქრაუპან/ფაქრეუპან/ფრექ; უშგ. ბლუით)

წკორომეთ (ჩოლ.) „მღვიმის მთავარი შესასვლელი (ზედმიწ. – წკვარამეთ-ი)“ < ქართ. (გურ., იმერ.) წკვარამ-ი/სკვარამ-ი „უფსკრული, ქვესკნელი; უკუნეთი, – სკვარამი“ (შდრ. ბზ. ფაქრაუპან, ქს. ფაქრაუპან/ფაქრეუპან/ფრექ; უშგ. ბლუით)

წკურპ (ბქ.) „წვრილთვალება“ < ზან. (მეგრ.) წკვირა/წკვირალ-ი/ნწკვირა/ნწკვირალ-ი „ამპარტავანი; კუშტად მაყურებელი; ყველაფერზე უკმაყოფილების გამომხატველი; ცუდი გამომეტყველების ქალი“, იხ. ლი-წკურპ-ან-ა/ელ

წკულ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/წკულ (ბქ., ლნტ.) < ქართ. წკმუილ-ი „წკმუტუნი“, იხ. ლი-წკულ-ი

წლისთაუ (ზს., ქს.) < ქართ. წლ-ისთავ-ი „ვისიმე გარდაცვალებიდან ერთი წლის აღსანიშნავი პანაშვიდი“

წლოუანება (ზს., ქს.)/წლოუანობა (ჩოლ.) < ქართ. წლოვან-ებ-ა „ხანი, ასაკი“

წმიდ (ბზ., ჩოლ.)/წმინდ (ზს., ქს.) /წმიდა/წმინდა (ლნტ.) „სუფთა, ანკარა“ < ქართ. წმინდა (< ფალ. **spand**) „შეურეველი, ხალასი, ანკარა; სუფთა...“ (შდრ. ბზ. წყგზამ; ზს. წყილიან; ჩოლ. დაიაზ)

წმინდდ (ჩოლ.) „სუფთად“ *ზმნის.* < ქართ. წმინდა-დ „შეურევლად, ანკარად; სუფთად“ (შდრ. ბზ. წყგზამდ; ზს. წყილიანდ; ჩოლ. დაიაზდ)

წნილ (ბზ., ჩოლ.)/მწნილ (ბქ., ლშხ.) < ქართ. მწნილ-ი „საგანგებოდ დამჟავებული ბოსტნეული“ (შდრ. ბზ. მგხმგრა, ბქ. მგხმგრა; ბქ. მეტხოლ; ლშხ. ჟაურრა, ლნტ. ჟაურა)

წოდება (ზს., ქს.) < ქართ. წოდება „წოდებულება; საზოგადოების ნაწილი“

წოიო (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ., აჭარ.) წოიო „დადუღებული ტყემლის წვენი, – წო, კვაწარახი“

წოლ (ჩბხ., ლხმ.) „ჭვარტლი, მური“ < ზან. (მეგრ.) წოლ-ა/ნ-წოლ-ა „ჭვარტლი, მური (კვამლისა)“, ლაზ. წოლ-ა/მ-წოლ-ა „id“, შდრ. აგრეთვე მეგრ. ნ-წოლ-უ-ა „გაჭვარტლვა“... (შდრ. ბზ. გუნა, ბქ. გუნა)

წოლარ (ჩბხ., ლხმ.) „ჭვარტლიანი, მურიანი“ < ზან. (მეგრ.) წოლ-ამ-ი /წოლ-ერ-ი „ჭვარტლიანი, მურიანი“

(შდრ. ბქ. ლუგუნაშე)

წონა (ზს., ქს.)/წგნა (ჩოლ.)/წგნ (ლხმ.) < ქართ. წონა „სიმძიმის საზომი ერთეული“

წრაყინ (ბზ.)/წერაყინ (ქს.) < ქართ. წერაყინ-ი „ყინულისა და მაგარი ქანების სათხრელი წერაქვის მსგავსი რკინის იარაღი...“

წრე (ზს., ქს.) < ქართ. წრე 1. „სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით, – იგივეა, რაც წრეხაზი“, 2. „საერთო მდგომარეობის თუ ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფი“, 3. „რკალი, ალყა...“

წრეხაზ (ზს., ლნტ.)/წრეხაზ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წრეხაზ-ი „წრის საზღვარი, მრგვალად მოვლებული ხაზი, რომლის თითოეული წერტილი თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან, – წრეწირი“

წუთ (ზს., ქს.) < ქართ. წუთ-ი „დროის მონაკვეთი – შეადგენს საათის ერთ მესამოცედ ნაწილს და შეიცავს სამოც წამს“

წუთხე (ლხმ.) < ქართ. მწუთხე „მეტად მლაშე“ (საბა)

წუმწამაჲ (ჩოლ.) < ქართ. წუმწუმა „იგივეა, რაც ასანთი“, „გოგირდის კერასი“ (საბა)

წუნწ (ლშხ.)/წინწუ/წუინწ (ჩოლ.) < ქართ. ძუნწ-ი „გაუმეტებელი, კრიჟანგი, ხელმოჭერილი“ (შდრ. ზს. წინგუნილ, ლშხ., ჩოლ. წინგულ; ლნტ. წინწკუ)

წუნწუფ (უშგ.) < ძვ. ქართ. წუმწუმა/წუმწუბა/წუნწუბა „გოგირდი“

წუნწუხუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. წუნწუხ-ი 1. „მყრალი ლაფი, – წუმპე“, 2. რაჭ. „საქონლის შარდი (ბოსელში ჩაგუბებული“, 3. „საქონლის პატივი, წყალში გახსნილი (იყენებენ სასუქად), – ნაკელწყალი“

წურბელაბ (ბზ.)/წურბელ (ბქ.)/წურბელაჲ (ლშხ., ჩოლ.) ზოოლ. < ქართ. წურბელა „პარაზიტი, სისხლის მწოველი ჭია“ (შდრ. ბქ. ოფხაძლ)

წურწუმ (ზს.)/წურწუმაჲ (ლშხ., ჩოლ.)/წურწუმა/წუმწუმა (უშგ.) 1. „ონკანი“, 2. „დოქი, საწყაო ჯურჭელი“ < ძვ. ქართ. წურწუმა „ვიწროყელიანი ჯურჭელი წყლისათვის, – კუმკუმა“, შდრ. იმერ. წუმწუბ-ა/წუმწუბ-ი „ხელსაბანი ჯურჭელი...“, შდრ. ლშხ., ჩოლ. წურმუთაჲ (ლშხ., ჩოლ.) 1. „ხის პატარა ჯურჭელი“, 2. გადატ. „მსმელი ადამიანი, ლოთი“, 3. გადატ. „უნამუსო, უსინდისო“

წუღა (უშგ.) < ქართ. წუღა „რბილი, უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი“, იხ. წაღა(ილ) და წუღუზ[არ]

წუღუზ[არ] (ბზ.)/უღზ[არ] (ლშხ.) < ზან. (მეგრ.) წუღაზ-ი „ტყავის უყელო ფეხსაცმელი, – იგივეა, რაც წუღა“, იხ. წაღა(ილ) და წუღა

წუხუ/წუხ (ჩოლ.) < ქართ. წუხილ-ი „მოუსვენრობა, დარდი, ჯავრი, ვარამი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. მაჭკვრა, ბქ., ლნტ. მაჭკვრა; ბზ. უჟაშ, ბქ. უჟაშ, ლშხ., ჩოლ. უჟაშ)

წუადილნელაჲ (ჩოლ.) მოტ. < ქართ. (რაჭ.) მწვადინელა „ცისფერყვავილა ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, – ცისთვალა“

წუალება (ზს., ქს.)/წუალებაბ (ლნტ.)/წუალაბ (უშგ.) < ქართ. წვალ-ებ-ა „სახელი აწვალებს, ეწვალება ზმნათა მოქმედებისა, ტანჯვა, წამება; ცოდვილობა“

წუანილ (ზს., ქს.) 1. ზს., ქს. მოტ. „მწვანილი“, 2. ლშხ. „მწვანე“ < ქართ. მწვანილ-ი „ბოსტნეული, რომელიც მოჰყავთ სურნელოვანი ან ცხარე გემოს ფოთლისათვის“ (შდრ. ბქ. მალაშა; ზს.

{ი}გრჟი „მწვანე“)

წუბად (ზს., ლნტ.)/წუბად (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მწვად-ი „შამფურზე შემწვარი ხორცი“

წუბადაროგ (ზს., ლნტ.)/წუბადაროგ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მწვად-იან-ობ-ა „მწვადების შეწვის დრო“

წუეთ (ზს., ქს.) < ქართ. წვეთ-ი „სითხის პატარა, მრგვალი ნაწილაკი“ (შდრ. ზს. კუინფხ; ზს. წიქუ, ლშხ. წუქუ, ლნტ. წაქუ; ზს. ქს. წიფხ; ზს. კუკუმ; ბზ. ყიგ)

წუენ (ზს.)/წუენე (ქს.)/წუნე (ბზ.)/წუენე (ლშხ., ჩოლ.)/წუენა (ლშხ.)/წენ (ლხმ.) < ქართ. წვენ-ი 1. „ნახარში (საკვები პროდუქტებისა)“, 2. „სითხე, რომელსაც ესა თუ ის მცენარეული (ან ცხოველური) ორგანიზმი შეიცავს...“ (შდრ. ზს. ზგნე)

წუერ (ზს., ქს.) < ქართ. წვერ-ი „მწვერვალი, კენწერო“ (შდრ. ზს., ლნტ. კაცხ, ლშხ., ჩოლ. კეცხ)

წუერაი (ლშხ.) ზოოლ. < ქართ. წვერა „მდინარის მოვერცხლისფრო, ულვაშებიანი თევზი“

წუეულება (ზს., ქს.)/წუეულობა (ჩოლ.) < ქართ. წვეულ-ებ-ა „ლხინი, ნადიმი“

წუეუამდელ (ზს., ქს.)/წუუამდელ/წოუამდელ (ჩოლ.) < ქართ. წვევამდელ-ი „ახალგაზრდა, რომელიც სამხედრო მომზადებას გადის სამხედრო სამსახურში გაწვევის წინ“

წუეფილ (ბქ.) „დატუქსვა, დარიგება, ჭკუის სწავლება“ < ქართ. გა-წაფ-ვ-ა „გაწვრთნა, დაოსტატება“, შდრ. ზან. (მეგრ.) რწაფუა, იხ. ლი-წუფილ-ან-ი

წუილ (ზს., ქს.) „დედოფალი, პატარძალი“ < ძვ. ქართ. წულ-ი „ყრმა; წულებრი; ვაჟი“ (შდრ. დედაწული, დისწული, სახლის-წული, სიქალწულე, სეფეწული, უფლის-წული და ა. შ.), ახ. ქართ. „იგივეა, რაც შვილი“, იხ. პატარძალ

წუიმპ (ლშხ., ჩოლ.)/წურიმპ (ჩოლ.) „ჭუჭყის გუბე“ < ქართ. წუმპე „მყრალი ლაფი (საბა); დაგუბებული უსუფთაო წყალი“ (შდრ. ბქ. დგგრ)

წუინწკ (ჩოლ.) „ძუნწი“ < ქართ. წუწკ-ი „სულწასული (ჭამაში...), მსუნაგი“, შდრ. წუნკალ-ი/წუნკალა, წუწკ-ი, ფშ. წუნკ-ი (შდრ. ზს. წინგუილ, ლშხ., ჩოლ. წინგულ; ლნტ. წინწკუ)

წუირ (ბზ., ქს.)/წუარ/წუარ (ბქ.)/წურ (ქს.) < ქართ. {მ}წვირე 1. „ჭუჭყი“, 2. ძვ. „მკრალი ლაფია“ (საბა), „წუმპე“ (შდრ. ბზ. ხოლერება, ბქ. ხოლერება; უშგ. წოფარ)

წუირალ (ბზ.)/წუირალ (ლშხ., ჩოლ.)/წუირალ (ბქ., ლნტ.)/წუირარ (უშგ.) „წვირიანი, ჭუჭყიანი“ < ქართ. {მ}წვირ-იან-ი „რასაც მწვირე აქვს“, შდრ. ქართ. {მ}წვირე (შდრ. ბქ. კანარ; ბზ., ლშხ., ჩოლ. უიდრობა, ლშხ., ჩოლ. უინდრობა/უონდრობა, ლნტ. უდინდრობა; ლშხ. ლაწინგუარ)

წყალმაკ (ლშხ.)/წყალმანკ (უშგ.) < ქართ. წყალ-მანკ-ი „ერთგვარი ავადმყოფობა – შრატისებური სითხის (წყლის) ჩადგომა სხეულის რომელიმე ნაწილში (მუცლის ღრუში, ფეხებში...)“

წყალმაკიან (ლშხ.)/წყალმანკიან (უშგ., ჩოლ.) < ქართ. წყალ-მანკ-იან-ი „წყალმანკით დაავადებული“

წყალობ (ზს., ქს.) < ქართ. წყალ-ობ-ა 1. „კეთილგანწყობილება, კარგი დამოკიდებულება“, 2. „კარგი რამ, სიკეთე. || მოწყალება, გასაკითხი“ (შდრ. ზს. ჟგრ; ბქ. ფენ; ლშხ. ჩოლ. სარუინ)

წყარო (ბზ., ლშხ.)/წყარო (უშგ.) „ნაკადული“ < ქართ. წყარო „მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირ-

ზე; მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი“ (შდრ. ზს. მაზუჯბ, ბქ. მაზუჯბ, ლშხ., ჩოლ. მაზუებ; ბზ., ლშხ. ბინულ, ლნტ. ბინილ; ბქ. სარაგ, ჩოლ. სარაგ; ბქ. წუიდ)

წყან (ზს.) „ზარალი“ < ქართ. წყენ-ა „ზიანის მიყენება, ვნება, – საწყენი საქმე“ (შდრ. ბზ. ბარა, ბქ., ქს. ბერა; ზს. კუბად)

წყარ (ბქ.) < ზან. (მეგრ.) წყარ-ი „წყალი“ (შდრ. ზს., ქს. ლიც, ლშხ., ჩოლ. ნიც)

წყარშინდ (ზს.)/წყარშგნდ (ლშხ.) /წყასინჯ (ლხმ.)/წყამინდ (უშგ.) „იხვი“ *ზოოლ.* < ზან. (მეგრ.) წყარ-{ი}-სინდი/წყარ-{ი}-სინჯ-ი „გარეული იხვი; წყლის ჩიტი“ (შდრ. ბზ. მილც, უშგ. მულც)

წყარწშ (ბზ.) „ტყე, საძოვრები (ზედმიწ. – წყარო-ის-{ა})“ *ტოპ.* < ქართ. წყარო „მიწისქვეშა წყლის ნაკადი, ამოხეთქილი ზედაპირზე; მიწიდან ან კლდიდან გამომდინარე წყალი“

წყეულ (ზს., ქს.) 1. „დაწყევლილი“, 2. ქს. *გადატ.* „მგელი, გველი; უხსენებელი“ < ქართ. წყეულ-ი „ჯრული, დაწყევლილი; მუხანათი, შეჩვენებული“, გურ., ქართლ., მესხ. „გველის შეფარვითი სახელი, უხსენებელი“, ქიზიყ. „ეშმაკი“ (შდრ. ზს. ლგჭათ, ბქ. ლგჭათუ, ლშხ., ჩოლ. ლგჭათუნე)

წყეუ (ზს.)/წყაუ (ბქ., ჩოლ.)/წაუ (ლშხ.) 1. ბქ. „წყავი“, 2. ბზ. „ძაღლყურძენა“ *ბოტ.* < ქართ. წყავ-ი „მარადმწვანე ბუჩქი თეთრი, მტევნებად შეკრებილი ყვავილებითა, – ლეშკერი, ჩქერი, შკერი...“, მწყავ-ი (საბა)

წყილანდ/წყდლანდ (ზს.)/ წყდლანდ (ლშხ., ჩოლ.)/ წყდლიანდ (ლნტ.)/წყილიანდ (უშგ.) „წმინდად, სუფთად, ანკარად; უმანკოდ (ზედმიწ. – წყლ-იან-ად)“ *ზმნის.* < ქართ. წყალ-ი „უფერული, გამჭვირვალე სითხე (წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი)...“

წყილიან/წყდლიან[1] (ზს.)/წყილან (ზს.)/წყდლიან (ლშხ., ჩოლ.)/წყდლიან (ლნტ.)/წყილიან (უშგ.) „წმინდა, სუფთა, ანკარა; უმანკო (ზედმიწ. – წყლ-იან-ი)“[122] < ქართ. წყალ-ი „უფერული, გამჭვირვალე სითხე – წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი...“ (შდრ. ბზ. დაჰარ, ბქ. დაჰარ/გაჰარ, ლნტ. დარ; ჩოლ. ცილდგმ; ჩოლ. დაიაზ)

წყილიან/წყდლიან[2] (ბზ.)/წყდლიან (ლშხ., ჩოლ.) „ვერცხლი (ზედმიწ. – წყლ-იან-ი)“ *მინერ.* < ქართ. წყალ-ი „უფერული, გამჭვირვალე სითხე (წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი)...“, იხ. უარჩხილ

წყინა (ჩბხ., ლხმ.) „ბუტია“ < ქართ. წყენ-ია „ვისაც ადვილად ეწყინება ხოლმე“ (შდრ. ბზ. გუარნაი, ბქ. გუირნა, ლშხ. გუარნაი, ლნტ. გუარნა; ზს., ქს. გუხოლა, ზს. გუიხოლა, ლშხ. გუხოლიან; ბზ. გოხლაი; ბქ. ყუინჯა)

წყლისა/წყლისაი (ლშხ., ჩოლ.) „ძროხის ჯიქნის დაავადება“ < ქართ. (იმერ.) წყლისა/ე-ი იგივეა, რაც მაწავართი „მეძუძურის ძუძუს დაავადება, – სარძევე ჯირკვლის ანთება“, შდრ. მეგრ. წყისე/წყესე „ძროხის, თხის ძუძუს ავადმყოფობაა“

წყნარ (ზს., ლნტ.)/წყდნარ (ბზ.) /წყდნარ /წყნარ (ლშხ., ჩოლ.)/წყნარ (ლშხ., ჩოლ.)/წყდნარ (ლნტ.) „წყნარი, ნელი, მშვიდი“ < ძვ. ქართ. წყნარ-ი „მშვიდი“, ახ. ქართ. „ნელი, აუჩქარებელი; უხმაურო, უპრეტენზიო; მშვიდი...“ (შდრ. ზს., ლშხ., ჩოლ. მუჭხუი, ლნტ. მგჭაბუი; ბზ., ჩოლ. ყუედი, ბქ., ლნტ. ყუედი, ლშხ. ყუდი; ლშხ. ბუტკ)

წყობ (უშგ.) < ქართ. წყ-ობ-ა „ლაგება,

დება; განლაგება; წესრიგი...“

წყურგინ (ლხმ.) „გზა (ზედმიწ. – წყარო გრილი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) წყურგილ-ი „წყარო“

წყურმუტ (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) წყურტ-ი „მაქრის ავადმყოფობა, – დიაბეტი, ჭყურტი“

წყუხილ (ზს., ქს.) < ქართ. წყვილ-ი „ორი ცალი (ერთგვარი საგნების თვლისას)...“

წყგზამ/წყგზარ (ბზ.)/წყგზემ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/წყაზარ (ზს., ლნტ.)/წყგზამ (ლშხ.)/წყაზარ (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) 1. „სუფთა, ფაქიზი, წმინდა, კამკამა“, 2. „მოხდენილი აღნაგობის ადამიანი, საროსტანა“ < ძვ. ქართ. მ-წყაზ-არ-ი „თეთრი“, ფშ., რაჭ. მ-წყაზ-არ-ი „მორთული, მოხდენილი, კოხტა; ცოცხალი, მარდი, ფხიანი, მარჯვე“ (შდრ. ბქ. წყაზარ ტანიშ „კოხტა ტანის, მოხდენილი (ადამიანი)“

წყგზემ ტუერ (უშგ.) „ალაბასტრი“ *მინერ.* < ძვ. ქართ. მ-წყაზ-არ-ი „თეთრი“ და მტვერ-ი „წვნიკი და მშრალი სსხეულებისაგან შემდგარი ფხვიერი მასა, რომელიც ჰაერში ადვილად იფანტება...“

წყგნარდ (ბზ.)/წყნარდ (ბქ.)წყგნარდ (ლშხ., ჩოლ.)/წყნარრლდ (ლშხ., ჩოლ.) /წყგნარდ (ლნტ.)/წყგნარდ (ჩოლ.) *ზმნის.* < ქართ. წყნარ-ად „ნელა, აუჩქარებლად; მშვიდად“ (შდრ. ბზ. თამაშდ, ბქ., ლნტ. თამაშდ, ლშხ., ჩოლ. თამაშდ; ბზ. ქუიჩიდრლდ, ბქ. ქუიჩიდილდ)

წყგნ-წყგნარდ (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. წყნარ-წყნარ-ად „ნელ-ნელა, აუჩქარებლად; მშვიდად“ (შდრ. ბზ. თამაშთამაშდ, თამ-თამაშდ)

წგნაუ (ზს.)/წინაუ (ლშხ.)< ქართ. წუნ-ი „ნაკლი, ზადი“ (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. ცხრდ, ბქ., ლნტ. ცხიდ; ჩოლ. თანკილ)

წგრე (ბქ.) „საბავშვო თამაში, კლასობანა“ < ქართ. წრე „სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით, – იგივეა, რაც წრეხაზი“

წგრპგნ (ზს.) *ხმაბაძვ.* < ქართ. წრიპინ-ი „ძალზე წვრილი ხმის გამოცემა“

წგრწგნ (ბქ.) *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) წირწინ-ი „წუილი; ხმადაბლა ტირილი; წრუწუნი, წრიპინი“, იხ. ლი-წგრწგნ-ი

ჭ

ჭა[1] (ზს., ლშხ., ჩოლ.)/ჭა (ლნტ.) „ჭა; ჯურღმული“ < ქართ. ჭა (< სპარს. čah) „ღრმა და ვიწრო ორმო, რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება“, იხ. ინჭა

ჭა[2] (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ჭა „ჩალა“

ჭაბიგუ (ზს., ჩოლ.)/ჭაბუკუ (ქს.)/ჭაბუკ/ჭაპუკუ (ლშხ.) < ქართ. ჭაბუკ-ი (< სპარს. čāpūk „სწრაფი, მოხერხებული“) 1. „ახალგაზრდა, ყმაწვილი“, 2. *ძვ.* „რაინდი, მოყმე“ (შდრ. ზს. ნაღ[უ]ჭურ)

ჭაბგობ (ზს., ჩოლ.)/ჭაბკობ (ლშხ., ჩოლ.) „დღეობა, რომელიც იმართება აღდგომის შემდგომ ოთხშაბათ საღამოს; ხვნა-თესვასთან და მოსავალთან დაკავშირებული ლოცვის რიტუალი“ *რელიგ.* < ქართ. ჭაბუკ-ობ-ა (< ჭაბუკ-ი < სპარს. čāpūk „სწრაფი, მოხერხებული“) 1. „ჭაბუკად ყოფნის ხანა, – ახალგაზრდობა“, 2. „ჭაბუკის თვისება, – რაინდობა“, 3. იმერ. „იგივეა, რაც კვირიკობა“

ჭაბგუჭნი (ბქ.) „სახნავი (ზედმიწ. – სა-ჭაბუკ-ე)“ *ტოპ.* < ქართ. ჭაბუკ-ი (< სპარს. čāpūk „სწრაფი, მოხერხებული“)

1. „ახალგაზრდა, ყმაწვილი“, 2. *ძვ.* „რაინდი, მოყმე“

ჰაგუ (ზს., ქს.) *ბოტ.* < ქართ. (გურ.) ჭლაკვ-ი „კულტურული ხახვის ერთ-ერთი სახეობა, – სოხვი“

ჰადრაკ (ზს., ქს.)/**ჰადრაკ** (ბქ.)/**ჰადრაგ** (უშგ.) < ქართ. ჰადრაკ-ი (< ფალ. *čaṯrank*) „გონებრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობა...“

ჰაკუნტელ (ლტ., ჩოლ.) *ბოტ.* < ძვ. ქართ., გურ. ჰაკუნტელ-ი „წითელი მხალი“, თუშ. ჰაკუნტელა „არჯაკელი“

ჰალადიდ (ლშხ.) *ტოპ.* < ქართ. ჰალა-დიდ-ი „ისტორიული სოფელი სამეგრელოში“

ჰალაჲ (ბზ., ბეჩ.)/**ჰალა** (ბქ., ლტ., უშგ.)/**ჰალაჲ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) 1. „მდინარე“, 2. „ჰალა; მდინარის პირა მინდორი“ < ახ. ქართ. ჰალა „მდინარის პირა მინდორი“, შდრ. ძვ. ქართ. ჰალაკ-ი (< ფალ. **čālak* „ორმო, თხრილი, ჭა, დაბლობი, ჩაღრმავებული ადგილი; კუნძული, ხმელეთი“, შდრ. ასევე სპარს. *čāle*) „კუნძული, მდინარის ან ზღვის პირი ველოვანი, ჭალა“; „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა)

ჰალიშ რიყაჲრ (ბქ.) „რიყე, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირი, სოფლის ბოლო (ზედმიწ. – **ჰალ-**ის **რიყე-ებ-ი**)“ *ტოპ.* < ახ. ქართ. ჰალა „მდინარის პირა მინდორი“, შდრ. ძვ. ქართ. ჰალაკ-ი (< ფალ. **čālak* „ორმო, თხრილი, ჭა, დაბლობი, ჩაღრმავებული ადგილი; კუნძული, ხმელეთი“, შდრ. ასევე სპარს. *čāle*) „კუნძული, მდინარის ან ზღვის პირი ველოვანი, ჭალა“; „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა) და რიყე „ქვიანი ნაპირი მდინარისა (ზღვისა...)“

ჰამელ (ლშხ.) < ქართ. მჭამელ-ი „ვინც კარგი, მადიანი ჭამა იცის“ (შდრ. ბზ. **ზობლაჲ**, ბქ. **მუზუბირ**; ლშხ. **ჭია-**ბერ; ჩოლ. **ჯუირეჭ**)

ჰანდაჲრ (ზს.)/**ჰადაჲრ** (ბზ.)/**ჰადარ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) *ბოტ.* < ქართ. ჰადარ-ი „მაღალი, ვარჯდატოტვილი ხე...“, შდრ. ზან. (მეგრ.) ჰანდარ-ი

ჰანჭახ (ჩოლ.) „თავსხმა წვიმა, რომელსაც თან ახლავს ჭექა-ქუხილი“ < ქართ. ჰანჭახ-ი „თხელი ტალახი, – ჭენჭეხი“

ჰანჭურჳ (ლტ.)/**ჰანჭურ** (ლშხ., ჩოლ.) *ბოტ.* < ქართ. ჰანჭურ-ი „ქლიავის ერთ-ერთი ჯიში“

ჰაპან (ჩოლ.) „მეტისმეტად გრძელი“ < ქართ. ჰაპან-ი „ბაგირი, ჩვეულებრივ, დაწნული თასმისა“, *გადატ.* „დიდი ჯაფა, მძიმე შრომა“

ჰარმაგ (ბზ.)/**ჰარმაგ** (უშგ.) < ქართ. ჰარმაგ-ი (< სპარს. ***čarmak/čarmag*** „თეთრი; თეთრი ცხენი“) „ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე (მამაკაცი)“, შდრ. ზს., ქს. **ლეხან**; ლშხ. **ლალხოშ**

ჰარხალ (ბზ.)/**ჰარხალ** (ბქ., ლშხ., უშგ.) *ბოტ.* < ქართ. ჰარხალ-ი (< სპარს. ***čayandar***) „ორწლოვანი ძირხვენა მცენარე (ნაცარქათამასებრთა ოჯახისა)...“, იხ. **ჩიგინდურ**

ჰაფურ (ბზ.)/**ჰაფხურ** (ბქ.)/**ჰაფორ** (უშგ.)/**ჰაფორ** (ლშხ., ლტ., ჩოლ.) „სამყურა ბალახი, – ფამფარა“ *ბოტ.* < ზან. (მეგრ.) ჰაფურ-ი-ა „მთის ბალახია ერთგვარი, ძალზე ტკბილი“, *გადატ.* „ძალზე ტკბილი, შარბათი“, შდრ. გურ. ჭია-ფერ-აჲ „წითელი ფერის მცენარეა ერთგვარი, მის ნაყოფს საღებავად ხმარობენ“

ჰაჭა (ზს.)/**ჰაჭ** (ქს.) < ქართ. ჰაჭა 1. „ყურძნის ნარჩენი ღვინის დაწურვის შემდეგ (კანი, აგრეთვე კლერტი და წიპწა)“, 2. „ჰაჭის არაყი“

ჰაჭან (ჩოლ.) < ქართ. ჰაჭან-ებ-ა „რისამე არსებობის ნიშანი“

ჰახრაგ (გზ.)/ჰახნეგ/ჰახრეგ (ბქ.)/ჰახრაგ (ლშხ., უშგ.)/ჰახრაკ (ლნტ.)/ჰახრაქ (უშგ.) „ხრახნი“ < ქართ. ჰახრაკ-ი (< ფალ. **čaxrak/čaxrag** „კოჭი, ხრახნი, მაქო, ჯარა“, შდრ. სომხ. **č̣axrak**) „ხრახნიანი მოსაჭერი მოწყობილობა...“

ჰაგ (ზს.)/ჰაგ (ლშხ., ჩოლ.)/ჰაკ (ლნტ.) 1. *ზოოლ.* „ფაშატი (ცხენი)“, 2. *ბქ. გადატ.* „აშარი, უწესო ქალი“ < ქართ. ჰაკ-ი „დედალი ცხენი ან ვირი, – ფაშატი“

ჰაგ-რაშ (გზ.) „ფაშატი რაში“ *ზოოლ.* < ქართ. ჰაკ-ი „დედალი ცხენი ან ვირი, – ფაშატი“ და რაშ-ი (< სპარს. **raxš**) „ზღაპრული ცხენი, – მერანი“

ჰაკისაღარ (ლნტ.) „ზღაპრული ცხენი“ *ზოოლ.* < ქართ. ჰაკ-ი „დედალი ცხენი ან ვირი – ფაშატი“ და საღარ-ი „შუბლთეთრა ცხენი“

ჰაულ (გზ.)/ჰაუ (ჩოლ., უშგ.)/ჰაულ (უშგ.) „ტალღა“ < ქართ. ჰავლ-ი „წყლის ზედაპირის მცირე რიტმული რხევა, – ზედაპირის თრთოლა...“ (შდრ. ლშხ. მარუნენდა)

ჰანტი (გზ., ლშხ., ჩოლ.) /ჰანტი (ლნტ.) „კორკოტი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ჰანტილა „წანდილი, კორკოტი“

ჰანტილობ (გზ., ლშხ., ჩოლ.)/ჰანტილობ (ლნტ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) ჰანტილ-ობ-ა „კორკოტობა, წანდილობა“

ჰენტრიკ (ჩოლ.) „დატკეპნა, გა{და}თელვა (ზედმიწ. – "გა-ჰადრაკ-ება)“ < ქართ. ჰადრაკ-ი (< ფალ. **čaṯrank**) „გონებრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობა...“ (შდრ. გზ. ლიკიმბი, ბქ. ლიკიმბი; გზ. ლისკრიბი/ლისკრიმბე, ბქ. ლისკირბი), იხ. ლი-ჰგრდიგ-ე

ჰერ (ბქ.) „ეჯვი“ < ქართ. ჰორ-ი „მონაგონი, ტყუილი ამბავი; მითქმა-მოთქმა“ (შდრ. გზ., ჰარკუ, ბქ. უჰარკ/ჰარკუ, გზ., ქს. ანკრ, ლნტ. ანკრ; გზ., ქს. ღედ)

ჰერეხ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (იმერ.) ჰერეხ-ი „რიყის ქვა, რიყე, ქვიანი ადგილი“

ჰეშმარიტ (ზს., ლნტ.)/ჰეშმარიტ (ლშხ., ჩოლ.)/ჰიშმარიტ (ლშხ.) < ქართ. ჰეშმარიტ-ი (< ფალ. **čišmadiṯ**) „მართალი, ნამდვილი, უტყუარი“

ჰერ (გზ., ლშხ.)/ჰერ (ბქ., ქს.) 1. „ლატანი“, 2. „ჰერი (გრძელი და წვრილი ხეებისაგან გაკეთებული)“ < ქართ. ჰერ-ი 1. „ნაგებობის (ოთახის, დარბაზის...) ჰორიზონტალური ნაწილი, რომელიც უშუალოდ კედლებს ეყრდნობა“, 2. „იგივეა, რაც სხვენი“

ჰია (ლშხ., ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. ჰია „მოგრძო, რბილსხეულიანი (უძვლო) ცხოველი...“ (შდრ. ზს., ქს. მგტ)

ჰიამაია (ზს., ქს.)/ჰიამაია (ბქ.) *ზოოლ.* < ქართ. ჰიამაია „პატარა ხოჭო, ხშირად წითელი ან ყვითელი ფერისა...“

ჰილ (ზს., ქს.) „ბოლქვის ერთი ნაწილი; ხახვის, ნივრის თავი“ < ძვ. ქართ. ჰილ-ი „თესლისაგან მიღებული ხახვის პატარა ბოლქვი, რომელსაც მეორე წელიწადს რგავენ მსხვილი ბოლქვების მისაღებად“, შდრ. რაჭ., იმერ. ჭილო

ჰილუეფ/ჰილუფ/ჰილოფ (გზ.)/ჰილოფ (ლშხ., ჩოლ.)/ჰილეფ (ლნტ., ლხმ.) < ახ. ქართ. ჭილოფ-ი „ჭილის (ან სხვა მცენარის) ღეროებისაგან მოქსოვილი საფენი“, ძვ. ქართ. ჭილ-ი „ჭილობი“

ჰიმკარობ (ქს.)/ჰინკარობ (ლნტ.) /ჰიმკაობ/ჰიმკრობ/ჰიმკრობ (ჩოლ.) *ცრუმორწ.* < ქართ. ჭინკობის თვე „ჭინკების მოსვლის, მათი მოქმედების თვე (ოქტომბერ-ნოემბერი)“

ჰიმკაჲ (გზ.)/ჰიმკა/ჰიმკაჲ (ლშხ.) /ჰიმკა (ლნტ.)/ჰიმკიაჲ (ჩოლ.) *ცრუმორწ.* < ქართ. ჭინკა „ავი სული, მავნე (წარმოდგენილი ჰყავდათ პატარა არსე-

ბად)“, *გადატ.* „ცელქი, ცქვიტი“ (შდრ. ბზ. ჰჾრია, ბქ. ჰერიაბ)

ჰინჭ (ზს., ქს.) < ქართ. ჰინჭ-ი „იგივეა, რაც ჩვარი“ (შდრ. ბზ. ქაც, ლშხ. ქეც)

ჰინჭრაქაჲ (ლშხ., ჩოლ.) „ფიცხი“ *გადატ.* < ქართ. ჰინჭრაქა „ღობემძვრალა“

ჰინჭრაქჳ (ლნტ.)/**ჰინჭრაქაჲ/ჰინჭრაქ-რლ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ბქ. **ჰინტრაკჳ**, ჩოლ. **ჯინჯრიკოლ ზოოლ.** < ქართ. ჰინჭრაქა „ღობემძვრალა“ (შდრ. ზს. გუანც/გუანც, ლხმ. გუანცუ; ბზ. გუაწინაჲ, ლშხ. გუაწაჲ, ლნტ. გუაწ; ბქ. ჰინტრაკჳ/ჰინჭყრიგჳ; ლშხ. ჯინჯრიკრლ, ჩოლ. ჯინჯრიკოლ)

ჰინჭუერ (ბზ.)/**ჰინჭუერ** (ჩოლ.) „ბიბილო ქათმისა“ < ქართ. (ლეჩხ.) ჰინჭორ-ი „ჩიჩვირის მსგავსი წანაზარდი ინდაურის ნისკარტს ზემოთ“ (შდრ. ზს., ქს. ბიმბილ, ბზ. ბიმბრლ, ლნტ. ბიბილ)

ჰინჭუილ (უშგ.) < ქართ. ჰიანჭველა „პატარა მწერი სიფრიფანა ფრთიანთა რაზმისა“ (შდრ. ზს., ლნტ. მგრშკ, ბქ. მგშკ), იხ. **ბუჭუნჭელაჲ**

ჰიპ (ზს., ქს.), შდრ. ჩოლ. **პიჭ** *ბავშვ. მეტყვ.* < ქართ. ჰიპ-ი „მუცლის შუა პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჰიპლარის მოჭრის შემდეგ“ (შდრ. ზს. შდიხუ, ბქ. შდუიხუ)

ჰირ (ზს., ქს.) 1. „შრომა, გარჯა, ჯაფა, წვალება“, 2. „მწვავე ინფექციური დაავადება“, 3. „მწუხარება“ < ქართ. ჰირ-ი 1. „საერთო სახელი ცხოველთა (ქათმის, ძაღლის, ღორის...) მწვავე ინფექციური დაავადებებისა, რომელთაც იწვევს სხვადასხვა ვირუსი, – იგივეა, რაც შავი ჰირი“, 2. „რაიმე მძიმე, გადამდები დაავადება“, 3. „გაჭირვება, უბედურება, გასაჭირი...“

ჰირ-ჲრ (ბზ.)/**ჰირ-ჲრ** (ბქ.) 1. „გაჭირვებული, საცოდავი“, 2. „ნაჯაფარი, ნაწვალები“ < ქართ. ჰირ-იან-ი 1. „ჭირით დაავადებული“, 2. „უღონო, სნეული“

ჰირისუფჱლ (ზს., ლნტ.) /**ჰი[რ]სუფჱლ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/**ჰირისუფჱალ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჰირ-ის-უფალ-ი 1. „მიცვალებულის პატრონი“, 2. „მზრუნველი, მოამაგე, პატრონი“ (შდრ. ჩოლ. თჱმბლი)

ჰირისუფლობ (ზს., ქს.)/**ჰირსუფლობ** (ბქ.) < ქართ. ჰირ-ის-უფ-ლ-ობ-ა 1. „მიცვალებულის პატრონობა“, 2. „მზრუნველობა, პატრონობა“

ჰირობ (ზს.) „გასვენების, სიკვდილიანობის დრო (ზედმიწ. – *ჰირ-ობ-ა)“ < ქართ. ჰირ-ი „გაჭირვება; უბედურება; მწუხარება; გასაჭირი...“, შდრ. ძვ. ქართ. ჰირ-ვ-ებ-ა/ჰირ-ვ-ობ-ა „შეიწრება, შეჭირვება, ვნება, წვალება...“

ჰიუჭიუ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჰივ-ჰივ-ი „ჰიკჭიკი (წვრილი ფრინველისა)“, შდრ. ბქ. ლიჩზერუეშტი

ჰიქ (ზს., ქს.) < ქართ. ჰიქა 1. „ცილინდრული ფორმის ჭურჭელი (სასმისი) მინისა“, 2. „მინა, შუშა“

ჰიშგარ (ჩოლ.) „გადასასვლელი, უღელტეხილი (ზედმიწ. – ჭ-ის-კარ-ი)“ *ტოპ.* < ქართ. ჰიშკარ-ი „ეზოს დიდი კარი, – ალაყაფის კარი“

ჰიშკარ (ზს., ქს.)/**ჰიშგარ** (ბზ.)/**ჰიშკჱრ** (ლნტ., ჩოლ.) < ქართ. ჭ-იშ-კარ-ი „ეზოს დიდი კარი, – ალაყაფის კარი“

ჰიჭყინაჲ (ლშხ., ჩოლ.) „პირუტყვის ავადმყოფობა“ < ქართ. (იმერ.), ზან. (მეგრ.) ჭიჭინა „მსხვილი რქოსანი საქონლის მძიმე გადამდები დაავადება, – კიდურების დამბლა“

ჰკიდ (ბქ.)/**ჰკჲტ** (უშგ.) „მჭადი“ < ზან. (მეგრ.) ჭკიდ-ი/ჭკჲდ-ი „მჭადი; ფეტვი“, ლაზ. მჭკუდ-ი/მჭკიდ-ი (შდრ. ბზ., კუბ-ში, ლნტ. კუაში, ლშხ., ჩოლ., უშგ. კუბში)

ჰკუა (ზს., ქს.) /ჰკუუა (ბქ.) /ჰკუჳ (ლნტ.)/ჰკუა (ჩოლ.)/ჰკუ (ლხმ.) < ქართ. ჰკუა „აზროვნების უნარი, – გონება“

ჰკუუიერ (ლნტ.)/ჰკუიერ (ჩოლ.) < ზან. (მეგრ.) ჰკვერ-ი „ჰკვიანი“ (შდრ. ზს. ლგბჳლ; ზს. ლგბჳუ; ჩოლ. კითხუელ)

ჰკუიჳნ (ზს., ლნტ.)/ჰკუიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჰკვიან-ი „გონიერი“ (შდრ. ზს. ლგბჳლ; ზს. ლგბჳუ; ჩოლ. კითხუელ; ჩოლ. ჰაჭუეთ)

ჰკუიჳნდ (ბქ., ლნტ.) /ჰკუიჲანდ (ჩოლ.)/ჰკუუიერდ (ლნტ.) *ზმნის.* < ქართ. ჰკვიან-ად „გონივრულად, აზრიანად“

ჰკუიერიჳნ (ლნტ.) < ზან. (მეგრ.) ჰკვერ-ი „ჰკვიანი“ და ქართ. -იან სუფიქსი'საგან (შდრ. ზს. ლგბჳლ; ზს. ლგბჳუ; ჩოლ. კითხუელ)

ჰკჷნი (ქს.)/ლჷ-ჰკჷნ (უშგ., ჩოლ.) < ქართ. და-მ-ჭკნ-არ-ი „რაც დაჭკნა ან დააჭკნეს, – იგივეა, რაც დაჭკნობილი“ (შდრ. ზს., ლშხ. ლუთთქუე, ლნტ. ლუთურთქულჳუე)

ჰლექ (ზს., ქს.)/ჰილექ (ბქ.) < ქართ. ჰლექ-ი „გადამდები სნეულება, რომელსაც იწვევს განსაკუთრებული ბაცილები – კოხის ჩხირები, – ტუბერკულოზი“

ჰლექიჳნ (ზს., ლნტ.)/ჰილექიჳნ (ბქ.) /ჰლექიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჰლექიან-ი „ჰლექით დაავადებული“

ჰლიკ (ჩოლ.) „ფეხი“ < ქართ. ჰლიკ-ი „იგივეა, რაც ჩლიქი“, აჭარ. „ფეხის ნაწილი კოჭიდან მუხლამდის“

ჰობოსან[ი] (ჩოლ.) „შრომისმოყვარე გოგო“ *გადატ.* < ძვ. ქართ. ჰობოსან-ი, ახ. ქართ. ჰოპოსან-ი „ხის სახეხი მსხვილკბილა ქლიბი“, შდრ. გურ. ჰიბოშან-ი, იმერ. ჰირბოშან-ი/ჰიპოსან-ი

ჰობსჳნ (ბზ.)/ჰოფსჳნდ (ბქ.)/ჰოფსანდ (ლშხ., ჩოლ.)/ჰობსან (ლშხ.) „მსხვილი ქლიბი“ < ძვ. ქართ. ჰობოსან-ი, ახ. ქართ. ჰოპოსან-ი „ხის სახეხი მსხვილკბილა ქლიბი“, შდრ. გურ. ჰიბოშან-ი, იმერ. ჰირბოშან-ი/ჰიპოსან-ი

ჰოლეკ (უშგ.) < ქართ. ჰოლოკ-ი „მოკლე კეტი სასროლად; სათამაშო ჯოხი, – ჩილიკა“ (შდრ. ზს., ქს. ტარხან; ჩოლ. ღუილაი)

ჰორ (ზს., ქს.)/ჰუერ (ჩოლ.) < ქართ. ჰორ-ი „მონაგონი, ტყუილი ამბავი; მითქმა-მოთქმა“ (შდრ. ზს., ლნტ. ბაქ, ლშხ., ჩოლ. ბაქ)

ჰორიკან (ზს., ქს.) < ქართ. ჰორიკანა „ჭორების მთქმელი და გამავრცელებელი“ (შდრ. ჩოლ. მეცენგრინალ)

ჰორიკნობ (ზს., ქს.) < ქართ. ჰორიკან-ობ-ა „ჭორების თქმა, გავრცელება, ჭორაობა“ (შდრ. ლშხ. ლიციუანგრინალ)

ჰოროხ (ჩოლ.) „მდინარე ზესხოში“ *ტოპ.* < ქართ. ჭოროხ-ი „მდინარისაგან შეყრილი ქვიშა“ (საბა)

ჰორფლ (ზს., ქს.)/ჰორფელ (ლშხ.) /ჰორფილ (ჩოლ.) < ქართ. ჭორფლ-ი „მოყავისფრო წვრილი წინწკლები სახეზე (ან ხელებზე), ჩვეულებრივ გაზაფხულზე უჩნდებათ“ (შდრ. გზ. მატყვრბელ, ბქ. ნატყვრბელ/ნჳტბელ)

ჰორფლიჳნ (ზს., ლნტ.)/ჰორფლიან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჭორფლ-იან-ი „ჭორფლით დაწინწკლული, აჭრელებული; წინწკლებიანი“ (შდრ. გზ. მატყვრბელიჳნ, ბქ. ნატყვრბელიჳნ /ნჳტბელიჳნ)

ჰორხა საყდრჳლ (ლნტ.) „ნასაყდარი (ზედმიწ. – ჰოროხ-ი[ს] საყდრ-ებ-ი)“ *ტოპ.* < ქართ. ჭოროხ-ი „მდინარისაგან შეყრილი ქვიშა“ და საყდარ-ი „საგანგებო შენობა, სადაც სრულდება მღვდელმსახურება (წირვა-ლოცვა), – ეკლესია, ტაძარი“

ჭრნტო (ლშხ., ჩოლ.)/ჭონტო (ლნტ.) /ჭრნტა (ჩოლ.) *ზოოლ.* < ქართ. (ლეჩხ.) ჭონტო/ჩონტო „მოზრდილი წიწილა, – ვარია“

ჭრაქ (ზს., ლნტ.)/ჭრაქ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჭრაქ-ი (< ფალ. čirag) „უშუშო გასანათებელი მოწყობილობა...“

ჭრიახ (ქს.) *ბმაბაძვ.* < ქართ. (იმერ., გურ.) ჭრიახ-ი „იგივეა, რაც კრიახი, კაკანი“, იხ. ლი-ჭრიახ-ე

ჭუბერ (ბქ.) „სოფელი (ზედმიწ. – წაბლნარი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ჭუბურ-ი „წაბლი“

ჭუბრ-ულ-ა (ბქ.) „მდინარე სოფელ ჭუბერში (ზედმიწ. – წაბლნარი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ჭუბურ-ი „წაბლი“

ჭუკ (ბზ.) *ზოოლ.* < ქართ. ჭუკ-ი 1. „ინდაურის ნაშიერი“, 2. „იგივეა, რაც ჭუჭული“ (შდრ. ბზ., ჩოლ. ბუიტ)

ჭუჭელონი (ლხმ.) „საძოვარი (ზედმიწ. – ჭინჭრ-იან-ი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ჭუჭელონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი ჭინჭარი ხარობს“

ჭუნირ/ჭუნირ (ბზ.) /ჭინირ/ჭგნირ (ბქ.)/ჭინურ (ლშხ., ჩოლ.)/ჭიანურ/ჭიანირ/ჭინურ (ლნტ.)/ჭუნირ (უშგ.) < ქართ. ჭიანურ-ი „ერთგვარი ხემიანი საკრავი“

ჭუადუაი (ჩოლ.) *მოტ.* < ქართ. მჭადა-სოკო „საჭმელი სოკო“, ოკრ., იმერ., ლეჩხ. ჭადუა „საჭმელი სოკო“, იმერ. ჭადო/ჭადუა „სოკოა ერთგვარი“, ზ.-აჭარ. ჭადობაი „ერთგვარი სოკო“

ჭუჭლ (ზს., ლნტ.)/ჭუჭალ (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ჭვალ-ი „მჩხვლეტავი ტკივილები გვერდში (ან მკერდში)“

ჭუჭარტ (ზს., ლნტ.)/ჭყუჭარტ (ბზ.) /ჭუჭარტ (ლშხ., ჩოლ.)/ჭყუჭარტ (ჩოლ.) /ჭყუჭარტლ (უშგ.) < ქართ. ჭვარტლ-ი „არასრული წვის პროდუქტი შავი ფერფლის სახით“ (შდრ. ბზ. გუნაი, ბქ. გუნა)

ჭუკ/ჭოკ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/ჭოკ (ლშხ.)/ჭეკ (ლხმ.) „ჭოკი; ძელი, მორი“ < ქართ. (იმერ., გურ.) ჭოკ-ი „გრძელი და წვრილი ჯოლოკი, ლატანი, კაკლის საბერტყი; გრძელი ჯოხი“

ჭყან (ბქ.)/ჭყან (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (გურ.) ჭყან-ი „ხორცის ნახარში, ქონიანი წყალი“, შდრ. ზან. (მეგრ.) ჭყან-ი *გადატ.* „სიყუათე, ყუათი“

ჭყეპ (ლშხ.)/ჭყეპ (ლშხ., ჩოლ.) „ტბორი, წყლიანი ადგილი“ < ქართ. ჭყაპ-ი „გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორი“, შდრ. იმერ. ჭყეპავს „წუწავს“

ჭყერი (ბზ.)/ჭყერი (ბქ.)/ჭყერ (ლშხ.) *მოტ.* < ქართ. ჭყორ-ი „იგივეა, რაც ბაძგი“

ჭყიპარტ/ჭყიპარტ (ჩოლ.) „სუსტი, გამხდარი ბიჭი“ < ქართ. (გურ.) ჭყიპარტა/ე,-ი „ჩვილი ბავშვი“

ჭყლაპ (ბზ.)/ჭყუაპ (ლნტ., ჩოლ., უშგ.) „თოვლჭყაპი“, შდრ. ჩოლ. ჭყიპა „თავსხმა წვიმა“< ქართ. ჭყვაპ-ი/ჭყაპ-ი „გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორი“ (შდრ. ბქ. ჭლლაპ)

ჭყონა (ლხმ.) „საძოვარი მთა (ზედმიწ. – მუხნარი)“ *ტოპ.* < ზან. (მეგრ.) ჭყონ „მუხა“

ჭყუეხ/ჭ (ბქ.)/ჭყუეი (ჩოლ.) „თოკის ბოლოს მობმული მოკლე ორთითა ჯოხი, რომელიც გამოიყენება ურემზე ან მარხილზე ტვირთის შესაკრავად“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ჭყვე „კაუჭი, კაკვი“

ჭგრდგ-არ (ბქ.) „კარტები (ზედმიწ. – ჭადრაკ-ებ-ი)“ < ქართ. ჭადრაკ-ი (< ფალ. čatrank) „გონებრივი სპორტის ერთ-ერთი სახეობა...“

ჭგრელ (ზს., ქს.)/ჭერელ (ჩბხ.) < ქართ. ჭრელ-ი 1. „ნაირფერადი“, 2. „სახეები, გამოყვანილი (ქსოვილზე) ან

ამოჭრილი და ამომწვარი (ხეზე...), – ნაჭრელები, ჩუქურთმა“

ჭგრელ-ჭგრელ (ზს., ქს.) < ქართ. ჭრელ-ჭრელ-ი „ფერად-ფერადი“

ჭგრემ (ბზ.)/**ჭერამ** (ბქ., ქს.) „ჭრელა (ძროხის სახელია)“ *ზოოლ.* < ქართ. (ფშ., მთიულ.) ჭერემა „ვეფხვივით ჭრელი საქონელი, – ვეჟანა, ტიგურა, ჭრომახი (ქეგლი); ჭრელი ძროხა (ლ. კაიშაური)

ჭგრჭკგნ (ბქ.) „ყვირილი“ *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) ჭკგრჭკინ-ი/ჭკირჭკინ-ი/ჭკირჭკინ-უა „ჭრიალი, ჭრიჭინი; კრაჭუნი, ჭრაჭა-ჭრუჭის ხმა“

ჭგრჭყგნ (ზს.) *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) ჭგრჭყინ-ი/ჭყირჭყინ-ი/ჭყგრჭინ-ი/ჭყიჭყინ-ი „ჭიჭყინი“, იხ. ლი-**ჭგრჭყგნ-ი**

ჭგრჭგნ (ბქ., ლშხ.) *ხმაბაძვ.* < ზან. (მეგრ.) ჭგჭინ-ი/ჭირჭინ-ი „ჭრიჭინი“, იხ. ლი-**ჭგრჭგნ-ი**

ხ

ხაბარდაი (ლშხ.) < ქართ. ხაბარდა (< არაბ.-სპარს. **xabardar**) „იგივეა, რაც კრინოლინი“

ხაბაკ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხაბაკ-ი „ბარგი“, შდრ. ლეჩხ., იმერ. ხიბაკ-ი

ხაბაკ-ხუბაკ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხაბაკ-ხუბაკ-ი „ბარგიბარხანა“

ხაბაზ (ბზ.) < ქართ. ხაბაზ-ი „მეპურე“

ხაბიჯ (ზს.)/**ხაბიჯ** (ბქ.) *ანთრ.* < ოს.-ალან. (?)

ხაბურზაკ (ბქ., ლნტ.)/**ხაბუზრაკ** (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.), ზან. (მეგრ.) ხაბურზაკ-ი, კახ. ყარფუზ-ი (< თურქ. **karpuz** < სპარს. **xarbuze** „ნესვი“, შდრ. რუს. **Арбуз**) „საზამთრო“, შდრ. ასევე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხაბურზაკის ფონეტიკური ვარიანტები: ხარბუზაკ-ი, ხაბუზრაკ-ი და ჭან. კარპუზ-ი, იხ. **ხარბუზ**

ხაზან/**ხაზან** (ბზ., ლნტ.)/**ხაზეან** (ბქ.)/**ხაზეინ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხაზეინ-ი (< რუს. **Хозяин** < არაბ. **xazin**) „პატრონი, მეპატრონე, ბატონი, მფლობელი (მამაკაცი)“

ხაზეიკა (ზს., ქს.)/**ხაზიაკა** (ბქ.) < ქართ. ხაზეიკა (< რუს. **Хозяйка**) „პატრონი, მეპატრონე, მფლობელი (ქალი), დიასახლისი...“

ხათრ (ზს., ლშხ.)/**ხათრ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ხათრ-ი (< არაბ.-სპარს. **xatir**) „პატივისცემა; თავაზი“ (შდრ. ბქ. მალკაფ)

ხათრიან (ზს., ლნტ.)/**ხათრიან** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხათრ-იან-ი „მორიდებული, მოკრძალებული“ (შდრ. ბქ. მალკაფიან)

ხალ (ზს., ქს.) < ქართ. ხალ-ი (< არაბ. **hāl**) „წერტილივით ლაქა კანზე, ჩვეულებრივ, ოდნავ ამობურცული“

ხალამ (ლშხ., ჩოლ.) „პატარა ჭური“ < ქართ. (იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.) ხალამ-ი „იგივეა, რაც დერგი“, შდრ. ხალან-ი „პირფართო ქოთანი“ (საბა)

ხალას (ჟშგ.) < ქართ. ხალას-ი (< არაბ. **xalas**) „ისეთი, რასაც სხვა არაფერი ურევია, – წმინდა (უპირატესად ლითონებზე ითქმის). || ნამდვილი, უტყუარი“

ხალაფორთ (ზს., ქს.)/**ხლაფორთ** (ჩოლ.) < ქართ. ხლაფორთ-ი (< რუს. **хлопоты**-იდან „საზრუნავი“) „წვალება, ჯახირი, გაწამაწია“ (შდრ. ჩოლ. ლიტუაჟალ)

ხალახინ (ჩოლ.) „ტალავერი“ < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) ხალახინ-ი „დიდი, ზოგჯერ ტოტებიანი ხე, რომელზედაც ვახს უშვებენ“

ხალათ (ზს., ლნტ.)/**ხალათ** (ლშხ.,

ჩოლ.) < ქართ. ხალათ-ი (< თურქ. **xälät** < არაბ. **ḫil'at** „შესამოსელი“) „ლაბადა“

ხალენ (ქს.) „სასულიერო პირთა სამოსელი“ *რელიგ.* < ძვ. ქართ. ხალენ-ი (< ებრ. (?) „მღვდელმთავართა და წინასწარმეტყველთა ტანისამოსის ზემოთ მოსასხამი“) „მატყლის უხეში ქსოვილი; ცხვრის ტყავის მოსასხამი“

ხალთა (ბზ.)/**ხალთ** (ბქ., უშგ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ხალთა „ტყავის ტომარა, – გუდა...“ (შდრ. უშგ., ჩოლ. ქვაც)

ხალის (ზს., ქს.) < ქართ. ხალის-ი (< არაბ. **xalis**) „მონდომება, გაკეთების სურვილი; კარგი გუნება, მხიარული განწყობილება“

ხალისაან (ზს., ლნტ.)/**ხალისიან** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხალის-იან-ი (< ხალის-ი < არაბ. **xalis**) „ხალისის მქონე, – დაუზარებელი, მონდომებული; მხიარული, გულღია“

ხალუა (ზს., ქს.) < ქართ. ხალვა/ჰალვა (< არაბ. **halvā** „ტკბილეულობა“) „ერთგვარი ტკბილეული; მზადდება შაქრისაგან და ნიგვზის, მზესუმზირასა და მისთ. დანაყილი გულისაგან“

ხალუათ (უშგ.) < ქართ. ხალვათ-ი (< არაბ. **xalvat**) 1. „ფართო, განიერი“, 2. „თავისუფალი, შეუზღუდავი, უდარდელი“, 3. *ძვ.* „იგივეა, რაც ხალვათობა“, 4. „განმარტოებული, გაცალკევებული (ადგილი)“

ხალხურ (ზს., ქს.) < ქართ. ხალხურ-ი „ხალხის დამახასიათებელი, ხალხის კუთვნილი, ხალხისაგან მომდინარე, – ხალხისა“ (შდრ. ბზ. ლეხ̌ლხ)

ხამ (ჩოლ.) „უხეში ქსოვილი“ < ქართ. ხამ-ი (< სპარს. **xam**) 1. „დაუმუშავებელი, გამოუყვანელი, მოუქნელი“, 2. „ბამბის შეუღებავი ქსოვილი, შინ დართული (მსხვილი) ძაფისაგან. || ეგევე ქსოვილი, რაიმე ფერად შეღებილი...“ (შდრ. ზს. ფახცი, ბზ. ფა[რ]ხსდი)

ხამშალა (ლშხ., ჩოლ.) „კანაფის ტილო“ < ქართ. (ლეჩხ.) ხამშალა „მოუთელავი შალი“

ხანგარ (ზს.)/**ხანგარ** (ლშხ., ჩოლ.) /**ხანგარ**/**ჰანგარ** (ჩოლ.) „ხმალი. მახვილი, სატევარი“ < ქართ. ხანჯალ-ი (< სპარს. **xančal**) „ბრტყელი ორპირი წვეტიანი იარაღი, – სატევარი“, იხ. **ხანჯარ**

ხანიჟამ (ლშხ., ჩოლ.) „დრო და ჟამი“ < ქართ. ხან-ი (< ფალ. **hān**) 1. „დროის მონაკვეთი; დრო, ჟამი“, 2. „ადამიანის ასაკი, – ხნოვანება“ და ჟამ-ი (< ფალ. **žam**/**zamān**) „დრო, ხანი; საათი“

ხანიჟამს (ლშხ., ჩოლ.) „დიდხანს; დრო და დრო (ზედმიწ. – ხან-[ს] და ჟამ-ს)“ *ზმნის.* < ქართ. ხან-ი (< ფალ. **hān**) 1. „დროის მონაკვეთი; დრო, ჟამი“, 2. „ადამიანის ასაკი, – ხნოვანება“ და ჟამ-ი (< ფალ. **žam**/**zamān**) „დრო, ხანი; საათი“, შდრ. ძვ. ქართ. ხან-ჟამ-ის-ად „ხანგამოშვებით, დროდადრო“

ხანსარ (ზს., ჩოლ.) **ხაშარ** (ქს.) **ხანშარ** (ჩოლ.) 1. ბზ. „ყინულის დიდი ნამსხვრევები“, 2. ბქ. „მყინვარი“, 3. ქს. „თრთვილი“ < ქართ. (ლეჩხ.) ხაშარ-ი „თოშა, თრთვილი“, შდრ. ფშ. ხაშურ-ი „ნესტიან ადგილზე მოდებული რამ ქაფივით“

ხანჯარ (ზს., ლნტ.) **ხანჯარ ხანჯალ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ხანჯალ-ი (< სპარს. **xančal**) „ბრტყელი ორპირი წვეტიანი იარაღი, – სატევარი“, იხ. **ხანჯარ**

ხანჯრაწლობ (ბზ.) „შერკინება ხანჯლებით (ზედმიწ. – ხანჯლ-ობ-ა)“ < ქართ. ხანჯალ-ი (< სპარს. **xančal**) „ბრტყელი ორპირი წვეტიანი იარაღი, – სატევარი“

ხარაჲ (ჩოლ.) „დიდი ზომის დოქი“ < ძვ. ქართ. ხარა, ახ. ქართ. ხარა-დოქი (<

სპარს. **xara**-დან) „დიდი დოქი ერთგვარი“

ხარაბ (ზს.)/**ხარაბ** (ლნტ., ჩოლ., ლხმ.)/**ხარებ** (ლშხ., ჩოლ.) *რელიგ.* < ძვ. ქართ. ხარ-ებ-ა „შუება, მხიარულება, განშუება, განცხრომა“, ახ. ქართ. „ქრისტიანული დღესასწაული“

ხარაზ (ზს., ლნტ.)/**ხარაზ** (ბქ., ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ხარაზ-ი (< სპარს. **xarrāz** < არაბ.) „წუღა-ჩუსტების მკერავი“

ხარატ (ბქ.)/**ხარატ** (უშგ.) < ქართ. ხარატ-ი (< არაბ. **xarraṭ**) 1. „ოსტატი, რომელიც ჩარხზე ხისაგან ან ლითონისაგან ჩარხავს (ახარატებს) სხვადასხვა ნაკეთობას“, 2. „ხარატული, მოხარატებული ჩუქურთმა“

ხარბობ (უშგ.) < ქართ. ხარბ-ობ-ა „ხარბის თვისება, სიხარბე“ (შდრ. ბზ. ლიშორწლ, ბქ. ლიშონალ; ბზ. ლითხამლ; ბქ. ლიურცეფალ), იხ. მა-**ხარბ**


ჰამარ (ზს.)/ამარაი (ლშხ., ჩოლ.)/ამარა (ლნტ.)/ჰამარ (უშგ.) < ქართ. ამარა „მხოლოდ და მხოლოდ ერთი რისამე მქონე“

ჰამიკ (ბქ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ქართ. (კახ.) ამიკო

ჰანდრი (ლხმ.)/ჰანდრა (ბზ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ქართ. ანდრ-ი, ანდრა < ანდრია < ბერძ. **andria** „მამაცი, მხნე, შემმართებელი“

ჰანთუყ/ ანთუყუ/ ანთუყუი (ზს.) *ანთრ.* < ადიღ.-ყაბარდ. ანთ-ინოყვა

ჰანწუალ/ჰაწუალ (ზს.)/აწოლ (ლნტ.) /აწუალ (ჩოლ.) „ხეზე დადგმული ზვინი; სიმინდის ზვინი“ < ადიღ. **ხანბუ/ჰანბ̌ჳ** „ზვინი“, შდრ. ქართ. ანწალა „წვრილი ბრჯა, მაღალი“, ზან. (მეგრ.) ანწალა/ანწოლა „ხეზე ჩამოკიდებული ჩალა“, ლაზ. აწალა „წვრილი ზვინი ძნისა (მაღალი)“

ჰაიტ (ბქ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ჰაიტ „გამოხატავს გაწყრომას, დატევას“

ჰარაკ (ზს.)/არაკ (ზს., ლნტ.)/არაკ (ლშხ., ჩოლ.) 1. „არაკი, ამბავი, თქმულება“, 2. „ნიმუში, მაგალითი“, 3. „ბედი, ხვედრი“, 4. „სულაც, ის კი არა და ა. შ.“ < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ჰარაკად (ზს.)/არაკად (ლშხ., ჩოლ.) /არაკად (ლნტ.) „ამბად, თქმულებად (ზედმიწ. – არაკ-ად)...“ *ზმნის.* < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ჰარაკილდაშ (ბქ.) „აბსოლიტურად“ *ზმნის.* < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ჰარაკ-ჰურაკ (ზს.)/არაკ-ურაკ (ლშხ.) „ათასნაირი ამბები“ < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ჰარამ[1] (ბზ.)/არამ (ჩოლ.) < ქართ.

არამ-ი (< არაბ.-თურქ. **haram**) 1. „რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება“, 2. „ის, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ, _ უპატიოსნო, უძლები, უკუღმართი“

ჰარჯმ² (უშგ.) < ქართ. ვარამ-ი (< არაბ. **varam** „სიმსივნე“) „დარდი, მწუხარება, ვარამი“

ჰარჯყ (ზს.)/**არჯყ/ჰარაყ** (ბქ.)/**არჯყ** (ბქ., ლნტ.)/**არაყ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჰაღრჯყ** (ლხმ.) < ქართ. არაყ-ი (< არაბ. **‘arag**) „მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი (გამოხდილი პურეულისა, ჭაჭისა თუ ხილისაგან)“, შდრ. ზს. **თუ̆ირ**; ბქ. **ლეკმაჯ**

ჰარიქა (ზს., ლშხ.)/**არქა** (ბქ., ჩოლ.) /**არგა** (ბქ.)/**ჰარქა/ჰარგა** (ლხმ.) /**არიქა** (ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. არიქა „საგანგაშო ძახილი საშველად, მისახმარებლად, გასაფრთხილებლად“

ჰარიჰარად [ლირდე] (ბზ.) „განცხრომა, დროსტარება“ *ზმნის.* < ქართ. ჰაი-ჰარ-ად „სასწრაფოდ; ნაჩქარევად, ნაუცბათევად“

ჰარკობ (ბზ.) *ზედმიწ.* – **არაკ-ობ-ა** < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი“

ჰარყაღ (ბზ.)/**ჰარყა̆** (ბქ., უშგ.)/**არყა̆** (ბქ.)/**არყაღ** (ლშხ., ჩოლ.) „არყის მოყვარული, – ლოთი“ < ქართ. არაყ-ი (< არაბ. **‘arag**) „მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი“, შდრ. ბზ. **თგრჳაღ**, ბქ. **თგრჳ**, ლშხ., ჩოლ. **თგრაღ**; ბქ. **ჯაზნარჳ**

ჰასკ (ბზ.)/**ასაგ** (ბზ.)/**ასაკ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ასაკ-ი 1. „წელთა რაოდენობა, ათვლილი დაბადებიდან“, 2. „ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანი, პერიოდი“, 3. „წლოვანება“ შდრ. ზს., ლშხ. **შდიქ**, ჩოლ. **შტიქ**)

{ჰ}ასკამ (ბქ.)/**სკამ** (ლშხ., ჩოლ.) „ტახტრევანი, სავარძელი (ოჯახის უფროსისა)“ < ქართ. სკამ-ი (< ბერძ. **σκαμνι**, შდრ. ლათ. **scamnum**) „დასაჯდომი ავეჯი (დგამი), ჩვეულებრივ, ხისა, ფეხებიანი და ზურგიანი“

ჰაუა (ზს., ქს.)/**აუა** (ლნტ.) < ქართ. ჰავა (< არაბ. **hawā**) „ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა, – კლიმატი“

ჰაუდარ/ჰაუდარ (ბზ.)/**აუდარ** (ლშხ., ჩოლ.)/**აუდარ** (ლნტ.) „ცუდი ამინდი“ < ქართ. ავ-დარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“

ჰაუდრიაან (უშგ.)/**აუდრაღ** (ჩოლ.) < ქართ. ავ-დრ-იან-ი „წვიმიანი ამინდი“

ჰაუდრიანობ / ჰაუდრიანობ (ბზ.) /**აუდრიანობ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ავ-დარ-იან-ობ-ა „ცუდი ამინდი, წვიმები“

ჰაუეკ (ზს.)/**ჰაუეკ** (ბზ.)/**აუეკ** (ლშხ., ჩოლ.)/**აუეკ** (ლნტ.) „თოფი, იარაღი“ < ქართ. ავეკ-ი „ბინის მოსაწყობი, ოთახში დასადგმელი ნივთები (მაგიდა, სკამი, კარადა და მისთ.), – დგამი“, შდრ. მთარაჭ. **ავეკ-ი** „ტანის მოკაზმულობა-მორთულობა“ (შდრ. ზს., ლნტ. **ნაბე**, ლშხ. **ნაბე**)

ჰაყარ (ბზ.)/**აყარ** (ქს.)/**აყარი** (ლნტ.) /**აყარი** (ჩოლ.)/**აყარ/აყარ** (უშგ.) *მოტ.* < ქართ. აყირო „გრძელყელიანი გოგრა, მცოცავღეროიანი და თეთრყვავილებიანი“

ჰაჯ (ზს.)/**აჯ** (ლშხ., ჩოლ.)[132] „შუამდგომლობა“ < ქართ. აჯა „თხოვნა, მუდარა, ხვეწნა, ვედრება“

ჰაბტკ (ბზ.)/**აბტკ** (ლშხ., ჩოლ.)/**აბტკ** (ლნტ.) 1. „ბუდე, გარსი, აპკი“, 2. „ბრკე (ღვინისა, რძისა...)“... < ქართ. აპკ-ი (< ფალ. **āpak**) „იგივეა, რაც აფსკი, აფსკა“ (შდრ. ბქ., ჩოლ. **ბეტკ**)

ჰაერ (ზს., ლნტ.)/**ჰაერ** (ბზ.)/**ჰაერ** (ზს., ლშხ., ჩოლ.)/**ჰაერ** (ბქ., ლნტ.)/**ჰაერ** (ჩოლ.)/**ჰაღრ** (ლხმ.) < ქართ. ჰაერ-ი (< ბერძ. **ἀήρ**) „ჟანგბადის, აზოტისა და

სხვა უფერული გაზების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს“

ჰაზუ (ზს.)/Მეზო (ბზ.)/აზუ/Მეზუ (ჩოლ.) < ქართ. ეზო „შემოკავებული მიწის ნაკვეთი, სადაც სახლი და სხვა ნაგებობა დგას და სადაც ხშირად სარდილობელი ხეები და ხეხილია“

ჰალ/ჰალ (ზს.)/ჰალუ (ბზ.)/ალ (ლშხ., ჩოლ.) „კუდიანი, ბოროტი სული, ალქაჯი“ < ქართ. ალ-ი „ძველი ხალხური რწმენით – ზღაპრული მავნე არსება ლამაზი ქალის სახით“ (შდრ. ლშხ., ჩოლ. გირგალაი)

ჰალუა/ჰელუა (ბზ.)/ჰალუა (ბქ., უშგ.)/Მელუა (ლშხ.)/ალ (ლნტ.)/ჰაულა (ლხმ., ბეჩ.)/ჰელუჰ (ლხმ.) *მოტ.* < ქართ. ალვა „ალვის ხე“

ჰაჲ-ჰაჲ (ზს.)/ჰაჲ-ჰაჲ (ჩოლ.) „გამოხატავს ნატვრას“ *შორისდ.* < ქართ. ჰაი-ჰაი „გამოხატავს მტკიცე დასტურს, – სწორედ რომ, უეჭველად; უდავოდ“

ჰაᲛდა (ბქ.)/ჰაᲛდა (ლხმ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ჰაიდა (< თურქ. **aida** „ჰაი“, „აბა“) „იხმარება წასასვლელად წაქეზებისას“

ჰალურა (ბქ.)/ალურა (ლშხ., ჩოლ.) „მიჯნა“ < ქართ. საზღვარ-ი „ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ყოფს ურთიერთისაგან, – მიჯნა, ზღვარი“

ჰაშიკ (ზს.)/Მაშიკ (ზს., ლნტ.)/აშიკ (ზს., ლნტ.)/Მაშიკ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) < ქართ. იაშიკ-ი (< რუს. **Ящик**) „ყუთი“ (შდრ. ბქ. შაკუ)

ჰაშკ (ზს.)/აშკ (ლნტ.)/აშკ (ლშხ., ჩოლ.) „ორწვერა ძაფი (შალისა)“ < ქართ. აშკ-ი „მავთული“ (საბა), შდრ. ძვ. ქართ. მაშკ-ი

ჰაჩუ (ბქ.) 1. „შეძახილი ცხენ{ებ}ისა და ჯორ{ებ}ის გასარეკად“, 2. *მავშვ. მეტყვ.* „ცხენი“ *შორისდ.* < ქართ. აჩუ „შეძახილი ცხენ{ებ}ის გასარეკად“

ჰაუდარ/ჰაუდარ (ბზ.)/აუდარ (ლშხ., ჩოლ.)/აუდარ (ლნტ.) < ქართ. ავ-დარ-ი „ცუდი ამინდი, ცუდი დარი“

ჰაუდროობ/ჰაუდროობ (ბზ.)/აუდროობ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)/აუდაროობ (ლნტ.) < ქართ. ავ-დრ-ობ-ა/ავ-დრ-იან-ობ-ა „ცუდი ამინდი, წვიმები“

ჰალუირ (ბზ.)/ალუირ (ბქ.)/ალუირ (ქს.)/ჰალუირ/ჰალუირ (უშგ.) „სადავე“ < ქართ. ალვირ-ი „ცხენის მოსართავი მოწყობილობა“

ჰეჲ, ჰეჲ (ლშხ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ჰეი, ჰეი „გამოხატავს ნატვრა-დანანებას“

ჰენწ (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ო-ნწ-ე „აკვანი“, ლაზ. ო-ნწ-ელ-ი „აკვანი“

ჰერაბ/ჰერბიშ/ჰარაბ (ბზ.)/არაბ (ბქ.)/არაბ (ლნტ., ლხმ., ჩოლ.)/ჰიარაბ (ფარ.) 1. „წინასწარი გაფრთხილება“, 2. „საქვეყნო ცნობა, უწყება“[133] < ქართ. არაბ-ი „საერთო ეთნიკური სახელი სემიტური მოდგმის ხალხებისა, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში და სხვაგან“, შდრ. მთიულ. არაბ-ი „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული“

ჰერწᲛ (ბზ.)/ჰერწემ (ბქ.)/ურწᲛულ /ურწᲛუნ (ლშხ.)/ურწᲛილ (ლნტ., ჩოლ.) /უურწᲛილ/ურწᲛულ (ჩოლ.) „გველი, ქვეწარმავალი“ ზოოლ. < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. უიჯ)

{ჰ}ეᲛᲨა/ჰეᲛᲨ (ბზ.)/ᲛეᲛᲨა/ჰეᲛᲨ (ბქ.) /{ი}ეᲛᲨაი (ლშხ., ჩოლ.)/{ი}ეᲛᲨ (ლნტ.) /ეᲛᲨა (ჩოლ.)/ჰაᲛᲨ (უშგ.)/ᲛეᲛᲨ (ლხმ.) „ეშმა, გრძნეული, ეშმაკი, სატანა“, შდრ. ბზ. ჰეᲛᲨ „მძივი“ < ძვ. ქართ. ეშმა (< ფალ. **hēšm, hišm, hēšmak** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე) „იგივეა, რაც ეშმაკი“

ჰეწერია (ბქ.)/**ეწერაჲ** (ბზ.) *ბოტ.* < ქართ. ეწერა „გვიმრა“

ჰი (ბზ., ჩოლ.)/**ჰი** (ბქ.) *შორისდ.* < ქართ. ჰი „გამოხატავს დაცინვას, ნიშნის მოგებას, – აი“

ჰირიკ (ბქ.) „ვირის უნარიგი“ < ქართ. (ლეჩხ.) ხირაგა (< ოს. **xæræg** „ვირი“) „ვირის კეხი“

ჰიტლერ (ზს., ქს.)/**იტლერ** (ჩოლ.) < ქართ. ჰიტლერ-ი (< გერმ. **Hitler**) „ადოლფ ჰიტლერი – გერმანელი პოლიტიკოსი“

ჰოჲ, ჰოჲ (ლშხ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ჰოი, ჰოი „შეძახილი მიმართვისას“

ჰურდუმ[1] (ბზ.)/**ურდუმ** (ჩოლ.) „კარის საკეტი, – ურდული“ < ქართ. ურდულ-ი „კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი გარდიგარდმო გასაყრელი კეტი“

ჰურდუმ[2] (ბზ.)/**ჰულდუმ** (ბქ.) „ერდო“ < ქართ. (რაჭ.) ურდუმ-ი 1. „ბოსლის სარკმელი ნეხვის გადასაყრელად“, 2. „საყვავე“

ჰუნგირ (ბზ.)/**ჰინგირ** (ბქ.)/**უნგირ** (ლშხ., ჩოლ.)/**უნაგირ/ჰუნგირ** (უშგ.) < ქართ. უნაგირ-ი (< ირან. **hunagīr**) „მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა, ცხენის ზურგზე დასადგმელი“

ჳ

ჳუჰ (ბქ., ლნტ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. უჰ 1. „აღტაცების, გაკვირვების, გაოცებისა და მწუხარების გამომხატველი შორისდებული“

ჳა (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ა „განცვიფრებისა და გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

ჳაუ (ბქ.) *შორისდ.* < ქართ. აუ „გაკვირვების, აღტაცებისა და უკმაყოფილების გამომხატველი შორისდებული“

ჳახ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჳაბ** (ბქ., ლნტ.) *შორისდ.* < ქართ. აჰ „დანანებისა და გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

ჳაჰ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჳაჰ** (ბქ., ლნტ.) *შორისდ.* < ქართ. აჰ „დანანებისა და გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

ჳაჰა (ბქ., ლნტ.) *შორისდ.* < ქართ. აჰა „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებული“

ჳე (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ე „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

ჳეი (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ეი „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული“

ჳეუ (ბქ.) *შორისდ.* < ქართ. ეუ „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული, – აუ“

ჳეჰ/ჳეჰ (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ეჰ „დანანების გამომხატველი შორისდებული“

ჳეჰა (ბქ., ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ეჰა „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებული, – არიქა“

ჳიჰ (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. იჰ „დანანების გამომხატველი შორისდებული, – ეჰ“

ჳო (ბქ.) *შორისდ.* < ქართ. ო „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული, – ბიჭოს“

ჳოიტ (ზს.) *შორისდ.* < ქართ. ოიტ „გაკვირვებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული“

ჳოო (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. ოო „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული, – ბიჭოს“

ცოუ (ბქ.) *შორისდ.* < ქართ. ოუ „განცვიფრებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული“

ცოხ/ცოჰ (ბქ.)/ცორხ (ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ოხ/ოჰ „მწუხარებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული“

ცოჰჰრ (ჩოლ.) *შორისდ.* < ქართ. ოჰ/ოჰო „მწუხარების გამომხატველი შორისდებული“

ცუჰ (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. უჰ „სიხარულის გამომხატველი შორისდებული, – ვიშ“

ცუჰ-ცუჰ-ცუჰ (ზს., ქს.) *შორისდ.* < ქართ. უჰ-უჰ-უჰ „სიხარულისა და აღფრთოვანების გამომხატველი შორისდებული, – ვიშ-ვიშ-ვიშ“

ჸ

ჸთხერ (ბქ.) „თხელი (ნათესი, სისხლი...)“ < ქართ. თხელ-ი 1. „რასაც მცირე განივჭრილი აქვს, მცირე სისქისა“, 2. „გამხდარი, ტანწვრილი, ხმელი (ადამიანი)“, 3. „წყლიანი, წყალწყალა...“ (შდრ. ბქ., ჩოლ. დჸთხელ).

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

გაბლიანი 1925 – ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბილისი, 1925

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2005

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016

ჩუხუა 2008 – მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2008.

ბ) ლექსიკონები

აბაევი 1949 – В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор. I.; М.-Л. Изд-во АН СССР, 1949

აბაევი 1958 – Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I, М., Изд-во Ан СССР, 1958

აბაევი 1973 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. т. II, Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.), 1973

აბაევი 1979 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. т. III. Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.), 1979

აბაევი 1989 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. т. IV. Л., "Наука" (Ленинг. отд.) (АН СССР. Инст. языкозн.), 1989

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ.), თბ., 1973

აჭარიანი 1927 – ჰრ. აჭარიანი, სომხური ენის ძირთა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, ერევანი, 1927

გვანცელაძე 2019 – თ. გვანცელაძე, ქართულ-აფხაზური ლექსიკონი, თბ., 2019

დონდუა 2001 – კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი, 1997

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

კასლანძია 2005-ა – В. А. Касландзия, Абхазско-русский словарь, т. II, Сухуми, 2005

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964

კლიმოვი 1998 – G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York

კლიმოვი, ხალილოვი 2003 – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков (сопоставление основной лексики). М., зд-во "Восточная лит-ра", 511 с

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994

მაგაზანიკი 1945 – Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь. Москва, 1945

მაყაშვილი 1991 – ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991

ნიჟარაძე 2007 – ბ. ნიჟარაძე, ქართულურ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007

საღლიანი 2018 – სვანური ლექსიკონი (ტექსტებითა და გამოკვლევითურთ), პოლონეთი, 2018

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 2001

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 2002

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 2002

ქაჯაია 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი, 2009

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010

ქურდაძე, შონია, თანდილავა, ნიჟარაძე 2015 – რ. ქურდაძე, დ. შონია, ლ. თანდილავა, ლ. ნიჟარაძე, ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, თბილისი, 2015

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974

ღლონტი 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986

შაგიროვი 1971 – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков (А-Н); М., "Наука" (АН СССР ИЯ), 1977

შაგიროვი 1971 – А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков (П-I); М., "Наука" (АН СССР ИЯ), 1977

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003

ჭკადუა 2020 – ა. ჭკადუა, სვანური ტოპონიმიკა, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: რ. ჭკადუამ, ე. გაზდელიანმა, ლ. გიგლემიანმა, მ. საღლიანმა, ნ. შავრეშიანმა, თბილისი, 2020.

გ) წყაროები

სვ. პოეზ. 1939 – სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბ., 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კი-

ლო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედუქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

სვან. პროზ. ტექსტ. 1979– სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არს. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

სვან. ენის ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978

ქსე 1977 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. მე-2, თბილისი, 1977

ჩართოლანი 2003 – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა (ბალსზემოური კილო), თბილისი, 2003.

შემოკლებათა განმარტებანი

აბაზ. – აბაზური
ადიღ. – ადიღეური
ანთრ. – ანთროპონიმი
არაბ. – არაბული
არაბ.-სპარს. – არაბულ-სპარსული
არამ. – არამეული
აფხაზ. – აფხაზური
აფხაზ.-აბაზ. – აფხაზურ-აბაზური
აჭარ. – აჭარული
ახ. ქართ. – ახალი ქართული
ბავშ. მეტყ. – ბავშვის მეტყველება
ბალყ. – ბალყარული
ბეჩ. – ბეჩოური
ბზ. – ბალსზემოური
ბოტ. – ბოტანიკური
ბქ. – ბალსქვემოური
გადატ. – გადატანითი
გერმ. – გერმანული
გუდამაყრ. – გუდამაყრული
გურ. – გურული
ებრ. – ებრაული
ეთნ. – ეთნოლოგიური/ეთნოგრაფიული
ეცერ. – ეცერული
ზან. – ზანური
ზედმიწ. – ზედმიწევნითი
ზ.-იმერ. – ზემო იმერული
ზმნის. – ზმნისართი
ზოოლ. – ზოოლოგიური
ზს. – ზემოსვანური
ზღაპ. პერს. – ზღაპრის პერსონაჟი
ზღაპ. ტოპ. – ზღაპრის ტოპონიმი
თათრ. – თათრული
თანდ. – თანდებული
თიან. – თიანეთური
თურქ. – თურქული
თურქ.-მონღ. – თურქულ-მონღოლური
იდიომ. გამოთქ. _ იდიომატური გამოთქმა
იმერ. – იმერული
ინგ. – ინგილოური
ინგლ. – ინგლისური
ირან. – ირანული
იტალ. – იტალიური
იტალ.-თურქ. – იტალიურ-თურქული
იფარ. – იფარული
იხ. – იხილეთ

კავშ. – კავშირი
კალ. – კალური
კახ. – კახური
კნ.-ალერს. ფ. – კნინობით-ალერსობითი ფორმა
კნინ. ფ. – კნინობითის ფორმა
ლაზ. – ლაზური
ლათ. – ლათინური
ლანძღ. – ლანძღვა
ლეჩხ. – ლეჩხუმური
ლნტ. – ლენტეხური
ლშხ. – ლაშხური
ლხმ. – ლახამულური
მალ. – მალაიური
მეგრ. – მეგრული
მესხ. – მესხური
მთარაჭ. – მთარაჭული
მთიულ. – მთიულური
მთიულ.-გუდ. – მთიულურ-გუდამაყრული
მინერ. – მინერალური
მოხ. – მოხეური
მულახ. – მულახური
ნაცვ. – ნაცვალსახელი
ნაწ. – ნაწილაკი
ოკრიბ. – ოკრიბული
ოს. – ოსური
ოს.-ალან. – ოსურ-ალანური
პოლ. – პოლონური
რაჭ. – რაჭული
რელიგ. – რელიგიური
რუს. – რუსული
საკ. სახ. – საკუთარი სახელი
სამურზ. – სამურზაყანოული
სვან. – სვანური
სინონ. – სინონიმი
სპარს. – სპარსული
ტექ. _ ტექნიკური
ტოპ. – ტოპონიმი
უბიხ. – უბიხური
უპატივც. – უპატივცემლობა
უშგ. – უშგულური
ფალ. – ფალაური
ფარ. – ფარული
ფრანგ. – ფრანგული
ფშ. – ფშაური
ქალდ. – ქალდეური
ქართ. – ქართული
ქართლ. – ქართლური
ქვ.-რაჭ. – ქვემო რაჭული
ქიზიყ. – ქიზიყური
ქს. – ქვემოსვანური
ყარაჩ.-ბალყ. – ყარაჩაულ-ბალყარული
შდრ. – შეადაროთ
შორისდ. – შორისდებული
ჩაბ. – ჩუბეხეური
ჩოლ. – ჩოლურული
ჩრდ.-თურქ. – ჩრდილო-თურქული
ცრუმორწ. – ცრუმორწმუნეობა
ძვ. – ძველი
ძვ. ბერძ. – ძველი ბერძნული
ძვ. ებრ. – ძველი ებრაული
ძვ. ირან. – ძველი ირანული
ძვ. სლავ. – ძველი სლავური
ძვ. ქართ. – ძველი ქართული
წყევლ. – წყევლა
ჭან. – ჭანური
ხევს. – ხევსურული
ხლმ. – ხოლმეობითი

[1] ბალსქვემოური ფორმა უფრო ძველი ნასესხობა ჩანს.

[2] ლაშხურ დიალექტში ადამ სწორედ ადამიანის მნიშვნელობით გამოიყენება, მაგ., ჯასგნდეს, ადამ! „გაიგონე, ადამიანო!“

[3] გავრცელებულია კავკასიურ ენებშიც.

[4] თურქული კომპოზიტია, რომლის პირველ ნაწილსაც წარმოადგენს ძვირფასი ქვის სახელწოდება – ალმასი, ქცეული საკუთარ სახელად, მეორე კი (გირეი_გირ) სა-პატიო ტიტულია, რომელსაც ყირიმელი ხანები ურთავდნენ თავიანთ სახელებს, დაწყებული ყირიმის დამოუკიდებელი სახანოს დამფუძნებელ ჰაჯიგირეისაგან (XVIს.).

[5] სავარაუდოდ ქართველურ ენებში არაბულიდან ჩანს შემოსული.

[6] ქართულში ძირითადად ანდაზებში დასტურდება.

[7] ქართული ენის დიალექტებში სწორედ *არიყად* ფორმა დასტურდება.

[8] გამოიყენება შემდეგ გამოთქმებში, მაგ.: არსებახენქა ქა მეჯდე ლი „გამოშტერე-ბულია/აზრზე არაა (ზედმიწ. – არსებ-იდან გამოსული არის)“; არსებაიასგა დემეგ ხარია?! „სრულ ჭკუაზე თუ ხარ (ზედმიწ. – არსება-ში არ ხარ?!)?!“.

[9] შესაძლოა, როგორც არტაჟ, ასევე არტაჟიან მეგრულის გზით შემოსულიყო სვა-ნურში.

[10] შესაძლებლად ვთვლით ლაშხურ (აბჟანდაი) და მეგრულ (აბჟანდი) ფორმათა მესხური დიალექტიდან ნასესხობას.

[11] როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, *აშორას* სარწმუნოებ-რივი ხასიათი ჰქონდა, მისი წარმოთქმის ფორმულა იყო: „აშოროს!“, „აშოროს ღმერთმან!“, რაც ნიშნავდა „ღმერთმა ნუ ქნას“, „ღმერთმა დამიფაროს ესა და ეს მე მექნას“... „მე მემართოსო“. ამგვარი უარყოფის ფაქტზე იტყოდნენ: „აშორა თქვა“, „აშორა ჰყო“, „აშა ჰკრაო“. ასეთი ლიტონი უარყოფის გარდა *აშორას* ზოგჯერ ახლდა ახსნა-განმარტება. თუ დავა სხვა სარწმუნო მტკიცებულებით ვერ გადაწყდებოდა, აშორას თქმას მოსდევდა ფიცის დადება ან საღვთო სამართალი (მაგ., ორთაბრძო-ლა). როცა ბრალდებული თუ მოპასუხე გადაჭრით არ უარყოფდა ბრალდებას (მოთ-ხოვნას), მაშინ ფიცს მომჩივანი დებდა, ე. ი. მტკიცების ტვირთი მასზე გადადიოდა; ასეთ შემთხვევაში ამბობდნენ, „აშორა მას დარჩაო“. საერთოდ „აშორა“ ფიცის სინონიმიც იყო, მაგ. „აშორა ითხოვა“ – ე. ი. ფიცი ითხოვა (ქსე 1977:68).

[12] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმაში, მაგ., ჩოლ. ბაბანიკს დეშ ხეჩო „ვერ ძრავს ადგილიდან (ზედმიწ. – ბაბნიკ-ს ვერ უქმს)“.

[13] სვანური პროზაული ტექსტების მიხედვით, ბაბაყულარ მოლეგეშ დაუარშალ ხალხ ლგმარხ, მინე ჯიჯუს ძერუშ ისგა ლაიბამ, ქა დარმოშუ ლგმწენუნელი, მარე სურუ ხოლა ლეკარქე ლგმარ (სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957:320:30-32) „ბაბაყუ-ლები რაღაც დევების მაგვარი ხალხი ყოფილან, მათ ძვალს ვინც შეიბამდა, არ გა-მოჩნდებოდა, მაგრამ ძალიან ცუდი საშოვნელი ყოფილა (ზედმიწ. – ბაბაყულ-ებ-ი

რაღაც საქმე დევ-ებ-ივით ხალხ-ი ყოფილან, მათ ძვალ-ს ვინც შე-ი-ბ-ამ-დ-ა, გამოჩნდებოდა ვერავინ, მაგრამ მეტისმეტი ცუდი სამოვნელი ყოფილა)".

[14] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებშიც, მაგ.: ბაბგიანს აგნე „დამდგარ წყალს აყენებს (ზედმიწ. – "ბაბაგინ-ს ა-დგ-ამ-ს)", ბაბგიანს ხარღუე „გუბის წყალში ყრის (ზედმიწ. – "ბაბაგინ-ს ა-რღვ-ევ-ს)".

[15] მეგრულ-ლაზურში ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში" მითითებულია პაპ-უ (2000:369), ხოლო გ. კლიმოვისა და ხალილოვის წიგნში „Словарь кавказских языков" მეგრულში პაპ-ი, ლაზურში კი პაპა (2003:46).

[16] მარაქ დადასტურდა სვანურ ქრესტომათიაში: ლამპრია ბედს ი მარაქსუ აბჰქე ისგუა კიბდონჩრისგა ი ლაშდღუჩლუ ჯჩრხ დრსგ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978:55:31) – წმინდა მარიამმა ხვავი და ბარაქა გააქროს თქვენს კიდობნებში და მალე გასვენებისთვის გექცეთ (ზედმიწ. – წმინდა მარიამ-ი ბედ-ს და ბარაქა-ს-მცა ა-ბუქ-ებ-ს თქვენს კიდობნ-ებ-ში და ადრე სამარხავიმცა გაქვთ!)!"

[17] ქართულიდან ნასესხები ბედ- ძირი ხშირად დასტურდება შესიტყვების ერთერთ კომპონენტად, მაგ.: ბედიგუეშ „ბედი, საქმე", ბედინაწერ „ბედისწერა", დემბედიგუაშუ „არაფერს" და ა. შ.

[18] სვანურში ეს სიტყვა იშვიათად იხმარება, ჩვეულებრივია მუჟუეღ „[წინა]-მძღოლი" ფორმა; შდრ. სტალინ მუჟუეღ-ი „ბელადო სტალინ!" სვ. პოეზ., 332:1.

[19] უფრო მოსალოდნელია მეგრულიდან სესხება.

[20] საანალიზო ლექსიკური ერთეული ჩოლურულ მეტყველებაში ძირითადად შესიტყვების (მაგ. ბიქუბრრია) ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად დასტურდება.

[21] სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართ. ბუზ-/ბზუ- ბუზ-ი; ბზუ-ი-ს; ბზუ-ილ-ი... : მეგრ. ბუზ- ბუზ-ინ-ი „კუილი"... : ლაზ. ბუზ- ბუზ-ალ-ა „ბზუილი"... : სვან. ბუზ-/ბზუ- ბუზ-ულ „ბუზი"; ბზ-ულ „ბზუილი"; ბზ-ულ-ი „ბზუის"... ფორმათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენისათვის აღდგენილია "ბუზ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:123). ცხადია, ჩვენ ამ დაკავშირებას მხარს უჭერთ, თუმცა სვანურთან ახლო მდგომ ლეჩხუმურ კილოკავში დადასტურებული *ბუზ-ულ-ი* ფორმა გვავარაუდებინებს სვანურში სესხებას, თუკი პირუკუ ვითარებასთან არ გვაქვს საქმე. ბალსქვემოურ დიალექტში, რომელიც ბევრი არქაიზმით გამოირჩევა, არ გვხვდება ქართული ბუზ- ძირის შესატყვისი, რაც ასევე ქართულიდან ნასესხობას უჭერს მხარს.

[22] ფხგ ფუძე დასტურდება ყაბარდოულშიც (იხ. ა. შაგიროვი, III, გვ. 24).

[23] გამოიყენება წყევლის ფორმულებში, მაგ.: სრუ ლეჯიმა გადაჭმიშ „შენ გეჭამოს მოუნელებელი, მომაკვდინებელი".

[24] შდრ. ძვ. ქართ. გასახვა „წარმოსახვა", რომელიც ფორმით ემთხვევა ჩოლურულ საანალიზო ლექსიკურ ერთეულს, თუმცა სემანტიკურად განსხვავდება. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

[25] ხშირად გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: განთხა ლიქუეც (ბზ.)/განთხიშ ლიქუეც (ბქ.) „მუხლის მოკვეთა (ზედმიწ. – "განთხ-ის წყვეტა)".

[26] ნასესხებია მხოლოდ რთული სიტყვის შემადგენლობაში შემავალი მეორე ფუძე – შალუარ, რაც შეეხება პირველ კომპონენტს, მას ნასესხებად ვერ ჩავთვლით და,

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რთულია მისი დაკავშირება ქართულ-ზანურ შესაბამის ფუძეებთან (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:153-154).

[27] საანალიზო ლექსიკურ ერთეულთა ფონეტიკური ვარიანტები უმეტესად ფუძეცვლილ კომპოზიტთა შემადგენლობაში გვხვდება, მაგ.: ელოლაჲი ~ გელოლაჲ (ბზ.) /ალელიაჲ ~ გალელიაჲ (ლშხ.)/ალელიაჲ ~ გალელიაჲ (ლნტ.)/ალალია-გალალია/ ალალიაჲ ~ გალალიაჲ (ჩოლ.) და ა. შ.

[28] იხ. იზ. ჩანტლაძის ნაშრომი – „კვლავ ძელი/ჯა („ხე“) ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში“, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2015, გვ. 79-82.

[29] ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი სვანური ფუძეები (გუნაბ, გონაბ, გონებ, გონაბ) ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის მიერ შედგენილ „სვანურ ლექსიკონში“ ერთ სიტყვა-სტატიაშია მოქცეული და განმარტებულია როგორც „ჯავრი, ფიქრი, დარდი, შიში“, თუმცა ისინი, როგორც უკვე ვნახეთ, მომდინარეობენ ორი სხვადასხვა ქართული (*გუნება* და *გონება*) ფუძისაგან, რომელთაც, ასევე, სხვადასხვა სემანტიკა გააჩნიათ ქართულში. ვინაიდან სვანური ენის ყველა დიალექტ-კილოკავში ქართულიდან შეთვისებული *გუნება* და *გონება* „დარდის, ჯავრის, ფიქრის და ა. შ.“ სემანტიკით გადმოიცემა, ამიტომ წინამდებარე ლექსიკონში ისინი ერთმანეთისაგან არც ჩვენ გავმიჯნეთ და ერთ სიტყვა-სტატიაში დავტოვეთ.

[30] ნასესხებია კომპოზიტის მეორე კომპონენტი.

[31] ნასესხებია კომპოზიტის მეორე კომპონენტი.

[32] შდრ. ბქ. ბაროზ ამავე სემანტიკით.

[33] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმაში, მაგ.: თანახმას ლიჰედ „დათანხმება (ზედმიწ. – თანახმა-ს მოსვლა)“.

[34] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებშიც, მაგ.: ინტერესდ ლიკედ (ბქ.) „დაინტერესება (ზედმიწ. – ინტერეს-ად აღება)“; ინტერეს ხულუა (ბქ.) „აინტერესებს (ზედმიწ. – ინტერეს-ი აქვს)“ და სხვ.

[35] ჩოლურულში გვხვდება *იუდა* ფორმის შემცველი ტოპონიმი – იუდა ტუიბ „იუდას ხეობა“.

[36] შდრ. ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეული – ქაფოთილ (ზს., ქს.).

[37] ლენტეხურ დიალექტში ქვაბის მნიშვნელობით აუსლაუტმოკვეცილი კასრ ფორმაც დადასტურდა (< რუს. **Кастрюля**).

[38] სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, „მისი კნინობითია *კაცტა*, რომელიც დღეს შემონახულია მხოლოდ კაციტაძის გვარში. წინათ სახელი იყო აგრეთვე *კაცობა* (შეადარეთ მეგრული კოჩობა), საიდანაც მიღებულია კაცობაშვილის გვარი. თვითონ *კაცია*-საგან ნაწარმოებია გვარები: კაცია, კაცაძე, კაცაშვილი“ (ჭუმბურიძე 1992:122-123).

[39] შდრ. ზან. (მეგრ.) კერძ-ი/კერზ-ი „ახლობელი, მოკეთე, ღვიძლი“. ზანურის გზით რომ შეეთვისებინა სვანურს, მაშინ პირველ რიგში ბალსქვემოურ დიალექტში უნდა გვქონოდა როგორც მოსაზღვრე დიალექტში.

[40] შდრ. ბქ., ლნტ., ჩოლ. ლგ-კინკ „უბიანი“, კინკ-არ „უბეები“.

[41] ლაშხურ-ჩოლურულ ფორმაში -ოლ კნინობით-ალერსობითის მაწარმოებელი ფორმანტია.

[42] ჩოლურულ ფორმაში გამოვლენილი -ოლ კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსია.

[43] -ორლ აქაც კნინობითის მაწარმოებელი აფიქსია.

[44] ნასესხებია რთული სიტყვის პირველი შემადგენელი კომპონენტი, მეორე კი საკუთრივ სვანურია.

[45] მსჯელობა იხ. მონოგრაფიაში!

[46] შდრ. გურ. კტე.

[47] ბალსქვემორ დიალექტში ბრაზ- მხოლოდ იდიომატურ გამოთქმებში გვხვდება (მაგ.: ბრაზ ხარ „გაბრაზებულია, გაცოფებულია, განრისხებულია (ზედმიწ. – ბრაზ-ი აქვს)“, ბრაზ ოხჯად „გაბრაზდა, გაცოფდა, განრისხდა (ზედმიწ. – ბრაზ-ი მოუვიდა)“..., მასდარი და მიმღეობური ფორმები არ ეწარმოება.

[48] შესაძლოა, *ნადელ*-იდან იყოს ნაწარმოები შემდეგი იდიომატური გამოთქმები: სანდელდ ლიგნე (ბქ.)/სანდალდ ლიგნე (ჩოლ.) „ყველა საქმის მოგვარება; დალაგება; გაწკრიალება, დასუფთავება (ზედმიწ. – ნადელ-ად დგ-მ-ა)“, სანდელდ ლგგნე(ბქ.)/ სანდალდ ლგგნე (ჩოლ.) „ყველა საქმე მოგვარებული; დალაგებული; გაწკრიალებული, დასუფთავებული (ზედმიწ. – ნადელ-ად მ-დგ-არ-ი)“; ლისანდალი (ჩოლ.) „დასუფთავება, დაწკრიალება“ და ა. შ. სვანური ფორმების ნადელთან დაკავშირებას ერთი შეხედვით აბრკოლებს ანლაუტში გამოვლენილი სა-, თუმცა ადვილი შესაძლებელია მისი სა-ნადელ-ო ფორმისგან მომდინარეობა. ამ შემთხვევაში ნასესხები გამოდის არამხოლოდ ძირი, არამედ მთლიანი ფუძე.

[49] შდრ. ზმნის პირიანი ფორმები: ოხსირს – გავანიავე, ენსირსი – განიავდება...

[50] ლაშხურ მასდარში ძირად გამოყოფილი -ტურამ- გვხვდება ბალსქვემოურ დიალექტშიც იდიომატურ გამოთქმებში (მაგ.: ტურამდ ლიგნე „ნამსხვრევებად ქცევა, დამტვრევა, დანგრევა (ზედმიწ. – მტვრ-ევ-ად დგ-მ-ა)“, ტურამდ ლგგნე „ნამსხვრევებად ქცეული, დამტვრეულია, დანგრეული (ზედმიწ. – მტვრ-ევ-ად მ-დგ-არ-ი)“ და ა. შ.), თუმცა იგი, ლაშხურისაგან განსხვავებით, მასდარს ვერ აწარმოებს.

[51] შდრ. ბქ. ანდაზა: შგინილ, ბთყაჩოუ ლბუერბალს, უერბდ ესერ დეშომა ხესყი „წიწკანავ, გაანებეო თავი ორბობას, ვერასოდეს გაორბდებიო (ზედმიწ. – წიწკანავ, გაანებამცა ორბ-ობ-ა-ს, ორბ-ად-ო არასოდეს უკეთდები)“.

[52] საანალიზო ძირი ხშირად გვხვდება სვანური იდიომატური გამოთქმების ერთერთ კომპონენტად, მაგ.: ლუწყდ ლიგნე „ბქ.) „გაწუწვა, დასველება (*ზედმიწ.* – წყლად დგ-მ-ა)“; ლუწყდ ლგგნე (ბქ.) „გაწუწული, დასველებული (*ზედმიწ.* – წყლ-ად მ-დგ-არ-ი)“; ლუწყდ მგგნე (ბქ.) „გამწუწავი, დამსველებელი (*ზედმიწ.* – წყლ-ად მ-დგ-ომ-ი)“ და სხვ.

[53] უშგულურმა ქართულიდან სესხებისას შეინარჩუნა სონორი ლ.

[54] ვუშვებთ შესაძლებლობას ბალსქვემოურ ფორმათა ზანურიდან სესხებისა.

[55] რომლის ზომაც სოფლების მიხედვით განსხვავებულია, რადგანაც მამაკაცები ყველანი ერთნაირად ვერ მუშაობენ, ამიტომ, ამ ერთეულის ფართობის ზომაც ყველგან სხვადასხვაა (იხ. საღლიანი 2016:424).

[56] შდრ. ჩოლ. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ლუსკმუნე/ლუსტმუნე „გამოყრუებული ადამიანი"; „გამოჭედილი", რომელიც შესაძლოა სწორედ *ლუსკუმა* ფორმისაგან მომდინარეობდეს, თუმცა ჩოლურულში ყრუ'ს მნიშვნელობით დადასტურებული სკუმუ თითქოს ამ ვარაუდს აქარწყლებს.

[57] უშგულურმა ქართულიდან სესხებისას შეინარჩუნა სონორი ლ.

[58] უშგულური ხშირად სვანური ენის სხვა დიალექტ-კილოკავებისაგან განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებს.

[59] ბალსქვემოურში მარქაფ ფუძე გამოიყენება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ. **მარქაფიშ ლიყერ** „სხვა გზით შემოვლა, წინიდან მოქცევა, უფრო ადრე მისვლა მოკლე გზებით... (ზედმიწ. – **მარქაფ**-ის რტყმა)".

[60] დასტურდება მრავლობითი რიცხვის ფორმითაც, მაგ. **მესტ**-არ-ალ (ლშხ., ჩოლ.) „ტყავის პაჭუჭები".

[61] საანალიზო ფუძე ხშირად გამოიყენება ასევე შემდეგ შესიტყვებებში: **მირონ**-არ-ი „მირონ-ნათელი", **მირჰუნი მაღდღუარა** „მირონის მდღმა", **მირჰუნი ლიცუმენი** „მირონცხება", **მირჰუნი ნაცომ** „მირონნაცხები" და ა. შ.

[62] უშგულური სვანური ენის სხვა დიალექტ-კილოკავებისაგან განსხვავებულ ფორმებს გვიჩვენებს, იხ. აგრეთვე ლგ-სფარ-ე.

[63] ნაგუთნარი სოფელია ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჩვენ მიერ ლენტეხურ დიალექტში დადასტურებული ლექსიკური ერთეულიც შესაბამისად იქაური ყურძნის ერთ-ერთ ჯიშს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც სესხების შემდეგ სვანური მორფოლოგიური ინვენტარით უნდა გაფორმებულიყო.

[64] მეორე მნიშვნელობა უდასტურდება ძირითადად იდიომატურ გამოთქმაში, მაგ. **ნიაუ იყერ** „მიხვდა, იგრძნო; ალღო აიღო (ზედმიწ. – **ნიავ**-ი ირტყა)", სემანტიკური გადაწევა აშკარად თვალსაჩინოა.

[65] გამოიყენება ძირითადად იდიომატურ გამოთქმაში, მაგ. **პაჭნაკიშ/პაჭინაკიშ ლიდისგ** „გაჩუმება/დადუმება, პირში ლაგამის ამოდება (ზედმიწ. – **პაჭანიკ**-ის/**პაჭინაკ**-ის დ-ებ-ა").

[66] *ჟენია*, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, გახლავთ *ევგენია*'ს არაზუსტი ფრანგული ფორმა (**Eugène**), რომელიც შემოსულია ქართულში რუსული ენის მეშვეობით. იგი იხმარება კაცის სახელადაც, როგორც *ევგენ*-ის საალერსო ფორმა (ჭუმბურიძე 1992:176).

[67] გამოიყენება ძირითადად იდიომატურ გამოთქმებში, მაგ. **რაზგონ ენკიდ** „გაქანდა, გაეშურა (ზედმიწ. – **რაზგონ**-ი აიღო)".

[68] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: **რიხ ენკიდ** „დაიბრახუნა (ზედმიწ. – **რიხ**-ინ-ი აიღო)", **რიხ ახღანდა** „დაიბრახუნა (ზედმიწ. – **რიხ**-ინ-ი გაუვიდა)" და ა. შ.

[69] უფრო მოსალოდნელია დასავლური დიალექტებიდან სესხება.

[70] საკითხთან დაკავშირებული ვრცელი მსჯელობა იხ. მონოგრაფიაში.

[71] იგივეა, ალბათ, რაც ქართული სა-კინძ-ე.

[72] შდრ., ასევე, ლშხ. **სამარ-სუდარდ** ლითხელი „საგანგებო ძიება (ზედმიწ. – **სამარე-სუდარ**-ად ძებნა)" და ჩოლ. **სამარ-კუდარ/სამალ-კუდალ** „ძირფესვიანი (ზედმიწ. – **სამარე-სუდარა**)"...

[73] ჩოლურულ მეტყველებაში *საჟენ* ფორმისაგან მომდინარე **საჯინიან** „ორმეტრიანი“ ფორმაც დასტურდება.

[74] *სარკე* სიტყვისაგან არის ნაწარმოები არაერთი იდიომატური გამოთქმა (მაგ.: სპრკდ ლიგნე (ბქ.) „გაპრიალება, გასისინება, გასუფთავება (*ზედმიწ.* – *სარკე-დ დგ-მ-ა*), სპრკდ ლგგ (ბქ.) „გაპრიალებულია, გასისინებულია, გასუფთავებულია (*ზედმიწ.* – *სარკე-დ დგ-ა-ს*), სპრკდ ლგგნე (ბქ.) „გაპრიალებული, გასისინებული (*ზედმიწ.* – *სარკე-დ მ-დგ-არ-ი*) და მისთ.) და მათშორის ტოპონიმებიც (მაგ.: სპრკელ *ტოპ.* „სათიბი, ადგილი (*ზედმიწ.* – *სარკ-იან-ი*)“...).

[75] *სკლატი* შუა საუკუნეების არაბულ მწერლობაში კარგად ცნობილი ძვირფასი აღმოსავლური ქსოვილი იყო, რომელიც დიბასთან ერთად ეგვიპტის ფატიმიანთა ტანისამოსის საგანძურის აღწერილობაშიც სახელდება (ივ. ჯავახიშვილი).

[76] თანამედროვე ჩოლურულ მეტყველებაში ველზე მუშაობისას დავადასტურეთ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული სიფრუთ ძირის შემმველი ზმნის პირიანი ფორმა გუ-ა-სიფრუთ-ე „თავგზას გვირევს, გვაბნევს...“ შემდეგ კონტექსტში, მაგ. ჩიგარ ალე გუ-ა-სიფრუთ-ე {(მივლინ. მასალ., მთქმელი: გურჯან ჯამბურიძე, სოფ. ფანაგა, 40 წლისა) „ყოველთვის ეს გვირევს თავგზას (ზედმიწ. – ყოველთვის ეს გვ-ა-ციბრუტ-ებ-ს)“] და ასევე იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად ნახმარი აპელატივი სიფრუთ, მაგ. **იმშა სიფრუთ ხარ?** (იქვე) „რას ტრიალებს/წრიალებს („რისი ციბრუტ-ი აქვს?“)...

[77] როგორც ძვირფასი ქვა, მოხსენიებულია კალმასობაში – XVIII საუკუნის ქართული ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაში (იოანე ბატონიშვილი, პეტერბურგი, 1813-1828 წწ.).

[78] სვანების რწმენით, **სუნდუქ დეცეშ** „ცის ღვთაება, უმძლიერესი ღმერთი (ზედმიწ. – *სუნდუკ-ი ც-ის-[ა]*)“ ერთ-ერთ უმაღლეს ღვთაებად იყო მიჩნეული. მის სახელზე ასუქებდნენ ხარებს, რომლებსაც **სუნდუქ-ვაჲ**-ს ეძახდნენ. ამ ხარის უღელში შებმა დღიდან „სუნდუქის“ გაპიროვნებისა და არც ცემა, არავის შეეძლო. როდესაც ამ ხარს დაკლავდნენ, სვანები ღვთაება **სუნდუქ**'ს ასე ევედრებოდნენ: „დიდება ცის სუნდუქს, შენგნით მოვლენილი სენი აშორე მლოცველი ოჯახის ყველა წევრს!“ რუსულის გზით შეთვისებული „სუნდუქ“ ხშირად გვხვდება წყევლის ფორმულებში, მაგ.: დეცე **სუნდუკუშ** ლეხპაქ „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. – *ც-ის{ა} სუნდუკ-ით გასახეთქი*)“... (იხ. მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016, გვ. 614).

[79] ბალსქვემოურში პარალელურად ჯიბრის მნიშვნელობით სა-**ტაკ** ფორმაც დასტურდება, რომელიც < ქართ. სა-ტაკ-ებ-ელ-ი „საძგერებელი, დასაჯახებელი...“ სიტყვისაგან. შდრ. ასევე ლი-**ტაკ**-ალ „შეჯიბრება“ < ქართ. **ტაკ**-ებ-ა'საგან.

[80] შდრ. ბქ. ლი-**ტალ**-ურ-ე „დადაღვა; ნაიარევების გაჩენა სახეზე ან სხეულზე“, ლგ-**ტალ**-ურ-ე „დადაღული“, ჩოლ. **ტალ**-ურ „სახეზე ნაჭდევიანი, დაღიანი“...

[81] თანამედროვე სვანურ ენაში ქართულის გზით შეთვისებული **ტირხინა**/**ტირხინჳ** ძირითადად წყევლის ფორმულებში გამოიყენება, მაგ.: **ტირხინჳდ ლისპე** (ბქ.) „საწამლავად ქცევა (ზედმიწ. – *სტრიქნ-ინ-ად გადაქცევა*)“, **ტირხინჳდოლუ აჲსიპენა ისგუ ნამუნ-ნათუნ** (ბქ.) „საწამლავად გექცეს ნაჭამ-ნასვამი (ზედმიწ. – *სტრიქნინ-ად-მცა გქცევია შენი ნაჭამ-ნასვამი!*)!“ და სხვ.

[82] ბალსქვემოურ დიალექტში მხიარული, უდარდელი ოჯახის ეპითეტად გამოიყენება უარადაშერ „ვარადისანი“ ფორმა.

[83] *გადატ.* „უზნეო ადამიანი“.

[84] აუსლაუტმოკვეცილი უოღურცუ ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის კუთვნილებაა.

[85] საანალიზო ლექსიკური ერთეული ფა სვანურში სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება: 1. „წვერი (ძაფისა), ცალი“, 2. „მოდგმა, გვარი“, 3. „წყება, ზოგი“...

[86] ქართულის გზით სვანურში დამკვიდრებული ფათრეკ ხშირად გვხვდება შემდეგ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში, მაგ.: ფათრეკიშ ლაშა (ბქ.) „არეულობის გამომწვევი (*ზედმიწ.* – ფათერაკ-ის თესლი)“; ფათრეკიშ ლილაშა (ბქ.) „არეულობის გამოწვევა (*ზედმიწ.* – ფათერაკ-ის თესვა)“ და ა. შ.

[87] ფარშმაგ გვხვდება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტადაც, მაგ. ფარშმაგდ ლგგ (ზს.) „მოხერხებულია, ეშმაკია (ზედმიწ. ფარშევანგ-ად დგ-ა-ს)“.

[88] ქართულის გზით შემოსული საანალიზო ლექსიკური ერთეული ხშირად გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: ფაძქარდ ლგგ „გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. – ფეიქრ-ად დგ-ა-ს)“; ფაძქარშალ ისიპანალ „მარჯვედ (ჯარასავით, ციბრუტივით, ფეიქარივით) ტრიალებს (ზედმიწ. – ფეიქარ-ივით ტრიალებს)“...

[89] საანალიზო ლექსიკური ერთეული ძირითადად იდიომატურ გამოთქმებში გამოიყენება, მაგ.: ბქ. შგუირ-ფერაბს დემ ხატული „ბოდიშს არ ეუბნება (ზედმიწ. – სირცხვილ-ფერ-ებ-ა-ს არ ეუბნება)“...

[90] ლამხური ფორმა დასტურდება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ. ფჟქრთეასა ლიკუბნე „დაფიქრება (ზედმიწ. – ფიქრ-[ის]-კენ-ში გდება)“, ამავე სემანტიკისაა ბალსქვემოური ლასკორათეასგა ლიშყედ „დაფიქრება, საგონებელში ჩავარდნა (ზედმიწ. – საფიქრელისკენში [ჩა]გდება)“.

[91] გამოიყენება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ. ფორხილ ხეყარ „წაბორძიკდა (ზედმიწ. – ფორხილ-ი დაემართა)“.

[92] ძირითადად გვხვდება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: ფრანგდ ლგგ „ძალიან მარჯვეა, ყოჩაღია (ზედმიწ. – ფრანგ-ად დგ-ა-ს)“, ფრანგდ ედსიპან „ძალიან იყოჩაღა (ზედმიწ. – ფრანგ-ად გადაიქცა)“...

[93] „სვანური ენის ქრესტომათიის“ ლენტეხურ მონაკვეთში შეგვხვდა *ფურნე* პურის მნიშვნელობით, მაგ. ფურნეს ანაყე (სვან. ქრესტ., 1978:341:30) „პურს აცხობს (ზედმიწ. ფურნე-ს აცხობს)“. ვფიქრობთ, სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

[94] ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ბალსქვემოური დიალექტისათვის ფურჩაბ პარალელურად მითითებულია ფორჩა ლექსემაც, რაც ზეპირ მეტყველებაში არ შეგვხვედრია.

[95] ქართულში სხვა მნიშვნელობებიც უდასტურდება.

[96] გამოიყენება მხოლოდ იდიომატურ გამოთქმებში, მაგ. ქანც მეჩდე „უღონო, უილაჯო (ზედმიწ. – ქანც-ი წასული)“...

[97] ხშირად გამოიყენება წყევლის ფორმულებში, მაგ.: ქაჯეშმაშ ბედიშოღუ ხი (ბქ.) „წყეულიმც იყავი (*ზედმიწ.* – ქაჯ-ი [და] ეშმა-ს ბედ-ის-მცა ხარ)“; ქაჯეშმაუსუ ოდგად (ბქ.) „კისერიც გიტეხიათ (ზედმიწ. – ქაჯ-ეშმაკ-ებ-ს-მცა წაუღიხართ!)!“...

[98] სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით საანალიზო ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა უცნობია. „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი გმირი ქალის სახელი *ქეთაიონ* ქართულში გადმოტანილია *ქეთეონ*-ის ფორმით, საიდანაც არის მიღებული *ქეთევან*. მისი მოფერებითი ფორმებია: *ქეთო, ქეთინო, ქეთეთო, ქეთათო* (ჭუმბურიძე 1992:180).

[99] გვხვდება ძირითადად შესიტყვების ერთ-ერთ წევრად, მაგ. ღრიჭიშ ლიკედ/ლიღნე „ღრიჭინი (ზედმიწ. – ღრიჭ-ინ-ის გაღება)“...

[100] მსჯელობა იხ. მონოგრაფიის პირველ თავში.

[101] ველზე მოპოვებული მასალების მიხედვით, ჟამიანობის პერიოდში, როდესაც სვანეთში სიღატაკე ყოფილა გამეფებული, მაშინ მარცვლეულის საზომად ნაჯახის ყუა ყოფილა გამოყენებული, ნაჯახის ყუა სავსე ხორბალი კი ძალიან ძვირად ფასობდა თურმე. საანალიზო ლექსიკური ერთეული დღესდღეობით მხოლოდ იდიომატურ გამოთქმებში იხმარება, მაგ. კ̌ადემი ყუობ||ცული ყუობ/ცული ყურბ „სიდუხჭირე, სიღარიბე (ზედმიწ. – ნაჯახის ყუა-ობ-ა||ცულ-ი{ს} ყუა-ობ-ა)“...

[102] ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა ზანურიდან სესხება, ვიდრე სემანტიკადა-ვიწროებული ქართული ფორმიდან, ამასთანავე სვანურ-ზანურ ფორმათა ფონეტიკური ვარიანტულობაც ყურადსაღებია.

[103] შდრ. ასევე ფშ. *ყირანჭა*, მესხ. *ყირჭაპი*, იმერ. *ყრონჭი*, გურ. *ყორყი*.

[104] რუსულიდან შეთვისებული შაგ ფუძე ძირითადად იდიომატურ გამოთქმებში გამოიყენება, მაგ. შაგ ნომ ადგა ნომთე (ბქ.) „ფეხი არ გაადგა არსად, არ წავიდა (ზედმიწ. – შაგ-ი არ და-ა-დგ-ა ნურსაით)“, შაგ მად ადგე (ბქ.) „ფეხი არ გაადგა, არ წავიდა (ზედმიწ. – შაგ-ი არ გა-დგ-ა)“ და სხვ.

[105] როგორც არაერთი ნასესხები ლექსიკური ერთეული საანალიზო რთული შედგენილობის შ̌არიბამბ̌ა̌ ხშირად მონაწილეობს იდიომატური გამოთქმის ჩამოყალიბებაში, მაგ. ბქ. შ̌არიბამბ̌ა̌დ ლიჭონე „ფუფუნებაში ცხოვრება, განებივრება (*ზედმიწ.* – შალ-ბამბ-ამ-ი შეხვევა)“, შ̌არიბამბ̌ა̌დ ხოჭონახ „ფუფუნებაში ჰყავთ, ანებივრებენ (ზედმიწ. – შალ-ბამბ-ად უხვევიათ)“ და მისთ.

[106] შდრ. ლშხ. საშშობა თოჲ „ოქტომბერი (ზედმიწ. – სა-შიშ-ობ-ი{ს} თვე)“ და ბქ. საშშ̌არ „ემმაკები, კუდიანები (ზედმიწ. – სა-შიშ-ებ-ი)“.

[107] განსახილველი ლექსიკური ერთეული ხშირად გვხვდება როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში, ალპურ ზონაში, ადგილის სახელწოდებად.

[108] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმაში: შლიგ ახკიდუ̌ნე „მოისროლა, გააქანა (ზედმიწ. – შლიგ-ინ-ი გაადინა)“.

[109] ხშირია მისი გამოიყენება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ.: შუ̌ბბიშ ლიყერ (ბქ.) „მოსვენება, სიმშვიდე (ზედმიწ. – შვ-ებ-ის მირტყმა/ცემა)“; შუ̌ბ̌ ხიყრ (ბქ.) „მოისვენე, დამშვიდდი (ზედმიწ. – შვ-ებ-ა ირტყი)“ და სხვ.

[110] ჩამუ̌ირ ფორმა ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება.

[111] ჩოლურული შესაძლოა განვიხილოთ შესატყვისობის დონეზეც.

[112] შდრ. უშგ. ნაფხუ̌ნაჯირკუ̌და „ცხვირა (ზედმიწ. – ცხვირმოღუნული)“.

[113] მაგ., ცალთე ადერ! „გაწ̌ე გადექი (ზედმიწ. – ცალ-[ის]-კენ წადი!)“. შდრ. ასევე ლშხ. ცალლამეგუ̌ „მეგობარი (ზედმიწ. – ცალ-ი სამეტო)“, უშგ. ცალამ̌გუ̌/ლაცლამგუ̌ა „ტოლი/ტოლები (ზედმიწ. – ცალ-სამეტო/სა-ცალ-მეტო)“...

[114] მსჯელობა იხ. მონოგრაფიაში!

[115] ძირითადად გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ. ძგიდიშ ი პილიშ უშხუარნენსგა „თავიდან ბოლომდე (*ზედმიწ.* – ძგიდ-ის-ა და პირ-ის ერთმანეთ[ს]შუა)“ და ა. შ.

[116] ხშირად გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: ძიძიბდ/ძიძიფდ ლიგნე (ბქ.) „დაფლეთა, დაგლეჯა (*ზედმიწ.* – ძიძიბ-ად დგ-მ-ა)“; ძიძიბდ/ძიძიფდ ლგგნე (ბქ.) „დაფლეთილი, დაგლეჯილი (*ზედმიწ.* – ძიძიბ-ად მ-დგ-არ-ი)“... შდრ. ასევე ბქ. ძიძბურიშნ *გადატ.* – ღვარძლიანი, ცუდი ადამიანი.

[117] ჩოლურულში მხოლოდ იდიომატურ გამოთქმებში გამოიყენება და უარყოფითი კონოტაციისაა, მაგ.: ძუმბარაიქა ლრყი „გალანძღვა, გათათხვა (ზედმიწ. – ზუმბა-ში გაძვრენა)“.

[118] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმაში: ძგფთე ლიზი „სადმე შორს წასვლა (ზედმიწ. – ბზიფ-[ის]-კენ წასვლა)“.

[119] მსჯელობა იხ. მონოგრაფიაში!

[120] წამის აღმნიშვნელი სვანური წჳმ/წამ/წჳჳ ხშირად მონაწილეობს ზმნისართულ ფორმათა წარმოებაში, მაგ.: წჳმნირჳკ/წჳმნირჳკდ/წჳმნირჳკნ (ზს.)/წჳმირჳკ/წჳმირჳკდ (ბქ.)/წამდირაკდ (ლშხ.) „წარამარა, წამდაუწუმ“; აშხუწჳმ (ბქ.)/ას[უ]წჳმ (ლხმ.) „ერთ წამს“; წჳმჟი (ზს.) „იმწამსვე, მაშინვე“...

[121] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმაში, მაგ. წირღუი თუელი ლიკედ (ლშხ.) „ჩაციება, ჩაძიება (ზედმიწ. – წვივი[ს] ტვინი[ს] {გამო}ღება)“.

[122] შდრ. ასევე: ბზ. წყგლნი „ბრჭყვიალა, კამკამა“, წყგლნი ლიკგრე „შავი ქვის ბრჭყვიალი“ და ა. შ.

[123] დროის აღმნიშვნელი ორივე ლექსიკური ერთეული არაერთი ზმნისართული ფორმის ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას, მაგ.: ხან ი დრეუუნლუე „კარგა ხნის შემდეგ (*ზედმიწ.* – ხან-ი და დრო-[ის] მერე)“; ხანუნლუე „რაღაც დროის გასვლის მერე, კარგა ხნის შემდეგ (ზედმიწ. – ხან-ის-მერე)“, დრეუჰშ „დროით“ და მისთ.

[124] საანალიზო სიტყვის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები (ხატ/ხაწ/ხაზ) დასტურდება ერთ-ერთი სვანური რელიგიური დღესასწაულის აღმნიშვნელი კომპოზიტის – ხაწკუენშლ/ხაზსკუეჯნშლ/ხატსკუეჯნალ/ხატსგუეჯნშლ პირველ კომპონენტად.

[125] ჩოლურულში შეგვხვდა ხმელ- ძირისაგან ნაწარმოები იდიომატური გამოთქმა, მაგ. ხმელდ ლირდე „სიგამხდრე (ზედმიწ. – *ხმელ-ად ყოფნა)“.

[126] როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ხვარამზეს ძველი ფორმაა *ხუარანძე*, რომლის პირველი ნაწილი ჰვარ/ხვარ ირანულ ენებში მზეს ნიშნავს, *ხვარა-მზე* კი თითქოს ერთად, სინონიმურად წარმოგვიდგენს მზის ირანულ და ქართულ სახელებს (ჯუმბურიძე 1992:184).

[127] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ. ჟელი ჯანდარაიქა ლიზზე „შავი დღის დაყენება (ზედმიწ. – მაღლ-ი[ს] ჯანდარა-ში გაშვება)“...

[128] თურქული გარეული ცხოველის სახელი (ჯეირანი ანუ ქურციკი) ქცეულია პიროვნულ სახელად თურქულ ენებში და როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელის მნიშვნელობით შემოსულია ქართულში. მისგან ნაწარმოები გვარებია: ჯეირანაშვილი, ჯეირანიშვილი... (ინტერნ. მას.).

[129] თუმცა სვანურ ფორმებს სხვა სემანტიკაც უდასტურდებათ, მაგ. „ჭიანურის

სიმი“ (შდრ. ბზ. ბგ, ბქ. ბგა/ბუუა).

[130] სახელის წარმომავლობა უცნობია.

[131] შდრ. ლხმ. ჯურთდ ლგგნე „გასქელებული, სქელ მაწვნად ქცეული“.

[132] ჰაჯ/აჯ გვხვდება იდიომატური გამოთქმის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ.: ჰაჯჯშ ლიკედ „საშველის მიცემა, თავის დანებება (ზედმიწ. – აჯა-ს აღება)...

[133] გამოიყენება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: ბქ. არაბდ ლიფშუედე „განკარგულების გაცემა, მაცნეების გაგზავნა (ზედმიწ. – არაბ-ად გაშვება)“, ჩოლ. არაბ მა ხესმი „უარი არ ესმის (ზედმიწ. – არაბ-ი არ ე-სმ-ი-ს)“..., შდრ. ასევე ჩოლ. მასდარული ფორმა – ლიდარაბიელ „წინასწარი გაფრთხილება“ და სხვ.